698
1931
ეროვნული ბიბლიოთეკა
58

# რევოლუციის მატიანე

№ 1(24)

სახელგამი

1931

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიის ც. კ. პარტიის განყოფილება

323.2(05)
ჩ-38

# რევოლუციის მატიანე

პარტიის ისტორიული ჟურნალი

№ 1 (24)

1931

ს. ს. ს. რ, სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირობები საქართველოში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ საქართველოში მოითხოვა საკმარისად ხანგრძლივი და გამწვავებული ბრძოლა საქართველოს მუშებისა და გლეხების მხრით. 1917 წლის თებერვლის და ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როგორც ამიერ-კავკასიაში საერთოდ, ისე საქართველოში კერძოდ, მეტად თავისებური პირობები შეიქნა. თებერვლის რევოლიუცია აქ თითქო „ფოსტით იქნა მიღებული", როგორც ეს არა ერთხელ თქმულა. თუ 1905—7 წლებში ამიერ - კავკასიაში, და განსაკუთრებით საქართველოში, ადგილი ქონდა მუშების და გლეხების ძლიერ რევოლიუციონურ მოძრაობას, რომლის ჩაქრობა მეფის მთავრობას გაუძნელდა და მხოლოდ რევოლიუციის დამარცხებამ ისეთ ცენტრებში, როგორც მოსკოვი და პეტერბურგი, რამდენიმეთ გაუადვილა მას აქ ეს საქმე, სამაგიეროდ 1917 წლის თებერვლის რევოლიუციაში ამიერ - კავკასიის მუშებს და გლეხებს არა თუ არ მიუღიათ აქტიური მონაწილეობა, არამედ ეს ამბავი გაიგეს აქ იმ დროს, როცა მეფის თვითმპყრობელობა, რომელიც საუკუნოების განმავლობაში სულთამხუთავივით აწვა მთელი რუსეთის მშრომელ ხალხს და რომელიც თითქო უძლეველი იყო, უკვე დამხობილი იყო. ეს სამწუხარო ფაქტი იმის მომასწავებელი იყო, რომ რევოლიუციონური მოძრაობა ამიერ - კავკასიაში იმ ხანებში თითქმის სრულებით ჩამქრალი იყო. ეს გარემოება კი თავის მხრით აიხსნებოდა იმით, რომ რევოლიუციონური მუშაობა აქ მუშებში და გლეხებში ან მეტისმეტად სუსტად იყო დაყენებული, ან სრულებით არ სწარმოებდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების დროს ბოლშევიკური ორგანიზაციები უმეტეს ნაწილად სრულებით დაინგრენ ან ძალზე დასუსტებულ იქნენ, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბოლშევიკური ძალების დიდი უმრავლესობა ან დაიღუპა რევოლიუციის დროს, ან შორეულ ქვეყნებში იქნა გადასახლებული. დარჩენ ადგილობრივ მეტის - მეტად მცირე ძალები. იმავე დროს მენშევიკებს გაცილებით უფრო მეტი ძალები შერჩათ და ამით იმათ გაუადვილდათ თავისი გავლენის გავრცელება ფართო მასებში. ამისთვის ისინი ფართოდ იყენებდენ ლეგალურ პრესას და სახელმწიფო სათათბიროს მენშევიკ - დეპუტატებს. ერთი სიტყვი, როგორც ამბობენ დროებით მათ შერჩათ ხელში ბურთი და მოედანი. იმათი მთელი პროპაგანდა და აგიტაცია 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ გამეფებულ შავ-ბნელ რეაქციის ხანაში იყო ანტი-რევოლიუციონური და ანტი - პროლეტარული. იმათ აღარ სწამდათ რუსეთში ახალი რევოლიუციის დაწყება, იმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი აზრით რევოლიუციის ხანა რუსეთში უკვე დამთავრდა, ამიერიდან ახალი რევოლიუციის მოხდენაზე რუსეთში ფიქრიც აღარ შეიძლებოდა.

მთელ თავის იმედებს ისინი ახლა მხოლოდ და მხოლოდ შავრაზმულ და პომეშჩიკურ სახელმწიფო დუმაზე ამყარებდენ. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდენ მენშევიკები, როცა იმათ ლიკვიდაცია უყვეს არალეგალურ ორგანიზაციებს და შეეცადენ გამხდარიყვენ ლეგალურ პარტიად მეფის თვითმპყრობელობის ყველაზე უფრო შავ-ბნელ რეაქციის ხანაში. ასეთ ტენდენციას ადგილი ქონდა განსაკუთრებით მსოფლიო იმპერიალისტური ომის ხანაში, როცა მენშევიკებმა გადასწყვიტეს აქტიური მონაწილეობის მიღება ისეთ ორგანოში, როგორიც იყო **სამხედრო - სამრეწველო კომიტეტები**, და კიდევაც ჩაებენ იმათ მუშაობაში. არსებითად ეს ნიშნავდა არა მარტო „სამშობლოს დაცვას“, არამედ თვით მეფის თვითმპყრობელობის დაცვასაც. და ეს სრულებით არ აიხსნებოდა შემთხვევით. მენშევიკებმა თუ შავრაზმული სახელმწიფო სათათბირო იცნეს როგორც პარლამენტი, თუ ისინი შეუდგენ არალეგალურ ორგანიზაციების მოსპობას, რათ არ შეიძლებოდა, რომ იმათ ეკისრათ თავის თავზე არსებული წესწყობილების დაცვაც. ალბად ისინი კარგად ეგუებოდენ მეფის რეჟიმს. ასეთ პირობებში სრულებით გასაკვირალი არ იყო, თუ მუშების ერთ ნაწილში რევოლიუციონური გრძნობა მოდუნდა და ოპორტუნისტული სულისკვეთება დამკვიდრდა. და იმავე დროს ნელნელა და თანდათან იწყო განვითარება ნაციონალისტურ და შოვინისტურ ტენდენციებმაც მასებში, რასაც ადგილი არ ქონებია 1905 წლის რევოლიუციის ხანაში. ამას ამტკიცებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ ხანებში წამოყვეს თავი და ფრთები შეისხეს ქართველ მენშევიკების გარდა აგრეთვე სხვა ნაციონალისტურ-შოვინისტურ პარტიებმა (ქართველი სოც-ფედერალისტები, დაშნაკები, მუსავატელები და სხვ.), რომლებიც 1905 წლის რევოლიუციის ხანაში სრულებით უმნიშვნელო გავლენით სარგებლობდენ, ან, როგორც მუსავატელები, სრულებით არ არსებობდენ. ამნაირად 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის წინ ყველა ეს წვრილ - ბურჟუაზიული-ნაციონალისტური და კონტრრევოლიუციონური პარტიები თანდათან ამოცურდენ ზევით. აშკარაა, ეს პარტიები არ იყვენ რევოლიუციის მომხრენი, მაგრამ რადგანაც იმათ სურვილის წინააღმდეგ რევოლიუცია უკვე ფაქტი იყო, ისინი, რა თქმა უნდა, შეეცადენ ეს რევოლიუცია თავის სასარგებლოდ გამოეყენებიათ. მაგრამ ეს არ იყო მათთვის საკმარისი; იმათ იმ თავითვე მიზნად დაისახეს რევოლიუციისათვის რაც შეიძლებოდა დაჩქარებით ლიკვიდაცია ეყოთ. ისინი მაშინვე შეუდგენ ამისთვის ნიადაგის მომზადებას. ეს საქმე მათ უადვილდებოდათ მით უფრო, რომ რევოლიუციის შემდეგ, როცა ძველი რეჟიმის ხალხი თავის ნებით გარბოდა მთავრობის ორგანოებიდან, ახალ ხელისუფლების სათავეში თითქმის ყოველგან ზევით დასახელებულ პარტიების წარმომადგენლები მოყვნენ.

თავისთავად იგულისხმება, რომ ვერც მენშევიკები, ფედერალისტები, დაშნაკელები და წარმოიდგინეთ ვერც ნაციონალ - დემოკრატები და მუსავატისტები 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის მონაპოვართა წინააღმდეგ აშკარა გალაშქრებას ვერ ბედავდენ. პირიქით, ისინი სიტყვით თავის თავს ამ რევოლიუციის მომხრეებად სახავდენ; მაგრამ სამაგიეროდ მთელ თავის მოქმედებას, მთელ თავის საქმიანობას ისე აწყობდენ, რომ ამას შედეგად რევოლიუციის ყველა მონაპოვარის გაბათი-

ლება მოყოლოდა. ასე, მაგ., ყველა ეს პარტიები ქართველ მენშევიკების მეთაურობით განზრახ ერიდებოდენ ან პირდაპირ გაურბოდენ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების მოწყობას, და სადაც ასეთი საბჭოები იმათი სურვილის წინაალმდეგ იქნა მოწყობილი, მაგ., ტფილისში, **მუშათა დეპუტატების საბჭო ფაქტიურად მენშევიკებმა ჟორდანიას მეთაურობით დაუმორჩილეს ქალაქის ძველ ბურჟუაზიულ გამგეობას.** ეს იყო მომხდარი რევოლიუციის გაბიაბრუება.

გარდა ამისა, არც **ქალაქის მუშების და არც გლეხკაცობის მდგომარეობაში** მენშევიკების და დანარჩენ ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ პარტიების აზრით თებერვლის რევოლიუციის შემდეგ **არავითარი ცვლილება არ უნდა მომხდარიყო:** ყველაფერი უნდა დარჩენილიყო ისე, როგორც რევოლიუციამდე. ყველა ზევით დასახელებული პარტიები მკაცრად იცავდენ ამ წმინდა რეაქციონურ, ანუ პირდაპირ კონტრ-რევოლიუციონურ პოლიტიკას. ეს შინაურ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, არა ნაკლებად რეაქციონური და კონტრ - რევოლიუციონური იყო იმათი **საგარეო პოლიტიკა,** სახელდობრ იმათი მიდგომა **იმპერიალისტურ ომისადმი,** რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ მძვინვარებდა. ისინი სავსებით იზიარებდენ როგორც ანტანტის, ისე რუსეთის **იმპერიალისტური ბურჟუაზიის მტაცებლურ პოლიტიკას;** მოითხოვდენ ომის „სრულ გამარჯვებამდე“ გაგრძელებას და რევოლიუციონურ ჯარისკაცების წინაალმდეგ, რომლებიც დაუყოვნებლივ მოითხოვდენ ომის შეწყვეტას და ზავის ჩამოგდებას, ლებულობდენ უსასტიკეს ზომებს დახვრეტამდე.

ყოველივე ეს იყო აშკარა დაურიდებელი ბრძოლა როგორც რევოლიუციის, ისე მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის წინაალმდეგ. ეს იყო მუშების და გლეხების ინტერესების **გამცემლობა და ღალატი.** მაგრამ ამ ღალატს და გამცემლობას ისინი ხვევდენ რევოლიუციონურ ფრაზებში, და ამ გზით ლამობდენ მუშათა კლასის და გლეხკაცობის დატყუილებას. პირველ ხანებში ისინი ახერხებდენ უმრავლეს შემთხვევაში მუშების, გლეხების და ჯარისკაცების დატყუილებას, მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, და მართლაც, პეტერბურგში, მოსკოვში და რუსეთის სხვა დიდ ქალაქებში მუშები შედარებით ჩქარა დარწმუნდენ მენშევიკების და ესერების სიყალბეში, იმათ ღალატში.

აქედან შესაფერ დასკვნებს აკეთებდენ, ე. ი. მენშევიკები გამოყავდათ საბჭოებიდან და იმათ მაგიერ იქ გზავნიდენ ბოლშევიკებს. ეს ნიშნავდა დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის, რომლის სათავეში იდგა მატყუარა კერენსკი, დასასრულის მოახლოვებას და მთელი სახელმწიფო ხელისუფლების საბჭოების ხელში გადასვლას. ეს მოხდა 1927 წ. **25 ოქტომბერს** (ახ. სტ. 7 ნოემბერს). მაგრამ ა.-კავკასიაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ ოქტომბრის რევოლიუცია შედარებით ძლიერ დაგვიანდა.

რა მოხდა აქ? როგორ შეხვდენ ოქტომბრის რევოლიუციას ის პარტიები, რომლებიც ჩვენში სათავეში ედგენ ხელისუფლების ორგანოებს? ეს მეტად საინტერესოა ვიცოდეთ. სანამ რუსეთში ხელისუფლება სათავეში ედგა კერენსკის მთავრობა, რომელიც უსირცხვილოდ ატყუილებდა როგორც მუშებს, ისე გლეხებს, რომელიც საიდუმლო ხელშეკრულებას დებდა ყოფილი მეფის მომხრე —კორნილოვთან, რომელიც აწყობდა კონტრ - რევოლიუციონურ გადატრიალებას, და ბოლოს, რომელიც არსებითად განაგრძობდა მეფის პოლიტიკას **ჩაგრულ** ერების მიმართ, — ქართველი მენშევიკები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომეხი — დაშნაკები და აზერბეიჯანელი — მუსავატელები სავსებით იზიარებდენ რუსეთის მაშინდელი ცენტრალური მთავრობის პოლიტიკას და მას მხარს უჭერდენ. მაგრამ როგორც კი სახელმწიფო მართვაგამგეობას სათავეში მოექცა მუშათა კლასი ბოლშევიკების მეთაურობით, ზევით დასახელებულმა პარტიებმა მაშინვე პირი იქციეს რუსეთიდან და ყოველივე კავშირი გასწყვიტეს საბჭოთა ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან. კიდევ მეტი: ამ ვაჟბატონების თავხედობა იქამდის მივიდა, რომ იმათ საბჭოთა ხელისუფლება და ბოლშევიკების პარტია მონათლეს, როგორც კონტრრევოლიუციონური; იმათი აზრით გამოდიოდა, რომ კერენსკი და მისი დამქაშები, ე. ი. მენშევიკები, ესერები და სხვები, რომლებიც ბურჟუაზიას და მემამულეებს უჭერდენ მხარს, თითქო რევოლიუციას ემსახურებოდენ, თითქო ეს ვაჟბატონები შეგნებულად არ ამზადებდენ კონტრ - რევოლიუციის გამარჯვებას. მაგრამ რას იზამდით: სამწუხაროდ, ამ ვაჟბატონებს ჯერ კიდევ ყავდათ აქ საკმაო დასაყრდენი ძალები. და ეს მიუხედავად იმისა, რომ, თებერვლის რევოლიუციის პირველ ხანებთან შედარებით ბოლშევიკური ორგანიზაციები როგორც ა.-კავკასიაში საერთოდ, ისე საქართველოში კერძოდ დიდად გაიზარდენ და გამაგრდენ.

ოქტომბრის რევოლიუციის მოხდენის დღიდან რუსეთში ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისთვის ჩვენში თანდათან და სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. ბოლშევიკურ ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოში — **კავკასიის საოლქო კომიტეტში** დასმულ იქნა საკითხი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ. ეს იყო დაახლოებით 1917 წლის ნოემბრის მეორე ნახევარში. მოსაზრება ის იყო, რომ შეიძლებოდა დაყრდნობა ჯარის ნაწილებზე, რომლებიც თითონ აყენებდენ ამ საკითხს. მაგრამ ამის წინააღმდეგ წამოყენებულ იქნა ორი სერიოზული მოსაზრება: 1) ჯარის ის ნაწილები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების შემოღებას თანაუგრძნობდენ თითქმის 100%-ით არა ადგილობრივ ელემენტებისაგან შესდგებოდენ, ამიტომ სავსებით მათზე დაყრდნობა შეუძლებელი იყო; 2) ტფილისში არსებობდა მენშევიკურ-ესერული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, რომელიც, რა თქმა უნდა, გადაჭრით ილაშქრებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ეს გარემოება უდიდეს დაბრკოლებას ქმნიდა იმ დროს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საქმეში. მეტად საეჭვო იყო, რომ ჯარის იმ ნაწილებსაც კი, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების მომხრენი იყვენ, გადამწყვეტ მომენტში არსებულ საბჭოს წინააღმდეგ გაელაშქრათ. ამაში ჩვენ ჩქარა დავრწმუნდით, როცა მენშევიკებმა გადასწყვიტეს აშკარა თავდასხმაზე გადასვლა ჯარის ამ ნაწილებზე და 1917 წელს 30 ნოემბერს თავს დაესხენ არსენალს, რომელსაც ყარაულობდენ ბოლშევიკურად განწყობილი ჯარისკაცები, ეს უკანასკნელები, მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურ საოლქო კომიტეტიდან იმათ ქონდათ კატეგორიული წინადადება მიცემული წინააღმდეგობა გაეწიათ მენშევიკების გვარდიისათვის და არსენალი არ დაენებებიათ, შედრკენ და უმნიშვნელო წინააღმდეგობის შემდეგ არსენალი გადასცეს და თითონაც განიარაღდენ. ამ გარემოებას ორნაირი შედეგი მოყვა: 1) მენშევიკებს, დაშნაკებს და ესერებს ფრთები შეასხეს ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად და 2) ბოლშევიკურად განწყობილ ჯარის ნაწილებს ჩქარა დაეტყო დემობილიზაციური სულისკვეთება და იმათ ჩქარა დატოვეს ტფილისი. მაგრამ ამ დროს ნამდვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მხოლოდ ახლა იწყებოდა. არც ერთი მხარე უკან არ იხევდა, იარაღს არ ყრიდა. დემოკრატიის ნიღაბის ჩამოფარებით მენშევიკები იბრძოდენ ბურჟუაზიული თავისუფლების ანუ ბურჟუაზიული საკუთრების დაცვის მიზნით მუშების და გლეხების ხელისუფლების დამყარების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ისინი იყენებდენ ყოველივე საშუალებას: ტყუილს, სიცრუეს, ცილისწამებას, უკავშირდებოდენ და თავს უყრიდენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ ყოველივე ძალას, აშკარა რეაქციონურს და კონტრ - რევოლიუციონურს როგორც შინ, ისე გარედ. ყველა ესენი სიამოვნებით უწევდენ მათ დახმარებას. ესენი იყვენ **დაშნაკელები** და **მუსავატისტები**, სანამ ამიერ - კავკასიის დაყოფა არ მოხდა სამ რესპუბლიკად: სომხეთი, აზერბეიჯანი და საქართველო. შემდეგ კალედინი, დენიკინი, გერმანელები, ინგლისელები, იტალიელები და სხვ.; — საერთოდ როგორც შინაური კონტრ - რევოლიუციონური ელემენტები (ჯგუფები, ორგანიზაციები და პარტიები), ისე მსოფლიო იმპერიალისტური ძალები. ბოლშევიკები კი შეუდგენ მუშაობას მუშებში და გლეხებში; ისინი ცდილობდენ მენშევიკების სიცრუის და ღალატის გამომჟღავნებას, რადგანაც მენშევიკები ამის დასამტკიცებლად აუარებელ ფაქტებს იძლეოდენ; ამ მუშაობამ ჩქარა გამოიღო ნაყოფი. ამას მოწმობდენ შეუწყვეტელი აჯანყებები მენშევიკების მთავრობის წინააღმდეგ, როგორც ნაციონალურ უმცირესობათა, ისე განსაკუთრებით გლეხობის მხრით. ყველა ამ აჯანყებებს მენშევიკების მთავრობა ამარცხებდა უმეტეს ნაწილად უცხოეთის იმპერიალისტურ ძალების დახმარებით. ამ დამარცხებების შემდეგ მენშევიკები ახდენდენ აჯანყებულ მუშების და გლეხების მასიურ დახვრეტას.

დამახასიათებელია -ის, რომ არასოდეს ამ დამარცხებებს სასოწარკვეთილება არ გამოუწვევია ბოლშევიზმის რიგებში. დამარცხების შემდეგ ისინი კვლავ იწყებდენ მზადებას ახალი აჯანყებისათვის. დაწყებული 1917 წლის ბოლოდან, ვიდრე მოხდებოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ბოლშევიკებს უხდებოდათ მუშაობა მეტ ნაწილად, თითქმის განსაკუთრებით იატაკ - ქვეშ, **არალეგალურად.** ეს ხანა მეტად მდიდარია შეუპოვარი და თავგანწირული ბრძოლის ფაქტებით. აქედან მხოლოდ მცირე ნაწილს იცნობს საზოგადოება. აუარებელი ფაქტიური მასალა, დიდძალი საყურადღებო დოკუმენტები დაღუპულია. საჭიროა, რომ თუ სავსებით არა, ნაწილობრივ მაინც აღდგენილ იქნას ეს ხანა ჩვენი ისტორიისა. ბევრს სრულიად არა სწორი წარმოდგენა აქვს იმ ხანებში წარმოებულ ბრძოლაზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავზე მაინც ასეთი შეხედულება უთუოდ უნდა შეიცვალოს.

**ფ. მახარაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომპარტიის მუშაობა საქართველოში *)

## (1917—1928)

მასალები საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის 1917 წლიდან, დალაგებული და სისტემატიზაცია ქმნილი არაა.

საქართველოს კომპარტიის ლეგალური არსებობის ათი წელი უკვე შესრულდა, ეს გარემოება თავის თავად სვამს საკითხს პარტიის განვითარების ისტორიულად გაშუქების შესახებ. აქ მე მომყავს მხოლოდ ზოგიერთი ფაქტები და დოკუმენტები, რომლებიც ხელთ მაქვს და რომლებიც დახმარებას გაუწევენ პარტიის ისტორიკოსს.

ცნობილია, რომ 1917 წლამდე ბოლშევიკური ფრაქცია ჩვენში შედარებით მცირერიცხოვანი იყო. რ.ს.-დ. მ.პ.-ში მომხდარ განხეთქილების დღიდან ბოლშევიკები საქართველოში უმცირესობაში მოექცენ, მენშევიკები კი უმრავლესობაში.

ჩვენ აქ ვერ შეუდგებით იმ მიზეზების დეტალურ გამოკვლევას, თუ რით იყო გამოწვეული მენშევიკების გაძლიერება საქართველოში, დავასახელებთ მხოლოდ ერთ უმთავრეს მიზეზთაგანს — საქართველოს კაპიტალისტურად ჩამორჩენილობას, სამრეწველო პროლეტარიატის კადრების უყოლობას, ჩვენი ქვეყნის წვრილბურჟუაზიულ ხასიათს, რამაც შექმნა სოციალური ფესვები მენშევიზმის, როგორც წვრილბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებისათვის, მაშინ, როდესაც რუსეთის სამრეწველო, პროლეტარულ ცენტრებში უდიდესი გავლენით სარგებლობდა ბოლშევიკური მიმდინარეობა, როგორც ნამდვილი პროლეტარული მიმდინარეობა. მეორე მიზეზად, რომელიც გამომდინარეობს ჩვენ მიერ დასახელებულ უმთავრეს მიზეზიდან შეიძლება დავასახელოთ სუბიექტიური ხასიათის გარემოება, ის, რომ საქართველოში თავიდანვე ცალმხრივად იქნა გაშუქებული პარტიული უთანხმოების საკითხები და თითქმის ყველა ორგანიზაციების პროპაგანდისტ - აგიტატორების დიდი უმრავლესობა მენშევიკების პლატფორმაზე აღმოჩნდა.

1917 წლის შემოდგომამდე აქა-იქ არსებობდენ ბოლშევიკური წრეები. მაგრამ არ იყო ჩამოყალიბებული ერთი მთლიანი ხელმძღვანელობა. არ არსებობდა ბოლშევიკური ცენტრი. ბოლშევიკური ბეჭდვითი ორგანო საქართველოს გასაბჭოებამდე დროგამოშვებით გამოდიოდა, ძალები დაქსაქსული და თავმოუყრელი იყო. თებერვლის გადატრიალებამ, რუსეთში გამწვავებულმა ფრაქციულმა ბრძოლამ, მენშევიკების გადაბარგებამ ბურჟუაზიის ბანაკში, დასვა საკითხი ბოლშევიკების ორგანიზაციულად დარაზმვის, ხელმძღვანელ ცენტრის ჩამოყალიბების და მენშევიკებისაგან სრულიად გამიჯვნის შესახებ.

რევოლიუციის პირველ დღეებში არის ცდა ბოლშევიკ - მენშევიკების ერთად მუშაობის, მაგრამ სულ ადრე ირკვევა, რომ მათი შეთანხმება და ერთ პლატფორმაზე დადგომა შეუძლებელი და თან მავნებელი იქნებოდა რევოლიუციისათვის. ბოლშევიკ-მენშევიკების ერთად მუშაობას. ამხ. მამია ორახელაშვილი უწოდებს „ორი პარტიის ერთ ჭერს ქვეშ ცხოვრებას".

თუ გადავხედავთ 1917 წლის მასალებს, დავინახავთ, რომ საქართველოს მენშევიკები ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძვიან რუსეთის მენშევიკებთან ერთად კერენსკის მთავრობის გასამაგრებლად. კლასიური ხაზის მიფუჩეჩება, პროლეტარიატის და ლა-

---

*) ეს წერილი შეადგენს ამავე საავტორის წიგნაკის ერთ თავს, რომელიც მზად დება დასაბეჭდათ. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიბი გლეხკაცობის ინტერესების სრულიად მივიწყება—აი რა ახასიათებდა მენშევიკებს რევოლიუციის პირველ პერიოდშივე. ბოლშევიკები და მენშევიკები სავსებით დაშორდენ 1917 წლის რევოლიუციის ხასიათის შეფასებასა და აქედან გამომდინარე სტრატეგიულ და ტაქტიკურ საკითხებში. მაშინ, როდესაც მენშევიკები, მსგავსად 1905 წლისა, ამტკიცებდენ, რომ 1917 წ. რევოლიუცია თავისი ხასიათით არის ბურჟუაზიული რევოლიუცია, რომლის ხელმძღვანელობა უნდა იკისროს ბურჟუაზიამ, ბოლშევიკები, ლენინის პირით, უკვე 1917 წ. აპრილში აყენებენ სოციალისტური რევოლიუციის და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების აღების საკითხს. მენშევიკები აცხადებდენ, რომ თუ რუსეთის რევოლიუცია შესდგება სოციალისტური რევოლიუციის რელსებზე, მას ეს რელსები უნდა გამოვაცალოთ და ის უნდა შევაჩეროთ მხოლოდ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ რევოლიუციის საფეხურზე.

ასეთი შეხედულების განვითარების ლოლიკური შედეგი იყო იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა გატარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა კერძოთ საქართველოში ბოლშევიკების მიმართ 1917 წლიდან 1921 წლამდე. კომპარტია აქ განიცდის დევნას და ის იძულებულია გადავიდეს არალეგალურ მდგომარეობაზე. ფორმალურად მენშევიკები აღიარებდენ სიტყვის, ბეჭდვის, პრესის და კავშირების თავისუფლებას, ფაქტიურად კი ისინი სდევნიდენ ბოლშევიკებს.

მაგალითისათვის ავიღოთ საქ. მენშევიკური მთავრობის ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან, რომლის ძალით საქ. ბოლშევიკები არ უნდა ყოფილიყვენ დევნილი იდეურ მუშაობისათვის, პროპაგანდა - აგიტაციისათვის. მოკლეთ, უნდა მომხდარიყო კომპარტიის ლეგალიზაცია.

ეს ხელშეკრულება სულ ადრე დარღვეულ იქნა მენშევიკური მთავრობის მიერ და დაიწყო ბოლშევიკების დევნა, მათი დაპატიმრება, საქ. საზღვრებიდან მათი განდევნა.

კომპარტია საქართველოში იშვა და აღიზარდა მისთვის მეტად მძიმე პირობებში. ეს პირობებია: 1905 წელს რ.ს.მ. პარტიაში არსებულ გამწვავებული ფრაქციული ბრძოლა. 1907 წლიდან დაწყებულ შავ რეაქციის რეპრესიების პროცესი. 1917 წლის საქართველოს კოალიციონური მთავრობის არსებობა (სადაც საქართველოს ყველა წვრილ - ბურჟუაზიული პარტიები გაერთიანდენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში) და 1921 წლიდან შიგნით პარტიაში არსებული გადახრები, როგორიც იყო: გადახრები ეროვნულ საკითხში — ქართული ნაციონალიზმი და რუსელი ველიკოდერჟავნიზმი, 2) ტროცკიზმი, 3) მემარცხენეობა - მემარჯვენეობა პარტიაში.

ამიტომ საქართველოს კომპარტიის მიმოხილვის მწერალი გვერდს ვერ აუვლის იმ დაჯგუფებას, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენში და რომელთა ბრძოლაში პარტია გამოვიდა გამარჯვებული.

ბოლშევიკური ორგანიზაციების გაერთიანება და მენშევიკებთან საბოლოოთ კავშირის გაწყვეტა ამ.-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში მოხდა 1917 წელს 2 ოქტომბერს*)

*) ტფილისის ბოლშევიკების მიერ კავშირის გაწყვეტა და ცალკე ბოლშევიკური ორგანიზაციის დაარსება მოხდა 1917 წ. ივნისის პირველ რიცხვებში. მოწოდება ამის შესახებ დაბეჭდილია „კავკასკი რაბოჩი"-ს 6 ივნისის ნომერში. მოწოდებას ხელს აწერს რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკების თ ბ ი ლ ი ს ი ს კ ო მ ი ტ ე ტ ი. ამ მოწოდებაში სხვათაშორის აღნიშნულია: ტფილისის ბოლშევიკების საზოგადო კრებამ, განიხილა რა კონფერენციის რეზოლიუციები (იგულისხმება 24 29 აპრილს მიმხდარი მთელი რუსეთის კონფერენცია ბოლშევიკებისა პეტროგრადში), ერთხმად იღებს მათ თავის მოქმედებაში სახელმძღვანელოთ... ამის გამო კრება ადგენს: გაწყვიტოს კავშირი მენშევიკურ ორგანიზაციასთან, რომელიც სდგას რევოლიუციონური თავდაცვის თვალსაზრისზე, გამოიწვიოს იქიდან ყველა თავისი თანამოაზრე-ბოლშევიკები და შექმნას ცალკე სოც.-დემ. ორგანიზაცია, რომელიც სდგას რევოლიუციონურ სოც.-დემოკრატიის თვალსაზრისზე"... ამ დღიდან გაზეთი უკვე გამოდის ტფილისის ორგანიზაციის ფირმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწვეულ რ.ს.-დ.მ.პ. (ბოლშევიკების) კავკასიის საოლქო პირველ ყრილობაზე ქალ. ტფილისში. ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელმაც გახსნა ეს ყრილობა, აღნიშნავს იმ დიდ როლს, რომელიც უნდა შეასრულოს კავკასიის ბოლშევიკურმა ყრილობამ გაფანტულ და დაქსაქსულ ორგანიზაციების თავმოსაყრელად ერთი ხელმძღვანელი ცენტრის შექმნით. ყრილობაზე გადამწყვეტი ხმით მონაწილეობას ღებულობდა 19 ორგანიზაცია, დელეგატების რიცხვს შეადგენდა 26 და აერთიანებდა 8,436 წევრს (5 ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელმაც გამოგზავნა სამი დელეგატი და აერთიანებდა ორას პარტიის წევრს, იყო სათათბირო ხმის უფლებით). ყრილობაზე წარმოდგენილი იყო: ფოთი — 1 ხმა, ბაქო—4, ტუაპსე—1, აგბატი—2, ეკატერინოდარი—1, ქუთაისი—2, გორი—1, ელისავეტოპოლი—2, ბათომი—2, კისლავოდსკი და პიატიგორსკი—2, ტფილისი—6, ტყვიის მფრქვეველ ჯგუფიდან—2, სარაკამიშიდან—1, ყარსიდან—1, მაცესი—2, ზუგდიდი—1, ერკეთ - ხიდისთავი — 1 (სათათბირო ხმით).

ყრილობის დღის წესრიგში, გარდა მიმდინარე მომენტისა, აგრარულ და ეროვნულ საკითხებისა, ყურადღებას იპყრობდა მენშევიკებთან დამოკიდებულების საკითხი.

ყრილობის მუშაობის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა გაეფანტა ის ილიუზიები, რომელიც კიდევ არსებობდა საქართველოში მენშევიკებთან ერთად მუშაობის შესაძლებლობის შესახებ. ყრილობის დელეგატებმა გამოამჟღავნეს მენშევიკებთან ერთად მუშაობის სრული შეუძლებლობა. მაგ. ფოთის წარმომადგენელი ამხ. ლეჟავა ამბობდა: — „პარტიული ბრძოლა მეტის მეტად გამწვავებულია; მიუხედავად იმისა, რომ გვემუქრებოდენ დაპატიმრებით, ჩვენ ვაწარმოებდით ბრძოლას ობორონცებთან და ქალაქის საბჭოში გავიყვანეთ ერთი ამხანაგი, აღმასრულებელი კომიტეტის შედგენის დროს კი გავიყვანეთ სამი ბოლშევიკი".

დელეგატი ძნელაძე: „ბოლშევიზმის გავლენა ბაქოში პროლეტარიატის წრეებში და სალდათებში გაიზარდა, მეზღვაურები, რომლებიც დღემდე იყვნენ სოციალისტ-რევოლიუციონერების გავლენის ქვეშ ამჟამად სრულიად გაიმიჯნენ მათგან. ორგანიზაციულად შეკავშირებულ მეზღვაურების რიცხვი უდრის 206 კაცს".

დელეგატი დალაქიშვილი: (ქუთაისი) „ბოლშევიკური ორგანიზაცია დამოუკიდებლად სულ ერთი კვირაა, რაც არსებობს, ორგანიზაციაში ირიცხება 239 წევრი, მათში 169 სამხედროები, საბჭოში გვყავს მხოლოდ ორი წარმომადგენელი, პარტიული ლიტერატურის გავრცელების საქმე ცუდათაა დაყენებული. ქუთაისის კომიტეტმა იკისრა გამომცემლობა, ამ დროებით გამოცემულია მხოლოდ ერთი ბროშურა".

დელეგატი ყიასოვი: (სარაკამიში): „გაერთებულ ორგანიზაციაში უმრავლესობა ბოლშევიკებია, განხეთქილება აუცილებელია. კორნილოვშჩინა ერთნაირი ბიძგი იყო ბოლშევიზმის გაზრდის, აგრეთვე არის იმედები, რომ საბჭოების გადარჩევა გაზრდის ბოლშევიკების რიცხვს".

პარალელურად, ამავე პერიოდში ხდება მენშევიკების მეექვსე ყრილობა, რომელსაც ესწრება „ბოლშევიკი" ვალიკო ჯუღელი. „მე ბოლშევიკი ვარ, — აცხადებს ჯუღელი ყრილობაზე, — მაგრამ ყოველთვის ვმუშაობ მენშევიკებთან ერთად და დავრწმუნდი, რომ საერთო მუშაობა შესაძლებელია. ცალკე ფრაქციების გამოსვლის საშიშროება აქ, კავკასიაში, დიდია, სადაც სოც.-დემოკრატებს მიჰყვება დემოკრატიის ფართე მასები. გამოსვლა ერთი ფრაქციის მეორე ფრაქციის წინააღმდეგ გადაისვრის ამ მასებს ბურჟუაზიულ პარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიებისაკენ. კავკასიელი სოც.-დემოკრატების შეთანხმება ერთმანეთთან ადვილია. მენშევიკები აქ უკვე ასწორებენ თავიანთ ტაქტიკას, ასევე უნდა მოიქცენ ბოლშევიკებიც და მაშინ მოინახება პლატფორმა შეერთების".

„ბოლშევიკ" ჟურნალს არ ეთანხმება მენშევიკი გვარჯალაძე, რომელიც გადაჭრით ილაშქრებს ბოლშევიკებთან შეთანხმების წინააღმდეგ: „მენშევიკების და ბოლშევიკების შეერთება შეუძლებელია, მოხდა განხეთქილება ძირითად საკითხის გარშემო, ეს არის დაფასება რევოლიუციის ხასიათის. ბოლშევიკები ფიქრობენ, რომ დადგა დრო სოციალიზმის და ამ ძირითად დებულებიდან აკეთებენ ყოველივე დასკვნას".

გვარჯალაძის მოსაზრება, რა თქმა უნდა, უფრო სწორი იყო, ვიდრე „ბოლშევიკ" ჟურნალის. მენშევიზმი დაშორდა რევოლიუციონურ მარქსიზმს, მისთვის გაუგებარი დარჩა რუსეთის რევოლიუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, მენშევიკური აზრი ვერ გაშორდა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ საფეხურს. ამიტომ სავსებით მართალი იყო მენშევიკი გვარჯალაძე, როდესაც შეუძლებლად სცნობდა ბოლშევიკებთან შეთანხმებას, იმ ბოლშევიკებთან, რომლებმაც წამოაყენეს სოციალისტური რევოლიუციის ლოზუნგი.

სოციალისტური რევოლიუციის ინტერესები მოითხოვდენ ბოლშევიკების დამოუკიდებლად გამოსვლას და ამიტომ ყრილობაზე მიღებულმა რეზოლიუციამ მენშევიკებთან ურთიერთობის საკითხი ასე ამოწურა:

„მენშევიკების ამ.-კავკასიის ორგანიზაცია არის წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატების პარტიის ობორონცული ნაწილი, რომელიც ცრუდ უწოდებს თავს ს.-დ. მუშათა პარტიას.

ლიბერალების პარტიას, დანებისა, წერეთლისა და კომპ. არაფერი საერთო პროლეტარიატთან არ აქვს. პროლეტარულმა მასებმა, სალდათებმა, უკანასკნელ დროს-კი გლეხურმა მასებმაც უკვე ახადა ნიღაბი ბურჟუაზიულ - შემთანხმებლურ პოლიტიკას და ზურგი აქცია ობორონცების ბელადებსა და პარტიებს. არავითარი ნდობა, ობორონცებს — აი რევოლიუციონური მუშების, სალდათების და გლეხების ლოზუნგი.

მენშევიკების პარტია წარმოადგენს გაკოტრებულ ბელადთა ორგანიზაციას, რომელნიც რევოლიუციის მსვლელობამ გადაისროლა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის მხარეზე.

მენშევიკების ამიერ-კავკასიის ორგანიზაციამ თავისი საბოლოო ობორონცული ნათვლა მიიღო ე. წ. „გაერთიანებულ ყრილობაზე", სადაც ის დაჯგუფდა დან-წერეთლის ბურჟუაზიულ—შემთანხმებლური პლატფორმის გარშემო და მიიღო პროლეტარიატის ამ გამცემთაგან სახელმძღვანელო დირექტივები და რეზოლიუციები.

კორნილოვ-კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური აჯანყების შემდეგ ამიერ-კავკასიის მენშევიკების ორგანიზაციამ,რომელიც დაშინებული იყო კონტრ-რევოლიუციის აშკარა და უხეში თავდასხმით შეეცადა დაჩქარებით კურსის გამოცვლა და თავისი ბელადის (ჟორდანიას) პირით განაცხადა ხელისუფლების შედგენის შესახებ რევოლიუციონური დემოკრატიის მიერ, ცენზიან ბურჟუაზიასთან კავშირის გადაჭრით გაწყვეტის შესახებ. მაგრამ შემდეგ დღეებში მომხდარმა ამბებმა გამოააშკარავა მენშევიკების ამ განცხადების მთელი სიცრუე. მაგრამ რეალურმა მშიშარა - შემთანხმებლურმა პოლიტიკამ კონტრ - რევოლიუციონური დიქტატურის ორგანოსადმი, ა.-კავკასიის საგანგებო კომიტეტისადმი, კერენსკის აშკარა კონტრ-რევოლიუციონური მბრძანებლობისადმი (რაც მიმართული იყო არმიაში წარმოებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკის წინააღმდეგ, რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ და სხვ.) აშკარად დაგვანახეს, რომ მენშევიკებმა ვერაფერი ვერ ისწავლეს და ოდნავადაც არ უღალატეს თავის წვრილ-ბურჟუაზიულ ბუნებას.

რევოლიუციონურმა სიტყვით, შემთანხმებლურმა საქმით, ამიერ-კავკასიის მენშევიკებმა გამოააშკარავეს თავისი სრული უნიჭობა აქტიურ-რევოლიუციონურ მოღვაწეობისადმი.

შეადგინეს რა ობორონცებიდან (წერეთელსა და ჩხეიძესთან ერთად) კანდიდატების სია დამფუძნებელ კრებაში, მათ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ მომხრენი არიან ბურჟუაზიულ - შემთანხმებლურ პოლიტიკისა და სრულიად მოწყვეტილი არიან სოციალისტური პროლეტარიატის რევოლიუციონური პოლიტიკისაგან.

რევოლიუციონური სოც.-დემოკრატია, ჩვენი პარტია, ცალკე ორგანიზაციების და ჯგუფების თავისთან გაერთიანების მთავარ პირობათ აყენებს ობორონცობასთან კავშირის სრულიად გაწყვეტას და ამიტომ რ.ს.დ.მ.პ. ბოლშევიკების კავშირის სამხარეო ყრილობა მენშევიკების ამ.-კავკასიის საოლქო ყრილობის მომართვაზე გაერთიანების შესახებ, უპასუხებს კატეგორიული უარით".

ყრილობის დასრულების შემდეგ ბოლშევიკების გავლენა ერთი ორად გაიზარდა, განსაკუთრებით მუშებსა და ჯარისკაცებში. პირველ ხანებში ჯარი მტრულად შეხვდა ბოლშევიკებს, ეს გარემოება იყო მიზეზი იმ ბინძური აგიტაციის, რომელიც გასწიეს სარდლობის და ჩინოვნიკების დახმარებით წვრილ-ბურჟუაზიულმა პარტიებმა ფრონტის ჯარის-კაცებში ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ ჯარი ჩქარა გამოერკვა და ერთბაშად იბრუნა პირი ბოლშევიკებისაკენ.

1917 წ. დეკემბრის დასაწყისში ყველა პარტიების ძალთა განწყობილება და გავლენა უკვე გამოირკვა: 6-8 დეკემბერს სალდათთა სექციის სხდომაზე მომხდარმა გადარჩევამ აღმასრულებელ კომიტეტში ცხადყო ბოლშევიზმის გავლენის უდიდესი ზრდა, ბოლშევიკების ფრაქციიდან გამოვიდა 23, სოციალისტ-რევოლიუციონერების ფრაქციიდან 14, ს.-დ. მენშევიკების ფრაქციიდან 7, სომხების „რევოლიუციონურ" პარტიის დაშნაკცუტიუნიდან — 4, სოც.-ფედერალისტებიდან — 2, ეს არჩევნები მოწმობენ ბოლშევიკების გავლენის კოლოსალურ ზრდას 1917 წლის დამლევს.

—კავკასიის არმიის მეორე ყრილობამ, რომელიც გაიხსნა ათ დეკემბერს ტფილისში, გამოააშკარავა, რომ ამ.-კავკასიის წვრილ-ბურჟუაზიული პარტიები და კერძოდ მენშევიკები ხელს უწყობენ ჩრდილოეთ კავკასიაში დაწყებულ კონტრ-რევოლიუციონურ მოძრაობას. ყრილობაზე ამხ. შაუმიანმა გამოამჟღავნა, რომ გენერალმა პავლოვცევმა ტფილისიდან მიიღო 32 ვაგონი პატრონები, გამოქვეყნებულ იქნა საუბარი პირდაპირ მავთულზე გენერალ პრჟევალსკისა და გენერალ მდივანის გენერალ პავლოვცევთან, სადაც ლაპარაკი იყო იარაღისა და პატრონების გაგზავნაზე, საქართველოში მოკალათებულ გენერლებს, ასეთ ფრიად სერიოზულ და პროლეტარიატისათვის კრიტიკულ მომენტში, ეჭირათ ჯარში სარდლობისა და შტაბის უფროსების პოსტები, თავისუფლად ჰკრავდენ ბლოკს ჩრდილოეთ კავკასიის კონტრ-რევოლიუციონერებთან რევოლიუციის დასამარცხებლად და კვლავ ნიკოლოზ მეორეს ტახტზე წამოსასკუპებლად.

არმიის მეორე ყრილობაზე გამარჯვება ხვდა ბოლშევიკებს და სამხარეო ცენტრში უმრავლესობაში ბოლშევიკები გავიდენ.

1917 წ. დამლევს ნოემბერში პოლიტიკური ატმოსფერა ტფილისში გამწვავდა. ოქტომბრის გადატრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებამ, ბოლშევიკების გამარჯვებამ და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ რუსეთში, საქართველოშიც ჰპოვა გამოხმაურება, ადგილობრივი ამხანაგები შეეცადენ ძალაუფლების ხელში აღებას, მაგრამ ამისათვის პარტია აქ მზად არ იყო. ამიერ-კავკასიის კომისარიატი შიშის ზარმა მოიცო და ბოლშევიკების გამოსვლის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა. ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მიიღო გადამჭრელი ზომები და სამხედრო წესები გამოაცხადა. ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, რომელიც უმთავრესად მენშევიკებისაგან შესდგებოდა, სამხედრო წესების გამოცხადებას ასე ასაბუთებდა:

„ადგილობრივ ბოლშევიკების ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი“-ში ჩვენ მიერ ტფილისში სამხედრო წესების გამოცხადების შემდეგ ყოველ ნომერში სწერდენ, რომ ეს ღონისძიება არაფრით არ გამართლდება, ბოლშევიკები არ ფიქრობდენ და არც ფიქრობენ გამოვიდენ შეიარაღებულნი და სხვ.

ამის პასუხად ჩვენ ვაცხადებთ:

რამდენიმე ხანია ჩვენთან შემოდიოდა გარკვეული ცნობები იმის შესახებ, რომ ბოლშევიკები ამზადებენ სამხედრო ნაწილებს გამოსვლისათვის და რომ ამ მიმართულებით იქ სწარმოებს საიდუმლო აგიტაცია, განსაკუთრებით ყარსის პოლკის მოსვლის შემდეგ ბოლშევიკებმა წამოჰყვეს თავი და ამ პოლკში აწყობდენ ღამით კრებებს, სადაც ბოლშევიკი-ორატორები მოუწოდებდენ ჯარისკაცებს გამოსასვლელად. იმავე დროს ისინი აგზავნიდენ დელეგატებს სხვა ნაწილებში. განსაკუთრებით ადგილობრივში, რომ ეს ნაწილები მიემხროთ ან ნეიტრალური გაეხადათ, უკეთუ ბოლშევიკური ნაწილების გამოსვლა მოხდებოდა.

23 ნოემბერს, ხუთშაბათს საღამოს ბოლშევიკების ბელადები საღამოს ბაქოდან ჩამოსულ შაუმიანთან ერთად პირდაპირი მავთულით შეეკითხენ სტალინს პეტროგრადში ტფილისში გამოსვლაზე აუცილებლობის შესახებ. პასუხი იქიდან არ მიუღიათ. ამიტომ 25 ნოემბერს საღამოთი შაუმიანი და მისი ამხანაგები ხელახალა შეეკითხენ და განიმეორეს ხუთშაბათს გადაცემული ბარათი, სადაც ნათქვამია: „ჩვენ გამოვუცხადეთ ბრძოლა ამიერ-კავკასიის კომისარიატს, როგორც კონტრ-რევოლიუციონურს, გარნიზონის დიდი ნაწილი ჩვენს მხარეზეა. ჩვენ შეგვიძლია ჯარის დახმარებით ვაიძულოთ ამიერ-კავკასიის კომისარიატი იცნოს სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება, გთხოვთ დაუყოვნებლივ გვაცნობოთ, როგორ მოვიქცეთ“. ამ მეორე დეპეშის შემდეგ ნათელი შეიქნა, რომ ბოლშევიკებმა გადასწყვიტეს გამოსვლა და რომ აეცილებია ეს გამოსვლა, აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქში გამოაცხადა სამხედრო წესები“.

ადგილობრივ ორგანიზაციების მთავარ მუშაობას შეადგენდა პროპაგანდა - აგიტაცია საბჭოთა სისტემის პოპულიარიზაციისათვის. კავშირის დაჭერა რ.კ. პარტიასთან და მზადება საქართველოს და საზოგადოდ ამიერ-კავკასიის გასაბჭოებისათვის.

ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციას სურდა ამ.-კავკ. გადაექცია და კიდეც გადააქცია დენიკინის არმიის ბაზათ, რა გარემოებასაც შეეძლო მახვილი ჩაეცა ზურგიდან საბჭოთა რუსეთისათვის. ამიტომ ტფილისის პარტორგანიზაციამ ჯერ კიდევ 1917 წლის ნოემბრიდან გააძლიერა მუშაობა ჯარისკაცებში და არსენალი, რომელიც იყო კონტრ-რევოლიუციის საკვებ მასალათ, ბოლშევიკებმა ფაქტიურად ხელში ჩაიგდეს. ეს მოხდა სრულიად სისხლის დაუღვრელად, რადგანაც არსენალის ჯარის-კაცებს ბოლშევიკებთან ჰქონდათ კავშირი. მაგრამ ბოლშევიკების არსენალიდან განდევნის საქმეში საქართველოს „სახალხო გვარდიას“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაეხმარა მეფის მთავრობის კონტრრევოლიუციონური სარდლობა, რაც სჩანს გოტოვცევის დეპეშიდან, რომელიც მან ერზერუმში გადასცა პოდპოლკოვნიკ სკლიაროვიჩს 30 ნოემბერს. დეპეშაში ნათქვამია: „გადმოგცემთ იმას, თუ რა ხდება: ოფიციალურად გამოქვეყნებულია, რომ დღეს ღამით დაპატიმრებულია ბოლშევიკების მეთაურები, ნაწილი იმათგან განთავისუფლებულია. არსენალი დაკავებულია ქართული ნაწილებისაგან. იქ მყოფი ბოლშევიკური კომანდა განიარაღებულია. მიღებულია ზომები, რათა აღკვეთილ იქნეს ამის შემდეგ მოსალოდნელი გამოსვლა ბოლშევიკების მიერ, თუ ისინი შეეცდებიან დაარღვიონ საზოგადოდ წესრიგი“.

გვარდიის მიერ არსენალის დაკავება ტფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა გაამართლა იმით, რომ ვინტოვკებზე მოთხოვნილება არსენალმა, რომელიც წარუდგინა აღმასრულებელმა კომიტეტმა წითელი გვარდიის საჭიროებისათვის, არ დააკმაყოფილაო. მკითხველი აქ შეიძლება ეჭვში შევიდეს და გაუკვირდეს — როგორ თუ მუშათა აღმასრულებელი კომიტეტის მოთხოვნილება არ შეასრულა არსენალმაო. საქართველოში მუშათა და სალდათთა საბჭოები და მისი აღმასრულებელი კომიტეტები მართალია არსებობდენ თებერვლის რევოლიუციიდან დაწყებული, მაგრამ იყვნენ აღმასრულებელი მხოლოდ მენშევიკების პარტიის დადგენილების და ატარებდენ მათ ხაზს. პირველ ხანებში გარეგნულად მართველობის ფორმა ბოლშევიკურია შინაარსით და ფაქტიურად მენშევიკური. რომ ეს ასეა ამას ამტკიცებს არსენალის გარშემო მომხდარი ამბების გამო ტფ. საბჭოს აღმას. კომიტეტის მიერ გამოცემული ცნობა:

„გუშინ, 29 ნოემბერს დილით აღმასრულებელმა კომიტეტმა 2000 ვინტოვკის მოთხოვნა გაგზავნა არსენალში წითელი გვარდიის საჭიროებისათვის, რომელიც აღმასრ. კომიტეტის განკარგულებაში იმყოფება. არსენალის კომანდამ იარაღის გაცემაზე უარი სთქვა. მაშინ აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა უარის მთქმელთა დამორჩილება, რისთვისაც იმავე რიცხვის საღამოს მან არსენალი დაიკავა თავისი შეიარაღებული ძალით თოფის გაუსროლელად. ამან აღელვება გამოიწვია გარნიზონის ბოლშევიკურ ნაწილებში და 218 სათადარიგო ქვეითა პოლკის მე-4 პოლკიდან ერთი ჯგუფი თითეულად შევიდა ღამით არსენალში სულ 150 კაცი და დღეს, 30 ნოემბერს, დილით, გააჩაღა უწესრიგო სროლა; მაგრამ ბოლშევიკურ ჯგუფს, რომელიც გამოვიდა აღმასრულებელი კომიტეტის წინააღმდეგ, არავინ მხარი არ დაუჭირა და ისინი იძულებული შეიქნენ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ყაზარმებში. გარნიზონში სრული სიმშვიდეა. შემდეგში გამოქვეყნებული იქნება ცნობები“.

ბოლშევიკების საოლქო კომიტეტმა მენშევიკურ აღმასრულებელ კომიტეტის ასეთ ცნობას შემდეგი პასუხი გასცა:

„ამხანაგებო მუშებო, ჯარის-კაცებო და მოქალაქენო! უკვე რამდენიმე დღეა, რაც კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია, მენშევიკებისა და ესერების ობორონცული პარტიები გაცხარებით ავრცელებდენ პროვოკაციულ ხმებს, თითქოს ბოლშევიკები ემზადებოდენ გამოსვლებისათვის.

ჩვენმა პარტიამ გარკვევით და გადაჭრით განაცხადა, რომ ბოლშევიკები ტფილისში არავითარი გამოსვლებს არ ამზადებენ.

მიუხედავად ამისა მენშევიკებმა და ესერებმა კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის გასახარებლად ჩუმად მოამზადეს თავდასხმა და მით პროვოკაციულად გამოიწვიეს სამოქალაქო ომი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე გაისმა პირველი მოღალატური გასროლა.

უკვე წაუსისიანეს მათ მუშები ჯარისკაცებს. უკვე ტაშს უკრავენ მათ ყველა რანგისა და ჯიშის კონტრრევოლიუციონერები. მიუხედავად ყოველგვარი გამაფრთხილებელი ზომებისა ჩვენი მხრით, შედიგს ვერ მივაღწიეთ.

მენშევიკების ჟინიანობა ამ საქმეში დანაშაულობრივი იყო.

ამხანაგებო მუშებო, ჯარისკაცებო და მოქალაქენო!..

მთელი პასუხისმგებლობა მომხდარი ამბების გამო თავს დაატყდება მენშევიკებსა და ესერებს, რომლებიც უკან არ იხევენ იმისაგან, რომ შეიარაღდენ ჩვენს წინააღმდეგ.

ამხანაგებო, თქვენ გახსოვთ, თუ როგორ არწმუნებდენ მენშევიკები ყველას, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ წასვლა, ეს ნიშნავდა რევოლიუციის წინააღმდეგ წასვლას.

დღეს კი მათ პირველი ზალპი მისცეს რევოლიუციას, რევოლიუციონურ ჯარისკაცებს.

ისტორია განსჯის და თავის განაჩენს გამოუტანს რევოლიუციის ყველა დამნაშავეს.

ჩვენ კი სრული რწმენით ჩვენს სიმართლეში დავიცავთ რა მტკიცედ და დაბეჯითებით იმ პოზიციას, რომელიც დაიკავა საოლქო კომიტეტმა გადატრიალების პირველ დღეებში, მოვუწოდებთ ყველა ამხანაგებს სიმშვიდისაკენ და ძმათა შორის სისხლის ღვრის შეწყვეტისაკენ. არც ერთი გასროლა! არც ერთი ტყვიით არ უნდა გაიგმიროს მუშის, ჯარის-კაცის გული. ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ ის საკითხი, რომლის გამო წარმოიშვა კონფლიქტი, შეიძლება მოგვარდეს მშვიდობიანი გზით.

მათ სურდათ სამოქალაქო ომის გამოწვევა, მათ სურდათ შეჩერებიათ გადარჩევა საბჭოში, რაც დასრულდება ბოლშევიკების სასარგებლოდ, მათ სურდათ პროვოკაციულად გამოეწვიათ მოძრაობა.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვაცხადებთ ჯარის-კაცების, გლეხების და მოქალაქეების წინაშე, რომ არავითარ გამოსვლას არ აწყობენ ტფილისში. ასეთ გამოსვლას არ მოითხოვდა არავითარი აუცილებლობა, განსაკუთრებით იმ მომენტში, როცა მუშურ-გლეხური ხელისუფლება განმტკიცდა და აღიარებულია რუსეთის დემოკრატიის დიდი უმრავლესობის მიერ.

სისხლის მღვრელი შეტაკება ესაჭიროებოდა მხოლოდ პროვოკატორებს, კონტრ-რევოლიუციონერებს და ამ მისიას ისინი წარმატებით ასრულებენ. დღევანდელი დღე სამარცხვინო დაღი იქნება ტფილისის იბორონცების გამშრალი სინიდისისათვის.

გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას!

გაუმარჯოს სახალხო კომისართა საბჭოს!

ძირს კონტრ-რევოლიუცია, ძირს პროვოკაციულად გამოწვეული სამოქალაქო ომი.

რუს. სოც. დემ. მუშათა ბოლშევიკების პარტიის **კავკასიის საოლქო კომიტეტი**".

ბოლშევიკების წინააღმდეგ კონტრრევოლიუციის ყველა ძალები გაერთიანდა. ამიერ-კავკასიის კომისარიატი ულმობელად ესხმოდა თავს ბოლშევიკებს და მოსახლეობას. ბოლშევიკების კაციჭამიაობით აშინებდა. მოვიყვანოთ ევგენი გეგეჭკორის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი:

**„დეპეშა — მოწოდება ამიერ-კავკასიის კომისარიატისა კავკასიის ფრონტის ჯარებისადმი.**

ამხანაგებო! ბოლშევიკების აჯანყებამ პეტროგრადში, დროებითი მთავრობის წევრების დაპატიმრებამ და სახალხო კომისართა საბჭოს შექმნამ გამოიწვია ის, რომ ფაქტიურად რუსეთი დარჩა უმთავრობოთ. სახალხო კომისართა საბჭო, შედგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილი განსაკუთრებით ბოლშევიკების პარტიის ერთი ნაწილისაგან, ლენინისა და ტროცკის მეთაურობით, რუსეთის მიერ ცნობილი არ არის, აგრეთვე არ არის ცნობილი უცხო სახელმწიფოების მიერ. ცენტრალური ხელისუფლების არ არსებობამ, სატახტო ქალაქებთან კავშირის გაწყვეტამ განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა ჩვენს ამიერ-კავკასიის მხარეზე. იმის აუცილებლობა, რომ დახსნილი იქნას კავკასიის არმია და მოსახლეობა მოსალოდნელი შიმშილისაგან, ფინანსიური არევ-დარევისაგან და ანარქიისაგან ზურგში, აიძულა კავკასიის რევოლიუციონური დემოკრატია და ამიერ-კავკასიის ხალხები აიღონ ძალა-უფლება თავის ხელში. ამ მიზნით მოეწყო ამიერ-კავკასიის კომისარიატი, რომელშიაც შედიან რევოლიუციონური სოციალისტური პარტიების და ამ.-კავკასიის ხალხების წარმომადგენლები და რომელიც პასუხისმგებელია ა.-კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრ. რევოლიუციონური ორგანიზაციების წინაშე. ეს ხელისუფლება მოწყობილია დროებით, ვიდრე მოწვეული არ იქნება სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, ან შედგენილი ცენტრალური, ყველას მიერ აღიარებული ერთფეროვანი დემოკრატიული ხელისუფლება. ამხანაგებო, ამიერ-კავკასიის კომისარიატი განახორციელებს თავის ხელისუფლებას, ყოველი მხრით ხელს შეუწყობს საერთო რუსეთის ფრონტის მთლიანობას და დაეყრდნობა რა ხალხის მასების ნდობასა და მხარის დაჭერაზე, კომისარიატი დარწმუნებულია, რომ კავკასიის ფრონტის რევოლიუციონური ჯარები არ აჰყვებიან რევოლიუციის და ხალხის უფლების შეგნებულ თუ შეუგნებელი მტრების ბოროტ პროვოკაციას და აღმოუჩენენ მას ამ დახმარებას და მით დაეხმარებიან მხარეში მშვიდობიანობისა და წესრიგის დაცვას, მოაწესრიგებენ სასურსათო საქმეს და აიცდენენ ამიერ-კავკასიას მოსალოდნელ ფინანსიურ კატასტროფას და საყოველთაო ანარქიას. გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ ჩვენი შეგნებისა და ორგანიზაციულად შეკავშირებისაგან არის დამოკიდებული ჩვენი დიდი რევოლიუციისა და მთელი ქვეყნის ბედი“.

ეს მოწოდება უკვე ნიშანი იყო ბოლშევიკების დევნის. თუ მანამდის, ამა თუ იმ მოხელეს, რაიმე გარემოება ხელს უბოჭავდა მიეღო გადამჭრელი ზომები ბოლშევიკურ ორგანიზაციების წინააღმდეგ, ამ პერიოდიდან უკვე იწყება აშკარა დევნა ბოლშევიკების და მათი ორგანიზაციების.

## მენშევიკების პრესის ბრძოლა ბოლშევიზმთან

საქართველოში ატმოსფერას სწამლავდა ამიერ-კავკასიის სოც.-დემ. მენშევიკური ორგანიზაციების ორგანოები და სხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები. ბოლშევიკური მიმართულება კანონს გარეშე იყო გამოცხადებული, ბოლშევიზმთან უპირატესობას აძლევდენ ყველა პარტიებს თვით შავი რეაქციის გამარჯვებაც კი სასიხარულო იყო ამ ჟურნალ-გაზეთებისათვის. მაშინდელ კილოს დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ზოგიერთი წერილი და ყველაფერი ნათელი იქნება: „ერთობა“ ნომერი 178, აგვისტო, 1918 წ. „ბოლშევიზმის დამარცხება და რუსეთის პრესპექტივა“.

„ბოლშევიზმის დღეები რუსეთში დათვლილია. ბოლშევიკებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ დაიჭირეს პოლიტიკური ეგზამენი და დაღუპეს რუსეთი. მათი „სოციალისტური“, უკეთ რომ ვსთქვათ „ბოსიაკური“ წესწყობილება დაიმსხვრა, ისტორიას ჩაბარდა.

ამას გვიმტკიცებს დღევანდელი რუსეთის სინამდვილე. აიღეთ ციმბირის და ცენტრალური რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში განადგურება და გაფანტვა ბოლშევიკური საბჭოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა. მათ დამარცხება კაზაკთა მიერ სამხრეთით, ესერების ამბოხება მოსკოვში, საშინელი დამარცხება პეტროგრადის არჩევნებში, ბაქოდან მათი განდევნა, გარეშე მტრების შემოჭრა დასავლეთ, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთით. ცეცხლის და რკინის რკალი შემოერტყა ბოლშევიზმს. ასეა, რასაც დასთეს, იმას მოიმკი, გონზე მოსული რუსეთი უმოწყალოთ უსწორდება სამშობლოს გამყიდველ-დამქცეველთ. გასწორების საათმა ჩამოჰკრა და გაშმაგებული ბოლშევიკები, როგორც მომაკვდავი, ებრძვიან სიკვდილის შეურიგებელი, ჯიომობელი. რუსეთის სინამდვილე წვდა ყელში ბოლშევიზმს და რამდენადაც მაგრად უჭერს კლანჭებს, იმდენად ბოლშევიკთა მახვილი შეუბრალებელი და მკაცრია. გამხეცებული არავის და არაფერს ინდობს. "ჩვენ ვმარცხდებით და იძულებული ვიქნებით ჩამოვდგეთ", სთქვა ტროცკიმ, მხოლოდ იცოდეთ ჩვენმა მტრებმა, რომ ჩამოვდგებით ისე, რომ მთელი რუსეთი შეინძრევაო". აღარ ვიცით იმაზე უარესი კიდევ რა უნდა დაემართოს რუსეთს, რაც მას მიაყენა ოქტომბრის გადატრიალებამ და რა შედეგიც მოყვა ბოლშევიკთა ბატონობას. ბოლშევიკების „სოციალისტურ" ექსპერიმენტებმა დააქუცმაცეს უზარმაზარი რუსეთი, გააკოტრეს იგი, დაამცირეს, წელში გატეხეს, საერთაშორისო პოლიტიკიდან გათიშეს, გერმანია-ინგლის-საფრანგეთის სათარეშო ასპარეზად გახადეს, ჩაუკლეს სული დემოკრატიას, გააძლიერეს და წელში გაამაგრეს კონტრ-რევოლიუცია. ai რა მემკვიდრეობას უტოვებენ რუსეთს გზა-დაბნეული ანარქო-უტოპისტები ლენინ-სტალინები. რუსეთი ბოლშევიკების წყალობით მონარქიულ სიდუხჭირისაკენ მიექანება".. ქვევით წერილი „ამტკიცებს", რომ რუსეთში ჩამოყალიბდა კონსტიტუციონური მონარქია.

ასეთია „ერთობის" შეხედულება, სოც.-დემ. პარტიის მენშევიკების ამ ცენტრალური ორგანოსი, ასე უყურებდა მენშევიზმი ბოლშევიზმს და რუსეთის პერსპექტივას. მენშევიზმი ქებათა ქებას უმღერს დონის რეაქციონურ ყაზახებს, ხელმწიფე იმპერატორის ღენერლების ბრძოლას ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

მენშევიკურ პრესას უმკლავდებოდა და საკითხებს ნათელს ფენდა ბოლშევიკების ორგანო „ბრძოლა", რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 4 ივნისს 1917 წელს და „კავკაზსკი რაბოჩი", რომლის გამოსვლა იწყო მარტის 11—1917 წელს.

ამ გაზეთების მთავარი ხელმძღვანელი იყვნენ ამხ. მ. ტოროშელიძე, ფ. მახარაძე და სხვები. ორივე ეს გაზეთი მიუხედავად დევნისა და შევიწროვებისა ატარებდა პარტიის გენერალურ ხაზს და თავისკენ იზიდავდა ყველა რევოლიუციონურად განწყობილ მუშებს და ამზადებდა კომუნისტური პარტიის აქტიურ წევრეობისათვის.

გაზეთი გაბედულად ებრძოდა „ერთობის ჭორებს და ტყუილებს. ავილოთ სანიმუშოთ „ბრძოლის" მეშვიდე ნომერში მოთავსებული წერილი, რომლის ავტორი ამხ. მ. ტოროშელიძეა. წერილის სათაურია — „ყველა ჩვენ წინააღმდეგ", მოგვყავს ამ წერილის ერთი ნაწილი:

„წაიკითხეთ ამ გაზეთის № 93 (ლაპარაკია „ერთობაზე", თ. ჟ.) და თქვენ უეჭველად იტყვით, რომ ამ გაზეთს სასახელო ხელობათ გაუხდია თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე ავაზაკური თარეში. „რუსეთის რევოლიუციის მოღალატენი" სხვა კი არავინ გეგონოთ, ეს ბოლშევიკებია: აბა ყური დაუგდეთ: ანარქოსინდიკალისტებმა, ძველი ტიპის ბლანკისტებმა (ე. ი. ბოლშევიკებმა) თავიანთ ფსევდო - სოციალისტური მიზნების განსახორციელებლად გარეშე მტრის ძალების გამოყენებაც დაიწყეს და ამ მიზნისთვის იმათ გერმანიის სამხედრო შტაბისა და გერმანიის მთავრობის აგენტებთან კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირი გაუკეთებიათ, სასყიდელი აუღიათ და მათი ფინანსების დახმარებით პეტროგრადში ორგანიზაციული ამბოხება მოუწყვიათ“.

აზრი მოკლეთ და მკაფიოთ არის ჩამოსხმული. ნეტავ ასე მკაფიოთ ლაპარაკი კლასთა ბრძოლასა და სოციალიზმზე ემარჯვებოდეთ ამ ვაჟბატონებს — კავშირი გაუბამთ, ფული აუღიათ და მერე ამბოხება მოუწყვიათ. ამბოხებას მუდამ ბოროტი აგიტატორები აწყობენ, მაგრამ ერთ დროს ისინი მხოლოდ იაპონიისაგან იყვნენ მისყიდული და ამ აზრს მაშინ მარტო „ნოვოე ვრემია“ იცავდა. ახლა გერმანია გვეომება და აგიტატორების სასყიდელიც იმან უნდა გაიღოს. ასე ფიქრობს ახლა „ერთობა“.

სხვა ბურჟუაზიული გაზეთები ჯერ კიდევ „დოკუმენტებს“ უცდიან, რომლებიც, მათი აზრით, მთლად მოსთხრის ბოლშევიკებს და მათ დედამიწის პირიდან აღგვის. „ერთობა“-ს მოსწყინდა „დოკუმენტების“ გულის ფანცქალით ლოდინი და თითქო არავინ დამასწროსო. გამოაცხადა: რას მიქვია დოკუმენტები, ყველაფერი დამტკიცებულიაო. აბა კიდევ ყური დავუგდოთ:

„მათი ასეთი პროვოკატორიული და მოღალატობრივი მოქმედება უკვე დამტკიცებულია და ლენინ-ზინოვიევის (!) კამენევის და ტროცკის დაჭერის ორდერი გამზადებულია“.

„დამტკიცებულია“. აცხადებს სიხარულით დამთვრალი „ერთობა“, თუმცა კარგათ იცის, რომ საბჭოებმა ქვეყანას მოუწოდეს — ნუ დაუჯერებთ ბოლშევიკების წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებს, მოსთხოვეთ ყველას დოკუმენტები, საგამომძიებლო კომისია იძიებს მთელ საქმეს, ყველაფერს გამოიკვლევს და შედეგიც გამოქვეყნდებაო. რა არის ეს, თუ არა შარაგზაზე წარმოებული თარეში სვინიდის - გარეცხილ და პატიოსნება-დაკარგულ ავაზაკისა. დიახ, ავაზაკისა, მაგრამ არა ყაჩაღისა, რადგან ყაჩაღს იმას ეძახიან, ვისაც კიდევ მოეპოვება მინიმალური გრძნობა რიგიანობისა, რომელსაც სრულიათ მოკლებულია „ერთობა“.

მაგრამ რასაც ქვემოთ სჩადის „ერთობა“, მსგავსი რამ არ ჩაუდენია არც ერთ მსოფლიო ავაზაკს, იუდას გამცემლობა მასთან შედარებით სახსენებელიც არ არის. ვიქონიოთ მოთმინება და დაუგდოთ ყური ამ სიბინძურეს:

„მოღალატეობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დანაშაული რევოლიუციის და თავისუფალ რუსეთის ხალხის წინაშე აუწერელია. ლენინმა და მისმა ამყოლ - დამყოლებმა ტარტაროზ მეფისტოფელის როლი ითამაშეს და მთელი რევოლიუციის ხანაში ხალხის თავისუფლებას სდევნიდენ, გერმანიისა და რუსეთის ბნელ ძალებს იხმარიებდენ და რევოლიუციას ძირს უთხრიდნენ“.

თურმე ჩვენ მთელი რევოლიუციის ხანაში ხალხის თავისუფლებას კი არ ვეწირებოდით, მას ძირს უთხრიდით. და ამას ამბობს ის ხალხი, რომელთანაც ერთად ჩვენ ერთ პარტიას შევადგენდით, რომელმაც კარგათ იცის მთელი ჩვენი ასავალ - დასავალი.

არის გარყვნილების მორევი, სადაც თუ ერთხელ ჩაიყურყუმალა ქალმა, სირცხვილის გრძნობა ეკარგება. ასეთ მორევში ჩაიფლო კისრამდე „ერთობა“ და ურცხვათ გვეუბნება: მთელი მოქმედება რევოლიუციის ღალატი იყოო. რომავს ყურმოკრულ ჭორებს და არ სცხვენია არც ჩვენი სახელოვანი მკვდრების რომელთაც სიცოცხლე შესწირეს რევოლიუციას მისი მტრების წინააღმდეგ აშკარა შეტაკებაში, არა სცხვენია არც ცოცხლათ დარჩენილების, რომელთაც მხნეთ გადიტანეს ციმბირის და კატორღის მძაფრი რეჟიმი და რომელნიც გულგაუტეხელნი და გასალკლდევებულნი იმავე რევოლიუციის სამსახურში ლევენ თავის სიცოცხლეს. უმეტეს ნაწილად ყველა ესენი „ერთობის“ ხალხთან ერთად აწარმოებდა ამ მოქმედებას. მართალია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ მარტოც ხშირად უხდებოდათ მოქმედება, — ეს მაშინ, როცა გამძვინვარებული რეაქცია მათ ამარტოვებდა გუშინდელი მეგობრებიდან, რომლებიც რევოლიუციის ლიკვიდაციას აცხადებდენ.

ჩვენ არასდროს არ გაგვიშვია ხელიდან ეს დროშა, წმინდათ მოვიტანეთ დღემდის და არც არასოდეს დავხრით მას ძირს. ეს იცის „ერთობამ", იცის, რომ რევოლიუციაზე გულგატეხილნი, რევოლიუციის თეორეტიული და პრაქტიკული ლიკვიდატორები სწორედ მის ბანაკში მოიპოვებიან. გუშინ ისინი რასკოლნიკებს გვეძახდნენ, მათგან გათიშვას სასიკვდილო ცოდვათ გვითვლიდნენ, დღეს თავს გვესხმიან, ჩვენს ზურგზე მალაყს გადადიან, რადგან წაქცეულნი ვგონივართ. ბურჟუაზიამ კანონს გარეშე გამოაცხადა ჩვენი პარტია, განსაკუთრებულ კანონებს ქმნის პროლეტარიატის წინაამდეგ და მის მაგიერ, რომ ჩვენთან ერთად მხნეთ შეუტიოს მტრებს, იგი მათ გვერდში უდგება და მათ შავ საქმეს თავისი ხელით აწარმოებს.

ეცადეთ, არ აწყენინოთ ბურჟუაზიას, გულმოდგინეთ ემსახურეთ მას და იქნება მოიღოს თქვენზე წყალობა. ნურაფერი შეგაკრთობთ, გასწირეთ გუშინდელი ამხანაგები, შემდეგშიაც ნუ დაინდობთ თქვენს დღევანდელ ამხანაგებს, თუ ბურჟუაზიას არ მოეწონოს ისინი, იარეთ მაგ გამურული პირით, დედამიწა ალბათ ზიდავს თქვენისთანა ავაზაკებს".

მენშევიკების აგრარული პროგრამა ნიღაბს ხდიდა საქ. სოც. დემ. მენშევიკების ფრაქციას. მენშევიკები არ იდგენ ულარიბეს გლეხობის ინტერესების დაცვის თვალსაზრისზე და მათ არ შეეძლოთ სოფლის მეურნეობის განვითარება. არკვევდა რა სამიწადმოქმედო პროგრამას, გაზეთი „ერთობა" ჯერ კიდევ 1918 წ. ნოემბერში ათავსებს წერილს ასეთი ორიგინალური სათაურით: „ფასით უნდა მიეცეს გლეხს მიწა, თუ უფასოდ?"

ზევრი თავგამოდებით იცავს იმ აზრს, სწერდა „ერთობა", რომ მიწა უფასოდ უნდა დაურიგდეს გლეხობას, მოყავთ ორი მთავარი საბუთი. პირველი ის, რომ ჩვენ სიტყვა მიგვიცია გლეხისათვის მიწის უფასოთ დარიგებაზე. მართალია ეს თუ არა? ჩვენი დაპირება ჩვენს პარტიულ პროგრამაში გვიწერია, ამ პროგრამას დიდი ხანია ვავრცელებთ ხალხში და განა მუნიციპალიზაცია, ე. ი. მიწის იჯარით გაცემა გლეხზე — უსასყიდლობას გულისხმობს? ცხადია, არა და არა. ჩვენ მუდამ ხაზგასმით ვლაპარაკობდით და ვსწერდით მიწის უფასოთ ჩამორთმევაზე და არა უფასოთ დარიგებაზე. — მეორე საბუთი ის მოყავთ, რომ გლეხი უკმაყოფილოთ შეხვდება მიწაზე ფასის დადებას და შეიძლება ამ ნიადაგზე უწესოებაც კი მოხდესო"...

ქვევით წერილი დაასკვნის: „ამიტომ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ჩამორთმეულ მიწებს ჩვენ ვყიდით დაკლებულ ფასებში" („ერთობა" № 240).

გაზეთ „ერთობის" წერილმა მიწის საკითხში მიიღო დაკანონება მთავრობის ორგანოებში და მიწის ყიდვა გაყიდვა არსებობდა არამც თუ გლეხთა შორის, არამედ თვით მთავრობამ მიიღო პროექტი მემამულეებისაგან ჩამორთმეული მიწების გლეხებზე მიყიდვის შესახებ. მემამულეთ მიწას კანონი უტოვებდა ნორმას 7 დესეტინას, მიუხედავად იმისა, ეწეოდა ის სოფლის მეურნეობას თუ არა. ეს ნორმა საკმარისი იყო გლეხის ეკონომიურათ დასამორჩილებლად მემამულეს მიერ.

მენშევიკების ასეთი აგრარული პროგრამა, რომელსაც ეწოდებოდა „მუნიციპალიზაცია" თავის დასაწყისს იღებდა სტოკჰოლმის სოც. დემ. ყრილობიდან. ეს გამომდინარეობდა გლეხობის როლის შეფასებისაგან ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ რე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლიუციაში და უკანასკნელის განვითარების გზების შესახებ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქუთაისში კონფერენციაზე 1918 წ. თებერვალში ყველა დელეგატები აღნიშნავდენ, რომ გლეხობამ პირი იბრუნა ბოლშევიკებისაკენო.

ბოლშევიკური ორგანიზაციები ამ დროს მოკლებული იყო ფინანსიურ სახსრებს მაშინ, როდესაც მენშევიკები შეადგენდენ სახელმწიფოებრივ პარტიას და უხვათ სარგებლობდენ სახელმწიფო დახმარებით. კომუნისტური ორგანიზაციების სამუშაო თანხას შეადგენდა საწევრო ფული, დრო გამოშვებით წევრების ერთდროულად დაბეგვრა. მაგ. 1917 წლის დეკემბრის დამლევს კავკასიის საოლქო კომიტეტმა რ.ს.დ.მ.პ. ბოლშევიკებისამ დაადგინა, რათა მისცემოდა წინადადება ყველა რაიონულ ორგანიზაციებს, რომ წევრებს ერთდროულად გადაეხადა ერთი დღის შემოსავალი. კომიტეტის ხაზინადარი იყო აკოპ აკოპიანი, რომელთანაც ფული უნდა შეეტანა პარტიის წევრებს. ამავე დროს გაზეთ „ბრძოლის“ ფონდის გასაძლიერებლად გაჩაღებული იყო კამპანია ფულის შესაგროვებლად. აგრეთვე პარტიის საარსებო წყაროს შეადგენდა ამა თუ იმ საჯარო ლექციებიდან შემოსული თანხა. მაგ., ჩვენ ვკითხულობთ „ბრძოლის“ 4 ნომერში 1918 წ. იანვარი.

„თბილისის მეორე რაიონის რ.ს.დ.მ.პ. ბოლშევიკების ორგანიზაცია კვირას, 7 იანვარს, ელექტრო-ბიოგრაფის „აპოლოს“ სადგომში მიხეილის პროსპექტი, მართავს ორ ლექციას: 1) ნაციონალური საკითხი — წაიკითხავს ამხ. ფ. მახარაძე, 2) მიმდინარე მომენტი — წაიკითხავს ს. ქავთარაძე. შესავალი ფასი 60 კ. სალდათებისათვის 30 კ.“

აგრეთვე დათმობილი ჰქონდა ადგილი თავისუფალ შეწირვას, რომელიც ოფიციალურად ცხადდებოდა ბოლშევიკურ გაზეთ ბრძოლაში: მაგ. „ბრძოლის“ № 19 სწერია: „პირველი რაიონის ბიურო ბოლშევიკებისა ამხანაგებს სთხოვს დახმარება გაუწიონ შემოწირულებით, როგორც ფულით, ისე წიგნებით და ბროშურებით, რომ ბიუროსთან მოიწყოს ბიბლიოთეკა“.

პარტიაში მიღების წესი ამ დროს მარტივი იყო, 1917 წლიდან მანამდის, სანამ პარტია გადავიდოდა სრულიად არა ლეგალურ მუშაობაზე მენშევიკურ მთავრობის რეპრესიების გამო, პარტიაში მიღება სწარმოებდა მარტივათ: არ არსებობდა გამოცდა პოლიტცოდნის მხრივ და არ იყო პრაქტიკაში საკანდიდატო სტაჟი. გაზეთში ცხადდებოდა ცნობა მხოლოდ, თუ სად შეიძლებოდა ჩაწერა. მაგ. „ბრძოლაში“ № 19 გამოცხადებულია: „რ.ს.დ.მ.პ. მეუმრავლესეთა (ბოლშევიკების) ოზურგეთის კომიტეტი აცხადებს, თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ პარტიაში ჩაწერა შეიძლება ყოველდღე 1) ქალაქის აფთიაქის გამგე ფილიპე ცხომელიძესთან და 2) მარო ლომინაძესთან, დღის 3 საათიდან, საღამოს 6 საათამდე ჯაბა მამულაიშვილის სახლში, თეატრის გვერდით“.

მაგრამ რეპრესიების შემდეგ და ბოლშევიკების არალეგალურათ მუშაობის პერიოდში ხდებოდა საიდუმლოთ.

ბოლშევიკური ორგანიზაციების გავლენა გაძლიერდა სოფლადაც. 1918 წლის 20-23 თებერვალს ქ. ქუთაისში მოწვეული იქნა კონფერენცია რუსეთის სოციალ დემოკრატიულ მუშ. პარტიის (ბოლშევიკების) დასავლეთ ამიერ - კავკასიის ორგანიზაციების წარმომადგენლების. ნორმა იყო 100-ზე ერთი დელეგატი. კონფერენციაზე გამოცხადდენ დელეგატები შემდეგი ადგილებიდან: აბაშა, სუჯუნა, ნაოდალევი (მარტვილი), ნოგვაზოვო, ხუნჯულაური, მათხოჯი, სამიქაო, ხობი, სენაკი, ხეთა, ეკი, ახალ-სენაკი, ზუგდიდი, გუბი, ტობანიერი, კულაში, სამტრედია, ხონი, მაიდანი, ქუთაისი, ჭიათურა,

ნიკორწმინდა, პატარა ონი (რაჭა) ნიგოითი, ჯუმათი, სუფსა, ლანჩხუთი, ჩოხატაური, ხიდისთავი, ერკეთი, ბათომი და სოხუმი. ყველა ეს ორგანიზაციები მაშინ აერთიანებდა დაახლოვებით 6.000 შეკავშირებულ წევრს.

მაშინდელ მდგომარეობის დაფასებას ჩვენ ვკითხულობთ ამავე კონფერენციის რეზოლიუციებში, სადაც ნათქვამია:

„დელეგატების მოხსენებებმა წარმოგვიდგინა მეტად საგულისხმიერო სურათი ჩვენი სოფლების დღევანდელი მდგომარეობისა, გამოირკვა, რომ სოფელი დღეს დიდ კრიზისს განიცდის, გლეხობას დაუკარგავს ან კარგავს ყოველივე ნდობას მენშევიკებისა და იმათ მთავრობისადმი. უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ გლეხები დარწმუნდნენ იმაში, რომ მენშევიკებმა ისინი დაატყუილეს, მენშევიკები სარგებლობდენ ხალხის განუსაზღვრელი ნდობით და ნდობა მათ გამოიყენეს ერთის მხრით იმაში, რომ მენშევიკებმა ძველი მთავრობის კაცები დასცვალეს და იმათ ადგილას ჩააყენეს ახლები, რომლებიც ძველებიდან თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან გარდა იმისა, რომ არჩევნების დროს თავის ხმებს მხოლოდ და მხოლოდ მენშევიკებს აძლევდენ. სამაგიეროთ გლეხკაცობა სამართლიანად მოელოდა მენშევიკებისაგან, რომლებიც დღეს მთავრობას სათავეში უდგანან, მიწის საკითხის გლეხობის სასარგებლოდ გადაჭრას, ომის დაბოლოვებას, ეკონომიური კრიზისის და სასურსათო საკითხის მოგვარებას“...

ღარიბმა გლეხობამ პირი იბრუნა ბოლშევიკებისაკენ. თითქმის ყველა დელეგატებმა აღნიშნეს შემდეგი გარემოება: „ახლა რომ მოხდეს სოფლად არჩევნები, მენშევიკები ვერ მიიღებენ მეხუთედ ნაწილს იმ ხმებისას, რომლებიც მათ მიიღეს წარსულ არჩევნების დროს. მენშევიზმმა სრულიად დაკარგა ნიადაგი, ან ახლა კარგავს. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ ბოლშევიზმის გასაოცარ ზრდას. თითქმის ყველა სოფლებში თავის თავად, სტიქიურად ჩნდება ბოლშევიკური ორგანიზაციები, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველგან ხელმძღვანელების ნაკლებობაა, ზოგან კი სრულებით არ მოიპოება არც პროპაგანდისტი და არც აგიტატორი, ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ძალზე აფერხებს პარტიის ყოველგვარ მუშაობას და წარმატებას...

ამ უკანასკნელ დროს სოფლის გამოფხიზლებაში დიდ როლს თამაშობენ ომიდან დაბრუნებული ჯარის კაცები“...

მომენტი კონფერენციამ ასე დაფასა:

1. დღევანდელ მომენტს ახასიათებს საერთაშორისო იმპერიალისტური ბურჟუაზიის აშკარა თავდასხმა რუსეთის რევოლიუციაზე. ეს თავდასხმა იმის მაჩვენებელია, რომ მუშათა რევოლიუცია ევროპაში მწიფდება და უკვე ემზადება იმპერიალიზმის დასანგრევათ. ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს ის მდგომარეობა, რომ დასავლეთ ევროპაში რევოლიუციონურ მოძრაობას ჯერ კიდევ ვერ გაუშლია თავისუფლათ ფრთები, მით, რომ ის თავს ესხმის რუსეთის რევოლიუციას, რომელიც შინაურ კონტრ - რევოლიუციასთან ბრძოლაში დიდ ძალას იჩენს, მაგრამ საბოლოოთ ეს ბურჟუაზიული კონტრ - რევოლიუცია ჯერ კიდევ დამარცხებული არაა. ამიტომ გერმანიის იმპერიალისტების მიერ დაწყებული თავშეუკავებელი თავდასხმა რუსეთის რევოლიუციაზე, რაც ხდება რუსეთის „მოკავშირეთა“ გაბატონებულ კლასების და მთავრობათა თანხმობით ერთი მხრით, და რუსეთის ბურჟუაზიასა და მის ამყოლებთან მოლაპარაკებით და მონაწილეობით, მეორე მხრით, — ეს თავდასხმა გამოხატავს საერთაშორისო კონტრ - რევოლიუციის სულისკვეთებას და იმედებს და პოულობს თავის ძალას ყველა ბურჟუაზიულ კლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სების კონტრ - რევოლიუციონურ სულისკვეთებაში, რათა ბოლო მოუღონ მუშების და გლეხების რევოლიუციას.

II. რუსეთის რევოლიუცია დღეს ჩაბმულია ხელჩართულ ბრძოლაში მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ერთდაიმავე დროს ის ებრძვის შინაურ კონტრ - რევოლიუციას. რუსეთის რევოლიუციის გამარჯვება იმ გიგანტისებურ ბრძოლაში, რაც ნიშნავს რუსეთის რევოლიუციის მიერ წამოყენებულ პრინციპების გამარჯვებას, — დამოკიდებულია რევოლიუციის განვითარებაზე დასავლეთ ევროპაში ერთი მხრით, და მუშების და გლეხების სრულიად რუსეთის რევოლიუციონური ფრონტის ერთობაში, მეორე მხრით. ეს არის სრულუფლებიანი საბჭოთა ფრონტი. ყოველი სეპარატიული გამოსვლა ხელსაყრელია შემოსეულ იმპერიალისტურ კონტრ - რევოლიუციისათვის. ბრძოლა სრულუფლებიან საბჭოთა ფრონტის წინააღმდეგ არის ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ და ამ ბრძოლას იყენებენ მუშების და გლეხების მტრიბი.

კონტრ - რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ ბრძოლის ხელმძღვანელობა შეუძლიათ თავს იდვან მხოლოთ მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობამ და მის სრულუფლებიან ორგანომ.

III. კერძოდ ამიერ - კავკასიაში რევოლიუცია დიდ განსაცდელშია. ადგილობრივ მენშევიკების და მემარჯვენე ესერების პოლიტიკის წყალობით, საბჭოთა პოლიტიკური როლი სრულიად ჩამოქვეითდა და ისინი დღეს სრულებით ჰქრებიან. ძალაუფლებას ეპატრონებიან მუშების და გლეხების სურვილის წინააღმდეგ შექმნილი „ეროვნული“ საბჭოები, რომლებიც თავიანთი ბურჟუაზიულ-შოვინისტური და აშკარა კონტრ - რევოლიუციონური პოლიტიკით ცდილობენ ნაციონალურ ბრძოლაში რევოლიუციის დაღუპვას.

ამიერ - კავკასიის კომისარიატი, როგორც მთავრობა, რომელიც წარმოშვეს თათრის ბეგებმა და ხანებმა და ამიერ - კავკასიის ბურჟუაზიამ ერთი მხრით და რევოლიუციის მოღალატეებმა—მენშევიკებმა და ესერებმა მეორე მხრივ, წარმოადგენს არსებითად გაბატონებულ კლასების შეთქმულებას მუშების და გლეხების რევოლიუციის და მის მიერ შექმნილ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ამიერ - კავკასიის კომისარიატი იცავს მქონებელ კლასების ინტერესებს და იბრძვის სახალხო კომისარიატის საბჭოს მიერ გამოცემულ რევოლიუციონურ დეკრეტების წინააღმდეგ. მან მიიყვანა ქვეყანა უფსკრულამდე და ყოველივე ძალას მოკლებულმა, მან დაამთავრა თავის არსებობა მით, რომ, გამოაცხადა რა თავის დიქტატურა, დაარბია სოციალისტური პრესა, დევნა დაუწყო რევოლიუციონურ სოციალ - დემოკრატიის წარმომადგენლებს, დახვრიტა მუშებისა და ჯარისკაცების მიტინგი და სხვადასხვა.

ამიერ - კავკასიის სეიმი, რომელიც ფაქტიურად ბურჟუაზიულ - შოვინისტურ და ცრუ-სოციალისტურ (მენშევიკების და სხვების) პარტიის წარმომადგენლობაა და არა ხალხის, სრულებით არ გამოთქვამს მუშების და გლეხების დიდი უმეტესობის სურვილებს. გამოთქვამს რა კონტრრევოლიუციონურ კლასების სულისკვეთებას, სეიმი ცდილობს საბოლოოდ შემუსროს საბჭოები. ამზადებს რა ნიადაგს კონტრ - რევოლიუციის გასამარჯვებლად ამიერ-კავკასიაში, სეიმი ადასტურებს ამიერკავკასიის გამოყოფას რევოლიუციონურ რუსეთისაგან, ე. ი. რუსეთის მუშების, ჯარის კაცების და გლეხების სახალხო მთავრობისაგან; ამით მას მიჰყავს ქვეყანა დაღუპვისაკენ და საერთო რევოლიუციონური ფრონტის დასუსტებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოდის რა აქედან, კონფერენცია სცნობს ჩვენი პარტიის ძირითად დანიშნულებათ ამიერ-კავკასიაში შემდეგს:

1. მოწყობა ყველგან მუშების და გლეხების დეპუტატების საბჭოთა და იმათი სრული ძალა-უფლების განხორციელება.

2. განახლებულ და ახლად მოწყობილ საბჭოთა ყრილობის მოწვევა მუშების, ჯარისკაცების და გლეხების რევოლიუციონური ორგანოს შესაქმნელად მთელი ამიერ-კავკასიისა.

3. შექმნა სოციალისტური ჯარისა, რომელიც საბჭოების ხელმძღვანელობით შეებრძოლება როგორც შინაურ, ისე გარეშე იმპერიალისტურ კონტრ-რევოლიუციას.

4. გამოაშკარავება იმის, თუ რა დამღუპველი და კონტრ-რევოლიუციონური ნაბიჯია კოალიციონური მთავრობის შექმნა ამიერ-კავკასიაში ერთი მხრით და ამიერ-კავკასიის გამოყოფა რევოლიუციონური რუსეთიდან მეორე მხრით. გამოაშკარავება იმის, თუ რა კონტრ-რევოლიუციონური სარჩული უდევს იმ სამარცხვინო განგაშს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს ასტეხეს ბურჟუაზიულ-შოვინისტურმა და მენშევიკურ გაზეთებმა ზავის და ომის თაობაზე“.

1918 წელს გაზაფხულზე სოფლად გლეხთა უკმაყოფილებამ საქართველოს ზოგიერთ სოფლებში აჯანყების ხასიათი მიიღო. აჯანყების აქტიურ მეთაურებათ გამოვიდენ საშა გეგეჭკორი, მემარცხენე ესერი მიშა გეგეჭკორი, თომა ჩუბინიძე და სხვები, საშა გეგეჭკორის რაზმს ეწოდებოდა დასავლეთ ამიერ-კავკასიის სოციალისტური წითელი არმია. ამ წითელი არმიის შესახებ გაზეთი „ერთობა“ № 144 ათავსებს „ტერსკაია — პრავდა“-ს ცნობას: „რაჭის მაზრიდან წამოვიდა გლეხთა სოციალისტური რაზმი ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით (რ.კ.პ. ქუთაისის კომიტეტის წევრია) რაზმი 400 კაცისაგან შემდგარი უკვე მოვიდა კავკავში, საიდანაც ის წავა საქართველოს სამხედრო გზით, რომ იქ შეუერთდეს აჯანყებულ გლეხებს კონტრ-რევოლიუციონურ ამიერ-კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ. რაზმი კარგად არის შეიარაღებული და უზრუნველყოფილია ყველაფრით“.

რომ საქართველოს გვარდიისა და მენშევიკურ ჯარის გვერდით შეიქმნა წითელი არმია, ამას მოწმობს ოფიციალური ბრძანება № 5. რ.კ.პ. ბოლშევიკების — დასავლეთ ამიერ-კავკასიის წითელ სოციალისტურ არმიისადმი. ნაწილი „სტროევოი“ 25 ივნისი 1918 წ. ქ. ონი.

§ 1.

„დასავლეთ ამიერ-კავკასიის სოციალისტური წითელი არმიის სამხედრო საველე მთავარი შტაბი წინადადებას აძლევს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს რ.კ. პარტიის ბოლშევიკებისას, ყველა წევრებს და წარმომადგენლებს პარტიისას, ყველა შტაბებს და სოციალისტური წითელი არმიის შტაბებს დღესვე მოახდინონ პარტიული ამხანაგების და ჩვენ თანაგრძნობთა შეიარაღებული ძალების მობილიზაცია და ხუთშაბათს, 27 ივნისს, დილის 9 საათზე მოვიდენ ქ. ონში დასავლეთ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ წითელი არმიის სამხედრო-საველე შტაბში ონის სამაზრო კომისარიატის შენობაში. მთავარი სამხედრო-საველე შტაბის თავმჯდომარე ა. **გეგეჭკორი**, მთავარი სარდალი არმიის კ. **ჭავჭანიძე**“.

საშა გეგეჭკორის რაზმი ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოიჭრა დუშეთის მაზრაში, რომლის წინააღმდეგ მენშევიკებმა გაგზავნა ვ. ჯუღელი მისი გვარდიის ნაწილებით. ამ ბრძოლის დამახასიათებელია თვით ვ. ჯუღელის „Тяжелый Крест“-იდან შემდეგი მოგონება: „გუშინ ღამით ჩვენ სასტიკად დავამარცხეთ ბოლშევიკები. სრული, საბოლოო განადგურებაა, წავართვით მათ ორი ზარბაზანი. 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუმბარის სასროლი, ტყვიისმფრქვევლები და ორასი ტყვე. საშა გეგეჭკორის „სოციალისტური რაზმისაგან“ დარჩა „რქები და ჩლიქები“. კავკავის გზაზე ბლომად ყრია მოწინააღმდეგის გვამები. მძიმე სურათია. გაქვავდა, მოკვდა გული. ტყვეებს შორის მძიმეთაა დაჭრილი თომა ჩუბინიძე და სოხუმელი შანტაჟისტი მიშა გეგეჭკორი, რომელიც ხელს აწერდა მთავარ სარდლის მაგიერ“...

ქვევით იგივე ჯუღელი ამბობს: „მე ჩავიგდე ხელში... საშა გეგეჭკორის ცხენი, თვით საშა აქაც გაგვექცა“...

ჯუღელი მიშა გეგეჭკორს შანტაჟისტს უწოდებს. მიშამ ოქტომბრის გადატრიალების დღიდანვე, როგორც მემარცხენე ესერმა, მხარი დაუჭირა საბჭოთა ხელისუფლებას და იარაღით ხელში იბრძოდა საქართველოს გასასაბჭოებლად. ამხ. მიშა იყო საქართველოში კარგად ცნობილი მემარცხენე სოციალისტ - რევოლიუციონერი, ის მუშაობდა 1906 წ. ჭიათურაში, სადაც ის 1907 წ. დააპატიმრეს და ქუთაისის ციხიდან ადმინისტრატიულად გადაასახლეს. მიშა გეგეჭკორი ჯუღელმა დუშეთში დახვრიტა. თომა ჩუბინიძე, რომლის შესახებ ლაპარაკობს ჯუღელი, იყო 1905 წ. ბათომის ქარხნის მუშა, შემდეგ ცნობილ აფრასიონ მერკვილაძის წითელი რაზმელი, მას ახასიათებდა არაჩვეულებრივი გამბედაობა. ის გაიქცა 1907 წ. ქუთაისის ციხიდან, ფანცხავას ეზოდან გაყვანილ ხვრელის საშუალებით.

საქართველოს მაზრებში და რაიონებში ბოლშევიკური ორგანიზაციები თანდათანობით მაგრდებოდენ. ამას ადასტურებენ პარტმუშაობის აქტიურ მონაწილეთა მოგონებანი, ფოთში კარგად მოზრდილი და მუშებში გაძლიერებული ორგანიზაცია არსებობდა. გ. მეუნარგია თავის მოგონებაში (იხ. რევ. მატიანე № 1, 1929 წ.), სხვათა შორის სწერს: „მართლაც ჩვენი ლეგალობა ხანგრძლივი არ იყო. მენშევიკებმა, პირიქით, ისარგებლეს ამ ლეგალობით, გაიცნეს ბევრი ახალი ამხანაგი... ორგანიზაცია განაგრძობს ნახევრად ლეგალურად არსებობას, კომიტეტს ყავს თავმჯდომარეთ და ხელმძღვანელად ამხ. ვ. თავართქილაძე, მდივნად ამხ. ვ. გაბუნია, კომიტეტი აწარმოებს ორგანიზაციულ მუშაობას, ავრცელებს ბოლშევიკურ ლიტერატურას, ადგენს დანგრეულ ორგანიზაციებს, ცენტრის ნებადართვით ღებულობს მონაწილეობას ქალაქის თვითმართველობის არჩევნებში... სპეციალურად ქალთა შორის მუშაობა არ სწარმოებდა, მაგრამ ქალები მაინც გვყავდა ორგანიზაციაში, უმრავლესობას შეადგენდა კომუნისტების ოჯახის წევრები და ითვლებოდა ორგანიზაციაში 1919-1920 წ. 40 ქალი... 1920 წ. ფოთის კომიტეტს ქონდა მითითება ახალგაზრდობის ორგანიზაციის დაარსების აუცილებლობის შესახებ... მიშა ქავჟარაძის საშუალებით დაარსდა პარტუჯრედი, დაახლოვებით ექვსი ახალგაზრდისაგან, რომელიც შემდეგ გაიზარდა და გასაბჭოების პირველ დღეებში საგრძნობ ორგანიზაციად გადაიქცა. ა.კ.კ. სახელწოდებით“.

1919 წლის მუშაობის შესახებ ამხ. ს. მამულია (იხ. „რევ. მატიანე“ № 1, 1928 წ.) თავის მოგონებაში ასე ახასიათებს მაშინდელ მდგომარეობას სენაკის მაზრაში: „საგუბერნიო კომიტეტმა (აქ ლაპარაკია ქუთაისის საგუბ. კომიტეტზე — თ. ჟ.) ამხ. **მარიამ ორახელაშვილის** სახით მიმავლინა ორგანიზაციის ხელმძღვანელად სენაკის მაზრაში, სადაც მუშაობას მაშინ ხელმძღვანელობდენ ამხ. ბესარიონ გოგია და მაკარი ბედია... ამხანაგების დატუსაღების გამო, მაშინ სამაზრო კომიტეტი დაშლილი იყო და მუშაობაც შენელებული, საჭირო იყო კავშირის გაბმა გარედ დარჩენილ ამხანაგებთან და უჯრედებთან, კონფერენციის მოწვევა, სამაზრო კო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტეტის ისევ შექმნა და მუშაობის გაჩაღება"..

პირველ ჩვენს კონფერენციაზე, რომელიც მოვიწვიეთ, ქ. ახალსენაკში, სექტემბერში, იყვნენ წარმოდგენილი მხოლოდ ზოგიერთი ორგანიზანიზაციები (ახ. აბაშის, სუჯუნის, ახალ სენაკის, გეჯეთის) და ზოგიერთი აქტიური პარტიის წევრები"...

პარტიული მუშაობა 1919 წელს ბათომშიაც გაჩაღდა. მაშინდელი მდგომარეობის და პარტიული მუშაობის შესახებ. ამხ. დათიკო მახარაძე შემდეგს გადმოგვცემს: „ბათომში არსებობდა ბოლშევიკების ბათომის საოლქო კომიტეტი. ბათომის კომიტეტს უშუალო კავშირი ჰქონდა რ.კ.პ. (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტთან. 1919 წ. მოხდა ბათომის კომიტეტის რეორგანიზაცია, კომიტეტში შევიდენ ამხ. ვ. პევცოვი, დ. მახარაძე, გ. ბელენკი და გუბელი. საოლქო კომიტეტი აერთიანებდა დაახლოვებით სამოც წევრს, უჯრედი იყო 8. ყველაზე ძლიერ უჯრედათ ითვლებოდა სანაპირო უჯრედი, აგრეთვე ძლიერი იყო საზეინკლო სახელოსნოს უჯრედი ამხ. ანასტასიადის ხელმძღვანელობით, რომელშიაც უმეტესობა ბერძენი მუშები იყვნენ.

ბათომის ორგანიზაციის მთავარ ამოცანას შეადგენდა მასების დაპყრობა, საბჭოთა სისტემის პოპულიარიზაცია, მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ იდეოლოგიური და ორგანიზაციული ბრძოლა, ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ მუშათა მასების დარაზმვა და სხვა.

ბათომში იმ დროს სწარმოებდა სასტიკი აგიტაცია ბოლშევიკების წინააღმდეგ. შავრაზმული პრეს („ეხო ბატუმა", „ნაშ კრაი", „სამუსლიმანო საქართველო" და სხვა). სავსე იყო მოშხამული წერილებით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

ბათომის ორგანიზაციამ მიზნად დაისახა ხელი შეეშალა საქ. მთავრობისათვის დენიკინის დახმარების გაწევის საქმეში. ამ მიზნით ბათომის კომიტეტმა მოაწყო გემ „ვოზროჟდენიე"-ს აფეთქება. ამ გემს მიქონდა დენიკინის არმიისთვის ბათომის ნავთსადგურიდან ტანსაცმელი, იარაღი და სხვა სამხედრო მასალა. გემის აფეთქების მთავარი ხელმძღვანელი იყო ამხ. სერგო გუბელი (მეძმარიაშვილი). გემის სამანქანო განყოფილებაში დადგმულ იქნა „ჯოჯოხეთის მანქანა", რომლის აფეთქება მოხდა დანიშნულ ვადაზე ექვსი საათით ადრე, ეს იმ დროს, როდესაც გემი ჯერ ბათომის რეიდზე იდგა. გემი მხოლოდ დაზიანდა და საქონლის გაგზავნას მხოლოდ ხელი შეუშალა 15 დღით.

ბათომის კომიტეტის ხელმძღვანელობით აფეთქებულ იქნა აგრეთვე დიდი ხიდი მდინარე კინტრიშზე. ხიდის აფეთქების მიზანი იყო ხელი შეეშალა ნავთის პროდუქტების და დენიკინელ ოფიცრების გადმოზიდვისათვის.

ღირსშესანიშნავი აქტი, რომელიც მოაწყო კიდევ ბათომის კომიტეტმა იყო შავი ღენერალის ლიახოვის მოკვლა. ლიახოვი აგროვებდა რუს ოფიცრებს დენიკინის არმიისთვის, და მას კავშირი ჰქონდა ბათომის კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან, როგორც ბათომის ციხე-სიმაგრის ყოფ. კომენდანტს, ჯერ კიდევ იმპერიალისტურ ომის დროს 1914-15 წ.

ლიახოვი მოკლულ იქნა იმავე ს. გუბელის ხელმძღვანელობით. აქტის შესრულების დროს პოლიციელებმა სროლა აუტეხეს ტერორისტებს და დაპატიმრებულ იქნა ამხ. ს. გუბელი.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლების წრეებში ადგილი ქონდა დეზორგანიზაციას. 1 მაისს ბათომში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, რომელმაც გამოყო დელეგაცია გენერალ კუკოლისთან, რათა მას დროებით გაენთავისუფლებია გუბელი, წინააღმდეგ შემთხვევაში მიტინგი იმუქრებოდა გადამჭრელი ზომებით. კუკოლისი დათანხმდა გუბელის განთავისუფლებაზე ერთი დღით. იმავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის გუბელი გაპარებულ იქნა ბათომიდან.

8 მაისს ინგლისის საოკუპაციო მთავრობამ დააპატიმრა პროფკავშირების საბჭოს აქტიური წევრები: მარკმანი, დ. მახარაძე, კ. ბერძენიშვილი, ბელენკი, მ. თუმანოვი, გ. რამიშვილი, დიმიტრიევიჩი, ბლიუმზაკი და სხვები. ყველანი სამხედრო გემით გაგზავნეს სტამბოლში, შემდეგ კი მეჯიდიაში. ამ საქმეში ჩაერია საბჭოთა რუსეთის მთავრობა ამხ. ჩიჩერინის სახით და მოხდა მათი გაცვლა ბაქოში დაპატიმრებულ ინგლისელებზე. ტყვეების გაცვლა მოხდა ქ. ოდესაში".

1918 წ. 26 მაისს მენშევიკებმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. მენშევიკურმა საქართველომ ირჩია კავშირი არა საბჭოთა რესპუბლიკებთან, არამედ ბრძოლა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ.

1919 წ. ენკენისთვეში დენიკინმა თავის რწმუნებულად საქართველოში დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად გამოგზავნა გენერალი ბარათოვი, შაირაზმელი ბარათოვი საქართველოში თავს თავისუფლად გრძნობდა. მისთვის მიიის ტახტის დანგრევა, ეს დროებითი მოვლენა იყო და კვლავ მეფის ტახტის აღდგენაზე ოცნებობდა. ამ მიზნით ის აქ აკავშირებდა კონტრ-რევოლიუციონურ ოფიცრობას. სარგებლობდა დიპლომატიური წარმომადგენლის უფლებით. ნათქვამის დასამტკიცებლად მე მოვიყვან ამხ. შაფირის მიერ შეკრებილ ცნობებს გენერალ მიშლაევსკის ნაამბობიდან:

„1919 წ. გაზაფხულზე მოვიდა თბილისში გენერალი ბარათოვი, რომელიც დაბრუნდა სპარსეთიდან ინდოეთის და სტამბოლის გზით. წინანდელი ხელქვეითნი, თანამოსამსახურენი და მრავალრიცხოვანი მეგობრები ისწრაფოდენ სწვევოდენ ბ-ნ ბარათოვს. იმ დროს ჩრდილოეთ კავკასია მოხალისეთა არმიის ხელში იმყოფებოდა, რომლის საქმეები წარმატებით მიმდინარეობდა, ამიერ-კავკასიაში კი სდევნიდენ ყოველ რუსულს. ზოგიერთები გამოთქვამდენ აზრს, რომ ბარათოვს, რომელიც პოპულიარული იყო რუსის ჯარში, ჩრდილო კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში, შეეძლო კეთილი საქმის გაკეთება თუ შეუდგებოდა იმ გაუგებრობის მოსპობას, რომელიც არსებობდა საქართველოსა და სამხრეთ რუსეთის მთავრობას შორის და რასაც ფრიად მძიმე შედეგები ჰქონდა რუს მოქალაქეთათვის ამიერ-კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში. ბარათოვმა მართლაც გადასწყვიტა აელო თავზე შუამავლის და მშვიდობიანობის ჩამოგდების როლი.

ნ. ნ. ბარათოვმა წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას დენიკინთან გამგზავრებისა, რომელსაც იგი პირადათ კარგად იცნობდა, რათა გაეშუქებინა საქმეთა ვითარება ამიერ-კავკასიაში. საქართველოს მთავრობა სიხარულით გამოეხმაურა ბარათოვის წინადადებას, მაგრამ იყო ერთგვარი ეჭვი, შეხვდებოდა თუ არა ბარათოვის თაოსნობა თანაგრძნობით დამოკიდებულებას მოხალისეთა შტაბში, რომელსაც ახასიათებდა არა საკმარისი მოქნილობა და შეურიგებლობა ამ. კავკასიის საკითხში. მიუხედავად ამისა, ბარათოვმა მოახერხა დენიკინის დაყოლიება საქართველოსთან მორიგებაზე, და ბარათოვი დაბრუნდა სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალების მთავარ სარდლის მთავარი წარმომადგენლის რწმუნებით მოსილი ამიერ-კავკასიაში. ბარათოვის მისია უნდა გახსნილიყო ტფილისში, ხოლო ბაქოსა, ბათომსა და ერევანში იხსნებოდა მასზე დაქვემდებარებული წარმომადგენლობანი. ბარათოვის მისიის მთავარი დანიშნულებას შეადგენდა:

1. ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობათა დამყარება საქართველოსა და მოხალისეთა არმიის შორის. 2. სასაზღვრო საკითხის მოწესრიგება, 3. სამეურნეო ეკონომიური ურთიერთო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა მოგვარება საქართველოსა და მოხალისეთა არმიის შორის.

4. რუსების მდგომარეობის მოწესრიგება საქართველოში.

პირველ 3 მუხლს, განსაკუთრებით პირველს, რომელიც შეიცავდა საქ. დამოუკიდებლობის ცნობის საკითხს. საქართველოსათვის ჰქონდა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. თავისი დამოუკიდებლობის ცნობისა და საქართველოს და მოხალისეთა არმიის შორის ხელშეკრულებითი დამოკიდებულების დამყარებისათვის, მენშევიკური მთავრობა თავის მხრით დაპირდა:

1. მშვიდობიანობის სრული გარანტია მოხალისეთა არმიის ზურგში მის ბრძოლაში საბჭ. რუს. („თუ თქვენ შემოხვალთ ჩვენთან ხელშეკრულებით ურთიერთობაში, შეგიძლიათ იყოთ სავსებით დამშვიდებულნი თავისი ზურგისათვის და შეგიძლიათ ჩვენი ფრონტიდან მოხსნათ ყველა, უკანასკნელ ჯარისკაცამდე").

2. ფრიად ენერგიული ზედმოქმედება ჩრდილოეთ კავკასიის მთელ ხალხზე იმ მხრივ, რომ ისინი დაწყნარებულად ყოფილიყვნენ და არ გაელაშქრათ მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ" („წერილი ბარათოვის მისიის შესახებ ამიერ-კავკასიაში 1919 წ.").

საქართველოს მთავრობისა და ბარათოვის მოლაპარაკების შესახებ იმავე შაფირს მოყავს ცნობები ბარათოვზე თავდასხმის გამო კვლევა-ძიების აქტიდან, რომელსაც იძიებდა საგანგებო საქმეთა გამომძიებელი ჯორბენაძე:

„დაახლოვებით პირველ საათზე— ამბობს თავის ჩვენებაში გენერალი ბარათოვი, — ჩემთან, კირპიჩნი ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობდი, შემოვიდა აკადემიელი ამხანაგი — გენერალი ოდიშელიძე. უკანასკნელი ცნობილი სტრატეგია და სამხედრო საქმის თვალსაჩინო მცოდნე, მუშაობს ჩემთან საქართველოს რესპუბლიკის და რუსეთის მოხალისეთა არმიის ინტერესების დასაახლოვებლად და შესათანხმებლად. ინტერესთა შეთანხმება ამ ორ მხარეს შორის უკვე მოხდა და ამით მისიამ, რომლის წარმომადგენელი ვარ მე, უკვე მიაღწია თავის მიზანს, მაგრამ ეხლა საქმე შეთანხმების წვრილმანების გამომუშავებაშია. ამის გამო გუშინ მე ხანგრძლივი საუბარი მქონდა გენერალ ოდიშელიძესთან, რომელიც გაგრძელდა თითქმის პირველ ნახევრამდე"..

ბარათოვის მისიის მუშაობა გაუგებარი არ დარჩა კომპარტიისათვის და გადაწყდა მისი თავიდან მოშორება, ეს გადაწყვეტილება სისრულეში მოიყვანა არკადი ელბაქიძემ, რომელმაც ყუმბარა ესროლა ვერის აღმართზე ავტომობილით მიმავალ ბარათოვს და ის მძიმედ დასჭრა. თვით ელბაქიძე მოკლულ იქნა მილიციელების მიერ.

ბოლშევიკების გავლენა თანდათანობით იზრდებოდა ტფილისშიაც. თუ 1917 წ. დამლევს ტფილისის ორგანიზაციაში დაახლოებით 2600-მდე წევრი ირიცხებოდა, 1918, 1919, 1920 წ.წ. ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. 1918 წლის გაზაფხულზე პარტია ნახევრად ლეგალურ არსებობას განიცდიდა. რაიონულ და ტფილისის კომიტეტებს ჰქონდა მუდმივი ბინა ოფიციალური წარწერით. პარტიის წევრები იკრიბებოდენ და სწარმოებდა პარტიულ-განმანათლებელი მუშაობა, ბოლშევიკური ლიტერატურის გავრცელება და სხ. 1919 წ. საქართველოში კვლავ დაიწყო გლეხობის აჯანყება. თუ 1918 წ. აჯანყებებს პარტიამ საკმაო ხელმძღვანელობა ვერ გაუწია და აჯანყებანი ატარებდა უმეტესად სტიქიურ ხასიათს, 1919 წელს პარტია აჯანყებისათვის გაცხოველებულად ემზადება.

ოქტომბერში 1919 წ. დაწყებული აჯანყება ჩაქრობილ იქნა ცეცხლითა და მახვილით. სხვა ცნობებს რომ თავი დავანებოთ, საკმარისია ვალიკო ჯუღელის დღიური, რომელიც ამ აჯანყების შესახებ სწერს: 25 ოქტომ-

ბერს 1919 წ. „გუშინ ბოლშევიკებმა მოახდინეს უშიდეგო შეიარაღებული გამოსვლა საქართველოს რესპუბლიკის მრავალ კუთხეებში: ფოთში, სამტრედიაში, თელავში. ლაგოდეხში ძალაუფლებაც კი ჩაიგდეს ხელში. აა წყლები! მათ ხელიდან ეცლება ხარკოვი, კიევი, კურსკი, ცარიცინი და იპყრობენ ლაგოდეხს. ისინი ჰკარგავენ მთელ რუსეთს, მაგრამ ცდილობენ დაიპყრონ თურქესტანი და საქართველო. და განა ეს ბოლშევიკები არიან? განა რომელიმე პატიოსანი ბოლშევიკი განიზრახავს მოაწყოს აჯანყება იმ ქვეყანაში, რომელიც ყოველ მხრიდან გარშემორტყმულია რეაქციის ბანდებით? ამ უგნურებასა და დანაშაულის ჩადენას გაბედავს მხოლოდ იმ პირობით, თუ გადატრიალება განამტკიცებს ქვეყნის უნარს თავდაცვისათვის. მაგრამ ბოლშევიკებმა მშვენივრად იციან, გადატრიალება სრულიად არევ-დარევს ყველაფერს და გაამეფებს რეაქციის. ნუ თუ ეს სურთ ბოლშევიკებს? ნუ თუ მათ სურთ ჩვენი ხალხის პოლიტიკური დაღუპვა და მისი ფიზიკურად განადგურება? არა, ეს დამნაშავე, უგნური და უპატიოსნო ბოლშევიკები. სად არიან პატიოსანნი? მე დავეძებ მათ და უკვე ვერ ვნახულობ. განა მარტო კიკალეიშვილი? და, ამბობენ კიდევ აბელ ენუქიძე მოსკოვშიო! ამიტომ ამ უპატიოსნო, დამნაშავე ხალხს ამ ინკვიზიტორებს და იეზუიტებს ჩვენი დროისა, ამ ჯალათებს რუსეთის დიდი რევოლ. და მთელი რუსეთისა უნდა სასტიკად ვებრძოლოთ; ძირს სანტიმენტალიზმი და ყოველგვარი მოგონებანი“.

გამოსვლები მოხდა გურიაში. ლანჩხუთში. სუფსაში, ჩოხატაურში ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს დაწესებულებები. აჯანყებულთა წინააღმდეგ გვარდიამ მიიღო გადამჭრელი ზომები და ჩოხატაურის გამოსვლების აქტიური მონაწილენი ავთანდილ ერანისძე მამალაძე, ფილიმონ ელიოშუხისძე გოგოლაძე, მიხაკო ბერძენიშვილი, ილია ცინცაძე, თეოფილე გიორგისძე თედორაძე, ბენია ბერიძე, პართენ ბებურისძე მამალაძე და ტარასი მინდაძე გადაეცა სამხედრო საველე სასამართლოს, რომელნიც სიკვდილით (დახვრეტით) დასჯილ იქნენ. ამ აღმაშფოთებელი ფაქტის შესახებ ბაქოს გაზეთ „ნოვი მირში“ № 15-35 მოთავსებულ იქნა წერილი შემდეგი სათაურით: „მენშევიკების მიერ მხეცურად დახვრეტილი გურიის გმირებს“. ამ წერილში სხვათა შორის სწერია: ...„გურიამ იცის რევოლიუციისათვის მსხვერპლის გაღების მაგალითები, მაგრამ მან არ იცის ამგვარი მხეცობის მაგალითი, არ იცის ასე ერთავად რევოლიუციონერების ამოჟლეტის მაგალითი ოდესლაც თავის მოძმეების მიერ, რომელთან ჰქვია მენშევიკები, „სოციალ-დემოკრატები“. ვის არ ახსოვს 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ შავი დღეები, გამარჯვებული გენერალი ალიხანოვი, პოლკოვნიკი კრილოვი (გურიის საექსპედიციო რაზმის უფროსი), გენერალი ტოლმაჩევი „პრისტავი“ ელჩიბეგოვი და სხვანი, გურიის გლეხთა რევოლიუციონური მოძრაობის დამამშვიდებელნი. როცა ერთმანეთს ადარებთ 1905-6 წლებში მეფის მთავრობის მიერ რევოლიუციის წინააღმდეგ მიღებულ ზომებს და მენშევიკურ მთავრობის რეპრესიებს, აშკარა ხდება, რომ მეფის მთავრობა რევოლიუციონერებისადმი უფრო ლმობიერი იყო, ვიდრე ახლანდელი „თავისუფალ სახელმწიფოს“ ხელმძღვანელნი.

1905 წელს იგივე ჩოხატაური, სადაც ამჟამად დახვრიტეს 8 ამხანაგი, დაიკავა აჯანყებულებმა, მათ განაიარაღეს სტრაჟნიკები და გამოაცხადეს გლეხთა დიქტატურა. მაგრამ ჩოხატაურს არ ახსოვს დასახვრეტი ბოძების აღმართვა. ნასაკირალზე ეგრეთ წოდებული მოწინავე რაზმსა და პლასტუნებს შორის ომი გაჩაღდა, სადაც პლასტუნები დამარცხებულ იქნენ, მაგრამ „გურიის რესპუბლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის" გასამართლებას არ მოჰყოლია სიკვდილით განაჩენი. ეხლა, როცა ვიგონებ წარსულს, როგორც აქტიური მონაწილე ამ ორი რევოლიუციისა, ნაკლები ბოროტებით ვუცქერი ალიხანოვ-კრილოვის რეაქციას, ვიდრე რამიშვილ-ჟორდანიას „რევოლიუციას".

მშობლებმა დაჰკარგეს ღვიძლი შვილები, შვილებმა — მარჩენალი მამები, ცოლებმა — ქმრები, გურია ჯერ გონს ვერ მოსულა, უმანკო გლეხებს მოსვენებას არ აძლევს გურიის მიდამოებში უმანკოთ დაღვრილი სისხლი"... და სხვა.

ამ მომენტში საქართველოს აქტიური ბოლშევიკები დაპატიმრებულნი იყვნენ, პარტიული მუშაობა შენელდა. სოფლად და ქალაქათ ორგანიზაციები თითქმის განადგურდა.

1919 წელი კრიტიკული პერიოდია საბჭოთა რუსეთისათვის. დენიკინის არმია ჩქარი ნაბიჯით მოსკოვისკენ მიიწევდა. 4 მაისს 1919 წ. დენიკინის არმიამ ლუგანსკი დაიკავა, 6 ივნისს — ბერდიანსკი, 25 ივნისს გენერალ მაი-მაევსკის ჯარმა ხარკოვი აიღო, 30 ივნისს ვრანგელმა ცარიცინი და კამაშინი დაიპყრო. მამონტოვის ცხენოსანმა არმიამ 18 აგვისტოს ტამბოვი დაიკავა; ამავე წლის 23 აგვისტოს ყირიმის რაზმმა ოდესა აიღო, 10 ენკენისთვეს აიღეს ვორონეჟი, ხოლო 14 ოქტომბერს ორიოლი. ციმბირიდან მოწოლილი ჯარი კოლჩაკ-იუდენიჩის ხელმძღვანელობით რუსეთის დედაქალაქ პეტერბურგზე მიიწევდა. გენერალმა როდზიანკომ დაიკავა იამბურგი, 13 ოქტომბერს ლუგა და 16 გატჩინა, 21 ოქტომბერს ამავე თეთრი გვარდიის კორპუსმა დაიკავა პავლოვსკი და ცარსკოე სელო. პეტროგრადში შესვლას დაახლოებით 15 ვერსის მანძილი აკლდა. პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორად გენერალი გლაზენაპი უკვე დანიშნული იყო.

რუსეთის რევოლიუციის ასეთ მძიმე მომენტში საქართველოს კომუნისტებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ თავიანთი წვლილი არ შეეტანათ მოზღვავებულ კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლაში. საბჭოთა წყობილების საქმე ბეწვზე ეკიდა. ამიტომ პარტიამ გადასწყვიტა არა გულზე ხელის დაკრეფა, არამედ აქტიური გამოსვლა. ამხ. ფილიპე მახარაძე სწერს: „დენიკინის მთელი ყურადღება იმ დროს მოსკოვისაკენ იყო მიპყრობილი, და თუ მის ზურგს უკან ამ დროს სადმე, თუნდაც საქართველოში, ბოლშევიკური აჯანყება მოხდებოდა, ეს უთუოდ გამოიწვევდა მის ბანაკში ერთგვარ არევ-დარევას და პანიკას; მეორეს მხრიდან, ეს აჯანყება, თუნდაც უდროოდ ჩაქრობილი, დიდ გავლენას მოახდენდა წითელ ჯარზე, მორალურად გაამხნევებდა და აღფრთოვანებდა მას დენიკინის წინააღმდეგ (ფ. მახარაძე—„საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის", გვერდი 150). ამიტომ პარტია სრულიად მართალი იყო, როდესაც ის ხმას აძლევდა აჯანყებას. 1919 წლის აჯანყებას იგივე ბედი ეწვია, რაც 1918 წლის გლეხთა აჯანყებებს საქართველოში. ეს აჯანყება ცეცხლითა და მახვილით ჩაქრობილ იქნა, რის შემდეგ უკვე იწყება პარტორგანიზაციებზე თავდასხმა. პარტია არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის, რაც გრძელდება 1920 წ. 20 მაისამდე. ამ დროს წითელი ჯარი ფეხდაფეხ მოსდევს დენიკინის თეთრ არმიას, დენიკინის და კოლჩაკის ჯარი სრულ განადგურების პროცესში იმყოფება, უკვე გასაბჭოვდა აზერბეიჯანი და ახლა საქართველოს მენშევიკებმა სხვა ჰანგზე დაიწყეს ლაპარაკი. საქართველოს მენშევიკური მთავრობა ცდილობს მოლაპარაკება გამართოს საბჭოთა მთავრობასთან. 1920 წ. 7 მაისს დადებულ იქნა ხელშეკრულება საქართველოსა და რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკას შორის. ხელშეკრულებაში, სხვათა შორის, გათვალისწინებული იყო კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნისტ ტუსაღების განთავისუფლება და კომპარტიის ლეგალიზაცია.

ახალი პირობები თავის - თავად სცვლიდა კომუნისტური პარტიის მუშაობის ტაქტიკას საქართველოში, ახლა უკვე უნდა ჩამოყალიბებულიყო საქართველოს კომპარტია.

ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირიც რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის—საქართველოს ხელშეკრულების გამო შეუდგა ეროვნული ორგანიზაციის ჩამოყალიბებას. 22 მაისს 1920 წ. ამის გამო შემდეგი მოწოდებით მიმართა ახალგაზრდა კომუნისტურ კავშირს ახალგაზრდათა დროებით ცენტრალურმა კომიტეტმა:

„ამხანაგებო! იმის გამო, რომ აზერბეიჯანში და ჩრდილოეთ კავკასიაში უკვე აღდგენილია საბჭოთა ძალაუფლება და რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობამ იცნო საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, კავკასიის საოლქო კომიტეტმა რუსეთის ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კავშირისამ, 22 მაისს სხდომაზე დაადგინა: თანახმად რუსეთის ახალგაზრდა კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტის დირექტივისა: შესწყვიტოს თავისი არსებობა, როგორც უმთავრეს ხელმძღვანელ ორგანომ ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირისა ამიერ-კავკასიაში.

იმავე დღეს შესდგა დროებითი ცენტრალური კომიტეტი საქართველოს ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირისა, რომელმაც იდვა თავის თავზე დროებითი ხელმძღვანელობა, სანამ მოხდებოდეს ყრილობა საქართველოში არსებულ კომუნისტური კავშირისა.

დროებითი ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ორგანიზაციებს და წევრებს კავშირისას, რომ განაგრძონ გაათკეცებული ენერგიით ორგანიზაციული მუშაობა და ემზადონ ყრილობისათვის, რომელიც მოხდება ახლო მომავალში, დღე და რიცხვი ყრილობისა გამოცხადებული იქნება ცალკე“.

პირველ პერიოდში ეს ცვლილება იწვევდა ამა თუ იმ დავას. ზოგიერთ ამხანაგს უკვირდა და ვერ ეგუებოდა ამ სახელწოდებას, ამაში ისინი ხედავდენ რაღაც გამოყოფის ნიშნებს რ.კ. პარტიის რიგებიდან.

1920 წლის დეკემბრის თვეში ხელშეკრულება ფაქტიურად გაუქმდა. კომპარტიის აქტიური წევრები უკვე მეტეხისა და ქუთაისის ციხეებში იქნენ გამომწყვდეული.

1921 წლის გაზაფხულის დასაწყისში საქართველოს მშრომელი მასების ბრძოლით და რუსეთის წითელი არმიის დახმარებით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და საქ. კომპარტია იქცა ლეგალურ და თან სახელმწიფოებრივ პარტიად.

## პირველი ლეგალური ყრილობა

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დაისვა საკითხი დაჩქარებით ყრილობის მოწვევის შესახებ. ეხლა უკვე სრულიად თავისუფლად უნდა გადაეხედა კომპარტიას თავის რიგებისათვის და შინაპარტიულ დემოკრატიზმის პრინციპის თანახმად უნდა მოეხდინა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ეს პერიოდი პარტიისათვის, მიუხედავად მისი ლეგალობისა, მძიმე პერიოდათ არის ცნობილი, ჯერ კიდევ ძლიერია ანტისაბჭოთა პარტიები, რომლებიც სულდგმულობენ ევროპაში გამართულ კომედიებით — გენუის და ჰააგის კონფერენციებით, საბჭოთა რუსეთის ეკონომიურ სისუსტით და სხვ. საქართველოდან გახიზნული ბურჟუაზიულ - დემოკრატიული მთავრობა სხვადასხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან ბლოკში ავრცელებენ ევროპის ბურჟუაზიულ წრეებში და პრესაში ხმებს საქართველოში კომპარტიის უნიადაგობის შესახებ და აყენებდენ საკითხს წითელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარის გაყვანისა, რათა მოკავშირე ჯარის საქართველოდან გაყვანით ადვილად შესაძლებელი ყოფილიყო აჯანყების მოწყობა და მენშევიკური ხელისუფლების რესტავრაცია. ყველა არსებულ დაბრკოლებათა დასაძლევად და იმ მძიმე ატმოსფერის გასაფანტავად, რომელიც შექმნეს 1921 წლის საქართველოში ანტისაბჭოთა პარტიების პროვოკაციულმა სასინმა, საჭირო იყო პრაქტიკული მუშაობის გაშლა საქართველოს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღორძინებლად. ანტისაბჭოთა ფრონტს უნდა დაპირდაპირებოდა მთლიანი და მჭიდროდ შეკავშირებული საქ. კომპარტია. ამიტომ საქ. კომპარტიის ამოცანებს შეადგენდა: აგრარული საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტა და უღარიბეს გლეხობის შეკავშირება, კავშირის განმტკიცება ქალაქსა და სოფელს შორის, მენშევიზმის იზოლიაცია და მისი დარღვევა, ქართული წითელი ჯარის შექმნა და სხვა.

ასეთ პირობებში შეიკრიბა საქ. კომპარტიის პირველი ლეგალური ყრილობა.

საქ. კომპარტიის ყრილობის მოწვევის შესახებაც მაშინდელ ცეკაში, რომელიც დანიშნული იყო რ.კ.პ. კავკასიის ბიუროს მიერ, არსებობდა უთანხმოება. ც.კ. ერთი ნაწილი წინააღმდეგი იყო ყრილობის მოწვევის და მოითხოვდა მის გადადებას გაზაფხულისათვის. მეორე ნაწილი კი გრძნობდა, რომ არსებულ ც.კ. არ ძალუძს ხელმძღვანელობა იმ დიდ ამოცანებისადმი, რომელიც წამოჭრილი იყო პარტიის წინაშე და საჭიროდ სთვლიდა ხელმძღვანელობის განახლებას.

ყრილობა დანიშნულ იქნა 1921 წ. 25 დეკემბრისათვის შემდეგი დღის წესრიგით: 1. მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

2. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და საორგანიზაციო ანგარიში.

3. ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საქართველოში.

4. პარტიის ურთიერთობა პროფკავშირებთან, მათი მონაწილეობა წარმოებაში, ს.ს.ს.რ. პროფკავშირების ურთიერთობა რ.კ.პ. საბჭოსა და წითელ პროფინტერნთან.

5. საადგილმამულო პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში.

6. კოოპერაცია.

7. სასურსათო პოლიტიკა.

8. საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები.

9. ეროვნული საკითხი საქართველოში.

10. პარტიულ - ორგანიზაციულ აღმშენებლობის მორიგი ამოცანები და პარტიის წესდება.

11. პარტია და ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი.

12. პარტიის ც. კომიტეტის საკონტროლო კომისიის არჩევნები.

პირველ ყრილობაზე თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. ჩამოყალიბდა უმთავრესად ორი შეხედულება ამ.-კავ. რესპუბლიკების ფედერატიულად გაერთიანების საკითხში. ყრილობის დიდი უმრავლესობა იდგა რუსეთის კომ. პარტიის ც.კ. თვალსაზრისზე — ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების შესახებ და აქედან გამომდინარე ამ.-კავკასიის ფედერაციის შექმნის აუცილებლობაზე.

ზამოდაღნიშნულ საკითხების შესახებ ამხ. სტალინმა, თბილისში ყოფნის დროს, საქ. ორგანიზაციას მისცა სათანადო დირექტივები. 1921 წ. 6 ივნისს გაკეთებულ მოხსენებაში „კომუნიზმის მორიგი კითხვები საქართველოსა და ამიერ - კავკასიაში“, ამხ. სტალინმა გარკვეულად მიგვითითა, რომ საჭირო იყო ბრძოლა ყოველგვარი ნაციონალიზმის წინააღმდეგ: „მე მახსოვს 1905-1917 წლები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა მუშათა შორის და საზოგადოთ, ამიერ-კავკასიის მშრომელთა შორის არსებობდა სრული სოლიდარობა, როცა ეს ძმური კავშირი სომეხ, ქართველ, აზებრეიჯანელ და რუს მუშებს ქმნიდა ერთ სოციალისტურ ოჯახად. ახლა კი, თბილისში ჩამოსვლისას, მე ვეღარ ვხედავ ამიერ-კავკასიის მუშებს შორის ძველებურ სოლიდარობას, გლეხებსა და მუშებში ფეხი მოუკიდნია ნაციონალიზმს, გაძლიერებულა გრძნობა უნდობლობისა ანტი-სომხური, ანტი-ქართული, ანტი-თათრული, ანტი-რუსული გრძნობანი — რა სჭარბობს დღეს, სადღაა ძველებური ძმური კავშირი. სჩანს, რომ ნაციონალურ მთავრობათა სამი წლის განმავლობაში არსებობას საქართველოში (მენშევიკები) აზერბეიჯანში (მუსავატელები) სომხეთში (დაშნაკები) მუქთად არ ჩაუვლია"...

ამხ. სტალინმა გაილაშქრა აგრეთვე იმ პროექტების წინააღმდეგ, რომელზედაც აქ ზოგიერთი ამხანაგები ოცნებობდენ. ეს იყო ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მართველობის მოწყობის საკითხები, თუ როგორ უნდა გაეგოთ ამხანაგებს სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანება და ამიერ-კავკასიის ფედერაცია, ამის შესახებ ამხ. სტალინმა გვითხრა: „ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ აღარ უნდა არსებობდენ დამოუკიდებელი საქართველო, დამოუკიდებელი აზერბეიჯანი და სხვა. ზოგიერთ ამხანაგებს შორის გავრცელებული პროექტი ძველი გუბერნიების აღდგენის შესახებ (ტფილისის, ბაქოსა და ერევნისა) ამიერ-კავკასიის ერთი მთავრობის მეთაურობით, ჩემის აზრით, არის აუსრულებელი ოცნება, უტოპია, ამასთანავე უტოპია რეაქციონური, ეს პროექტი ისტორიის ჩარხის უკუღმა გადაბრუნებას ნიშნავს... აღდგენას ძველი გუბერნიებისას და გაუქმებას ეროვნულ მთავრობათა საქართველოსა, აზერბეიჯანსა და სომხეთში ისეთივე მნიშვნელობა ექნებოდა, როგორც მემამულეთადმი კვლავ მიწების დაბრუნებას და რევოლიუციის მონაპოვართა მოსპობას. ამას კი საერთო არა აქვს რა კომუნიზმთან. სწორედ იმისათვის, რომ გაიფანტოს უნდობლობა ურთიერთისადმი და აღდგეს ძმური კავშირი ამიერ-კავკასიისა და რუსეთის სხვადასხვა ეროვნებების მუშათა შორის, საჭიროა დაცულ იქნეს დამოუკიდებლობა საქართველოსი, ისე, როგორც დამოუკიდებლობა აზერბეიჯანისა და სომხეთისაც.

ეს კი არ სპობს, პირიქით, ეს გულისხმობს სამეურნეო და სხვაგვარ დახმარების საჭიროებას ერთმანეთში, ისე როგორც საჭიროა გაერთიანება, სამეურნეო ღონისძიებათა საბჭოთა რესპუბლიკებში თავისუფალ მორიგეობის საფუძველზე"... მაშინ სამუშაო გეგმათ ამხ. სტალინმა ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს კომუნისტებს ახლო მომავლისათვის სამი ამოცანა დაუსახა, რომელიც მან ასე ჩამოაყალიბა:

1. ყოველ მხრივი განვითარება, სამეურნეო სააღმშენებლო მუშაობის, შეწირვა ყველა ჩვენი ძალებისა ამ მუშაობისადმი და გამოყენება, როგორც დასავლეთის კაპიტალისტურ ჯგუფების, ისე ჩვენივე ქვეყნის წვრილ-ბურჟუაზიული ჯგუფების გამოცდილებისა;

2. თავის გასრესა იმ გველეშაპისა, რომელსაც ნაციონალიზმი ეწოდება, შექმნა ინტერნაციონალიზმის ჯანსაღ ატმოსფერისა ამიერ-კავკსაიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გასაერთიანებლად და დაცვა იმ რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა;

3. დაცვა პარტიისა მეშჩანურ ელემენტების თავმოყრისაგან და შენახვა პარტიის სიმტკიცისა და სიმარჯვისა, მის თვისებითი შემადგენლობის სისტემატიურად გაუმჯობესების"...

ამხ. სტალინის ხსენებული დირექტივა ერთი ნაწილისათვის გაუგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი შეიქნა, მისი გაგება არ მოისურვეს, რა გარემოება ქმნიდა პარტიის ზედაფენებში დაჯგუფებას?

ამხ. სტალინის ამ შეხედულების მიმდევარნი წარმოადგენდნენ ყრილობის უმრავლესობას და ებრძოდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას, რომელიც არ იზიარებდა ამ შეხედულებას. ამ უმრავლესობაში იყვნენ: ფ. მახარაძე, ს. გეგეჭკორი, ს. მამულია, ლ. სუხიშვილი, ა. დოლიძე, ს. თოდრია, თ. ჟღენტი, კ. კაკაბაძე, პ. საბაშვილი, პ. წულუკიძე, აფიციაური, ა. გიორგაძე, ს. მეგრელიშვილი, ს. გუბელი, თ. დოლიძე, ბ. გოგია, ვ. ქურდაძე, კ. ხომერიკი და სხვები.

ც. კ. მომხრეთ, რომელთაც მიიღეს „უკლონისტების" სახელწოდება ყრილობაზე ყავდათ სულ 26 დელეგატი. ესენი იყვნენ: ბ. მდივანი, ს. ქავთარაძე, ბ. კვირკველია, კ. ცინცაძე, ლ. დუმბაძე, ვ. ბახტაძე, ს. გაბაროვი, მ. ოკუჯავა, კ. საჯაია, ს. ოდილავაძე, გახოკია, ბრეიტმანი და სხვა.

მესამე ჯგუფს შეადგენდა: ამხ. მ. კახიანი, ივანოვ-კავკასი, ლოლობერიძე, ნაზარეტიანი, ასრიბეგოვი რუბენი და სხვა, რომლებიც ებრძოდნენ ძველ ც. კ. ხაზს და ყრილობის წინ ც. კ. მუშაობის გარშემო რეზოლიუციის მიღების დროს შეუერთდენ ყრილობის უმრავლესობას. ზოგიერთების პოლიტიკური ფიზიონომია ამ ყრილობაზე არ გამორკვეულა.

ყრილობის გახსნისთანავე თავი იჩინა ბრძოლამ. ყრილობის პრეზიდიუმის არჩევის დროს გაშავებულიქნა დიდი უმრავლესობით ცენტრალურ კომიტეტის მიერ დასახელებული კანდიდატები და არჩეულ იქნენ კანდიდატები, რომელთა სია გამოაქვეყნა დელეგატების მინდობილობით ლ. სუხიშვილმა.

მეორე ყრილობაზე გამომჟღავნდა, რომ უკლონისტებს და ყრილობის უმრავლესობას შორის ადგილი ქონდა მთელ რიგ პრინციპიალურ განსხვავებებს. (მიწის რეფორმის გატარება, ამიერ - კავკასიის ფედერაციის საკითხი და სხვ.).

პირველ ყრილობაზე წარმომდგარ სადაო საკითხების გასაგებად საჭიროა მოვიყვანოთ ამხ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვის ერთი ადგილი რომელიც შეეხება „უკლონისტებს".

„რაც შეეხება პრინციპიალურ დავას, — სთქვა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ, — ის დაიწყო ეკონომიურ გაერთიანების საკითხების გარშემო და რელიეფიურად ჩამოყალიბდა ფედერაციის საკითხებში. გაერთიანების შესახებ მე კიდევ აპრილში მივიღე ამხ. ლენინისაგან დეპეშა, რომელშიაც ის იწერებოდა, რომ მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო დაბეჯითებით გთხოვთ შექმნათ საოლქო ეკონომიური ორგანო. ც. კ. ზოგიერთმა ამხანაგებმა არ გამოიჩინეს სურვილი გაეტარებინათ ეს. შემდეგ თბილისში მოვიდა ამხ. სტალინი, რომლის წინაშე საოლქო თათბირზე ჩვენ აღვნიშნეთ ნაციონალისტური ტენდენციის არსებობა და გადავწყვიტეთ ამ მოვლენასთან ბრძოლა. ფედერაციის მოწინააღმდეგები აცხადებდენ, რომ ისინი პრინციპიალურად არ არიან ფედერაციის წინააღმდეგნი, მაგრამ ფაქტები პირიქით ლაპარაკობენ, სწორედ საქართველოში არც ერთი პოლიტიკური კამპანია არ ჩატარებულა ისე ბრწყინვალედ როგორც კამპანია ფედერაციისათვის".

ცეკას პოლიტიკურ ანგარიშში ამხ. ორახელაშვილმა განაცხადა:

„საზღვრებისა და ამიერ - კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიური გაერთიანების საკითხში თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ, რაც ამა თუ იმ სახით შემდეგში მოწესრიგებულ იქნა, მაგრამ სწორედ ამ საკითხში თავი იჩინა იმ უკლონის ნიშნებმა, რომელიც დღემდე არ არის აღმოფხვრილი, როგორც ცეკაში, ისე რევკომშიაც"...

ყრილობის დიდი უმრავლესობა ს. ორჯონიკიძესთან ერთად ებრძო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უკლონისტების პლატფორმას. ყრილობამ მაშინდელ ც. კ. პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი დაიწუნა და ხმების აბსოლიუტურ უმრავლესობით მიიღო ასეთი რეზოლიუცია:

„1. ორგანიზაციულ დარგში — ცეკამ ვერ შესძლო საქმიანი და მოქნილი აპარატის შექმნა, როგორც ცეკაში, ისე სამაზრო კომიტეტებში, ორგანიზაციულ მჭიდრო კავშირის დამყარება ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რის შედეგად მივიღეთ მტკიცე და ორგანიზაციული ხელმძღვანელობის უქონლობა, პარტიულ მუშაობის სისუსტე ადგილებზე, ცეკას მოწყვეტა ფართო პარტიულ მასებისაგან და მის მიერ შინაპარტიულ დემოკრატიის უარყოფა, რომელიც დააწესა რ. კ. პ. (ბ) მეათე ყრილობამ.

2. პოლიტიკურ დარგში ყრილობა აღნიშნავს მთლიანობის უქონლობას ცეკაში, რამაც ყურადღების ცენტრი იდეურ პოლიტიკურ ხელმძღვანელობის ამოცანებიდან გადაიტანა ჯგუფურ და პიროვნულ უთანხმოებისაკენ, რამაც უარყოფითი გავლენა მოახდინა მიმდინარე მუშაობაზე და რასაც უეჭველად გმობს ყრილობა ისე, როგორც გმობს ნაციონალურ გადახრას, რომელმაც თავი იჩინა ცეკას ერთ ნაწილში და პარტიის ზედა ფენებში; არა საკმაო მტკიცე ხელმძღვანელობა საბჭოთა, პროფესიონალურ და სამეურნეო მუშაობაზე, ახ. კომკავშირზე და პარტიულ, საბჭოთა პრესაზე, ღებულობს რა ყოველივე ამას მხედველობაში ყრილობა, ცეკას მოღვაწეობას ცნობს არადამაკმაყოფილებლად“.

ყრილობაზე, რომ სამი ჯგუფი იყო, სჩანს თუ გინდ იქიდანაც, რომ ცეკას მუშაობის შეფასების გარშემო წარმოდგენილი იქნა სამი სხვადასხვა რეზოლიუცია: პირველი — ზემოდ მოყვანილ უმრავლესობის რეზოლიუცია, წაკითხული ამხ. ს. მამულიას მიერ, რომელიც შემუშავებული იყო ყრილობის მიერ არჩეულ კომისიაში, რომელშიც შედიოდენ: ფ. მახარაძე, თ. ჟღენტი და მ. კახიანი (ამ რეზოლიუციამ მიიღო 132 ხმა), მეორე რეზოლიუცია — ნიკ. კიკნაძის მიერ წაკითხული, უკლონისტების, რომელმაც მიიღო 34 ხმა, და მესამე — თბილისის დელეგატების ერთი ნაწილის, წაკითხული მ. კახიანის მიერ, რომელიც ამ ჯგუფმა მოხსნა და განაცხადა შემდეგი:

„რადგან ყრილობის უმრავლესობის რეზოლიუციაში დაგმობილია ნაციონალური უკლონი, ჩვენ ვხსნით რეზოლიუციას და უერთდებით პირველ რეზოლიუციას“.

ყრილობის დღის წესრიგში დასმულ დანარჩენ საკითხებს შორის ყურადღებას იპყრობდენ: ახალი ეკონომიური პოლიტიკა და მისი გატარების პირობები საქართველოში (მომხს. ამხ. მ. ტოროშელიძე), საადგილ - მამულო პოლიტიკა და სასოფლო მეურნეობა საქართველოში (მომხ. ამხ. ფ. მახარაძე), სასურსათო პოლიტიკა (მომხ. ამხ. ერქომაიშვილი) და სხვა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა მაშინ ახლად მიღებული იყო რუს. კომ. მე-X ყრილობის მიერ. საქ. კ. პ. (ბ) ყრილობამ დასახა კონკრეტიული ამოცანები ახალი ეკონომიური პოლიტიკის გატარებისათვის საქართველოს პირობებში.

საადგილ - მამულო პოლიტიკის დარგში ყრილობამ ცეკას მისცა დირექტივა მტკიცედ ყოფილიყო გატარებული მიწის რეფორმა, მაგარი კურსი ყოფილიყო აღებული ღარიბ გლეხობისადმი სამეურნეო დახმარების და სოფლად კოოპერატიული ქსელის ფართოდ გაშლის საქმეში.

## პერიოდი პირველ ყრილობიდან მეორე ყრილობამდე

პირველი ყრილობის დასრულების შემდეგ შინა პარტიული ბრძოლა საქართველოში გამწვავდა. 1— ყრილობაზე წამოჭრილ საკითხების

გარშემო საქართველოს კომპარტიაში მოხდა ხალხალი გადაჯგუფება. თუ პირველ ყრილობაზე სადაო საკითხი პარტიიის ქვედა ფენებისათვის არ იყო გამუქებული, ახლა სადაო საკითხები პარტიულ მასაშიაც გადავიდა. საქ. პარტ-აქტივში და ხელმძღვანელობაში მოხდა ერთი ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადასკლა—გადმოსვლა. პირველ ყრილობის უმრავლესობის აქტივს მოაკლდა საქართველოში კარგად ცნობილი კომუნისტები და შეუერთდენ ძველ ცენტრალურ კომიტეტს ბუდუ მდივნის ჯგუფს. ჯგუფურ ნიადაგზე საქ. უკლონისტები მიმართავენ ბრძოლის ყოველგვარ საშუალებას, ც.კ. ცალკე წევრებისათვის სახელის გატეხას, არა საფუძლიანი ბრალდებების წამოყენებას და სხვ. პარტიაში ბრძოლის ასეთ გამწვავებულ პერიოდში მოხდა ანტისაბჭოთა პარტიების დარაზმვა და მათი შეკავშირება საბჭოთა ხელისუფლებაზე იერიშის მისატანად. 1922 წელს ანტისაბჭოთა ბლოკმა უკვე შეადგინა „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“ და „სამხედრო ცენტრი“.

1922 წლის დასაწყისში სვანეთში ანტისაბჭოთა პარტიების ბლოკის წარმომადგენლებმა მოაწყვეს გამოსვლა. აჯანყებულებმა დაიკავეს ზემო სვანეთი, ქვემო სვანეთი და დაესხენ ცაგერს. ქუთაისიდან გაგზავნილი წითელი არმიის ნაწილი სვანებმა განაიარაღეს, ბათალიონის უფროსი პროხოროვი მოკლეს.

სვანეთში საქ. რევკომმა გაგზავნა მაშველი ჯარები, მაგრამ ჯარებმა მხოლოდ ლაშხეთს მიაღწიეს და დიდი თოვლის გამო ზემო სვანეთში წითელი ჯარის ნაწილები ვერ შევიდა.

მაისის თვეში საქ. კომპარტიის ცეკამ და რევკომმა სვანეთში გაგზავნა ფართე რწმუნებებით ამ სტრიქონების ავტორი. აჯანყებულებმა საქ. ცეკას რწმუნებულთ მშვიდობიანად ჩააბარეს 500 ვინტოვკა და 4 ტყვიის მფრქვეველი. მოიწვიეს საბჭოთა ყრილობა და შეუდგენ მშიდობიან ცხოვრებას.

1922 წლის აგვისტოში ანტისაბჭოთა პარტიების ხელმძღვანელობით ხევსურეთში თავი იჩინა პოლიტიკურმა ბანდამ ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით. ჩოლოყაშვილის ბანდა შიშის ზარს სცემდა დუშეთის მშვიდობიან მოსახლეობას, იჭერდა კომუნისტებს და ანგრევდა სოფლად საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებს. ქართული წითელი ჯარი ამ დროს სუსტი და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი იყო. ჯარის მეთაურთა შემადგენლობაში ბლომად იყო არა საბჭოთა ელემენტები. ამის გამო ჩოლოყაშვილის სასწრაფო ლიკვიდაცია დაგვიანდა.

1922-1923 წელს გურიაში გაიზარდა პოლიტიკური ბანდა. ყოფ. სახალხო გვარდიელები და ტერორისტები თავისუფლად და უშიშრად თარეშობდენ გურიაში. იქ გაიგზავნა ქართული ჯარის ნაწილის ერთი ბათალიონი ს. ობოლაძის მეთაურობით. პოლიტიკური ბანდა იმდენად თავგასული იყო, რომ ობოლაძე და მისი კამანდირები სანიკიძე და ჩუბინიძე ს. ლიხაურის გზაზე მოკლეს და მიიმალენ. ყველა ეს ზომები საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ნიშნავდა ანტისაბჭოთა პარტიების პოლიტიკურ გაკოტრებას და საბრძოლველ იარაღათ მხოლოდ ტერორის გამოყენების.

საქ. კ.კ. (ბ) ც.კ. შიგნით კვლავ გამწვავდა ბრძოლა. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხაზს წინაღუდგა საქ. ც. კ. უმთავრესობას ა-კავ. რესპუბლიკების სამეურნეო ღონისძიებათა გაერთიანების და ამ. კავ. ფედერაციის გატარების საკითხებში. საქ. ცეკას პრეზიდიუმის უმრავლესობამ გამოიტანა დადგენილება თავის რწმუნებაზე ხელისალების შესახებ, რომელიც ასე დაასაბუთა.

1) „ც.კ. აღნიშნავს მთელ რიგ ტაქტიკურ განსხვავებებს ც.კ. და ამ. კ-ს. საოლქო კომიტეტს შორის ადგილობრივ პირობებისადმი მიდგომის საკითხებში.

2) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ ც.კ. ფაქტიურად ჩამოშორებულია პარტიული და პროფესიონალურ მუშაობისაგან საქართველოში (ც.კ. პასუხისმგებელი მდივნის მოხსნა, საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივნის დანიშვნა, პროფკავშირების პირადი შემადგენლობის გადასინჯვა და სხვა).

3) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ფაქტიური უნდობლობა ც. კომიტეტისადმი, რაც ღრმავდებოდა ც.კ. ყველა წევრებისათვის სახელის გატეხით (ამხ. ორჯონიკიძის ოფიციალური განცხადება ამ. კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმის 20 ოქტ. სხდომაზე, რომ პარტიის ზედაფენა შოვინისტურია და წარმოადგენს სიდამპლეს, რომელიც განახლებული უნდა იქნეს და მისივე განცხადება შოვინიზმის და მენშევიკური გადახრის შესახებ ც.კ. პლენუმის 22 ოქტომ. სხდომაზე).

4) ყოველივე ამის შედეგად ჩვენ ვღებულობთ ქვემდებარე ორგანიზაციების, როგორც პარტიული, ისე პროფესიონალურის, დეზორგანიზაციას და გახრწნას, რასაც, ცხადია, გავლენა აქვს საბჭოთა მუშაობაზე. შექმნილ მდგომარეობის პირობებში ც.კ. არ შეუძლია შემდგომში გასწიოს პასუხისმგებლობა მუშაობის ნაყოფიერებისათვის და ერთად ერთ გამოსავალად ამ მდგომარეობიდან სთვლის თავის რწმუნებებზე ხელის აღებას, რომლის შესახებ ყოველივე ეცნობოს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს, რ. კ. პ. ც. კ. და ეთხოვოს სანქცია“... (დადგენილება პრეზიდიუმის 1922 წ. 22 ოქტომბრ.) პრეზიდიუმის ასეთ განცხადებას ხმა მისცა ცხრამ, წინააღმდეგ სამმა.

ამის შემდეგ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა რ.კ.პ. ც.კ. შეთანხმებით კითხვა საჩქაროდ გადასჭრა, ეს საქციელი დაგმო და შედგენილი იქნა ახალი ც.კ. და მისი პრეზიდიუმი.

1922 წ. 25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების პირველი წლის თავზე, მოწვეულ იქნა საბჭოთა პირველი ყრილობა. ამ პირველ ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა წყობილების გამაგრების საქმეში. ყრილობაზე, თანახმად ლენინის დირექტივებისა, იდგა ქართული წითელი ჯარის გაძლიერების და მისი ორგანიზაციის საკითხი. ამ დროს უკვე არსებობდა ქართული სამხედრო სასწავლებელი, სადაც ემზადებოდენ ქართული წითელი ჯარის მეთაურები.

ყრილობამ, სხვათა შორის, მოწოდებით მიმართა მთელი ქვეყნის მშრომელთ, რომ საქართველო, რომელიც შედიოდა მეფის იმპერიაში, რამოდენიმე [illegible]ობის განმავლობაში რუსეთის მშრომელ კლასებთან ერთად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის, მემამულეთა და ბურჟუაზიის ექსპლოატაციის წინააღმდეგ. საქართველოს მასების არა საკმარისი პოლიტიკური გამოცდილების გამო საქართველოში პოლიტიკური ბრძოლის ხელმძღვანელობა ჩაუვარდა წვრილ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ხელში მენშევიზმის სახით, რომელიც ეძებდა შეთანხმებას მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან... მოწოდება აღნიშნავდა აგრეთვე, რომ მეფის ტახტის დანგრევის შემდეგ სოციალურ დარგში მენშევიკები იდგნენ ბურჟუაზიულ წყობილების შენახვის თვალსაზრისზე და სხ.

ეს იყო პასუხი იმ ანტისაბჭოთა აგიტაციის, რომელიც სწარმოებდა ევროპაში საქართველოს შესახებ, პირველი საბჭოთა ყრილობა დიდის ენტუზიაზმით დასრულდა და აირჩია პირველი ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქ. კომპარტიის მე-2 ყრილობა

საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობა მოწვეულ იქნა 1923 წელს. ყრილობა იწვევა უკლონისტების გაფართოებულ ბრძოლის მომენტში. ამ ყრილობის წინაპერიოდში პარტიაში მომხდარი გადაჯგუფება ეხლა უფრო ნათელს ფენდა პარტიაში არსებულ სადაო საკითხებს.

პირველ ყრილობაზე დაწყებული ბრძოლა უფრო სიმწვავით გრძელდება მეორე ყრილობაზე. ეს ბრძოლა უქადდა საქ. კომპარტიას ორად გაყოფას. რ.კ.პ.(ბ) ცეკა თავიდანვე იღებს ზომებს სადაო საკითხების შეთანხმებით გადასაწყვეტად. ამ მიზნით ყრილობაზე დასასწრებლად გამოგზავნილ იქნა კამენევი და კუიბიშევი. კამენევის ცდა, რომ უკლონისტები დაეჯერებია ც.კ. ხაზის სისწორეში, უნაყოფო გამოდგა. მოსკოველმა ამხანაგებმა ვერ დაუცადეს ყრილობის დასრულებას, ლენინის მძიმე ავადმყოფობის გამო, კუიბიშევმა და კამენევმა ყრილობაზე გამოსაქვეყნებლად დასტოვეს შემდეგი წერილი:

„ძვირფასო ამხანაგებო! გამოქვეყნებულ ცნობებთან დაკავშირებით ამხ. ლენინის ჯანმრთელობის შესახებ ჩვენ იძულებულნი ვართ დაუყოვნებლივ გავემგზავროთ მოსკოვში და დავტოვოთ ყრილობა. ამ გარემოებაში ჩვენ ვალათ ვრაცხთ და ც. კომიტეტის მიერ მოცემულ დავალების შესრულებათ, მოგმართოთ ყრილობას თხოვნით — ვინაიდან ხელმოწერილია შეთანხმება საქ. კომპარტიის უახლოესი ამოცანების შესახებ და დამყარებულია ამ თეზისებით პრინციპიალურ უთანხმოებათა არ არსებობა — გთხოვთ თავი შეიკავოთ კითხვების გარჩევის დროს ყოფილ დაჯგუფებათა ბრძოლის მოგონებით, განსახილველი საკითხის რაიმე სახით გამწვავებით. გთხოვთ გახსოვდეთ, რომ საქართველოს კომუნისტების მთლიანობა უნდა იყოს ყრილობის უმაღლესი მიზანი.

გაუმარჯოს საქ. კომპარტიის სიმტკიცეს, შემჭიდროებას!

გაუმარჯოს საქართველოს პროლეტარიატს და რევოლიუციონურ გლეხობას!

ლ. კამენევი, ვ. კუიბიშევი“.

უკლონისტების ჯგუფთან მოლაპარაკების შემდეგ კუიბიშევმა და კამენევმა დასტოვეს ყრილობაზე ასარჩევი ც.კ. შემადგენლობის კანდიდატების სია, მაგრამ ყრილობის პროცესში გაიმოირკვა, რომ დატოვებულ სიაში მყოფი ამხანაგების გაყვანა ც.კ. ვერ შექმნიდა სიმშვიდეს და კვლავ განახლდებოდა ჯგუფური ბრძოლა, ამიტომ სია შესწორებულ იქნა.

მეორე ყრილობის ყურადღების ცენტრში იდგა აგრეთვე მიწის რეფორმის გატარების შედეგების გამორკვევა, სამეურნეო მშენებლობის ამოცანები, ქართული წითელი ჯარის შექმნისა და გაძლიერების საკითხები და უმთავრესად, ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსების საკითხის პრაქტიკულად გატარება.

უკლონისტების ჯგუფი — ახალ ც.კ. ბრალს სდებდა იმაში, რომ ლენინის დირექტივა საქართველოს შესახებ არ იყო განაღდებული.

უკლონისტებს მხედველობაში ქონდათ ლენინის წერილი, რომელიც მან გამოგზავნა საქ. გასაბჭოების პირველ დღეებში, 3 მარტს, 1921 წ. და რომელიც შემდეგს ამბობდა: „გადაეცით ქართველ კომუნისტებს და განსაკუთრებით ქართულ რევკომის წევრთ ჩემი მხურვალე სალამი. განსაკუთრებით გთხოვთ შემატყობინოთ, არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა შემდეგ სამ საკითხში:

1. საჭიროა დაუყოვნებლივ შეიარაღდეს მუშა და ულარიბესი გლეხობა, რათა შესდგეს ქართული წითელი არმია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. საჭიროა განსაკუთრებული შეღავათიანი პოლიტიკა ქართველ ინტელიგენციისა და წვრილ ვაჭართა მიმართ. საჭიროა შევიგნოთ, რომ არა თუ საჭიროა მათი ნაციონალიზაცია, არამედ შესაძლებელია ზოგიერთი მსხვერპლი, ოღონდ გამოკეთდეს მათი მდგომარეობა და მიეცეთ მათ შეძლება აწარმოონ წვრილ-წვრილი ვაჭრობა.

3. ძლიერ საჭიროა მოძებნა მისაღებ კომპრომისებისა ჟორდანიასა და მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან შეთანხმებისათვის, რადგან ისინი ჯერ ისევ აჯანყებამდე არ იყვნენ წინააღმდეგნი საბჭოთა წესწყობილების საქართველოში ზოგიერთი პირობებით. გთხოვთ გახსოვდეთ, რომ შინაური და საერთაშორისო პირობები საქართველოში მოითხოვენ ქართველ კომუნისტებისაგან ერიდონ რუსეთის შაბლონს და ეძიონ უფრო მოქნილი თავისებური ტაქტიკა დამყარებული მომეტებულ შეღავათზე ყველა წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტების მიმართ".

ლენინის ეს დირექტივა სავსებით გაიზიარა მაშინდელმა ხელმძღვანელობამ და სერგო ორჯონიკიძის და მამია ორახელაშვილის პირით ლენინს უპასუხეს, რომ უკვე მიეცა წინადადება მენშევიკებს შესწყვიტონ ომი, გამოიცა ამნისტია იმათთვის, ვინც ხელს აიღებს წითელ ჯართან და საზოგადოთ ბოლშევიკებთან ბრძოლაზე და სხვ. ,

რაც შეხება ნოე ჟორდანიასთან და მის მსგავს მენშევიკებთან მოლაპარაკებას, როგორც ვიცით, არაფერი ნაყოფი არ გამოულია და მას არც შეეძლო გამოეღო. მენშევიკებთან მოლაპარაკება სწარმოებდა ჯერ კიდევ ქ. ბათომში პოლიტიკური ტუსაღების პირით, რომლებიც მეტეხისა და ქუთაისის ციხიდან საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ თბილისის დატოვების შემდეგ გადაგზავნილ იქნენ ბათომში, მენშევიკები დათანხმდენ ზავზე, ეს იმიტომ, რომ მათ მეტი ძალა აღარ შესწევდათ, რადგან მენშევიკურ ჯარში გამითოა დემორალიზაცია. თან მათ დაკარგეს საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი და გურია — აჭარისტანით, ცხადია, ბრძოლა აღარ შეეძლოთ. ასეთ პირობებში მენშევიკებმა ხელი აიღეს ბრძოლაზე და თავს უშველეს ევროპაში გაპარვით. ამგვარად ჟორდანიასთან მოლაპარაკების წარმოება სრულიად არ იწვევდა დავას, პირიქით, ამ საკითხში უკლონისტები მეტ „შემარცხენეობას" იჩენდენ, ვიდრე სხვები. მაშასადამე, მიზეზად მოყვანა ლენინის დირექტივების არშესრულების, რომელსაც ეპოტინებოდენ უკლონისტები, სწორი არ იყო.

უკლონისტებს ავიწყდებოდათ ლენინის შემდეგი დირექტივა ამიერ-კავკასიის სამეურნეო საშუალებათა გაერთიანების შესახებ ფედერაციის მოწყობის აუცილებლობაზე, აი რას უპასუხებდა ლენინი უკლონისტებს:

„გაკვირვებული ვარ პირდაპირი მავთულით გადმოცემული ჩანაწერის უმართებულო ტონით, რასაც ხელს აწერენ ცინცაძე და სხვები, რომელიც მე რატომღაც გადმომცა ბუხარინმა და არა ც.კ. რომელიმე მდივანმა. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ უთანხმოება ამოწურული იყო ც.კ. პლენუმის გადაწყვეტილებით, რომელშიაც მე არაპირდაპირ ვმონაწილეობდი და პირდაპირ მონაწილეობდა მდივანი".

მეორე დეპეშა 16 ოქტომბ. „საქ. ცეკას წინადადება, რომ გაერთიანება უდროოა, ცეკას პლენუმმა უარყო ერთხმად. საქართველოს ცეკას წარმომადგენელი მდივანი, პლენუმის ასეთი ერთსულოვნების გამო, იძულებული შეიქნა უარეყო საქ. ცეკას წინადადება. პლენუმმა მიიღო ყოველგვარი შესწორების გარეშე კომისიის წევრების — სტალინის, ორჯონიკიძის, მიასნიკოვის და მოლოტოვის წინადადება ამიერ-კავკასიის დაცვისა და ამ უკანასკნელის გაერთიანების რ.ს.ფ.ს.რ., უკრაინასთან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელორუსიასთან საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. საკ. კომ. პარტიის ც. კ. ეჭვი შესდის იმაში, რომ მისი დირექტივა გატარებული იქნება ენტუზიაზმით. საკ. კომ. ც. კ. მდივანი **სტალინი**".

ჯგუფური ბრძოლის მოსასპობად და ფედერაციის დაცვის ინტერესებისათვის ბუხარინი და კამენევი უკლონისტებს უგზავნიან შემდეგ დეპეშას:

„ჩვენი გამოსვლიდან ველიკორუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ არ გამომდინარეობდა ქართული ნაციონალიზმის დაცვა. თქვენ უნდა იცოდეთ, რომ პლენუმის დადგენილება ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შესვლის შესახებ უნდა შესრულებულ იქნას სისწორით და შეიძლება ხელ-ახლა იქნას გადასინჯული მხოლოდ ახალი პლენუმის მიერ, თუ ის ამას მოისურვებს. თქვენი ღია ბარათის კილო პარტიულ ზნეჩვეულებათა უხეში დარღვევაა. გირჩევთ შესწყვიტოთ აყალ-მაყალი (სკლოკა) და იმუშაოთ ცკას გადაწყვეტილებათა ბაზისზე. **კამენევი, ბუხარინი**".

ქართული წითელი ჯარის საკითხი ერთ-ერთი სადაო საკითხად იდგა 1921-22 წლის.

უკლონისტები, რომლებიც მაშინ საკმაო ძალას წარმოადგენენ საქ. კომპარტიის ც. კ.-ში, საკითხს სვამდენ საქართველოს თითი არმიის შექმნაზე, საკუთარი მომარაგებით, მთავარ სარდლით და სამხედრო საბჭოთი.

რ. კომპარტიის ც. კ. პოლიტბიუროს გადაწყვეტილება კი იყო 30 ათასიან წითელ არმიის მოწყობა ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკაში.

1922 წ. 13 მაისს ს. ქავთარაძის, მ. ოკუჯავას და ვ. ჯიქიას ხელმოწერით გაგზავნილი დეპეშა კი არ ეთანხმებოდა პოლიტბიუროს დადგენილებას. ამათი აზრით საჭირო იყო ჯარი დაახლოვებით არა ნაკლებ 40 ათასი კაცისა, რომელიც დაემორჩილებოდა რ.ს.რ. საერთო სარდლობას მხოლოდ ოპერატიული წესით.

წითელი ჯარის შედგენის საკითხი, რა თქმა უნდა, იწვევდა დიდ სიძნელეებს. ერთი მხრით უკლონისტების წინადადება დიდი არმიის შედგენის შესახებ, რომელიც გამომდინარეობდა ქართულ შოვინიზმიდან, მეორე— ქართული წითელი ნაწილების შექმნის სათანადოთ არ დაფასება და უთუოდ დაყრდნობა რუსულ წითელ არმიაზე, რომელიც გამომდინარეობდა რუსული დიდმპყრობელურ შოვინიზმიდან, რასაც ულმობელად ებრძოდა ლენინი თავის დირექტივებში. სხვათა შორის ლენინი ასე სწერდა ს. ორჯონიკიძეს:

„ამხანაგო სერგო! აბსოლიუტურად აუცილებელია, რომ საქართველოს საბჭოების ყრილობაზე მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება საქართველოს წითელი ჯარის გაძლიერების შესახებ. აუცილებელია აგრეთვე, რომ ეს გადაწყვეტილება გატარებულ იქნას საქმით.

უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხები წინააღმდეგი არიან, მაშინ საჭიროა, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს, თუ ინდ საერთო სახით: აუცილებლად ცნობილ იქნეს უეჭველად გაძლიერდეს საქართველოს წითელი არმია და ჩაბმულ იქნეს ამ საქმეში სამუშაოდ ხელისუფლების ყველა ორგანოები და მშრომელი მასები და სხვა. მაგრამ საქმით ყოველ მიზეზს გარეშე, დაუყოვნებლივ განვითარებულ და გაძლიერებულ უნდა იქნეს საქართველოს წითელი არმია, დეე, თავდაპირველად იყოს ერთი ბრიგადა, დეე წითელი კურსანტების რიცხვი იყო 2-3 ათასზე ნაკლები, მაგრამ ისე, რომ მათ შორის იყოს 1.500 კომუნისტი, რომ შემდეგ ამ კურსანტებმა შესძლონ (იქნებიან რა კადრებად), როდესაც საჭირო იქნება, გადაიქმნან არმიად. ეს აბსოლიუტურად აუცილებელია. სტალინმა შეიძლება უფრო დაწვრილებით მოგწეროთ ამ გადაწყვეტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების სისრულეში მოყვანის, სამხედრო ტეხნიკურ საშუალებების შესანებ. მე მხოლოდ ვეხები საქმის პოლიტიკურ მხარეს: ამის შეუსრულებლობისათვის გამოვრიცხავთ პარტიიდან, ყოველ მიზეზს გარეშე, აქ ხუმრობა არ შეიძლება, ეს პოლიტიკურად, აბსოლიუტურად აუცილებელია და თქვენ პირადათ და საქართველოს მთელი ცეკა პასუხს აგებთ ამისთვის მთელი პარტიის წინაშე. თქვენი **ლენინი**, 13 იანვარი, 1922 წელი".

საჭირო იყო, რომ ამ ორი უკლონის შებრძოლება ქართული წითელი ჯარის შექმნის საქმეში და ლენინის დირექტივის განხორციელება, ამიტომ საქ. კომ. პარტ. მეორე ყრილობაზე მიღებულ დადგენილებაში, სხვათა შორის, სწერია:

1. „რეორგანიზაციის ხანგრძლივი პროცესის შემდეგ ქართული დივიზია შეიძლება ჩაითვალოს საბოლოოდ ჩამოყალიბებულად.

2. დივიზიის არსებობა ამ მდგომარეობაში უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად, მტკი[illegible] და შესაფერისად საქ. საბჭოთა სოც. რესპუბლიკისათვის.

3. იმ მიზნით, რათა უადრესად გამტკიცებულ და გამაგრებულ იქნას დივიზიის ნაწილები, ყრილობა ანდობს ც.კ. უდიდესი ყურადღება მიაქციოს, როგორც წითელ არმიელების ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ისე პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობის სათანადოთ დაყენებას, რისთვისაც განსაკუთრებით საჭიროა დივიზიის უზრუნველყოფა პოლიტიკურ მომუშავეთა შემადგენლობით.

4. საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს უფროსთა და პოლიტ - შემადგენლობის ნივთიერად უზრუნველყოფას. რომელთაც ხშირად მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება, რაც ჰქმნის დემობილიზაციის სასარგებლოდ სულიერ განწყობილებას.

5. ამასთან ერთად ყოველი ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა რეალურად იქნეს განხორციელებული სახკომსაბჭოს დეკრეტი წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველსაყოფად იმ დროის განმავლობაში, როცა ოჯახის მარჩენალი წითელი არმიის რიგებშია.

6. ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კონსტიტუციის პრინციპებით და წითელ არმიის შენების გამოცდილებით, ყრილობა საჭიროდ აღიარებს საქ. საბჭოთა სოც. რესპუბლიკაში ჩატარებულ იქნას მშრომელი კლასების საყოველთაო სამხედრო ბეგარა.

7. ყრილობა ღრმა კმაყოფილებას გრძნობით აღიარებს, რომ პოლიტიკურ მომუშავეთა და უფ. შემადგენლობის მუშაობით შეიქმნა ადგილობრივი სამხედრო ნაწილების მტკიცე კადრები, რომელიც ძმურ თანამშრომლობაში და მთლიანობაში წითელ არმიის ნაწილებთან წარმოადგენენ საშიშარ ძალას მშრომელთა მტრებისათვის.

8. ყრილობა გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ სათანადო სამხედრო ორგანიზაციების და ც.კ. ძალღონით ქართული წითელი არმია გახდება ერთი ძლიერი რაზმთაგანი დიდი საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის სახელოვანი მუშათა და გლეხთა წითელ არმიისა".

ყრილობამ აუცილებელ საჭიროებად სცნო რეფორმის და მიწადმოწყობის დაჩქარებით გატარება. ჯერ კიდევ 1921 და 1922 წელმა ვერ მოგვცა მემამულეების მიწების სრულიად ჩამორთმევა და სხვადასხვა ხრიკებით მათ შენარჩუნებული ჰქონდათ ნორმაზე მეტი მიწები.

თუ პირველმა ყრილობამ დაიწუნა საქ. კომ. პარტიის ცეკას პოლიტიკური და ორგანიზაციული ხაზი, მეორე ყრილობამ მოიწონა ახალი ც.კ. ხაზი და მომავლის სამოქმედოთ მისცა ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაარსების დირექტივა და ეროვნულ საკითხში სახელმძღვანელოდ მიუთითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთის კომპარტიის მეათე ყრილობის დადგენილებებზე.

საკონტროლო კომისიის მუშაობა პირველიდან მეორე ყრილობამდის პარტიას ვერ აკმაყოფილებდა. საკონტროლო კომისიის მუშაობაში ჯერ კიდევ არ იყო მომხდარი გარდატეხა უკლონიზმთან ბრძოლის საკითხებში, ამიტომ მეორე ყრილობამ საკონტროლო კომისიის ხაზი დაიწუნა და დააყენა მისი რეორგანიზაციის საკითხი.

ყრილობისათვის არა ნაკლებ საყურადღებო მომენტს შეადგენდა მენშევიკებთან ბრძოლა. მესამე ყრილობის წინა პერიოდში მენშევიკების ორგანიზაცია უკვე ნახევრად დაშლილი იყო.

## საქ. კომპარტიის მესამე ყრილობა

მეორე ყრილობის შემდეგ უკლონისტების ჯგუფი თანდათანობით ირღვევა. იწყება უკლონისტების შიგნით რღვევის პროცესი. უკლონისტების ერთი ნაწილი, რომელიც ეწეოდა არა ლეგალურ მუშაობას და აკავშირებდა სხვადასხვა ჯგუფებს, გაგზავნილ იქნა საკავშირო ც. კომიტეტის განკარგულებაში.

მესამე ყრილობა მოწვეულ იქნას 1924 წ. მაისის 6.

უკლონისტების მთელ რიგ ხელმძღვანელებმა აღიარეს თავიანთი შეცდომანი და მესამე ყრილობას აღუთქვეს საქ. კომპარტიის ც. კ. ერთად მუშაობა და გატარება გენერალური ხაზის.

ამრიგად, მესამე ყრილობა შეიკრიბა პარტიაში ჯგუფების მოსპობის და მენშევიზმის გახრწნის პერიოდში. ჯერ კიდევ 1923 წლის გაზაფხულზე საქართველოს მუშების და გლეხების მასებმა, რომელნიც მენშევიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ. საბჭოთა ხელისუფლებისაკენ იბრუნეს პირი. შეიკრიბა ყოფილ მენშევიკთა ყრილობა, 12 ათასი მენშევიკი მათ ცეკას გადაუდგა და დეკლარაციით გამოვიდენ საქართველოს მუშების და გლეხების წინაშე. მენშევიკთა პარტიის რღვევას მოყვა საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის რღვევა.

ანტი-საბჭოთა ფრონტის მთავარი ძალა საქართველოში, რა თქმა უნდა, მენშევიზმი იყო. სოც.-დემ. მენშევიკების პარტია თავის რიგებში ითვლიდა 130 ათას წევრს. გავლენა ამ პარტიის გასაბჭოების პირველ ხანებშიაც საგრძნობი იყო. ამ პარტიას მჭიდრო კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთელ მენშევიკურ ბიუროსთან და ეწეოდა ფართე ორგანიზაციულ მუშაობას. 1923 წლამდის ამ პარტიას არ ემჩნეოდა რღვევა, მაგრამ მესამე ყრილობის პერიოდში დაახლოვებით 5 ათასი განცხადება იყო ყოფ. მენშევიკებისაგან პარტიაში მიღების შესახებ.

მენშევიზმის დარღვევის საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებდენ ეგრედ-წოდებული მუშათა კომისიები, რომლებიც პირველად შესდგა ტფილისის პირველ რაიონში. ძველი და ავტორიტეტიანი მენშევიკები მუშათა კომისიის დავალებით გაემგზავრენ საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებში და ქმნიდენ მენშევიკური პარტიის სალიკვიდაციო მუშათა კომისიებს. საქ. კომ. პარტიის ცეკამ მუშათა კომისიების უფრო ნაყოფიერი მუშაობისათვის სპეციალური განყოფილება შექმნა ცეკაში, რომელსაც ეწეოდა მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილება. არა ნაკლები როლი შეასრულა მენშევიზმის ლიკვიდაციის საქმეში ყოფილ მენშევიკთა სპეციალურმა ორგანომ „ახალი გზა“-მ.

ანტი-საბჭოთა პარტიებთან ბრძოლის საკითხი იპყრობდა მესამე ყრილობის სერიოზულ ყურადღებას. როგორც ვიცით, სოციალისტ-ფედერალისტების ბანაკში რღვევა იწყება საქართველოს გასაბჭოების დასაწყისში. ამ პარტიაში შეიქნა ორი მიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთულება: მემარჯვენე და მემარცხენე ფედერალისტები. მემარცხენე ფედერალისტები თავის დროზე დადგენ საბჭოთა პლატფორმაზე და თავის გარშემო შემოკრიბეს 3 ათასამდე პარტიის წევრი. 1924 წ. ფედერალისტებმა პარტია დაშლილად გამოაცხადეს და საქ. კომპარტიის ც.კ. სთხოვეს, 300 ყოფილი მემარცხენე ფედერალისტების კომპარტიაში მიღება. საქ. კომ. პარტ. (ბ) ც.კ. საჭიროთ დაინახა მხოლოდ 35 კაცის მიღება.

ყრილობაზე აღინიშნა აგრეთვე პარტიის მიღწევები ანტი-რელიგიური მუშაობის დარგში. უკლონისტები, რელიგიასთან ბრძოლის საქმეში, იჩენდენ მემარჯვენეობას. ერთ-ერთ ბრალდებას შეადგენდა ის, რომ ც.კ. გარდა მემარჯვენეობისა ამ საკითხში ადგილი ჰქონდა მემარცხენე ნახტომებსაც. ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დირექტივებს გადააჭარბეს, უხეშად და მოუმზადებლად შეუდგნენ ეკლესიების დახურვას. ყრილობამ დაგმო ამ საქმეში, როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე გადახრა.

პარტიის რიცხვობრივი შემადგენლობა მესამე ყრილობის პერიოდში 20 პროც. იყო შემცირებული. ეს გარემოება აიხსნება იმ მიზეზით, რომ პარტიის წმენდა უკვე მეორხელ იყო გატარებული აქ. ამ დროს პარტიაში ახლად ჩარიცხულ წევრების და კანდიდატების ჩაუთვლელად ირიცხებოდა 11.618 კაცი. ამათგან 10.942 წევრი და 676 კანდიდატი. პარტიის სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო: 10.942 წევრიდან მუშების რიცხვი უდრიდა 2,363 (21,6 პროც.), გლეხები 5,781 (52,8 პროც.), მოსამსახურეები 2,581 (23,60 პროც.),

676 კანდიდატებიდან მუშები 64,2 პროც., გლეხები 14,8 პროც., მოსამსახურენი 18,3 პროც., დანარჩენი 2,7 პროც.

ნაციონალური შემადგენლობა ასეთი იყო:

ქართველები 7.584 (69,3 პროც.), სომხები 836 (7,60 პროც.), რუსები 977 (8,9 პროც.), ოსები 986 (9,0 პროც.), თურქები 104 (1,0 პროც.), და სხვა 455 (4,2 პროც.).

ყრილობაზე განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სასოფლო მეურნეობის, კოოპერაციის და სხ. სამეურნეო ეკონომ. საკითხებმა. როგორც ვიცით, მესამე ყრილობამდე ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო გატარებული მიწის რეფორმა. ამის გამო გლეხების დაფენება საქართველოში 1923 წლისათვის იძლეოდა შემდეგ სურათს: ღარიბი გლეხობა (ორ დესეტინა მიწამდე) შეადგენდა მთელი გლეხობის 30 პროცენტს. საშუალო გლეხობა (2—6 დესეტ.) 55 პროც., კულაკობა (5-60 დესეტ.) 15 პროც., მიწის რეფორმის და მიწადმოწყობის გატარების შემდეგ სურათი თვალსაჩინოდ შეიცვალა: ღარიბი გლეხობა (3 დის. მიწამდე) უკვე შეადგენდა 8,5 პროცენტს, საშუალო გლეხობა (3—5 დეს). 88 პროცენტს, ხოლო კულაკობა — 3.5 პროცენტს. (ცნობები ამოღებულია საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 1924 წ. საინფორმაციო მოხსენებიდან).

ყრილობამ მიიღო დადგენილება აგრეთვე სატყეო მეურნეობის საკითხზე. ვინაიდან სატყეო მეურნეობას საქართველოში დიდი პერსპექტივები ჰქონდა, ხოლო ხე-ტყის დამუშავების საქმე არ იყო მოწესრიგებული (ამ საქმეს ხელმძღვანელობდენ მთელი რიგი ორგანიზაციები), ყრილობამ საჭიროდ სცნო სატყეო მეურნეობის ხელმძღვანელობის კონცენტრაცია ერთი ორგანოს ხელში.

ყრილობის თვალწინ გადაიშალა აგრეთვე საქართველოში კოოპერაციის მდგომარეობის სურათი. სამომხმარებლო კოოპერაციას ამ დროს სერიოზული ყურადღება ჰქონდა მიქცეული. 1923 წ. სამომხმარებლო კოოპერაციის ქსელი საქართველოში წარმოადგენდა შემდეგ სურათს: კოოპერატიული ორგანიზაციების რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდენობა უდრიდა — 132, კოოპერატიულ დუქნების რაოდენობა— 799; სამომხმარებლო კოოპერაცია საქართველოში აერთიანებდა 106.077 წევრს. აღსანიშნავია, კერძოთ, ტფილისის მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა. კოოპ. დუქნების რაოდენობა უდრიდა 88, წევრთა რაოდენობა 13.163 კაცს. საპაიო კაპიტალი — 28.251 მან.

მესამე ყრილობამ სერიოზული ყურადღება მიაქცია აგრეთვე საქართველოს ორგანიზაციის შევსებას მუშათა კადრებით. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მუშათა რაოდინობა საქ. კომპარტიაში შეადგენდა 24,1 პროცენტს, გლეხები 50,6 პროცენტს, ხოლო მოსამსახურეები 25,3 პროც.

საჭირო იყო ფართო მუშაობის გაშლა მუშათა ბირთვის გასაძლიერებლად პარტიაში, რის შესახებ ყრილობამ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მისცა მტკიცე დირექტივა.

საქართველოს კომპარტიის მესამე ყრილობამ შეაჯამა რა ცეკას მუშაობა, მისი პოლიტიკური და საორგანიზაციო ხაზი სწორად იცნო, ხოლო მუშაობა სავსებით დამაკმაყოფილებლად. ამავე დროს ყრილობამ ცეკას წინაშე შემდეგი მნიშვნელოვანი ამოცანები დასახა:

1. „მომავალში პარტია უეჭველად დაცული იყოს შინაპარტიული ბრძოლის რეციდივისაგან, შეუძლებელი გახდეს ყოველგვარი უკან დახევა პროლეტარულ-ბოლშევიკურ პოზიციებიდან... საბოლოოდ ამოიფხვრას შინაპარტიულ გამწვავების შედეგები და მემკვიდრეობა და დამყარდეს პარტიაში ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობა - განწყობილება". პარტიის გაჯანსაღებისათვის და შინაპარტიულ ნამდვილ ერთსულოვანების განსახორციელებლად ყრილობას გადამწყვეტად მიაჩნია პარტიის შემადგენლობის პროლეტარული ელემენტებით განახლება.

2. ყრილობა აღნიშნავდა იმას, რომ პარტიამ ბევრი რამ გააკეთა და ბევრ რამეს მიაღწია ნაციონალიზმ-შოვინიზმის აღმოფხვრაში და მტკიცე ეროვნულ მშვიდობიანობის დამყარებაში, დაადგინა შემდეგშიაც განეგრძო მუშაობა საქართველოს რესპუბლიკაში შემავალ ეროვნულ უმცირესობათა სამეურნეო და კულტურული დონის ნამდვილი აწევისათვის იმ გზით, რომ გაეძლიერებინა ეროვნული (ქართული) კულტურა და განემტკიცებინა ს.ს.რ. კავშირი და ამიერ-კავკასიის ფედერაცია.

3. განმტკიცდეს და გაღრმავდეს გლეხობასთან მჭიდრო კავშირი, ამისათვის შეუდრეკლად განხორციელდეს ყველა დადგენილება სოფლად მუშაობის შესახებ, რომელთა მიზანს შეადგენს პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდსა და გლეხობის ფართო წრეების შორის ნამდვილი და მჭიდრო კავშირის დამყარება.

4. აღორძინდეს სამეურნეო მუშაობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კოოპერაცია და შინა-ვაჭრობა და განმტკიცდეს საბჭოთა, სამეურნეო, საპროფესიო და საკოოპერაციო ორგანიზაციებზე პარტიული ხელმძღვანელობა.

5. შემდეგშიაც გაგრძელდეს ანტისაბჭოთა პარტიების (კერძოთ მენშევიკების) გახრწნა, ყოფილ მენშევიკებს შორის გაძლიერდეს მუშაობა და მისი საუკეთესო ნაწილი გამოყენებულ იქნას ქვიყნის სამეურნეო და კულტურულ ფრონტზე წარმოებულ საბჭოთა აღმშენებლობაში".

მესამე ყრილობის შემდეგ მეოთხე ყრილობამდე საქართველოში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ გამოსვლას მენშევიკური პარტიის მეთაურობით, ამ აჯანყების მიზეზების და მისი შედეგების შესახებ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით შემდეგ წერილში.

**თენგიზ ჟღენტი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მენშევიკები და პროფკავშირები

## I.

სანამ შევეხებოდე საქართველოს მენშევიკების დამოკიდებულებას პროფკავშირებისადმი, საჭიროდ მიმაჩნია გაკვრით აღვნიშნო კერენსკის მთავრობის პერიოდის პროფესიონალური მოძრაობა და ის ზომები, რასაც ამ დროს მენშევიკ-ესერები მიმართავდენ, რომ აბობოქრებული მასების ტალღა შეეჩერებიათ და კაპიტალისტები და მუშები „შეეთანხმებიათ“.

თავდაპირველად შევეხოთ, თუ როგორ იდგა ეს საკითხი მთელი რუსეთის მასშტაბით.

როგორც ცნობილია, თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებშივე დაარსდა პროფესიონალური ორგანიზაციები თვით მუშების თაოსნობით. თითქმის ყველა ფაბრიკა-ქარხნებთან მოეწყო საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, ხოლო ქალაქებსა და საგუბერნიო ცენტრებში დაარსდა ცენტრალური ბიუროები. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან დაარსდა შრომის დაცვის განყოფილება, რომელიც პირველ ხანებში საკავშიროთაშორისო გაერთიანების ფუნქციებს ასრულებდა. ეს შრომის განყოფილებები აწყობდენ კავშირებს, ხელმძღვანელობდენ გაფიცვებს და შუამავლობას ეწეოდენ დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის [1].

კერენსკის მთავრობისა და მენშევიკურ-ესერული საბჭოების ასეთ პოლიტიკას, თავისთავად ცხადია, პროლეტარიატი ვერ შეურიგდებოდა. მისი ზედავლენით დროებითი მთავრობა იძულებული გახდა დაეწყო რაიმე ღონისძიებების გამონახვა. იგი შეუდგა მრეწველობის მოსაწესრიგებელ ღონისძიებების შემუშავებას [2].

ამ ღონისძიებათ მას მიაჩნდა ე. წ. ეკონომიური საბჭო. ამ საბჭოში უნდა შესულიყვნენ ბურჟუაზიის 9 წარმომადგენელი იმ სამინისტროებიდან, რომლებსაც ეკონომიურ ცხოვრებასთან ჰქონდა დამოკიდებულება და სამი წარმომადგენელი — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატებიდან, პროფკავშირებიდან და კოოპერაციიდან.

ასეთი იყო შემთანხმებლების გეგმა.

მაგრამ ბურჟუაზია იმითაც არ კმაყოფილდებოდა, რომ ეკ. საბჭოში უმეტესი თავისი წარმომადგენლები ჰყავდა. მან მოინდომა მუშათა ორგანიზაციებისათვის თავისი საკუთარი ორგანიზაციის დაპირისპირება. ამ მიზნით იგი თავდაპირველად ასუსტებდა მუშათა ორგანიზაციებს: სამსახურიდან ითხოვდა მრავალ მუშას, ვითომდა გაკოტრების მიზეზით, წარმოებებს ხურავდა და სხვ. ამას გარდა მთელს რუსეთში ფაბრიკანტები და მექარხნეები გაერთიანდენ. გაერთიანებაში შედიოდა 2.000 წარმო-

---

1) იხ. Истпроф. ВЦСПС, профес. союзы СССР в прошлом и настоящем 1905-1917, 1927 г.

2) იხ. იქვე, გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, რომლებშიაც 1.500.000 კაცი მუშაობდა.

როგორი მდგომარეობა იყო ამიერ-კავკასიაში და კერძოთ საქართველოში?

რევოლიუციის პირველ დღეებშივე დაარსდა აქ მუშათა ორგანიზაციები. სამწუხაროთ, არ მოგვეპოვება ყველა ცნობა იმის შესახებ, თუ რომელი პროფორგანიზაცია როდის დაარსდა. საილუსტრაციოთ მოვიყვანთ ტფილისის ზოგიერთ კავშირების დაარსების დროს.

ტფილისის მეთამბაქოეთა კავშირი დაარსდა 1917 წ. 1-ლ მარტს, ელექტრონზე მომუშავეთა — 1918 წ. მბეჭდავთა — 1917 წ. მარტში, მელითონეთა — 1917 წ. მაისში, სავაჭრო-მრეწველობის მოსამსახურეთა 1917 წ. მარტში, მზარეულების 1917 წ. 4 ივნისს, ხელზე მოსამსახურეთა 1917 წ. 1-ლ მაისს[1]), აქედან შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ პროფესიონალურ ორგანიზაციების ქსელი ჩქარა ვითარდებოდა ჩვენში.

პროფესიონალურ ორგანიზაციებს ერთი მთლიანი ხელმძღვანელი არ ყავდა პირველ ხანებში. საჭირო იყო ხელმძღვანელი ორგანოს დარსება. ამნაირ ორგანოთ ჩვენ გვევლინება ტფილისის პროფკავშირების სამდივნო, რომელიც უმეტესად შესდგებოდა მენშევიკური პარტიის წევრებიდან და, თავის თავად ცხადია, ატარებდა ამ პარტიის დირექტივებს.

როგორი იყო ეს დირექტივები?

ამ დირექტივების მიხედვით ისინი მიუთითებდენ პროფკავშირებს, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მათ შეესრულებიათ შუამავლობის როლი. მათი აზრით: „პროლეტარიატი, რომელიც კაპიტალიზმის რკალში იმყოფება და რომელსაც ძალაუფლება აქვს აღებული ხელში, კაპიტალისტურ სახელმწიფოს უნდა აშენებდეს. იგი მთავარ ყურადღებას უნდა აქცევდეს ეკონომიური საფუძვლის განვითარებას იმიტომ, რომ ეს საფუძველი სოციალიზმის განვითარების ერთად-ერთი პირობაა“[4]). ამნაირ გეზს აძლევდენ მენშევიკები პროფკავშირებს. მათი აზრით წარმოება ბურჟუაზიის დახმარებით უნდა ყოფილიყო აღდგენილი, რისთვისაც საჭირო იყო ბურჟუაზიასთან შეთანხმება და მასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა. ამგვარ შემთანხმებელ პოლიტიკას მალე აუღო ალღო რუსეთის პროლეტარიატმა, რომელმაც ოქტომბრის რევოლიუცია მოახდინა და თვითონ გახდა დიქტატორი.

ოქტომბრის რევოლიუციის პირველ ხანებში ა.-კავკასიის პროფესიონალურ ორგანიზაციებს კიდევ ჰქონდათ ურთიერთობა რუსეთის პროფკავშირებთან, მაგრამ ეს მდგომარეობა მალე შეიცვალა იმის გამო, რომ საბჭოთა ხელისუფლებას რკალით გარს შემოერტყა თეთრი არმია, რომელსაც გენერლები მეთაურობდენ და ამის გამო ა.-კავკასიის რევოლიუციონური პროფკავშირების დამოკიდებულება რუსეთის პროფკავშირებთან შეწყდა 1918 წლის იანვრიდან. აქვე საჭიროა აღინიშნოს ის ტაქტიკა, რომელსაც ატარებდენ იმ დროინდელი ა.-კავკასიის პროფკავშირების ხელმძღვანელნი რუსეთის პროფმოძრაობის მიმართ. ეს ტაქტიკა ჩამოყალიბდა 1917 წ. 26 დეკემბერს მოწვეულ კავკასიის პროფესიონალურ კავშირების პირველ საოლქო კონფერენციაზე. ამ კონფერენციის 82 დელეგატიდან 48 იყო მენშევიკი, 17 ბოლშევიკი, დანარჩენი კი სხვა პარტიებიდან[5]). თავისთავად ცხადია ეს კონფერენცია მიიღებდა შემთანხმებელი ხასიათის რეზოლიუციას და იგი მიმართული იქნებოდა პროფკავშირების ბოლშევიკური ტაქტიკის წინააღმდეგ. ამ კონფერენციის დე-

---

[1]) იხ. Сборник биржи труда.

[1]) იხ. გ. პიასეცკი, „პროფმოძრაობა საბჭოთა საქართველოში“.

[2]) Прот. I Кавказской Краев. Конф. Проф. союзов и т. д.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აზრი გამოთქმული იქნა **ტრეიმანის** მიერ კონფერენციის ოქმების წინასიტყვაობაში. „კონფერენციამ, — აღნიშნავდა იგი, — დაამტკიცა, რომ კავკასიის პროლეტარიატი არ არის დავადებული რუსეთის სახალხო მეურნეობის დაუყოვნებლივ სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნის განუხორციელებულ ოცნებით და მტკიცედ აქვს შეგნებული მწარე ჭეშმარიტება კაპიტალისტთა კლასთან ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის აუცილებლობა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის კაპიტალისტური წეს-წყობილების ჩარჩოებში“.

რასაკვირველია, ამ კონფერენციის ბოლშევიკი დელეგატები სასტიკათ გაილაშქრებდენ შემთანხმებბლური ტაქტიკის წინააღმდეგ. ბოლშევიკები მოითხოვდენ მუშათა კონტროლის დაწესებას და სხვა რადიკალურ ღონისძიებებს [1]).

ამგვარმა აზრთა დაპირისპირებამ გამოიწვია ის, რომ ნაწილი ბოლშევიკებისა იძულებული გახდენ კონფერენცია დაეტოვებიათ და პროტესტი განეცხადებიათ ამნაირ შემთანხმებელ ტაქტიკის წინააღმდეგ [2])

ამ კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომ დაარსებულიყო ამიერ-კავკასიის პროფესიონალური კავშირების საოლქო საბჭო, რომელშიაც უმეტესად მენშევიკები იქნენ არჩეულნი. მართალია საბჭო კავშირების ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ სინამდვილეში ემხრობოდა სოც.-დემ. პარტიის მენშევიკების ტაქტიკას, და, რადგან იგი ბრძოლას აწარმოებდა ოქტომბრის რევოლიუციის წინააღმდეგ, ამიერ-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოც დაადგა ამნაირ გზას

ეს ბრძოლა უფრო ადრე იყო დაწყებული, ვიდრე ამიერ-კავკასიის პროფკავშირების ხელმძღვანელი ცენტრი დაარსდებოდა.

ა.-კავკასიის კომისარიატის დაარსებისთანავე დაიწყო პირველი შეტევები რუსეთის პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობის წინააღმდეგ.

ამ.-კავკ. აღიარებულ იქნა ცალკე, დამოუკიდებელი ხელისუფლება. თავისთავად ცხადი იყო, არც პროფორგანიზაციებს მისცემდენ ნებას, რომ მთავრობის საწინააღმდეგოთ ემოქმედნათ და ყოველმხრივად ცდილობდენ, რომ პროფორგანოებში „თავისი“ ხალხი ჰყოლოდათ. რასაკვირველია, ამის წინააღმდეგ იბრძოდა ბოლშევიკი წარმომადგენლები, რომლებიც ყოველმხრივ ილაშქრებდენ ამიერ - კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ და მოუწოდებდენ ყველა მუშათა ორგანიზაციას მხარი დაეჭირათ რუსეთის პროლეტარული რევოლიუციისათვის.

ა.-კავკასიის ხელისუფლება ვერ შეიქნა ისეთი „მტკიცე“, როგორც პირველ ხანებში მისი მესვეურები ფიქრობდენ. ამ.-კავკასია დაიყო სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. თავისთავად ცხადია, ვერც ეს ზომა უშველიდა შექმნილ მდგომარეობას. ახლად დაარსებულ ცალკე რესპუბლიკების მთავრობებმა, რომლებიც მარტო ეროვნული გრძნობებით ჰკვებავდენ პროლეტარიატს, სავსებით დაივიწყეს კლასობრივი ინტერესები და მოექცენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტების სრულ გავლენის ქვეშ.

ცალკე რესპუბლიკების დაარსების შემდეგ ამიერ - კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო განაგრძობდა არსებობას, თუმცა მას ფაქტიურათ არაფერი გაუკეთებია: არ გამოსულა ამიერ - კავკასიის პროლეტარიატის დაქსაქსვის წინააღმდეგ და სხვ.

ა.-კავკასიის პროფკავშირთა საბჭოს დაარსებიდან თითქმის წელიწად ნახევრის გასვლის შემდეგ დადგა საკითხი ა.-კავკასიის პროფკავშირების ყრილობის მოწვევის შესახებ. ამ სა-

---

[2]) რადგანაც წერილობითი იმდროინდელი მასალა ვერ აღმოვაჩინეთ, ვსარგებლობ ამხ. მინასის ზეპირი მოგონებით.

[2]) იხ. იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია: ბაქოს პროფკავშირები მოითხოვდენ, რომ ყრილობა ბაქოში მოეწვიათ, ტფილისის კი ტფილისში. დაბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ყრილობა მოწვეულიყო ტფილისში 1919 წ. 11 აპრილს. თუ რას ამბობდენ ბაქოს მუშები, ამისათვის მოვიყვანოთ ამხ. **მიქოიანის** სიტყვის, რომელიც მან, როგორც ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენელმა, წარმოსთქვა ამ ყრილობაზე.

„მიქოიანი მოუწოდებს საქართველოს პროლეტარიატს თავი დააღწიოს ვიწრო სახელმწიფოებრივ ჩარჩოებს და გამონახოს ის გზები, რომლებიც შეაკავშირებს მას სხვა ქვეყნის მუშათა კლასთან. ბაქოს პროლეტარიატი ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ასეთი შეკავშირება მოხდეს. ბაქოს პროლეტარიატი და ბურჟუაზია ორ მოწინაალმდეგე ბანაკათ არიან დარაზმული და მზათ არიან ყოველ წუთს ერთი - ერთმანეთს ეკვეთონ, ელიან მხოლოდ ხელსაყრელ პირობებს. ამ პირობებში ერთი წუთითაც კი შეუძლებელია ხელმძღვანელების მიერ ბაქოს დატოვება, რადგან შესაძლებელია ინგლისის სარდლობა ჩაერიოს საქმეში და გამარჯვება ბურჟუაზიას დარჩეს. ბაქოელების ტფილისში ჩამოსვლას ხელს უშლის აგრეთვე უსახსრობაც. მიუხედავათ ყველა ამ საპატიო მიზეზებისა, ბაქოელებმა გადასწყვიტეს ტფილისში ჩამოსვლა, და ეს განხორციელდებოდა, რომ ჩვენს შორის პრინციპიალური განხეთქილება არ მომხდარიყო დღის წესრიგის შესახებ. ბაქოს პროლეტარიატი ფიქრობს, რომ შეუძლებელია წმინდა პროფესიონალური საკითხების გადაწყვეტა იმ დრომდე, ვიდრე პოლიტიკური კითხვები არ იქნება გადაწყვეტილი და ამიტომ ბაქოს პროლეტარიატი მოითხოვდა დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო კითხვა პოლიტიკური მომენტის შესახებ [1]).

ამ ყრილობამ, რომელზედაც 198 (182 გადამწყვეტი, 16 სათათბირო) დელეგატი დაესწრო, მოისმინა არსენიძის მოხსენება პოლიტიკურ მომენტის შესახებ, რომელიც გაჟღენთილი იყო ბოლშევიკიზმისადმი ცილისწამებით.

ამ ყრილობიდან იწყება ოფიციალურად საქართველოს პროფკავშირების სავსებით ჩამოცილება მეზობელ სახელმწიფოების პროფკავშირებიდან და მისი დაახლოება ყვითელ ინტერნაციონალთან.

## II

როგორც ვიცით, მენშევიკური მთავრობის მთელი ყურადღება მიქცეული იყო იქითკენ, რომ რამენაირათ ძალაუფლება შეენარჩუნებიათ და ამისათვის არ ზოგავდენ არავითარ საშუალებებს, ისინი ცდილობდენ ყოველგვარ ორგანიზაციაში, მუშური იქნებოდა თუ სხვა, „თავისი“ ხალხი ყოლოდათ, მაგრამ ამათ, მათი შერყეული მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდებოდა, მშრომელი მასები მოითხოვდენ რადიკალურ ზომებს. მთავრობის მესვეურები კი შემრიგებელ პოლიტიკას ადგენ. მათ მეთვალყურეობის გარეშე ვერც პროფკავშირები დარჩენ. ისინი მთავარ ძალას კავშირებში ხედავდენ და ამიტომ მოინდომეს რაც არ უნდა დაჯდომოდათ ყველა პროფკავშირის „მეთაურად“ თავისი კაცი გაეყვანათ. ამას კიდევ იმიტომ სთვლიდენ აუცილებლათ, რომ მათ სურდათ მეურნეობის „აღდგენა“ პროფკავშირების საშუალებით. ამიტომ ისინი პროფკავშირების ახალ და საყურადღებო ამოცანათ სთვლიდენ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას მეურნეობის აღ-

---

[1]) იხ. საქ. პროფკავშ. პირველი ყრილობის ოქმები 1919 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენისათვის. მაგრამ ვინაიდან კერძო საკუთრება არსებობდა და ფაბრიკები და ქარხნები ბურჟუაზიის ხელში იყო, მენშევიკები ასე მსჯელობდნენ: ბურჟუაზიას არ სურს მრეწველობის აღდგენა. მისთვის უმჯობესია გასწიოს სპეკულიაცია უკონტროლოდ და ურისკოთ, ვიდრე გახსნას საწარმოო დაწესებულებანი, რომლებიც მას დიდ მოგებას არ მისცემენ. მაშასადამე, მეურნეობის განვითარებაში ბურჟუაზია კი არ არის დაინტერესებული, არამედ მუშათა კლასი და მისი პროფესიონალური კავშირები. მეურნეობის აღორძინების პროგრამა გადაჭრილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მუშები შრომის ნაყოფიერებას გაადიდებენ [1]).

რასაკვირველია, ასეთი მსჯელობა ბურჟუაზიის დამცველ პარტიას შეეძლო. მენშევიკებმაც დაიწყეს პროფკავშირების „ახალ და საყურადღებო“ ამოცანების შესრულება. რა მოჰყვა ამ ტაქტიკას? ამას მოყვა ის, რომ მშრომელი მოსახლეობა მუშა-მოსამსახურე, ხელოსნები და გლეხობა ჩავარდნენ გამოუვალ მდგომარეობაში. სამუშაო ხელფასი მეტად დაეცა და თითქმის არარაობამდე მიაღწია. ამის დასამტკიცებლად ზედმეტი არ იქნება, თუ თვით მაშინდელი მთავრობის ერთ-ერთ წევრის — შრომის მინისტრის გ. ერაძის მოხსენებიდან მოვიყვანთ რამოდენიმე ადგილს. აქედან ცხადი გახდება, როგორ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი მუშათა კლასი და საერთოდ მშრომელი მოსახლეობა.

აი რას გვეუბნება **გ. ერაძე.**

„ძველათ მუშათა პროფესიონალურ კავშირების მოღვაწეობაში, მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში დიდი ადგილი ეჭირა ბრძოლას სამუშაო ხელფასთა გასადიდებლათ. მუშათა კლასი ყოველთვის ცდილობდა ზედმეტი ღირებულების შემცირებას სამუშაო ხელფასის გადიდებით...

„საქართველოს მუშათა კლასი განიცდის დღეს მეტად მძიმე და მწვავე ეკონომიურ კრიზისს... მისმა სიღარიბემ და სიღატაკემ მიაღწია უკანასკნელ საფეხურს, რომლის იქითაც მოსალოდნელია სწრაფი და მძლავრი პროცესი ჩვენი კლასის ფიზიკურ გადაგვარების და განადგურების. არც ერთი დემოკრატიული კლასი, ან ჯგუფი ჩვენი საზოგადოებისა არაა ისეთ უმწეო მდგომარეობაში, როგორშიაც ქალაქის მუშა - მოსამსახურენი...

უმრავლესობა ქალაქის მშრომელ მასისა ამ უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში განიცდის სისტემატიურ შიმშილს... ავეჯეულობა, ძველი ტანსაცმელი, ლოგინი და სხვა საოჯახო ნივთები, რაც კი გააჩნდათ ძველი ნაამაგარი და ნაჭირნახულევი უკვე გაიტანეს ოჯახიდან და გაჰყიდეს. ტანზე და ფეხზე ყველაფერი დაეგლიჯათ და შემოაცვდათ. ბევრს პერანგი არ აცვია ტანზე. ჭუჭყიანი, დაგლეჯილი და დაფლეთილი ძველ ძონძებში დაიარებიან როგორც შინ, ისე გარეთ. ბევრი მუშის ოჯახიდან ბავშები სკოლაში აღარ დადიან ფეხსაცმელისა და ტანსაცმელის უქონლობის გამო. ყოველგვარი ავადმყოფობა და სნეულება მატულობს და ამ ნიადაგზე მუშათა ოჯახში სიკვდილი თანდათან გახშირდა.

ჩვენ გვაქვს ცნობები ტფილისის მართლმადიდებელთა ეკლესიის უწყების, რასაკვირველია, ეს ცნობები არაა სავსებით სწორი და სრული, მაგრამ იგი მაინც ნათელს ჰყოფს, თუ რამდენათ იმატა სიკვდილმა მცხოვრებლებში. ტფილისის თექვსმეტ მართლმადიდებელ ეკლესიაში 1914 წელს ითვლებოდა მრევლში 19375. აქედან ამ წელიწადში გარდაიცვალა 790 სული, რაიც შეადგენს მრევლთა რიცხვის 4,11%. 1918 წელს კი მოიილოთა რიცხვი იყო 19212. აქედან გადაცვლილია 1159 სული ესე

[1]) იხ. გ. პიასეცკი „პროფმოძრაობა საბჭოთა საქართველოში გვ. 10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი 6,03%. ჩვენ ვიცით, რომ საერთოდ ეს მრევლი შესდგება ღარიბ მცხოვრებთაგან. აქედან თქვენ დაინახავთ, რომ უდიდესი პროცენტი სიკვდილისა მოდის ღარიბ მცხოვრებლებზე.

ამის მიზეზი კია სიმშილი და გაჭირვება, რომელიც მეტად გაიზარდა ამ უკანასკნელ ხანებში.

...1914 წლის წლიური ბიუჯეტი მუშისა უდრიდა 750 მანეთს, ხოლო 1919 წელს მუშის შემოსავალი უნდა უდრიდეს 61.560 მანეთს[1]), რომ მუშას შეეძლოს ძველ პირობებში ცხოვრება.

მაგრამ კიდეც რომ მოუმატოთ ყველა მუშებს ჯამაგირი და გაუხადოთ თვითეულ მათგანს 61 ათასი მანეთი წელიწადში. ეს საქმეს მაინც ვერ შველის, რადგან ამ მომატებას მოჰყვება ახალი გაძვირება საქონლის.

1914 წლიდან 1919 წლის სექტემბრამდის ცხოვრება გაძვირდა 75,4-ჯერ, ხოლო სამუშაო ხელფასი 21-6-ჯერ[2]).

აქ მოყვანილ გრძელ ამონაწერს კომენტარიები აღარ ესაჭიროება. ალბათ თვით მკითხველი განსჯის მუშათა მაშინდელ მდგომარეობას. ოღონდ საჭიროა აღვნიშნოთ, თუ როგორ უყურებდა ამას მშრომელი მოსახლეობა და რა ზომებს იღებდა.

ამნაირ სიღატაკესა და გაჭირვებას მოჰყვა მშრომელთა დიდი მღელვარება და უკმაყოფილება. ჩვენ ვხედავთ უამრავ გაფიცვებს. დიდი გაფიცვები მოეწყო ტფილისის თვითმართველობაში, ფოსტა - ტელეგრაფის დაწესებულებებში, სასწავლებლებში და სხ. მენშევიკებმა დაარსეს შემთანხმებელი ორგანო — სატარიფო პალატა. რასაც ეს პალატა დაადგენდა სავალდებულო იყო. ამ პალატაში კი ისხდენ მენშევიკები. ასე რომ ისინი ასრულებდენ თავიანთი ამხანაგების — მთავრობის მესვეურთა — სურვილს, თუმცა სატარიფო პალატა სავსებით „ნეიტრალურ" დაწესებულებათ ითვლებოდა.

პროფკავშირებშიც დიდი უკმაყოფილება დაიბადა. მუშური კავშირები, როგორც არის: მელითონეთა, მეტყავეთა, მბეჭდავთა, ფეიქართა, ელექტრონზე მომუშავეთა და მეპურეთა ოპოზიციაში ჩაუდგენ მაშინდელ პროფკავშირების საბჭოსა და მთავრობის პოლიტიკას. ისინი მოითხოვდენ მუშათა კონტროლის დაწესებას, მუშათა და ბურჟუაზიის შემთანხმებელ ორგანიზაციების მოსპობას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. ასეთი მოთხოვნების წინააღმდეგ მთავრობამ აამუშავა ყოველგვარი ზომები. მან დაარსა განსაკუთრებული სამეული, რომელშიაც შედიოდა შინ. საქ. სამინისტრ., პროფკავშირთა საბჭოს და საგანგებო რაზმის წარმომადგენლები. პროფკავშირების წარმომადგენლის საშუალებით შინაგან საქმეთა სამინისტრო ტყობილობდა, თუ რომელი კავშირი ეწეოდა რევოლიუციონურ მოთხოვნების წაყენებას და ამ კავშირის მეთაურებს სასწრაფოდ აპატიმრებდა საგანგებო რაზმი.

როდესაც მენშევიკური პროფკავშირები ამდაგვარ გამყიდველ გზას დაადგენ, საჭირო შეიქნა ისეთი არალეგალურ რევოლიუციონური ცენტრის დაარსება, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევდა საქართველოს რევოლიუციონურ მუშათა პროფესიონალურსა და პოლიტიკურ მოძრაობას. ასეთი საქმე, რასაკვირველია, მეტად ძნელი იყო, მაგრამ მაინც შესაძლო შეიქნა მუშათა არალეგალური ცენტრის დაარსება. ცენტრი დაარსდა 1919 წელს. ეს ცენტრი შესდგებოდა უმთავრესად შემდეგი რევოლიუციონური კავშირების—მელითონეთა, მეტყავეთა, მბეჭდავთა,

[1]) იხ. ანგარიშები საქ. სახ. რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა დელეგატების მეორე ყრილობისა 1920 წ. ერაძის სიტყვა საქ. რესპუბ. მუშ. კლასის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ გე. 111.

[2]) მენშევიკური ბონებით. ბ. მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რკინის გზელთა, მკერავთა, ელექტრონზე მომუშავეთა, მეპურეთა და ფარმაცევტების წარმომადგენელთაგან. მელითონეთა კავშირიდან ცენტრში შედიოდენ ამხ. მაჩაიძე, ოდილავაძე; მეტყავეთა არჩვაძე; მბეჭდავთა—კარპი; რკინის გზელებიდან — ცხვედაძე; მკერავებიდან — ასიტოვი: ელექტრონზე მომუშავეებიდან— ნ. კიკნაძე, მაშკიძიჩი; მეპურეებიდან — სირაძე; ფარმაცევტებიდან—გალ. ნუცუბიძე; არსენალის მუშებიდან — ილიკო სალიაშვილი; ტრამვაიდან — ისაკა არუთინოვი და სხვ.

ამ ცენტრმა ხელმძღვანელთა რამდენიმე წყება გამოიცვალა მათი დაპატიმრების გამო. არალეგალურ ცენტრის თავმჯდომარეთ იყო პირველათ ამხ. ნ. კიკნაძე, ამის მოადგილეთ ამხ. კ. ოდილავაძე და მდივნათ გალ. ნუცუბიძე. ნიკო კიკნაძის დაპატიმრების შემდეგ თავმჯდომარეთ იყო ამხ. ბ. მაჩაიძე, მის შემდეგ დიმ. ბურჯანაძე.

თავისთავად ცხადია არალეგალურ ცენტრს მეტად რთულ პირობებში უხდებოდა მუშაობა, რადგან მის ხელმძღვანელებს და მომუშავეებს თითქმის სულ მოკლე ხანში იჭერდენ. ამდაგვარათ იყვენ დაპატიმრებულნი: ამხ. ოდილავაძე, ბ. მაჩაიძე, ნ. კიკნაძე, ლავ. მორჩილაძე, ბურჯანაძე, მ. მაშკევიჩი და მრავალი სხვა. მიუხედავათ ამისა მაინც გაჩაღდა მუშაობა.

როდესაც საბჭოთა მთავრობასა და მენშევიკურ მთავრობას შორის დაიდვა ხელშეკრულება, შესაძლებელი გახდა უფრო გაბედულათ მუშაობის წარმოება. მაგრამ არც აქ ეძინათ მტრებს. მათ ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ოპოზიციონური კავშირები დაექსაქსათ და სათავეში თავისი ხალხი ჩაეყენებიათ. ეს კიდევაც მოახერხეს და საგანგებო რაზმის საშუალებით შესძლეს თავიანთი კაცების დაყენება, მაგრამ აღარ დასცალდათ.

აქ ნათქვამი უმთავრესათ ეხებოდა ტფილისს.

როგორი იყო მათი ტაქტიკა პროფკავშირებისადმი პროვინციაში?

შესაძლებელია ითქვას, რომ მათი ტაქტიკა პროვინციალურ პროფკავშირებისადმი იგივე იყო, რაც ტფილისში. იგივე დაპატიმრება, გადასახლება, დახვრეტა და სხვ. მაგრამ მათმა „მოღვაწეობამ“ უმაღლეს წერტილს მიაღწია აჭარისტანში.

როგორც ვიცით, ამ დროს აჭარისტანი პირველათ ოსმალების და შემდეგ ინგლისელების ხელში იყო. აქ ხდებოდა დიდი ბრძოლა მუშებსა და ინგლისელ ოკუპანტებს შორის.

აი როგორ აგვიწერს ამხ. მარკმანი ამ ბრძოლას:

„1920 წლის დასაწყისი ხასიათდება რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერებითა და გაღრმავებით ბათომში. ასეთი მდგომარეობა აიხსნება... იმ გარემოებით, რომ შესაძლებელი გახდა კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტთან მჭიდრო კავშირის დაჭერა რამოდენიმე პასუხისმგებელ ამხანაგის (სერგო კორძაზე—გებული, მ. ბელენკი და სხვები) და აგრეთვე რევოლიუციონურ მუშაობისათვის საჭირო სალსრების მიღებით.

ბრძოლა საოკუპაციო ხელისუფლებასთან ამ დროს ყოველთვის მუშების გამარჯვებით თავდებოდა. ქართველ მენშევიკებთან ბრძოლაში კომუნისტები გამარჯვებულნი გამოდიოდენ. ამის მიზეზი ის იყო, რომ მასიბი კომუნისტებს თანაუგრძნობდენ, განსაკუთრებით ეს გარემოება გამოაშკარავდა მაისის პირველს, როცა ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც მაშინ მთლიან ფრონტზე გაჰყვიროდენ და მის დარღვევას ბოლშევიკებს აბრალებდენ თავზე, მოისურვეს პირველი მაისობა ბოლშევიკების გარეშე ედღესასწაულათ. მათ მოწოდებაზე დაგროვილიყვენ დანიშნულ ადგილზე — გამოცხადდა სულ 10-15

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი; მათ შორის არც ერთი მუშა არ ყოფილა[1]).

ასეთ როლს ასრულებდენ მენშევიკები მუშათა პროფმოძრაობაში.

არა ნაკლები „ღვაწლი“ მიუძღვით მათ ბათომის პროფკავშირთა საბჭოს წევრების ინგლისელების მიერ დაპატიმრებასა და სტამბოლში გადასახლების საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, ინგლისის გენერალ-გუბერნატორი ბათომის ოლქში საშინელ რეპრესიებს მიმართავდა იმის გამო, რომ მუშები თავიანთ მოთხოვნებს უყენებდენ დამქირავებლებს. ამ დროს ინგლისის მმართველობამ ბათომის შავი რეაქციის ძალები დააყენა ფეხზე. მუშებმა დაარსეს რევოლიუციონური პროფკავშირები და პროფკავშირთა საბჭო. რასაკვირველია ინგლისელებს არ გამოეპარათ ეს. მათ მოინდომეს თავიდან მოეცილებიათ პროფკავშირთა საბჭოს ხელმძღვანელები და კიდევაც შესძლეს ეს. მათ დააპატიმრეს ბათომის პროფკავშირთა საბჭო და გადაასახლეს სტამბოლში.

როგორი იყო ამ დროს მენშევიკების როლი? მოინდომეს თუ არა მათ პროფკავშირების დაპატიმრებულ ხელმძღვანელთა უკან დაბრუნება, ანდა გაფიცულ მუშებისადმი მიმხრობა?

რასაკვირველია, არა!

ამის დასასაბუთებლად მოვიყვანოთ ციტატა იმავე ამხ. მ. მარკმანის მოგონებიდან.

„იმ ამხანაგებმა, — სწერს ამხ. მარკმანი, „ რომლებიც დაპატიმრებას გადარჩენ, გადასწყვიტეს ინგლისელებისათვის ამ გამცემლობაზე პასუხი გაეცათ საყოველთაო გაფიცვის გამოცხადებით. წარსული წლის მაგალითი, როდესაც ერთსულოვანი გაფიცვით ვაიძულეთ ოკუპანტები გაენთავისუფლებიათ დაპატიმრებული ამხანაგები და გაერეკათ ბათომის ოლქის მართველი შავზაზმელთა საბჭო, გვაძლევდა მტკიცე რწმენას, რომ ახლანდელი გაფიცვაც ბრწყინვალედ დასრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გაბატონებული იყო ტერორი და პროფესიონალური და პარტიული აქტივის უმრავლესობა იყო დაპატიმრებული, გაფიცვა მაინც კარგად მოეწყო... მენშევიკებს რევოლიუციონურ აღტყინების ხანაში არავითარი გავლენა არ ქონდათ, იმათ ვერ შეიძლეს კომპარტიის გავლენის ოდნავაც შესუსტება პროფკავშირებში დარაზმულ პროლეტარიატზე, და ახლა ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ რეაქცია მძვინვარებდა და გააჩაღეს საზიზღარი მუშაობა გაფიცვის ჩასაქრობად, რაც მოახერხეს კიდეც[2])..

ამგვარი „ღვაწლი“ მიუძღვის მენშევიკებს მუშათა პროფესიონალურ მოძრაობაში.

**ბ. მაჩაიძე.**

---

[1]) იხ. მარკმანი—„პროფმოძრაობა ბათუმში 1920 წ.“ ჟურ. „შრომა“ № 9 1927 წ.

[2]) იხ. ჟურ. „შრომა“ № 12, „ოკუპანტების ხაფანგში“, 1927 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოქტომბრის რევოლიუციის შეფასება იმ დროის ქართულ პრესაში

მეტად საგულისხმიერო მოვლენას წარმოადგენს ბრძოლა ოქტომბრის რევოლიუციისათვის საქართველოში. დღიდან ამ რევოლიუციის დაწყებისა პეტროგრადში, ერთ წუთსაც არ სწყდება ბრძოლა მის სასარგებლოდ ან საზარალოთ. თვით მის სამზადისსაც თავისებურად ეხმაურებიან საქართველოში მომქმედი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ადრევე ითვალისწინებენ როგორც მის მოსალოდნელ შედეგებს, აგრეთვე თავის მომავალ სამოქმედო გეზს. მეტად უსწორო პირობებში სწარმოებდა ეს ბრძოლა. მენშევიკები გაბატონებულ პარტიებს წარმოადგენდენ. ძალაუფლებით აღჭურვილნი, ინტელიგენტური ძალებით მდიდარნი, ნივთიერ საშუალებებით მომარაგებულნი ისინი თავის გავლენის ქვეშ აქცევდენ მუშათა კლასის და გლეხობის უმრავლესობას, თვით ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამტარებელნი — ისინი თავის ნება - სურვილს უკარნახებდენ თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიებს გარდა ბოლშევიკებისა.

ჩვენ აზრათ არა გვაქვს გამოვსახოთ ეს მრავალფეროვანი და შინაარსით მდიდარი ბრძოლა მის დამახასიათებელ მომენტებში. ჩვენ აღვნუსხავთ მხოლოდ, რა გამოხატულება პოვა მან ლიტერატურაში და განსაკუთრებით ყოველდღიურ პრესაში. აქ თვალსაჩინოდ გადაიშლება ერთი მეორის მოწინააღმდეგე სურათი: აღვირახსნილი დემაგოგია მენშევიკების მხრივ და პრინციპიალურ სიმაღლეზე დგომა ბოლშევიკებისა. ყველაზე უკეთესი პოზიცია პრინციპიალური პოზიციაა — ამ დევიზს ერთგულად შერჩენ საქართველოში მომქმედი ბოლშევიკებიც, მიუხედავათ მრავალი არა ხელშემწყობ პირობებისა. მეორეს მხრივ, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამომწურავად არ ყოფილიყოს გაშუქებული თავ-თავისებური თვალსაზრისით. ქართველ მკითხველს შეძლება ქონდა გასცნობოდა ბოლშევიზმს, სანამ ბოლშევიზმი აქაც ძალაუფლებით შეიმოსებოდა. მართალია, სასტიკი ზომები იყო მიღებული ბოლშევიზმის იდეური გავლენის წინააღმდეგ, ამ ზომებს სისტემატიური მუყაითობით ანხორციელებდენ მენშევიკები, და ამის გამო ოქტომბრის რევოლიუციის იდეები, მათი დასაბუთება და პოპულიარიზაცია ვერ სწვდებოდა იმ მასას, რომელიც მას მოწყურებული იყო, მაგრამ მარტო იდეების გავრცელება რა გინდ ფართო და მრავალმხრივი ყოფილიყოს იგი, ვერ შესცვლიდა ძალთა ურთიერთობას. იდეურად დამარცხებული მენშევიკები განაგრძობდენ ფართფაშს, რადგან მათ ეხმარებოდა გარეშე ძალები: საქართველო მოიარეს და თავის ღვიძლ საქმედ გამოაცხადეს არა მარტო მეორე ინტერნაციონალის ლიდერებმა, არამედ ანტანტის და მის მოწინააღმდეგე ყველა ჯარებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ პირობებში მენშევიკებმა შესძლეს ის, რაც უაზრობათ ეჩვენება ყოველ გონიერ ადამიანს: მათ შეათავსეს თავისი თავის გაკოტრებულად გამოცხადება და ძალაუფლების შენარჩუნება. აქ თვალნათლივ ჩანს, რომ ბრძოლა არ ამოიწურება კრიტიკის იარაღით, იგი უნდა დაასრულოს იარაღით კრიტიკამ. საქართველოს გასაბჭოება გამარჯვება იყო დიდი ხნით ადრე იდეურად გამარჯვებული ბოლშევიზმისა.

მენშევიკები დღესაც განაგრძობენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას, განაგრძობენ საერთაშორისო მასშტაბით. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილია გავიხსენოთ მათი იდეური ავლადიდება მათი ძლიერების უმწვერვალეს ხანაში და დავუპირდაპიროთ მას მაშინ დევნილი პარტიის — ბოლშევიკების შეურიგებელი ბრძოლა.

## 1) ოქტომბრის რევოლიუციის სამზადისი

ბოლშევიზმის გააფთრებულმა ბრძოლამ ყველა მოპირდაპირე პარტიათა წინააღმდეგ ოქტომბრის წინა კვირეებში თავისი გამოხატულება პოვა მთელ რიგ ისტორიულ წერილებში, რომელიც ლენინის კალამს ეკუთვნიან. ეს წერილები დაუყონებლივ გადმოთარგმნილი და დაბეჭდილი იყო ქართულ ბოლშევიკურ პრესაში, მიუხედავათ ამ პრესის ყოველმხრივი ხელმოკლეობისა.

ლენინის ცნობილი ნაშრომი „Грядущая катастрофа и как с ней бороться“, რომელიც თვით პეტროგრადში ცალკე ბროშურად გამოვიდა ოქტომბრის დამლევს, იბეჭდება ბოლშევიკურ „ბრძოლაში“ ამ სათაურით: „მომავალი კატასტროფა და მასთან ბრძოლა“. ამ ნაწარმოების პირველი ნაწილი მოთავსებულია უკვე ოქტომბრის ბოლო ნომერში, ხოლო თავდება იგი 25 ნოემბრის ნომერში (მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ „ბრძოლა“ ოქტომბრის ბოლომდე ყოველ კვირეული გაზეთი იყო, პირველ ნოემბრიდან კი თუმცა იგი ყოველდღიურ გაზეთად იქცა, მაგრამ მეტად მცირე ფორმატის გაზეთს წარმოადგენდა).

უფრო საყურადღებოა, რომ ლენინის წერილი „Кризис назрел“ რომელიც პირდაპირ საომრად რაზმავდა პარტიას და დაიბეჭდა „Рабочий Путь“-ის 7 ოქტომბრის ნომერში გადმოთარგმნილია და დაბეჭდილია „ბრძოლაში“ 22 ოქტომბრის ნომერში; მართალია 7-დან 22 ოქტომბრამდე 15 დღის მანძილია, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ თბილისში პეტროგრადის გაზეთი ერთ კვირაზე ადრე ვერ მოაღწევდა, ქართული გაზეთი კი ყოველკვირეული იყო, უნდა დავასკვნათ, რომ წერილი, დროის გაუცდენელად, გაზეთის უახლოეს ნომერშია გაშვებული.

ამით არ ამოიწურება ოქტომბრის რევოლიუციის სამზადისის გამოხმაურება ქართულ ბოლშევიკურ პრესაში. ეს პრესა საკუთარი ძალღონითაც მტკიცედ იცავდა ბოლშევიზმის სიწმინდეს და თავდაუზოგავად ეკვეთებოდა მტერს მაშინაც, როდესაც მთელი პარტიის საქმე დიდ თავდასხმას განიცდიდა. როდესაც ლენინი გერმანიის აგენტათ გამოაცხადეს და მის დასაჭერად ორდერი გამზადეს, „ბრძოლა“ ათავსებს ვრცელ წერილს, სადაც პრინციპიალური შეურიგებლობით ასაბუთებს ბოლშევიზმის კლასობრივ პოზიციას და თან სამარცხვინო ბოძზე აკრავს ლენინის წინააღმდეგ გამოლაშქრებულ დემაგოგთა ბრბოს. ეს წერილი დაბეჭდილია 16 ივლისის (1917 წ.) ნომერში ამ სათაურით: „ყველანი ჩვენს წინააღმდეგ“. ეს წერილი აშკარაიბს ოქტომბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის წინა პერიოდში დამარცხებულ სულიერ განწყობილებას, რომელიც შემდეგშიაც ფეხდაფეხ მოსდევდა სატახტო ქალაქების ბოლშევიკურ ორგანიზაციათა მაჯის ცემას. მოგვყავს ამ წერილიდან ზოგიერთი ადგილი:

...„ნიშახში ამოიღეს ბოლშევიკების ბელადი ლენინი და რაც მან თავისი შეურიგებელი რევოლიუციონერობით სისხლი გაუფუჭა გათახსირებულ ბურჟუაზიას, მოინდომეს ყველა ეს ერთად გადაეხდევინებინათ მისთვის.

ვინ არის ლენინი? ეს შეურიგებელი რევოლიუციონერი კი არ არის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე რევოლიუციას შესწირა, რომლის მთელი ფიქრი მუდამ რევოლიუცია იყო, რომლის მთელ საზრუნავს მუდამ პროლეტარიატის ინტერესები შეადგენდა, რომელსაც ვერ ღალავს დღე და ღამის განუწყვეტელი მუშაობა რევოლიუციის და ხალხის საკეთილდღეოდ. არა, ლენინი — ეს გერმანიის აგენტია, ფულით შესყიდული არამზადაა, რომელსაც არაფერი წმინდა არ გააჩნია, არავითარი რწმენა არ მოეპოვება; ის გერმანიისაგან შემოჩენილია, მოქმედებს გერმანიის სასარგებლოთ და ცდილობს დაღუპოს რუსეთი.

ლენინი ომის შეწყვეტის მომხრეა, რადგან მისი აზრით, ეს ომი ავაზაკური ომია, ანადგურებს ხალხის ფართო მასას, ჯიბეებს უვსებს ბურჟუაზიას და მთელ რევოლიუციას საფრთხეს უმზადებს. არ დაუჯეროთ მას, — ყვირის ბურჟუაზიული პრესა, — ამას მხოლოთ გერმანიის აგენტი იტყვის, რადგან ომის შეწყვეტა მხოლოდ გერმანიას უნდა.

ლენინი ბურჟუაზიის მოსისხლე მტერია და რევოლიუციონური ხალხის ძალაუფლების მომხრე. არც ეს დაუჯეროთ მას, — ამასაც მხოლოდ გერმანიის აგენტი იტყვის.

ლენინი მემამულეების უდიდესი მტერია: თხოულობს ახლავე ჩამოერთვას მათ ყველა მიწები და გადაეცეს ხალხს. არც ეს დაუჯეროთ, ამასაც მხოლოდ გერმანიის ოქრო ალაპარაკებს მას.

ერთი სიტყვით, ომის შეწყვეტა, ხალხის ხელში მთელი ძალაუფლების და მემამულეთა ყველა მიწების გადასვლა — ყველა ეს მოთხოვნილება მხოლოდ გერმანიის სასარგებლოა და ლენინიც მიტომ იცავს მათ.

ვინ იცის, რა ზომებს არ ხმარობს ბურჟუაზია, რომ ყველა ამ ბინძურ ბრალდებებს სინამდვილის ოდნავი მსგავსება მაინც მისცეს. ის გველის ხვრელში გაძვრება, ოღონდ ხელთ იგდოს რაიმე „დოკუმენტი“, რომელიც ლენინის წინააღმდეგ ლაპარაკობდეს. ის არც ყალბ დოკუმენტებს დაიწუნებს, მილიონობით დახარჯავს და თუ შესაძლო იქნება გერმანიის სახელმწიფო ბეჭედსაც მოიპარავს, რომ მით მისთვის სანატრელი „საბუთები“ დაბეჭდოს და დროებით მაინც ლენინს ჩირქი მოსცხოს, მთელი მისი პარტია აგენტებათ და პროვოკატორებათ გამოაცხადოს.

გამალებით ამუშავდა ბურჟუაზიული პრესა. „ახლა ან არასოდეს“, იფიქრა მან: თუ გასჭრა ამ პროვოკაციამ ხომ კარგი, თუ არა და დავეღუპეთ. ბურჟუაზიული პრესის ავაზაკური თარეში ძლიერდება, ტელეგრაფს შორი-შორს გადააქვს ყველა ეს ცილისწამება, შხამავს ატმოსფერას: არევ-დარევა შეაქვს რევოლიუციონურ ბანაკში.

ლენინი არ შეუშინდა ამ ვაქხანალიას, მოითხოვა გასამართლება და გამართლების შემდეგ ცილისწამებულთა ჯეროვანათ დასჯა. დევნა მაინც არ შეჩერდა, მას დატუსაღება დაუპირეს. პროლეტარიატის უშიშარი ბელადი არც აქ შეკრთა. მან განაცხადა: მზათა ვარ ხელთ მივეცე ხალხის რევოლიუციონურ ორგანოებს — მუშათა, სალდათათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტუსაღეთ და გამასამართლეთო. მას ამაზედაც უარი უთხრეს და მიუთითეს ბურჟუაზიულ მთავრობაზე— ის დაგიჭერს, ის გაგასამართლებსო.

რომ ეს პოლიტიკური ბრძოლაა, რომელსაც პროლეტარიატის წინააღმდეგ მისი ბელადის დევნით ბურჟუაზია აწარმოებს, ეს აშკარაზე აშკარაა, ბრალდება მოჭორილია, „დოკუმენტები“ შეხანხლულია და კიდეც მიტომ აგვიანდება მათ გამოქვეყნებას, მიუხედავათ იმისა, რომ პროლეტარიატის აშკარა და ჩუმ მტრებს პირში ნერწყვი ადგებათ მათ ლოდინში და მუხლმოდრეკით ემუდარებიან სააგენტოს: არიქა, თუ გინდათ, რომ ცხონდეთ, მოგვაწოდეთ „დოკუნენტები“.

მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ არის ნაწილი ბურჟუაზიული პრესისა, თუმცა მცირე და უმნიშვნელო, რომელიც თავს იკავებს ამ საერთო ვაკხანალიიდან. ამ მცირეთა რიცხვს არ ეკუთვნის ყველაფერში მათთან შეთანხმებული წვრილბურჟუაზიული გაზეთი „ერთობა“, რომელსაც ალბათ დავიწყებია მოეხსნა თავისი ბაირაღიდან ინტერნაციონალის დიდებული ლოზუნგი და თავის თავს სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს უწოდებს.

წაიკითხეთ ამ გაზ. № 93 და თქვენ უეჭველად იტყვით, რომ ამ გაზეთს სასახელო ხელობათ გაუხდია თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებზე ავაზაკური თარეში. „რუსეთის რევოლიუციის მოღალატენი“ სხვა კი არავინ გეგონოთ, ეს—ბოლშევიკებია: აბა ყური დაუგდეთ: ანარქო - სინდიკალისტებმა, ძველი ტიპის ბლანკისტებმა (ე. ი. ბოლშევიკებმა) თავიანთ ფსევდო-სოციალისტური მიზნების განსახორციელებლად გარეშე მტრის ძალების გამოყენებაც დაიწყეს და ამ მიზნისთვის იმათ გერმანიის სამხედრო შტაბისა და გერმანიის მთავრობის აგენტებთან კავშირი გაუკეთებიათ, სასყიდელი აუღიათ და მათი ფინანსების დახმარებით პეტროგრადში ორგანიზაციული ამბოხება მოუწყვიათ“...

სხვა ბურჟუაზიული გაზეთები ჯერ კიდევ „დოკუმენტებს“ უცდიან, რომლებიც, მათი აზრით, მთლად მოთხრის ბოლშევიკებს და მათ დედამიწის პირიდან აღგვის. „ერთობა“-ს მოსწყინდა „დოკუმენტების“ გულის ფანცქალით ლოდინი და თითქო არავინ დაასწროსო, გამოაცხადა: რას მიქვია დოკუმენტები, ყველაფერი დამტკიცებულიაო. აბა კიდევ ყური დავუგდოთ:

„მათი ასეთი პროვოკატორული, და მოღალატობრივი მოქმედება უკვე დამტკიცებულია და ლენინ-ზინოვიევის, კამენევის და ტროცკის დაჭერის ორდერი გამზადებულია“.

„დამტკიცებულია“. აცხადებს სიხარულით დამთვრალი „ერთობა“, თუმცა კარგათ იცის, რომ საბჭოებმა ქვეყანას მოუწოდეს — ნუ დაუჯერებთ ბოლშევიკების წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებს, მოსთხოვეთ ყველას დოკუმენტები, საგამომძიებლო კომისია იძიებს მთელ საქმეს, ყოველაფერს გამოიკვლევს და შედეგიც გამოქვეყნდებაო. რა არის ეს, თუ არა შარა გზაზე წარმოებული თარეში სვინდის გარეცხილ და პატიოსნება დაკარგულ ავაზაკისა. დიახ ავაზაკისა, მაგრამ არა ყარაღისა, რადგან ყაჩაღს იმას ეძახიან, ვისაც კიდევ მოეპოვება მინიმალური გრძნობა რიგიანობისა, რომელსაც სრულიათ მოკლებულია „ერთობა“... („ბრძოლა“ № 7).

## 2) ოქტომბრის რევოლიუციის მეორე დღეს

გავარდა ოქტომბრის რევოლიუციის მეხი და თბილისიც მოსწყდა პეტროგრადს. ჩვენმა პრესამ დანამდვილებით არ იცოდა, რა ხდებოდა პეტროგრადში. 1 ნოემბერს „ბრძოლაში“ მოთავსებულია „უკანასკნელი ცნობები აჯანყების შესახებ“, რომელიც რამდენიმე სტრიქონიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესდგება: „ჩვენმა რედაქციამ მიიღო ცნობები, რომ პეტერბურგ-მოსკოვის აჯანყებას ეხმარებიან, ვორონეჟი, ურალი, ვოლგის ქალაქები—როსტოვის, დონის რაიონი. ჩვენ მოუწოდებთ მკითხველებს უნდობლად შეხვდენ კერძო ცნობებს, რომლებსაც აწვდიან საზოგადოებას აშკარა კონტრ-რევოლიუციონური გაზეთები და მათი დამქაშები — ყოველი ჯურის „მომრიგებლები“ სოციალ პატრიოტების მეთაურობით“.

მიუხედავათ ასეთი ძუნწი ცნობებისა, ბოლშევიკური პრესა მტკიცედ ადგია იმ დებულებას, რომ პეტროგრადის აჯახყება ფაქტია და მას იღებს საფუძვლად თავის მოქმედებაში სახელმძღვანელოდ. იმავე პირველი ნოემბრის ნომერში მოთავსებულია ქალაქის საბჭოს სხდომის ანგარიში, საიდანაც სჩანს, რომ მენშევიკ-ესერებს იმედი ქონდათ აჯანყების დამარცხებისა და მოითხოვდენ: ერთნი ბოლშევიკების სისხლის მორევში ჩახრჩობას, ხოლო მეორენი რაღაც მორიგებით მიმდინარე საქმეებზე გადასვლას. ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ სწორი ალღო აუღო პოლიტიკურ მომენტს და გაილაშქრა, როგორც კადეტ-ესერების სისხლისმსმელ პოლიტიკის, აგრეთვე მენშევიკების ყალთაბანდურ შემარიგებლობის წინაალმდეგ. ეს ნათლად სჩანს ხსენებული ანგარიშიდან:

„დღიურ წესრიგში წამოყენებული იყო ფრიად საყურადღებო საკითხი: პეტროგრადის უკანასკნელი ამბები და საბჭოს შეხედულება მიმდინარე მომენტზე.

სხდომამ დიდძალი ხალხი მოიზიდა, როგორც დეპუტატებიდან, ისე გარეშე მაყურებელთაგან. „ბოლშევიკების აჯანყება“, როგორც მენშევიკ-ესერები ნათლავენ პეტროგრადის რევოლიუციონურ პროლეტარიატის და ჯარის აშკარა გალაშქრებას კონტრ-რევოლიუციონური მთავრობის წინაალმდეგ, არა მარტო აინტერესებს საბჭოს პუბლიკას, ის ყველას აღელვებს, აფიქრებს, ანევრიანებს...

კამათში ირკვევა სამი სხვადასხვანაირი შეხედულება: კადეტ-ესერების, მენშევიკების და ბოლშევიკების.

მკაფიოთ ჩამოყალიბებული პოზიცია უჭირავთ მხოლოთ კადეტებს და მათ შეურიგებელ მტრებს — ბოლშევიკებს. კადეტები მოითხოვენ შეურიგებელი სისხლის ღვრით აღმოიფხვრას ბოლშევიკების გამოსვლა; ბოლშევიკები მოითხოვენ თავგანწირულათ მხარი დაუჭირონ რევოლიუციონურ პეტროგრადს კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის წინაალმდეგ.

მენშევიკები აქაც პოულობენ საშუალო გზას. არც მწვადსა სწვავენ, არც შამფურს, ისინი შეთანხმებით ცდილობენ ულმობელი ბრძოლის დაბოლავებას, ისინი წინაალმდეგნი არიან, ბოლშევიკების გამოლაშქრება შეიარაღებული ძალით იქნეს ჩაქრობილი (რა გულკეთილობაა), ისინი პროტესტს აცხადებენ ასეთი ზომის წინაალმდეგ (რა მებრძოლები არიან), მაგრამ ისინი ბოლშევიკებსაც ვერ მიემხრობიან, რადგან ისინი მოითხოვენ მთელი ძალაუფლება რევოლიუციონურ საბჭოების ხელში გადავიდეს (რა რევოლიუციონერები არიან), ისინი ერთ სიტყვას ვერ იმეტებენ იმ კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობის სასარგებლოთ, რომელიც პეტროგრადის რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა დაამხო; მაგრამ ვერც ბოლშევიკებს მიემხრობიან, რადგან ისინი კომუნისკენ იცქირებიან. ისინი უცდიან, ამ საშინელი ქარიშხალის დროს ხეს აფარებენ თავს და როცა გამოიდარებს, მშრალათ გამოსულნი თავის წილს დაადებენ ახალი ძალაუფლების დამყარებაში: ისინი მოითხოვენ ერთფეროვან დემოკრატიულ მთავრობას, სადაც საბჭოებს გარდა დიდი ადგილი დაეთმობა ქალაქის და საერობო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმართველობებს (რომელთაგან უმეტესი ნაწილი ძველი სოვდაგრების ხელშია), და ყველა იმ დაწესებულებებს, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ დემოკრატიასთან. მუშა, გლეხი და სალდათი რომ მთელ დემოკრატიათ ჩათვალონ, მათ არ ეჭაშნიკებათ, მეტად ეცოტავებათ და ცდილობენ დემოკრატია გააფართოვონ უცენზო ბურჟუაზიის შემოერთებით, მათთან ერთად მშვენიერ მთავრობას შევადგენთო...

ბოლშევიკებმა შეიტანეს თავისი რეზოლიუცია; რომელშიაც მოუწოდებენ, რომ რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციას შორის ამტყდარ სასტიკ ბრძოლაში მთელი ძალღონით მხარი დაუჭიროთ რევოლიუციის მატარებელ პეტერბურგის პროლეტარიატს და ჯარს და ვსცნოთ მის მიერ შექმნილი საბჭოების მთავრობა.

რა თქმა უნდა, ეს რეზოლიუცია ერთხმათ იქნა უარყოფილი მარტო ბოლშევიკების გამოკლებით.

28 ოქტომბრის სხდომა აშკარა, საქვეყნო ღალატი იყო პროლეტარიატის და რევოლიუციის მიმართ ჩადენილი". („ბრძოლა" № 23).

არა ნაკლებ საყურადღებოა ამავე ნომერში მოთავსებული პრესის მიმოხილვა, სადაც ავტორს უხდება ებრძოლოს „ერთობის" მტკიცებას, რომ აჯანყება დამარცხებულიაო და ამავე დროს გამოააშკარავოს მენშევიზმის მოღალატური ბუნება:

„დარბაისელი „ერთობა" არხეინი გულით სწერს:

„მოხდა ის, რასაც ჩვენ თავიდანვე ველოდით. შეთქმულება მუდამ დამარცხებით თავდება, მით უფრო, თუ ის მოკლებულია ფართო მასის თანაგრძნობას და მხარის დაჭერას. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდენ ბოლშევიკები. მათ გამოეთიშა რევოლიუციონური დემოკრატიის დიდი ნაწილი და მით ამბოხების ბედი თავიდანვე გადაწყდა. წარმოიდგინეთ, თვით მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმაც კი ზურგი შეაქციეს ბოლშევიკთა გამოსვლას და მათი ნაბიჯი დაგმეს. უმცირესობას არ ძალუძს უმრავლესობას თავს მოახვიოს თავისი სურვილები".

ერთობელები რომ ჭკვიანი ხალხია, ყველამ იცის. რა მოხდება ისეთი, რომ ისინი წინდაწინ არ იყვნენ მიმხვდარი; ამ მხრით მათ ვერც ერთი მკითხავი ვერ შეედრება. იმათ ბრძნულად იწინასწარმატყველეს, რომ ბოლშევიკების გამოლაშქრება ან გამარჯვებით გათავდება, ან დამარცხებითო (იხ. მათი რეზოლიუცია და სტატიები ამის შესახებ), და ეხლა, როცა მათ გონიათ, რომ პეტროგრადი აღებულია, ისინი თავმომწონეთ იძახიან: ჩვენ ამას თავიდანვე ველოდითო.

თქვენ ელოდით ამ „დამარცხებას", თქვენს განუყრელ მეგობრებს ესერებს კი ენატრებოდათ ეს „დამარცხება" და ორივენი ერთად დიდათ მოღვაწეობდით, რომ სახელი გაგეტეხათ ამ მოძრაობისთვის, ჩირქი მოგეცხოთ მისთვის, უწოდებდით მას ავანტიურას, ბლანკიზმს, ამბოხებას; ხალხს ურჩევდით მხარი არ დაეჭირა პიტერბურგისთვის და დღეს თუ მართლა მოხდა კონტრ-რევოლიუციის გულგასახარიო საქმე და, როგორც თქვენ ირწმუნებით, პეტროგრადი მართლა დამარცხდა, გაიხარეთ თქვენც, თქვენი რიგია ზეიმი და სიხარული. რადგან რაც მოხდა, მას კი არ ელოდით მარტო, ყოველ მხრივად ხელსაც უწყობდით". („ბრძოლა" № 23).

ბოლშევიზმისთვის უკვე სავსებით გამორკვეული იყო ის პოზიციები, რომელსაც იცავდენ მთავარი მომქმედი პარტიები. ამას ცხადყოფს ამავე ნომერში მოთავსებული სტატია „სამი პოზიცია".

მიუხედავად იმისა, რომ 1 ნოემბრამდე ასეთი ძუნწი ცნობები მოეპოებოდა ბოლშევიკურ პარტიას, ხოლო გაბატონებული პარტიები მეტის-მეტი გულმოდგინებით ავრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცელებდენ ყურმოკრულ ჭორებს, ჩვენმა ქართულმა პრესამ სრული სისწორით შეაფასა პეტროგრადის აჯანყება და მთელი პროგრამაც დახატა თავის სამოქმედოთ. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები მოწინავე წერილებიდან, სადაც ამ საკითხის გაშუქება სავსებით პრინციპიალურ სიმაღლეზე დგას:

„პეტროგრადის აჯანყებამ დაამხო კერენსკის კონტრ - რევოლიუციონური მთავრობა და აათრიალა დროშა, რომელსაც აწერია: ზავი, პური და თავისუფლება. მაგრამ ბრძოლა არ დამთავრებულა მინისტრების დატუსაღებით, ბრძოლა მედგარი და შეუპოვარი, ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელი მხოლოთ ახლა იწყება.

მთავრობა მხოლოდ იარაღი იყო კონტრ - რევოლიუციონურ ბურჟუაზიის ხელში და მთავრობის დამხობა არ ნიშნავს კონტრ - რევოლიუციის დამხობასაც: მას ბევრი საშუალება მოეპოვება, როგორც თავის დასაცავათ, ისე რევოლიუციაზე თავდასახმელათაც, და სანამ არ გამოიყენებს ყველა ამ საშუალებებს, ის არ დაყრის იარაღს, არ დასთმობს თავის პოზიციას, არ მოიხრის ქედს რევოლიოუციონური ხალხის წინაშე.

პეტროგრადის პროლეტარიატმა კარგათ იცის ეს და როცა ის გადამჭრელ ბრძოლაში გამოვიდა, მას სულაც არ უფიქრია, რომ გამარჯვებას ორ დღეში მიაღწევდა. ბრძოლა იქნება ხანგრძლივი, სადაც შესაძლებელია დროებითი წაფორხილება, მაგრამ საბოლოო გამარჯვება პროლეტარიატს უნდა დარჩეს; რადგან მხოლოდ მას შეუძლია შესწყვიტოს გამანადგურებელი ომი, მისცეს ხალხს პური, დაამკვიდროს თავისუფლება...

ზოგიერთები სულმოკლეობით ლაპარაკობენ პეტროგრადის დამარცხებაზე, თუმცა ჯერ ერთი ნამდვილი ცნობაც არ არის მოსული პეტროგრადიდან. შეიძლება მათ კიდეც ახარებს მათი ფანტაზიით შეთხზული „დამარცხება“, მაგრამ ნუ დაივიწყებენ, რომ სანამ არსებობს ის ჯოჯოხეთური პირობები; რომელიც ქვეყანას დაღუპვისკენ მიაქანებენ, ნაადრევია ფიქრი აჯანყების მოსპობაზე. პირიქით, ერთ ადგილას ჩაქრობილი აჯანყება უფრო მეტის სიძლიერით იფეთქებს მეორე ადგილას და რევოლიუციის ცეცხლი მანამდე იღიზღიზებს, სანამ ქვეყანას სრულ განახლებას არ მიანიჭებს.

პეტროგრადის პროლეტარიატი გმირულად გამოვიდა ბრძოლის ველზე და საბრძოლველათ იწვევს არა მარტო მთელი რუსეთის მშრომელთ, არამედ მთელი ქვეყნის დაჩაგრულთ და ტანჯულთ. გაბატონებულ მტარვალობისაგან ქვეყანა თავს იხსნის მხოლოთ ამ ბრძოლით, სხვა გზა არ არსებობს — წინაამდეგ შემთხვევაში ქვეყანას სრული განადგურება და გაველურება მოელის.

ან იმპერიალისტურ ომში ათიათასობით ამოხოცვა, შინ შიმშილით და სიცივით ფიზიკურად გადაშენება, ან იარაღით ხელში კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიის დამარცხება და ხალხის საქმის ხალხისავე ხელით გაკეთება.

მძიმეა ეს ბრძოლა, მძიმეა მისი დროშა და ყველა ვერ ზიდავს მას სრულ გამარჯვებამდე, მაგრამ წაქცეულთა და გაქცეულთა ადგილს უფრო მხნე და შეუდრეკელი მებრძოლნი დაიჭერენ და გამარჯვებას უეჭველად მოიპოვებენ. („ბრძოლა“ № 23)

ცენტრიდან მოწყვეტილობა და ნამდვილი ცნობების უქონლობა გრძელდება მეორე დღესაც, 2 ნოემბერს. ამას მოწმობს ამ დღის „ბრძოლაში“ დაბეჭდილი პატარა წერილი, სათაურით „საეჭვო დეპეშები“. ამ წერილში გაზეთი აღშფოთებით აღნიშნავს, რომ პეტროგრადიდან ცნობები არ მოდის, დეპეშათა სააგენტომ დიდი ხანია შესწყვიტა მოქმედება; ორ დღეზე მეტია, კერძო დე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეშები ალარსაიდან მოდის; ამავე დროს ყოველ დღე იბეჭდება საეჭვო დეპეშები, რომლებიც ვითომ გვაცნობენ საქმის მდგომარეობას პეტროგრადში.

ამას გაზეთი დასძენს: ეს ცნობები ისეთი წინააღმდეგობებით არის სავსე, რომ არავითარი ნდობის ღირსი არ არიან. კერენსკიმ ჯერ აიღო პეტერბურგი, მერე ჯარებით მოუახლოვდა პეტერბურგს, მოსკოვის ბოლშევიკებმა ჯერ ჩააბარეს კრემლი, მერე აიღეს იგივე კრემლი; საიდან მოდის ეს დეპეშები, ან ვინ არის მათი პასუხისმგებელი?

გაზეთი მოითხოვს დაწესდეს კონტროლი რადიო-აპარატებზე და ბოლო მოეღოს ყალბი ცნობების და ჭორების გავრცელებას.

ამავე დროს გაზეთი შეურყევლად განაგრძობს თავისი პრინციპიალური პოზიციის განმტკიცებას და მოუწოდებს რევოლიუციონურ ხალხს თავგანწირვით დაუჭირონ მხარი პეტერბურგს. აქ დაბეჭდილია მოწინავე წერილი სათაურით: „რევოლიუცია ვითარდება, დაირაზმეთ“:

„ერთ კვირაზე მეტია, რაც სახელოვანი პეტროგრადის სახელოვანმა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას, დარაზმა თავის გარშემო პროლეტარიატი და ჯარი და შეერთებული ძალით თავგანწირვით ეკვეთა მტერს. ბურჟუაზია უკვე დარაზმული იყო და კერენსკის მთავრობის საშუალებით უტიფრათ სთელავდა ხალხის უფლებებს, სამარეს უთხრიდა მთელ რევოლიუციას და დიდ ლოდს ამზადებდა მის საფლავზე მისაგორებლათ...

გაიმართა ბრძოლა. კერენსკიმ მოუწოდა ქუდზე კაცს, მოუწოდა მთელ კონტრ-რევოლიუციონურ ბანაკს, თვით ჩაუდგა მას სათავეში, და ბურჟუაზიული ცოფით სავსე გაემართა პეტროგრადის დასამხობათ. მოულოდნელი არ ყოფილა პეტროგრადის პროლეტარიატისათვის კორნილოვის, კერენსკის გამოლაშქრება, და აგრეთვე მომზადებული შეეგება ამ „სოციალისტის“ ახალ რისხვას.

ეჭვს გარეშეა, პროლეტარიატი არამც თუ არ დაიხევს უკან საბედისწერო ბრძოლაში, არამც თუ არ შეურიგდება სისხლის მსმელ კერენსკის, ის თვით გადავა თავდასხმაზე და შეუბრალებლად აღმოფხვრის კონტრ-რევოლიუციის ნასახს.

ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ასეთ მძიმე პირობებში ჩავარდნილი პეტერბურგის პროლეტარიატიც იწვევს ქუდზე კაცს და უყვირის მთელ რევოლიუციონურ ბანაკს, არა კმარა კონტრ-რევოლიუციის ჩაკვლა ცენტრში, საჭიროა მის ძირ-ფესვიანათ დანგრევა პროვინციაშიაც“. („ბრძოლა“ № 24).

გაზეთი კვალში ჩასდგომია როგორც მენშევიკებს, ისე ფედერალისტებს და დაუზოგავად ააშკარავებს მათ ნამდვილ სულისკვეთებას.

მოგვყავს ადგილები ამ დღეს დაბეჭდილი პრესის მიმოხილვიდან:

„ერთობამ“ კილო გამოიცვალა. გუშინ ის დაბეჯითებით სწერდა, რომ ბოლშევიკები დამარცხდენ, ამბოხების ლიკვიდაცია სწრაფად სწარმოებსო. ყველა ამას თავმომწონეთ უმატებდა: მოხდა, რასაც ჩვენ თავიდანვე ველოდითო. დღეს სულ სხვანაირად ეხატება მას პეტროგრადის ამბები. ის სწერს:

„სამოქალაქო ომი გაჩაღდა. ცნობა პეტროგრადის აღების შესახებ ნაადრევი გამოდგა. ამავე დროს სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ქ. მოსკოვში, სადაც ბოლშევიკთა ხელშია განაპირა უბნები. ეჭვს გარეშეა, სრულ დამშვიდებას და წესიერების აღდგენას ორ-სამ დღეში არ უნდა ველოდეთ, უფრო ადრე მოსალოდნელია, რომ ხანგრძლივი შეხლა-შემოხლა იწყება“. მაშ ასე. სამოქალაქო ომის გაჩაღება ფაქტია. პროლეტარიატი და ბურჟუაზია სამკვდრო-სასიცოცხლოთ შეებნენ ერთმანეთს. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის შედეგი იქნება რევოლიუციის ან სრული გამარჯვება, ან მისი სრული განადგურება. კითხვა იბადება, რა გზას დაადგებიან ამ საბედისწერო ბრძოლის დროს მენშევიკები. „ერთობასაც“ ებადება კითხვა... მაგრამ იცით რის შესახებ. აი მოვუსმინოთ:

„იბადება კითხვა: უნდა განვაგრძოთ თუ არა სამზადისი დამფუძნებელი კრების მოსაწვევათ და ხალხის ნდობით აღჭურვილ პირთა ასარჩევათ?“.

აქედან აშკარაა, „ერთობას“ არა სცალია გადამჭრელ ბრძოლაში ჩაერიოს და ის ხალხის სასარგებლოდ დააგვირგვინოს. მას წერეთელი და ჩხეიძე ყავს დამფუძნებელ კრებაში გასაყვანი და მთელი ძალღონეც ამას უნდა მიალიოს, იბრძოლოს იმან, ვისაც თავი მობეზრებია. „ერთობას“ კი უდიდესი საქმე აქვს დღეს: დამფუძნებელ კრების არჩევნებს აწარმოებს და ხელი არავინ შეუშალოთ. ამ უბადრუკებს არ უნდათ მიხვდენ, რომ დღეს წყდება ბედი მთელი რევოლიუციისა და მაშასადამე დამფუძნებელი კრებისაც, რომ თუ ეს ბრძოლა ხალხის დამარცხებით გათავდა, დამფუძნებელ კრებას ჩაიღუღის წყალი დაალევინებენ. ამას ვერ ხვდება „ერთობა“. ნუ თუ პოლიტიკური კრეტინიზმი ამაზე უფრო შორს წავა...

ფედერალისტების გაზეთი „სახალხო საქმე“ ცდილობს გაერკვიოს პეტროგრადის ამბებში.

„როგორ შეხვდენ რუსეთის ერები და კლასები პეტროგრადის ქარტეხილს? რუსეთის საზოგადოების ფართო მასამ გამოიჩინა კი სათანადო სიფხიზლე და აქტიურის შემოქმედებით დაამტკიცა პოლიტიკური სიმწიფე? სამწუხაროთ, ამ მხრივ სამწუხარო სურათი მოგვცა უკანასკნელმა ამბებმა, ლენინის გამარჯვების პირველ დღეებშივე, როდესაც რევოლიუციის ტემპერატურა უმაღლეს წერტილს აღწევდა, მოუსვენარი პეტროგრადის ხალხი საარაკო გულგრილობას იჩენდა და თუ არა რაზმელთა თოფების ჩხარუნი, ეგრეთწოდებული ხალხი არა თუ ბობოქრობდა და სიფხიზლეს არ იჩენდა, ხელის ქნევით უპასუხებდა მიმდინარე ამბებს და ამჟღავნებდა სრულ პოლიტიკურ აბსენტიზმს“.

ეს ამონაწერი საუცხოვო ნიმუშია პოლიტიკურ უსუსურობის და საერთო გზა — დაბნეულობის. „პეტროგრადის მოუსვენარი ხალხი“ საარაკო გულგრილობას იჩენდა და ლენინმა მაინც გაიმარჯვა... მერე როგორ მოხდა ასეთი სასწაული. ან იქნება კონტრ - რევოლიუციონურ მთავრობის დამხობა თქვენ შეთქმულთა პატარა ჯგუფის საქმე გგონიათ. ბარაქალა თქვენს ჭკუა-გამჭრიახობას. „როგორ შეხვდენ რუსეთის ერები და კლასები პეტროგრადის ქარტეხილსო“. რომელ კლასებზე ლაპარაკობთ. რაც შეეხება პროლეტარიატს, იგი კი არ შეხვდა ამ ქარტეხილს, თითონ მოახდინა იგი. მას გვერდში უდგას ჯარი, რომელიც იარაღით იცავს ხალხის უფლებებს.

გაზეთი განაგრძობს:

„რუსეთის სხვა ადგილებშიაც არ გამოუწვევია ფართო მასის ამოძრავება სოციალურ ბრძოლის დაწყებას. ბურჟუაზიული და თავადაზნაურული წრეები სრულიად არა სჩანდენ მოძრაობის წიაღში“.

მაშ რილას „ქარტეხილია“ პეტროგრადის მოძრაობა, თუ არც მასში იღებს ვინმე მონაწილეობას, არც არავინ ებრძვის მას. ხალხი გულგრილია, თავად-აზნაურობა და ბურჟუაზიაც არსად სჩანს — ქარტეხილი კი მაინც არის, ეს რა ზეპირი რევოლიუციაა, რომელიც არც არავის აფრთოვანებს. იქნება ისტორიიდან დაგვისახელოთ რამე ამის მსგავსი?

„თუ მოქალაქე სდუმს ნაცვლად შემოქმედებითი ბრძოლისა, ეს იმას ამტკიცებს, რომ რვა თვის რევოლიუციის მღელვარებამ ხალხი დაქანცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადუნა მისი საზოგადოებრივი მაჯისცემა და შებოჭა პოლიტიკურ და ეროვნულ აბსენტეიზმის სალტეებით".

„გამოტყდით, რომ ეს თქვენ დაგქანცათ და მოგადუნათ რევოლიუციამ და არა ხალხი, რომელიც ახდენს ახალ რევოლიუციას მტარვალების დასამხობათ და ქვეყნის დასახსნელად" („ბრძოლა" № 24).

ცნობების მხრივ 3 ნოემბერს მდგომარეობა შესამჩნევად უმჯობესდება. პეტროგრადიდან მიღებულია პირველი გაზეთები, საიდანაც მსხვილი შრიფტით პირველ გვერდზე გადმობეჭდილია სამხედრო - რევოლიუციონური კომიტეტის ცნობა, რომელსაც უზის თარიღი 25 ოქტომბერი 1917 წ. დილის 10 საათი და რომელიც იუწყება, რომ კერენსკის მთავრობა დაეცა. დაბეჭდილია ამავე კომიტეტის სამი მოწოდება და აგრეთვე ანგარიში პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს 25 ოქტომბრის საგანგებო სხდომისა.

ამის შესაფერად „ბრძოლა" უკვე მტკიცე კილოთი ლაპარაკობს რევოლიუციის გამარჯვებაზე და გამოსთქვამს თავის შეხედულებას, თუ ვისგან უნდა შესდგეს საბჭოების მთავრობა:

„კერენსკის დროებითი მთავრობა ჩამოგდებულია. ის აშკარა ბრძოლაში დაამარცხა პეტროგრადის პროლეტარიატმა და ჯარმა, რომელთაც ხელმძღვანელობს პეტროგრადის მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭო და ამ უკანასკნელის ორგანო — სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი. მთელი ძალა-უფლება გადავიდა ამ კომიტეტის ხელში.

ვინ უნდა შეადგინოს ახალი რევოლიუციონური მთავრობა? იმათ, ვინც ებრძოდა კონტრ - რევოლიუციონურ მთავრობას და გადამჭრელ ბრძოლაში სძლია იგი — მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა. ახალი მთავრობა უნდა შეადგინონ ამ საბჭოებმა, რადგან მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ხალხის რევოლიუციონურ ორგანოებს და მხოლოთ მათ წინაშე იქნება პასუხისმგებელი მთავრობა, მართლა რევოლიუციონური, ხალხის ინტერესების ერთგული დარაჯი, მისი მოთხოვნილებების განმახორციელებელი და მისი სურვილების აღმასრულებელი.

ასე აყენებენ საკითხს და ცდილობენ მის განხორციელებას პეტროგრადის საბჭო, პროლეტარიატი, ჯარი, ბოლშევიკები, სწორეთ ისინი, ვინც თავისი სისხლით დაიხსნა ქვეყანა კონტრ - რევოლიუციონურ მთავრობისაგან.

მეორენი ამბობენ: საბჭოების მთავრობა მიუღებელია, უნდა შესდგეს ერთგვარი დემოკრატიული მთავრობა, რომლის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭოებს გარდა ქალაქის და საერობო თვით-მართველობებმა, კოოპერატივებმა და ყველა იმ დაწესებულებებმა, რომელთაც რაიმე კავშირი აქვთ დემოკრატიასთან. ამას ამბობენ ისინი, ვინც მუდამ კონტრ - რევოლიუციონურ ბურჟუაზიას უდგენ გვერდში, ვინც აწარმოებდა ამ ბურჟუაზიასთან შეთანხმების პოლიტიკას, ვინც მთელი ძალღონით მხარს უჭერდა დროებით მთავრობას, რომელმაც დაღუპვის კარამდე მიიყვანა ქვეყანა, ამას ამბობენ ისინი, ვინც გადამჭრელ საბედისწერო ბრძოლის დროს, როდესაც პეტერბურგის პროლეტარიატი და ჯარი სისხლიდან იცლებოდა, ზურგი შეაქცია მებრძოლთ, განზე გადგა, მებრძოლი პროლეტარიარი გასწირა და შორიდან უყურებდა საშინელ სისხლის ღვრას; ამას ამბობენ მენშევიკები და ესერები, რომელთაც უმუხთლეს პროლეტარიატს და მის თავგანწირულ ბრძოლას ავანტიურათ, რევოლიუციის და ქვეყნის ღალატათ ნათლავდენ.

მიუხედავათ ამ ღალატისა, ბრძოლის სასწორი მაინც პროლეტარიატის სასარგებლოთ გადიხარა და კონტრ - რევოლიუციონური მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა დაეცა. ახლა გამოდიან მენშევიკ-ესერები და იძახიან: ახალი მთავრობა ჩვენ უნდა შევადგინოთ, სხვას რა ხელი აქვსო.

ისტორიაშიაც ასე ყოფილა: პროლეტარიატი სისხლსა ღვრიდა, ძველ მტარვალებს ამხობდა, ძალა-უფლებას კი სხვა კლასები იგდებდენ ხელს. ახლაც იგივე მეორდება.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რატომ არ აკმაყოფილებთ საბჭოების მთავრობა მის მოწინააღმდეგეთ? ერთგვარი დემოკრატიული მთავრობა განა საბჭოებიდან კი არ შესდგება? ვინ წარმოადგენს რუსეთის დემოკრატიას? პასუხი ერთია: მუშები, გლეხები და სალდათები. ყველა ესენი დარაზმული არიან თავის საბჭოებში, არსებობს მუშების, გლეხების და სალდათების საბჭოები. ამ საბჭოებს ერთი მოვალეობა აქვთ: რევოლიუციონური ხალხის დარაზმვა; მათ ერთი მიზანი აქვთ: რევოლიუციის სამსახური. ამ საბჭოების კარები ღიაა, ყველასათვის, ვისაც კი რევოლიუციის სამსახური გულწრფელად უნდა, ისინი ნამდვილად აერთიანებენ დემოკრატიას, ისინი ნამდვილად აერთიანებენ მთელ რევოლიუციონურ ფრონტს.

საბჭოების რევოლიუციის ნამდვილი წყარო და შემომქმედი და რევოლიუციონური მთავრობაც მისი წიაღიდან უნდა წარმოიშვას, სხვა ორგანოების ამ საქმეში მიტმასნება ნიშნავს საბჭოების კონტროლის შესუსტებას მთავრობაზე, ნიშნავს რევოლიუციის დაუძლურებას.

როცა დაჟინებით მოითხოვენ ერთგვარი დემოკრატიული მთავრობის შედგენას და ამისთვის ნამდვილ დემოკრატიულ და ნამდვილ რევოლიუციონურ ორგანოებს — საბჭოებს არ სჯერდებიან, ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამით კვლავ ხიფათში აგდებენ რევოლიუციას ისინი, ვისაც აქამდე მისი ბედი ებარა; მათ კვლავ უნდათ ისეთი ელემენტები გაათრიონ მთავრობაში, რომლებიც ვერ აწარმოებენ ბურჟუაზიასთან შეურიგებელ პოლიტიკას, რომლებიც კვლავ ბურჟუაზიის გავლენას დაემორჩილებიან და რევოლიუციას ახალ საფრთხეს მოუმზადებენ.

... რევოლიუციონური მთავრობა რევოლიუციონურ საბჭოებმა უნდა აღადგინონ. აქ არის დარაზმული რევოლიუცია, აქ არის თავმოყრილი მთელი დემოკრატია: მუშები, სალდათები და გლეხები. მათ მოახდინეს რევოლიუცია, მათ დაამხვეს ძველი კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა, მათ უნდა შეადგინონ ახალი რევოლიუციონური მთავრობა, სხვა გზა არ არის" („ბრძოლა" № 25).

ცნობა სახალხო კომისართა საბჭოს შედგენის შესახებ დაბეჭდილია 4 ნოემბრის „ბრძოლაში". პრესის მიმოხილვა კვლავ აშკარავებს მენშევიკების თაღლითობას:

„წვრილ-ბურჟუაზიული „ერთობა" თავის ბუნებას და დანიშნულებას არ ღალატობს. მისი ბუნება: მუდამ რყევა, მუდამ ორ სკამზე ჯდომა, მუდამ თვალთმაქცობა. მისი დანიშნულება: ბრძოლა ახალ რევოლიუციასთან, მისი სახელის გატეხა. მასზე კონტრ-რევოლიუციონური ჭორების გავრცელება. რატომ? იმიტომ, რომ მთელი ეს სახელმწიფო გადატრიალება ამ რევოლიუციის ძლევამოსილება ბოლშევიკური დროშის ქვეშ ხდება და მენშევიკურ-ესერულ-ობორუნცული პარტიები ამ უდიდეს ისტორიულ ხანაში სრულიად გარიყული და ჰაერში გამოკიდებული დარჩენ. მათი მდგომარეობა ჭეშმარიტათ ტრაღი-კომიკურია; რევოლიუციას ვერც უერთდებიან, ვერც ომს უცხადებენ, ცდილობენ არც მწვადი დასწვან არც შამფური, ვინაიდან კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ეშინიათ და ეხათრებათ.

„ერთობის" პოზიცია დღეში ასჯერ იცვლება, პირველათ, გადატრიალების შემდეგ, ხულიგანურ პრესასთან ხმა შეტკბილებულმა, გაავრცელა ხმები, რომ პეტროგრადში არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითარი გადატრიალება არ მომხდარა, მოხდა პატარა ბოლშევიკური ჯგუფის ბუნტი, რომელიც მალე ჩაქრებაო და მოუწოდებდა ხალხს სიწყნარე - ნეიტრალიტეტი დაეცვა და დამხობილი კერენსკის მთავრობისთვის ზურგი არ შეექცია.

შემდეგ იგივე „ერთობა“ საჯაროთ აცხადებს, რომ ბოლშევიკების ავანტიურა-ბუნტი ჩაქრა, რაც ჩვენ თავიდანვე ვიწინასწარმეტყველეთო.

ამ განცხადების მეორე - მესამე დღეს კი იგივე „ერთობა“ გაუწითლებლად აცხადებს, რომ ნაადრევი გამოდგა ჩვენი პროგნოზი (წინასწარმეტყველება) პეტროგრადის მოძრაობის ჩაქრობის შესახებო, ვინაიდან მოძრაობა თანდათან მაგრდება, ღრმავდება, მწვავდება და მთელ რუსეთს ედებაო.

ახლა გამომდგარა იგივე „ერთობა“ და წარბ-შეუხრელად აცხადებს: ეს მოძრაობა რევოლიუცია კი არა, არამედ მხოლოდ ჯარის უბრალო ბუნტი, შეთქმულებაა, რომელშიაც პროლეტარიატი (პეტროგრადისაც-კი!) არავითარ მონაწილეობას არ იღებს.

რა არის ეს? უვიცობა, გაუგებრობა თუ შეგნებული ტყუილი? ჩვენ ვამბობთ: უკანასკნელი. ვინაიდან 2 ნოემბერს მუშათა სექციის კრებაზე თვით ნ. ჟორდანიამაც კი საჯაროთ აღიარა, რომ პეტროგრადის გადატრიალება პროლეტარიატის და გარნიზონის ხელიხელ ჩაკიდებული, მჭიდროთ შეკავშირებული მოქმედებაა, — სადაც ხელმძღვანელ როლს უეჭველად პირველი (პროლეტარიატი) თამაშობსო“ („ბრძოლა“ № 26).

5 ნოემბერს „ბრძოლის“ მეპრესე კვლავ განაგრძობს მენშევიკების შეთანხმება - დათმობის პოლიტიკის გამოაშკარავებას: ,

„...მენშევიკები მიხვდენ, რომ „კერენსკის მთავრობა მოკვდა, მისი აღდგინა არავის ძალუძს“; ახლა შეუძლიათ ახალი მთავრობის შედგენაზე გულახდით ილაპარაკონ. ისინი სწერენ:

„ბოლშევიკები მოითხოვენ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების საბჭოთა ხელში გადასვლას. ეს ქალაქისა და საერობო თვით-მართველობათა ჩამოშორებას ნიშნავს — რევოლიუციის დასუსტებას მოასწავებს. ახალ მთავრობაში მონაწილეობა მთელმა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ უნდა მიიღოს“.

ჩვენ არა ერთხელ ვამტკიცებდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ საბჭოების გარეთ არ არსებობს რევოლიუციონური დემოკრატია, რადგან საბჭოები აერთიანებენ მუშებს, სალდათებს და გლეხებს. ამ მხრით თვითმართველობები არაფერს უმატებენ, რადგან იქაც იგივე დემოკრატია არის წარმოდგენილი. მაგრამ როცა მთავრობის შედგენის დროს თვითმართველობებსაც წილს უდებენ, იბადება საკითხი — ვის წინაშე უნდა იყოს მთავრობა პასუხისმგებელი, — საბჭოების, თუ თვითმართველობათა წინაშე, თუ ორივესთან ერთად? საბჭოებს ყავთ თავისი ცენტრი, რომელიც კონტროლს გაუწევს თავის მიერ შედგენილ მთავრობას, თვითმართველობებს კი ასეთი ცენტრი არ გააჩნიათ, რადგან ჯერ ყველგან არც კი განახლებულა მათი შემადგენლობა. და როდესაც მთავრობა ემყარება ორ სხვადასხვანაირ ორგანოს, როგორიც არიან საბჭოები და თვითმართველობები, მაშინ მას შეძლება აქვს ხან ერთს დაემყაროს და ხან მეორეს და ასე, საბოლოოდ ორივეს კონტროლს გაუსხლტეს. ასეთ უპასუხისმგებლო მთავრობას უმზადებენ ნიადაგს მენშევიკები, როცა საბჭოებს არ სჯერდებიან და თვითმართველობასაც ებღაუჭებიან. რევოლიუციას ამით კვლავ ახალი საფრთხე უმზადდებოდა, მაგრამ მენშევიკები ამაზე არ ფიქრობენ, რადგან გარდა ორჭოფი პოლიტიკისა, გულზე ხელდაკრეფისა და ფრაზების რახა-რუხისა არა დახარჯვიათ რა ამ რევოლიუციაზე“. („ბრძოლა“ № 27).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7 ნოემბრის „ბრძოლა“ მდიდარია პრინციპიალური ხასიათის სტატიებით: 1) მოწინავე („ორი ბანაკი“), 2) ფ. მახარაძის სტატია „ახალი რევოლიუცია“ და 3) „მენშევიკების ოპოზიცია“. მოგვყავს ამ წერილებიდან ზოგიერთი ადგილები, რაც შეძლებას მოგვცემენ უტყუარი წარმოდგინა შევადგინოთ იმ დროს არსებულ სულისკვეთებაზე.

მოწინავე წერილში „ორი ბანაკი“, ვკითხულობთ:

„ორ დიდ ბანაკად დაირაზმა მთელი რუსეთი და მათ შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სწარმოებს.

პროლეტარიატმა აღმართა დროშა, რომელსაც აწერია: პური, ზავი და თავისუფლება; მას ემხრობა ღარიბესი გლეხობა და მხარს უჭერს რევოლიუციონური ჯარი.

ბურჟუაზიამ ააფრიალა თავისი დროშა, რომელსაც გარკვევით აწერია: „შიმშილი, ომი და მონობა; მასთან ერთად არის მემამულეთა კლასი და მხარს უჭერს ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ამ ორი ბანაკის შერიგება არ შეიძლება; ბურჟუაზია აწარმოებს სასტიკ, დაუნდობელ, შეუბრალებელ ბრძოლას; სამაგიეროთ პროლეტარიატის ბრძოლა არის მედგარი, შეუპოვარი და თავგანწირული.

აშკარა შეტაკება სამოქალაქო ომად გადაიქცა, უკან დახევა აღარ შეიძლება, გამარჯვებული ამ ომიდან ერთ-ერთი მებრძოლი უნდა გამოვიდეს.

ვინ გაიმარჯვებს?

პროლეტარიატმა უკვე დაამხო ხალხის მოღალატე კერენსკის მთავრობა და მის ადგილს დაამყარა მუშების და გლეხების მთავრობა. ამით მან ძლიერი იარაღი გამოგლიჯა ხელიდან კონტრ-რევოლიუციონურ ბურჟუაზიას და უძლიერესი პოზიციიდან განდევნა იგი.

მაგრამ ბრძოლა ამით არ გათავებულა. ბურჟუაზიამ შემოუტია მთელ ფრონტზე და აშკარად ამცნო ქვეყანას, რომ ის თავის ბატონობას აგრე ადვილად არ შეელევა, მუშათა წითელ გვარდიას მან თეთრი გვარდია დაუყენა წინ და აშკარად ეკვეთა პროლეტარიატის თავდადებულ რაზმებს. პეტროგრადის შემდეგ მოსკოვი, კიევი და ქალაქების მთელი რიგი გახდენ მოწამე ბურჟუაზიის ბარბაროსობისა, რომელიც სისხლით წარყვნის ქვეყნას, ოღონდ თავისი ბატონობა შეინარჩუნოს.

ბრძოლის სასწორი კვლავ პროლეტარიატის სასარგებლოდ იხრება, ბურჟუაზია დროებით ზავს თხოულობს. პროლეტარიატი თავგანწირულად იბრძვის თავისი საბჭოების გარშემო დარაზმული და ფხიზლად სდარაჯობს მთელ რევოლიუციას.

პროლეტარიატი გაიმარჯვებს საბოლოოდ, რადგან ის იცავს ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესებს. ის შემოიკრებს თავის გარშემო მთელ დაჩაგრულ ხალხს, სალ-კლდეთ აღუდგება წინ ხალხის ყველა აშკარა და ფარულ მტრებს. ერთად-ერთი ის შესძლებს გადაარჩინოს ქვეყანა იმ აუცილებელ უბსკრულს, რომელიც მას მოუმზადეს რევოლიუციის მოსისხლე მტრებმა და მისმა ლაჩარმა მოყვრებმა...

ხალხის განთავისუფლება თვით ხალხის საქმეა, — აი რა პოლიტიკური სიბრძნით აღიჭურვა დღეს ხალხი, რომელიც ყურს აღარ უგდებს ოდესღაც ძლიერ მენშევიკ-ესერების პარტიებს, რომლებიც ბრძოლის ველთა შორის მაჭანკალობას ეწევიან, მათ შერიგება-შეთანხმებას ლამობენ.

ხალხს არ აშინებს ამ მოღალატე პარტიების თაღლითობით სავსე სიტყვები; ჩვენ არ ვემხრობით პროლეტარიატის აჯანყებას, ის განმარტოებულია და უეჭველად დამარცხდებაო. ვინა ხართ თქვენ, პროლეტარიატის განმარტოებელნო, მისი გმირული ბრძოლის სეირის მაყურებელნო, ბურჟუაზიის გულისმოსაგებად

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული ბრძოლის მლანძღველნო და ტალახში ამომსვრელნო?

თქვენ ბურჟუაზიული ინტელიგენცია ხართ, და შეძლებისდაგვარად ემსახურებით თქვენს მომავლინებელთ. თქვენ ხორცი ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანი ხართ იმ გათახსირებული ბურჟუაზიისა, რომელმაც მოწამლა თავისი გავლენით მთელი ქვეყანა და თქვენ თავის ყურმოჭრილ მონებათ გადაგაქციათ.

...არსებობს და იბრძვის მხოლოდ ორი ბანაკი, რევოლიუციის და კონტრ-რევოლიუციის, პროლეტარიატის და ბურჟუაზიის, ხალხის და მისი მტრების. მესამე ბანაკი არ არსებობს: ნიადაგ გამოცლილი ინტელიგენცია სრულიადაც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ბანაკს, ის მხოლოდ მზვერავი რაზმია, ბურჟუაზიის სურვილების ამსრულებელი.

მიუხედავად დიდი გასაჭირისა, პროლეტარიატი შეასრულებს თავის ისტორიულ დანიშნულებას, ის ჯართან და ღარიბ გლეხკაცობასთან ერთად სძლევს ბურჟუაზიულ ბანაკს მიუხედავად მისი მეშველი ლაქიამონებისა და მზვერავთა რაზმებისა. ორი ბანაკია. ყველამ თავისი ადგილი მონახოს. („ბრძოლა“ № 28).

ამხ. ფ. მახარაძე წერილში „ახალი რევოლიუცია“ — სწერს:

„პეტროგრადში მთელი ძალაუფლება მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების ხელში გადავიდა. ასევე ხდება სხვა ქალაქებშიაც, სადაც დეპუტატთა საბჭოები ძლიერ რევოლიუციონურ ორგანოებს წარმოადგენენ. ასევე უნდა მოხდეს მთელი რუსეთის სივრცეზე.

ამნაირად რუსეთში დადგა ხანა მუშების და ულარიბესი გლეხების რევოლიუციისა. თებერვლის რევოლიუციამ, რომელიც პეტროგრადის პროლეტარიატმა მოახდინა რევოლიუციონური ჯარის დახმარებით, სამეფო დესპოტიზმი რუსეთში სამუდამოდ დაამხო, მაგრამ ძალაუფლება ისევ კაპიტალისტების და მემამულეების ხელში გადავიდა. მუშები, ჯარისკაცები და გლეხები ლამობდენ თითქმის 8 თვის განმავლობაში ამ ძალაუფლების თავის ხელში ჩაგდებას, მაგრამ მენშევიკების და ესერების წყალობით ხალხი დატყუილებული და პირში ჩალა გამოვლებული რჩებოდა. მენშევიკების და ესერების ლიდერები შეეცადენ, რომ მთელი ძალა უფლება კაპიტალისტების და მემამულეების ხელში დარჩენილიყო და ხალხს დაპირებებით ატყუილებდენ.

8 თვის განმავლობაში მუშები, ჯარისკაცები და გლეხები თანდათან რწმუნდებოდენ იმაში, რომ მენშევიკები, (რომლებიც ჩვენში სოციალ-დემოკრატების სახელით გამოდიან) და ესერები ღალატობდენ, როგორც რევოლიუციას, ისე ხალხის ინტერესებს.

პროლეტარიატის და ჯ.-კაცების წინაშე ასეთი დილემა დაისვა: თებერვლის რევოლ. ნაყოფი ან სრულიად უნდა გაბათილებულიყო, ან ახალი რევოლიუცია უნდა მომხდარიყო, რომელსაც ძირს უნდა ჩამოეგდო კერენსკის მთავრობა, მთავრობა კაპიტალისტური ბურჟუაზიის და მემამულეებისა, ის მთავრობა, რომელსაც მხარს უჭერდენ და ზურგს უმაგრებდენ მენშევიკები და ესერები (წერეთელი, ჩხეიძე, სკობელევი, ჩერნოვი, ავქსენტიევი და სხვ.) სხვა გზა აღარ იყო, გაითვალისწინა რა ყოველივე ეს, პეტროგრადის პროლეტარიატმა და რევოლიუციონურმა გარნიზონმა — ჯარმა ერთი დაკვრით 24—26 ოქტომბრის დღეებში დაამხო ხალხის და რევოლიუციის მოღალატე მთავრობა და მთელი ძალა-უფლება ხალხის წარმომადგენლებს, მუშების, ჯარისკაცების და გლეხების დეპუტატების საბჭოს გადასცა.

მოხდა უდიდესი რევოლიუცია, რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობას არ ახსოვს. ოქტომბრის რევოლიუცია აუცილებლად მთელ მსოფლიოს უნდა მოედვას. იწყება თანამედრო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვე კაპიტალისტური წყობილების რადიკალური გარდაქმნა. ობიექტიური პირობები ამ გარდაქმნისა უკვე საკმარისად მოამზადა არა თუ კაპიტალისტურმა განვითარებამ — მისმა იმპერიალისტურმა ხანამ, არამედ დღევანდელმა მსოფლიო ომმა.

ჩვენ ვამბობდით, რომ დღევანდელი ავაზაკური ომის გათავება შეიძლება მხოლოდ ხალხის აჯანყებით, ძალაუფლების ხალხის — მუშების, ჯარისკაცების და გლეხების ხელში გადასვლით. რუსეთში ეს უკვე განხორციელდა და ახალი მთავრობა ამ საქმეს უკვე შეუდგა, მისი პირველი სიტყვა—ეს ომის შეჩერებაზე და ზავის ჩამოგდებაზე პირველი დეკრეტის გამოცემა იყო. მეორე მორიგი საკითხი, — ეს მიწის საკითხია, ე. ი. ულარიბესი გლეხების არსებითი ინტერესების დაკმაყოფილება. — მეორე დეკრეტით ახალმა სახალხო მთავრობამ, ეს საკითხიც გადასჭრა. — მიწებზე მოისპო კერძო საკუთრება და იგი მთელი ხალხის საკუთრებად გამოცხადდა. მესამე საკითხი, — ეს სასურსათო საკითხია, ე. ი. საკითხი ხალხის უზრუნველყოფისა საჭმელით და ჩაცმა-დახურვით ამ კრიტიკულ ხანაში, რომელსაც მთელი მსოფლიო განიცდის. ახალი მთავრობა აქაც რადიკალურ ზომებს იღებს, და ეჭვს გარეშეა, რომ ხალხის ხსნა მარტო მას ძალუძს.

თებერვლის დღეებში გადადგმული იქნა წინ მხოლოდ ერთი ნაბიჯი; მთელი 8 თვის განმავლობაში ჩვენ უკან ვიხევდით, რევოლიუციონური ფრაზებისა და სიტყვების მეტს არას ვაკეთებდით, რევოლიუციონური საქმე არ იყო. ოქტომბრის რევოლიუცია უკვე ვებერთელა გიგანტისებური ნაბიჯია სოციალიზმისაკენ. მუშებო, ჯარისკაცებო, გლეხებო, წინ გასწით სოციალიზმისაკენ, ხსნა მხოლოდ სოციალიზმშია". („ბრძოლა" № 28).

წერილში: „მენშევიკების ოპოზიცია" — ჩვენ ვკითხულობთ:

„მენშევიკები კარგად ეწყობოდენ ხალხის მოღალატე კერენსკის მთავრობას. როცა კერენსკიმ მთელი კონტრ-რევოლიუცია დარაზმა და ხალხის სისხლში ჩახრჩობა მოინდომა, რევოლიუციონური პროლეტარიატი გმირულად ეკვეთა მტრებს და კერენსკის მთავრობა ერთი დაკვრით გასრისა.

კერენსკის ჩამოგდებაზე დიდათ არ იტკივებდენ მენშევიკები თავს. პირიქით, კიდეც სიამოვნებთ, რომ ბრძოლა ხალხის გამარჯვებით გათავდა, მაგრამ როცა გამარჯვებულმა ხალხმა თავისი საბჭოების სახით თავისი მთავრობა წამოაყენა, მუშებისა და გლეხების მთავრობა შექმნა, ეს კი აღარ ეჭაშნიკათ, ჭკუაში არ დაუჯდათ. რა თქვენი საქმეა მთავრობის შედგენა—ეუბნებიან ისინი პეტროგრადის მებრძოლთ, — თქვენ იბრძოლეთ, მთავრობას კი ჩვენ შევადგენთო.

გუშინ კერენსკის ყურმოჭრილი მონები, მენშევიკები, დღეს ნამდვილ რევოლიუციონურ მთავრობას არ სცნობენ. მიზეზი საპატიო აქვთ: ბოლშევიკური მთავრობა არისო.

უნდა ვიფიქროთ, ბოლშევიკური მთავრობა არ დაიცავს მუშების და გლეხების ინტერესებს და ამიტომ უდგებიან მენშევიკები მას „ოპოზიციაში". აი რა ნათლად გამოსთქვამენ ამ აზრს:

„ბოლშევიზმს უნდა მოიპოვოს თანაგრძნობა გლეხობის. მარა ისე, რომ არსებითად არაფერი არ მისცეს".

ახალმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, რომლითაც სამუდამოთ ისპობა მიწაზე მემამულეთა საკუთრება. ეს უკიდურესი რეფორმაა, რომლის განხორციელებაში მთელი თავისი ძალღონით ეხმარება მთავრობა გლეხობას, და მერე ეს არაფერია? მართალია, ბოლშევიზმი ვერაფერს მისცემს, თუ თითონ გლეხობამ ხელი არ გაანძრია და თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის განთავისუფლების დარაჯათ თვითონვე არ დადგა.

მაგრამ როდის პირდებოდა ვისმე ბოლშევიზმი, მე გაგაბედნიერებ, შენ გულხელდაკრეფილი იყავიო. ეს თქვენ იძლეოდით ასეთ დაპირებებს, თქვენ პირდებოდით მათ ყოველ სიკეთეს და სიმართლე უნდა ითქვას, კარგსთაც მოატყუეთ თქვენ ისინი.

...ზავის დეკრეტი ხომ სრულიად არ მოსწონთ მენშევიკებს. ბოლშევიკები ვილჰელმს და ლოიდ ჯორჯს „უმორჩილესი თხოვნით“ მიმართავენ, „ემუდარებიან“, „მუხლს ქვეშ უვარდებიანო“. ეჰეიე, რა გულადი ხალხი ხართ, ყმაწვილებო. ის ვინ იყო, მოქალაქე სკობელევს რომ პარიზის კონფერენციაზე აგზავნიდა? ვის უნდა მოლაპარაკებოდა ის, თუ არა ლოიდ ჯორჯს და ძმათა მისთა?

მართალია, ევროპის მთავრობები ძალიან ცუდათ იცავენ თავისი ხალხების ინტერესებს, მარა მათი ოფიციალური წარმომადგენელნი ისინი არიან და მეტი არავინ. ან როდის თქვენს ბოლშევიკებმა მთავრობებს არ უნდა მივმართოთო. პირიქით, ჩვენ მუდამ იმას გიკიჟინებდით, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებით თქვენ არასოდეს არ მიგიმართავთ არც მთავრობებისათვის და არც ხალხებისათვის“. („ბრძოლა“ № 28).

მხოლოდ 8 ნოემბრის „ბრძოლა“-შია მოთავსებული საკუთარი კორესპონდენტის მიერ გადმოცემული ცნობები პეტროგრადში მომხდარი ამბების შესახებ. ამ დღიდან უკვე ბოლო ელება პეტროგრადიდან მოწყვეტილობას და აქაური ბოლშევიზმი ორგანიზაციულადაც მჭიდროთ უკავშირდება რევოლიუციის ცენტრებს. ამ დღის „ბრძოლა“ არკვევს კოალიციის საკითხს და მას მოწინავეს უძღვნის:

„...მენშევიკები და ესერები მომხრე იყვენ ბურჟუაზიასთან კოალიციის. მათ წარმოიდგინეს, რომ ბურჟუაზია რევოლიუციონური ძალაა და მასთან ერთად მოინდომეს რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა.

ბოლშევიკები წინააღმდეგნი იყვნენ ბურჟუაზიასთან კოალიციის. ისინი ამბობდენ, რომ ბურჟუაზია კონტრ-რევოლიუციონური ძალა, ის მუდამ ეცდება რევოლიუცია შეაფეროხოს, დაახშოს და დაასამაროს. ამიტომ ყოველივე კავშირი უნდა გავწყვიტოთ ბურჟუაზიასთან და მის წინააღმდეგ ვაწარმოოთ რევოლიუციის საქმეო.

მენშევიკები გამოხატავდენ წვრილ ბურჟუაზიულ რყევას, ვერ სწყვეტდენ კაპიტალთან კავშირს, ვერ გადავიდენ პროლეტარიატის მხარეს და მთელი რვა თვის განმავლობაში ბურჟუაზიასთან ერთად თანამშრომლობდენ, ამ კოალიციის დამღუპველი შედეგი დღეს ყველამ იცის, მან ვერ გადასწყვიტა ვერც ერთი ძირითადი საკითხი რევოლიუციისა: ზავი, მიწა და თავისუფლება. ზავის მაგივრად ომი უფრო გამწვავდა და გახანგრძლივდა, მიწა ისევ მემამულეებს უჭირავთ და თავისუფლების ნაცვლად იწყეს პარპაში კონტრ-რევოლიუციონერებმა — კორნილოვებმა და კერენსკებმა.

ამის მიზეზი ერთად-ერთი იყო: ნდობა ბურჟუაზიისა, მასთან თანამშრომლობა, მისი ნაჩვენები გზით სიარული, მასთან კავშირი — კოალიცია.

ეს მეტის-მეტად აშკარა შეიქნა და მენშევიკ-ესერებმა ბოლოს უარყვეს რა თავის ნაცადი გზა. უარყვეს ბურჟუაზიასთან კოალიცია.

მაგრამ უარყვეს და საქმით კი ყველაფერი ძველებურათ დასტოვეს. გათამამებული კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია თავს დაესხა რევოლიუციონურ პროლეტარიატს, რომელიც ვერ ურიგდებოდა მის ბატონობას და მოინდომა მისი გასრესა.

პროლეტარიატი აღსდგა და რევოლიუციონურ ჯართან ერთად დაამხო ბურჟუაზიული მთავრობა. მან შეადგინა ახალი მთავრობა, მუშების და გლეხების მთავრობა. აქ მარტო არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის პროლეტარიატი, მას ყავს საიმედო მოკავშირე, ეს მოკავშირეა უღარიბესი გლეხობა და მისი წრიდან გამოსული ჯარი. აქაც არსებობს კოალიცია, მხოლოდ კოალიცია მშრომელთა კლასებისა.

ამ ორი კლასის კოალიციამ ბურჟუაზიის წინააღმდეგ წარმოშვა თავისი მთავრობა, მუშების და გლეხების მთავრობა, რომელიც მედგრად იცავს ორივე მოკავშირის ინტერესებს. მან ყოველივე კავშირი გასწყვიტა ბურჟუაზიასთან და შეუდგა მუშების და გლეხების ინტერესების დაკმაყოფილებას". („ბრძოლა“ № 30).

## 3) მენშევიკების ნაციონალისტური პოზიცია

მენშევიკები იძულებული არიან სცნონ, რომ პეტროგრადის პროლეტარიატმა გაიმარჯვა; მაგრამ რადგან ეს ეწინააღმდეგება მათ კლასობრივ ბუნებას, ისინი ვერ ემხრობიან რევოლუციას და ეძებენ თავის საკუთარ პოზიციას. ამ პოზიციას პოვებენ ნაციონალიზმში. ბოლშევიკური პრესა ფხიზლად სდარაჯობს ამ რყევას და სათავეშივე ამხილებს ამ ნაციონალისტურ სულისკვეთებას. 10 ნოემბრის „ბრძოლაში“ დაყენებულია საკითხი—თუ საით მიისწრაფვიან მენშევიკები და პასუხიც მოცემულია: ეს მისწრაფებაა რუსეთიდან ჩამოშორება. ამ დღიდან მენშევიკებს ახასიათებს აღვირახსნილი ნაციონალიზმი, ბოლშევიზმს — ინტერნაციონალური სოლიდარობის მტკიცედ დაცვა.

აი რას სწერს „ბრძოლა“ № 31:

„**რუსეთიდან ჩამოშორება.** სწორედ ასე აყენებენ საკითხს მენშევიკები გაზ. „ერთობაში“. ან კი რა ქნან. რუსეთში მუშების და გლეხების რევოლუცია იმარჯვებს. უკვე შესდგა მუშების და გლეხების მთავრობა, რომელმაც დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ბურჟუაზიას და ყველა ამ ქვეყნის ძლიერთ, გაწყვიტა ყოველივე კავშირი ბურჟუაზიასთან, რომელსაც ასე ელოლიავებოდენ და ფეხქვეშ ეგებოდენ მენშევიკები.

რომ მენშევიკები მხარს ვერ დაუჭერენ რუსეთის რევოლუციას, ეს მათ საქვეყნოთ აღიარეს. მაშ, რა დარჩენიათ? რუსეთიდან ჩამოშორება, საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწყობა.

ისინი სწერენ:

„დღეს ჩვენ იმდენად მოღონიერებული ვართ, რომ პოლიტიკურად კიდევ შეგვიძლია საკუთარ ფეხზე დადგომა.

მერე რა გაწუხებთ. ხომ იცით, რომ დღევანდელი თქვენგან ათვალწუნებული მთავრობა ერთა თვითგამორკვევის უფლების მომხრეა. თუ კერენსკის მთავრობას ვერაფერს უბედავდით და რაღაც ნაციონალური პოლკების ნებართვას მუხლმოდრეკილი ემუდარებოდით, ეხლა ხომ სულ სხვანაირად არის საქმე? კითხეთ ერს, კითხეთ კავკასიას და თუ მოისურვებს გამოყოფას, წინ რა უდგია? აგისრულდებათ თქვენი დიდიხნის იდუმალი ნატვრაც ქართველი ერის დამოუკიდებლობაზე, რომელიც თქვენ ყველა ნაციონალისტურ პარტიებთან გაახლოვებდათ.

მენშევიკები მაინც ვერ ბედავდენ, რატომ?

„მაგრამ ეკონომიურად ჩვენ არარაობას წარმოვადგენთო“, აცხადებენ ისინი, ეკონომიურად არარაობა, ხოლო პოლიტიკური ძლიერება — როგორ მოგწონთ ეკონომიკის და პოლიტიკის ასეთი ურთიერთობა, მათი დაპირისპირება მარქსისტის მხრით?..

„ჩვენ იმ თავიდანვე რუსეთის პურით ვიკვებებოდით. საკმაოა რამდენიმე დღით შესწყდეს რუსეთიდან პურის გზავნა, რომ შიმშილობის მსხვერპლი შევიქმნეთ“.

თუ არა პური, სხვა არაფერი მოაგონებდათ მენშევიკებს რუსეთის რევოლუციისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ბოლშევიკების მოსპობას არა ერთხელ ცდილან მენშევიკები და ახლაც არ ეძრახებათ თუ მთელ ბურჟუაზიასთან ერთად ჯვაროსანთა ომს გამოაცხადებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ. ვთქვათ მათ მიაღწიეს თავის მიზანს და ბოლშევიკები მოსპეს. ახალი მთავრობა დაამხეს ბურჟუაზიის გასახარელად, რას გვპირდებიან მის მაგიერს, რა უნდა დაამყარონ ბოლშევიკების ნანგრევებზე.

„მთლიანი, ძლიერი —რუსეთი — აი რა გვიხსნის ჩვენ და უზრუნველყოფს ჩვენში ყოველგვარ თავისუფლებას“.

რით განირჩევა ეს ლოზუნგი ყველა შავრაზმელ იმპერიალისტურ მისწრაფებიდან. „მთლიანი ძლიერი რუსეთი“. ეს პურიშკევიჩის, როდზიანკოს და მილიუკოვის ლოზუნგი თავის პროგრამად გამოაცხადეს მენშევიკებმა.

უნდა გავბედოთ და ერთი სამწუხარო ამბავი ვაუწყოთ მენშევიკებს: „მთლიანი ძლერი რუსეთი“, რომელსაც მთელ ბურჟუაზიასთან ერთად ეტრფიან, დაირღვა და იმედია, აღარც როდის აღსდგება, მის ადგილს იჭერს მუშების და გლეხების ახალი რუსეთი, რომელიც მიუხედავად იმპერიალისტურ, ნაციონალისტურ და ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა, დაამყარებს სრულ თანასწორობას, როგორც მოქალაქობრივს, ისე ეროვნულს და არა მარტო კავკასიის ერებს შემოიკრებს თავის გარშემო, მიუხედავად ყოველგვარი ნაციონალისტთა ფაფხურისა, ის ყველა ქვეყნებში დაანთებს ბრძოლის ცეცხლს, რომელიც ბოლოს მოუღებს ძველ დამყაყებულ ცხოვრებას და გზას გაუხსნის კაცობრიობის ბრწყინვალე მომავალს.

მენშევიკები და სხვა ნაციონალისტური პარტიები იწყებენ ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენას და აშკარად უპირდაპირდებიან რუსეთის საბჭოთა მთავრობას. აქაც ბოლშევიზმის პოზიცია სავსებით გარკვეულია. ის აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა **წინდაწინ** განწირულია:

„დღეს უკვე აშკარად სჩანს, რომ მენშევიკებს სძულთ მუშების და გლეხების ძალა - უფლება. კერენსკის ვეღარ აღადგენენ, თუმცა ძლიერ ენანებათ მისი დამხობა. ჩხენკელმა მოახსენა კერენსკის — ჩვენ შენთან ვართ, მუდამ შენი ერთგულნიო, მარა კერენსკის ტახტი ამით არ გამაგრდა. ამავე დროს მათ მაჭანკლობა იწყეს, მოინდომეს შეურიგებელის მორიგება, კერენსკის და საბჭოების შეთანხმება, მარა კურენსკი მაინც დაემხო და მუშების და გლეხების რევოლიუცია დღითი დღე ძლევა-მოსილი ხდება.

რიღას იმედი უნდა იქონიონ. კორნილოვს კერენსკიც გაჰყვა, მარა დარჩა კიდევ კაზაკი კალედინი და აი მენშევიკებიც სასოებით ბეჭდავენ ყალბ ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ იძვრის კალედინის კონტრ-რევოლიუციონური ლაშქარი მუშათა და გლეხთა საბჭოების დასამხობათ, როგორ იპყრობს ის ქალაქს ქალაქზე და მოსკოვ - პეტროგრადს უახლოვდება. ისინი ბეჭდავენ თვით კალედინის დეპეშას, რომელსაც ის მთელ რუსეთში გზავნის და ქუდზე კაცს მოუწოდებს რევოლიუციის დასამხობათ. მენშევიკების თანაგრძნობა კალედინის მხარეს არის, მათი ზიზღი და სიძულვილი კი--მუშების და გლეხების მთავრობის წინააღმდეგ. მათი გაზეთი სავსეა ამ მთავრობის გინებით, მისი სახელის გატეხით.

...კერენსკის ვერაფერს შველით, მუშების და გლეხების მთავრობას ვერ მიემხრობით. რა დაგრჩენიათ?

„საჭიროა დაუყოვნებლივ შესდგეს ამიერ - კავკასიის დროებითი მთავრობა... უნდა შეიქნას ძლიერი ადგილობრივი დემოკრატიული მთავრობა, რომელიც მთელ საზოგადოებრივ, ეკონომიურსა და ფინანსიურ ცხოვრებას სათავეში ჩაუდგება და მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწესრიგებას თავს იდებს: სხვა გზა არ არის“.

ჩვენც იმის მომხრე ვართ, რომ შეიქმნას ძლიერი დემოკრატიული მთავრობა, მარა არა ისეთი, რომელსაც თქვენ სხვადასხვა ნაციონალისტებთან ჩურჩულ - კურკურით შეადგენთ, რომელსაც არც ძალა ექნება და არც გავლენა; არამედ უნდა შეიქნეს თვით ხალხის მთავრობა, რომელიც ყოველივე კავშირს გასწყვეტს ბურჟუაზიასთან და მემამულეებთან. და გადაიქცევა ხალხის იარაღით ყოველგვარ მონობისაგან განთავისუფლების საქმეში. ასეთი კი შეიძლება იყოს მხოლოდ საბჭოების მთავრობა“ („ბრძოლა“ № 32).

ამავე ნომერში დაბეჭდილია სილია თოდრიას იუმორისტული ფელეტონი „რუსეთი განსაცდელშია“, სადაც ავტორი დასცინის მენშევიკების სასოწარკვეთას, რაც იმით არის გამოწვეული, რომ რევოლუციამ გაიმარჯვა.

მენშევიკების ნაციონალისტური პოზიცია აშკარა კონტრ - რევოლუციონურ პოზიციად უნდა გადაქცეულიყო. ასეც მოხდა. „ბრძოლა“ ააშკარავებს ამას 25 ნოემბერს დაბეჭდილ სტატიაში: „კალედინთან, კალედინთან“:

„ამიერ - კავკასიის მთავრობის შესახებ ჩვენ იმ თავითვე შევადგინეთ გადაჭრილი აზრი და დავახასიათეთ ის, როგორც კონტრ - რევოლუციონური ძალა. ეს მთავრობა არ სცნობს ოქტომბრის რევოლუციას, არ სცნობს ამ რევოლუციის მიერ შექმნილ მუშების და გლეხების მთავრობას, კავშირს სწყვეტს რევოლუციონურ რუსეთთან და უკავშირდება კონტრ - რევოლუციონერ კალედინს და იმპერიალისტ ბიუკენენს. ამ მთავრობის შექმნა არ მოასწავებს ერის თვითგამორკვევას, ეს კონტრრევოლუციის თვითგამორკვევაა რევოლუციის წინააღმდეგ მიმართული.

ჩვენი ანალიზი ზედმიწევნით სწორი გამოდგა. ამიერ - კავკასიის მთავრობის ოფიციოზი „ერთობა“ გვატყობინებს, რომ გეგეჭკორმა უკვე გააბა კავშირი კალედინთან და მის მხგავსებთან და მათთან საერთო მოქმედების გეგმას იმუშავებს. მოგვყავს „ერთობიდან“ ეს ცნობა სავსებით:

„ამიერ - კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარემ ამხ. ევგენი გეგეჭკორმა დეპეშით მიმართა ყუბანის დრ. მთავრობისა და თერგის ოლქის ყაზახებისა და ჩრდილო - კავკასიის მთიულთა გაერთიანებულ დრ. მთავრობის თავმჯდომარეებს და სთხოვა მათ, რათა გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი 27 ნოემბრისათვის თბილისში ერთგვარი სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად“.

ვინც კავშირს სწყვეტს რუსეთის რევოლუციასთან, ის კალედინს უნდა დაუკავშირდეს, სხვა გზა არ არის. მაგრამ კალედინის მოკავშირეებმა კალედინის ბედიც უნდა გაიზიარონ, არც აქ არსებობს სხვა გზა“. („ბრძოლა“ № 43).

მალ. ტოროშელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მენშევიკების ბატონობის პირველი პერიოდი

1918 წ. 10 თებერვალს ტფილისში ალექსანდრეს ბაღში მიტინგზე მუხანათურად თავდასხმის შესახებ ამიერ-კავკასიის კომისარიატი ამნაირ ცრუ ოფიციალურ ცნობას აქვეყნებს:

„10 თებერვალს, ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევის დღეს, მიუხედავად აკრძალვისა შეკრიბეს მიტინგი ალექსანდრეს ბაღში, სადაც სიტყვების საშუალებით შეეცადნენ მასის ამხედრებას, რომ წასულიყვნენ სეიმის გასარეკად. ქალაქ ტფილისის დამცველმა შტაბმა მიიღო ყოველი ზომა ამის თავიდან ასაცილებლად, შტაბის აგენტებმა დიდხანს ურჩიეს ბრბოს დაშლილიყვნენ მარა არავითარმა რჩევამ არ გასჭრა. ამ დროს ბრბომ იარაღი აყარა ერთ მილიციონერს და ბრბოსაგანვე ვიღაცამ გაისროლა, რომლითაც მოკვდა ერთი მილიციონერი, რომელიც ურჩევდა ხალხს დაშლილიყო. ამის პასუხად მილიციონერებმა სროლითვე უპასუხეს, რომლითაც მოკვდა და დაიჭრა რამდენიმე კაცი“.

რა თქმა უნდა, ვინც არ ყოფილა ამ შემთხვევის დროს და არ უნახავს თავისი თვალებით ყველაფერი ის, რაც მოხდა ალექსანდრეს ბაღში ამ დღეს, როცა წაიკითხავდა მთავრობის ასეთ განცხადებას, იფიქრებდა, რომ მას არავითარი ბრალი არ მიუძღოდა სისხლის დაღვრაში. ჩვენ კი მოკლებული ვიყავით ყოველივე საშუალებას გაგვებათილებია ეს ტყუილები, რადგან ჩვენი გაზეთები და სტამბა დახურული იყო; მიტინგების მოწყობა კი, ბაღში მომხდარ შემთხვევის შემდეგ, სახიფათო იყო. მხოლოდ ქალაქის ხმოსანთა საბჭოს სხდომაზე 15 თებერვალს ამხ. მიხა ცხაკაია გამოვიდა საპროტესტო სიტყვით. მან მთელი საათი ილაპარაკა საბჭოთა ხელისუფლებაზე საზოგადოთ და ალექსანდრეს ბაღში მომხდარი შემთხვევა შეაფასა ისე, როგორც ერთი ეპიზოდი მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული უკვე კონტრრევოლიუციონურ გზაზე შემდგარ ამიერ-კავკასიის მთავრობისაგან. სიტყვის გარშემო ისეთი ცხარე კამათი გაიმართა, რომ ამხ. გეგეჭკორმა პროვოკატორის სახელწოდება მიიღო მიხასაგან.

სამიოდე დღის შემდეგ ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტისა დეპეშებმა მეტად ცუდი ამბები გვამცნო: გერმანიამ საბჭოთა მთავრობას ულტიმატუმის სახით წამოუყენა ზავის ცუდი პირობები. ამ ცნობებში ჯერ კიდევ არაფერი იყო ნათქვამი ბათომის შესახებ, მაგრამ „ერთობამ“ მაინც მოათავსა მოწინავე — „გაგვყიდეს“ სათაურით. თუ რა შინაარსის იქნებოდა ეს წერილი, ამას ყველა მიხვდება, ვისაც რამდენიმეთ აქვს წარმოდგენა, თუ რანაირ წერილებს ათავსებდა ეს გაზეთი ჩვენს წინააღმდეგ იმ ხანებში (და შემდეგაც მუდამ).

იმ დროს, როდესაც გერმანიის მთავრობამ საბჭოთა მთავრობას ულტიმატიური სახით წარმოუდგინა ზავის მძიმე პირობები, ამიერ-კავკასიის კომისარიატს და სეიმს ლმობიერად ეპყრობოდა ოსმალეთის მთავრობა და თავაზიანათ აძლევდა წინადადებას.. ტფილისში გაემართა საზავო მოლაპარაკება. სეიმის და კომისარიატის ხელმძღვანელები არც ისე ბეცები იყვნენ, რომ არ მიმხვდარიყვნენ, თუ რას ნიშნავდა ტფილისში ზავზე ლაპარაკის გამართვა და წინადადებით მიმრთეს ოსმალეთს, რათა ის დასთანხმებოდა სტამბულში, ან ტრაპეზუნდში მოლაპარაკების გამართვაზე. ოსმალეთმა გამოიჩინა სულგრძელობა და დასთანხმდა უკანასკნელზე. მაგრამ როდესაც იქ ჩავიდა ამიერ-კავკასიის დელეგაცია, კარგა ხანს მოუხდა ცდა ოსმალეთის დელეგაციის ჩამოსვლამდე, ტრაპეზუნდში ამიერ-კავკასიის სეიმის საზავო დელეგაცია, როდესაც ოსმალეთის დელეგაციის ლოდინში იყო, ოსმალეთის მთავარსარდალი კავკასიის ფრონტზე ვეხიბ ფაშა მოიწევდა წინ და, როგორც მან გენერალ ოდიშელიძეს განუცხადა, განაგრძობდა წინსვლას მანამ, სანამ რუსის ჯარს არ შეხვდებოდა. სომეხთა და ქართველთა ეროვნულ პოლკებს ის რუსის ჯარათ არ სთვლიდა, ოდიშელიძის აზრით საჭირო იყო არზრუმისაკენ რუსის ჯარის ნაწილების გაგზავნა, მაგრამ ეს უკვე გვიან იყო, რადგან ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელებმა ყოველივე ზომები მიიღეს, რომ ეს ნაწილები გაშორებოდნენ ამიერ-კავკასიას.

ვეხიბ ფაშას ასეთ განცხადებას ცხად უნდა ეყო, რომ ოსმალეთი ამ.-კავკასიის მთავრობას ანგარიშს არ უწევდა, მაგრამ ამიერ კავკასიის მესვეურები მაინც ფიქრობდნენ, რომ მათი დემოკრატიული გაერთიანებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტი უფრო ძლიერი იქნებოდა, ვიდრე საბჭოთა მთავრობა.

ოც თებერვალს მოვიდა ცნობა ბათომის შესახებ. ბრესტ-ლიტოვსკში გერმანელ-ოსმალების საზავო დელეგაცია თხოულობდა ბათომსა და მის ოლქში მოსახლეობის შეკითხვის (რეფერენდუმის) მოხდენას შესახებ იმისა, თუ საით სურდათ მათ დარჩენა—ოსმალეთისაკენ, თუ ამიერ-კავკასიისაკენ.

ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაართულა ჩვენი მდგომარეობა, რომელიც არც ისე იყო სახარბიელო. თავს გვესხმოდენ ყოველგან—პრესაში, კრებებზე, დაწესებულებებში, ქუჩებშიდაც კი. მხოლოდ ბათომში შეგვრჩა ქართული გაზეთი „მუშის ხმა“ და რუსული „ბურევესტნიკი“. სხვაგან იძულებული ვიყავით ცალ-ცალკე ამხანაგებს ასე თუ ისე გაგვეშუქებია საკითხი და გაგვეცა პასუხი თავდასხმაზე სათითაოდ. საოლქო კომიტეტის დირექტივები პრესის უქონლობის გამო ველარ ვრცელდებოდა ფართე მასებში.

მიუხედავად ჩვენი ასეთი მდგომარეობისა, თებერვლის განმავლობაში მაინც მოხდა ადგილობრივი ქართული სამხედრო ნაწილების მასიური გამოსვლები ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობით. ასეთ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი ქუთაისში, სოხუმში, გორში, დუშეთში, თელავში და სხვაგან. მათ წინააღმდეგ იბრძოდენ ეგრეთწოდებული „წითელი გვარდიელები“, რომელთა რიგები პირველ დასაწყისში მუშებიდან შესდგებოდა, მაგრამ ამ ხანათ მუშები უკვე გაითქვიფენ აფიცერთა, უსაქმო თავად-აზნაურთა და ვაჭრების შვილებს შორის. ეს უკანასკნელნი ბლომათ მიაწყდენ „წითელ გვარდიას“, რადგან მისი წევრობა ბევრ შეღავათს და უპირატესობას იძლეოდა.

გამოსვლებს ჰქონდა ადგილი აგრეთვე სოფლებშიაც, განსაკუთრებით გორის მაზრაში და ლეჩხუმში. გლეხები ვერ დააკმაყოფილა სეიმის მიერ მიღებულმა მიწის კანონმა, რომლის მიხედვით მემამულეებს რჩებოდათ თითქმის წინანდელი ნორმა: შვიდი დესეტინა იმ რაიონში, სადაც ეწევიან ძვირფას კულტურის მეურნეობას; თხუთმეტი დესეტინა, სადაც პურის თესვას მისდევენ და ოცდაოცი დესეტინა იქ, სადაც მესაქონლეობას მისდევენ. ამ კანონს ჰქონდა კიდევ შენიშვნა, რომლის ძალითაც საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს უფლება ეძლეოდათ, ადგილობრივ პირობების მიხედვით, ეს ნორმა გაედიდებიათ; პირველ შემთხვევაში ათ დესეტინამდე, მეორეში—ოცდაცამდე და მესამეში ორმოცდაათ დესეტინამდე.

ამრიგად მცირე მიწიან გლეხებს არაფერი რჩებოდათ, რადგან ამოდენა ნორმების მიხედვით თითქმის ყველა მემამულეს, იშვიათი გამონაკლისით, რჩებოდა ხელუხლებლათ თავისი მამული. მიწის ასეთი კანონის საპასუხოდ გლეხებმა დაიწყეს მემამულეების თვითგასამართლება, რამაც მეტისმეტი აღშფოთება გამოიწვია მთავრობის წრეებში.

აი რას სწერდა „ერთობა“ ამის შესახებ 14 მარტის ნომერში:

„სამწუხარო და აღმაშფოთებელი ამბები მოდის სოფლებიდან, განსაკუთრებით ქართლიდან. ვიღაც უნამუსო და თავზე ხელაღებულ პირებს მიზანში ამოუღია უმწეო პირები—თავადაზნაურობის წრიდან და სიცოცხლეს ასალმებენ... ის, რაც დღეს ქართლის სოფლებში ხდება, პირდაპირი ღალატია რევოლიუციის, ის შერცხვენაა მთელი საქართველოსი, შეურაცყოფაა იმ მებრძოლი პირების, რომლებმაც ხალხის ბედნიერებას შესწირეს თავი“.

„შეხედეთ პატარა გურიას: რა საუცხოვო წესრიგია იქ დაცული. აგერ მეორე წელიწადში გადადგა რევოლიუცია და გურიაში ერთი თავადისათვისაც ხელი არავის უხლია“...

ის კი ავიწყდებოდათ გაზეთის მესვეურებს, რომ გურულმა გლეხობამ „შეახო ხელი“ თავად-აზნაურობას ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციის დროს და ამ ხანათ აღარავინ დარჩენოდა ხელშესახები.

ყოველ შემთხვევაში, ამიერკავკასიის მთავრობის ხელმძღვანელების მიერ გამოცემულმა მიწის ასეთმა კანონმა ჩვენ, ბოლშევიკებს, ნიადაგი მოგვცა გლეხებში გავლენის მოსაპოებლად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში—რაჭა-ლეჩხუმში და სამეგრელოში. გლეხებში ჩვენი გავლენის ზრდას ხელი შეუწყეს აგრეთვე ფრონტებიდან დაბრუნებულმა ჯარისკაცებმა. განსაკუთრებით ლეჩხუმის გლეხობამ ისახელა თავი: მთელი ექვსი თვის განმავლობაში ბრძოლა სწარმოებდა ლეჩხუმის საზღვრებზე გლეხებსა და „წითელ გვარდიელებს“ შორის. ლეჩხუმში ამ ხნის განმავლობაში არც შესვლა და არც გამოსვლა არ შეიძლებოდა, მთავრობისაგან ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული ლეჩხუმის მაზრას და არავითარი საქონელი არ იგზავნებოდა იქით. მხოლოდ მაშინ იქნენ გატეხილი ლეჩხუმელები, როდესაც საქართველოს მიწა-წყალზე გერმანელების ჯარებმა მოიკიდეს ფეხი და მთავრობას ამის საშუალება მიეცა მთელი თავისი ძალები მიემართა ლეჩხუმის წინააღმდეგ.

მოაწერა რა ხელი საბჭოთა მთავრობამ ბრესტლიტოვსკში მეტად მძიმე ზავის პირობებზე, ამითი ფიქრობდა შეესვენებია გარეშე ფრონტზე ბრძოლისაგან და გადასულიყო შინაურ კონტრრევოლიუციონერებთან შეტევაზე. კონტრრევოლიუციონერები კი უმთავრესად მოკალათებული იყვნენ უკრაინაში და დონის ოლქში. ისინი არ სცნობდენ საბჭოთა ცენტრალურ მთავრობას და ამიერ-კავკასიის მთავრობასავით ცალ-ცალკე აწარმოებდენ საზავო მოლაპარაკებას გერმანელებთან. როგორც ოსმალეთი იქცეოდა ამიერ-კავკასიის მთავრობის მიმართ, ისე გე-

რმანია უკრაინის და დონის ოლქის მთავრობების მიმართ: ე. ი. ჯერ ისწრაფოდა მათი მიწა-წყლის დაკავებას და შემდეგ მათთან ზავის შეკვრას. მაგრამ, უკეთუ ბოლშევიკები დაიჭერდენ ამ ადგილებს, მაშინ გერმანელები ზავის პირობის მიხედვით, იძულებული ხდებოდენ აღარ შესულიყვნენ ამ ადგილებში. ამნაირად საბჭოთა და გერმანელების ჯარებს შორის ერთნაირი შეჯიბრება ხდებოდა, თუ ვინ მიასწრებდა ამა თუ იმ მხარეს. ამ შეჯიბრებაში უპირატესობა გერმანელების მხარეზე იყო, რადგან ადგილობრივი კონტრრევოლიუციონური მთავრობები საბჭოთა ხელისუფლებას ამჯობინებდენ გერმანელების იმპერიალისტების ბატონობას. უკრაინაში და დონის ოლქში მეორდებოდა იგივე, რაც ამიერ-კავკასიაში: ადგილობრივ მთავრობებს ყველაფერ სიკეთეს პირდებოდენ გერმანელები და იკავებდენ იმავე დროს მათ ადგილებს, რათა ყოველივე სარჩო-საბადებელი გაეზიდათ იქიდან.

იმის თქმა, რომ ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელებმა არ იცოდენ რა ცუდი შედეგი მოყვებოდა მათ გამოყოფას რუსეთიდან არ შეიძლება. არა ერთხელ ყოფილა „ერთობაში" მოთავსებული წერილები რუსეთის დანაწილების წინააღმდეგ. სამი მარტის „ერთობის" ნომერში ვკითხულობთ შემდეგს:

„თანამედროვე მსოფლიო ომი ჯერჯერობით სხვადასხვა სახელმწიფოების დანაწილებით თავდება. ცენტრალურ სახელმწიფოების კავშირმა—გერმანია-ავსტრიის მეთაურობით დიდი რუსეთის რესპუბლიკა უკვე დაანაწილა და მთელი დასავლეთი რუსეთი იმპერიალისტებმა ჩაიგდეს ხელში... მტრის გაბატონებულმა კლასებმა მთელი სიგრძესიგანით შეითვისეს ძველი რომაელების თქმულება: დაყავ, დაანაწილე და ისე იბატონე. ისინი იმით არ დაკმაყოფილდენ, რომ რუსეთს მრავალი გუბერნიები და ოლქები წაართვეს, დემოკრატიული რუსეთიდან ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოსჭრეს და უკრაინის დამოუკიდებლობას დიდათ ხელი შეუწყვეს. გერმანიის იმპერიალისტებმა კარგად იცოდენ, რომ მთლიანი რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკა ომის გათავების შემდეგ მალე წელში გაიმლებოდა, მალე ეკონომიურ, პოლიტიკურ და ფიზიკურ ძალათ იქცეოდა და მაშინ ცენტრალურ სახელმწიფოების იმპერიალისტებს საშუალება აღარ ექნებოდათ რუსეთის რესპუბლიკაში ებატონებიათ".

შემდეგ გაზეთი წუწუნებს ამიერ-კავკასიის მოსალოდნელ დანაწილებაზე და მისი ძალების ამით შესუსტებაზე. მაგრამ იმავე დროს ამიერ-კავკასიის მთავრობის ყოველი ნაბიჯი მიმართული იყო რუსეთიდან გამოყოფისაკენ. „ერთობა" იყო მენშევიკების ცენტრალური ორგანო, მენშევიკები კი ხელმძღვანელობდენ ამიერ-კავკასიის მთავრობის პოლიტიკას. ოსმალეთთან ამიერკავკასიის მთავრობის ზავზე მოლაპარაკების საქმეს, მთავრობის თავმჯდომარე ევგ. გეგეჭკორის სეიმში განცხადებით, „ჩიხში მივიდა".

სანამ გერმანია-ოსმალეთისთვის ხელსაყრელი იყო დროს მოგება, ისინი რბილათ ელაპარაკებოდენ ამიერკავკასიის დელეგატებს, მაგრამ როდესაც მიზანს მიაღწიეს და ამიერ-კავკასია ჩამოაშორეს რუსეთს, შემდეგ კილო გამოიცვალეს. როცა მოადგენ საზღვრებს, ზოგან გადმოლახეს კიდევაც, მაშინ ისეთი მოთხოვნილებები წამოუყენეს მათ, ბრესტლიტოვსკის ზავი მასთან შედარებით საპატიოთ ჩაითვლებოდა.

თანაც გამოირკვა ამიერ-კავკასიის დელეგაციაში აზრთა სხვადასხვაობა. აზერბეიჯანის წარმომადგენლები გადავიდენ ოსმალეთის მხარეზე, საქართველოს წარმომადგენლებს გერმანელების მფარველობის იმედი მიეცათ, სომხეთის წარმომადგენლებს მთლად გამოეცალათ ფეხქვეშ ნიადაგი და ისევ რუსეთისაკენ დაიწყეს ცქერა, რომლისგან ჩამოშორებაში მათ მენშევიკებზე მეტი თუ არა, ნაკლები ბრალი არ ედოთ.

იმავე დროს ამიერ-კავკასიის სეიმშიაც იჩინა თავი უთანხმოებამ. ამ უთანხმოების მიზეზი შეიქნა, სხვათაშორის, რუსეთის ჯარის მიერ დატოვებული აუარებელი ქონება.

17 მარტის სეიმის სხდომაზე მუსულმანთა სოციალისტურ ბლოკის წარმომადგენელი კანტემიროვი ამბობს, რომ „მუსულმანებს გვერდი აუარეს ფრონტზე დარჩენილი ქონების გაყოფის დროს, მას არ მისცეს იარაღი"...

ამაზე ნოე რამიშვილი უპასუხებს: „აქ ლაპარაკობენ, რომ ქონებისა და იარაღის განაწილების დროს მუსულმანებს გვერდი აუარესო. ეს არ არის ის ენა, რომლითაც უნდა ლაპარაკობდეს ხალხის წარმომადგენელი. ჩვენი მთავრობა თანასწორათ ურიგებდა ყველას იარაღს".

გააჩაღეს რა დავა ერთმანეთშორის სეიმში და მთავრობაში მონაწილე ნაციონალისტურმა პარტიებმა,—მათ შორის სოციალ-დემოკრატ მენშევიკებმაც,—იმავე დროს ყველანი დარაზმული ილაშქრებოდენ ჩვენს, კომუნისტების, წინააღმდეგ.

„ერთობის" 21 მარტის ნომერში შემდეგი შინაარსის წერილი იყო მოთავსებული:

„დემოკრატიას უნდა საერთო მთავრობა. მისი ინტერესები მთლიანობისაკენ მიისწრაფიან. ნაციონალისტებს კი უნდათ ცალ-ცალკე მთავრობები. მათი ინტერესები გათიშვისაკენ მიილტვიან. ეროვნება და ეროვნული მათვრობა,—აი მათი ხატი, მათი ღვთაება, ყოვლის შემძლე, ყოვლის გამკურნავი; ზავი გნებავთ—ეროვნული მთავრობა შეგიქმნით და მოგცემთ; რევოლიუციონური წესების დაცვა გსურთ—ეროვნული მთავრობა ამას თვალის დახამხამებაში განახორციელებს; იარაღი, სწავლა, მიწაც გნებავთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული მთავრობის შექმნისთანავე საჭიროზე ათჯერ მეტი გაჩნდება; ერთი სიტყვით, ეროვნული მთავრობა—ეს საყოველთაო მკურნავი ელექსირია, ალქიმიკოსების ჯადოსნური ქვა, რომელიც სასწაულს ახდენს.

მართალია ეს?

ველიკოროსია, უკრაინა და სხვ. ერები რუსეთისა საუცხოვო მაგალითს გვაძლევენ იმისას, რომ ერთფეროვნება ვერ იხსნის მთავრობას რყევისა და უძლურებისაგან. ეროვნული ხასიათის მიცემა მთავრობისთვის სრულიადაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ იგი ყველასაგან ცნობილი და მისაღები იქნება".

ასე სწერდა ცენტრალური ორგანო მენშევიკების პარტიისა, მაგრამ იმავე დროს ოსებს აწიოკებდენ, აჭარაში და აფხაზეთში „წითელი გვარდიელები" თარეშობდენ ვ. ჯუღელისა და ვ. გოგუაძის მეთაურობით.

მარტის უკანასკნელ რიცხვებში მიხვდენ ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელები, რომ „უჩვეულო მდგომარეობაში ჩავარდა ზავის ჩამოგდების საკითხი ამიერ-კავკასიაში. ერთი მხრით საზავო მოლაპარაკება სწარმოებს ტრაპეზუნდში, მეორე მხრით კი საზღვრეზე ომია გაჩაღებული. ოსმალეთის ფაშები, ერთი მხრით დიპლომატიის მანქანას ამუშავებენ, მეორე მხრით ხმალს იქნევენ და ახალგაზრდა რესპუბლიკას შუაზე გაკვეთას უპირებენ"—სწერს „ერთობა" მარტის დამლევს.

გერმანია-ოსმალეთის დიპლომატიამ დაანება უკვე თავი კატამალულობიას თამაშს და გადავიდა შეტევაზე. 26 მარტს საზავო დელეგაციის თავმჯდომარე, ჩხენკელი ტრაპიზუნდიდან შემდეგი შინაარსის დეპეშას უგზავნის მთავრობას:

„ჩემგან იყო გადადგმული არაოფიციალური ნაბიჯები, მაგრამ მიღებულია სტამბოლიდან კატეგორიული ბრძანება წინსვლის შესახებ, სანამ ჩვენ არ დავთმობთ ყველა ჩვენ პოზიციებს. მდგომარეობა შეიცვალა ცუდათ, ფრონტზე მდგომარეობა იმაზე უარესია, რაც ბიულეტენშია გამოხატული, არდაგანი აღებულია, ყარსის ბედი გადაწყდება ამ დღეებში, რკინის გზა ბათომის მიმართულებით ალბად გადაჭრილი იქნება, ოსმალები რვა ვერსის მანძილზე არიან ბათომიდან, ჩვენი გეგმა არ ავჩქარებულიყავით, სანამ არ მოვემზადებოდით, არ გამართლდა. ჩვენი ჯარი და მისი ხელმძღვანელები არ სდგანან შესაფერ სიმაღლეზე. ქვეყანა უმთავრობოთ და უდისციპლინოთ ომს ვერ აწარმოებს, ვცნობ აუცილებლად ეხლავე მივიღო ნებართვა ბრესტის ხელშეკრულების ცნობისათვის, თუ ჩვენი მოთხოვნილებები აღმოჩნდებიან შეუღებლად. ეს ხელშეკრულება სცნობს ამიერ-კავკასიის უფლებას მიიღოს მონაწილეობა სადაო კუთხეების მოწყობაში, მაგრამ ამისათვის ამიერ-კავკასიამ უნდა გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა, რასაც ის არ შვრება, მიუხედავად ჩემი მოთხოვნილებისა. ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა უკვე გადაიქცა კოზირათ ოსმალების ხელში. ბრესტის ხელშეკრულების ცნობით მოგვიხდება მხოლოდ საზღვრების შესწორების შესახებ ლაპარაკი ორივე ოლქში".

ასეთივე დეპეშა მიიღო სეიმის დამნაკელების ფრაქციამ საზავო დელეგაციის წევრების კაჩაზნუნის და ხატისოვისაგან, რომლებიც ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას სთვლიდენ უფრო ხელსაყრელად.

ამიერ-კავკასიის მთავრობამ მისცა საზავო დელეგაციას ნებართვა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ცნობის შესახებ მაგრამ უკვე გვიან იყო. ოსმალებს ის ფაქტიურად უკვე სისრულეში მოყვანილი ჰქონდათ.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ერთი შენიშვნა ჰქონდა თანდაყოლებული,—ის დროებითი იყო, სანამ რუსეთში ბოლშევიკების ხელში იქნებოდა ძალა-უფლება, და უკეთუ იქ შეიქმნებოდა სხვა რომელიმე მთავრობა, იმ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას ადგილი აღარ ექნებოდა. სწორედ ამ გარემოებით ისარგებლეს გერმანელებმა და ოსმალებმა: როცა მათთვის ეს ხელსაყრელი იყო ისინი უჩვენებდნენ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მიუთითებდნენ, რომ თქვენ არ გამოგიცხადებიათ სრული დამოუკიდებლობაო. როგორც ჩხენკელის ზემოთ მოყვანილ დეპეშიდან სჩანს, სწორეთ ეს გარემოება გაიხადეს ოსმალებმა კოზირათ.

სანამ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობები სისრულეში არ ჰქონდათ ოსმალებს მოყვანილი, ისინი მიუთითებდნენ მის სისრულეში მოყვანის აუცილებლობაზე. როდესაც ის იქნა სისრულეში მოყვანილი, მაშინ ხელახალი მოთხოვნილება წამოუყენეს ამიერ-კავკასიის მთავრობას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელმაც ეს სრული დამოუკიდებლობა გამოაცხადა ცხრა აპრილს ოსმალების კარნახით.

არც ამან უშველა ამიერ-კავკასიის კომისარიატის ჩახლართულ საქმეს. ოსმალები მაინც განაგრძობდნენ წინსვლას, და მიუხედავად იმისა, რომ ბათომში ისევ დაიწყო საზავო მოლაპარაკება, შეჩერებას არ აპირებდენ. პირიქით, მათი ახალი მოთხოვნილება იყო, რომ ოსმალეთის ჯარებს თავისუფალი მიმოსვლა ჰქონოდათ ამიერ-კავკასიის რკინისა და შარაგზებზე. ეს კი ნიშნავდა ოსმალეთის მიერ ამიერ-კავკასიის დაპყრობას. ალბად ოსმალეთის ხელში ბაქოს ნავთის გადასვლა არ შეადგენდა გერმანელების სურვილს და ამიტომ მათ დროულად იცნეს, რომ ჩარეოდენ საქმეში მომრიგებელ შუამავლათ. 19 მაისს გერმანელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენერალი ფონ-ლოსოვი სწერს ამიერ-კავკასიის საზაო დელეგაციის თავმჯდომარეს ბათომში შემდეგ წერილს:

„ბათომის მოლაპარაკება ვერ მიდის წინ წარმატებით და დამოკიდებულებას ოსმალეთის და ამიერ-კავკასიის დელეგაციას შორის არავითარი გაუმჯობესება და ბოლო არ უჩანს, რადგანაც ყველა მხარეთათვის უმჯობესია, რომ დაჩქარებით იქნეს მიღწეული შედეგები, ამისათვის, მაქვს პატივი წინადადება მოგცეთ, ბატონო მინისტრო, ჩემს კეთილ სამსახურზე შუამდგომლობისათვის. მე გთხოვთ ოფიციალურად მაცნობოთ, მზათ არის თუ არა ამიერ-კავკასიის საზაო დელეგაცია მიიღოს ჩემი წინადადება“..

როგორც ციდან ჩამოვარდნილ მანანას, ისე ეცენ ამ წინადადებას საზაო დელეგაციის წევრები, თუმცა იმავე დროს გამოთქმულ იქნა ეჭვები, რომ თუ კი გერმანელებს სურდეთ, ისედაც მოახდენენ გავლენას ოსმალებზე, რომლების მადას საზღვარი აღარ უჩანსო. მხოლოდ დელეგაციის მუსულმანთა ნაწილი იყო წინააღმდეგი გერმანელების შუამავლათ ჩარევისა. ისინი იმდენად იყვნენ დელეგაციის გარეშე დაკავშირებული ოსმალეთის წარმომადგენლებთან, რომ როდესაც დელეგაციაში იხილებოდა ლოსოვის წინადადება, გაჯინსკი დაჟინებით თხოულობდა ერთი საათით საქმის გარჩევის გადადებას,—ალბად მას სურდა ამ ერთ საათში მიეღო დირექტივები თავისი მოკარნახეებისაგან.

ამიერ-კავკასიის საზაო დელეგაცია სიამოვნებით, გარდა მუსულმანთა წარმომადგენლებისა, დასთანხმდა გერმანელ გენერალის შუამავლობაზე, მაგრამ ოსმალეთის სარდლობამ არ ისურვა ეს შუამდგომლობა.

აქ თითქოს განხეთქილება ჩამოვარდა მოკავშირე გერმანია - ოსმალეთის შორის. მსოფლიო ომის მსვლელობის დროს ოსმალეთი მუდამ გერმანიის მაჩანჩალა და მისგან დამოკიდებული იყო ყველაფერში. ეხლა კი თითქოს ოსმალეთი გერმანიისაგან დამოუკიდებლად საგრძნობ პოლიტიკურ, სტრატეგიულ და ეკონომიურ გამარჯვებას პოულობდა მთელ კავკასიაში. ეს არ იყო გერმანიისათვის ალბად ხელსაყრელი. მდგომარეობისთვის საჭირო იყო რაიმე სხვა ხასიათის მიცემა, რაიმე ახალი ლოზუნგის წამოყენება. დღის წესრიგში დაისვა საკითხი ამიერ-კავკასიის დაყოფის და მის ტერიტორიაზე ოსმალეთ-გერმანელების გავლენის დანაწილების შესახებ. ამ გეგმის მიხედვით საქართველოში მყარდებოდა გერმანელების გავლენა, აზერბეიჯანში და სომხეთში—ოსმალეთის, რაც მოასწავებდა სომხეთის ალგვას ქვეყნიერების პირიდან, რადგან აზერბეიჯანის უმთავრესი ქალაქი ბაქო ბოლშევიკების ხელში იყო ამ დროს, ამიტომ ოსმალებს ის ჯერ უნდა დაეპყროთ სამხედრო ძალით, რომელიც უნდა გატარებული ყოფილიყო სომხეთის და საქართველოს გზებზე. ამნაირად ოსმალეთის ბატონობა მაინც ვრცელდებოდა დანაწილებულ ამიერ-კავკასიაზედაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ბატონობას საქართველოში გერმანელები აკვეცდენ ფრთას.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მდგომარეობა კიდევ ერთი ათად უარესდებოდა აქ და ამიტომ რაიმე გამოსავალი უნდა გვეძებნა. ბაქოსა და ტფილისს შუა მიმოსვლა შეწყვეტილი იყო. აუარებელი ლტოლვილები ოსმალების მიერ დაკავებულ ადგილებიდან მიეშურებოდენ ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, სადაც საბჭოთა ხელისუფლება სუფევდა, ზოგიერთ ყაზახების რაიონების გამოკლებით.

რადგან საქართველოში ჩვენი დარჩენა შეუძლებელი იყო, ამიტომ საოლქო კომიტეტმა დაადგინა ჩრდილო-კავკასიაში გადასვლა და იქიდან მოქმედება. ტფილისში დარჩა საოლქო კომიტეტის ბიურო.

26 მაისს გამოცხადებული იქნა საქართველოს „დამოუკიდებლობა“. 27 მაისს გავედი ტფილისიდან ვლადიკავკავის გზით. 29 მაისს, დარიალის ხიდთან გაგვცარცვა ქისტების ბანდებმა. „დამოუკიდებელ საქართველოს“ საზღვარს დამცველიც კი არავინ ყავდა ჯერ აქ. ხიდის გადაღმა კი საბჭოთა მთავრობის წითელარმიელები იდგენ, რომლებმაც თანმხლები გაგვატანეს ვლადიკავკავამდე.

ამ დროს კი გერმანიის და ოსმალეთის „მოკავშირე“ იმპერიალისტური ჯარები შემოდიოდენ „თავისუფალ“ საქართველოში...

სილ. თოდრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

## თებერვლის რევოლიუცია

სოფ. ხეთაში (ზუგდიდის მაზრა), შავი ზღვის რკინის გზაზე იდგა რკინისგზის მესანგრე ბათალიონი*) ეს რკინის გზა მაშინ გამოცხადებული იყო სამხედრო სტრატეგიულ გზათ. ეს იყო 1916 წლის მიწურული, დასაწყისი 1917 წლის.

რას წარმოადგენდა მაშინ ზუგდიდის მაზრის სოფელი? ნამდვილ სამარეს! არსაით სიცოცხლის ნატამალი, სოფელში დარჩენილი იყვნენ ქალები და მოხუცებულები, ყველაფერი ხანგრძლივი იმპერიალისტური ომის მიერ იყო შთანთქმული, ფიზიკურად და ეკონომიურად განადგურებულ სოფლებში დანავარდობდნენ: ბოქაულები სტრაჟნიკებით, მეფის ჩინოვნიკები, თავადაზნაურობა და თავს დასჩხაოდენ შავი შემზარავი მეგრელი გლეხის ლეშით და სისხლით გამძღარი ყვავ-ყორნები სამღვდელოების სახით. მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილები ან ჯარში იყვნენ ან ციხე-კატორღებში და გადასახლებაში. წელში გაწყვეტილი, ხანში შესული მეგრელი გლეხისთვის, ერთის მხრით, მეფეს ერთად - ერთი მარჩენალი ვაჟი-შვილი წაურთმევია, მეორეს მხრით, მღვდელს და თავადს უკანასკნელი იმედი ხარი და ძროხა წაურთმევიათ დრამის და ღალის ასანაზღაურებლად, არსაიდან იმედის მქონე, სასოწარკვეთილებას მაინც არ მისცემია მეგრელი მშრომელი გლეხი და ის სიამოვნებით იგონებს 1905 წელს რამოდენიმე ხნით ბრძოლით მოპოებულ თავისუფლებას, ბრძოლებს, წითელი რაზმელების გამარჯვებებს. შემდეგ მწუხარებით იგონებს შემზარავ დამარცხებებს და ალიხანოვის შემოსევას სამეგრელოს რამოდენიმე სოფლების გადაწვა-განადგურებას, დიდი მსხვერპლის გაღებას. იმით ცოცხლობს და სულდგმულობს, რომ იმედი აქვს კიდევ იფეთქებს რევოლიუცია, არც მისი ვაჟი შერჩება მეფეს და არც მისი ხარ-ძროხა მღვდელს და თავადს. გასაყიდი არაფერი გააჩნია სოფელს, შიშველ-ტიტველია მოსახლეობა, ცრემლები და მოთქმა, ყველგან გაისმის ქვითინი ობლად დარჩენილი შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალე გლეხის ბავშვების.

ამ ჯოჯოხეთურ მყუდროებას აქა-იქ სიცილ-ხარხარის გაგონება არღვევდა. საიდან გაისმოდა ეს? ხალხის სისხლის მსმელი თავად-აზნაურების, მღვდლების, ვაჭრების —

---

*) სამხედრო ბეგარის მოხდის წესით. მე მაშინ ვმსახურობდი სამხედრო-სტრატეგიული რკინის გზის მესანგრე ბათალიონში. მომქმედ ჯარში არ ვიყავი დაშვებული, როგორც პოლიტიკურად არა საიმედო პიროვნება, თანახმად სოხუმის ოლქის უფროსის ღენერალი ზასიპკინის დახასიათებისა, რომელმაც ადმინისტრატიული წესით გადამასახლა სოხუმის ოლქიდან ორი წლით, როგორც პოლიტიკურად არა სანდო პიროვნება 1914 წ. ნოემბერში. ამისათვის ვით ვლებოდი ზურგს უკანა მოლაშქრეთ, როდესაც მომისწრო თებერვლის რევოლიუციამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპეკულიანტების და მეფის ჩინოვნიკების ოჯახებიდან! ათასი მშიერი, ტიტველი, ყოველგვარი ადამიანური უფლებებს მოკლებული, ათი და ოცი კი ფუფუნებაში და ქეიფში, ყოველგვარი უფლებებით და პრივილეგიებით აღჭურვილნი. ასეთი იყო დაახლოვებით სურათი სამეგრელოს სოფლების 1917 წლის თებერვლის რევოლიუციის წინა დღეებში.

უახლოვდებით თებერვალს. მმართველი წრეების ცას რაღაც ჩამოღრუბლვა ეტყობა, მოწყვეტილნი ყოველგვარ სწორ ინფორმაციას, ვიკვებებით რაღაც მოჭორილ ცნობებით, მოგვდის ორ-სამ კაცს მენშევიკების გაზეთი „თანამედროვე აზრი", რომელიც გვკვებავდა ძალზე მერყევი ინფორმაციებით. თებერვალი თავდება და ჩვენ არაფერი ვიცით. საწყალო ჩამორჩენილო პროვინციავ!...

ლენინგრად-მოსკოვში ყველაფერი გათავებულიყო, ხოლო ზოგიერთ ყრუ მივარდნილ პროვინციაში არაფერი იცოდა, როგორიც იყო მაშინდელი ხეთა და თუ გნებავთ ზუგდიდიც. თუ არ ვცდები ოთხი მარტი იყო (ძველი სტილით). დელეჟანმა სენაკიდან გაზეთი მოგვიტანა, (მაშინ დელეჟანი იყო ერთად - ერთი მიმოსვლის საშუალება ზუგდიდამდე). ჯერ ჩუმი, მერე ხმა მაღალი ჩოჩქოლი შეიქნა დელეჟანთან, გვეგონა მთვრალი ხალხი და ყურადღება არ მიგვიქცევია, მაგრამ ნაცნობი ხმა მომესმა, ეს იყო ბ. კალანდაძის ხმა, (მენშევიკი, მასწავლებლად იყო მაშინ ხეთაში), რომელიც გაიძახოდა: „ბიჭებო, ბიჭებო, ნიკოლოზი ჩამოუგდიათო, ისტერიულად გაიძახოდა. დავიტაცეთ გაზეთი, სადაც პირველ ვერდზე მსხვილი ასოთი სწერია: „რუსეთის დიდი რევოლიაცია", სიხარულისაგან ცრემლებს ვერ ვიკავებდით, ულოცავდით ერთი - მეორეს ნიკოლოზის ჩამოგდებას.

ამ დღიდან შეუდექით მზადებას სოფ. ხეთაში მიტინგის მოსაწყობად. პირველი მიტინგი სოც. - დემოკრატების (ბოლშევიკების და მენშევიკების) ინიციატივით მოწყობილ იქნა სოფ. ხეთაში 14 მარტს 1917 წ. (ძვ. სტილით), მესანგირე ბატალიონის მთელი შემადგენლობა და ადგილობრივი მცხოვრებნი ხუთიათასამდე მეტი იქნებოდა მიტინგის დამსწრენი, რაც ჩინებულად ჩატარდა. შესდგა მუშების, ჯარისკაცების და გლეხების საბჭოები, რომლის შემადგენლობა უმეტესობა იყვნენ სოც.-დემ. მენშევიკები. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში წევრად, მუშების და ჯარისკაცების სახელით ვიქენი მე არჩეული, საბჭოს პირველი სხდომაზე დაახლოვებით მარტის 20 იქნებოდა, როდესაც ჩამოვედი ქ. ზუგდიდში, აქ რევოლიუციის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა არაფერს, პრისტავები და სტრაჟნიკები ძველებურად დათარეშობდენ, მიზეზი ის იყო, რომ აქ საერთოდ პირველ ხანებში ძალზე სუსტი იყო სოც.-დემ. პარტიის ორგანიზაცია და აქედან მისი გავლენა სუსტი იყო. ბოლშევიკები მაშინ ვიყავთ სამი: ამხ. პეტრე შეუნარგია, განს. გრ. ჩიჩუა და მე, მასთან ათიოდე მენშევიკი. ნაციონალისტური პარტიები კი ძალზე ძლიერნი იყვნენ. განსაკუთრებით ფედერალისტები, რომელთა სოც. შემადგენლობას განსაკუთრებით წვრილფეხა გაკოტრებული აზნაურები შეადგენდნენ გვარად კობახიძეები და კედიები. ეს, უკაცრავათ პასუხია, რევოლიუციონერები, პირველ მიტინგზე, ჩემი ინიციატივით მოწვეულზე. ქალ. ზუგდიდში. გამოვიდნენ პოლიციელების დასაცავად, მაგ. მაშინდელი ფედერალისტების ლიდერი მექი კობახიძე გამოვიდა და განაცხადა: „ბატონებო, ჩვენ ჯერ არ მიგვიღია დეპეშა ქუთაისის გუბერნატორი გრაფი გუდოვიჩისაგან და რაფერ შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის ნებადაურთველად პოლიციის განიარაღება"-ო.

აბა რა უნდა ეთქვა პოლიციასთან შეზრდილი და მათთან ნათესაური კავშირით დამოკიდებულ „სარევოლიუციო" პარტიის წარმომადგენელს! აქ განუიარაღებელი დარჩა პოლიცია, ვინაიდან პოლიციის შემადგენლობა ადგილობრივ თავადაზნაურებისაგან და ამავე ფედერალისტების ოჯახის წევრებ - ნათესავებისაგან შესდგებოდა ისე, როგორც ადგილობრივი ნაციონალშოვინისტური პარტორგანიზაციები შესდგებოდნენ ადგილობრივ თავადაზნაურებისაგან. ისე, რომ ეს ერთმეორის ტოლი ხალხი ერთმანეთს ვერ აწყენინებდა ისეთი „პატარა" საქმისათვის, როგორიც იყო თებერვლის რევოლიუციით გამოწვეული მეფის პოლიციის განიარაღება, იმ მეფის, რომელიც რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა დაატუსაღა. მაგ. ქ. ზუგდიდის ცენტრალურ ადგილზე მიტინგი იქნა მოწყობილი სოც. - დემოკრატების მიერ. საკითხი იდგა პოლციის განაირაღებაზე. ჩვენ მოვითხოვდით ეხლავე ყოფილიყო განიარაღებული პოლიცია (ეს ყო 22 მარტს) ფედერალისტების პარტია კი წინაალმდეგ გამოვიდა მექი კობახიძის სახით. როგორც ზევით აღვნიშნეთ აქ ამ კრებაზე მენშევიკები ძალზე შეშინებული იყვნენ, ფედერალისტბის „სარევოლიუციო" პარტიის გავლენით და ზოგი მათგანი კიდევაც კომპრომისზე ლაპარაკობდა, მაგრამ ხანგრძლივი კამათის შემდეგ მენშევიკები ჩავითრიე „ავანტიურაში" და ის იყო გადავსწყვიტეთ პოლიციის განიარაღება, წინაალმდეგ ფედერალისტების სურვილისა და 22 მარტს საღამოს 9 საათზე ალყა შემოვარტყით მაზრის უფროსის სამმართველოს. და მასთან ერთად სტრაჟნიკების მარქაფის შენობაც დავიკავეთ, რის შემდეგ შეუდექით საიდუმლო არქივების ჩაბარება - დაბეჭდვას. ამრიგად. 25 მარტს მაზრის მასშტაბით უკვე განიარაღებულ იქნა პოლიცია ჩვენი ინიციატივით. ამაში არც ფედერალისტები და არც ეროვ, დემოკრ. არ გვეხმარებოდენ.

ამ დღიდან შეუდექით ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებას სამაზრო ცენტრში და ადგილებში. სოც. - დემ. პარტიის კომიტეტის ორგანიზაციული პირველი კრება გვქონდა ექიმი გ. ჭედიას სახლში. ამ კრებაზე იდგა ორგანიზაციული ხასიათის საკითხი: ხელისუფლების შედგენა და აგრეთვე პერსონალური წამოყენება ჩვენი ამხანაგების და თანამგრძნობების.

არის ქართული ანდაზა: „სახარე ხბოს სარქეში შეეტყობაო". მენშევიკებმა არა რევოლიუციონერობა და არა სოციალისტობა თებერვლის რევოლიუციის პირველ დღეებშივე თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით გამოააშკარავეს. აქ მოვიყვან რამოდენიმე ეპიზოდებს მენშევიკური საბჭოს და მისი აღმასკომის მუშაობიდან:

1. 1917 წ. აპრილ-მაისი იყო. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტს ცნობა მოუდის, რომ მინგრელსკის სასახლიდან ძვირფასეულობა და სხვა ქონება გააქვთ მოურავი ვალოდია ალშიბაიას ხელმძღვანელობით და საჭიროა ზომების მიღება, რომ ეს სახალხო ქონება გაქურდული არ იქნესო. მე ეს გადმომცა აღმასკომის ერთ-ერთმა მოხელემ, რომლის გაგების შემდეგ აღმასკომის სხდომამდე მოველაპარაკე აღმასკომის წევრებს სოც. - დემოკრატებს: გ. ჭედიას, ა. ჩიქავას, მ. ანჯაფარიძეს და სხვ., რომ მიგვეღო ზომები მინგრელსკის სამიურატო ქონების, ძვირფასი ნივთების, რომელიც სახალხო ქონებას წარმოადგენს, დასაცავად, ე. ი. მისი მოვლა და პატრონობა სამაზრო აღმასკომს აეღო ხელში. მათ ცალ-ცალკე თანხმობა მოგვცეს, რის იმედით ერთ-ერთ საღამოს სხდომაზე განცხადება შევიტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნე, რომ ალმასკომმა დააყენოს საკუთარი მცველები და მასთან ეხლავე იქნას გამოყოფილი კომისია, რომელიც აღწერს ქონებას და ჩააბარებს საიმედო პიროვნებას. ასეთმა განცხადებამ დიდი ალიაქოთი ასტეხა ფედერალისტებში და ნაციონალ-დემოკრატებში, მათ ეს მიიღეს შეურაცყოფად: „როგორ, ჩვენი თანამემამულე ვალოდია ალშიბაია განაგებს მინგრელსკის ქონებას, ის მოურავია, მასთან ჩვენი ნაც. დემოკრატების პარტიის წევრია და თქვენ, ბატონო ჟვანია, გინდათ შეურაცხყოთ დიდი თანამემამულე ჩვენი ვალოდია ალშიბაიაო“, აღელვებით განაცხადა მოხუცებულმა ყოფ. ნაროდნიკმა, მაშინ ნაც. დემოკრატმა, უკვე განსვენებულმა, მანჩა ჩხოტუამ. ასეთივე აღელვებული სიტყვებით გამოვიდნენ ფედერალისტების ბელადებიც: მიშა მდივანი, კ. კობახიძე, მ. კობახიძე და სხვ.. მენშევიკებმა ენა ჩაიგდეს. ამრიგად, ჩემი წინადადება ჩაშალეს.

მეორე დღეს ცნობა მოგვდის, რომ „სასახლიდან სულ გააქვთ და გააქვთ ნივთები“-ო. გადავწყვიტე, მეორეჯერ დავსვა ეს საკითხი და თუ არ დასთანხმდებიან ჩემს წინადადებას, სკანდალზე წავიდე. ის იყო მეორეჯერ დავსვი საკითხი და თანაც „შეიარაღებული“ მოვედი მარტო, მაუზერის რევოლვერი თან წამოვიღე. მე წამოუყენე ბრალდება ყველა პარტიებს — გამფლანგველი რეაქციონერი ვ. ალშიბაიას დაცვა და მფარველობა, ეს მათ დემაგოგიათ ჩამითვალეს. ერთი - ორი მენშევიკი ქე მიჭერს მხარს. მაგრამ მაინც არაფერი გამოდის. კამათი გრძელდება ღამის ორ საათამდე. ბოლოს, როგორც იქნა, მუქარის და სკანდალის საშუალებით მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: სასახლეების დაბეჭვდა და შეიარაღებული მცველების დაყენება, კომისიის არჩევა, რომელიც აღწერს და ჩაიბარებს ქონებას და ვალოდია ალშიბაიას მოხსნა. როგორც რეაქციონერის. კომისიაში შევიდნენ: 1. კოლია ბუკია, 2. ნ. ცანავა და 3. გ. ჩიჩუა. ეს ამბავი მთელს მაზრას მოედო, მშრომელმა გლეხობამ იჭვის თვალით დაუწყო ყურება მენშევიკებს და საერთოდ დროებით მთავრობას, რომელიც ძველებურად უდგებოდნენ საკითხს და არა რევოლიუციონურად და სოციალისტურად.

2. რევოლიუციის პირველ დღეებში მარტი - აპრილი 1917 წ. ყველგან ვაყალიბებდით სოფლის აღმასრულებელ კომიტეტებს. აპრილის დამლევს თითქმის ყველა სოფლებში იყო ჩამოყალიბებული სოფლის აღმასკომები, მაგრამ ჩამოუყალიბებული დარჩა ერთ სოფელში. ეს იყო ს. კირცხი. რა იყო მიზეზი? მიზეზი ის იყო, რომ სოფ. კირცხი ხელში აეღო მღვდელ არტემონ ბობოხიას, რომელიც აერჩიათ სოფლის აღმასკომის თავმჯდომარეთ. იმ სოფლის ინტელიგენცია, განსაკუთრებით სოც. დემოკრატები, ტერორის ქვეშ ყავდა იმ მღვდელს. მაზრის „რევოლიუციონურმა“ მთავრობამ არ დაამტკიცა მღვდელი, არა იმიტომ, რომ მღვდელი იყო, (ვინაიდან მღვდელი პარტიაში მენშევიკებს და ფედერალისტებს ბლომათ ყავდათ) არამედ ის მათ არ ემორჩილებოდა. ის სულაც არ სცნობდა მაზრის ხელისუფლებას. საჭირო იყო ჩაშლა ასეთი არჩევნების და ხელახლა მოსახლეობის კრების მოწვევა. კიდევაც წავიდნენ მაზრ-აღმასკომის წარმომადგენელნი ახალი კრების ჩასატარებლად, მაგრამ. როდესაც საკითხი მიდგა არჩევნებზე, კრებამ ისევ მღვდელი ბობოხია აირჩია, სოფლის აღმასკომის თავმჯდომარეთ. მაზრის წარმომადგენელი კუდამოძუებული უკან გამოუშვეს. ამრიგად სოფლის კრებამ სამჯერ მოწვეულმა სამივე-ჯერ აირჩია მღვდელი ბობოხია. როგორ ახერხებდა ამას მღვდელი ბობოხია? მთელი თავად - აზნაურობა და შეძლებულები მის გარშემო იყვნენ თავმოყრილნი, ესენი კი ღარიბ და საშუალო გლეხობაზე იმ ხანებში ახდენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ზეგავლენას. ამასთან მას ყავდა საკუთარი შეიარაღებული რაზმი ათ კაცამდე. ამრიგად ეს პატარა მონარქისტი არც ისე ხუმრობდა. სამაზრო ხელისუფლება მავლინებს მე, როგორც მუშათა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს და სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის წევრს. ჩავედი თუ არა ს. კირცხში, ადგილობრივ მასწავლებლობასთან შეუდექი ღარიბ და საშუალო გლეხობის დამუშავებას უბნობრივ. მღვდელმა ეს გაიგო, მაგრამ ის უკვე მომზადებული იყო მისი აზრით. ჩემი მუშაობა სასაცილოდ არ ყოფნიდა. მასწავლებლებში ყველაზე მეტს მეხმარებოდა ლაგვილავა (მაშინ სოც.-დემ. მენშევიკი, ეხლა ექიმია, უპარტიო, წალენჯიხაში მუშაობს).

საათის სამზე მოვიწვიეთ საერთო კრება. დღის წესრიგში იდგა ერთად-ერთი საკითხი. სოფლის აღმასკომის თავმჯდომარის არჩევა, რაც მთავარია და მტკივნეული. მოხსენება ჩემია და შუა მოხსენებაზე ვიყავი, როდესაც დაიყვირეს მღვდელ ბობოხიამ და მის მომხრეებმა: „ძირს! ძირს! არ გვინდა ანტიქრისტე“ და სხვა. მე ჩემს მოხსენებაში შევეხე სამღვდელოების მოღალატურ საქციელს. სწორედ მაშინ იყო მათ მოინდომეს ობსტრუქციის მოხდენა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: კრების ნახევარზე მეტი ჩემს მომხრე გამოდგა, ამ დროს უბრძანა შეიარაღებულ ძალას „ჩამოაგდეთ მოღალატე ორატორი“-ო. დამიმიზნეს თოფები, პირში ტყვიაა მოცემული, მაგრამ საზოგადოების ღარიბი ნაწილი გვერდში ამომიდგა და კრება განვაგრძეთ და გადავაყენეთ მღვდელი დიდი სკანდალის შემდეგ.

ამ გარემოებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მშრომელ მოსახლეობაზე. ჩამოვედი ზუგდიდში და კატეგორიულად მოვითხოვე მღვდელი ბობოხიას დატუსაღება. არ დაგვიჯერეს მენშევიკებმა იმ მოტივით, რომ გურია - სამეგრელოს ეფისკოპოსობიდან ნება არ გვაქვსო. გამოვატანიე მუშათა დეპუტატების საბჭოს ბობოხიას დაჭერაზე დადგენილება და ის ოთხი დღე იყო დაჭერილი. ამის შემდეგ მას დაეკარგა ყოველგვარი ავტორიტეტი ს. კირცხის მშრომელ გლეხობაში, ის საბოლოოთ გაკოტრდა პოლიტიკურად. ეს ეპიზოდი დიდ არაფერს წარმოადგენს, მაგრამ მომყავს, როგორც დამახასიათებელი მენშევიზმის „რევოლიუციონური“ მოღვაწეობისა. აქედან იწყება ჩვენი (პ. მეუნარგია, გრ. ჩიჩუა და მე) თანდათანობით გამიჯვნა მენშევიკებისაგან. ამ მომენტიდან ჩვენ წინასწარ ვათანხმებდით საკითხებს, ერთი-მეორეს და გამოვდიოდით ორგანიზაციულად. აქედან ფაქტიურად ყალიბდება ბოლშევიკური ორგანიზაცია. აქედან ტყობილობს მშრომელი გლეხობა იმას, რომ სოც. დემოკრატებს შორის არის განსხვავება, რომ არის ორი მოწინააღმდეგე მიმართულება.

3. გლეხების საჩივარი მემამულე ფ. ფიჩხაიაზე და ვაოოდია ალშიბაიაზე: ეს ორივე ფეოდალი აწიოკებდა სოფ. ჯოლოჯიანის, ოირემეს, კახათის, შამგონას და ახალ - აბასთუმანის მცხოვრებთ. ეს ორივე შავრაზმელი ძველებურად ავიწროებდნენ აღნიშნულ სოფლის გლეხებს მიწის იჯარით. მათ აღძრეს შუამდგომლობა ახალი სამაზრო მთავრობის წინაშე, რომელმაც გლეხებს ასე განუცხადა:

„ჯერ მიწის ახალი კანონი არ გამოსულა და მანამ კი იყავით ამხანაგებო, ისე, როგორც ძველად იყავით“-ო. ასეთი იყო პასუხი მენშევიკ მიქავას, რომელიც სამიწად - მოქმედო განყოფილებას განაგებდა. ჩვენ კი აუხსენით გლეხობას, რომ არავითარ შემთხვევაში არ მიეცათ ალშიბაია - ფიჩხაიასათვის მიწის ღალა და მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობა მხარს არ უჭერდა აღნიშნულ სოფლის გლეხებს, ჩვენს რჩევას დაუჯერეს და ღალის მიცემა შესწყვიტეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიჩხაია - ალშიბაიაზე. გლეხები ძალზე აღშფოთებული იყვნენ მენშევიკების ქცევით, ხოლო ჩვენ სათითაოდ გვეძებდნენ გლეხები და გვთხოვდნენ რჩევა - დარიგებას სხვა საკითხებზედაც და გვეუბნებოდენ: „თქვენ შეადგინეთ ორგანიზაცია და ჩვენ ყველანი ჩავეწერებით“-ო. სწორედ ამ მომენტიდან ზუგდიდის მაზრის გლეხობა ეცნობა ბოლშევიკურ მიმართულებას და სწორეთ ამ მომენტიდან ის ებრძვის მენშევიკებს, როგორც წარმომადგენელთ ბურჟუაზიული და მემამულეების წესწყობილების, რომელიც არაფრით განსხვავდება ნიკოლოზ მეფის წესწყობილებისაგან: ზუგდიდის მაზრის გლეხობა სწორედ ამ დროიდან აძლევს ნდობის მანდატს, ბოლშევიკურ პარტიას.

4. საკითხი საძეგრელოს ყოფ. მთავრის მინგრელსკის მოურავის დიდი რეაქციონერი ვალოდია ალშიბაიას დაჭერის შესახებ.

ვალოდია ალშიბაია, როგორც მღვდელი გობოხია, არ ემორჩილებოდა ზუგდიდის მაზრის მთავრობას, არც ერთ განკარგულებას ის ცხოვრებაში არ ატარებდა. ის თავის თავს სცნობდა, როგორც მოურავს და ფეხებზე ეკიდა სამაზრო ხელისუფლება. დაახლოვებით ხუთ-ჯერ გამოიტანა დადგენილება სამაზრო მთავრობამ ალშიბაიას დაჭერის შესახებ, მაგრამ ვერც ერთ-ჯერ ეს დადგენილება სისრულეში ვერ მოიყვანეს. პირადად მე ვიყავი ასეთი სურათის მოწმე: ბატონ ალშიბაიას სთხოვენ მობრძანებული მაზრის კომისართან — ლატარიასთან. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მობრძანდა ალშიბაია. „კომისარი“ მიესალმა, სკამი მიართვა, ალშიბაია ხედავს ასეთს „ზრდილობას“ და აქედან ადგენს სამოქმედო გეგმას.

— რატომ დამიძახეთ, რა გინდათ ჩემგან, არ მიხვდით, რომ მე თქვენთან არაფერი საქმე რომ არა მაქვს? — მედიდურად კითხულობს ალშიბაია.

— ბტაონო ვალოდია, უკაცრავად ვარ, მაგრამ მაზრის ხელისუფლებამ დაადგინა ციხეში ჩაბრძანდეთ და მეც გირჩევთ ცოტახნით მაინც წაბრძანდეთ ციხეში, ბატონო ვალოდია, საწოლს კარგათ მოგიწყობთ, იქნებით ისე, როგორც საკუთარ სახლში.

— როგორ მიბედავთ ციხეში ჩაჯენას, როდესაც თქვენ ხართ ციხეში ჩასაჯენი, ეს რა გაიგონა ჩემმა ყურებმა, აბა ერთი გაბედეთ ხელი მახლეთ, მე ცოცხალს არავინ მახლებს ხელს. მე თქვენ მთავრობა მეგონეთ. თქვენ მთავრობა კი არა იდიოტი ყოფილხართ — ღრიალებს ალშიბაია.

— ბატონო ვალოდია, ნუ ღელავთ, თქვენ გულის ავადმყოფობა გაქვთ და ეს ცუდათ იმოქმედებს თქვენს ჯანმრთელობაზე, გთხოვთ, ნუ ღელავთ, ეხლა სახლში წაბრძანდით, დაისვენეთ აღელვების შემდეგ. მე მოვახსენებ ამხანაგებს — ეუბნება ალშიბაიას დამფრთხალი და ფერწასული კომისარი.

— „მე შინ წავალ, მაგრამ ასეთი უგუნურ ამბებს ჩემდამი ნუ ექნება ადგილი“ სთქვა და წავიდა გაბრაზებული მოურავი, რომელსაც არც „მშვიდობით“ უთქვამს მაზრის კომისარისათვის. ასე აბუჩად აიგდო მეორე რეაქციონერმა მაზრის ხელისუფლება.

მე ვსთხოვე კომისარს ჩემთვის მოეცათ ორი შეიარაღებული კაცი, რომ დამეტუსაღებია ალშიბაია, მაგრამ არ მომცეს: გული გაუსკდება და პასუხისგებაში მიგცემენო. ასე დასცინოდენ მენშევიკების წყალობით ყველა ჯურის რეაქციონერები თებერვლის რევოლიუციას. მაგრამ 25 იანვარს 1918 წ. სვიმო თოლორდავამ (რომელზეც ქვემოთ მექნება ლაპარაკი) დაატუსაღა ბატ. ალშიბაია, რომელსაც არც გული გასკდომია და არც ენა ამოუღია, როდესაც ეზოს მიადგა შეიარაღებული გლეხური რაზმის ნაწილი სვიმო თოლარდავას ხელმძღვანელობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემომოყვანილი ფაქტი ზოგიერთს შეიძლება ანეგდოტად მოეჩვენოს, მაგრამ ეს ნამდვილი ამბავია, არა გაგონილი, არამედ ჩემი თვალით ნახული.

ალშიბაიას დაჭერა ვალიკო ჯუღელმაც მოუნდა, მაგრამ ოდესღაც რევოლიუციონერი ჯუღელი მენშევიკურმა ჭაობმა გაიძვერა გახადა და ვერც მან მოახერხა და შესძლო ალშიბაიას დატუსაღება.

ალშიბაია დაიჭირეს ბოლშევიკურად განწყობილმა გლეხებმა, რასაკვირველია არა მენშევიკური ლაჩრული მთავრობის სახელით, არამედ გლეხური რევოლიუციონური რაზმის სახელით, რომელიც მუხანათურად დამალეს მენშევიკებმა ამ ოპერაციის შემდეგ.

1917 წ. ივნის - ივლისამდე ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით, როგორც საგუბერნიო, ისე საოლქო ბოლშევიკურ ცენტრებს, მათ ხელმძღვანელობა - დირექტივებს. ივნისის პირველ რიცხვებში თბილისში გამოვიდა ჩვენი პარტიის ოფიციალური ლეგალური ორგანო ყოველ კვირეული გაზეთი „ბრძოლა“. ამ გაზეთს მე ვავრცელებდი 50 ეკზემპლიარს და 10 ცალი „კავკაზსკი რაბოჩი“-ს ზუგდიდის მაზრაში მათი დახურვამდე მენშევიკური რეაქციის მიერ.

კვირაში 50 ცალი ბოლშევიკური გაზეთი ვრცელდებოდა, ნაცვლად დღევანდელი 15 ათასისა! გაზეთის გამოსვლამ საშუალება მოგვცა კავშირი გაგვება ჯერ საგუბერნიო, ხოლო მერე საოლქო პარტიულ კომიტეტთან.

ჩვენ სამუდამოთ ვიმიჯნებით მენშევიკებისაგან, ვსწყვეტთ მათ კომიტეტთან ყოველგვარ კავშირს და ვფიქრობთ ცალკე ორგანიზაციის და მის ხელმძღვანელ კომიტეტის დაარსება - ჩამოყალიბებაზე. ამ დროს ჩვენს რიგებს ემატება ორი ამხანაგი: ბეგი ხაბურზანია და მიშა დადიანი. ხაბურზანია პროფესიით — ფარმაცევტი, ძველი რევოლიუციონერი, ალსავსე ენერგიით და ბოლშევიკურ ენტუზიაზმით.

ამრიგად ჩვენ 90 პროცენტით გავიზარდენით, ასეთმა მოულოდნელ ზრდამ 17 წლის ივნის - ივლისის რიცხვებში ჩვენ წაგვაქეზა, სტიმული მოგვცა და გაგვიჩალა მუშაობის უნარი, წაგვახალისა ცალკე ორგანიზაციის აუცილებელ შექმნაზე. ძალზე პატარა ვიყავით, მაგრამ ღრმად გვწამდა, რომ ახლო მომავალში ძალა უფლება მუშათა კლასის იქნებოდა, რისთვისაც ჩვენი ცდის მთავარ საგანს შეადგენდა როგორმე ათამდე წევრი მაინც გვყოლოდა და მერე კი დაგვეარსებია ცალკე დამოუკიდებელი პარტიული კომიტეტი. მაგრამ როგორ შეიძლებოდა ჩვენსკენ ხალხი მოგვეზიდა, როდესაც ჩვენს არსებობაზე, როგორც ბოლშევიკების, ივნისის დასაწყისში არავინ იცოდა, გარდა ჩვენ ხუთისა. ჩვენი ჯგუფი გაახარა გაზეთ „ბრძოლის“ გამოსვლამ. მდგომარეობა სულ სხვანაირად შესცვალა 4-5 ივლისის პეტროგრადის მუშების გამოსვლების ცნობის მიღებამ.

კერენსკის მთავრობა (ტელეგრაფით იყო განკარგულება ბოლშევიკების წინაალმდეგ საპროტესტო მიტინგების მოწყობის შესახებ) ყველგან აწყობდა საპროტესტო მიტინგებს, მენშევიკები და სხვები გამოდიოდენ პეტროგრადის მუშების 4-5 ივლისის გამოსვლების საწინააღმდეგოთ.

ზუგდიდშიც იქნა მოწყობილი ასეთი მიტინგი კვირას, 9 ივლისს, ქალაქის ბულვარში. ძალიან კარგათ მახსოვს აქ გამოვიდნენ ყველა არსებული წვრილ - ბურჟუაზიული პარტიები, რომლებიც კრულვა - წყევლით და ზიზღით აღნიშნავდნენ პეტროგრადის მუშების გამოსვლებს და მათ ხელმძღვანელ ბოლშევიკების პარტიას.

აი ამ დღეს აღნიშნულ მიტინგზე პირველი გაგონება იყო ზუგდიდის მაზრაში და თვით ქალაქში სიტყვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბოლშევიკური პარტია“, აქ მე მომიხდა გამოსვლა ბოლშევიკური არა პარტიის სახელით, არამედ ზემოაღნიშნული უმნიშვნელო ჯგუფის, ვინაიდან ცენტრიდან ამის დავალება არ გვქონდა, არავითარი ხელმძღვანელობა ცენტრის არ იყო მაშინ, ყველაფერი ჩვენი პირადი პასუხისმგებლობით ხდებოდა. აქ ზუგდიდში ორგანიზაციულად არ ვიყავით ჩამოყალიბებული და ამიტომ ჯგუფის სახელით მომიხდა გალაშქრება მენშევიკურ დემაგოგია - პროვოკაციის წინააღმდეგ. მეორე დღეს შეიქნა მითქმა-მოთქმა ჩვენზე, როგორც მოღალატეებზე, მთლიანობის დამრღვევებზე“ და სხვ.

ჩვენ მთავარ მიზანს შეადგენდა სათანადო პარტიულ ცენტრთან კავშირის გაბმა, ვცადეთ ქუთაისთან წერილობით, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, შემდეგ კი გავემგზავრე მე პირადათ. ამ დროიდან აღრიცხვაზე იქნა ჩვენი ჯგუფი აყვანილი დიდი ვაი-ვაგლახით. ეს იყო 1917 წლის ივლისის დამლევი. ამის შემდეგ ყოველგვარი მუშაობა ჩვენი ბოლშევიკური ჯგუფისა ზუგდიდის მაზრაში ხდებოდა პარტიის დირექტივების და ხელმძღვანელობის თანახმად. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წელს, ბოლშევიკურ პრესაში გარდა ოზურგეთისა, ზუგდიდსავით არც ერთი მაზრა არ შუქდებოდა. ჩვენმა გამოსვლამ მენშევიკების ზემოაღნიშნულ საპროტესტო მიტინგზე, კერენსის მთავრობის წინააღმდეგ, ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მშრომელ მასაში, რის შემდეგ ოთხისაგან შემდგარი ჯგუფი ათამდე და ოცამდე გაიზარდა, და ის იყო 26 სექტემბერს ნაშუადღევის ხუთ საათზე 1917 წ. ადგილობრივი გიმნაზიის შენობაში მოვიწვიეთ საერთო დამფუძნებელი პარტიული კრება. აი კორესპონდენციაც გაზეთ „ბრძოლაში“ მოთავსებული 1917 წ. 8 ოქტომბერი № 19.

„26 სექტემბერს აქ დაარსდა ცალკე ორგანიზაცია რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (ბოლშევიკებისა), რომელსაც დიდი ხნიდან ვცდილობდით, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო დღემდე ვერ შევძელით. ზემოაღნიშნულ დროს ადგილობრივ გიმნაზიაში გვქონდა დამფუძნებელი კრება ნამდვილი თანამგრძნობ ამხანაგებისა; კრების თავმჯდომარეთ ავირჩიეთ ამხ. ალექსანდრე ერქომაიშვილი, რომელიც ესაუბრა კრებას მიმდინარე მომენტზე. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი ხუთი კაცისაგან. ეს დიდათ სასურველი ნაბიჯის გადადგმაა ზუგდიდის მაზრაში და იმედიც მაქვს ზუგდიდის მშრომელი დემოკრატია მხარს დაუჭერს და ჩაეწერება მათი ინტერესების დამცველი პარტიის ბოლშევიკების ორგანიზაციაში. მაშ, გაუმარჯოს ბოლშევიზმს. ზუგდიდელი ისაკო“.

ზუგდიდის ბოლშევიკური ორგანიზაცია არის ერთი ძველი ორგანიზაციათაგანი, რომელმაც თავის დროზე გასწყვიტა მენშევიკებთან ყოველგვარი კავშირი, აი ამ დროიდან ჩვენ გადავდივართ აქტიურ მუშაობაზე, ვაწარმოებთ სააგიტაციო - საპროპაგანდო და ორგანიზაციულ მუშაობას. იწვევენ ქუთაისის საგუბერნიო პარტიულ კონფერენციას, რომელზედაც ზუგდიდის ბოლშევიკური ორგანიზაცია ღებულობს აქტიურ მონაწილეობას, დილეგატად მაგზავნიან მე, სადაც მირჩევენ საგუბერნიო კომიტეტის წევრად, პირველად აქ გავეცანი საშა გეგეჭკორს, ვალია ბახტაძეს (ის ხონიდან იყო კონფერენციაზე) ბ. ლომინაძეს, ს. ჩიხლაძეს და სხვ.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში მოწვეული იყო ამიერ - კავკასიის პირველი საოლქო ყრილობა, ამ ყრილობაზე ზუგდიდის მაზრიდან გაგზავნილი ვიყავი მე, სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმის უფლება მაშინ არ გვქონდა, მთელ ორგანიზაციას, წევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რების სიმცირის გამო, (მაშინ გვყავდა 73 წევრი, საჭირო იყო 100 წევრი, რომ ერთი დელეგატი გვყოლოდა გადამწყვეტი ხმით). სხვა საკითხებს შორის ყრილობაზე იდგა ორი მთავარი საკითხი: 1. მოხსენება მიმდინარე მომენტზე და 2. დამფუძნებელ კრებაზე. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ს. შაუმიანმა, ხოლო მეორეზე ამხ. შავედროვმა. ამხ. შაუმიანი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, თუ როგორ უნდა გვემუშავნა ადგილებზე და უმთავრესად რაზე უნდა ყოფილიყო მიქცეული ორგანიზაციების მთავარი ყურადღება.

მოვიყვან იმ ადგილს ამხ. შაუმიანის მოხსენებიდან, რომელიც ადგილებს მიეცა სახელმძღვანელოდ:

„3-5 ივლისის შემდეგ ძალა-უფლების, მხოლოდ დაპყრობაზე შეიძლება ლაპარაკი და არა მის გადასვლაზე ან მიღებაზე.

ახალ-ახალმა გამცემლობის ფაქტებმა მართლა შექმნეს ნამდვილი ანარქია. ასეთ მდგომარეობას კი ჩვენ არ შეგვიძლია შეურიგდეთ. აღვნიშნავთ რა, რომ მრავალ საბჭოში ბოლშევიკების გავლენა ძლიერდება, თვით გლეხობაც კი „ბოლშევიკდება", რომ მენშევიკების ციხე-სიმაგრე ამიერკავკასიაც კი კოალიციის წინააღმდეგ ამეტყველდა, და ბოლოს ძლიერდება ყველგან მღელვარება, მიწების დატაცება და სხვა, **ჩვენი ვალია რევოლიუციას სათავეში ჩაუდგეთ. ჩვენ უნდა ვაიძულოთ მოიწვიონ საბჭოთა სიეზდი, საბჭოებმა თავიანთი ძალა-უფლება უნდა გააძლიერონ ადგილობრივად**". (ხაზგასმული ჩემია ი. ჟ.).

აღნიშნულ დირექტივებით ვაწარმოებთ მუშაობას. წევრები და თანამგრძნობები დღითი დღე ემატება ჩვენს ორგანიზაციას. კრებებზე, მიტინგებზე, ქალაქის საბჭოში და სოფლის საბჭოებში ჩვენ გამოვდივართ ჩვენი ლოზუნგებით და რეზოლიუციებით: ჩვენ როდი ვართ უმნიშვნელო ჯგუფი, არამედ უკვე წარმოვადგენთ ორგანიზაციას. ყველანი ანგარიშს გვიწევს. ამ დროს მიმდინარეობს სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების საარჩევნო კამპანია, ჩვენც ვემზადებით. სამაზრო ინტერპარტიულ საარჩევნო კომისიაში, ბოლშევიკებიდან შევდივარ მე. აქ ფული და ხალხია საჭირო, ჩვენ კი კაპეიკი არ გაგვაჩნია, არც „ნდობა" გვაქვს. ჩვენ წინააღმდეგ კი ყველა პარტიებია, მდიდრები ფულით და ძველი დახელოვნებული პროპაგანდისტებითაც. საწევრო არ გვყოფნიდა, ცენტრიდან კი მარტო საარჩევნო ბიულეტენები მივიღეთ ამხ. ვასო კანდელაკის ხელით, ისიც ძალზე დაგვიანებით, სხვა არავითარი ფინანსიური დახმარება არსაით გვქონდა, ამიტომ მივმართეთ ფასიანი საღამოების მართვას და ყულაბებით ფულის შეკრებას ორგანიზაციის სასარგებლოთ. ასეთი საშუალებით დაახლოვებით 900 მანეთამდე მოვაგროვეთ. მშრომელი ხალხის სიმპატია ჩვენსკენაა, მათი ხმა რომ მიიღო, მისვლა უნდა, ყველგან მოსაწყობია საარჩევნო უბნები და სხვა, ამის საშუალება ჩვენ არ გაგვაჩნია. მენშევიკების ხელშია აპარატი, ფული და ყველაფერი. აქ ფული თამაშობდა პირველ ხარისხოვან როლს და სწორედ ფულით არჩეული კონტრ - რევოლიუციონური დამფუძნებელი კრება მართლა რომ გასარეკი იყო. ასეთი სამზადისის დროს ცნობას ვღებულობთ, რომ ლენინგრადის მუშებმა ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. აქედან იწყება ბრძოლის ახალი პერიოდი.

## შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში

ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან ჩვენ უკვე გადავდივართ ნახევრად არალეგალურ მდგომარეობაში. როგორც პირველი ბურჟუაზიული რევოლიუცია მივიღეთ გაზეთის შეტყობინებით, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვების ცნობაც. განსხვავება იმაშია, რომ საქართველოს წვრილ - ბურჟუაზიულმა სტიქიამ დროებით დასძლია მუშათა კლასს მენშევიკების ღალატის წყალობით, ფაქტიური ძალა - უფლება მათ გამოიყენეს მუშათა კლასის წინააღმდეგ და საქართველოს ბურჟუაზიის და თავად - აზნაურობის სასარგებლოდ. ამიტომ იყო საჭირო ბრძოლა მენშევიკების ბურჟუაზიული წესწყობილების დასამხობად, რომელსაც ვიწყებთ განსაკუთრებით ამ დროიდან.

ჩვენ მეორე დღესვე (ეს იყო 30 ოქტომბერს ძველი სტილით) მოვიწვიეთ საღამოს 7 საათზე საზეიმო სხდომა წევრებისა, თანამგრძნობების და საბჭოს წევრების, კომიტეტის ბიუროს შენობაში, რომელიც მთლიანად გაჭედილი იყო ხალხით, ჩვენი ბიუროს დავალებით მოხსენება გავაკეთე მე მიმდინარე მომენტზე, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო მისასალმებელი ოიპეშის გაგზავნა ლენინგრადის და მოსკოვის პროლეტარიატის ბრწყინვალე გამარჯვების გამო. ლენინგრადის და მოსკოვის სამხედრო საბჭოს და კომიტეტის სახელზე. (ჩვენ მიერ გაგზავნილი დეპეშა ეხლაც ინახება ლენინგრადის რევოლიუციონურ მუზეუმში).

კრებამ აგრეთვე მოწოდებით მიმართა მაზრის მთელ მშრომელ გლეხობას, რომ ჩვენც „მიგვებაძა“ პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატისათვის ძალა - უფლების საკუთარ ხელში აღებით. ასეთი ჩვენი აშკარა გამოსვლის შემდეგ იწყება მენშევიკური რეაქციის იერიშები ჩვენს წინააღმდეგ. მაგალითად ყველა ჩვენი საარჩევნო ბიულეტენები სრულ. რუსეთ. დამფუძნებელ კრების, რაც კი ფოსტით გადაგზავნილი იყო ადგილებში, ყველა დასწვეს მენშევიკებმა, რაც ამხანაგების ხელით, გადავგზავნეთ, გზაში დაიჭირეს, ბიულეტენები წაართვეს და წყალში გადაყარეს და დასწვეს.

ამრიგად გარდა ქალაქ ზუგდიდის და მის თემის, ჩვენ არსად მოგვეცა საშუალება ჩვენი საარჩევნო სიით და ყუთით გამოვსულიყავით. ფრონტებიდან დაბრუნებული ჯარისკაცები და გლეხობა გაიძახოდენ: № 5 „კენჭი“ მოგვეცით, მაგრამ როგორ შეიძლებოდა № 5 ბიულეტენის მიწოდება გლეხობაზე, როდესაც ჯოჯოხეთური პირობები იყო შექმნილი მენშევიკური „დემოკრატიის“ მიერ. როდესაც მივმართავდით ხელისუფლებას, რომ ასე უკანონოთ იქცევა თქვენი ხალხი-თქო, სერიოზულ სახეს მიიღებდნენ მენშევიკური ყეინები: ალექსანდრე ჩიქავა და მამია ანჯაფარიძე: „კაცო მამია, ნუ თუ ეს მართალია? ის მიუგებდა: „რას იზამ, ხუთი ნომერი კენჭის დანახვა ხალხს ეზარება და ზოგან კი აქვს ადგილი ბიულეტენების დაწვას, ასეთია დემოკრატიის სურვილი ჩემო ალექსანდრე, რა ვქნათ“.

ასეთი ცინიკური პასუხით გვიმასპინძლდებოდენ, უკაცრავათ პასუხია, სოციალისტები და საზოგადო მოღვაწენი.

ქალ. ზუგდიდში ჩვენ მივიღეთ 97 ხმა, ზუგდიდის თემში 37 ხმა, სულ ორივე საარჩევნო უბანში მივიღეთ **134 ხმა.** მენშევიკები ამანაც ააღელვა; როგორ, ორმა-სამმა კაცმა 134 ხმა მიიღო“-ო. ამას გაიძახოდენ დიდი და პატარა, ქალი და ვაჟი მენშევიკურად მოაზროვნენი და ყველა ნაციონალური პარტიები, რომლებიც ჩვენ ვერ გვინელებდენ. ეს მოხდა მაშინდელ ზუგდიდში, რომელიც უაღრესად წვრილ - ბურჟუაზიულ აზნაურული იყო. აღნიშნული ხმები ჩვენ მივიღეთ მოჯამაგირეების, უკიდურესი ღარიბების, ნოქრების და რკინის გზელ მუშებისაგან, რომელნიც სამუშაოთა ლიკვიდაციის გამო, ცოტანი იყვნენ, 65 კაცამდე და რომლებმაც ჩვენ მოგვცა ხმა მთლიანად. სოფლები კი მოელიან ჩვენ საარჩევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნო ბიულეტენს № 5-ს, მაგრამ ის არსად მოსჩანს, ზოგი დამწვარია, ზოგიც წყალშია გადაყრილი მენშევიკების მიერ. ამრიგად არჩევნებში ჩვენ „დაგვამარცხეს" დემოკრატიზმის მღაღადებელმა შემდეგი საშუალებით: ფულით, შეიარაღებული უხეში ძალებით და მთელი აპარატის ამოქმედებით ჩვენ წინააღმდეგ, ე. ი. ნამდვილი „დემოკრატიული" საშუალებით. როდესაც მშრომელი მასა გებულობს, რომ ბოლშევიკების საარჩევნო ბიულეტენი № 5 მენშევიკებმა დასწვეს და წყალში გადაყარეს და ჩვენ ბოლშევიკებს გვაპატიმრებენ და გვდევნიან, ასეთის გაგონებამ და დანახვამ, განსაკუთრებით მშრომელ გლეხობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მენშევიკების მიმართ ჩვენ სასარგებლოდ. ამ დროიდან ჩვენი ორგანიზაცია ხდება მასიური. ჩვენთან მოდიან ათობით და ასობით გლეხობა და ეწერებიან ჩვენს პარტიაში. ამრიგად ჩვენი მონაწილეობის მიღება სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების სამაზრო საარჩევნო კომისიაში, მიუხედავად ზოგიერთის უარყოფითი განწყობილებისა მიზანშეწონილი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე შევიწროვებული ვიყავით ყოველ მხრივ, მაინც შევძელით მაზრის ფართო მოსახლეობისათვის პარტიის მთავარი დებულების გაცნობა. სწორედ დამფუძნებელი კრების არჩევნების და მის გარეკის შემდეგ იწყეს მშრომელმა გლეხებმა ჩვენი ორგანიზაციის ძებნა, როგორც ერთად-ერთი მათი ინტერესის დამცველი პარტიის. ეს არის ის პერიოდი, როდესაც ქართველი მენშევიკები, მუსავატისტები და დაშნაკელები თავიანთი ბურჟუაზიის კარნახით ღალატობენ ოქტომბრის პროლეტარულ რევოლიუციას, სარგებლობენ ახალი ნორჩი პროლეტარული სახელმწიფოს საგარეო და შინაური ეკონომიურ - პოლიტიკური ხასიათის გართულებით და ის იყო ამიერ-კავკასიას დროებით სწყვეტენ მუშურ-გლეხურ რუსეთს. ასეთი მოღალატეობა მენშევიკების, მუსავატისტების და დაშნაკელების, ჩვენ მაშინათვე ვაცნობეთ ზუგდიდის მაზრის მშრომელ გლეხობას სპეციალური კრებების და მიტინგების მოწყობით, ამ სამარცხვინო აქტმა ძალზე აღელვება გამოიწვია მენშევიკებისადმი მშრომელ მეგრელ მოსახლეობაში, რომლის დამადასტურებელი ისტორიული საბუთებს ჩვენ ქვემოთ მოვიყვანთ რეზოლიუციების სახით.

1918 წლის თებერვალში რევოლიუციისადმი მენშევიკების აშკარა ღალატი-გამცემლობის გამო, ჩვენი ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ზუგდიდის მაზრაში იწყება სამოქალაქო ომი მენშევიკების წინააღმდეგ და ის გრძელდება ცამეტ თვეს, ცამეტ თვეს სამეგრელოს მშრომელი ქალი და ვაჟი ებრძოდა მენშევიკურ ჯალათებს. ჩვენ ვემზადებით რაიონობით მშრომელი გლეხობისაგან მოვიწვიოთ ყრილობები, სადაც უნდა გაგვერჩია შემდეგი საკითხები: 1) ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შესახებ და 2) ორიენტაციის საკითხი. რუსეთს, რომ ჩამოშორდენ მენშევიკები, ამ გარემოებას ვერ ითმენდა ზუგდიდის მშრომელი გლეხობა და ბოლშევიკურად განწყობილი აქა-იქ სოფლის მასწავლებლობა, დანარჩენი შეძლებული კლასები, თავად-აზნაურობა და სამღვდელოება მხარს უჭერდენ მენშევიკებს. ეს გასაგებიც იყო და არის თუ რატომ გაურბოდა და გაურბის ბურჟუაზიული შოვინისტური საქართველო პროლეტარულ რუსეთს. იმიტომ, რომ მას მისი კლასიური ინტერესები არ შელახოდა, რომ მას დარჩენოდა ქართველი გლეხი და ქართველი მუშა საყვლეფად. მაზრა ჩვენ გავყავით ორ ნაწილად: ზემო ნაწილში შედიოდა 15 საზოგადოება (ან დღევანდელი 15 თემზე ცოტათი მეტი) ზემო ნაწილის ყრილობა იყო დანიშნული 1918 წ. 28 თებერვალს ს. წალენჯიხში, ხოლო მეორე ნახევრის უნდა მოგვიწვია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანაკლიაში ან დარჩელში, რომლის დრო არ გვქონდა დანიშნული ტექნიკური და პოლიტიკური მიზეზების გამო.

რატომ არ ვაპირობდით ზუგდიდში ყრილობის მოწვევას და გადაგვქონდა ანაკლიაში, ან და დარჩელში? იმიტომ, რომ, როგორც ზევით ვსთქვით, მაშინდელი ზუგდიდი ციტადელი იყო წვრილი ბურჟუაზიის და აზნაურობის, მუშა და გლეხის გავლენა არ იყო, რომ მოგვეწყო ზუგდიდში, რასაკვირველია, დაგვამარცხებდენ და ის იყო მენშევიკებმა მიმართეს ხრიკებს, ჩვენი გეგმის ჩასაშლელად: გაგვივრცელეს ხმა, რომ ყრილობა არა წალენჯიხში იწვევა, არამედ ჯვარშიო, მერე არა ერთ ადგილასო, რომ ამით მოეხდინათ მასას დეზორგანიზაცია, ძალების დაქსაქსვა და ამრიგად ჩაეშალათ ყრილობის მოწვევა, რაც მათდა საუბედუროთ ვერ შესძლეს. ყრილობა მაინც მოწვეულ იქნა დანიშნულ ვადაზე თავის ადგილას და თავის დროზე, სადაც გარდა მოწვეული დელეგატებისა დაესწრო აუარებელი მშრომელი გლეხობა, მახლობელ ადგილებიდან. მთელი მაზრის ყურადღება ამ ყრილობაზე იყო მიქცეული, აბა რა ნაბიჯს გადასდამდა ის, ამ მეტად საპასუხისმგებლო მომენტში. ეს მართლაც ისტორიული დღე იყო მთელი მაზრის მშრომელებისათვის.

მაზრაში მომქმედი მთელი პოლიტიკური პარტიები გაფაციცებით ემზადებიან ამ დღისათვის, მთელი მათი საუკეთესო ძალები ე. წ. „მძიმე არტილერია“ აქ იყო ამ დღეს თავმოყრილი, თითო პარტიას ათ-ათი ორატორები ყავდა, მომზადებული, დილიდან ყველა დანიშნულ ადგილასაა... მიემგზავრებიან ეტლებით, თვითონ შეიარაღებულნი არიან და კიდევ შეიარაღებული ძალების თანხლებით, ჩვენ კი საშუალება არ გვაქვს წასასვლელად. ჩვენი სამაზრო ბიუროს სახელით მივდივართ მე მარტო, და ისიც დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ ვიშოვნე გაძვალტყავებული ლაფშა ცხენი წასასვლელად, რომელიც ძლივ-ღა ადგამდა ფეხებს და წალენჯიხში ჩასვლამდე გაიარა შვიდ საათმა, ნაცვლად ორი საათისა ეტლით ან კარგი ცხენით, რომ ჩავედი ნაშუადღევის ოთხი საათი იქნებოდა და ის იყო კრების გახსნასაც ჩაუსწარი.

მენშევიკებს უნდოდათ პრეზიდიუმში თავიანთი გენერლები გაეყვანათ, რომლის ირგვლივ დიდი მუშაობა უწარმოებიათ ჩემს ჩამოსვლამდე, საზოგადოებრივი აზრის დამუშავება და სხვა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ; პრეზიდიუმში იქნა არჩეული ყველა ჩვენი თანაგრძნობი გლეხები და ყოფილი ჯარისკაცები. მენშევიკები კიდევ შეეცადენ ერთ ხრიკს, რომ მთავარ მომხსენებლად მათი ხალხი ყოფილიყო, რომ ამით ხელში „ჩაეგდოთ“ ყრილობა იაფი დემაგოგიით, მაგრამ აქაც გაშავდენ, მათ (მენშევიკებს) წინააღმდეგ ყველა პოლიტიკურ პარტიები ხმას აძლევდნენ, მაგალითად: ესერები, ესფერები და ნაციონალ-დემოკრატები. ყრილობამ მიიღო: ყველა მთავარ საკითხებზე მოხსენება გააკეთოს ორი პარტიის წარმომადგენლებმა, ერთი ბოლშევიკების და მეორეც ოთხიდან ერთმა, ვინაიდან ოთხი დანარჩენი პარტიები თითქმის ერთდაიგივეა. აურ-ზაური ასტეხა დანარჩენ ოთხ პარტიაში, მაგრამ მოხსენების გაკეთება დანარჩენებმა მენშევიკს დაუთმეს. პირველად მოხსენება გააკეთა მაზრის კომისარმა მენშევიკ ესტატე ლატარიამ, მეორეთ მე.

კამათში ყველა პარტიებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა, რომელნიც ლატარიას უმშვენებდენ გვერდს. ყრილობის დადგენილება ასი პროცენტით მართალი იყო, ვინაიდან მიმდინარე მომენტზე გარდა ბოლშევიკებისა, დანარჩენ ყველა პოლიტიკური პარტიებს ერთიდა იგივე აზრი ქონდათ, მათ კიდევ იმიტომ უნდოდათ ყველა პარტიების წარმომად-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენლებს გაეკეთებიათ მოხსენებები მომენტზე, რომ დაეღალათ ყრილობა ისე, რომ ჩვენი მოხსენების მოსმენა აღარ შესძლებოდა ყრილობას.

„ზოგი ჭირი მარგებელია" — ნათქვამია, და მართლაც მთელი ეს ხროვა, რაც ზუგდიდიდან ჩამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების სახით და მე რომ დამესივნენ, ამ გარემოებას სულ უბრალო პოლიტიკურად უსუსურ გლეხმაც კი მიაქცია ყურადღება, ვინაიდან ყველა ეს ჩემი მოწინააღმდეგენი შესდგებოდნენ წვრილფეხა შოვინისტური ინტელიგენტ თავად-აზნაურობისაგან. ზემოთ აღნიშნულ ორი საკითხის ამოწურვამ გასტანა საღამოს თერთმეტ სათამდი. პოლიტიკური პარტიების გამოსვლის შემდეგ უპარტიო გლეხებმაც მიიღეს მონაწილეობა კამათში, რომლებიც სასტიკად კიცხავდენ მენშევიკების ღალატს რევოლიუციისადმი. საერთოდ და განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფის გამო. კამათის დამთავრების შემდეგ იქნა შემოტანილი ორი რეზოლიუცია: პირველი შემოიტანა ყველა პარტიების სახელით, გარდა ჩვენისა, ფედერალისტმა ლავრენტი საჯაიამ, ხოლო მეორე შემოვიტანე მე, ჩვენი პარტიის სამაზრო ბიუროს სახელით. საჯაიას ინტერპარტიულ რეზოლიუციას თვითონ ავტორებმა მისცეს ხმა, მეტი არავინ აღმოჩნდა ხმის მიმცემი, ჩემი კი ერთხმად იქნა მიღებული ყრილობის მიერ, რომელიც იყო დაბეჭდილი გაზეთ „ჩვენი ბრძოლა"-ში. გაზეთი „ჩვენი ბრძოლა" მაშინ გამოდიოდა ქ. ქუთაისში, თბილისში გაზეთი „ბრძოლის" რედაქციის მენშევიკური რეაქციის მიერ განადგურების შემდეგ . და იყო დასავლეთ ამიერ კავკასიის და ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტების ორგანო.

მომყავს უცვლელად ეს რეზოლიუცია:

„ჩვენ ყოფილ ჯარისკაცების და გლეხების ხუთმეტი საზოგადოების დელეგატებმა მოვისმინეთ რა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების და აგრეთვე ბატონ მაზრის კომისარის მოხსენებები მომენტის შესახებ ვარდგენთ შემდეგს: 1. ჩვენ, როგორც რევოლიუციონერები და ჭეშმარიტი დამცველნი რევოლიუციისა და სამშობლოსი გარეშე და შინაური მტრებისაგან, მოვითხოვთ დაუყოვნებლივ მოხდეს არჩევნები გლეხთა საბჭოებისა, როგორც რაიონში, ისე მთელ მაზრაში.

2. დღეიდან სრულიად გაუქმებულ იქნას აღმასრულებელი კომიტეტები და ყველა მისი ფუნქციები გადაეცეს გლეხთა საბჭოებს, როგორც ერთად ერთს დამცველს რევოლიუციონურ უფლებების გლეხობის და მუშებისა.

3. არავითარ შემთხვევაში ჩვენ არ ვემხრობით მათ, ვინც ლამობენ ამ.-კავკასიის რუსეთიდან გამოყოფას, მანამ, სანამდე ამიერ-კავკასიაში არ შესდგება მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა, რომელიც იქნება სრული ნდობით აღჭურვილნი ამიერ-კავკასიის გლეხების და მუშების მიერ, რომელსაც შეუძლიან, გამოყოფაც და შეერთებაც რუსეთთან.

4. სასტიკ პროტესტს უცხადებთ ამიერ-კავკასიის კომისარიატს, რომელმაც დახვრიტა მშვიდობიანი მიტინგი და დაღვარა უმანკო სისხლი მშვიდობიანი მცხოვრებლების და მუშების, 10 თებერვალს ქალ. თბილისში, აგრეთვე დაუყოვნებლივ მოვითხოვთ განთავისუფლებულ იქნან დატყვევებულ ბოლშევიკების მეთაურები, როგორც ნამდვილი და ჭეშმარიტი რევოლიუციონერები და სოციალისტები. თავმჯდომარე: **სიმონ ბელქანია,** მდივანი: **დოროთე კვარაცხელია,** 1918 წ. 28 თებერვალი. ს. წალენჯიხი.

რის მაჩვენებელია ეს? იმის, რომ მეგრელი გლეხი თავის ბედ-იღბალს უკავშირებდა რუსეთის მუშათა კლასს, იმის, რომ თავად-აზნაურობაზე და ბურჟუაზიაზე გამარჯვება შეიძლება არა განცალკევებულად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არამედ, რუსეთის მუშათა კლასთან ერთად, მან ამ აქტით გააგონა მენშევიკებს და ყველა ჯურის ნაციონალისტებს და მასთან უნდა გაიგონონ დღევანდელმა ოპორტუნისტებმაც, რომ მას კაცი-ჭამია ნაციონალიზმთან არაფერი აქვს საერთო, რომ მისი პოლიტიკური თავისუფლება, ეკონომიური და კულტურული განვითარება შეიძლება ინტერნაციონალური აღზრდით რუსეთის მუშათა კლასთან ერთად, რომლის ხელმძღვანელია ლენინის ბოლშევიკური პარტია.

ამ აქტით სამეგრელოს მშრომელმა მოსახლეობამ ფიცი დასდო, ლენინის პარტიასთან, ჭირშიაც და ლხინშიაც მის დროშის ქვეშ იბრძოლოს, მსოფლიო მუშათა კლასის და საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებამდე. ასეთი კლასიური ინტერნაციონალური ნაბიჯი სამეგრელოს გლეხობის, ქართული შოვინიზმით გაჟღენთილ მენშევიკებმა მონათლეს საქართველოს და რევოლიუციის ღალატად. ზუგდიდის მაზრის ბოლშევიკების ხელმძღვანელობით მომხდარი წალენჯიხის ამბები, — სამშობლოს ღალატად იქნა გამოცხადებული მენშევიკების მიერ. პირიქით, ეს აქტი საქართველოს მშრომელების და რევოლიუციის დახმარება იყო. წალენჯიხის ყრილობის რეზოლიუცია მთელს სამეგრელოს მოედო, წალენჯიხში ძალა-უფლება საბჭოებმა ჩაიბარეს, ე. ი. ამ დღეს საბჭოთა ძალაუფლება გამოცხადდა წალენჯიხის რაიონში, ან უფრო სწორედ რომ ვსთქვათ — ზემო სამეგრელოში.

ყრილობის წევრები დაიშალნენ, დირექტივებით, რომ ეხლა შესდგომოდენ სოფლის საბჭოების ჩამოყალიბებას და მასთან სოფლებში ულარიბესი გლეხებისაგან შეიარაღებულ-რაზმების შედგენას, არც საბჭოში და არც რაზმში არ უნდა დაეშვათ მენშევიკები და მათი თანამგრძნობნი. თვით წალენჯიხში იმ ღამესვე ჩამოვაყალიბეთ საბჭოთა ხელისუფლება, მილიცია მისი უფროსით იქნა მაშინათვე განიარაღებული და მთელი ძალა-უფლება გადადის გლეხების საბჭოს ხელში. შეიძლება ითქვას, რომ ეს პირველი საბჭოთა ხელისუფლება იყო საქართველოში, თუმცა არაფერი ამაზე არ დაწერილა და არც არსად აღნიშნულა. სწორედ ამ რიცხვიდან იწყება ნამდვილი სამოქალაქო ომი ზუგდიდის მაზრაში, „დემოკრატიული" გზით აღებული ძალა-უფლებას ვერ გვანარჩუნებენ. ქუთაისის გუბერნატორმა განკარგულება გასცა ორი ასეული ჯარის გაგზავნის შესახებ კაპიტან ერქომაიშვილის მეთაურობით, ჯარი ზუგდიდს მიადგა ტყვიამფრქვევებით და ზარბაზნებით შეიარაღებული, ჯარი ზუგდიდში იდგა მენშევიკურ ცენტრის განკარგულებით.

ბათომის „დასაცავად" მობილიზაცია გამოაცხადეს მენშევიკებმა. წალენჯიხის საბჭოს მიერ მაშინათვე იქნა მოწვეული საბჭოს გაფართოებული კრება, სადაც დაისვა საკითხი ჯარში მობილიზაციის წესით გასაწვევთა შესახებ. აქაც გამოვიდნენ მენშევიკების კომისრები მოხსენებით, მოხსენების ირგვლივ კმათის დამთავრების შემდეგ მე მომიხდა რეზოლიუციის შეტანა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული კრების მიერ და იყო დაბეჭდილი გაზეთ „ჩვენი ბრძოლა"-ში, მომყავს რეზოლიუცია უცვლელად:

„4 მარტს 1918 წ. ს. წალენჯიხის საზოგადო კრებამ (დაესწრო ხუთასი მოქალაქე) მოვისმინეთ რა მოხსენება ზ. მაზრის კომისარის და სხვა პოლიტიკური პარტიებისა მომენტის შესახებ, ვღებულობთ შემდეგს: ჩვენ გვწამს სამშობლო და მისი დაცვა, მით უმეტეს რევოლიუციონურის, მზათა ვართ დავიცვათ იგი, როდესაც ზურგს გვიმაგრებს შავი ზღვის ფლოტი მთელი მისი შემადგენლობით, ვიმაღლებთ ხმას და უერთდებით რუსეთის რევოლიუციონური მუშების და გლეხების მთავრობას, რო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მლებთან ერთად შეგვიძლია დავიცვათ რევოლიუციონური სამშობლო, მაშინ კი გამოვდივართ არა ოცდახუთ წლამდის, არამედ თვრამეტიდან სამოც წლამდე. კრების თავმჯდომარე: **ჯოლოხავა**, მდივანი: **ზურბაია**“.

მაშინ მენშევიკები გამძაგებულ პროვოკაციას აწარმოებენ ჩვენს წინააღმდეგ, როგორც ზევით ვსთქვით თითქოს ჩვენ ბოლშევიკები სამშობლოს მოღალატენი, ვყოფილიყავით, რომ ჩვენ არ გვსურს ზათომის დაცვა, რომ ჩვენ სათათრეთის აგენტები ვართ და სხვა. მენშევიკების ამ პროვოკაციას შეიძლება სხვაგან ეშოვა გამოხმაურება, მაგრამ სამეგრელოს გლეხობაში მათ არც წარსულში ქონიათ ნდობა და არც ეხლა, მით უმეტეს ამ საკითხში. მენშევიკური ჯარის მიმღები კომისია ამ საღამოსვე იქნა განდევნილი ზემო სამეგრელოდან ზუგდიდის ბოლშევიკური ბიუროს უშუალო ხელმძღვანელობით. ასეთივე პასუხი მიიღეს მაშინ მენშევიკებმა სხვაგანაც ზუგდიდის მაზრაში და წარმოიდგინეთ თვით ქ. ზუგდიდშიაც იგემეს დამარცხება.

ჩვენ ვიცოდით, რომ მენშევიკები ამას ასე „ადვილად“ არ „გვაპატიებდა“ და ის იყო ყოფილ „ფრონტოვიკებიდან“ შევქენით რაზმი რაიონის ცენტრში. (საერთოთ ზუგდიდის მაზრაში ხელმძღვანელობა შეიარაღებულ აჯანყებისადმი მე მქონდა დაკისრებული დასავლეთ ამ.-კავკ. კომ. მიერ, რომლის წევრი ვიყავი მაშინ, პირველად რაზმში ორასამდე კაცი ითვლებოდა. შემდეგ კი თანდათან გაიზარდა, ჩვენი მოლოდინიც გამართლდა, არ გასულა ერთი კვირა, რომ თბილისიდან იყო თუ ქუთაისიდან, იგზავნება კიდევ ერთი ასეული ჯარი საბჭოთა წალენჯიხის ასაღებად. კანონს გარეშე მაცხადებს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი ვ. კახუხოვი, როგორც აჯანყების მომწყობს და მეთაურს, რის გამო 1918 წ. 5 მარტიდან გადავდივარ არალეგალურ ცხოვრებაზე და მივემგზავრები დასავლეთ ამიერკავკასიის პარტ-კონფერენციაზე, რომელიც მოწვეული იყო ჩვენი ცენტრის თბილისში მენშევიკების მიერ განადგურების შემდეგ, დასავლეთ ამ.-კავკასიის კონფერენცია შეიძლება ნახევრად არალეგალურად მიმდინარეობდა. კონფერენცია გახსნა მიშა ოკუჯავამ. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები*).

1. წარმომადგენელთა მოხსენება ადგილებიდან; 2. მომენტი და ძალაუფლების საკითხი; 3. ადგილ-მამულის საკითხი დასავ. კავკასიაში; 4. გლეხთა საბჭოების ორგანიზაცია; 5. სასურსათო კითხვა; 6. წითელი გვარდიის ორგანიზაცია; 7. საორგანიზაციო კითხვა; 8. მიმდინარე საკითხები.

ვინც ამ კონფერენციაზე იყო, დამეთანხმება, რომ კონფერენცია მიმდინარეობდა მეტის-მეტი ბოლშევიკური ენტუზიაზმით. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში ჩვენი პარტიული ცენტრი მენშევიკურმა რეაქციამ ააწიოკა, გაანადგურა, კონფერენციის მთელი შემადგენლობა დარწმუნებული იყო იმაში, რომ მენშევიკების თარეში ეს დროებით მოვლენა იყო. ვინც გადაათვალიერებს დასავლეთ ა.-კ. კონფერენციის ოქმს ადგილებიდან მოხსენებებს, მისთვის ეს ნათელი გახდება.

ის თუ, როგორი რევოლიუციონური განწყობილება იყო მასებში მენშევიკების წინააღმდეგ, ზედმეტია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ერთი რამ უდაოა და ის გულახდილად უნდა ითქვას: კონფერენციის შემდეგ მასის ამ რევოლიუციონური განწყობილებით საქართველოს მაშინდელ ბოლ-

---

*) კონფერენციის დამთავრებისას ვსთხოვე ამხ. ს. ჩიხლაძეს, როგორც კონფერენციის მდივანს, კონფერენციის ანგარიში გადმოეწერა ჩემთვის, მან მოიხმარია მიშა მეძმარიაშვილი და ოქმები მომცეს. ამ დღეებში წავაწყდი ამ საბუთს და იქიდან მომყავს დაწვრილებითი ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიკურმა ხელმძღვანელობამ ვერ ისარგებლა, მასის რევოლიუციონური აწევა ვერ გამოიყენა იმათ, ვინც ურიგდებოდა მენშევიკური დემოკრატიული რესპუბლიკას და თავს იკავებდნენ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებიდან, ასეთებს მენშევიკები „იდეურ" ბოლშევიკებს უწოდებდნენ, ხოლო იმათ, ვინც ვერ იტანდა მენშევიკურ დახავსებულ რესპუბლიკას და აჯანყებას აწყობდა მათი დასამხობად. ასეთებს მენშევიკები ბანდიტებს, ოსმალეთის აგენტებს და სამშობლოს მოღალატეს უწოდებდნენ. სწორედ მაშინდელ მენშევიკების „იდეურ" ბოლშევიკებიდან მივიღეთ ჩვენ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ: ჯერ უკლონისტები და შემდეგ ტროცკისტები. ეს მოსალოდნელიც იყო, გარდა ოპორტუნისტისა, რევოლიუციონერს არ შეეძლო შერიგებოდა დროებით მაინც მენშევიზმს, მით უმეტეს 18-19-20 წ. წ. მაგრამ ნათქვამია: „Рыбак рыбака видит издалека".

მოვიყვან კონფერენციაზე ჩემი მოხსენების ადგილს: (სხვათა შორის ზუგდიდ - წალენჯიხის სახელით მე გავაკეთე მოხსენება, ხოლო იდან ამხ. ვასო ქობალავამ, რომელიც იმ ხანებში ხობის სკოლის გამგედ იყო).

„ზუგდიდის მაზრაში 144 პარტ.-წევრია, 100-მდე იარაღიანია, საწევრო ფული შემოდის რეგულიარულად. სოფლებში მოთხოვნილება დიდია პარტიისაკენ დენის, მაგრამ მუშაკები არ გვყოფნის, მიტინგებზე ყველგან ბოლშევიკებს უჭერენ მხარს. 1.700 კაცამდე შეიძლება გამოვიყვანოთ შეიარაღებული. ესერები ძლიერები იყვნენ, მაგრამ ახლა სრულებით ნიადაგი გამოეცალათ. გლეხთა საბჭოები არსებობენ, მაგრამ ნაწილობრივ მენშევიკების გავლენის ქვეშ, ყველა რაიონში 300-400 შეიარაღებული კაცია, რომელიც ჩვენი გავლენის ქვეშ არის. უკანასკნელად მოწყობილ მიტინგზე დაესწრო 800 კაცი, სადაც ჩვენი რეზოლიუცია იქნა მიღებული. ხეთაში 33 პარტ.-წევრია".

დაახლოებით ასეთი შინაარსისაა მოხსენება წალენჯიხის შესახებ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ზემო სამეგრელოში ძალზე გამწვავებული იყო მიწის საკითხი, რომლის ირგვლივ მე მომიხდა დაწვრილებით შეჩერება. აქ ჩემს მოხსენებაში სხვათა შორის მე შევჩერდი მიწის საკითხის გადაუჭრელობაზე მენშევიკების მიერ, რომ ისინი ატყუებდნენ გლეხობას, რაც აძულებს მათ მენშევიკების მთავრობას. მასთან ხალხი იყურება პეტროგრადისკენ, რომ პეტროგრადს შეუძლია მათი ხსნა და სხვა.

მიწის საკითხზე მოხსენება კონფერენციაზე გააკეთა „ახალგაზრდა" უწვერ - ულვაშო „მურმანიძემ". ეს ახალგაზრდა მურმანიძე იყო ჩვენი ქალარა ამხ. ფილიძე მახარაძე, რომელიც არალეგალურად ცხოვრობდა მაშინ.

კონფერენციამ მიიღო მიწის ნაციონალიზაცია და სხვა საკითხებიც იქნა ამოწურული კონფერენციის მიერ და ისაა უნდა დავბრუნდეთ ადგილებში, ამ დროს იანო კაჩუხაშვილი ქუთაისის გუბერნიის მაშინდელი ღენერალ - გუბერნატორი საგუბერნიო საბჭოს სხდომაზე მე მაცხადებს კანონს გარეშე, როგორც „ბუნტოვჩიკს", „ბანდიტს" და აფრთხილებს მიშა ოკუჯავას და ბ. მდივანს, რომ ის მალე ჩამიგდებს ხელში და კიდევაც გამგზავნის იქ, სადაც საჭიროა. ოკუჯავამ იმ ღამესვე პირადათ მაცნობა კაჩუხოვის გადაწყვეტილება და ის იყო საგუბერნიო კომიტეტმა დაავალა ერთ ამხანაგს გადავეცვით და მასთან წვერ - ულვაშიც მოგვეპარსა. ამ „ოპერაციის" შემდეგ გავხდი თვითონ საგუბერნიო კომიტეტის წევრებისათვის უცნობი. გადამაცვეს შინელის მაგივრად ამხ. ვასო კანდელაკის პალტო და ქუდი.

დასავლეთ ა.-კ. კომიტეტმა სენაკის მაზრას მიამაგრა ამხ. ს. გეგეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორი ხელმძღვანელად და ზუგდიდის მაზრას კი — მე.

დასავლეთ ა.-კ. კონფერენციის შემდეგ ჩვენ გადავისროლეთ ლოზუნგი: „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს"! ამ დროს მაზრის ყველა რაიონებში ერქომაიშვილი მისი ორი ასეულით დაამარცხა ჩვენმა რაზმმა, ზოგი ტყვედ წაიყვანეს, ზოგი მასთან ერთად გაიქცა. ამასობაში ს. ნარაზენი და ს. ჯვეში, აბასთუმენი იღებს ძალა - უფლებას ხელში. ამავე დროს მზადდება თვით ქალ. ზუგდიდზე დაცემა და ამით მაზრის ცენტრის ხელში ჩაგდება. სწორეთ ამ დროს მე, როგორც ჭერ-ქვეშა მყოფს, წინადადებას მაძლევს დასავლეთ ა.-კ. კომიტეტი სოხუმის აჯანყებულებზე მისაშველებლად გავემგზავრო, ეს იყო მარტის ბოლო რიცხვებში. მივემგზავრები სოხუმში, ისე ოჩამჩირეში მომიხდა გაჩერება. ოჩამჩირის ქალაქის მმართველობას (ვ. ადამია და კ. პაპასქირის სახით) დეპეშა მიუღიათ კაჩუხოვიდან ჩემი დაუყოვნებლივ დაჭერის შესახებ, როგორც სათათრეთის აგენტის. ჩემი დაპატიმრება შევატყობიე სოხუმის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტს, ხოლო ოჩამჩირიდან ეტაპით გამაგზავნეს ზუგდიდში. ს. გალის შემდეგ მცველები მომიხსნა ალექსანდრე გამსახურდიამ (რესპუბლიკის რწმუნებული იყო მობილიზაციის საქმეში ბათომის დასაცავად), ზუგდიდში 30 მარტს საპყრობილეში ჩამსვეს. მე ვიყავი პირველი ბოლშევიკი პატიმარი, თუმცა ზუგდიდის ციხის უფ. ვ. სართანიამ ძალიან პატივი მცა ცალკე „ოთახში" მოთავსებით. ჩემი დაპატიმრების შემდეგ სოხუმელი ამხანაგები იტოვებენ მძევლებლად ბენია ჩხიკვიშვილს და სხვებს. და ის იყო ერთი კვირის შემდეგ ქუთაის - სოხუმი მორიგდნენ შევეცვალეთ, — სოხუმიდან გამოუშვათ ბენია ჩხიკვიშვილი, ხოლო ზუგდიდიდან მე. ბენია ჩხიკვიშვილი ზუგდიდში ჩამოვიდა და გაემგზავრა თბილისში, ხოლო მე მიცხადებენ:

„თქვენ განთავისუფლებული ხართ ციხიდან შინაური პატიმრობით და მოგვეცით პატიოსანი სიტყვა, რომ არავინ მოვა თქვენთან და არც თქვენ ბინიდან სხვაგან წახვალთ"-ო. მე მაშინათვე მივეცი „პატიოსანი" სიტყვა, მომცეს ბინაში წასვლის უფლება. ეს იყო დღის მეორე საათი, ოთხ საათზე იმ დღესვე დავარღვიე ჩემი „პატიოსანი" სიტყვა მიცემული მენშევიკებზე და ფეხით ჩავედი სამურზაყანოში და შეუერთდი სამურზაყანოელ ამხანაგებს.

მეორე დღეს დიდი მიტინგია სამურზაყანოში. აქ მოელიან ზუგდიდიდან მენშევიკების ბელადებს, ე. ი. იმ ხალხს, რომლებსაც მე სულ რამოდენიმე საათის უკან „პატიოსანი" სიტყვა მივეცი, რომ არსად წავსულიყავი. ეხლა მეორე ტერიტორიის იქით პირისპირ უნდა შევხვდე. გადავეცი ამხ. პ. ძიგუას, რომ ზუგდიდიდან მოსულ მენშევიკებისათვის მიტინგზე გამოსვლის ნება არ მიეცა, ე. ი. მიტინგის გათავებამდე ისინი დაეპატიმრებიათ და ჩვენს რაზმელებს, როგორც პატიმრები გაეცილებიათ ინგურამდე. ზუგდიდიდან ჩამოვიდა ოთხი კაცი მაზრის კომისარი მენშევიკი ვანო ბაძაღუას მეთაურობით. ჩამოვიდნენ თუ არა, მათ ალყა შემოარტყეს ჩვენ რაზმელებმა და გამოუცხადეს, რომ ისინი დაჭერილი არიან და დატუსაღებულათ გააცილებენ ინგურამდე. უთხრეს თუ არა ეს, ბაძაღუამ დაიყვირა: — „მე ვინ დამიჭერს, გუბერნატორის რწმუნებული ვარ"-ო.

„თქვენ დაჭერილი ხართ ამხ. ი. ქვანიას განკარგულებითო". „რას მატყუებთ, ქვანიამ გუშინ პატიოსანი სიტყვა მომცა, ის ზუგდიდში შინაურ პატიმრობაშია"-ო. მაშინ ის მოყავთ ჩემთან კოსტა არქანიას მეთაურობით (არქანია ვ. ჯუღელმა ყაზბეგში დახვრიტა). დამინახა თუ არა ბაძაღუამ (ბაძაღუა ჩვენ 1924 წ. დავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვრიტეთ) მომაყვირა: „შენ არ ყოფილხარ იდეური ბოლშევიკი, სადაა შენი პატიოსანი სიტყვა"-ო, მე უპასუხე, რომ პატიოსან სიტყვას პატიოსან ხალხს ვაძლევ და არა თქვენ, მენშევიკებს, მეთქი.

(ბაძაღუას ყავდა „იდეური" ბოლშევიკი, რომელსაც მენშევიკურ საქმეებს აკეთებიებდა, როგორიც იყო ბ. ბერია, რომელიც ბაძაღუამ ნარაზენის აჯანყებულებში წაიყვანა და ალაპაკარა, რომ აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ ავანტიურაა და დაეყარათ იარაღი, მაგრამ აჯანყებულებს არც კი შეუხედავთ ბაძაღუას აგენტ ლიკვიდატორ ბ. ბერიაზე. ეს იცის მთელმა ზუგდიდის ორგანიზაციამ).

სამურზაყანოს მიტინგი დიდებულად ჩატარდა, მთელი სამურზაყანო შეუერთდა აჯანყებულებს, — სოხუმის საბჭოთა ხელისუფლებას. მეორე დღეს მომცეს ერთი კაცი, რომელთან ფეხით ჩავედი ორი დღის განმავლობაში სოხუმში. ჩემი თანამგზავრი იყო ამხ. აკაკი ქუჩულორია, ზადპოროუჩიკი, რომელიც ვ. ჯუღელის მიერ იქნა დახვრეტილი ყაზბეგში 1918 წელს. (რამდენი ჩვენი ახალგაზრდა შეიწირა რენეგატ - ჯალათათ ქცეულ ვალიკო ჯუღელმა!)

ერქომაიშვილის დამარცხების შემდეგ წალენჯიხაში მიდის მენშევიკური სამაზრო გვარდიის მეთაური კოლია ანთელავა, წალენჯიხის ასაღებად, მას მიყავს ხუთასამდე მენშევიკი და ფედერალისტი შეიარაღებულნი, უმეტესობა მიკიტნები და ვაჭრები (მენშევიკური და ფედერალისტების პარტიული ორგანიზაცია შესდგებოდა: ვჭარებისა, მიკიტნებისა და წვრილ-ფეხა თავად-აზნაურულ ინტელიგენციისაგან). ანთელავა მისი ბათალიონით განიარაღებულ იქნა და ტყვედ წაყვანილი ჩვენი ბოლშევიკური რაზმელების მიერ და ჩამწყვდეული იყვნენ წალენჯიხის ძველი ეკლესიის გალავანში.

ამრიგად, მარტი, აპრილ - მაისის თვეებში მაზრის მთელი რაიონები თითქმის ჩვენს ხელშია, გარდა სამაზრო ცენტრისა. ამ დროს სამაზრო ცენტრის ციხე სავსეა ჩვენი გლეხი ამხანაგებით. ამავე რიცხვებში შესდგა სამურზაყანოს სამხედრო საბჭო ამხ. პავლე ძიგუას მეთაურობით, ამ საბჭოში ზუგდიდელი ამხანაგებიც ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნულ საბჭოს ინიციატივით, ზუგდიდის მაზრის ინგურის განაპირა სოფლებიდან შესდგა განსაკუთრებული კომუნისტური რაზმი, რომლის მიზანს შეადგენდა ქ. ზუგდიდის ხელში ჩაგდება და ამით ორი რევოლიუციონური მაზრის ზუგდიდ-სამურზაყანოს გაერთიანება და აფხაზეთის შემოერთებით დასავლეთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების შექმნა. ასეთი აზრის იყვნენ რევოლიუციონური აფხაზეთის ხელმძღვანელი ამხანაგებიც. ასეთი იყო სამეგრელოს მშრომელი მასის სულიერი განწყობილება იმ ხანებში და მის შემდეგაც. თვითონ იბრძოდენ, სისხლს ღვრიდენ თავგანწირულად, თვითონ სჭედდნენ თავიანთ მომავალს, ვინაიდან იმ ხანებში საგუბერნიო ხელმძღვანელობა დაიბნა, არსაიდან სჩანდა ხელმძღვანელობა და დახმარება. პირიქით, ჩვენი მაშინდელი საგუბერნიო კომიტეტი არა თუ დაიბნა, არამედ წინააღმდეგი იყო ყოველგვარ გამოსვლების. ამიტომ იყო, რომ ვერ განხორციელდა ზუგდიდ - სამურზაყანოელ ამხანაგების გეგმა — ზუგდიდის აღების შესახებ. მაშინდელი „იდეური" ხელმძღვანელობის წყალობით აღნიშნულ რაზმის შტაბი მოთავსებული იყო სოფ. შამგონაში (ზუგდიდის რაიონი), ეს იმიტომ, რომ შამგონა ამ შემთხვევაში იყო „მიუვალი" სტრატეგიული ადგილი, ვინაიდან ის კუნძულია, იქეთ-აქეთ უვლის მდ. ინგური. ამიტომაც ეს ადგილი თავდაცულათ ითვლებოდა, მასთან აქ იყო შავი ზღვის რკინის-გზის შენობები, სადაც შესაძლებელი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზმის თავშეფარება. ამ დროს ბრძოლა სწარმოებდა მაზრის სხვა და სხვა სოფლებში და რაიონებში, მაგალითად: ნარაზენში, აბასთუმანში, ანაკლიაში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, კახათში და სხვაგან. უბედურობა იმაში იყო, როგორც ზევით აღვნიშნეთ, რომ მათ არ ჰყავდათ ერთი ხელმძღვანელი ცენტრი.

შამგონის რაზმის მიზანი იყო, თუ იარაღით არ მოერეოდა ზუგდიდში იქ მდგომ ღლონტის რეგულიარულ ჯარს, სიმშილით დაემძლია ისინი ბლოკადის საშუალებით. ჩვენი რაზმელების შთაგონებით სოფლებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მენშევიკურ ქალაქს და სიმინდი არ მიჰქონდათ იქ გასაყიდათ. ზოგი-ერთ სოფლელ ბობოლას კი ჩუმად, მალულად მიქონდა სიმინდის ფქვილი ღამ-ღამობით მენშევიკებისათვის. შემდეგ ის იყო შამგონის რაზმის შტაბმა დამოუკიდებულად სტიქიურად, წამოვიდა ზუგდიდის ასაღებად. რაზმი შედგებოდა 70 კაცისაგან, რაზმის უფროსი იყო ამხ. ალე თოლორაა, თანაშემწედ ამხ. ბ. თორდია, მწყობრის უფროსებად: 1. გახა კვარაცხელია, 2. ერეკლე ნაჭყებია და 3. ოთარე ჩხოტუა. გამოუცდელობით ერთი ჯგუფი ჩაიჭრა, რომელსაც უნდა აეღო მილიციის სამმართველო და განეიარაღებია მილიცია მთლიანად, მაშინ, როდესაც ციხე იქნა აღებული და პატიმრები სუყველა განთავისუფლებული, აგრეთვე ფოსტა - ტელეგრაფიც. აი ამ დროს მილიციის ამღებ ჩვენი ნაწილიდან, მილიციის აღებამდი თოფი გაუვარდა შემთხვევით, ამ დროს წამოცვივდა ფეხზე, შეიარაღებული მენშევიკური მილიცია, ატყდა სროლა, ამას მიემატა იქ მდგომი ჯარის ნაწილები, ვაჭრები და მიკიტნები, რომლებიც მენშევიკების მიერ მთლიანად იყვნენ შეიარაღებულნი. ამრიგად, ჩვენები იძულებული შეიქნენ დაეხიათ და გაფანტულიყვნენ. ამ შეტაკებაში რამოდენიმე მოკლული იქნა ორივე მხარეზე, აგრეთვე ტყვეთ წაიყვანეს მათ რამოდენიმე ჩვენი ამხანაგი.

ამ დროიდან ღლონტის ჯარი შეუდგა აჯანყების ჩაქრობას ნარაზენ-აბასთუმანში. მთელი არე-მარე გადაბუგული იყო ზარბაზნების ცეცხლით. ღლონტის ქვეითა ჯარს ამაგრებდა ვილჰელმის მფრინავები( რომლებიც ნოე ჟორდანიას ათხოვა მაშინ თბილისში მყოფი გერმანული სარდლობის უფროსმა — გენერალ ფონ-კრესმა). ამის შემდეგ გადავიდნენ წალენჯიხის ასაღებად. ორი კვირის ბრძოლის შემდეგ წალენჯიხაც აღებულ იქნა, წალენჯიხის ჩვენმა რაზმმა დაიხია აღმოსავლეთით, გადავიდა ლეჩხუმი, დუშეთი და შეუერთდა თერგის ოლქში მებრძოლ ბოლშევიკურ რაზმებს ამხ. ს. გეგეჭკორის მეთაურობით. ამის შემდეგ განადგურებულ იქნა შამგონის რაზმი, შემდეგ ანაკლია - დარჩელის და სხვა რაზმები.

ამრიგად, 1918 წ. ხასიათდება ზუგდიდის მაზრაში, განუწყვეტელი სამოქალაქო ომით, არ დარჩენილა თითქმის არც ერთი სოთილი ზუგდიდის მაზრის, რომელიც ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით არ იყოს აღებული და აწიოკებული მენშევიზმის რეაქციის მიერ, რომელშიაც გერმანიის იმპერატორი ვილჰელმის მფრინავები და ჯარის კაცები ეხმარებოდა ნოე ჟორდანიას. 1918 წლის მიწურულში მენშევიკებმა ერობის ჩამოყალიბება მოახერხეს, თითქმის ყველგან საქართველოში, გარდა ზუგდიდის მაზრისა, ერობის არჩევნები აქ რამოდენიმეჯერ ჩაიშალა. ვერც 1919 წ. პირველ ნახევარში შესძლეს მენშევიკებმა ერობის ჩამოყალიბება ზუგდიდის მაზრაში, რაც დიდი სკანდალი იყო მათთვის. ნოე ჟორდანია ამ ფაქტს, რაღაც არა ჩვეულებრივ მოვლენად სთვლიდა. დიდი რეპრესიების ჩვენს წინააღმდეგ მიღებით, ბლომათ ფულის ხარჯვის და სპეციალური ხალხის მოვლინების შემდეგ თბილისიდან მოახერხეს 1919 წლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამლევს და ოცის დასაწყისში ერობის მოწვევა. მაზრის ხელმძღვანელი ამხანაგები ან გაქცეული იყვნენ მაზრიდან ან ციხეში ისხდნენ. მასა უხელმძღვანელოთ იყო მიტოვებული. ამით ესერებმა ისარგებლეს:

მათ მიმართეს სხვა დასხვა ხრიკებს, ბოლშევიკურად განწყობილ მასის თავისკენ გადასაბირებლად და ის იყო კიდევაც ნაწილობრივ მიაღწიეს მიზანს. ერობის არჩევნებზე ბოიკოტის გამოცხადების ნაცვლად, როგორც ეს სხვაგან იყო, ჩვენმა მასამ ესერებს მისცა ხმა და ის იყო საქართველოს მასშტაბით მხოლოდ და მხოლოდ ზუგდიდის მაზრაში გაიმარჯვეს ესერებმა. ეს იყო მეორე დიდი სკანდალი მენშევიკური პარტიისათვის ზუგდიდის მაზრაში.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, თუ რატომ იბრძოდა მეგრელი მშრომელი მოსახლეობა ბოლშევიკებთან ერთად მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ასე თავგანწირულად და შეუდრეკელად? იმიტომ, რომ მეგრელი მშრომელ მოსახლეობას არაფერი მიუღია მენშევიკებისაგან, არც მიწა, არც პოლიტიკური თავისუფლება და არც კულტურულ - ეკონომიური გაუმჯობესებანი. მენშევიკური მიწის რეფორმა ეს დაცინვა იყო ღარიბ და საშუალო გლეხობის, რომელიც ისე, როგორც ნიკოლოზის დროს, განიცდიდა საშინელ ექსპლოატაციას თავად-აზნაურების, ვაჭრების და კულაკებისაგან. უადგილო არ იქნება აქ ჩაურთოთ კიდევ ერთი ეპიზოდი მენშევიკების კონტრ - რევოლიუციონურ მოღვაწეობიდან სიმონ თოლორდავაზე.

სიმონი და მისი ძმა ბახვა გლეხური წიაღიდან გამოსული რევოლიუციონერები იყვნენ. მათ გმირულად იბრძოლეს 1905 წ. რევოლიუციის დროს. მათ სიცოცხლეს გამოასალმეს რეაქციონერი პლატონ დადიანი. ამ აქტით მათ შეასრულეს ერთ დროს დადებული რევოლიუციონური ფიცი სოფლის მშრომელ გლეხობასთან, რომლების ამწიოკებელი იყო პლატონ დადიანი. ბახვა დაიჭირეს და კატორღაში გარდაიცვალა. სიმონმა ოსმალეთში გაქცევა მოასწრო, ის 1917 წ. რევოლიუციამდე 1905 წლიდან ზუგდიდის მაზრაში არავის უნახავს.

1917 წ. დაბრუნებისთანავე სიმონი მენშევიკებთან იყო, მაგრამ ბევრში არ ეთანხმებოდა მენშევიკებს. მან არა ერთი სკანდალი მოუწყო მენშევიკებს. 17 წლის მიწურულში საშინელმა ძარცვა - გლეჯამ იჩინა თავი, მთავრობა ვერაფერს გახდა. სიმონი გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე იყო და შეადგინა 500 ღარიბი გლეხისაგან შემდგარი რაზმი. ძარცვა - გლეჯას, როგორ ყოველთვის იმ ხანებშიაც ხელმძღვანელობდა თავად - აზნაურობა. სიმონის რაზმი კი ამის აღმოსაფხვრელად იყო შემდგარი, თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა მენშევიკურ „რევოლიუციონურ“ სინიდისს. სიმონმა აქ დიდი „თავხედობა“ გამოიჩინა. მიადგა რაზმით და რამოდენიმე დიდი თავადების სასახლეები დაანგრია, უტუს დრო მოაგონა თავად-აზნაურობას და მენშევიკებს. ზუგდიდის ციხე გაავსო თავად-აზნაურობით. ხუთჯერ გადაწყვიტეს მენშევიკებმა ვალოდია ალშიბაიას დაჭერა, მაგრამ ვერც ერთჯერ ვერ მოიყვანის სისრულეში. სვიმონ და მისმა რაზმმა მაგრად გაქაჩეს და ჩასვა ციხეში ალშიბაია.

ამ არა ჩვეულებრივმა მოვლენამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია საგუბერნიო ცენტრში, მაღალ წოდების ხალხში და ის იყო ქუთაისიდან გუბერნატორის მანდატით ჩამოვიდა მუშნი დადიანი. მას ქონდა მინდობილი ზუგდიდის მაზრაში ამტყდარი „ანარქიის“ წინააღმდეგ ზომების მიღება და მოგვარება. სოც.-დემ. მენშევიკების ბუდე იყო იასონი მუჯირის სახლი, სადაც იყო მათი მენშევიკური კომიტეტი მოთავსებული. ინტერპარტიული კრებაც იქ იყო მოწვეული ბატონ დადიანის მიერ, მდგომარეო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის გასაცნობად. საკითხი იყო ერთი: მუშნი დადიანის ინფორმაცია, ზუგდიდის მაზრიდან თავად-აზნაურობის განდევნის და შევიწროვების შესახებ — სიმონ თოლორდავას რაზმის მიერ. მან თავისი მოხსენება დაიწყო იმით, რომ თოლორდავას საქციელი ბოლშევიკურია და სხვა. ბოლშევიკებიდან ამ კრებაზე მარტო მე მოვხდი. თავადის ხულიგნურ გამოსვლებს საკადრისი პასუხი რომ გავეცი, იუკადრისა და ხანჯალზე მოისვა ხელი, ამასობაში ვიღაცამ მომასწრო და შუბლზე ვინტოვკა მიაყენა ბრაზ მორეულ თავადს, თურმე ეს ყოფილა სვიმონის ერთ-ერთი რაზმელთაგანი, სოც.-დემ. პარტიის წევრი გლეხი. ბატონი დადიანი იძულებული შეიქნა ხანჯალი ქარქაშში ჩაეგო, თავადური თვითმოყვარეობა მისივე ფეხით გაეთელა, ვინაიდან თავადის ხანჯალს გლეხის ვინტოვკამ აჯობა, ამას ის არ მოელოდა, ცუდ ადგილზე წაიტეხა ფეხი.

ამის შემდეგ ჩოჩქოლი ასტყდა კრებაზე და ის იყო უშედეგოთ ჩაიარა კრებამ და დადიანის კუდაბზიკობამ. გაჯავრებული დადიანი გაიძახოდა: „თქვენ აქ რა გინდათ, წადით მოსკოვში“-ო და სხვა. არ გასულა ერთი კვირა და სიმონიც დაბრუნდა მისი ჯარით. ამ მომენტში ზუგდიდში მიმდინარეობდა გლეხთა საბჭოების ყრილობა, (ეს იყო 1918 წლის იანვრის დასაწყისში), ამ ყრილობაზე სიმონ თოლორდავამ ჩვენი, ბოლშევიკების რეზოლიუციას მისცა ხმა, რომელიც გულისხმობდა სრული ძალაუფლების მუშებზე და გლეხთა საბჭოებზე გადასვლას. მენშევიკების ლიდერებს ამ ფაქტის დანახვაზე ისტერიკა მოუვიდათ და ის იყო მოაწყვეს ობსტრუქცია და სხდომა ჩაშალეს. რაზმი ერთ კვირის შემდეგ დაშლილ იქნა. ამის შემდეგ ძალზე მწვავდება ჩვენ და მენშევიკებს შორის მდგომარეობა, ჩვენ და მათ შორის ბრძოლამ სამკვდრო სასიცოცხლო ხასიათი მიიღო. სიმონმა დაინახა, რომ მენშევიკები აშკარა მოღალატენი გამოვიდენ მუშურ - გლეხურ რევოლიუციის და საჯაროთ მიაყვირა მათ: „მე შემცდარი ვყოფილვარ, რომ დღემდი მენშევიკებთან ვიყავი, მე მათთან არაფერი მაქვს დღეის იქით საერთო, ვხიდავ გასცეს რევოლიუცია. ბოლშევიკებო, თუ დღემდინ ჩემი უცოდინარობით რაიმე შეცდომა დაუშვი მშრომელი ხალხის წინაშე, მაპატიეთ, დღეიდან თქვენი ვარ“-ო. მენშევიკურმა ჯალათებმა მამია ანჯაფარიძემ და ვანო ბაძალუამ და სხ. თოლორდავა დაიჭირეს, საპყრობილეში ჩასვეს და ქვეშ წყალი შეასხეს, აბლავლეს და აწამეს, რომ მას გადაეთქვა მისი სიტყვები, მაგრამ სიმონმა კატეგორიული უარი სთქვა ამაზე. ჯოჯოხეთურ წამებას ვერ გაუძლო ხანში შესულმა, ისედაც ნაწამებმა სიმონმა, დაავადმყოფდა ზუგდიდის საპყრობილეში, საიდანაც გადაყავთ ქუთაისის საგუბერნიო საპყრობილეში და იმ საპყრობილეშივე დალია სული. ზუგდიდის მაზრის მშრომელ გლეხობას ამ გარემოებამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მენშევიკების ღალატი მუშურ-გლეხურ რევოლიუციისადმი. სვიმონ ძალიან უყვარდა მშრომელ გლეხობას, ის საუკეთესო გლეხური ტრიბუნი იყო, ათი საათი რომ ელაპარაკა სიმონს გლეხებთან, მაინც არ მოსწყინდებოდათ მისი მოსმენა.

ამ სამარცხვინო აქტით მენშევიკებმა მართლა დაუმტკიცეს ზუგდიდის მშრომელ გლეხობას თავიანთი კონტრ - რევოლიუციონერობა.

აქედან იწყება მენშევიკური რეაქცია, თავად-აზნაურობა და სამღვდელოება იბრუნებენ ჩამორთმეულ მიწა-ადგილებს, სამღვდელოება შეუდგა ახალი და ძველი დრამის ფულის აკრეფას. „ნედოიმკების“ გადიდებული პროცენტებით ამოღებას. სულს ღაფავს ეკონომიურად და პოლიტიკურად წელში გაწყვეტილი ღარიბი და საშუალო გლეხობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციის ნატამალი აღარ არსებობს მენშევიკურ საქართველოში, რევოლიუციონური ცოცხალი ძალები ან ციხე-საპყრობილეებშია ან და კანონის გარეშეა გამოცხადებული. არც სკოლაა ღარიბი და საშუალო მეგრელი გლეხებისათვის, არც ენა, არც მიწა და არც ხელისუფლება, მაგრამ მეგრელ გლეხს ესმის და სწამს, რომ რუსეთში არამც თუ არ დამარცხებულა პროლეტარული რევოლიუცია, არამედ ფართოთ ედება, ღრმავდება და მაგრდება, ამიტომ მას სწამს, რომ მენშევიკური კომედია საქართველოში დროებითი მოვლენაა. ამრიგად მენშევიკებმა არამც თუ გააუმჯობესეს გლეხის მდგომარეობა, პირიქით გაუარესეს.

მიიღო თუ არა სკოლა, კლუბი და სხვა რაიმე კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებები მენშევიკებისაგან ზუგდიდის მაზრის გლეხობამ? რასაკვირველია, არა! მენშევიკური მთავრობა უქმნიდა აუტანელ პირობებს ზუგდიდის მაზრის გლეხობას, ხოლო მან, გლეხობამ, კარგად იცოდა, რომ ეს ასე როდი ხდება იქ რუსეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა, სადაც მუშათა კლასის პარტია, ბოლშევიკების პარტიაა ხელისუფლების სათავეში, და კიდევაც მიტომ იბრძოდა თავგანწირულად, რომ ის წესწყობილება ყოფილიყო მთელი საქართველოში, მთელ საქართველოს მუშებსა და გლეხებთან ერთად ბრძოლით და სისხლის ღვრით ზუგდიდის მაზრის მშრომელმა გლეხობამაც მიაღწია თავის მიზანს; საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, რომლის ათი წლის შესრულებას ვდღესასწაულობთ დღეს.

პატივი და დიდება იმ მებრძოლგმირებს, პარტიულ და უპარტიოებს, მუშებს, გლეხებს და მშრომელ ინტელიგენტებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლის ველზე და რომლებიც დახვრიტეს მენშევიკურმა ჯალათებმა საქართველოს გასაბჭოების იდეისათვის.

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავს!

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოებისათვის თავ-დადებულ მებრძოლებს!

**ი. ჟვანია.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში

1931 წლის თებერვალში შესრულდება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წელი საქართველოში, სოციალისტური აღმშენებლობის ყოველ დარგში უდიდესი მიღწევებით ხვდება საბჭოთა საქართველო მუშა-გლეხური ხელისუფლების დამყარების ათი წლის თავს.

ამ წერილში მე მინდა შევეხო იმ შეიარაღებულ აჯანყებებს, რომლებსაც განუწყვეტლივ ადგილი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხეში და რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩვენში.

ათი წლის თავზე უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ თავგამოდებულათ იბრძოდენ საქართველოს მშრომელი მასები საბჭოთა ხელისუფლებისათვის იარაღით ხელში, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა მენშევიკური ხელისუფლების დამხობის და საბჭოთა წყობილების დამყარების საქმეში.

დავიწყოთ დუშეთის აჯანყებიდან. როგორც ვიცით, 1918 წლის ივნისში მოხდა დიდი აჯანყება დუშეთის მაზრაში ბოლშევიკების ხელმძღვანელობით. აჯანყებულები მცხეთით მოადგენ თბილისს და საფრთხეში ჩააგდეს მენშევიკური ხელისუფლების ბედი.

აჯანყებულების წინააღმდეგ დუშეთის მიმართულებით მენშევიკურმა მთავრობამ გაგზავნა გვარდიის განსაკუთრებული რაზმები ჯუღელის, ფურცელაძის და კონიევის მეთაურობით. კბილებამდე შეიარაღებულ გვარდიამ აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ წაიღო აგრეთვე 14 ზარბაზანი. ამ ბრძოლაში მრავალი აჯანყებული დაიხოცა. გვარდიელებმა ადგილზე დახვრიტეს მრავალი მებრძოლნი.

თავის „დღიურებში" მენშევიკური გვარდიის ხელმძღვანელი ვ. ჯუღელი სწერს: „ტყვეისმფრქვევლებს შორის მომწყვდეულ ტყვეებიდან რამოდენიმე კაცი ადგილებზე დავხვრიტეთ".

აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლამ გასტანა 28 ივნისიდან 7 აგვისტომდე. ამ აჯანყების სისხლში ჩახრჩობის შემდეგ იწყება აჯანყებულ სამეგრელოზე გალაშქრება. აქაც ბრძოლა ღებულობს მწვავე ხასიათს. მენშევიკური გვარდია აჯანყებულ სოფლების წინააღმდეგ იბრძვის ზარბაზნებით და ტყვეისმფრქვევლებით. ჯუღელის, ჯიბლაძის და გედევანოვის მეთაურობით. მენშევიკური გვარდია დაუნდობლად იბრძვის სამეგრელოს აჯანყებულ მშრომელების წინააღმდეგ. ჯუღელი თავის „დღიურში" სწერს: „დღეს ყველა მხრიდან შეტევაზე გადავდივართ ზუგდიდის მაზრაზე... სამს დღეში ჩვენ დავაწყნარეთ მთელი მაზრა".

ზუგდიდის მაზრაში ბოლშევიკური აჯანყების დამარცხების შემდეგ იწყება აჯანყება ოჩემჩირის მიმართულებით. ოჩემჩირის რაიონში აჯანყებულებს გამაგრებული ჰქონდათ ენგურის მარცხენა ნაპირი, სადაც მენშევიკური გვარდიასთან გაიმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ძლიერი ბრძოლა. „ჩვენ უპასუხეთ თოფებით, ტყვიისმფრქვეველებით და ზარბაზნების სროლით", — ამბობს ჯუღელი. (გვ. 57). აჯანყებულების დამარცხების შემდეგ ახლო-მახლო მდებარე სოფლები გვარდიამ გადასწვა. იქავე ხვრეტენ ტყვეთ ჩავარდნილ აჯანყებულებს. გვარდიელების სისასტიკეს და სიმკაცრეს საზღვარი არ ქონდა. დახვრეტის შემდეგ გვარდიელები ცნობებს აგროვებდნენ დახვრეტილების შესახებ. „გავაგრძობ ცნობების მოკრებას დახვრეტილების შესახებ, მათ დაიმსახურეს ეს სასჯელი" (გვ. 59), ამბობს ჯუღელი თავის დღიურში.

ენგურის ბრძოლების შემდეგ იმართება ბრძოლები სოფ. რეპის მიდამოებში. „ვაწარმოებთ შეტევას სოფ. რაპეზე ერთი როტით, ერთი ვზვოდით და არტილერიით... ზუზუნებდენ ჩვენი ტყვიისმფრქვეველები და გრიალებდენ ზარბაზნები, ყოველივე ეს გულობაზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს, კლავს მასში ყოველგვარ ენერგიას და სურვილს ბრძოლისას... მთელი სოფელი დაიცალა, მცხოვრებლები დაიმალენ ტყეებში და უდაბურ ადგილებში" (გვ. 62).

ბრძოლები ხდება აგრეთვე ენგურს გაღმა სამურზაყანოს რაიონში. იქ აჯანყებულებს ხელმძღვანელობდა ამხ. ძიგუა, რომელიც შემდეგ მუხანათურათ მოკლულ იქნა მენშევიკების მიერ. მთელი სამურზაყანოს მშრომელი გლეხობა იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მენშევიკებმა სამურზაყანოს აჯანყება სისხლში ჩაახრჩვეს. სამურზაყანოში მენშევიკური გვარდიის შესვლის შემდეგ თითქმის რამოდენიმე თვე მშრომელი მოსახლეობა განიხიზული იყო ტყეებში. მენშევიკებმა შეაიარაღეს სამღვდელოება და თავად-აზნაურობა, რომელთაც ეყრდნობოდენ თავიანთი ძალა-უფლების შესანარჩუნებლად სამურზაყანოში. მენშევიკები ყოველ ზომებს ღებულობდენ, რომ შეერიგებიათ სამურზაყანოს აჯანყებულების მეთაურები ამხ. ძიგუა. მენშევიკებმა იცოდენ, რომ ამხ. ძიგუას დიდი ავტორიტეტი და ნდობა ქონდა სამურზაყანოს მშრომელ გლეხობაში და მისი შერიგებით ფიქრობდენ სამურზაყანოს დაწყნარებას „ჩვენ უნდა შევსძლოთ სამურზაყანოს დაწყნარება და ძიგუას შემორიგება — დამორჩილება თუგინდ ეს მოხდეს პირადი დამცირებით. მე სიამოვნებით მივდივარ ამ დამცირებაზე (გვ. 66) — სწერს „დღიურში"...

ამხ. ძიგუას მენშევიკებმა აცნობეს, რომ მას აპატიებენ ყველაფერს და მოითხოვენ მისგან გამოცხადებოდა ხელისუფლებას. საამისოდ ვითომ მასთან გაემგზავრა ჯუღელი, მაგრამ ძიგუამ არ მიიღო ეს წინადადება, არ მოისურვა ჯუღელთან შეხვედრა. გვარდიის მიერ გალის აღების შემდეგ (სამურზაყანოს ცენტრია) ამხ. ძიგუა რამოდენიმე თვეს ინახავდა თავს სამურზაყანოს გლეხობაში. ამხ. ძიგუა, როგორც ზევით ვსთქვი, მენშევიკებმა მუხანათურათ მოჰკლეს.

ჯერ კიდევ სამურზაყანოში არ იყო სავსებით ჩაქრობილი აჯანყება, რომ მენშევიკებს აუჯანყდა ოსეთი (ჩვენ თავი მოგვაბეზრა ამ დაუსრულებელმა აჯანყებებმა "—სწერს ჯუღელი. ჯუღელის და კონიევის მეთაურობით აჯანყებულ ცხინვალის ასაღებათ მენშევიკური მთავრობა გზავნის 8 ბათალიონს, ერთ ცხენოსან ლეგიონს და ორ სამთო ბატარეიას. მენშევიკებმა გადასწყვიტეს ცეცხლისა და მახვილისათვის მიეცათ მთელი სამხრეთ - ოსეთი, რომელიც გმირულად იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. აჯანყებულ სამხრეთ - ოსეთის წინაამდეგ მენშევიკურ დამსჯელ ექსპედიციის სიმხეცემ გადააჭარბა ყოველგვარ შესაძლებლობას. აი რას სწერს თვით მენშევიკური გვარდიის უფროსი, ჯალათი ჯუღელი: „ეხლა ღამეა. ყოველგვან მოსჩანს ცეცხლი, ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწვიან აჯანყებულთა სახლები. მე უკვე შევეჩვიე, დამშვიდებული ვუცქერი ყოველივე ამას... ყოველგან ჩვენს ირგვლივ იწვიან ოსების სოფლები"... „ანთია ცეცხლი, სახლები იწვიან... ცეცხლით და მახვილით... ცეცხლი ანთია და ანთია... ოსები მირბიან და მირბიან, მირბიან მთებში, თოვლიან მთებში,... სოფლები აქ იმყოფებიან დიდრონ მაღლობებზე და ალბათ ოსებს წარმოუდგენიათ, რომ ისინი მიუწვდომელნი იყვნენ, მაგრამ ეხლა ყოველგან ცეცხლი ანთია... იწვის და იწვის ჯავა, სამხრეთ - ოსეთის სატახტო ქალაქია... მომწყობი ყველა ინტრიგების, ყველა აჯანყებების. ეს გული უნდა ამოვგლიჯოთ. ანთია ცეცხლი... ირგვლივ მკვდარი სიჩუმეა, ღამე ნათელია, წყნარია, მოსჩანს აგუზგუზებული ცეცხლი" (გვ. 237).

ქონება, რომლის გატანას ვერ ასწრებდა მოსახლეობა იცარცვებოდა და პარტახდებოდა გვარდიელების მიერ. გვარდიელების ალვირახსნილობას საზღვარი არ ქონდა, ცარცვაგლეჯა, ქალების გაუპატიურება, ხოცვა-ჟლეტა, აი რით უპასუხა დემოკრატიულმა მთავრობამ ოსეთის მშრომელი ხალხის ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

„ყველა ეს სოფლები დაცალიერდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაიხიზნა ულელტეხილის იქით, დარჩენილები გამაგრდენ ტყეებში და მთებში" — სწერდა ჯუღელი.

1919 წლის ოქტომბერში აჯანყებების ალი კვლავ ედება თითქმის საქართველოს ყოველ კუთხეს. აჯანყებები ხდება: დუშეთში, სამტრედიაში, ფოთში, თელავში, ლაგოდეხში, ლანჩხუთში, სუფსაში, ჩოხატაურში და სხვა კუთხეებში. მენშევიკები, რასაკვირველია, მთელი სისასტიკით სისხლშიახრჩობენ აჯანყებებს.

აჯანყებამ იფეთქა აგრეთვე ლეჩხუმის მაზრაში, მენშევიკების მიერ. მთელი მაზრა ცხადდება კანონს გარეშე, რის შემდეგ ცეცხლით და მახვილით აქრობენ ლეჩხუმის აჯანყებას.

აჯანყებები იწყება ბაღდათში, ჩხარში და სხვა ადგილებში. აჯანყებებს ახდენდა არა მარტო მშრომელი გლეხობა, რომელიც იარაღით ხელში ებრძოდა მენშევიკურ ხელისუფლებას, არამედ აჯანყებებს ადგილი ქონდა თვით მენშევიკების სამხედრო ნაწილებში, მენშევიკურ გვარდიის მიერ იარაღ აყრილი იქნა 4 ნაციონალური ქართული ლეგიონი. ერთად ერთი შეიარაღებული ძალა, რომელსაც შეეძლო იმ პირობებში მენშევიკური წესწყობილების დაცვა, ეს იყო სახ. გვარდია. მას სათავეში ედგა რენეგატი, ყოფილი ბოლშევიკი ვალიკო ჯუღელი. რაკი გვარდია ერთად-ერთი რეალური ძალა იყო, რომელზედაც ეყრდნობოდა მენშევიკური ხელისუფლება, ის (გვარდია) დიდი უფლებებით და პრივილეგიებით სარგებლობდა. არ ყოფილა შემთხვევა, რომ რომელიმე გვარდიელი დასჯილიყო თავისი უმგვანო საქციელისათვის. გვარდიაში შედიოდენ მრავალი სისხლის სამართლის დამნაშავენი, რომლებმაც იცოდენ, რომ გვარდიაში შესვლით მათი საქმე მოისპობოდა. ჯარსა და გვარდიის შორის ადგილი ქონდა შუღლს. იმ დროს, როდესაც გვარდიისათვის ყველაფერი იყო, ჯარი მოკლებული იყო ყველაფერს. ხშირი იყო ჯარის ნაწილების აჯანყება, რის შესახებ ზევითაც გვქონდა ლაპარაკი. აი რას სწერდა ამის შესახებ თვით ჯუღელი:

„გუშინწინ სწორედ ამ დროს მე ბრძოლაში ვიყავი. ტყვიები ზუზუნებდენ, ჩვენ იარაღს ვყრიდით მე 8 ქართულ ლეგიონს. და ბრძოლა სწარმოებდა სამი საათის განმავლობაში. ეს უკვე მეოთხე ქართული ლეგიონია, რომელსაც იარაღს ყრის ტფილისის წითელი გვარდია.

აჯანყებები მენშევიკების წინააღმდეგ ხშირად იმდენათ ფართო ხასიათს ღებულობდა, რომ უშუალო სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრთხეს წარმოადგენდა მათი ბატონობისათვის. ასეთი იყო მაგალითად დუშეთის აჯანყება, რომლის შესახებ გაკვრით ზევითაც გვქონდა ლაპარაკი. აი რას სწერს ამ აჯანყების შესახებ ჯუღელი:

„და ეხლა ქრუანტელი მივლის მთელს ტანში, როდესაც მე ვიგონებ ისტორიას ნატახტარის სოფელთან. ანარქია იმ დროს მოედო მთელ დუშეთის მაზრას და აჯანყებულები მიადგნენ მცხეთის სადგურს. დიდი საშიშროება ემუქრებოდა თვით ტფილისს". (გვ. 64).

...ჩვენ კიდევ საბოლოოდ არ გვქონდა დათავებული ბორჩალოს ექსპედიცია, რომ ჩვენზე შეტევება დაიწყეს ბოლშევიკებმა დუშეთთან. დუშეთის აჯანყებულებმა დაიკავეს მთელი დუშეთის მაზრა, დაამარცხეს ჩვენი რეგულიარული რაზმები ნატახტართან და მოუახლოვდნენ მცხეთას. მდგომარეობა საშიში იყო. მე არ ვიცი, თუ ვინ ფიქრობდა მაშინ, რომ ჩვენ გამოვალთ ამ მდგომარეობიდან. მე მაშინ ხშირად ვფიქრობდი ზედმეტი იყო ჩვენი ცხოვრების ასეთ უმძიმეს მომენტში ნოე ჟორდანიას შეყვანა მთავრობის თავმჯდომარეთ. (გვ. 20). ყოველივე ამტკიცებს იმას, რომ მენშევიკური ხელისუფლება საქართველოში ბოგინობდა მხოლოდ ცეცხლითა და მახვილის საშუალებით. მენშევიზმმა სისხლით მორწყო მთელი საქართველო იმისათვის, რომ განემტკიცებია ბურჟუაზიული წესწყობილება.

საქართველოს მშრომელი მასები— მუშები და გლეხები, აქტიურად ებრძოდენ მენშევიკურ ხელისუფლებას, ამ ბრძოლაში ჩაბმული იყო საქართველოს მშრომელთა დიდი ნაწილი. ამას ამტკიცებს იგივე ჯუღელის სიტყვები:

„აჯანყებული იყო მთელი ხალხი, სწერს ის დუშეთის აჯანყებაზე, შეიარაღებული იყვნენ რითაც შესაძლებელი იყო".

რა საშუალებას არ მიმართავდენ მენშევიკები იმისათვის, რომ დაეშინებიათ მშრომელი გლეხობა და დაერწმუნებიათ იმაში, რომ მენშევიკურ მთავრობას შესწევს ძალა სისხლში ჩაახშოს ყოველგვარი აჯანყება.

აი, როგორი ცინიკური კილოთი მოგვითხრობს ერთ ასეთ შემთხვევას მენშევიკური გვარდიის სარდალი ჯუღელი, რომელმაც ერთ - ერთ აჯანყებულ სოფელში, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, მოიწვია მიტინგი.

„მე წინასწარ გავაფრთხილე ჩვენი არტილერია გაესროლათ რამოდენიმე ყუმბარა მიტინგის თავზე მიტინგის გახსნის დროს. ავედი თუ არა ეკლესიის ლობეზე სიტყვის სათქმელად, იგრიალა ზარბაზნებმა და ჩვენს თავზე გადაგვიარა ზუზუნით ზარბაზნის ყუმბარებმა. ხალხი შეშინდა, მინაბა, შთაბეჭდილება უდიდესი იყო. მე სწრაფათ დავაწყნარე ხალხი „უკეთესია უსმინოთ ამას, ვინაიდან ამათ აქვთ ზარბაზნები და იმათ კი მარტო თოფები აქვს, ფუჩუნებდა ერთი გლეხი". (გვ. 5). ასეთი საშუალებებით იმხრობდნენ მენშევიკები მშრომელ ხალხს.

სერიოზულმა აჯანყებამ იფეთქა მენშევიკების წინააღმდეგ აფხაზეთში; სოხუმის ოლქში საბჭოთა ხელისუფლება არსებობდა 42 დღის განმავლობაში. აქ მოეწყო თითქმის საბჭოთა ხელისუფლების ყველა აპარატები, შეიქნა შეიარაღებული წითელი რაზმები, აჯანყების და ხელისუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მენშევიკებმა გადმოისროლეს სოხუმისაკენ ტფილისიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან გვარდიელთა საგრძნობი ძალები. ბრძოლამ მიიღო უკვე პოზიციური ხასიათი. საკმარისი იყო, რომ გადმოვსულყავით კოდორის მარჯვენა ნაპირიდამ მარცხენა ნაპირზე და შევერთებოდით აჯანყებულ სამურზაყანო - სამეგრელოს და ჩვენი გამარჯვების საკითხი თითქმის გადაწ-

ყვეტილი იქნებოდა. ამას გრძნობდენ მენშევიკები და სწორედ ამიტომ იყო, რომ მათ სასწრაფოდ გადმოისროლეს სოხუმის ფრონტზე გვარდიის საუკეთესო ნაწილები. სოხუმის ფრონტი რომ დიდ საფრთხეს უმზადებდა მენშევიკურ მთავრობას, ამას არც ჯუღელი ჰფარავს. ის ამბობს, „უკვე საბოლოოდ გადაწყდა ჩვენი სოხუმში წასვლა, სოხუმი უნდა წავართვათ ბოლშევიკებს, უნდა ვიჩქაროთ, ვინაიდან შეიქნა საშიში მდგომარეობა. ბოლშევიკები გამაგრდენ მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზე და ყოველ წუთში მზად არიან გადმოისროლონ თავიანთი ძალები მარცხენა ნაპირზე თუ ეს მათ შესძლეს — მშვიდობით რევოლიუციავ“ (გვ. 8).

ბრძოლამ აქ მიიღო მეტად სერიოზული და მკაცრი ხასიათი. ბრძოლამ გასტანა 7 დღე. ჩვენს რაზმს უღალატა ოფიცერმა დემურიამ და კოდორის წყალში გადმოუშვა აფხაზეთის თავად - აზნაურების შავი რაზმი, რომელიც ალექსანდრე შერვაშიძის, ტატაშ მარშანიას და ნიკო თავდგირიძის მიერ იყო შედგენილი. აი ამ ცხენოსანმა რაზმმა, რომელიც მოღალატურად შემოუშვა ზუგდიდიდან ოფიც. დემურიამ ბრძოლის მე-7 დღეს გადასწყვიტა საკითხი მენშევიკების სასარგებლოდ და ჩვენ იძულებული ვიყავით ბრძოლით დაგვეხია გაგრისაკენ და იქ გავმაგრებულიყავით, ამ ბრძოლას დიდი მსხვერპლი მოჰყვა, როგორც ჩვენი, აგრეთვე მენშევიკების მხრით.

არქივში აღმოჩენილი დოკუმენტები ამტკიცებს, რომ ამ ბრძოლებში მენშევიკებმა 7 დღის განმავლობაში დაჰკარგეს 99 დაჭრილ-დახოცილნი, მათში დახოცილთა რაოდენობა უდრიდა 39 კაცს, დაჭრილთა კი 60 კაცს. მენშევიკები განზრახ მალავდენ ამ ფაქტს.

ჯუღელი თავის „დღიურში“ სწერს, რომ სოხუმის ფრონტზე დაიჭრა მხოლოდ 7 კაცი, ხოლო იგივე ჯუღელი პირდაპირ მავთულით აცნობებს ტფილისს, რომ გვარდიის მხარეზე დაჭრილ - დახოცილთა რაოდენობა 99 კაცს უდრის. ჯუღელი თხოულობს პირდაპირი მავთულით გადაცემული ცნობის გამოქვეყნებას გაზეთებში, მაგრამ მენშევიკები არც ისე სულელები იყვნენ, რომ ფართო მასებისათვის ეცნობებიათ, თუ რა მსხვერპლი დაუჯდა მათ აჯანყებული აფხაზეთის ხალხის დამორჩილება. აი, რას აცნობებს ჯუღელი პირდაპირი მავთულით ტფილისს:

„გაცნობებთ ჩვენი ოპერაციის მსვლელობის შესახებ: მივედით კოდორზე ტფილისის წითელი გვარდიის რაზმით, აღმასრულებელი კომიტეტის განსაკუთრებული რაზმით და არტილერიით სულ 650 ხიშტით, 20 ტყვიამფრქვეველით და 12 ზარბაზნით. ჩვენ შევხვდით გუდაუთის და გუმისტის რაიონების დელეგაციას, აუხსენით დელეგაციას აზრი და შინაარსი ჩვენი ექსპედიციისა, ვინაიდან ჩვენს რაზმებზე გავრცელებული იყო სხვადასხვა პროვოკაციული ხმები, ჩვენ წაუყენეთ დელეგაციას შემდეგი ულტიმატუმი: ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეუშვით რაზმები სოხუმში, წინასწარ ჩაგვაბარეთ ზარბაზნები და ტყვიის მფრქვეველები. მიცემული იყო 24 საათის ვადა.

11 მაისს საღამოს 5 საათზე, იმ დროს, როდესაც ულტიმატუმის ვადა სრულდებოდა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ბოლშევიკებმა ე. წ. „მებრძოლი კომიტეტის“ ხელმძღვანელობით დაიწყეს სროლა ზარბაზნებიდან, ტყვიის მფრქვეველებიდან და თოფებიდან. ჩვენ იმ წამსვე გამოვიყვანეთ არტილერია და დავაყენეთ დარაჯები კოდორის ხიდზე. საღამოზე ბრძოლა შენელდა. მეორე დღეს ბრძოლა გაგრძელდა. მოწინააღმდეგე გვესროდა 5 ზარბაზნიდან. ჩვენი არტილერიის უფროსმა ვალიკო შარაშიძემ ჩააჩუმა მოწინააღმდეგის 3 ზარბაზანი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ კი ჩააჩუმა ორი ზარბაზანი. მოწინააღმდეგე მწყობრივ ესროდა ჩვენ პოზიციებს, მაგრამ წითელი გვარდია განსაკუთრებული სიმშვიდით ხვდებოდა მოწინააღმდეგის გამანადგურებელ ცეცხლს. ბოლშევიკებს მოწყობილი ჰონდა თავიანთი სანგრები ორთავე მხრივ. ხიდის დამბის დასაცავათ გამოყენებით მოწყობილი ქონდათ დიდი რაოდენობა ტყვის - მფრქვეველების, მაგრამ ჩვენი არტიელერიის ცეცხლით მოწინააღმდეგეს ხშირად ამოვყრიდით ხოლმე სანგრებიდან და ვხოცავდით ტყვიის მფრქვეველებით და თოფების ცეცხლით, მესამე დღეს მოწინააღმდეგემ მოიტანა სოხუმიდან ახალი არტილერია და შესცვალა ძველი ბატარეის ადგილი. მაგრამ ამ დღეების საარტილერიო ბრძოლა დამთავრდა ჩვენდა სასარგებლოდ, საუცხოვო ხელმძღვანელობის გამო. სროლის დროს 15 მაისს საღამოთი ჩვენ გავგზავნეთ „ფლოტილია“ სოხუმის მიმართულებით ზღვის ნაპირის დასაზვერავათ და განაპირა ადგილების ყუმბარების დასაშენათ მდ. მაჯარკიდან მდ. კოდორამდე. 16 მაისს დილიდან შემოგვიერთდა რა ყვირილის და სამტრედიის წითელი გვარდიის რაზმები 400 კაცი და 8 ტყვიამფრქვეველი, ფლოტილიის და არტილერიის დახმარებით გადავედით შეტევაზე, მაგრამ მოწინააღმდეგემ შესძლო პოზიციების შენარჩუნება და დღის ბოლოს ბრძოლა დამთავრდა უშედეგოთ. 16 მაისს ჩვენს მხარეზე იყო 26 მოკლული და 32 დაჭრილი. დაწვრილებით შევადგინე რა შეტევის გეგმა და შემოგვიერთდა რა კარგათ შეკავშირებული აფხაზეთის რაზმი 200 კაცით კორნეტი მხეიძის უფროსობით, 17 მაისის დილის 4 საათიდან ჩვენ ხელმეორედ გადავედით გადამწყვეტ შეტევაზე შემდეგი გეგმით: მხეიძის ცხენოსანი რაზმი და აღმასრულებელი კომიტეტის რაზმი გადავიდნენ წყალში მოწინააღმდეგის ზურგის უკან მოსაქცევათ. მარცხენა ფლაგით ჩვენმა არტილერიამ დილის 4 საათზე ასტეხა გამანადგურებელი სროლა ხიდის მიდამოების გამაგრებულ ადგილებზე მოწინააღმდეგის მიმართ. ისარგებლა რა არტილერიის და ტყვიისმფრქვეველების ცეცხლით ტფილისის და ფოთის გვარდიელები მიუახლოვდნენ ხიდს და „ურას“ ძახილით გადავიდნენ შეტევაზე. მათთან ერთად მიდიოდა ჯუღელი და დგებუაძე. შეტევაზე გადასულ ნაწილებზე მოწინააღმდეგემ ასტეხა ძლიერი სროლა ტყვიისმფრქვეველიდან და თოფებიდან, რომელმაც ჩვენ გვაიძულა შეჩერებულიყავით რამოდენიმე ხნით, მაგრამ შემომვლელი კოლონის და ჩვენი ცეცხლის კოლოსალური უპირატესობით ძლივს - მოსულმა გვარდიამ რამოდენიმე განმეორებითი შეტევის შემდეგ დაამარცხა მოწინააღმდეგე. ამ შეტევაში ჩვენ დავკარგეთ სულ 13 მოკლული და 28 დაჭრილი. ჩვენი, ნაწილები შეუჩერებლივ მისდევდნენ აჯანყებულთ, იჭერდენ ტყვეებს დახოცავდენ უკან დახეულთ. ჩვენი მოწინავე ნაწილები დღის 1 საათზე შევიდნენ განთავისუფლებულ სოხუმში. პირველად შევიდნენ ქალაქში ჯუღელი და შარაშიძე. მოწინააღმდეგე კარგად იყო შეიარაღებული. მთელ მოძრაობას ხელმძღვანელობდა ე. წ. „სოხუმის რევოლიუციონური კომიტეტი“ თქვენთვის უკვე ცნობილი ბანდიტების პეტრე ალნიაშვილის, ამბროკი ურუშაძის და ვალია ბახტაძის მეთაურობით. ჩვენმა „გამანადგურებელმა“ № 525 დაიჭირა გუდაუთთან გემი სურსათით და სხვა საქონელით და აჯანყებულებით... ზემოხსენებულიდან ნათელია, რომ ხელმძღვანელები და ანარქიის შემქნელნი ოლქში იყვნენ ბოლშევიკები. ჩვენმა მედგარმა წითელმა გვარდიამ საუცხოვოთ შეასრულა თავისი მოვალეობა მთელი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის წინაშე, ამით თავდება ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოფიციალური ცნობა, გთხოვთ ეს ცნობა ძიაშოლაშინოთ და გამოაქვეყნოთ პრესაში.

საუბედუროთ აჯანყების მეთაურნი ეშბა და ლაკობა ჯერ კიდევ ვერ დავიჭირეთ.

... მაგრამ გვარდიელების მიერ დაჭერილია სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელი კოდორზე ბოლშევიკი პეტრე ალნიაშვილი, რომელიც გადმოიგზავნება თბილისში განსაკუთრებული საგამომძიებლო კომისიის განკარგულებაში სასამართლოზე გადასაცემათ".

როგორც ვხედავთ მტრების მიერ მოყვანილი დოკუმენტებით მტკიცდება, თუ როგორი მკაცრი ბრძოლები სწარმოებდა მენშევიკური ხელისუფლების წინაალმდეგ.

მენშევიკებმა დაიკავეს სოხუმი, მაგრამ ამით არ მთავრდება ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სოხუმის ოლქში. გაგრიდან ისევ დაიწყო ჩვენი შემოტევები მენშევიკების წინაალმდეგ. ავიღეთ გუდაუთი, ტყვეთ წავიყვანეთ 80 გვარდიელი, წავართვით 4 ზარბაზანი და შეუტიეთ ტყვიისმფრქვეველით ახალ ათონს, მაგრამ აქაც მტერი გვჭარბობდა როგორც რაოდენობით, აგრეთვე შეიარაღებით და ეს ბრძოლაც დამთავრდა ჩვენი დამარცხებით, რის შემდეგ მენშევიკებს საშუალება მიეცათ მოლაპარაკება დაეწყოთ ალექსეევის და დენიკინის შავ არმიასთან.

გენერალ ალექსეევთან მოლაპარაკებას მენშევიკური მთავრობის სახელით აწარმოებდენ ევგენი გეგეჭკორი და გენერალი მაზნიაშვილი, გეგეჭკორი ალექსეევს ეუბნება, რომ „ჩვენ და თქვენ ამჟამად ვცმეთ ერთ წერტილში, რომელიც დღეს გვივლინება თქვენცა და ჩვენც მტრული ძალის სახით"... (მაზნიაშვილის „მოგონებანი" გვ. 93).

თუ როდის და რა დახმარებები გაუწევია მენშევიკებს დენიკინისათვის ბოლშევიკების წინაალმდეგ ბრძოლაში, ამის შესახებ მოუსმინოთ გენერალ მაზნიაშვილს:

„7 ივნისამდე მე ვიმყოფებოდი ოსმალეთის წინაალმდეგ მიმართულ ფრონტზე. ხოლო იმ რიცხვიდან, როდესაც ბოლშევიკები გამოჩნდნენ კოდორთან, ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა მათ განდევნას, ჩემი მთავრობის ბრძანებით, სათავეში ჩაუდექი ჩვენს ჯარებს, შემდეგ დავუყევი შავი ზღვის ნაპირებს და ვანთავისუფლებდი ამ ადგილებს ბოლშევიკებისაგან. ამგვარად 14 ივლისს დავიჭირე ტუაფსე. უნდა ვსთქვა, რომ ამ დროს გარდა ჩემი ჯარებისა არ იყო არავითარი სხვა ჯარი, რომელიც კი ებრძოდა ბოლშევიკებს და „დობრო არმიის" არსებობის შესახებ ჩვენ იმ დროს არა ვიცოდით რა. იმ ხანებში კლუხორის უღელტეხილით გადმოვიდნენ ბოლშევიკების მიერ დევნილი კაზაკები ოჯახებით. მათი მზრუნველობა, ჩემი მთავრობის ნებართვით, ვიკისრე მე, ტანზე და ფეხზე ჩავაცვი, დავხურე, გამოვკვებე და შევაიარაღე. მხოლოდ ტუაფსეში გავიგე პირველად „დობრო არმიის" არსებობა და ერთი კვირის შემდეგ გავიგე ისიც, რომ „დობრო არმიამ" დაიჭირა ეკატერინოდარი. ამასთან მივიღე წერილი ყუბანის რადას წარმომადგენლისაგან, სადაც მთხოვდა დავხმარებოდი მათ. ამ მიზნით წავიწიე ბელორეჩენსკისაკენ და ყუბანის მთავრობის წარმომადგენლის თხოვნით დავიჭირე ხოდიჟენსკი. აი, აქ მოვიდა პირველად ჩემთან „დობრო არმიის" ოფიცერი — მზვერავი. ამ ხანებშივე სოხუმიდან მოვიდა 87 რუსი ოფიცერი პოლკოვნიკ მოროზოვის უფროსობით, რომელიც მე დავნიშნე საბრძოლველ რაიონის უფროსად. ამასთან ერთად დაღესტანის სადგურიდან გენერალმა გეიმანმა მთხოვა მიმეცა მისთვის სამხედრო იარაღი. ეს თხოვნაც შევასრულე: მივეცი 600 თოფი, 2 ტყვიამფრქვეველი და ვაზნები. ამ ფრონტიდან მხოლოდ რამ-

დენიმე დღეა, რაც წამოვიყვანე ჩემი ჯარები იმ მიზნით, რომ ძალიან დაქანცულნი იყვნენ დიდი ხნის გამუდმებული ბრძოლებით.

რაც შეეხება ჯავშნიან მატარებლის გაფუჭებას, ეს მართალი არ არის. მე მაქვს ხელწერილი გენერალ მასლოვსკისა, სადაც სწერია, რომ მან ჩაიბარა მატარებელი გაუფუჭებელი და დაუზიანებელი — უარს არ ვჰყოფ, შეიძლება რაიმე გაფუჭებულიც ჰქონდა, მაგრამ ეს მოხდებოდა ალბათ განუწყვეტელ ბრძოლების დროს, ასე რომ, მატარებელი გაფუჭებული არ ყოფილა და ეს მართალი არ არის. საჭიროდ ვრაცხ მოგახსენოთ, რომ სამხედრო თვალსაზრისით „დობროარმიის“ მიერ ჩადენილი იყო შეცდომა, რომელმაც მაიძულა დამეცალა ტუაფსე, რადგან „დობროარმიის“ ჯარებმა, რომლებმაც განდევნეს ბოლშევიკები ნოვოროსიისკიდან, არ მაცნობეს, ბოლშევიკების რამოდენა რიცხვი მოდიოდა ტუაფსეზე, მაცნობეს მხოლოდ, რომ მოდიან დამარცხებული ურდოები, ამიტომ მე დამშვიდებული ვიყავი და მთავარი ჩემი ძალები სხვა ფრონტზე დავაგროვე. ამის გამო მე მომიხდა გამკვალება 11.000 ჯარისკაცთან ორი ასეულითა და ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარ მოხალისეთა ერთი რაზმით. ჩემი ნათქვამიდან სჩანს, რომ ჩემს წინსვლას არ ჰქონდა დაპყრობითი მიზნები, რომ ამას ჩავდიოდი ყუბანის წარმომადგენლის თხოვნით ბოლშევიკებისაგან თავდაცვის მიზნით. ოფიცრები ყოველდღე მოდიან თქვენთან ტფილისიდან და გზადაგზა მათ დახმარებას ვუწევ. ამას დამიმოწმებს გენერალი ლიახოვი. მათ ვაძლევთ ფულს, სურსათს და სხვას, და ყველა ამას უსასყიდლოთ. თანახმად თქვენი თხოვნისა, მე თავს უყრიდი რუს ოფიცრებს სოჭაში, გაგრაში, სოხუმში და მოუწოდებდი ჩარიცხულიყვნენ თქვენი ჯარების ნაწილებში“ („მოგონებანი“ გვ. 88, 89, 90).

აქედან აშკარად მტკიცდება ის, რომ მენშევიზმი ებრძოდა იარაღით ხელში ბოლშევიკურ აჯანყებებს არა მარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ ის დახმარებას აწვდიდა ფულით, იარაღით და ხალხით დენიკინსაც. ამ სამარცხვინო ლაქას ვერასოდეს ვერ მოიშლის საქართველოს მენშევიზმი და აგრეთვე მეორე ინტერნაციონალი.

როგორც ვხედავთ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ჰქონდა ადგილი აჯანყებებს და შეიარაღებულ ბრძოლებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ზოგჯერ ეს აჯანყებები ისეთი ძლიერი იყო, რომ უშუალო საფრთხეს უქადდა მენშევიზმის ბატონობას.

საქართველოს მუშებისა და გლეხების განთავისუფლებას, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ჩვენში შეუსრულდა ათი წლის თავი. როდესაც გადახედავ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წელს და ამ ათ წელში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით, მუშებისა და მშრომელ გლეხობის მიერ გაკეთებულ საქმეს, ბრმა უნდა იყო, რომ არ სთქვა, რომ ეს 10 წელი უდრის მთელ საუკუნეს წარსულში. მტკიცედ ჩაეყარა საფუძველი ახალ სოციალისტურ ქვეყანას. ამისათვის იბრძოდენ საქართველოს მუშები და მშრომელი გლეხობა იარაღით ხელში, ამისთვის იბრძოდა და იბრძვის ის აღმშენებლობის ყველა ფრონტებზე დაუღალავი ენერგიით და უდიდესი ენტუზიაზმით დღესაც.

ცხადია, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ჩვენ სიძნელეები და დაბრკოლებებიც გველობება წინ, მაგრამ არ არსებობს ისეთი სიძნელე, რომლის გადალახვა არ შეეძლოს მუშათა და მშრომელი გლეხობის მჭიდრო კავშირს. ეს დამტკიცდა სამოქალაქო ომებში, ეს მტკიცდება ჩვენი მშენებლობის ყოველ დარგში.

საქართველოს მუშებისა და მშრომელი გლეხკაცობის მიერ დასამარებული მენშევიკები არც მათი დამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხების შემდეგ ისვენებენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ აამხედრონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ფართო მასები. ამავე დროს საქართველოდან ბურჟუაზიულ ევროპაში გახიზნული მენშევიკური და სხვა კონტრ - რევოლიუციონური პარტიების ბელადები ცდილობენ უცხოეთის იმპერიალისტების დახმარებით აღადგინონ თავიანთი ძალაუფლება საქართველოში.

1924 წლის ავანტიურა, რომელიც მენშევიკების მეთაურობით მოეწყო საქართველოში, წარმოადგენდა საქართველოს კონტრ - რევოლიუციის საბოლოო გაკოტრების საუკეთესო ილიუსტრაციას.

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აჯანყებას ხელს უწყობდა საზღვარგარეთის კონტრ - რევოლიუცია, მან მიიღო ნამდვილი ავანტიურის ხასიათი, რასაც ადასტურებს თვით აჯანყების ხელმძღვანელ ორგანოს პარიტეტულ კომიტეტის განცხადება, რომელიც მან გამოუშვა აჯანყების დღეებში.

„დამოუკიდებლობის კომიტეტის მასში წარმოდგენილ პარტიათა საშუალებით რამდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებდა სათანადო მუშაობას და აიარაღებდა რაზმებს. მეორე მხრით საზღვარ გარეთელ ბიუროს მეოხებით სცდილობდა შეექმნა ევროპიულ სახელმწიფოებში და განსაკუთრებით საფრანგეთ - ინგლისში სათანადო პიოობები დახმარებისათვის. მაგრამ ჩვენი იმედი არ გამართლდა, რის გამო ჩვენ დავმარცხდით. მასიური ორგანიზაციული გამოსვლა, რომელსაც ველოდით, არ მოხდა, ხალხის ფართო მასამ ჩვენ მხარი არ დაგვიჭირა, შეგვრჩა მხოლოდ ის აქტიური ძალები, რომელიც ერის ზედაფენებში იყო მოგროვილი და უმეტეს ნაწილად ტყეებში გახიზნული. ჩვენი გამოსვლა ფაქტიურად გადაიქცა ჩვენდა უნებურ ავანტიურად“.

პარიტეტული კომიტეტის 1924 წლის 5 სექტემბრის განცხადების ეს ნაწილი სრულიად ამტკიცებს იმას, რომ ეს აჯანყება იყო ნამდვილი ავანტიურა, რომელსაც უმთავრესად აჰყვა თავად - აზნაურობა, სამღვდელოება და ჩარჩ - ვაჭარ - კულაკები.

ეს იყო მეორე ინტერნაციონალის დასტურით მოწყობილი აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მეორე ინტერნაციონალი, რომელიც უარჰყოფს ყოველგვარ შეიარაღებულ აჯანყებას ბურჟუაზიის წინააღმდეგ, ამავე დროს ბურჟუაზიასთან ერთად შეიარაღებულ აჯანყებას აწყობს საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ.

მეორე ინტერნაციონალი, რომლის პარტიას შეადგენს ქართული მენშევიზმიც, საბოლოოდ გადაბარგდა მუშათა კლასის საწინააღმდეგო ბანაკში. საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლების დროშა მედგრად უპყრია ხელთ მხოლოდ მესამე კომუნისტური ინტერნაციონალს. ამ დროშით იბრძოდა და იბრძვის საქართველოს მუშათა კლასიც.

ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ ისტორიის წინაშე იმ გამარჯვებებით, რომელიც ჩვენ გვაქვს საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავზე. ეს ათი წელი ის უზარმაზარი ლოდია, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით დააწვება ჩვენი კლასიური მტრის საფლავს.

ჩვენი უდიდესი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე წარმოადგენს იმის უტყუარ საბუთს, რომ ლენინის სახელობის პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად ჩვენი პატარა საბჭოთა საქართველოც დასძლევს ყველა დაბრკოლებებს და მოიპოვებს კიდევ უფრო მნიშვნელოვან, კიდევ უფრო გადამჭრელ გამარჯვებებს.

**ამბერკი ურუშაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პატარა მოგონება

მუშათა კლასის გამყიდველ, მენშევიკურ პარტიის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ბევრი თავდადებული რევოლიუციონერი გახდა მათი მსხვერპლი. საქართველოში მუშების და მშრომელ გლეხობის განუწყვეტელი რევოლიუციონური მოძრაობა, ბრძოლები და აჯანყებები, მიუხედავათ ამ დროს საქართველოში მყოფ კონტრრევოლიუციონურ ინტერვენციული ჯარების (ინგლისის და გერმანიის) თარეშის და მათი ხელისშემწყობ მენშევიკურ მთავრობის პოლიტიკისა, მაინც ვერ იქნა ჩახშობილი.

მრავალი მშრომელი და რევოლიუციონერი იქნა განგმირული მენშევიკების ხელით, ათასობით გადასახლებულ იქნენ საბჭოთა რუსეთში.

ასეთი მოქმედებით მენშვიკურ მთავრობას და მათ დამქაშებს ეგონათ, რომ თავიდან აიცდენდნენ სოციალისტურ რევოლიუციას.

მენშევიკური მთავრობის მოღალატური პოლიტიკას ვეღარ გაუძლო საქართველოს მშრომელმა მასამ, დაიწყო საქართველოს მუშების და მშრომელი გლეხობის აჯანყებები.

ამოძრავდა მთელი მშრომელი მოსახლეობა და მათ დასახმარებლათ დაიწყო ბოლშევიკური პარტიზანული რაზმების შეგროვება.

**1921** წ. იანვრის **28**-ს თერგისხევის საოლქო კომიტეტში შემაქვს განცხადება, რომელშიაც ვთხოულობდი დაერთო ჩემთვის პატარა პარტიზანული რაზმის შედგენის ნება.

ნებართვა მივიღე. ამასთანავე მომთხოვეს რაზმის წევრების სიის შედგენა, რაც ორი საათის განმავლობაში **160** კაცის შემადგენლობით წარვადგინე ოლქის სამდივნოში.

რაზმში სხვათაშორის შედიოდენ:

1. ბეჟუაშვილი იოსებ (ამჟამად ლაგოდეხის რაიკავშირის თავმჯდომარე), 2. ბარტყუაშვილი (მესაქონ. კავშირის ინსტრ), 3. მაისურაძე ა. (სარეწაო კოოპერ. თავმჯდ), 4. კერვალიძე, 5. სამხარაძე, 6. ურიგაშვილი (პოლიტ. სამმართვ. მომუშავე), 7. ახალაშვილი ვასო (გარდაიცვალა), ჯეჯელავა ვანო, 8. აფციაური დავითი, 10. გასიევი გერისო, 11. თაგიშვილი, 12. ბიჭიკაშვილი აბესალომი, 13. ბუთხუზი, 14. მანჯავაძე დავითი—დანიელი (მუშაობს ნოკლუბტრესტში), 15. ვანო—გლეხი (გვარი არ მახსოვს), 16. „რიჟა" და სხ.

ჩვენი გეგმა ასეთი იყო: ამხ. ჯატიევთან ერთად უნდა გადავსულიყავით ზაყოს უღელტეხილი, დავცემოდით სამხრეთ ოსეთის საგუშაგოებს, გამოგვეცხადებია საბჭოთა ხელისუფლება და ჩამოგვეყალიბებია რევკომები. ამ ოპერაციების დამთავრების შემდეგ უნდა წავსულიყავით გორის მაზრისაკენ და გადაგვეჭრა ჯერ ქედისჯვრის გზა და შემდეგ რკინის გზა.

ადვილი წარმოსადგენია ამ ოპერაციების შესრულების სიძნელე.

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომელიც ჩვენ უნდა გადაგველახა, არც ერთი არ შეყოყმანებულა და იმავე დღეს, ოსეთის სამხედრო გზით გავეშურეთ დანიშნულ ადგილისაკენ, გავიარეთ არხონკა, არდინი, ალაგირი და მის რაიონში შემავალი მრავალი სოფლები და მივადექით ზაყოს უღელტეხილს. გასავლელი გვაქვს ხევებით დალარული, მთაგორიანი გაუკაფავი და განსაკუთრებით ზამთრის პირობებში თითქმის გადაულახავი გზები, მაგრამ მიუხედავათ ასეთი დაბრკოლებებისა ჩვენ მაინც მაგრად ვართ, მივდივართ მგლური ნაბიჯით დღც და ღამეც (თითქმის დაუსვენბლივ) და მხოლოდ **17** დღის სიარულის შემდეგ გადავიარეთ ზაყოს უღელტეხილი, რომლის სიმაღლე **8** ვერს უდრის და მის აღმართზე სასიარულოთ დაგვჭირდა თითქმის **14** საათი, მხოლოთ დავცურდით კი აქედან საათ-ნახევრის განმავლობაში.

განსაკუთრებული გაჭირვება ვნახეთ ამ უღელტეხილის გავლის დროს. ბევრ ჩვენთაგანს გაუცვდა ფეხსაცმელი, სიკვდილის პირამდე გაგვეყინა 7-დე ამხანაგი და დაგვიბრმავდა ამხ. ბარტყულაშვილი. მხოლოდ, როდესაც კობიდან ჩამოვედით და ოთახში შევედით ყველას თვალთ სიბნელე მოგვივიდა და თვალების არაჩვეულებრივი ტკივილები ვიგრძენით.

აქვე მაგონდება ერთი პატარა ეპიზოდი, როდესაც ზაყოს უღელტეხილი გადავიარეთ, მის მეორე ფერდობზე ერთი პატარა 14 კომლიანი სოფელი ვნახეთ, და როგორც დაღლილ-დაქანცულებს დასვენება და საუზმე დაგვჭირდა (სანოვაგე კი არსად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვქონდა) და იძულებული გავხდით გავჩერებულიყავით ამ სოფელში. მთელი სოფელი დაავადებული იყო სახადით (ტიფით), მაგრამ მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, დაღლილობამ და სიმშილმა შეგვაწუხა. ვსთხოვეთ აქაურ მცხოვრებლებს ფასად სანოვაგის დათმობა, მაგრამ სოფელში ვერ ვიშოვეთ ვერავითარი საჭმელი და სიმშილმა რომ შეგაწუხა, შევიძინეთ სიმინდის მარცვალი, შევყარეთ ცხელ ნაცარში და ამით გამოვიკვებეთ ერთ დღეს თავი.

მაგონდება აგრეთვე ამჟამად ლაგოდეხის რაიკავშირის თავმჯდომარე ამხ. ბეჟუაშვილის სითამამის ერთი შემთხვევა; როდესაც ჩვენ გზათ გაუდექით, მას რუსული „ვალინკების" ტარება დაეზარა და „კოხტა" ქალამნებში გამოეწყო და წამოვიდა, მაგრამ მას ქალამნები დაუცვთა სწორედ იმ ადგილას, სადაც 7-დე ამხანაგი გაგვეყინა.

მე მარაგათ მქონდა ორი წყვილი ფეხსაცმელი (მათში ერთი წყვილი ვალინკები), და მივეცი ერთი წყვილი ჩექმა. თუ არა ეს მარაგი, მართლაც რომ ბეჟუაშვილი დაგვეღუპებოდა.

მოვდივართ და უახლოვდებით მენშევიკურ მთავრობის ტერიტორიას. ჩვენ ოთხი კაცის შემადგენლობით (მე, მაისურაძე, კირვალიძე და მეოთხე არ მახსოვს) მზვერავების სახით დავწინაურდით. მენშევიკურ პატარა საგუშაგოსთან მოგვიხდა პატარა სროლა. მენშევიკური გუშაგები სწრაფად გაიქცნენ და თან ააფეთქეს დარიალის ხეობის ხიდი. ისე შეშინებულები გარბოდენ, რომ ეგონებოდათ მთელი კორპუსი მისდევს მათ დასაჭერათ. ჩვენ ყიჟინა-ყვირილით ხელის ბომბების აფეთქებით და ჩვენ მიერ მოჩმახულ სიმღერით ფეხდაფეხ მოვსდევდით მათ.

გზადაგზა ჯარისკაცებს იარაღი ავყარეთ და გაუშვით სახლში, მხოლოდ დავაპატიმრეთ გვარდიის 17 ოფიცერი, რომლებიც შიშით იყვნენ შეპყრობილი.

გზაში გავიგეთ, რომ ბოლშევიკები ტფილისში უკვე შევიდნენ და მენშევიკები სურამის უღელტეხილზე მაგრდებიან და სხვ. ამის გამო ჩვენი მარშრუტი შეიცვალა, აღარ გადავედით ჰედის ჯვარზე და წამოვედით ტფილისისაკენ. გზაში დუშეთში დაგვეწია ამხ. საშა გეგეჭკორი, სადაც გავმართეთ დიდი მიტინგი და ჩამოვაყალიბეთ სამაზრო რევკომი.

საქართველოს მშრომელ მოსახლეობას საერთოდ ძვირად დაუჯდათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, ასეთის მონაპოვარისათვის ბევრი მშრომელია მსხვერპლათ შეწირული, რაც ყველა ჩვენთაგანს გაახსენდება ამხანაგების ცალცალკე მოგონებებით.

მენშევიკურმა ხელისუფლებამ თავისი უკანასკნელი არსებობის დროს მთლად გაანადგურა მშრომელების წლობით ნაამაგარი, დაანგრია ხიდები, რკინის გზები, გაანადგურა ყოველგვარი სიმდიდრე და სურსათ-სანოვაგის მარაგი, და პოლიტიკურად გაკოტრებული მინისტრები თავშესაფარად გაიქცენ თავინთ მონათესავე ბურჟუაზიულ ქვეყანაში.

მემკვიდრეთ დაგვრჩა—ჯერ იმპერიალისტური ომის, შემდეგ სამოქალაქო ომების და მენშევიკური მთავრობის მიერ გაპარტახებული ქვეყანა, რომლის აღდგენას საბჭოები საქართველოში შეუდგენ 1921 წლიდან.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა და ანტისაბჭოთა ელემენტების მავნებლური მუშაობისა, ყველას საშუალება აქვს შეაფასოს საბჭოების მუშობის მიღწევები.

საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავზე, მშრომელი მოსახლეობის დაუშრეტელი ენერგიით დიდი მიღწევები გვაქვს.

გაუმარჯოს საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავს.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

გაუმარჯოს კომპარტიას!

ვ. ქურდაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარქსისა და ლენინის მოძღვრებით შეიარაღებული მუშურ-გლეხური საქართველოა

„მარქსის და ლენინის მოძღვრებით შეიარაღებული მუშებისა და გლეხების მოწინავე რაზმების ენერგიას თან მიჰყავს მშრომელი ხალხის მასა იმ მიზნისაკენ რომელიც სამი სიტყვით გამოიხატება: „შეიქმნას ახალი სამყარო".

მაქსიმ გორკი.

მსოფლიო იმპერიალისტურ ომის დროს სოციალისტური პარტიების უმრავლესობამ გაიზიარა „თავდაცვის" დებულება და აქტიური მონაწილეობაც მიიღო იმპერიალისტურ ომში. „შექმნილ პირობებში ეროვნული თავდაცვა შეეფერება მშრომელი ხალხის კლასობრივ ინტერესებს"-ო განაცხადეს მათ. დასუსტდა და დაიშალა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობა—ინტერნაციონალიზმი და სოციალისტურმა—მეორე ინტერნაციონალმა დაკარგა მსოფლიო მუშათა კლასის და მშრომელი მასების ნდობა. გამეფდა ნაციონალიზმი—ფაშიზმი—რეაქცია. პროლეტარიატის და მშრომელი ხალხის კლასების ნაციონალისტურ ბურჟუაზიული იდეებისაგან განსაკურნავად და მარქსის და ენგელსის რევოლუციონურ-ინტერნაციონალური დროშის გარშემო მასების დასარაზმავად გამოვიდა **ვ. ი. ლენინი.** ლენინმა, მიუხედავად მუშაობის დიდი სიძნელეებისა, შეიძლო მტკიცე პროლეტარულ-ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება და ამ ორგანიზაციების საერთაშორისო გამაერთიანებელი ხელმძღვანელი ცენტრის მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის შექმნა. მესამე ინტერნაციონალის რევოლუციონური დროშის ქვეშ მტკიცედ ირაზმება მსოფლიოს მუშათა კლასის და მშრომელი მასების რევოლუციონური—შეგნებული ნაწილი და აკავშირებს თავის რიგებს ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად.

1917 წ. 25 ოქტომბერს ბოლშევიკურმა პარტიამ მუშათა კლასის და გლეხების რევოლუციონურ ნაწილთან ერთად, ლენინის ხელმძღვანელობა-მეთაურობით, დაამყარა ყოფილ იმპერატორულ რუსეთის ტერიტორიაზე მუშათა და გლეხთა ხელისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ყველა სოციალისტური ნაციონალისტური და ბურჟუაზიული პარტიები, თვითმპყრობელობის ოფიცრობა-მოხელეების მხურვალე მონაწილეობით და ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობების აქტიური დახმარებით, სასტიკ ბრძოლას აწარმოებდენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და ბურჟუაზიის გასაბატონებლად, ისინი სასტიკად დამარცხდენ მარქსის და ლენინის მოძღვრებით შეიარაღებული მუშებისა და გლეხების მოწინავე რაზმებთან ბრძოლაში.

და დღეს მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე გამარჯვებული მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა გაასკეცებულ ენერგიას ხარჯავენ სოციალისტური აღმშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესასრულებლად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

გამაგრდა მეურნეობის სოციალისტური სისტემა, გაძლიერდა კოოპერაცია, ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მშენებლობა, მოიფინა ქალაქები და სოფლები სკოლებით, სამკითხველოებით და კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებებით, დამყარდა ერთა შორის სოლიდარობა თანასწორობა - სიყვარული. იქ კი. ბურჟუაზიულ ქვეყნებში, მსოფლიოს ხუთმექვსედ ნაწილის სოციალისტურ პარტიების მონაწილეობით რეაქციონურ-ფაშისტურ—ბურჟუაზიული მთავრობები ძარცვავენ უფლება აყრილ მუშათა კლასს, მშრომელ მასებს და დაპყრობილ ქვეყნების მოსახლეობას და მილიარდებს ხარჯავენ საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ საომარ სამზადისზე, მავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებელთა ორგანიზაციების შექმნა-შენახვაზე, კიდევ ახალი ქვეყნების დაპყრობაზე და რეაქციონური-ფაშისტური ბატონობის მსოფლიოში დამყარება-განმტკიცებაზე. დღეს მსოფლიოს ერთ-მეექვსედ ნაწილზე ფრიალებს ინტერნაციონალური-რევოლიუციონური წითელი დროშა, რომელიც მოუწოდებს მსოფლიო მუშათა კლასს და დამონავებულ ხალხებს ახალი სამყაროს შექმნისაკენ. ქვეყნის ხუთ მეექვსედ ნაწილზე კი ფრიალებს რეაქციონური შავი დროშა, რომელიც მოუწოდებს მსოფლიო შავ რეაქციას ფაშისტური დიქტატურისაკენ!

მომავალი ეკუთვნის ინტერნაციონალური იდეებით შეიარაღებულ მუშათა კლასს, შრომის ექსპლოატაციის მოსასპობად ახალი სამყაროს შესაქმნელად. ეს უდაო ჭეშმარიტებაა, ვინაიდან მსოფლიოს მუშათა კლასის და მშრომელი კლასების თვალი და გრძნობა მიმართულია საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც გახდა მთელი ქვეყნის მუშათა კლასის სამშობლოდ და რომლის სიყვარულს მათი გულიდან ვეღარ აღმოფხვრის სოციალისტური პარტიების ბელადების და კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებიდან განდევნილ რენეგატ-მოღალატეების ქადაგება.

საქართველოში მენშევიკური პარტიის ბელადი ნ. ნ. ჟორდანია მოხდენილ და ტკბილ წერა-მოხსენება-სიტყვებით უნერგავდა საქართველოს მშრომელებს ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის აუცილებლობას: „სახელმწიფოებრივ ურთიერთობის მხრივ საქართველო არის სუფთა ფიცარი“ ეჭვი არ არის, რომ ყველა სახელმწიფო ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს... საქართველოშიაც განვითარდება ძლიერი ბურჟუაზია, მაგრამ ის დაინახავს უკვე დამკვიდრებულ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის ფარგლებში ის ვითარდებოდა და რომელსაც ის შეესისხლხორცა... როგორ მოვათავსოთ ერთად სოციალ-დემოკრატიული მსოფლ-მხედველობა და მუშაობა ბურჟუაზიულ დაწესებულებათა შესაქმნელად, როგორ შევკეროთ ისეთი კონსტიტუციონური ტანისამოსი, რომელიც კარგად მოადგებოდეს ტანზე არსებულ საზოგადოებრივ სხეულს?“ ამბობდა ჟორდანია. ნ. ჟორდანიამ ოქტომბრის რევოლიუციის და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯერ ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების გაერთიანებით მოინდომა (ამიერკავკასიის სეიმის დაარსება) ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების იდეის დამარცხება, მაგრამ რადგანაც სეიმი მალე დაიშალა, ხოლო მის დაშლას მოყვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, ეხლა ნ. ჟორდანია საქართველოს ნაციონალისტური პარტიების კავშირის საშუალებით და ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობების ჯარებით ცდილობდა მიზნის მიღწევას. ჟორდანია ჩადგა მთავრობის სათავეში და ყოველ მოხსენებაში არწმუნებდა მუშათა და გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოებს, რომ მათი სახელმწ. საქმეებში ჩარევა ანარქიას შექმნის. პარტიის ბელადები მთავრობაში შევიდნენ და იქ აწარმოებდნენ ნაციონალისტურ-ბურჟუაზიულ პოლიტიკას, მივიწყდა ინტერნაციონალური იდეები, ყველგან აფრიალდა, სამფეროვანი დროშა წმინდა გიორგის სურათით და რევოლიუციონური „ინტერნაციონალი“-ს ნაცვლად ყველა სამღვდელოების ენით მღეროდა „დიდებას“. საქართველოს თავად-აზნაურობამ ჯარში მოიყარა თავი.

ბურჟუაზია და სამღვდელოებაც თავს ბედნიერად სთვლიდა. რევოლიუციამ მათ არავითარი ზიანი არ მიაყენა. ისინი ახერხებდნენ ჩაცმული და მაძღარი ყოფილიყვნენ. მათზე ზრუნავდა მთავრობა. მემამულეებიც კმაყოფილი იყვნენ მიწის რეფორმით, მთავრობამ მათ დაუტოვა სამყოფი ნორმები — უკეთესი მიწები (იქ, სადაც თვითონ მოინდომებდნენ), ნორმაზე ზევით ჩამორთმეულ, მიწებშიაც სასყიდელს ღებულობდნენ. გლეხებს რევოლიუციამ არ შეუმსუბუქა მდგომარეობა, დარჩენ ძველი მოუსავლიან მიწის ნაკვეთებზე ანაბარად და მემამულეები კიდევ ახერხებდნენ თვითნებურად გლეხებისაგან ღალის ჩამორთმევას. მუშებმა — რევოლიუციის ავანგარდმა უმუშევრობის დროს (უმუშევრობა კი თანდათან მატულობდა საწარმოების დახურვა-გაჩერების გამო) დახმარება ვერ მიიღეს; არც ავადმყოფობის დროს იღებდნენ დახმარებას, ვინაიდან სახელმწიფო დაზღვევა არ იყო გატარებული, ავადმყოფობა კი თანდათან იდგამდა ფეხებს, რადგან მშრომელი მასები შიმშილობდნენ. გლეხებმა პირველად დაარღვიეს ეროვ. ბურჟუაზიის მყუდროება. არ დარჩა საქართველოში არც ერთი კუთხე — მაზრა, რომ აჯანყება არ მოეწყოს გლეხებს. აჯანყებები ხდებოდა სისტემატიურად. აჯანყებულების მოთხოვნილება ყოველთვის და ყოველგან ერთი იყო: მოითხოვდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და საბჭოთა რუსეთთან კავშირს. აჯანყების ჩასაქრობად მთავრობა მკაცრ ზომებს ღებულობდა. ნადგურდებოდა სოფლები ზარბაზნების ყუმბარებით და იხოცებოდა ხალხი ათასობით, გლეხები არ ცხრებოდნენ. დამარცხება-განადგურების შემდეგ კვლავ აჯანყდებოდნენ. მთავრობა ექსპედიციას ექსპედიციაზე გზავნიდა სოფლების განსაიარაღებლად. პროპაგანდისტ-აგიტატორებსაც ბევრს გზავნიდა ბოლშევიკებისა და საბჭოთა ხელისუფლების საძაგებლად. აგიტატორების სიტყვებს ძალით მოგროვებული გლეხები ზარბაზნების ქუხილის ქვეშ ისმენდნენ და ვალიკო ჯუღელიც კი ამბობდა — „უბედურებაა, რომელსაც იდეებს ზარბაზნის სროლა-ქუხილის ქვეშ აყვარებ“-ო. მაინც ვერ შესძლო მთავრობამ ყველას განიარაღება, რადგან ბოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევიკურმა პარტიამ მტკიცედ შეაიარაღა მასები მარქსისა და ლენინის მოძღვრებით. მენშევიკური მთავრობა მუშების შეიარაღებასაც უნდობლად უყურებდა; „წინააღმდეგობაში გადავლენ, იარაღით ხელში ვეღარ მოითმენენო"; ვალიკო ჯუღელი კი აცხადებდა: „ვაი თუ იარაღი ბოლშევიკებს ჩაუვარდეთ ხელში, ასი ბოლშევიკი მუშა აღმოჩნდა შეიარაღებულიო". ნოე რამიშვილი საქართველოში არალეგალურ სამუშაოდ გამოგზავნილ ვ. ქარცივაძესაც ავალებდა: „ერიდეთ თავიდანვე რაიმე მუშების ჯგუფის შეიარაღება-ჩამოყალიბებასო".

მენშევიკურმა მთავრობამ ხალხში სავალდებულო სწავლის შემოღების, კოოპერატიული აღებ-მიცემობის და საზოგადოთ მეურნეობის დარგში არაფერი არ გააკეთა: „ბოლშევიკები მოსვენებას არ გვაძლევენ და საშვალებას მოკლებული ვართო"—იმართლებდენ თავს. ერთა შორის კი თანასწორობა სიყვარულის ნაცვლად, მტრობა-შოვინიზმი გაამეფეს; ვალიკო ჯუღელიც კი აცხადებდა: „შოვინიზმმა მოიკიდა ფეხი ქართველ მუშებშიაც. გულს მატკენს, მინდა მოვშორდე, წავიდე სადმე, შორს, მომბეზრდა; შემძულდა სისხლის ღვრა—რევოლიუციაო". „სულ ბოლშევიკების ბრალია, აჯანყებებს აწყობენ, ვერ გაიმარჯვებენ, ნაადრევია მუშათა და გლეხთა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაზე ოცნებაო".

ამას უქადაგებდენ საქართველოს მუშებს და გლეხებს მეორე ინტერნაციონალის ბელადები მაკდონალდი, ვანდერველდე, შოუ და სხვებიც საქართველოში მოგზაურობა-სტუმრობის დროს. საქართველოში არსებულ წესწყობილების შესწავლა-გაცნობის შესახებ საქართველოს პროფესიონალური კავშირების წევრებს და საქართველოს მუშათა კლასს და მშრომელ ხალხს კარლ კაუცკიმ საქართველოში ყოფნის დროს ანდერძი დაუტოვა—„საქართველოში სოციალიზმის პერსპექტივები და პრობლემები"-ს სახელწოდების წიგნაკი, სადაც ურჩევს: „დღევანდელ პირობებში მსოფლიო ომისაგან ნაანდერძევი ჭრილობების განსაკურნავად და თქვენი საწარმოო ძალების ასაღორძინებლად თქვენ უპირველესად უნდა მიმართოთ კაპიტალისტებს"-ო.

არც რეპრესიებმა, არც ტკბილმა სიტყვა-საუბარმა არ გასჭრა. ბოლშევიკურმა პარტიამ მარქსის და ლენინის მოძღვრებით შეაიარაღა ახალი სამყაროს შესაქმნელად საქართველოს მუშების და გლეხების რევოლიუციონური ნაწილი და ხანგრძლივი ბრძოლა - აჯანყებების შემდეგ 1921 წ. 25 თებერვალს საქართველოში დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება და რევოლიუციონური ინტერნაციონალის სიმღერით ტფილისის სასახლეზე ააფრიალა რევოლიუციონური წითელი დროშა, დაამყარა ამიერ-კავკასიის ერთა შორის თანასწორობა-სიყვარული, შემოიღო საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლება, აამოძრავა მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის და ინტელიგენციის მოწინავე ელემენტები, ჩააბა ისინი სოციალისტურ მშენებლობაში, წვრილ-ბურჟუაზიული აღებ-მიცემობის ნაცვლად გააძლიერა და მოფინა კოოპერატივებით ქალაქი და სოფელი, განკურნა დაავადებული ტრანსპორტი, ააშენა მრავალი ქარხანა-ფაბრიკები, ძლიერი ელექტრო-სადგურები, საცხოვრებელი ბინები, დასასვენებელი სახლები-კურორტები, საავადმყოფო - სანატორიუმები, გაიყვანა მრავალი სარწყავი არხები, გააშრო დაჭაობიანებული მიდამოები, აამუშავა ნავთის ამომღები მანქანა-კოშკები, ხელი მოჰკიდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას, აწარმოებს სოციალისტურ აღმშენებლობას ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებით.

და დღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 10 წლის თავზე საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება ინტერნაციონალური დროშით ხელში აბარებს სა-საქართველოს მუშათა კლასს, გლეხობას და მშრომელ ინტელიგენციას თავის 10 წლის მუშაობა - ხელმძღვანელობის ანგარიშს. ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ურყევი შეგნებით დარაზმული დგას დღეს საქართველოს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობის რევოლიუციონური რაზმები და სახელოვანი წითელი ლაშქარი.

ს. ფარნიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლშევიკურ მიტინგზე თავდასხმა ალექსანდროვის ბაღში

1917 წ. პირველ ნახევარში ჩვენ, საქართველოს ბოლშევიკები უკვე შეუდექით მენშევიკებისაგან გამოყოფას და ცალკე უჯრედების დაარსებას, როგორც ქალაქად, აგრეთვე სოფლად, როდესაც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ცალკე ბოლშევიკური უჯრედები, ჩვენსკენ ლტოლვა იწყეს მუშებმა, ჯარისკაცებმა და მშრომელმა გლეხებმა, რომლებიც მასიურად ეწერებოდენ ჩვენს პარტიაში, რადგან მენშევიკებში ისინი ვერ ხედავდენ მათი ინტერესების დამცველთ. სულ მოკლე ხნის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაცია საგრძნობლად გაიზარდა.

რასაკვირველია, ჩვენი ორგანიზაციის ზრდა მენშევიკებს არ მოსწონდათ, მაგრამ რეპრესიების დაწყება ვერ გაბედეს მანამ, სანამ ოქტომბრის ძლევამოსილმა რევოლუციამ არ მოსპო მათი ბატონობა რუსეთში. ამის შემდეგ საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ მოიწვია ანტანტის ჯარები და გააჩაღა რეპრესიები ბოლშევიკების წინააღმდეგ.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას მოსვენებას არ აძლევდა იმის შიში, რომ „ბოლშევიკური ორგანიზაცია ამზადებს შეთქმულებას, ეწევა აგიტაციას ფრონტიდან დაბრუნებულ ჯარის-კაცებში და უნდა ჩაიგდოს ხელში ძალა-უფლება“-ო.

მენშევიკები მეტის-მეტად შეშინდენ, როდესაც მათ გაიგეს, რომ ამხ. შაუმიანს პირდაპირ მავთულით მოლაპარაკება ჰქონდა პეტროგრადში ამხ. სტალინთან. აი ამხ. შაუმიანის შეკითხვაც: „როგორ მოვიქცეთ იმის შემდეგ, რაც „ობორონცების“ და ნაციონალისტების მიერ შესდგა ა-კ. მთავრობა ევ. გეგეჭკორის მეთაურობით; ჩვენ გამოუცხადეთ მათ ბრძოლა და ვსცნობთ მათ კონტრრევოლუციონერებათ, სხვათა შორის ჯარმაც გაუკეთა მას კვალიფიკაცია და ამბობს, რომ ეს არის რუსეთისაგან სავსებით ჩამოცილებაო, ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ ჯარის უმრავლესობას და მასთან ბაქოს საბჭოსაც ვაიძულებთ, რომ იცნოს სახალხო კომისართა ძალა-უფლება“.

ამის მეტს შეკითხვის ტექსტი არაფერს ამბობდა. მაგრამ ა-კ. მთავრობას ამ დეპეშამ შიშის ზარი დასცა და ის იყო 1917 წ. 26 ნოემბერს გამოაცხადეს მენშევიკურ „წითელ გვარდიის“ მობილიზაცია და შემოიღეს სამხედრო წესები. აკრძალული იქნა ყოველგვარი მიტინგები.

აი, აქედან იწყება რეპრესიები ბოლშევიკების მიმართ, მენშევიკებმა აამოძრავეს კედიას და ფაჩულიას აგენტები და იწყეს სათითაოდ ჩვენს ამხანაგებზე ნადირობა. მაგრამ მიუხედავათ გაძლიერებული რეპრესიებისა, როგორც ცალკე ამხანაგების, აგრეთვე ჩვენი პრესის მიმართ, ჩვენი პარტია მაინც მტკიცედ განაგრძობდა ბრძოლას კონტრრევოლუციის წინააღმდეგ. რუსეთის კონტრრევოლუციონურ დამფუძნებელ კრების გარეკვის შემდეგ საქართველოს მენშევიკები დაუყოვნებლივ შეუდგნენ ა-კ. სეიმის მოწვევას. სეიმის მოწვევის წინა დღეებში (სეიმის მოწვევა დანიშნული იყო 10 თებერვალს. 1918 წ.), პოლიტიკური ატმოსფერა უფრო მეტად გამწვავდა. 8 თებერვალს დაკეტეს ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის ორგანო „კავკასკი რაბოჩი“ *) და დაატუსაღეს მთელი რიგი ამხანაგები, სახელდობრ: თ. კალანდაძე, ს. პეტრენკო, გ. პარკაძე, მ. გახოკია, ს. შმულევიჩი, აბოიანცი, გ. ლაფანაშვილი, თ. კამალოვი, პ. დანდუროვი და სხვ. პროვინციებშიდაც იყვენ მთელი რიგი ამხანაგები დატუსაღებულნი.

9 თებერვალს ჩვენი პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ გამოშვებულ იქნა ფურცელი მუშების, ჯარის-კაცების და გლეხებისადმი, რომელშიაც ნათქვამი იყო: „თავისუფალ სიტყვის მტრებმა, მუშების, გლეხების და ჯარისკაცების მტრებმა, ბურჟუაზიის, მემამულეების და ბეგების ლაქიებმა — ამიერკავკასიის მენშევიკებმა, რომ მოგსპონ თქვენ ყოველგვარი შესაძლებლობა, იქონიოთ სამართლიანი ბეჭდვითი სიტყვა, დაბეჭდეს სტამბა, სადაც იწყობოდა თქვენი გაზეთი „კავკასკი რაბოჩი“ და დაკეტეს რედაქციაც. 10 თებერვლისათვის ისინი იწვევენ, ეგრეწოდებულს სეიმს, დამფუძნებელი კრების ატსტავკაში გასულ წევრებისაგან, რომელსაც სურთ ჩააბარონ სრული ხელი-

*) ქართული გაზეთი „ბრძოლა“ კი უფრო ადრე იქნა დაკეტილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლება და, ამრიგად, გააუქმონ და დაასუსტონ საბჭოები. 10 თებერვალს ისინი უმზადებენ საფლავს ა-კ. რევოლიუციას და სურთ ლუურსმნებით დაჭედონ მათ მიერ საბჭოებისათვის დამზადებული კუბო. ამხანაგებო, მუშებო, ჯარის-კაცებო და გლეხებო! ნუ თუ თქვენ დაუშვებთ, რომ დასამარებულ იქნას რევოლიუციის უდიდესი მონაპოვარი—მუშების, ჯარის-კაცების და გლეხების საბჭოები"?

ტფილისში ალექსანდროვის ბაღში ამ „ბოლშევიზმის ბაცილების გადამდებს კერაში" წარმოებდა პერმანენტული ბოლშევიკური მიტინგები, შეუწყვეტელი ახსნა-განმარტება პოლიტიკური მომენტის შესახებ.

1918 წ. 10 თებერვალს მენშევიკებმა აიხადეს პირბადე და სავსებით გამოამჟღავნეს თავიანთი კონტრ - რევოლიუციონური სახე. იმ დროს, როდესაც ა-კ. სეიმი იხსნებოდა, ჩვენი პარტიის — ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის მიერ ალექსანდროვის ბაღში მოწვეულ იქნა საპროტესტო მიტინგი—ჩვენი გაზეთის დახურვის, ბოლშევიკების დატუსაღების და ა-კ. სეიმის გახსნის საწინააღმდეგოდ. ამ დღეს ტფილისის მთელ რიგ წარმოებებში მუშაობა შეჩერდა და მუშები წითელი დროშებით გამოემართენ მიტინგისაკენ. უკვე დილის 11 საათი იქნებოდა, რომ ალექსანდროვის ბაღში თავი მოიყარეს თითქმის ორი ათასამდე კაცმა. მათ შორის იყვენ ქალებიც და ბავშებიც.

ამხ. კუზნეცოვის წინადადებით, მიტინგის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სერიოჟა ქავთარაძე. გახსნა თუ არა მიტინგი თავმჯდომარემ, მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვებით: „შესაძლებელია განმეორდეს ისეთი პროვოკაცია, როგორიც მოხდა ამავე ბაღში ორი-სამი კვირის წინად პოფკავშირების მიტინგზე, ამისათვის გაფრთხილებთ, რომ პროვოკაციის არავითარ ანკესზე არ წამოეგოთ" და სხვ.

ამის შემდეგ სიტყვა მიეცა ჩაწერილ ორატორს ოსეპიანს, შემდეგ ილაპარაკეს მემარცხენე ესერების წარმომადგენლებმა, გამოდიოდენ, მოითხოვდენ დატუსაღებულ ბოლშევიკების განთავისუფლებას, ჩვენი გაზეთების გამოშვებას და აღნიშნავდენ მოწვეულ ა/კ. სეიმის კონტრ-რევოლიუციონურ შინაარს.

აქ აღსანიშნავია ტფილისიდან 300 ვერსის მანძილზე მდგომ ეშელონის წარმომადგენლის ჯარის-კაცის ტონკონოგოვის და სარიყამიშის სამხედრო ტრიბუნალის კომიტეტის წარმომადგენლის პეტრენკოს სიტყვები.

ამხ. ტონკონოგოვმა განაცხადა: „300 ვერსი სრულებით არ უქადის საფრთხეს ტფილისის მშვიდობიან მცხოვრებთ, რომ იქ სდგას ეშელონები, რომლებიც მიდიან თავიანთ სამშობლოში, მაგრამ თუ ჩვენ დაგვესხმიან თავს და შეგვებრძოლებიან, მაშინ 300 ვერსიც იტყვის თავის სიტყვას"-ო.

სარიყამიშის სამხ. ტრიბუნალის წარმომადგენელმა ამხ. **პეტრენკომ** დაუმატა, რომ „300 ვერსზე თავმოყრილია რვა პოლკამდე ჯარის-კაცები, რომლებიც მოითხოვდენ ა-კ. კომისარიატის წინააღმდეგ გალაშქრებას მისი დამხობის მიზნით, მაგრამ სამხედრო ტრიბუნალის, კომიტეტის წარმომადგენლები და პარტიული ამხანაგები ყველანი ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ, მხოლოდ თუ ა-კ. კომისარიატი მოაწყობს ისეთ სისხლის ღვრას, როგორიც მოაწყვეს შამქორში თუ თავისუფლად გამვლელ ეშელონებს თავს დაესხმიან და შეებრძოლებიან, და თუ კიდევ ვისუფლად გამვლელ ეშელონებს თავს დაესხმიან და შეებრძოლებიან, და თუ კიდევ გაგრძელდება რეპრესიები მუშების და მათი ბეჭდვითი ორგანოს წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ არავითარი გარანტია არა გვაქვს, რომ შევსძლოთ მათი, ე. ი. 300 ვერსზე მყოფ ჯარის-კაცების დაწყნარება"-ო.

სხვათა შორის, მიტინგს დაესწრენ ჩვენი პარტიის მთელი რიგი ხელმძღვანელები: ამხ. ამხ. ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, ნაზარეტიანი და სხვ., რომლებსაც არ დასცალდათ ლაპარაკი. უკანასკნელად ტრიბუნაზე ავიდა მოხუცი ნ. ცერცვაძე, დაიწყო თუ არა ამხ. ცერცვაძემ თავისი სიტყვა, ბარიატინის ქუჩიდან მიტინგს გარს შემოერტყენ შეიარაღებული „წითელ გვარდიელები", რომელსაც მოუძღოდა პრაპორშჩიკი იმნაძე და შტაბის ადიუტანტი ყიფიანი. ტრიბუნასთან მივიდა ქალაქის შტაბის უფროსის ადიუტანტი ოფიცერი ყიფიანი და განუცხადა ს. ქავთარაძეს, რომ მიტინგი აღკრძალა ქალაქის ოხრანის უფროსმა, რაზედაც ქავთარაძემ უპასუხა: „წადი და მოახსენე უფროსს, რომ მიტინგის თავმჯდომარედ არის ქავთარაძე და ის ღებულობს თავის-თავზე პასუხისმგებლობას, რომ მიტინგს მიეცეს მშვიდობიანი ხასიათი, აქ არის მშვიდობიანი ხალხი თავშეყრილი და მშვიდობიანად წავლენ თავთავიანთ სახლებში, მხოლოდ თქვენგან გვქონდეს გარანტია ყოველგვარი პროვოკაციისაგან"-ო. ამის შემდეგ ყიფიანი უკან დაბრუნდა. ქალაქის ტშაბის უფროსის ვერეშაკის მიერ გამოგზავნილი „წითელ-გვარდიელები" თოფებით და ტყვიის მფრქვეველებით შემოერტყენ ყოველი მხრიდან მიტინგს. ამ დროს იგრიალა თოფებმა... ბევრმა მოასწრო გაქცევა, ზოგი მიწაზე დაწვა... სროლამ გასტანა თითქმის 20 წუთამდე. მოკლული აღმოჩდენ შემდეგი ამხანაგები: გ. მარტიროსიანი, ზაქარია სეხნიაშვილი, ხარიტონ სიხარულიძე და გრ. ვართანიანი. მძიმედ დაჭრილნი იყვნენ ნ. გარიშვილი და პეტრე პისკუნოვი, რომლებიც მეორე თუ მესამე დღეს გარდაიცვალენ საავადმყოფოში. მსუბუქად დაიჭრენ მიტინგის მონაწილენი: დოლიძე, პეტრენკო და ვართანოვი. ამგვარ სომარცხვინო ჯალათურ მოქმედებამ, დიდი აღელვება გამოიწვია მუშებში, ჯარის-კაცებში და მშრომელ მასაში. თვით მენშევიკური მთავრობამაც იგრძნო შემდეგ თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისაძაგლე—მშვიდობიანი მიტინგის დარბევა და მოინდომა მომხდარი ამბის მიჩქმალვა და სხვისთვის გადაბრალება. ვინ იცის როგორ ხერხს არ მიმართავდენ მენშევიკები, არ ზოგავდენ არც ქრთამს და არავითარ სასყიდელს, რომ გამოსულიყვენ ამ უხერხულ მდგომარეობიდან.

აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი: დახოცილთა რიცხვში იყო ტფილისის საქონლის სადგურის მუშა ამხ. ხ. სიხარულიძე, მისი ნათესავების დაჟინებითი მოთხოვნით ჩვენმა პარტიამ დაადგინა, რომ ამხ. სიხარულიძე გაგვესვენებია თავის სოფელში და ამისათვის მიგვეცა ერთგვარი საგიტაციო ხასიათი. ამის ორგანიზაციულად მოწყობა დამევალა მე. ამისათვის სათანადო თანხაც გაიღო ორგანიზაციამ, მხოლოდ საჭირო იყო მთავრობისაგან ნებართვა. მე მივედი შინაგან საქმეთა სამინისტროში ნებართვის ასაღებათ. იქ დამხვდა ერზიკიანი, რომელიც მინისტრის ამხანაგის დროებით აღმასრულებლად იყო. ერზიკიანი შემეკითხა თუ, რისთვის ვიყავი მისული, მე უთხარი: ალექსანდროვის ბაღში შემთხვევით მოჰკლეს ჩემი ძმა და მინდა აუცილებლად სოფელში წავასვენო და გთხოვთ მომცეთ ნებართვა-მეთქი. ერზიკიანმა გაიკვირვა: როგორ თუ შენი ძმა, შენი გვარი სხვა არის და მისი კი სხვაო. მე აუხსენი, რომ ჩვენ დედით ერთი ვიყავით და მამით კი სხვა-მეთქი. (თუმცა ეს სიმართლე არ იყო), ერზიკიანმა მითხრა: „ამხ. მეგრელიშვილო, ნებართვასაც მოგცემთ და ყველაფერითაც დაგეხმარებით, მხოლოდ ჩვენი თხოვნა იქნება ერთი რამ:—ალექსანდროვის ბაღში ადგილი ჰქონდა გაუგებრობას, ჩვენ ჯერ არ ვიცით ვისი მიზეზით, ამას ჩვენ გამოვარკვევთ და დამნაშავეს სათანადოთ დავსჯით, მხოლოდ გთხოვთ ამ ამბავს ნუ გააზვიადებთ და ხალხს სხვანაირად ნუ გააგებინებთ“-ო. მეც პირობა მივეცი.. ამის შემდეგ არა თუ მარტო გასვენების ნებართვა მომცეს, არამედ უფასოდ ვაგონიც-კი დამითმეს. ჩვენი პარტიის კავბიურომ და ტფილისის კომიტეტმა დაგვავალა მე და ამხ. ვასო ლაშქარაშვილს, გავყოლოდით ცხედარს და ადგილობრივად სიტყვა წარმოგვეთქვა მომხდარ ფაქტების და მიხედვით. როდესაც ცხედარი ჩავასვენეთ ჩოხატაურში, იქ ჩვენ დაგვხვდა აუარებელი ხალხი თავშეყრილი, წითელი დროშებით, როგორც ბოლშევიკები, აგრეთვე მენშევიკები თავისი გვარდიით და უპარტიო ხალხიც. პირველად ტრიბუნაზე ლაპარაკი მომიხდა მე, და როდესაც ჩემ სიტყვაში დავახასიათე მენშევიკური მთავრობის ჯალათური მოქმედება და სხვ. ადგილობრივ მენშევიკების კომიტეტის თავმჯდომარემ ავთ. ცინცაძემ დაიყვირა, „დაატუსაღეთ ეს პროვოკატორი ეხლავე“-ო. მაშინ მე განვაცხადე,—არავის არა აქვს უფლება ჩემი დატუსაღების, სანამ ცხედართან ვდგევარ და ვლაპარაკობ, შემდეგ კი თქვენს ხელში არის ძალა-უფლება და რაც გინდათ ის მიყავით-მეთქი. ჩემი დატუსაღება მაშინ ვერ შესძლეს, შემდეგ ილაპარაკეს ამხ. თ. ჩიჩუამ, ლაშქარაშვილმა, ნ. ზამბახიძემ და სხვ. პროცესიის დამთავრების შემდეგ იმ საღამოს მომივიდა ცნობა, რომ ჩემი დატუსაღება უნდოდათ და მაშინვე გამოვიპარე ტფილისში. აღსანიშნავია, თუ როგორი დიდ ვენილება გამოქონდათ მომხდარ აქტის გარშემო ცალ-ცალკე კრებებზე მუშებს, ჯარის კაცებს და მეზღვაურებს.

აქ მოვიყვან უცვლელად 1918 წ. 16 თებერვლის ბათომის მეზღვაურთა საერთო კრების დადგენილების ტექსტს, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული და გამოეგზავნა საოლქო ცენტრს:

„მოისმინა რა მოხსენება 1918 წლის 16 თებერვალს ტფილისში ალექსანდროვის სახელობის ბაღში სისხლის ღვრის შესახებ, კრება გამოსთქვამს თავის აღშფოთებას 10 თებერვალს მუშების მიერ მოწყობილ მიტინგზე მშვიდობიან მოქალაქეთა, ქალების და ბავშების მხეცურად გაჟლეტის გამო. ა-კ. კომისარიატის მიერ შემოჩენილმა მკვლელებმა მოღალატურად. თითქოს ისინი ყოფილიყვენ რევოლიუციონერ მუშების და ჯარის-კაცების მეგობრები, წითელი დროშებით და მიტინგის დამშვიდებით, რომ თავისიანები მოვიდნენო, ასტეხეს თოფების სროლა, რაც გაგრძელდა 20 წუთის განმავლობაში, დახოცეს მიწაზე მწოლიარე მოქალაქეები, რომლებიც თეთრ ცხვირსახოცებს აქნევდენ. ასეთი მხეცობა ისტორიას არ ახსოვს და ა-კ. მმართველობის ყაჩაღობა, რომლებმაც გადააჭარბეს სისხლის მწოველ ნიკოლოზის — „აპრიჩნიკებს“, არის უსირცხვილო გამოწვევა რუსეთის მთელი პროლეტარიატის და რევოლიუციონერ გლეხობის, რომლებიც სამაგალითო გმირულ ბრძოლას აწარმოებენ ხალხის მტრის ბურჟუაზიის წინააღმდეგ. რუსეთის მუშურ-გლეხურ რევოლიუციისათვის ქურდულად ლახვრის ჩაცემა, სათანადოთ უნდა იქნეს დაგმობილი ა-კ. დემოკრატიის მიერ. კრება სასტიკ პროტესტს აცხადებს გაზეთ „კავკასკი რაბოჩის“, „ბრძოლის“ და „ბანვორი კრივის“ დაკეტვის წინააღმდეგ და ა-კ. კომისარიატის დიქტატურის ასეთი უხეში ძალადობის გამო პროლეტარულ გაზეთებზე, რომლებიც იცემა მუშების და გლეხების შრომით შეძენილ გროშებზე. კრება სთვლის ა-კ. კომისარიატს აშკარა კონტრრევოლიუციონურად და რეაქციონურად. ამასთან ერთად კრება სასირცხვილო ბოძზე აკრავს ა-კ. მმართველებს, რომლებიც სდევნიან და აპატიმრებენ ჩვენს თვალსაჩინო ამხანაგებს, რომლებიც ათეულ წლების განმავლობაში თავგამოდებით ემსახურებოდენ დაჩაგრულთა განთავისუფლების საქმეს. სამხედრო და სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა საერთო კრება აცხადებს, რომ რევოლიუციონური მეზღვაურები არასოდეს არ მოითმენენ პროლეტარულ პარტიის წარმომადგენლების წინააღმდეგ ხმარებულ ძა-

ლადომბას, შავი ზღვის ფლოტის რევოლიუციონური მეზღვაურები მოთხოვენ პროლეტარულ პარტიის გაზეთების დაუყოვნებლივ გამოშვებას, მათ წარმომადგენელთა დევნის შეწყვეტას და 10 თებერვლის სისხლის ღვრაში ყველა მონაწილეთა რევოლიუციონურ სასამართლოში მიცემას.

სამხედრო და სავაჭრო მეზღვაურები ამ მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აცხადებენ, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ კონტრ-რევოლიუციონურ მოძალადეთა შეტევაზე უპასუხონ წითელი მუშურ-გლეხური ფლოტის შეტევითვე. ძირს კონტრ-რევოლიუციონური ა.-კ. კომისარიატი და სეიმი, რომელსაც კავშირი აქვს ბურჟუაზიასთან და შოვინისტებთან. მთელი ძალა-უფლება კავკასიის მუშების, ჯარისკაცების და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს! ძირს კონტრ-რევოლიუციონერების დიქტატურა, გაუმარჯოს ამიერ-კავკასიაში მუშურ-გლეხურ რევოლიუციას! მთელი ძალა-უფლება ბათომში მუშების, ჯარის კაცების და მეზღვაურთა დეპუტატების ხელახლა არჩეულ საბჭოებს"!

აი ამ რეზოლიუციიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გმობდენ მშრომელი მასები და აღშფოთებას გამოსთქვამდენ მშვიდობიანი მიტინგის მხეცურად გაჟლეტის გამო.

ამასთანავე ჩვენმა პარტიამ გამოუშვა ასეთი შინაარსის პროკლამაცია:

## Российкая Соц.. Дем. Рабочая Партия (Большевиков)

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

### ТОВАРИЩИ РАБОЧИЕ И СОЛДАТЫ!

10-го февраля 1918 г. контр-революлионная партиа Закавазских меньшевиков, стоящая во главе Закавказского комиссариата, злодейски растреляла мирный, безоружный митинг Тифлисских рабочих, созванный комитетом Р.С.Д.Р.П. (Большевиков).

Наша партия перенесла много кровавых растрелов и истязаний от палачей и наемных убийц царского правительства. Но организованная 10-го февраля в Александровском саду крововая баня превзошла по злодейству худшие преступления черной реакции.

Они растреляли из пулеметов мирную толпу, не сделав никаких предупреждений. Мало того, они подкрались к митингу с красным знаменем в руках под видом революционеров и когда участники митинга и председатель его т. Кавтаразе готовились радостно приветствовать их, — они открыли предательский огонь.

За несколько минут до растрела, на митинг явилась группа меньшевиков во главе с Ноем Хомерики (по прозвищу Хунхуз) и Петром Гелейшвили (товарищем министра земледелия в Закавказ. Комиссариате), которым сделаны были последния предательския распоряжения о закрытии всех входов и выходов сада и о создании удобст для растрела рабочих. После чего эти негодяи—распорядители по устройству крововой бани исчезли из сада.

Непосредственно вслсед за этим из ворот сада со стороны Барятинской ул. появился отряд убийц, одетых в солдатские шинели во главе с прапорщиком Имнадзе и Авакянцем (чл. Исп. Ком. С. Р. и С. Д.). Красное знамя улыбки Иуды на лице прапорщика Имнадзе—радость на лицах участников митинга, аплодисменты по адресу явивщихся и вдруг... предательские залпы по рабочим. Стреляли главным образом из пулеметов и одновременно пачками и винтовок.

Часть митинга разбежалась, оставив убитых и раненных, другая легла на землю. Красное знамя с портретами Маркса, Энгельса и Лассаля были растреляны наемниками меньшевиков. Первые же выстрелы были направлены не в воздух, а в массу и дали сразу несколько убитых и много раненных.

Нам удалось установить пока следующих имена убитых: 1) Матевосов, 2) Чехниашвили Зах., 3) Вартанов Григорий, 4) Герасимия, 5) Пискунов Петр. Ранены: 1) Церцвадзе Нестор, 2) Аллахвердов, 3) Арбабов Мамед, 4) Джавахидзе Варлам, 5) Чунухадзе Ник., 6) Мария Бекиджанова, 7) Горишвили Ник., 8) Антонянц Гегам, 9) Гуриев Прок., 10) Цквителидзе Харлам, 11) Цверикмазашвили Илларион, 12) Тет Мосесов Петр,. 13) Схиртладсе Лаз., 14) Борамашвили Илья, 15) Мелихадзе Мик.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Это крововое злодейство г. г. Жордания, Гегечкори, Рамишвили и пр. своры изменников револоций нужно было им очевидно, чтобы ознаменовать достойным образом открытие Закавказского Сейма назначенное на этот день.

Напившись досаточо солдатскои крови в Шамхаре, эти лакей мусульманских беков захотели попробовать и рабочью кровь.

Все место митинга представляет из себя кровавую лужу. Аллеи сада, скамьи забрызганы кровью, кусочками мяса и мозгов убитых и раненных.

Товарищи рабочие и солдаты Вы были очевицами чудовищного преступления, совершенного людьми продолжающими называть себя социалистами и друзьями рабочего класса.

Мы передаем все это кровавое преступление на ваш собственный пролетарс ий революционный суд.

Долой палачей из Закавказского Комиссариата.

Долой конр-революценную дворянско-буржуазную власть.

Да здраавствует Рабоче-Крестьянская Революция.

Да здравствует **Всероссийская Социалистическая Республика Советов.**

Краевой Комитет РСДРП (Большевиков)

Тифлисский Комитет РСДРП (Большевиков)

П. С. По свидетельству врачей все раны нанесены разрывными пулями.

რასაკვირველია, ყველა ამის შემდეგ მენშევიკებს არაფერი არ დარჩენოდათ, რომ არ გამოეყოთ კომისია ხალხში თავის გასამართლებლად და კიდევაც გამოჰყვეს კომისიაში სივიდენ შემდეგი პირები: ბ. ბროიდსკი (თავმჯდომარე) წევრებათ ელენინი, ბ. ულენტი, გრუზენბერგი, ანდრეევსკი, ლორია, ბარსოვი და ბოლშევიკების წარმომადგენელი ამხ. ზ. ტრაპაიძე.

კომისიამ დაჰკითხა, როგორც მთელ რიგ პირებს მომხდარი აქტის მთელ რიგ ცოცხალ მოწმეებს. კვლევა - ძიების მასალიდან აშკარად სჩანს, რომ სროლა იყო ატეხილი გაუფრთხილებლად რაზმის მიერ. კომისიის დასკვნა კი ეწინააღმდეგებოდა საქმეში არსებულ მასალებს და მაინც გამომწვეველად ასახელებდენ ხალხს, თითქოს მიტინგიდან წამოწყებულიყო უწინ სროლა. კომისიის დასკვნას რა თქმა უნდა არ მოაწერა ხელი ამხ. ტრაპაიძემ და არც შეეძლო მოეწერა და მაშინვე შეიტანა თავისი განსაკუთრებული აზრი, რომელიც ობიექტიურად აღნიშნავდა და მუხლობრივ აყალიბებდა გამოკვლევითი მასალების მიხედვით მთელ საქმის შინაარს, 100 პროცენტით დამტკიცებულად სთვლიდა მთავრობის აგენტების მიერ მოწყობილ პროვოკაციას.

მენშევიკურმა მთავრობამ სხვა მრავალი ასეთი საზიზღრობა ჩაიდინა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის მიმართ. დღეს საქართველოს გამარჯვებული მშრომელი ხალხი ზიზღით იხსენიებს ბურჟუაზიის ამ ლაქიების ჯალათობას.

**სერგო მეგრელიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართველი მენშევიკები უცხოეთის იმპერიალისტების სამსახურში

კერენსკი, ჩხეიძე, წერეთელი, ჩხენკელი და ძმანი მათნი, რომლებიც თებერვლის რევოლიუციამდე „სოციალისტებათ“ და მუშების და გლეხების ინტერესების დამცველებათ ასაღებდენ თავიანთ თავს, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ მილიუკოვს, გუჩკოვს, როდიჩევს დაუკავშირდენ და მუშების მოსისხლე მტრების ბანაკში ამოყვეს თავი. ოქტომბრის დიდ რევოლიუციამდე ქართველი მენშევიკები რუს პატრიოტებთან ერთად მომხრე იყვნენ დიდი რუსეთის საზღვრები უცვლელად დაეცოთ და ძველი თვითმპყრობელური დიდი რუსეთის იმპერიაში შემავალ დაჩაგრული ერების მიდრეკილებას დამოუკიდებლობისადმი თავგამოდებით ებრძოდენ. გაიხსენეთ ფინეთის მაგალითი. ფინეთის სეიმის დეპუტატები, რომლებმაც გაბედეს ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება წერეთელმა და კერენსკიმ გარეკეს და ის დარბაზი, სადაც **სეიმის** სხდომები იმართებოდა, დალუქეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ირაკლი წერეთელი, რომელსაც თავი რევოლიუციის მინისტრათ მოქონდა და რომელიც ერთ საჯარო კრებაზე ამხ. **ლენინმა** ერთი პატარა რეპლიკით მოსწრებულად დაახასიათა **„შენ ეხლა რევოლიუციის მინისტრი კი არა, სამწუხაროთ, არც მეტი, არც ნაკლები უბრალო ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი ხარო“**—ვერ ითმენდა დაჩაგრული ერების მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი და ყოველგვარ საშუალებებს მიმართავდა თვითმპყრობელური რეჟიმის დროს დაჩაგრული ერების მისწრაფებათა ჩასაკლავათ.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ რუსეთიდან კუდ ამოძუებულმა ქართველმა მენშევიკებმა —ამიერ-კავკასიას შეაფარეს თავი და აქ სულ სხვა ჰანგზე დაიწყეს გალობა. რუსეთში ხელისუფლების სათავეში ყოფნის დროს წვრილი ერების ინტერესების უზომოთ შემავიწროვებლები, ამიერ-კავკასიაში შემოხიზვნის შემდეგ ფარისევლურად დაჩაგრულ ერების „ინტერესების“ დამცველების როლში გამოვიდენ და მუშების და გლეხების მოსისხლე მტრებთან — **დაშნაკელებთან და მუსავატელებთან** შეკრეს პირი — რაც არ უნდა დაჯდომოდათ ქართველი, სომეხი და თათარი მუშები ჩამოეშორებინათ რუსეთის **მუშებისაგან**, რომლებთანაც, **მეოთხედი საუკუნის** რევოლიუციონური მოძრაობის ისტორია აკავშირებდა ამიერ-კავკასიის პროლეტარიატს.

1918 წლიდან ამიერ-კავკასია, და განსაკუთრებით **საქართველო**, უცხოელ იმპერიალისტებისათვის თავისუფალ სათარეშო ადგილათ გადაიქცა. საქართველოს ჯერ გერმანელები დაეპატრონენ და მენშევიკებს ესენი ისე ათამაშებდენ, როგორც მოესურვებოდათ. სანამ გერმანელი იმპერიალისტები ბატონობდენ საქართველოში, მენშევიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი მორჩილი და ნება-სურვილის აღმსრულებელნი იყვნენ, ხოლო, როდესაც გერმანელები ინგლისელებმა შესცვალეს, მენშევიკები ინგლისელ გენერლების და პოლკოვნიკების მონებათ გადაიქცენ და „დამოუკიდებელი“ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას ინგლისელი ოფიცრები იმას აკეთებინებდენ, რაც მოესურვებოდათ. იყო შემთხვევები, როდესაც მენშევიკური მთავრობის სასამართლო კაცს დახვრეტას მიუსჯიდა, რომელიმე ინგლისელი ოფიცერი უბრძანებდა მენშევიკურ მთავრობას სასჯელი შეეცვალა მსჯავრ დადებულისთვის და „დამოუკიდებელი“ საქართველოს მთავრობა თავისი ბატონის ბრძანებას სიტყვის შეუბრუნებლად ასრულებდა (გაიხსენეთ ძეგვის ხიდის აფეთქების ამბავი). ნოე ჟორდანია და მისი ამხანაგები, რომლებიც ოდესღაც თავის თავს „ინტერნაციონალისტებათ“ და მუშების და გლეხების ინტერესების დამცველებად ასაღებდენ, გერმანელ ბარონებს და ინგლისელ ლორდებს ახლო დაუკავშირდენ და მათთან ერთად გეგმებს იმუშავებდენ რუსეთის **მუშების და გლეხების** ხელისუფლების წინაალმდეგ. ქართველი მენშევიკები ქართველ შოვინისტებთან ერთად: კედიასთან, გვაზავასთან და სხვებთან ჯერ **გერმანელებთან** და შემდეგ **ინგლისელებთან** ნათესაური ძაფის აღმოჩენას ცდილობდენ და როდესაც **უორდროპი** დაინიშნა საქართველოში ინგლისის რწმუნებულად, ქართველ ნაციონალისტებთან ერთად მენშევიკების სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა, — „აწი რაღა გვიჭირს, ამბობდენ მენშევიკები —უორდროპი ქართველების მეგობარია, შოთა რუსთაველის „ვეფხვის ტყაოსანი“ წაკითხული აქვს და ის კაცი, რომელსაც „ვეფხვის ტყაოსანი“ წაკითხული აქვს, ჩვენ ქართველებს სიავეს როგორ გვაკადრებს“-ო, 1918 წლიდან ამიერ-კავკასია და, განსაკუთრებით, საქართველო ქართველი მენშევიკების წყალობით იმ ადგილათ გადაიქცა, სადაც თავისუფლად იყრიდენ თავს რუსეთის შინაური კონტრ-რევოლიუციონური ძალები. მშვიდობიანი და მუდამ ერთმანეთთან ძმურ ურთიერთობაში მყოფი ქართველი, სომეხი და თათარი მუშები, ქართველმა მენშევიკებმა ერთმანეთს წაუსისინეს. სამი წლის განმავლობაში ქართველი მენშევიკების ლოცვა-კურთხევით, და შინაური და გარეშე კონტრ - რევოლიუციის კარნახით ამიერ - კავკასიაში განუწყვეტელი ომები სწარმოებდა.

მენშევიკების დამფუძნებელი კრება იმ დროს, როდესაც ქვეყანა განსაცდელში იყო ჩავარდნილი, მუშტი - კრივს მართავდა და კიტალე ნინიძის ოთახიდან გამოსახლების საქმეს არჩევდა.

მთელი სამი წლის განმავლობაში ქართველი მენშევიკები ყოველ ღონეს ხმარობდენ ხელი შეეწყოთ საბჭოთა რუსეთის წინაალმდეგ მებრძოლ კონტრ - რევოლიუციონურ ძალებისათვის.

დაბოლოს ქართველი მუშების და გლეხების მოთმინების ფიალა აივსო, ამდენი დაცინვა, დამცირება და შეურაცხყოფა მათ ვერ აიტანეს. 1918—1920 წლებში მთელ საქართველოს ქალაქებს, სოფლებს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბებს აჯანყების ალი მოედო. მენშევიკების რეჟიმით უზომოთ შევიწროვებული ქართველი მუშები და გლეხები მენშევიკების ხელისუფლების წინააღმდეგ იარაღით გამოვიდენ. როგორც შინაური, ისე უცხო კონტრ - რევოლიუციონური ძალების დახმარებით ქართველმა მენშევიკებმა ბევრი მუშა და გლეხი დახოცეს, ბევრი სოფლები და დაბები ცეცხლს მისცეს, ბევრი დახვრიტეს, მაგრამ 1921 წელში საქართველოს მშრომელმა ხალხმა მაინც დაალწია თავი მენშევიკურ სატრაპებს და დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება.

ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა, ქართველი მშრომელი ხალხი დღეს ზეიმობს თავის უდიდეს გამარჯვების ათი წლის თავს.

გაუმარჯოს საქართველოს მშრომელ ხალხს და მის ხელმძღვანელ— კომუნისტურ პარტიას!

ვალერიან ვაშაკიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში

## (ხონის ბოლშევიკური ორგანიზაცია საქართველოს გასაბჭოებამდე)

ხონის ბოლშევიკური ორგანიზაცია თავიდანვე ძლიერი და მასიური იყო. ორგანიზაციის ასეთი ძლიერება აიხსნება იმ განსაკუთრებული პირობებით, რომელიც დამახასიათებელ თვისებად უნდა ჩაითვალოს ამ რაიონის. ეს პირობები შემდეგია: მიწის სივიწროვე და ამ ნიადაგზე არსებობისთვის შექმნილი მძიმე პირობები, რაიც გლეხობას აიძულებდა დაეტოვებია თავისი სოფელი და გამგზავრებულიყო დიდი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში ლუკმა პურის საძებნელად. აქედან ამ ხალხის ერთი ნაწილი მუშათა რიგებში ხვდებოდა, იქ ის ახალ იდეებს მუშათა მოძრაობისას ეზიარებოდა და ახალი სოციალისტური აზრებით გამსჭვალულნი, გატაცებულნი უბრუნდებოდენ ხშირად ისევ სოფელს. ასეთ გლეხების რიგებიდან გამოვიდენ ჩვენი საუკეთესო თანამებრძოლი მუშები: კლასიონ მელაძე, ე. კაკაბაძე, მიხაკო ლომიძე, მექი გურგენიძე, ილ. ვაჭარაძე, სოლომონ რუხაძე, ილიკო ბახტაძე, სევერიან ფარცხალაძე, შავლაყაძე და სხვები. რომელთა საშუალებით რაიონის გლეხობა სწორ ბოლშევიკურ გზას დაადგა ს. დ. პარტიაში მომხდარი განხეთქილების შემდეგ. მეორე პირობა, რომელმაც ხელი შეუწყო რაიონის მშრომელ მოსახლეობას დამდგარიყო სწორ რევოლიუციონურ გზაზე, იყო ამ რაიონის შედარებით მაღალი კულტურული დონე. ხონს და მის რაიონს საკმაოდ ქონდა დაბალი და საშუალო სასწავლებლები, რომლის უმრავლესობა ხალხის ინიციატივით იყო გახსნილი. თითქმის ყველა პატარა სოფელში იყო ერთკლასიანი და დიდ თემში ორკლასიანი სასწავლებლები. ყოველივე ამან მუშებთან ერთად ბოლშევიკურ ორგანიზაციას მისცა საუკეთესო კადრი მებრძოლი ბოლშევიკების; ესენი არიან: საშა წულუკიძე, შალვა ელიავა, ბუდუ მდივანი, პ. კიკალიშვილი და საგრძნობი ჯგუფი სახალხო მასწავლებლების, რომელთა გვარებს გზა და გზა გავეცნობით. ასეთი ხელმძღვანელობით ხონის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ შეუბლალავად მიიტანა რევოლიუციის დროშა 1917 წლამდე.

თებერვალ-მარტის რევოლიუციამ დასცა საუკუნოებით განმტკიცებული მტარვალის განუსაზღვრელი სისხლიანი ბატონობა, საბოლოოდ ჩამოშორდა თავის სამარცხვინო ასპარეზს და ისტორიის არქივს ჩაბარდა სულთამხუთავი რუსეთის მონარქია.

ახალი დროებითი მენშევიკურ-ესერული მთავრობა, წარმტაცი თავისუფლების პირველი დღეები, ხალხის გრძნობა - გონება რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამამშვიდებელმა სიტკბოებამ მიიპყრო. ახალი ხელისუფლება რევოლიუციის პირველ დღეებში შექმნილი ბევრს საბოლოო ჰგონია. ამ საერთო ვითომდა, ბედნიერებას არღვევს მოწინავე მუშების ლენინის ხელმძღვანელობით შექმნილი შეუპოვარი, მომავლის გამარჯვებით აღსავსე ყიჟინა: „ძირს გამყიდველები — ძირგამომპალი სოციალ-დემოკრატია, გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას და მის კომუნისტურ პარტიას, ძალაუფლება საბჭოებს". ოქტომბრის რევოლიუციამ საქართველოში, როგორც ვიცით, სამი წელიწადი დაიგვიანა. ოქტომბრის ძლევამოსილი რევოლიუცია მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელმა ჟორდანიამ ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე მეორე დღესვე შემდეგნაირად დაახასიათა: „ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაპყრობა არის ავანტიურა, ღამით მომხდარი გადატრიალება, რომლის ლიკვიდაცია მოხდება დაუყოვნებლივ ორ-სამ დღეში". თუ რა ფასი ქონდა ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებას, ვფიქრობ, ყველამ იცის დღეს. საქართველოს კომუნისტური პარტია სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც დასაყრდენი ფუძე არ ქონდა საქართველოს მშრომელ მოსახლეობის უმრავლესობაში.

ამ მომენტს ხონის ორგანიზაცია ფხიზლად ხვდება და რაზმავს ძალებს თავის სამოქმედო რაიონში. მოვიგონოდ ბრძოლის რამდენიმე მომენტი ჯერ ოქტომბრის რევოლიუციამდე. — 1917 წლის ზაფხულია, ტფილისში მოწვეულია გლეხთა ყრილობა, ამ ყრილობაზე ხონიდან ვიგზავნებით მე და გიორგი ბახტაძე. ჩვენი ტფილისში ყოფნის დროს იმართება ბოლშევიკების ცალკე კრება, რომელზედაც მოხსენებით აპრილის კონფერენციის შედეგებზე გამოდიან ამხ. ამხ. მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე. იმართება კამათი და გაჯავრებული ვალიკო ჯუღელი ტოვებს დემონსტრატიულად კრებას, რომლის შემდეგ ის საბოლოოდ მოთავსდა მენშევიკურ ჭაობში. აღნიშნული კრება იღებს დადგენილებას აპრილის კონფერენციის დადგენილების დამუშავების და ცხოვრებაში გატარების შესახებ.

ვბრუნდებით ხონში. დამოკიდებულება მენშევიკებთან თანდათანობით უარესდება, ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს. აგვისტოს ბოლო რიცხვებია, მენშევიკებმა ხონი ქალაქად გამოაცხადეს, ქალაქის საბჭოს არჩევნები მიმდინარეობს. ბოლშევიკურმა ფრაქციამ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო, მას 20 ადგილიდან 4 ხვდა, 4 ფედერალისტებს და 12 ს. დ. მენშევიკებს. ამ დროს ხონში ჩამოდის ალიოშა ჯაფარიძე, იმართება გაერთიანებული კრება ბოლშევიკ - მენშევიკების. კრებას პარტიის წევრები და უპარტიოებიც დიდი ინტერესით ესწრებიან. აპრილის კონფერენციის შედეგებზე და მომენტზე მოხსენებას ამხ. ალიოშა ჯაფარიძე აკეთებს; მოხსენება იშვიათია, შესანიშნავადაა დასაბუთებული მარქს-ლენინური დებულებებით. ამხ. ალიოშა 1902—3 წლების შემდეგ არ მენახა, ეს ადამიანი ამ ხნის განმავლობაში მარქსისტულად საფუძვლიანად მომზადებულა და ყოველი მისი დებულება რევოლიუციონური მარქსიზმით და ბოლშევიკური სიმტკიცითაა აღსავსე.

მოხსენების ირგვლივ იმართება მხურვალე კამათი, გამოდიან მენშევიკები. (უნდა აღინიშნოს, რომ ხონში ინტელიგენცია მენშევიკებსაც ძლიერი ყავდა). ამხ. ალიოშა საპასუხო სიტყვაში შეუდარებელი იყო. მოხსენებამ და კამათმა ბოლშევიკების რიგები კიდევ უფრო მეტად განამტკიცა და შეავსო. კრების შემდეგ გაიმართა ცალკე ბოლშევიკური ფრაქციის კრება, სადაც გამომუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა.

დამოკიდებულება მენშევიკებთან კიდევ უფრო მწვავე ხასიათს იღებს, კარდინალურად ისმის ცალკე პარტიის შექმნის საკითხი, ცალკე ფრაქციის ფარგლებში დარჩენა შეუძლებელია. ერთ ფრაქციულ კრებაზე ცალკე პარტიათ გამოყოფის საკითხი მწვავედ ისმის. მიღებული იქნა დადგენილება ცალკე პარტიული მუშაობის დაწყების. მე როგორც გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარეს დამევალა მომავალ გაერთიანებულ კრებაზე დამესვა სადავო კითხვაზე მოხსენება, რომლის ირგვლივ გაიმართებოდა კამათი და საშუალება მოგვეცემოდა გამოგვერკვია მერყევი ელემენტების ფიზიონომია.

დავალება სისრულეში იქნა მოყვანილი. მოხსენებას აკეთებს ამხ. ვალია ბახტაძე, თუ არ ვცდები, შემდეგ თემაზე: კლასთა ბრძოლა და სამოქალაქო ომი. კრება მრავალრიცხოვანია, კლუბი გაჭედილია ხალხით. კამათი მეტად მწვავე ხასიათს იღებს; საკითხია — ვინ ვის? წამოყენებულია ორი რეზოლიუცია ჩვენი და მენშევიკების; ჩვენი რეზოლიუცია დიდი უმრავლესობით გადის. მენშევიკები იძულებული ხდებიან დარბაზი დასტოვონ. ჩვენ ვრჩებით და კრებას ვაგრძელებთ, აქვე ვირჩევთ ახალ ბოლშევიკურ კომიტეტს, კომიტეტში შედიან: კორნელი ქაცარავა, პოლიკარპე ბახტაძე, ვალია ბახტაძე, გიორგი ბახტაძე, იპოლიტე ბახტაძე, სერგო ზერგაია და სხვები.

ხონის ორგანიზაციის მუშაობიდან აღსანიშნავია რუსეთის დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღება, ჩვენ აქ არჩევნებში დამოუკიდებლად გამოვედით, ნომერ ხუთი სიით. არჩევნებში, მიუხედავად მენშევიკების სასტიკი ბრძოლისა, ჩვენ სრული გამარჯვებული გამოვედით და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, რაიონის ფარგლებში მენშევიკებზე ნაკლები ხმა არ მიგვიღია.

ოქტომბრის რევოლიუციამ, როგორც ვიცით, მენშევიკები აშკარად კონტრ - რევოლიუციონურ ბანაკში მოაქცია. ისინი შეშინებულნი პროლეტარული რევოლიუციით, იმიჯნებიან საბჭოთა რუსეთიდან და, როგორც აღვნიშნეთ, ნ. ჟორდანია საბჭოთა ხელისუფლებას ორი - სამი დღის არსებობის ვადას აძლევს. როცა ასეთი ხერხი არ სჭრის, მენშევიკური მთავრობა საქართველოში აქტიურად იწყებს ბოლშევიკების დევნას. არც ჩვენ გვძინავს და იმართება ხელჩართული ბრძოლა იარაღით ხელში.

1918 წ იანვარი, თუ თებერვალია ტფილისიდან მოდის ცნობა, რომ მენშევიკებმა, რამოდენიმე ჩვენს ამხანაგებს სცემეს. ჩვენ ეს საკითხი ქალაქის საბჭოს სხდომაზე გადმოგვაქვს და მოვითხოვთ მენშევიკური მთავრობის ასეთი ხულიგნურ მოქმედებას ქალაქის საბჭოს სახელით გამოეცხადოს პროტესტი, რადგან დამნაშავენი პასუხისგებაში არ იქნენ მიცემულნი. ეს წინადადება, რასაკვირველია, საბჭომ ხმის უმრავლესობით უარყო და ჩვენ ნიშნად პროტესტისა აღნიშნული სხდომა დემონსტრატიულად დავტოვეთ და ამის შემდეგ ქალაქის საბჭოში არ დავბრუნებულვართ.

ხალხში მენშევიკების წინააღმდეგ უკმაყოფილება იზრდება. სახელმწიფო აპარატი სრულიად მოუწესრიგებელია. სახალხო ქონება იფლანგება. უამრავი დოვლათი, რომელიც ამიერ კავკასიას დარჩა სამხედრო ფრონტის დაშლის შემდეგ განიავდა. ახალი არაფერი იქმნება. ასეთი მართვა გამგეობის შედეგები თანდათანობით თავს იჩენს და რამდენი დრო გადის, იმდენად ამწვავებს დამოკიდებულებას ხალხსა და ძირდამპალ მენშევიკურ მთავრობის შორის.

სისხლიანი შაბათი, რომელიც 1918 წელს მენშევიკებმა მოგვიწყვეს ალექსანდროვის ბაღში გამართულ მიტინგის დროს, მენშევიკებთან დამოკიდებულებას სამოქალაქო ომის სახეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აძლევს და ეხლა უკვე ხალხის აშკარა აჯანყების გზას ვადგებით.

ენკენისთვის შუა რიცხვებში სპარსეთიდან ბრუნდება ამხ. ბუდუ მდივანი. ის ჩამოსვლისთანავე ებმება პარტიულ მუშაობაში. ცოტა ხნის შემდეგ ის გადადის ქუთაისში სამუშაოდ და ხონში დრო გამოშვებით ჩამოდის. თუ არ ვცდები, სისხლიანი შაბათის შემდეგ ის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის დავალების თანახმად ჩამოდის ხონში და აქედან ამხ. ს. ზერგაიას თანხლებით მიემგზავრება სამეგრელოში, სადაც დაწყებული მარტვილიდან აბაშამდე თითქმის ყველა სოფლებში მართავს მიტინგებს, რომელზედაც ხალხს მოუწოდებს მენშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

გაბრაზებული მენშევიკები ბუდუს ატუსაღებენ აბაშაში. ამით ხალხში მღელვარება არამც თუ ქრება, პირიქით, უფრო მწვავე ხასიათს იღებს. ქუთაისში იმართება რამდენიმე კონფერენცია, რომელზედაც ტფილისიდან ესწრებიან ამხ. ფილიპე მახარაძე და სხვა ამხანაგები, გაზაფხულის კონფერენციას, რომელიც გაიმართა ქუთაისში ამხ. ვასო კანდელაკის სახლში, დაესწრენ, სხვა ამხანაგებთან ერთად, მაშინ ციხიდან პირობით გამოშვებულნი ამხ. ბუდუ მდივანი და საშა გეგეჭკორი. კონფერენცია ვრცლად შეეხო ორგანიზაციულ მუშაობას და გამოიმუშავა სამოქმედო ტაქტიკა. კონფერენციის დამთავრების შემდეგ გაიმართა სხვადასხვა რაიონის წარმომადგენლების ვიწრო თათბირი, სადაც გადაწყდა აჯანყების მოწყობის საკითხი. არჩეული იქნა სამხედრო ტეხნიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით: საშა გეგეჭკორი, ბარონ ბიბინეიშვილი, დათიკო ლორთქიფანიძე და კორნელი ქაცარავა, მოქმედების დასაწყებათ მე და ლორთქიფანიძემ, რომელიც იმ ჟამად საგუბერნიო კომიტეტის მოლარედ ითვლებოდა, გადმომცა 20.000 მანეთი. აჯანყებები სოფლად იწყება. ნოე ჟორდანია ერთ თავის საპარლამენტო სიტყვაში ამ აჯანყებებს გლეხების ჩამორჩენილობით, მათი კონტრ-რევოლიუციონურ ბუნებით ხსნის და სამარცხვინოდ მარქს ენგელსაც კი იმოწმებს. საზოგადოდ მენშევიკებმა რევოლიუციას, ისინი რევოლიუციას ბურჟუაზიულ დემოკრატიულად თვლიდენ და გლეხობის როლს უარყოფდენ. ისეთმა დიდმა გლეხურმა აჯანყებებმა, როგორიც იყო დუშეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში და ხონში, მენშევიკების გაყინული შეხედულება გლეხობაზე ვერ შესცვალა.

1918 წ. დასაწყისში, როგორც ვიცით მეფის ჯარი სავსებით დაიშალა. ჯარის კაცები, იგივე გლეხები რუხ მაზარებში გახვეულნი, ბრუნდებიან სოფლებში, მათი დიდი უმრავლესობა ბოლშევიკურად არის განწყობილი.

ხონის ორგანიზაცია ძლიერია თავის ძალებით, მისი მოქმედება არ ისაზღვრება მარტო ხონის რაიონით, მას საშუალება აქვს სამოქმედო ასპარეზი გააფართოვოს. ხონის ორგანიზაცია ხელმძღვანელობს ლეჩხუმ-სამეგრელოს აჯანყებულებს. იწყება ლეჩხუმში გამოსვლები, მათ ხელმძღვანელები აკლია, ხონის ორგანიზაცია დაუყოვნებლივ გზავნის ლეჩხუმში ამხ. ამხ. იპ. ბახტაძეს და რაჟდენ ჩხენკელს, რომლებიც კავშირს აბამენ ცაგერის აჯანყებულ ამხანაგებთან. ცაგერიდან გამოგზავნილ ამხანაგ ხევცურიანის საშუალებით აჯანყებულებს უგზავნით დროშას, ფურცლებს და სხვა ლიტერატურას. ბრუნდება ამხ. იპ. მახტაძე ლეჩხუმიდან. ის ხონის და ქუთაისის ორგანიზაციებს უკეთებს ვრცელ ინფორმაციას ლეჩხუმში პოლიტიკური განწყობილების შესახებ. ამის შემდეგ ქუთაისმა გამოყო ამხ. ამხ. აფხაიძე და ამბერკი ურუშაძე, ხონიდან კი—იპ. და სევერიანე ბახტაძეები, რომლებიც მიემგზავრებიან ლეჩხუმში სამუშაოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეჩხუმი მთლიანად ბოლშევიკებს უჭერს მხარს. პირველი გამოსვლა მოხდა მენშევიკ ლევან დადიშკელიანის მკვლელობის ირგვლივ. როგორც მოგეხსენებათ მაშინდელი ქუთაისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორმა კაჩუხოვმა ლეჩხუმის მშრომელი გლეხობა კანონს გარეშე გამოაცხადა. ლეჩხუმი თითქმის ერთ წელზე მეტი აჯანყებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ასეთივე მდგომარეობა იყო ჩრდილოეთ სამეგრელოში. ხონის ორგანიზაცია მარტვილის ორგანიზაციის საშუალებით უკავშირდება სამეგრელოს. იწყება სამეგრელოში აჯანყება. მენშევიკები ცდილობენ სამეგრელოს გამოსვლები ბანდიტურათ მონათლონ. ჩვენს ორგანიზაციას აქვს თათბირი როგორი პოზიცია დაიჭიროს სამეგრელოს ხალხურ გამოსვლებში მენშევიკების წინააღმდეგ. პირველად ამბის გამოსარკვევად ვიგზავნები მე მარტვილში. აჯანყებულებს უჭირავთ სკოლის შენობები, რაზმები ვარჯიშობენ. შტაბს სხდომა აქვს, თათბირია გამრთული, თუ როგორ ვაწარმოოთ მომავალი სამხედრო მოქმედება. აქ დამხვდენ ამხ. ამხ. მიშა გეგეჭკორი, ოჩიგავა, გუდუ გაბისონია, ხარებავა და სხვიბი. მარტვილის მიდამო, მისი სახალხო სკოლა, სადაც ეხლა რევოლიუციის ცეცხლია დანთებული ჩემთვის კარგათ ცნობილია, აქ მე ათი წელი ვმასწავლებლობდი. გზადაგზა ნაცნობები მხვდებიან, კითხვებს მაძლევენ: „შემდეგ რა იქნება, როგორ უნდა მოვიქცეთ“ და სხვა. მე საუბარში ვარკვევ მათ მიერ დასმულ კითხვებს, ისინი კმაყოფილებით მომჩერებიან. მენშევიკების მთავრობა აღარ სჩანს, ჩვენს რაზმებს ესენი ადრევე გაურეკიათ, ასეთივე მდგომარეობაა ბანძაში და სხვა სოფლებში. ხალხის დიდი უმრავლესობა აჯანყებულებს მხარს უჭერს, არ უნდა მენშევიკური მოღალატე მთავრობა, რომელმაც რუსეთის რევოლიუციას უღალატა და სამარცხვინოდ გამოეთიშა. აჯანყებულთა ხელმძღვანელები სვამენ საკითხს დახმარების შესახებ, როგორც მატერიალურათ ისე ძალებით. მე ვბრუნდები ხონში, ვუკეთებ ორგანიზაციას მოხსენებას სამეგრელოს გამოსვლების შესახებ. ისმება საკითხი დახმარების შესახებ. მოხალისეთა რიცხვი დიდია, მაგრამ შემდეგ შერჩევით იგზავნება მცირე ჯგუფი კ. ბახტაძის, იპ. ბახტაძის, რ. ჩხენკელის, ვ. ბახტაძის, შალვა მდივნის და სხვების შემადგენლობით.

1918 წლის ზამთარში ამხ. ამხ. ვალია და კოლია ბახტაძეები მიემგზავრებიან ბათუმში, აქედან ტრაპეზუნდის ჯარებში სამუშაოდ. ბრუნდებიან ისევ ბათუმში, და იქ ამხ. ვალია ბახტაძის ხელმძღვანელობით გამოდის გაზეთი „მუშის სიმართლე“. ეს ამხანაგები ჩვენთან კავშირს არ სწყვეტდენ. მე მომდის ამხ. კოლია ბახტაძის ხელმოწერილი წერილი, რომლითაც ამხანაგები მაცნობებენ გადაუგზავნო მათ ბათუმში საიმედო ამხანაგები რაზმის შესადგენად. მე დავიწყე გაგზავნა ამხანაგების ბათუმში, მუშების სახით.

სათათრეთის მთავრობა მოითხოვს საქართველოს მენშევიკური მთავრობიდან ბათუმის და ყარსის გადაცემას, საქართველოს მენშევიკური მთავრობა უარყოფს ამ წინადადებას და საომრად ემზადება.

ხალხი შიშის ზარს მოუცავს. განწყობილება იცვლება. რუსეთთან და ბოლშევიკებთან შეერთების სურვილი იზრდება. მენშევიკები თავის პრესის და პროპაგანდისტ — აგიტატორების საშუალებით ათასგვარ სენსაციურ ხმებს ავრცელებენ ხალხში საბჭოთა რუსეთზე. ხშირად ასეთი პროვოკაციული ხრიკები სჭრის, მაგრამ ხალხისთვის ერთი აშკარაა, რომ საქართველოს თათრების წინააღმდეგ ბრძოლა არ შეუძლია. მდგომარეობა ძალზე რთულია. ხალხს სათათრეთი, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკულტურო და ჩამორჩენილი სახელმწიფო არ უნდა. აქ ინსტიქტი თავდაცვისა ძალზე იზრდება. იზრდება ბოლშევიკური პროპაგანდა — აგიტაცია. ჩვენ მოუწოდებთ მშრომელ ხალხს ბოლშევიკურ რუსეთთან შეერთებას, მენშევიკური მთავრობის მოსპობას და ამ გზით სათათრეთის უხეშ ძალებიდან განთავისუფლებას. ხალხის სიმპატიები ჩვენკენ გადმოდის.

ამ დროს ხონში ჩამოდის ამხ. ამხ. პარმენ ცინცაძე, ვარლამ ძნელაძე და დავით ნასარიძე. ესენი ესწრებიან ერთს ჩვენს სხდომას, რომელზედაც წყდება საკითხი, თუ როგორი მოქმედების გზას დავადგეთ ამ რთულ მომენტში. ტაქტიკური მოსაზრებით განვიზრახეთ წინადადება მივსცეთ მენშევიკურ მთავრობას, რომ გაგვიშვან ჩვენი რაზმით თათრების წინაალმდეგ. ჩვენ ღრმად ვიყავით დარწმუნებული თუ ომი დაიწყებოდა, ჯარები და ხალხი ბოლშევიკებს სავსებით მხარს დაუჭერდა. ამის დასამტკიცებელი ფაქტები მრავლად გვქონდა.

აღნიშნული სხდომის მეორე დღეს, რომელსაც ჩამოსული ამხანაგები დაესწრენ — ხონს ეწვიენ ქუთაისის მენშევიკური ორგანიზაციის მესვეურები: კაჩუხაშვილი, გოგიტა ფაღავა, შალვა მარამიძე და სხვები. იმართება დიდი მიტინგი, ხალხი დაინტერესებულია ახალი ამბებით და ახლომახლო სოფლებიდანაც კი ჩამოდის მიტინგზე დასასწრებლად. მიტინგს ხსნის მაშინდელი ხონის ქალაქის თავი ივ. ჭავჭანიძე. მენშევიკებს ეტყობათ ყველა თავის ძალების მობილიზაცია მოუხდენიათ. არც ჩვენ გვძინავს. ბოლშევიკების რიგები გამაგრებულია ჯარებიდან ახლად დაბრუნებული ახალგაზრდებით. მიტინგის თავმჯდომარეთ ასახელებენ მიხეილ ჭავჭანიძეს მენშევიკს. მაშინ ხონის გიმნაზიის დირექტორს და მეკენჭის ყრის შემდეგ ძნელი გამოსარკვევია ვინ მიიღო მეტი ხმა მე, თუ მ. ჭავჭანიძემ. ამ შემთხვევაში მენშევიკები სარგებლობენ თავის მდგომარეობით და თავმჯდომარედ ჭავჭანიძე გაყავთ. სიტყვებით გამოდიან კაჩუხაშვილი, ფაღავა, თაგუნა და სხვ. მენშევიკები. ხალხი რეპლიკებით მათ მოსვენებას არ აძლევს. პოლიკარპე ბახტაძის და ჩემი სიტყვის დროს ხალხის განწყობილება აშკარად ჩვენსკენ გადმოდის. ეხლა ფაქტიურად მიტინგის თავმჯდომარედ გადავიქეცი მე, ხალხი მენშევიკებს არ უსმენს, მე მიხდება დაწყნარება და სიტყვის მიცემა ორატორებისათვის. მენშევიკები ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ. ვიღაცამ ხალხში ხმა გაავრცელა — ბოლშევიკებს კაჩუხაშვილის დატყვევება აქვს გამზრახულიო. ხონელი მენშევიკები შეშინებული აცნობებენ თავის ჩამოსულ ამხანაგებს ამას და ურჩევენ ჩუმათ გაპარვით თავი დააღწიონ დაჭერას. მართლაც ჩვენი ყურადღება ამ წუთებში გატაცებულია მიტინგზე გამარჯვებით. როგორც აღვნიშნე მიტინგი ვევება აქვს განზრახულიო. ხონელი სიტყვებს ითხოვს, დაღამდა კიდეც. ამ დროს კაჩუხაშვილი და სხვები სამარცხვინოთ მიიპარებიან ხონიდან. ქალაქში ეტლში არ ჯდებიან, ეშინიათ არავინ დაინახოს, ჩუმად ფეხაკრეფით გადიან ქალაქ გარედ, იქ იბარებენ ეტლს და მიიპარებიან ქუთაისისაკენ. მენშევიკებმა ხალხში ნდობა სავსებით დაკარგეს.

სამეგრელოში ამ ჟამად მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს. ეხლა სამეგრელოს აჯანყებულთა ბელადად ამხ. შალვა ასკურავაა. ის თავის რაზმით დაბანაკებულია ბანძაში. მენშევიკების ჯარები აბაშიდან შეტევისათვის ემზადებიან. ამხ. შ. ასკურავა ამის შესახებ გვაცნობებს ხონელ ამხანაგებს. ხონელი მენშევიკები გვთანხმდებიან ჩვენი რაზმები გამოგვეყვანა ბრძოლის ველზე თათრების წინაალმდეგ. ისინი წინადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებას იძლევიან ქუთაისის მთავრობასთან მოლაპარაკების შესახებ, ეკითხოვენ ჩვენს წარმომადგენელს. ხონის ორგანიზაციამ გამოყო ამხ. პოლიკარპე ბახტაძე, პ. ბახტაძე და ქალაქის თავი ჭავჭანიძე მიემგზავრებიან ქუთაისში. ესენი მთელს დღეს რჩებიან ქუთაისში და ცნობას არ გვაძლევენ, როგორც გამოირკვა ხონელ მენშევიკებს არ დაეთანხმენ ქუთაისის ხელმძღვანელები. სამეგრელოში ჩვენი ჯარი კი დაუყოვნებლივ ელის პასუხს და პირდაპირი მავთულით გველაპარაკებიან: „თუ დღეს არ მოვიდა თქვენი ცნობა, ჩვენ სამხედრო მოქმედებაზე გადავალთო". ორგანიზაციის დავალებით ღამით მე მივემგზავრები ქუთაისში. დილით მე შევდივარ ქუთაისის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, აქ ამხ. პოლიკარპე ბახტაძე და სხვა ქუთაისელი ამხანაგები დამხვდენ, ამა თგადაუწყვეტიათ ტაქტიკური მოსაზრებით მიემართათ მენშევიკების სამხედრო შტაბისათვის, რომელიც ნ. ჟორდანიას, კაკი წერეთლის, გ. გიორგაძის, ევ. გეგეჭკორის, ურატაძის და სხვების ხელმძღვანელობით ქ. სამტრედიაში მოქმედებდა. ეხლა მენშევიკებს ვითომდა ბათუმის დასაცავად საოპერაციო ბაზად სამტრედია გამოეცხადებიათ. გამზადებულია წერილობითი მიმართვა დაახლოვებით ისეთივე შინაარსის, რაც ხონის ორგანიზაციამ მიიღო, როგორც ტაქტიკური მანევრი.

მაგონდება ერთი მომენტი: ქუთაისის გაზეთში ცნობაა მოთავსებული, რომ ბათომი დაეცა და თათართა ბრბოს ჩაუვარდა ხელში, თათრის ურდოები ილაშქრებენ გურიისაკენ. ცნობა თავზარდამცემი მეხივით ვრცელდება მთელს საქართველოში. ხალხი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ყველა გასაქცევად ემზადებოდა. ქუთაისის სადგურის და სოფლის გზები მიმავალ გახიზნულებით გაივსო. ამ დროს ჩვენთან ქუთაისის კლუბში შემოდიან ფედერალისტების წარმომადგენლები და წინადადებას იძლევიან ძალაუფლების ალების შესახებ. ჩვენ უნდობლობის თვალით შევხედეთ მათ და უარით უპასუხეთ. დღის 12 საათამდე ქუთაისი საშინელ მდგომარეობას განიცდიდა. შუადღისას კაჩუხაშვილი უშვებს ცნობას, რომ ბათომი ჩვენ ხელშია და ჩვენი გენერლები მაზნიევი და კონიევი იბრძვიან ბათომის ფრონტზე, როგორც ლომებიო. ხალხში ამ აშკარა სიცრუემ სიმშვიდე ჩამოაგდო. ფედერალისტები და სხვა მათი ამყოლ დამყოლნი აღნიშნული ცნობით მიჩუმდენ და ეხლა სხვა ჰანგზე დაიწყეს ლაპარაკი.

ქუთაისის ბოლშევიკების საგუბერნიო კომიტეტი კი თავის გზით განაგრძობს მუშაობას. სამტრედიაში მენშევიკურ შტაბთან მოსალაპარაკებლად ვიგზავნებით საგუბერნიო კომიტეტის დავალებით ამხ. კანდელაკი, პ. ბახტაძე, და მე. აღნიშნული წერილობითი მიმართვა თან მიგვაქვს. ვინახულეთ ნ. ჟორდანია, ვასომ გადასცა წერილი, ის ვითომდა გვეთანხმება და აძლევს განკარგულებას ურატაძეს მიეწერა კაჩუხაშვილისათვის წერილი ბუდუ მდივნის და საშა გეგეჭკორის განთავისუფლების შესახებ. იმ ჟამად ბუდუ მდივანი და საშა გეგეჭკორი მენშევიკებს დატყვევებული ყავდათ ქუთაისის ციხეში. ურატაძემ წერილი დაწერა და ვასო კანდელაკს გადასცა. ვასო ამ წერილით ქუთაისში დაბრუნდა. წერილი, როგორც შემდეგ გავიგე, ორჭოფული ხასიათის ყოფილა და ჩვენებს არც კი გადაეცათ კაჩუხაშვილისათვის.

სამტრედია სხვა და სხვა კუთხიდან ჩამოსული ხალხით არის სავსე. მე და პოლიკარპე ბახტაძე ცოტა ხნით დავრჩით სამტრედიაში. მე ამ დროს გამომიძახა სამხედრო მინისტრმა გ. გიორგაძემ, ჩემთან მას ვითომც რაღაცაზე მოლაპარაკება სუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდა. მე ბრონევიკში მიმიპატიჟეს. შემოდის გიორგაძე, მას ვიღაც სამხედრო პირი ახლავს, ეს უკანასკნელი გამეცნო: „პალკოვნიკი კონიევი გახლავართ“. მე გაოცებით შევხედე, მაგრამ ლაპარაკის დრო უკვე აღარ იყო. „ბრონევიკი“ სავსეა მენშევიკებით, აქ სავსებით აშკარა გახდა სიცრუე იმ დეპეშის, რომელიც ბათომის ფრონტზე ბრძოლის შესახებ მოთავსებული იყო ქუთაისის გაზეთში.

გიორგაძე წინადადებას მაძლევს წავსულიყავი აბაშაში და გამეგო, თუ რა ხალხია სამეგრელოს გამოსვლებში რომ მონაწილეობს. მე კატეგორიული უარი განვუცხადე, მაგრამ აქ უკვე ძალადობას აქვს ადგილი და დაპატიმრებული ბრონევიკით მივყავარ სამტრედიიდან აბაშაში. აქ კიდევ იმართება თათბირი. მენშევიკებიდან ჩემთან მოლაპარაკებას აწარმოებს ვლადიმერ ჯიბლაძე და მაღნარაძე გენერალ კონიევის თანდასწრებით. ეხლა უკვე მეორე ამბავი გამოაშკარავდა. გენერალი კონიევი ბათომის ფრონტს კი არ იცავს, არამედ ფრონტი ბანძის ბოლშევიკების წინააღმდეგ აქვს გაშლილი.

ჯიბლაძე წინადადებას იძლევა, თუ ბოლშევიკები ბანძაში დაბანაკებულ ჯარებს გამოიყვანიბენ, ბუდუს და საშას გავანთავისუფლებთო. აქ აშკარა იყო, რომ მენშევიკები სტყუოდენ, მათი განზრახვა ჩემთვის გასაგები იყო. ამით უნდოდათ უბრძოლველად დაემარცხებიათ ბოლშევიკური რაზმები. მე წინადადებას, წავიდე ბანძაში, ვიღებ. მოვნახე აბაშელი ამხანაგები გ. თოფურია, ვანო კვანტალიანი და სტუდენტი თირანგიშვილი. ამათი თანხლებით ღამით ეტლით გავემგზავრე ბანძისაკენ. ჯერ მენშევიკების პატრულებია, თანამგზავრი პაროლით ელაპარაკება და გზას გვაძლევენ. გავიარეთ მენშევიკების ბანაკი და გადავედით ნეიტრალურ ზონაში. აქ უკვე მენშევიკების „წარმომადგენელი“ დაგვშორდა და ჩვენ მივდივართ ბოლშევიკების ბანაკისკენ. ნამდვილი ბრძოლის ველია.

შევედით ბოლშევიკურ ბანაკში. გაისმა თოფების „ჩხიკ“ — ვინ ხართ; სად მიდიხართ? გაჩერდით“. ჩვენ ეტლი შევაჩერეთ, ვუძახით: „ბოლშევიკები ვართ. მათ არ სჯერათ, ჩასაფრებულნი არიან, ჩვენ ვარწმუნებთ — მანდატებიც მოვიმარჯვეთ. ბოლოს ერთი გამოეყო ჩასაფრებულებს და ფრთხილად ჩვენსკენ მოიწევს, ჩვენ მხიარული სიცილით, ძახილით ვამხნევებთ, რომ მოვიდეს ახლოს, დაბოლოს რწმუნდება, რომ ჩვენ ბოლშევიკები ვართ, ჩამოჯდება ჩვენთან ეტლში და მოგვყვება, დანარჩენები კი რჩებიან თავის სადარაჯოზე, გზაზედ პატრულები, აქაც პაროლის საშუალებით გავდივართ. ჩავედით ბანძაში. შტაბი ბანძის ორკლასიან სკოლაშია მოთავსებული. მე შ. ასკურავას პირადათ პირველად აქ ვეცნობი: ბოლშევიკური რაზმები საგრძნობლად გაზრდილა ბათომის ფრონტის დაშლით. უკვე ორი ათას კაცამდეა შეიარაღებული. ხალხში დიდი ენტუზიაზმია. სოფლის მშრომელი გლეხკაცობის სიმპატია ბოლშევიკ რაზმელების მხარეზეა. ყოველი ოჯახი თავის ვალად სთვლის სურსათ - სანოვაგე უზიდოს აჯანყებულებს, რომელთაც მშრომელთა ინტერესების დასაცავად იარაღი აუღია და საომრადაა გამზადებული მოღალატე მენშევიკების წინააღმდეგ. ერთი სასკოლო ოთახი სავსეა გლეხების მიერ მოზიდული ქათმებით, კვერცხებით, თამცხვარ მჭადებით და სხვა. აქვე დამხვდენ ხონელი ამხანაგები ვალია ბახტაძე, კოწია ჭავჭანიძე, გერასიმე ჩხენკელი, კოლია, იპოლიტე და კორნელი ბახტაძეები. მათ გაიგეს ჩემი ძალით წაყვანა მენშევიკების მიერ და შეიარაღებული ბანძაში დამხვდენ. მე ამხ. შ. ასკურავას გავაცანი მდგომარეობა. ჯარების გამოყვანაზე ის კატეგორიული წინააღმდეგია და ბრძოლას მოითხოვს. მე გადავეცი ცოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული და მენშევიკების წინადადება უარვყავით. ძნელი წარმოსადგენია აჯანყებულთა სიხარული და პატივის ცემა მოსულ ამხანაგებისადმი; კ. ქავჭანიძე ყუმბარებით შეიარაღებული, ვალია თავისი მჭერმეტყველური გამოსვლებით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ აჯანყებულებზე და უაღრესად ამხნევებენ მათ.

ჩვენ ბანძიდან დავბრუნდით ხონში, სადაც ძალაუფლება უკვე ბოლშევიკების ხელშია და ჩვენი იქ ყოფნა აუცილებელია. ჩვენ კომიტეტს ეხლა დღე და ღამე არ სძინავს, ქალაქს იცავს რაზმი სევერიან ბახტაძის და ნ. გვაზავას ხელმძღვანელობით.

ამის შემდეგ ვალიკო ჯუღელი იწყებს ბანძის ბოლშევიკ აჯანყებულების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებას, ზარბაზნებს უშენს სამეგრელოს მშრომელ მოსახლეობას. ჩვენი რაზმები კი მხოლოდ ვინტოვკებით არიან შეიარაღებული. ბოლშევიკური რაზმები ამხ. შ. ასკურავას ხელმძღვანელობით იძულებული ხდება ნოქალაქევისაკენ დაიხიოს, შემდეგ კი ნაწილობრივ დაიმალა და ნაწილი ჩრდილო კავკასიაში გადავიდა შ. ასკურავას ხელმძღვანელობით, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებდენ დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ამხანაგები გადმოგვცემენ, ამხ. შ. ასკურავა მოღალატურად მოკლეს პერტოვსკში უკან დახევის დროს.

ხონში რამოდენიმე დღის შემდეგ იძულებული შევიქენით ძალაუფლებაზე ხელი აგვეღო. მენშევიკები ფეხს იმაგრებენ, რაზმებს აყალიბებენ, ჯუღელი გამარჯვებას ზეიმობს და ყველა აჯანყებულ კუთხეებს, როგორც ვიცით ცეცხლით და მახვილით იმორჩილებს. ხონშიც ჩამოიყვანეს დამსჯელი რაზმები. ჯერ ჩვენ კლუბს კეტავენ. მცველებს აყენებენ ხონის ყველა ქუჩებზე, განსაკუთრებით იცავენ ჩვენს ბინებს. მდგომარეობა ჩვენი ცუდია. ვეძებთ გამოსავალს.

ამ დროს ცნობა მოგვდის, რომ სოხუმი ბოლშევიკების ხელშია. სოხუმის მენშევიკური მთავრობა მათ დატყვევებული ყავთ. ინფორმაცია ძალზე სუსტია. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოხუმს რუსეთთან კავშირი აქვს, სანამ აჯანყება სავსებით ჩაქრებოდეს საქართველოს სხვა კუთხეებში საჭიროა სოხუმის პოზიცია გავამაგროთ. ამ გზით ვფიქრობთ დაუკავშირდეთ მოსკოვს და შემდეგ შემოუტიოთ ეხლა გაბატონებულ მენშევიკებს. მოკლე თათბირის შემდეგ ეს გადაწყვეტილება მივიღეთ. გამოვყავით ამხ. ამხ. ვალია და კოლია ბახტაძეები სოხუმში გასაგზავნათ და ჩვენი გადაწყვეტილება ვაცნობეთ ქუთაისს. მათ არ ვიცი , ასეთი გადაწყვეტილება ადრევე მიეღოთ, თუ შემდეგ, ხოლო ეს კი ვიცი, რომ ჩვენ მიერ არჩეულ გზას ისინიც დაადგენ და გამოყვეს ამხანაგები სოხუმში გასაგზავნათ. ყველა ეს ამხანაგები გაემგზავრენ სოხუმის ფრონტზე. რამდენიმე დღის შემდეგ მოდის ცნობა, რომ მათთვის საჭირო იყო პულიმიოტჩიკები დაახლოვებით ას კაცამდე. წინადადება სასწრაფოთ იქნა შესრულებული. შეიკრიბა მოხალისეების ჯგუფი ხონში, დანარჩენების შეკრება კი დაევალა სამეგრელოში ამხ. ამხ. გუდუ გაბისონიას და სოლომონ ხარებავას. სპეციალურად ამ საქმის ხელმძღვანელად სამეგრელოში ხონიდან გაიგზავნა ამხ. იპ. ბახტაძე. მოხალისეების პირველი წყება 50 კაცამდე ჯვარის გზით გადავგზავნეთ სოხუმში. ჩვენ მიერ გაგზავნილი პულიმიოტჩიკები სოხუმს რომ მიუახლოვდენ ვ. ჯუღელის რაზმმა დაატყვევა და იქიდან მხოლოდ ერთ ამხანაგს მოეხერხებია გამოქცევა და მოვიდა ჩემთან ხონში და მიამბო ტყვეობაში ჩავარდნის ამბავი. რით დასრულდა სოხუმის გამოსვლა ყველამ კარგათ ვიცით და სიტყვას არ გავაგრძელებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკები ვითომ მაგრდებიან, მაგრამ ხალხში მათდამი სიძულვილი თანდათან იზრდება. 26 მაისი 1918 წელი, ეს მენშევიკების ნაციონალური სულისკვეთების გამომჟღავნების დღეა.

ციხიდან პირობით განთავისუფლებული ამხ. საშა გეგეჭკორი ახერხებს ქუთაისიდან გაპარვას და ჩამოდის ხონში. ამხ. საშას გადაწყვეტილი აქვს განაახლოს მიჩუმებული აჯანყება, რომლის ნაწყვეტები აქა-იქ ჯერ კიდევ მოქმედობენ მიუხედავად მენშევიკების გაწიწმატებული მოქმედებისა. ამხ. საშას ხონში ვაძლევთ რამოდენიმე შეიარაღებულ ამხანაგებს და მათი თანხლებით მიემგზავრება სამეგრელოში. მას სამეგრელოში ხვდება ამხ. ამხ. მიშა გეგეჭკორი, ი. ბახტაძე, გუდუ გაბისონია და სხვები. ამხ. საშა თავს უყრის გაფანტულ ჩვენს რაზმელებს, იღებს მთელ რიგს სამეგრელოს სოფლებს და დიდ საშიშროებას უქმნის მენშევიკურ მთავრობას. დამარცხებული მენშევიკები ტოვებენ მარტვილს და სხვა სოფლებს და თავისი რაზმებით ჩამოდიან ხონში. ხონში ამ დროს სასტატო სემენარიის შენობაში მენშევიკების დამსჯელი რაზმია დაბანაკებული.

საშა და მიშა გეგეჭკორები ჩემთან აბამენ კავშირს მიშას მამის საშუალებით, ეს უკანასკნელი მელიტონ გეგეჭკორი, მღვდელია და მასზე ეჭვის აღება ძნელი იყო. მას მიაქვს ხონიდან ცნობები და ფულადი დახმარება ჩვენი რაზმებისათვის. ერთი ჩამოსვლა მღვდელს მელიტონ გეგეჭკორს მოუხდა მაშინ, როცა მარტვილიდან გამორეკილი მენშევიკები ხონში იყვენ. მას როგორც მახსოვს გადავეცი საშასთვის მისატანათ ხუთი ათასი მანეთი. მან ეს ფული ჩექმის ყელში ჩაიდო და წავიდა ჩემგან. ცოტა ხნის შემდეგ მეც წავედი სახლიდან, რომ მიუახლოვდი სასტატო სემინარიის შენობას, დავინახე მღვდელი მელიტონ გეგეჭკორი დაეჭირათ და მიყავდათ თავიანთ შტაბში. მე იმ წუთში მივხვდი, რომ მას უჯაშუშეს, რომ ჩემთან იყო ბინაზე და ამიტომ დაატუსაღეს. ამ დროს ბაღში დავინახე მარტვილელი მენშევიკები პეტრე ჭალაგანიძე და თედო სართანია, მათ მე დაუწყე მტკიცება, რომ მღვდლის დატყვევება არ იყო მათთვის კარგი და ვთხოვე მიეღოთ მღვდლის გასათავისუფლებლად ზომები. დამეთანხმენ და მღვდელი გაანთავისუფლეს. მელიტონი განთავისუფლების შემდეგ გაემგზავრა მარტვილში და ფულიც ჩააბარა საშას.

აჯანყების გაგრძელება შეუძლებელია. ამიტომ საშას მიეცა წინადადება იმ რაზმელებთან ერთად, რომელთაც ლეგალურად ცხოვრება არ შეეძლოთ გადასულიყო რაჭა - ლეჩხუმით ჩრდილო კავკასიაში, სადაც იმჟამად ძალაუფლება ბოლშევიკების ხელში იყო.

გორდში ამხ. საშას და მიშა გეგეჭკორს შეუერთდა კოწია ჭავჭანიძე, რომელიც ყაზბეგთან შეტაკების დროს სასიკვდილოთ დასჭრეს მენშევიკებმა. გორდიდან რაზმი საშამ ლეჩხუმში გადაიყვანა. აქედან გადაიარა რაჭა და მამისონის უღელტეხილით გაემგზავრა კავკავში. ლეჩხუმში ამის შემდეგაც გრძელდება აჯანყება სანდრო ქაჯაიას და ოჩიგავას ხელმძღვანელობით. ამ ამხანაგებთანაც ქონდა ხონის ორგანიზაციას კავშირი.

1918 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში მენშევკიურმა მთავრობამ დაატყვევა ყველა ხონის ხელმძღვანელი ამხანაგები, გარდა რამოდენიმე კაცისა, რომლებიც შემთხვევით გადარჩენ დატყვევებას. ციხეში ხონის ორგანიზაციიდან ვიჯექით ამხ. ამხ. პ. ბახტაძე, გიორგი ბახტაძე, კორნელი ბახტაძე, გერასიმე ჩხენკელი, რადიონ ძიძიგური და მე. მოგვათავსეს ქუთაისის ციხეში. აქედან ნაწილი ამხანაგების პ. ბახტაძე, გერასიმე ჩხენკელი და კორნელი ბახტაძე გადაიყვანეს მეტეხის ციხეში. გერასიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩხენკელი, ციხიდან განთავისუფლების შემდეგ არ გასულა ერთი კვირა დაემართა სიპნოი ტიფი და გარდაიცვალა. ამგვარად მენშევიკურმა რეჟიმმა იმსხვერპლა ერთი საუკეთესო ბრძოლებში გამოცდილი მტკიცე მებრძოლი ბოლშევიკი ამხ. გერასიმე ჩხენკელი.

ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ჩამოვდივარ ხონში. ორგანიზაცია დანგრეული იყო. მე ვინახულე ამხ. ლადო ნადარეიშვილი, მოვილაპარაკეთ მომავალ მუშაობაზე და საჭიროდ ვსცანით სანამ დაჭერილ ამხანაგებს გაანთავისუფლებდენ შეგვადგინა დროებითი სამოქმედო კომისია. სხვათა შორის ამ კომისიაში განვიზრახეთ შეგვეყვანა ახალგაზრდა მაშინ ბოლშევიკი ზოსიმე ჩახვაძე, ამ დროს მიმდინარეობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. ზოსიმემ ჩვენი განზრახვები არ იცოდა, ის უკვე აშკარა მენშევიკის სახით პირველ ნომრით ზურგზე მენშევიკური გამარჯვებით გატაცებული დარბის ცხენით ხონის ქუჩებში. ჩვენდა საბედნიეროდ და მის საუბედუროდ მან ორგანიზაციის არალეგალური მუშაობის საიდუმლოებანი არ იცის და ჩვენც დაზღვეული შევიქენით მუშაობის გამოაშკარავებისაგან. ზემოდხსენებული კომისია შემდეგი ამხანაგებისაგან ჩამოყალიბდა: ლ. ნადარეიშვილი, კოწია წვერავა, ლ. ზერაგია და სხვ. მენშევიკური რეაქცია თანდათან ძლიერდება, რაც დრო გადის ჭერქვეშ მუშაობა თანდათან ღრმავდება. 1919 წელს ამხანაგები ციხიდან დაბრუნდენ. ამის შემდეგ მენშევიკები ჩვენ რამოდენიმეჯერ გვაპატიმრებენ. 1919 წლის შემოდგომისათვის მზადდება აჯანყება, მიუხედავად იმისა, რომ დენიკინის ჯარები მოსკოვს უახლოვდება და ხალხში საშინელი რეაქცია იქმნება, ჩვენმა პარტიამ შესძლო აჯანყების დაწყება. ეტყობოდა მენშევიკებმა ცნობა მიიღეს ჩვენი გამოსვლების შესახებ და მთელი ხონის ორგანიზაციის ხელმძღვანელები კიდეც დაგვაპატიმრეს აჯანყებისათვის დანიშნულ ღამეს. დაპატიმრებული ვიყავით: ლადო ნადარეიშვილი, პოლიკარპე, გიორგი, სევერიანე და სერგო ბახტაძეები, კოწია წვერავა და მე. მიუხედავად ჩვენი დაპატიმრებისა გამოსვლები მაინც მოხდა ზოგიერთ ხონის რაიონის სოფლებში. მაგ. სოფ. გუბში, ხარაბაძის, გ. სვანიძის, ბარნაბა ეძგვერაძის და სხვების ხელმძღვანელობით სოფ. ხონში მიმავალი ფოსტა დააკავეს. ეს გამოსვლები, როგორც ვიცი,თ მენშევიკებმა მალე ჩააქრეს, მაგრამ მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა, როგორც რევოლიუციონურ აქტს ხალხში ბრძოლის უნარის ასაწევად.

ჩვენ გამოსვლების ჩაქრობის შემდეგ ვიქენით განთავისუფლებული. უნდა აღინიშნოს, რომ მენშევიკები თავის ბატონობის დროს ხშირად გვიმასპინძლდებოდენ ,დაჭერით. 1920 წელში დააპატიმრეს ამხ. ამხ. ლ. ნადარეიშვილი და კოწია წვერავა, რომელთა მუშაობის შესახებ მენშევიკებს ჩაუვარდათ საბუთები. ერთხელ მე თეატრში დამატყვევეს, რამაც **ხალხში** დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ამავე წელს გაზაფხულზე დაიდო საქართველოს და მოსკოვს შორის შეთანხმების ხელშეკრულება, რის გამო დატყვევებული ამხანაგები გაანთავისუფლეს და პარტიას ნახევრად ლეგალური მდგომარეობა მიეცა. იმართება გაფართოებული პარტიული კრება, ამ კრებას ესწრებიან ციხიდან ახლად განთავისუფლებული ამხანაგები და მათ შორის ამხ. ვალია ბახტაძეც. კრებამ მოისმინა მოხსენება პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და აირჩია ახალი რაიონული კომიტეტი. მოქმედება ახალი კომიტეტისათვის ძნელი იყო, მენშევიკების მიერ შექმნილი პირობების გამო, მაგრამ კომიტეტი მაინც აწარმოებს ენერგიულ მუშაობას. ერთი ფრიად შესანიშნავი მომენტი ამ კომიტეტის მოქმედებაში იყო საშა წუ-

ლუკიძის გარდაცვალების 15 წლის თავის მოწყობა. წინადადება მივიღეთ ჩვენ ცენტრალურ კომიტეტიდან საშა წულუკიძის გარდაცვალების 15 წლის აღნიშვნის შესახებ ხონში. მაშინდელ ჩვენს გაზეთში „საქართველოს კომუნისტში“ მოთავსებული იყო ამხ. ფილიპე მახარაძის და სხვების წერილები საშას ხსოვნისათვის მიძღვნილი.

ივნისის რომელ რიცხვებში არ მახსოვს, ინიშნება საშას საფლავზე სამოქალაქო პანაშვიდი, ხალხი გამოწვეულია ხონის რაიონის ყველა სოფლებიდან. ამხანაგებს მოველით ტფილისიდან, ქუთაისიდან, გურიიდან და სხვა ადგილებიდან. მენშევიკური მთავრობა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს ჩვენს მოქმედებას, მაგრამ პანაშვიდის აკრძალვას ვერ ბედავს.

ხონის ორკლასიან სასწავლებელში გვქონდა მოთავსებული ჩვენი კლუბი. დილით სანამ ამხანაგები ჩამოვიდოდენ ჩვენ კლუბში ვართ თავმოყრილი, ხალხი ძლიერ სუსტად მოდის, ვგზავნით ამხანაგებს ამბის გასაგებად, თუ რაშია საქმე. ირკვევა, რომ მენშევიკებს ხონის რაიონის ყველა კუთხეში დაუნიშნავთ კრებები იმ დროისთვის, რომელზედაც დანიშნული იყო პანაშვიდი. მენშევიკები კრებაზე ხალხს იძულებით მიერეკებიან, ჯარიმით ემუქრებიან და სხვა. მაგრამ ამ დროს ხონში ბლომად იყვენ ჩამოსული სეზონური თოხის მუშები სამეგრელოდან და ლეჩხუმიდან, ჩვენ გავგზავნეთ მათთან ამხანაგები და ვაცნობეთ, რომ ბოლშევიკები ჩამოდიან, დღეს აქ დიდი მიტინგი გაიმართება და თქვენ აუცილებლად უნდა დაესწროთ. ეს ხალხი ბოლშევიკებს კარგად იცნობდენ და როგორც კი ჩამოვიდნენ ამხანაგები, სკოლის წინ აუარებელმა თოხიანმა მუშებმა მოიყარეს თავი.

ჩამოსული იყვნენ: ფილიპე მახარაძე, მამია და მარიამ ორახელაშვილები, მიშა ოკუჯავა, ანდრო ფირცხალავა, შამშე ლეჟავა, დავით ლორთქიფანიძე, კაპიტონ კალანდაძე, მაქსიმე კვერნაძე და სხვები.

პროცესია სასაფლაოსაკენ დაიძრა, ხალხი გზა და გზა ბლომად ემატებოდა. გაიმართა ვეებერთელა მიტინგი ქარჩხაბის სასაფლაოზე, სადაც საშა წულუკიძე ასაფლავია. მიტინგის გახსნა და შესავალი სიტყვის თქმა დამევალა მე, როგორც რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს. შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძემ, მამია ორახელაშვილმა, ანდრო ფირცხალავამ და სხვებმა. ქუთაისის მილიციის ხელმძღვანელმაც არ დაგვტოვა უყურადღებოთ და როდესაც მე სიტყვას ვამბობდი, ავტოთი მოვიდა სასაფლაოზე მაშინდელი მენშევიკების მილიციის უფროსი ირაკლი ახვლედიანი, რომელმაც ყურადღებით მოისმინა ჩვენი სიტყვები და შემდეგ დაათვალიერა 1905 წლის წითელი დროშა, რომელზედაც მოთავსებული იყო საშა წულუკიძის სურათი და ძველი წარწერა: „გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შეცვლილი იყო „გაუმარჯოს საბჭოებს!“

დასრულდა სამოქალაქო პანაშვიდი. ჩამოსულ ამხანაგებისათვის გაიმართა სადილი, სადაც ამხანაგებს მიეცა საშუალება აზრთა გაცვლა-გამოცვლის. რომ მენშევიკური მთავრობის ეკონომიური მდგომარეობა ძალზე სუსტი იყო, ეს იქედანაც სჩანს, რომ მასწავლებლებს ჯამაგირები, რომლის რაოდენობა დაახლოვებით 4-5 ფუთი სიმინდის ფასს ძლივს უდრიდა. თავის დროზე ვერ მისცეს და ხონის რაიონში ჩვენი ხელმძღვანელობით მასწავლებელთა კავშირმა გამოაცხადა გაფიცვა. დაიკეტა სკოლები და მოწაფეები დაახლოვებით ერთი კვირის განმავლობაში სკოლაში არ დადიოდნენ.

ახლოვდება 1921 წელი. მენშევიკები ძალზე შეწუხებული და აღელვებული არიან. ცდილობენ არ გაამხილონ საქმის ვითარება, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენ ხანს დამალავენ, მათი ალსასრულის დღე დადგა. ბოლოს იძულებული ხდებიან გაამხილონ დაფარული საქმე, მენშევიკები ყოვლად უსინდისო ხასიათის პროვოკაციებს ავრცელებდენ, ზოგჯერ დედაკაცურ ჭორიკანობასაც მიმართავდენ: „ბოლშევიკურმა ბანდებმა საქართველოს საზღვრები გადმოლახეს, ჩვენი დამოუკიდებლობის გათელვას ლამობდენ — მაგრამ ამას ისინი ვერ შესძლებენ“ და სხვა. ხონის მენშევიკური მთავრობა გვიბარებს მე და პოლიკარპე ბახტაძეს და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გვაყენებს. გვევალება ყოველ დღე გამოვცხადდეთ მათ მილიციაში. რამოდენიმე დღის შემდეგ ყველა აქტიურ ბოლშევიკებს გვაპატიმრებენ. დაგვიჭირეს ლადო ნადარეიშვილი, პოლიკარპე, ბიჭიკო, სევერიანე და სერგო ბახტაძეები, ლადო და სერგო ზერგაიები, ალექსანდრე ქუთათელაძე, გ. ტაბიძე, რადიონ ძიძიგური, ბარნაბა ეძგვერაძე, გურგენიძე მე და სხვები. ხონიდან დაჭერილები ჯერ ქუთაისის დიდ ციხეში ადგილის უქონლობის გამო პატარა ციხეში მოგვათავსეს. აქ სხვათა შორის გავეცანით ივანოვს, რომელიც მენშევიკებმა მარდალეიშვილთან ერთად ქუთაისიდან გაქცევის დროს ჯერ აწამეს და შემდეგ დასწვეს.

ქუთაისიდან მე, ლადო ნადარეიშვილი, პოლიკარპე, ბიჭიკო, სევერიანი და სერგო ბახტაძეები და რადიონ ძიძიგური სხვა ამხანაგებთან ერთად გადაგვზავნეს ბათომის ციხეში. ქუთაისის ციხიდან ერთი დიდი ნაწილი ამხანაგების ადრე გამოგვიყვანეს და წაგვიყვანეს ქუთაისის რკინის გზის სადგურში. დანარჩენი ამხანაგები კი მეორე დღეს გადაგვზავნეს. სადგურში ჩვენ მთელი დღე დავრჩით, აქ ცნობა მივიღეთ, რომ ჩვენი ჯარები, თუ ლამით არა მეორე დღეს მაინც შემოვლენ ქუთაისში, თუმცა ეს ცნობა შემდეგ არ გამართლდა და ქუთაისში ჩვენი ჯარების შემოსვლა კიდევ რამოდენიმე დღე და აღგვიანდა. ჩვენ განვიძრახეთ ერთი დღით დარჩენა და იქვე მდგომ ციხის ინსპექტორ ს. ჯორბენაძეს გადავეცით მოხსენება მისი მთავრობისათვის, რომ უკვე დალამდა და ჩვენი ბათომში გამგზავრება საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან შესაძლებელია ვინმემ ჩვენდამი მტრულად განწყობილმა, რაიმე პროვოკაცია მოაწყოს და ჩვენი დალუპვა არ იქნება მენშევიკებისათვის კარგი. და თუ შესაძლებელი იქნება დაგვტოვონ ერთი დღით ქუთაისში. ჯორბენაძემ ჩვენი წინადადება დაუყოვნებლივ გადასცა მთავრობას, რომელიც იქვე ვაგონში იყო მოთავსებული. არ გასულა რამოდენიმე წუთი, ვხედავთ მოდის ბენია ჩხიკვიშვილი, რომელიც მოვარდა ჩვენთან ქუჩური ლანძღვა გინებით, ვინ იცის რა არ გვიწოდა; ყაჩაღები, ბანდიტები და სხვა. ჩვენ სიჩუმით უპასუხეთ, ვინაიდან მას მოყვა შეიარაღებული გვარდიელები, რომელთაც ვინტოვკები გამართული ეჭირათ და უბრალო მიზეზს ეძებდენ სროლის ასატეხათ. ბენია მივარდა იქვე ფერდობზე წამოწოლილ სერიოჟა ქავთარაძეს და წინადადება მისცა ეხლავე წასულიყო ვაგონში, სიმონ ჩიხლაძეს კი სცემა და ისე აიძულა წინ ვაგონისაკენ. ამის შემდეგ მოგვეცა ვაგონები და საჩქაროთ გაგვამგზავრეს ბათომისაკენ. მენშევიკები დაიბნენ, ჩვენი მცველები გზიდან იხსნებოდენ და ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა გაქცევა მოახერხა. ჩაგვიყვანეს ბათომში და მოგვათავსეს ბათომის ნესტიან ციხეში. მე აქ მძიმე ავად შევიქენი. ციხეში დავრჩით 13 მარტამდე. მენშევიკებმა დასტოვეს საქართველო და ბათომი ქემალს გადასცეს. გამოვდივართ ბათომის ციხიდან და მივეშურებით სადგურისაკენ, მაგრამ ქალაქს ქემალის ჯარები იკავებს. ჩვენ საბრძოლველად ვემზადებით, სადგურში იარალი ვიშოვეთ, ვადგენთ რაზმებს და ქალაქს ვიცავთ. აქ ჩვენ

გვიერთდება გენერალი მაზნიევი და ის მეორე ოოქს ახალად შემდგარი რაზმების საშუალებით ბრძოლას უმართავს ქემალისტებს. ქემალისტებმა მაინც შესძლეს: ფოსტის, ქალაქის თვითმმართველობის და სხვა ზოგიერთი ადგილების დაკავება ქალაქში. მაგარმ შემოდის წითელი ჯარი ამხ. ჟლობას ხელმძღვანელობით. ქემალისტებს წინადადებას აძლევს დასტოვონ ბათომი და ისინი უომრად სტოვებენ ქალაქს.

19 თუ 20 მარტს, როგორც მაგონდება ვბრუნდებით ხონში. ხალხი აღფრთოვანებული გვხდება, იმართება მიტინგი. ჩვენ სიტყვებით გამოვდივართ. ქალაქს რევოლიუციონური კომიტეტი განაგებს. ჩვენი დაბრუნების შემდეგ ხდება რევკომის ახალი არჩევნები და ამგვარად მთელი ბოლშევიკური ხონის ორგანიზაცია ებმება პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება - გამაგრების სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

დღეს ვდღესასწავლობთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავს. ვზეიმობთ უდიდეს გამარჯვებას გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. ჩქარი ტემპით იზრდება მძიმე ინდუსტრია. ვახდენთ კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციას მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე. ვასრულებთ ხუთწლედის ოთხ წელში. ვემყარებით რა წარსულ მიღწევებს გამწვავებული კლასიური წინააღმდეგობის და ორ ფრონტზე ბრძოლით მივდივართ წინ სოციალიზმ-კომუნიზმის გზით.

კ. ქაცარავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტფილისის რკინისგზელები მენშევიკების დროს

(მოგონება)

როდესაც იმპერიალისტურმა ომმა იფეთქა და მენშევიკების გამცემლური პოლიტიკა ჩვენთვის აშკარა შეიქნა. მე მათ ჩამოვშორდი. პირველად მუშაობა დავიწყე რკინის გზის დეპოსა და მთავარი სახელოსნოების ბოლშევიკურ უჯრედში. უჯრედში ამ დროს ცოტა იყო წევრები. ჩემთან მუშაობდნენ: ამხ. სტეფანე ზაქრაძე, გიორგი ჩხეიძე, არაქელა ოქუაშვილი, საშა იმბოლაძე, ლადო ქავთარაძე, პარმენ საბაშვილი, იონადი, გავა, იოსებ მორჩილაძე, ლევან აზრუმელაშვილი, ზურაბ ნამურაძე და სხვები. რკინის გზის დეპოს და სახელოსნოების მუშები ამ დროს მოქცეული იყვნენ მენშევიკების გავლენის ქვეშ და ბოლშევიკებს ახლო არ იკარებდნენ და ყოველმხრივ ავიწროვებდნენ. მენშევიკები დაუზოგავად სდევნიდნენ ბოლშევიკებს და არსად გასაქანს არ აძლევდნენ. იმ უჯრედს, რომელშიაც მე ვმუშაობდი, მიზნად ჰქონდა დასახული რკინის გზის დეპოს და მთავარი სახელოსნოების მუშები თანდათანობით ჩამოეშორებინა მენშევიკებისათვის. როდესაც ჩვენ დავიწყეთ მუშაობა რკინის გზის დეპოში და მთავარ სახელოსნოში, რკინის გზის მუშების მდგომარეობა აუტანელი იყო. რკინის გზის ტრანსპორტი მოშლილი იყო, მიმოსვლა მატარებლების არანორმალურად სწარმოებდა, პაროვოზები დამტვრეული და გაფუჭებული იყო, ორთქლმავალს ნედლი შეშით და ცუდი ხარისხოვანი ნახშირით ახურებდნენ, მატარებელი კვირაობით იყო გაჩერებული გზებზე და გაწამებული იყვნენ, როგორც რკინის გზის მუშები, ისე მგზავრები. ტფილისიდან მატარებელს ბათომამდე ხშირად ერთი კვირა და მეტიც აგვიანდებოდა, რკინის გზის მუშებს ამ დროს ძალიან მცირე ჯამაგირს აძლევდნენ და ხშირად ამ მცირე ჯამაგირსაც მუშები თავის დროზე ვერ ღებულობდნენ. რკინის გზის მუშები იმ დროს ნახევრად მშიერი და შიშველ-ტიტვლები იყვნენ. გაწამებულმა რკინის გზის მუშებმა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს გაფიცვებიც კი გამოაცხადეს. იმის გარდა, რომ ზემოაღნიშნული გარემოება ხელს გვიწყობდა მუშები ბოლშევიკებს მოგვმხრობოდა, მუშების ჩვენს მხარეზე მასიურად გადმოსვლის საქმეს ხელი შეუწყო აგრეთვე ამიერ-კავკასიის დაშნაკელების, მენშევიკების და მუსავატელების სალაყბოს (სეიმის) გახსნის დღეს **ალექსანდროვის** ბაღში კომუნისტების მოწყობილ მიტინგზე მენშევიკების მიერ შეიარაღებულმა თავდასხმამ. ამ მიტინგზე ჩვენი უჯრედის თაოსნობით რკინის გზის დეპოდან და მთავარ სახელოსნოებიდან ბევრი მუშა დაესწრო. ამ დროს მეც ვიყავი ამ მიტინგზე. მიტინგი სეიმის გახსნის საპროტესტოდ იყო მოწყობილი. ჯერ კიდევ არ იყო მიტინგი გახსნილი, რომ მენშევიკების ზოგიერთმა ლიდერებმა **ალექსანდროვის** ბაღს ჩაუარ-ჩამოუარეს და დახვრეტით დაგვემუქრენ. დაპირება მალე აგვისრულეს, მიტინგს მენშევიკებმა ჯალათები შემოახვიეს და სროლა აუტეხეს. ალექსანდროვის ბაღი სისხლით შეიღება, რკინის გზის დეპოს და მთავარი სახელოსნოების ის მუშები, რომლებიც ჩვენმა უჯრედმა მიიყვანა მიტინგზე, მიტინგის დახვრეტის შემდეგ საბოლოოდ ჩამოშორდნენ მენშევიკებს და ჩვენ მოგვემხრნენ.

ამ ამბების შემდეგ, როგორც ყველა ბოლშევიკური ორგანიზაციები, ისე ჩვენი უჯრედიც, არალეგალურ მუშაობაზე გადავიდა. უჯრედის წევრებმა ფარულად დავიწყეთ შეკრება ამხ. გავას, იოსებ მორჩილაძის, იოსებ ქართველიშვილის, ასატურის და სხვების ბინაზე. მახსოვს ფარულად ამხ. მორჩილაძისას გამართულ კრებაზე ჩვენ დასმული გვქონდა საკითხი თბილისში რკინის გზის მუშების მიტინგების მოწყობის და საპროტესტო დემონსტრაციების გამართვის შესახებ. გარდა ამისა, ჩვენი უჯრედის ფარულ კრებებზე ხშირად ისმებოდა და ირჩეოდა საორგანიზაციო, პროპაგანდა - აგიტაციის, არალეგალური ფურცლების გავრცელების და პროფესიონალური კავშირში ბოლშევიკ მუშების მონაწილეობის საკითხები და სხ. მენშევიკებმა გააძლიერეს ჩვენზე მეთვალყურეობა და სასტიკი რეპრესიები შემოიღეს, მაგრამ რამდენათ ისინი აძლიერებდნენ ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას, იმდენად სულ უფრო და უფრო იზრდებოდა მუშების თანაგრძნობა ბოლშევიკებისადმი, მენშევიკების რიგები კი თხელდებოდა.

გლეხკაცობაში ხომ აღშფოთება გამოიწვია მენშევიკების ფრთაშეკვეცილმა აგრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულმა რეფორმამ. მენშევიკები, რომლებიც რევოლუციამდე გლეხებს ყველაფერს პირდებოდნენ, სინამდვილეში არაფერი არ მისცეს და დიდი ნაწილი მამულების ისევ თავად-აზნაურებს და სოფლის კულაკებს დაუტოვეს. ამ გარემოებამ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გლეხ-კაცობის აჯანყებები გამოიწვია, ამ აჯანყებების დროს უჯრედის წევრები ახლო დაუახლოვდით რკინის გზის უპარტიო, ჩვენი თანამგრძნობ მაშინისტებს და მათი საშუალებით უხვად ვაგზავნიდით პროვინციებში ბოლშევიკურ პროკლამაციებს, განსაკუთრებით იმ სოფლებში, სადაც აჯანყების ცეცხლი იყო მოდებული. გარდა ამისა, ამხ. გაგლოევის ხელით, ფუთნახევარი პროკლამაციები აზერბეიჯანშიც გავგზავნეთ. პროკლამაციების გაგზავნის გარდა, ჩვენ ვახერხებდით აგრეთვე არალეგალურად მომუშავე ამხანაგების ფარულად წაყვანას სოფლებში. პროპაგანდისტებს ორთქლმავალზე დაუჯენდით სანდო მაშინისტებს და გავატანდით სოფლებში.

მენშევიკებმა ცეცხლით და მახვილით ჩააქრეს საქართველოში გლეხ-კაცობის მოძრაობა. ციხეები აჯანყებული გლეხებით და ბოლშევიკებით აავსეს და ყველგან სასტიკი რეპრესიები გაამეფეს. ამ რეპრესიების და დევნის დროს რამოდენიმე ამხანაგმა მოახერხა მენშევიკების ციხეებიდან გამოქცევა, ერთი ასეთი ციხიდან გამოქცეული ამხ. ლეკვეიშვილი ორგანიზაციის დავალებით ორთქლმავალის შავ მურში ამოსვრილი ტანისაცმელით მე არალეგალურად საქართველოს საზღვრებს გადავაცილე და აზერბეიჯანში ჩავიყვანე; იქვე, როგორც სხვა ბევრი ჩვენი ამხანაგები კედია-ფაჩულიას რაზმის დაგეშილ აგენტებს ვერც მე გადავურჩი. მეც დამატუსაღეს და დიდი ტანჯვისა და წამების შემდეგ ქუთაისის ციხეში გადამგზავნეს. ქუთაისის ციხეში იმ დროს დამხვდნენ: ამხ. ვალია ბახტაძე, კორნელი ქაცარავა, დათიკო ლორთქიფანიძე, მარია ორახელაშვილი, ილია მაჭავარიანი, ვასო კანდელაკი, დ სხვები. მე სხვა ამხანაგებთან ერთად გამანთავისუფლეს ქუთაისის ციხიდან, მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთის და საქართველოს შორის ხელშეკრულება დაიდო. მენშევიკებმა არსად სამუშაო არ მომცეს. უსაქმოდ დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ სხვა ამხანაგებთან ერთად მე, როგორც იქნა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობაში მოვახერხე სამსახურში მოწყობა. აქ მუშაობის დროს მე კავშირი არ გამიწყვეტია რკინის გზის დეპოს და მთავარ სახელოსნოს უჯრედთან. თავიანთი უმსგავსო საქციელით მენშევიკებმა საქართველოში სრულიად დაკარგეს, როგორც მუშებში, ისე მშრომელ გლეხ-კაცობაში გავლენა და ოდესღაც „მუშათა" პარტიად წოდებული სოციალ-დემოკრატიული პარტია მუშების თვალში მშრომელების მოღალატე და სისხლის მსმელ პარტიად გადაიქცა.

მოახლოვდა მენშევიკებისათვის საბედისწერო 1920 და 1921 წელი. ამათმა სიკვდილის მოახლოება იგრძნეს და არაფრით გვზოგავდნენ. მენშევიკების განსაკუთრებული რაზმის აგენტები კედია-ფაჩულიას მეთაურობით მეძებარ ძაღლებივით იყვნენ მოდებული მთელ ქალაქში და ჩვენ დასაჭერად დაგვეძებდნენ. მენშევიკებმა ისევ დამიჭირეს და თბილისში ციხეში მომათავსეს. თბილისის ციხე იმ დროს სავსე იყო ძველი ბოლშევიკებით, აქ იყვნენ: არაქელა ოქუაშვილი, სტეფანე ზაქრაძე, გიორგი რთველაძე, იასონ ჯორბენაძე, ვანო სტურუა, არამ შავერდოვი, რუბენი, მალაქია ტოროშელიძე, კოსტა ჩხენკელი, კოწია ხომერიკი, ასრიბეკოვი, ვალერიანე ვაშაკიძე, თენგიზ ჟღენტი, რაჟდენ კალაძე, კოლია ხუციშვილი, გუცა პარკაძე და სხვები. 1920 წლის მიწურულში და 1921 წლის დასაწყისში მენშევიკებისათვის მეტად სახიფათო და საბედისწერო დღეები დადგა. ტფილისის დაცემის წინ მენშევიკებმა ყველა ბოლშევიკები, რომლებიც ტფილისის ციხეში იყვნენ მოთავსებულნი, ქუთაისის ციხეში გაისტუმრეს. გონება დაკარგულმა მენშევკებმა ქუთაისის ციხიდან რამოდენიმე ამხანაგი ღამით გამოიყვანეს, სალორიის ტყეში წაიყვანეს, ნავთი გადაასხეს და დასწვეს; ჩვენ კი ბათომის ციხეში წაგვიყვანეს. ბათომს ვინღა ჩიოდა, მათ ჩვენი წაყვანა საზღვარ-გარეთაც დააპირეს, მაგრამ დაიმედებული იმაში, რომ მალე დაბრუნდებოდენ, გადაიფიქრეს ჩვენი საზღვარგარეთ წაყვანა და დაგვემუქრნენ, ერთი თვის შემდეგ მოვალთ და ამოვიყრით თქვენზე ჯავრსო. წითელი ჯარის შემოსვლამდე ბათომში ციხიდან გამოსული ამხანაგები ხელისუფლებას ჩაუდგნენ სათავეში. მენშევიკე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის ყოფილი ჯარი სავსებით გადმოვიდა ბოლშევიკების მხარეზე და ბათომის და მისი ოლქის რევკომის ხელმძღვანელობით მოვიგერიეთ ქემალისტები, რომლებიც ბათომის აღებას ლამობდენ. იმ დროს, როდესაც ჩვენ ბათომს დავეპატრონეთ, რკინის გზის ყველა მატარებლები, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა, დამტვრეული, გაფუჭებული ბათომში იყო თავმოყრილი.

ამხ. **თენგიზ ჟღენტის** განკარგულებით ბათომის ხელში აღების შემდეგ მე ისევ რკინის გზას დავუბრუნდი და შევუდექი მენშევიკებისაგან გაოხრებული რონოდების და ორთქლმავლების შეკეთებას და მოშლილი ტრანსპორტის აღდგენის საქმეს.

ათი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ხელისუფლება აიღეს ხელში. თუ გასაბჭოების შემდეგ პირველ პერიოდში საქართველოში ამა თუ იმ მუშას, ან გლეხს სჯეროდა რამე, მენევიკების, ამჟამად, როდესაც ჩვენი მიღწევები, როგორც მრეწველობაში და მეურნეობაში, ისე კულტურულ-განმანათლებელ დარგში ყველასათვის თვალსაჩინოა, საქართველოს მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად ხილიხელჩაკიდებული მუშაობენ სოციალისტური მშენებლობის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად.

ვასო ცინცაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იბრძოდა ქართლის მშრომელი გლეხობა მენშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ

შემთხვევამ საშუალება მომცა რამოდენიმე საათით მებაასნა ჩვენი ძველი მებრძოლ ბოლშევიკთან —**ამხ. ტ. ბუხრიკიძესთან.**

მისი ბაასის დასასრულ მე გადავსწყვიტე ამეწერა რევოლიუციონური ბრძოლის ის საინტერესო ეპიზოდები, რომლებიც გადმომცა ამხ. **ბუხრიკიძემ.**

ვიდრე არსებითად გადავიდოდეთ ამხ. ტატეს რევოლიუციონურ მუშაობაზე, ზედმეტი არ იქნება თუ ორიოდე სიტყვით შევეხები მის ბიოგრაფიას.

ამხ. ტ. ბუხრიკიძე დაბადებულია სოფ. ოსიაურში (ხაშურის მახლობლად). გლეხის ღარიბ ოჯახში. 6 წელიწადი გაუტარებია მოჯამაგირეობაში ჯერ თავად ვეზიროვებთან, ხოლო შემდეგ მემამულე საქო ამირხანოვთან. (უკანასკნელი დღესაც ცოცხალია).

ამხ. ტატეს მამა—გიორგი იყო ხიზანი მემამულე ვეზიროვებისა, მისი 90 წლის სიცოცხლე მას გაუტარებია თავადი ვეზიროვების სამსახურში ამ ხნის განმავლობაში ამხ. ტატეს მამა ამუშავებდა რა მემამულე ვეზიროვის მიწებს, აძლევდა თავადს თავისი ოფლით ნაშრომის მეტ წილს ღალის სახით.

ერთ წელს მოხდა სტიქიური უბედურება, არ გაუმართლა ამინდებმა და ჭირნახულის მოკრეფის დასასრულს არარაფერი დარჩა ტატეს მამას, რომ მიერთმია გათავხედებულ მემამულე ვეზიროვისათვის ღალა. ვეზიროვი ღალის ნაცვლადართმევს ხიზან გიორგის თავის საყვარელ შვილს ჯერ კიდე 11 წლის ტატეს. სამი წლის განმავლობაში უმსახურნია მოჯამაგირეთ ტატეს ვეზიროვთან სრულიად უფასოდ იმ ღალის ანგარიშში, რომელიც ტატეს მამას გიორგის უნდა მიეცა ბატონისათვის. შეუსრულებია რა სრული სამი წელიწადი ვეზიროვის სამსახურში უკვე 14 წლის ტატე კვლავ უვარდება კლანჭებში მეორე მემამულე ამირხანოვს. აქაც მიზეზი ტატეს მეორე მემამულის კლანჭებში ჩავარდნისა ყოფილა ურთიერთ ეკონომიური დამოკიდებულება ამხ. ტატეს მამისა—მემამულე ამირხანოვთან. ტატეს მამას უსესხებია მემამულე ამირხანოვისაგან 25 მანეთი და ვერ აუსრულებია რა ვალდებულება დანიშნულ დროზე—ბადლად წაუყვანია უკვე 14 წლის ტატე, რომელსაც ამირხანოვის ოჯახში მოჯამაგირედ დაუყვია 3 წლამდე.

ამ ნიადაგზე მამა-შვილს შორის იქამდე გამწვავებულა მდგომარეობა, რომ ახალგაზრდა 17 წლის ტატე სტოვებს მამის ოჯახს და მიეშურება სადგურ ხაშურის მიმართულებით იმ მიზნით, რომ პირველ გამავალ მატარებელს ჩაუჯდეს და გაყვეს ბატონების მიმართულებით და მით როგორმე თავი იხსნას ახალი მონობიდან.

ბედმა მას თავი ამოაყოფინა ქ. ფოთში.

1909 წლის მიწურულიდან ვიდრე 1912 წლამდე ტატე მუშაობს ფოთის ნავთსადგურში შავი ქვის პლატფორმებზე და ხან კიდევ დღიურ შავ მუშად სხვადასხვა ადგილებში.

1912 წელში ტატე მიდის ქ. ბორჯომში შუშის ქარხანაში სამუშაოდ. შუშის ქარხანაში მას დაუყვია 2 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მუშების ხელფასის სიმცირის გამო ამხ. ტატეს სხვა მუშებთან ერთად რამოდენიმეჯერ მოუწყვია ყიჟინა და განგაში, რომელიც ზოგჯერ წარმოებას გაჩერებასაც უქადდა. სწორედ ამ ნიადაგზე, როგორც მუშების ამაღელვებელს და ბუნტავჩიკს, ამხ. ტატეს აძევებენ შუშის ქარხნიდან.

ამის შემდეგ ტატე ეწყობა ხაშურის რკინის გზის საყუდში შავ მუშად. ხაშურის საყუდში 6 თვის მუშაობის შემდეგ, სწორედ იმპერიალისტურ ომის გამოცხადებისას (1914 წელს) ტატეს იწვევენ სამხედრო სამსახურში, მაგრამ აძლევენ მას ლურჯ ბილეთს და როგორც შეღავათიანს სტოვებენ მარქაფში. ის ისევ უბრუნდება ხაშურის რკ.-გზის საყუდს სამუშევრად, სადაც მუშაობს 1916 წლის მიწურულამდე. 1916 წლის მიწურულში ტატე მიყავთ, როგორც „ზაპასნიკი“ სამხედრო სამსახურში ქ. ბაქოში, სადაც ის აწარმოებს ბოლშევიკურ მუშაობას ჯარის კაცებში, ფრონტიდან ახლად დაბრუნებულ ამხ. **ნასყიდაშვილთან ერთად.** თებერვლის რევოლიუცია ტატეს უსწრებს ქ. ბაქოში. 1917 წლის თებერვლის გადატრია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების შემდეგ ტატე ბრუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას ხაშურის რკ. გზის საყუდში. საქართველოში გაბატონებულ მენშევიკურ პარტიის ხაშურის ორგანიზაციის წევრები ტატეს აძლევენ წინადადებას, რათა მას თავი დაენებებინა ბოლშევიკურ მუშაობისათვის და შესულიყო მენშევიკურ პარტიაში. არა ერთხელ დამუქრებიან ტატეს სამსახურიდან მოხსნას და დაპატიმრებას, მაგრამ ყოველივე მათი ცდა რჩებოდა ამაოდ.

ამ დროს ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ბოლშევიკური ორგანიზაცია ხაშურში არ არსებობდა. ამხ. ტატესთან ერთად ამ ხანებში ბოლშევიკურ მუშაობას აწარმოებდა ჯარიდან ახლად დაბრუნებული ამხ. **სოსო ხაბელაშვილი** (ამჟამად მუშაობს ხაშურის უბნის რკინის გზაზე). **პეტრე აბულაძე** (1905 წლიდან ბოლშევიკი, ძველი ტერორისტი, რომელიც მენშევიკების მიერ დახვრეტილი იქნა სოფელ ალიათავზე ხაშურის რაიონში 1919 წელში) და სხვები. მენშევიკური პარტიის ხაშურის ორგანიზაციის წარმომადგენლების ვაჭრობა ამხ. ტატესთან გრძელდება 1918 წლამდე „დაანებე ბოლშევიკობას თავი, შემოდი ჩვენს პარტიაში, თორემ მოგხსნით და დაგაპატიმრებთ“-ო. ვერა და ვერ გასჭრა მენშევიკების ზეგავლენამ და აგიტაციამ ამხ. ტატეს მიმართ, რის მიზეზების გამო ამხ. ტატეს ხსნიან სამსახურიდან და ემუქრებიან დაპატიმრებით.

ამხ. ტატე იწყებს ფარულ მუშაობას. ეს ის დროა, როდესაც ხაშურში უკვე ახლად ჩამოყალიბებული ბოლშევიკური ორგანიზაცია იწყებს თავის გაცხოველებულ ორგანიზაციულ მუშაობას. ხაშურის ბოლშევიკურ ორგანიზაციის დამაარსებელი და ხელმძღვანელი იმ ხნებში იყო ამხ. **გრამიტონ მოწონელიძე** (ამჟამად თბილისში მუშაობს), რომლისაგანაც ამხ. ტატე ღებულობდა ყოველგვარ დირექტივებს.

1-ლი ბოლშევიკური უჯრედი სოფლად ყალიბდება **სოფ. ქემფერში** (ხაშურის რაიონია). მეორე უჯრედი დაარსებულ იქნა სოფ. აზარმაში, სადაც მიღებულ იქნა 8 კაცი. ასეთი უჯრედები შემდეგ ჩამოყალიბებულ იქნა თითქმის ყველა სოფლებში. ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაციიდან ამ ხანებში ხაშურის ორგანიზაციაზედ მომაგრებული იყო ამხ. **გიორგი ფოფხაძე.** ამხ. გიორგი ფოფხაძეს უშუალო კავშირი ჰქონდა ამხ. ტატე ბუხრიკიძეს რაზმთან, რომელიც ტყეში იმალებოდა.

ტრიფონ ჯაფარიძისაგან შეწუხებულმა და მოთმინებიდან გამოსულმა გლეხობამ კარგად იცოდა ამხ. **ტატე ბუხრიკიძის** რაზმის არსებობა და მისი მიზანი. გლეხობას დახმარებისათვის მიუმართავს ამხ. ტატესათვის. ამხ. ტატე სოფ. აჯარმის ბოლშევიკური უჯრედის დადგენილებისა და გლეხობის თხოვნის თანახმად კისრულობს ჯაფარიძის მოკვლას. მაგრამ მას აპატიმრებს ხაშურის მილიცია, როგორც საკმაოდ შემჩნეულ ბოლშევიკს და მენშევიკებისათვის საშიშ პიროვნებას. დაპატიმრებისას ამხ. ტატეს ფარულად ჰქონებია შენახული რევოლვერი. ტატეს დაპატიმრებას შეიტყობს თუ არა მემამულე ტრიფონ ჯაფარიძე, რომელიც თვით ხაშურში სცხოვრობდა, მიეშურება მილიციისაკენ, რათა ერთხელ კიდევ შეხედოს მის მოსაკლავად მადევარ ტატეს.

ტფილისიდან ამ ხანებში (1919 წელში) ხშირად ჩამოდიოდა ხაშურში ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად ამხ. **ლადო სუხიშვილი** და **გაიოზ დევდარიანი** (უკანასკნელი ითვლებოდა ხაშურის რაიონის ახალგაზრდა—სპარტაკელთა კომიტეტის მდივნათ). ტფილისიდან ჩამოსულ ამხ. ლადო სუხიშვილს მოჰქონდა ბოლშევიკური პროკლამაციები, ლიტერატურა. ამუშავებდენ ყოველგვარ საკითხებს ადგილობრივ ორგანიზაციაში და ამზადებდენ 1919 წლის აჯანყებას.

ვიდრე გამოსვლები მოხდებოდა, 1919 წლის სექტემბერში მენშევიკების მიერ შეპყრობილნი იქნენ სოფ. წაღვლის ბოლშევიკური უჯრედის წევრები. დაპატიმრებული იქნა რიცხვით 10 ბოლშევიკი; მათ რიცხვში: პეტრე აბულაძე, ლომიძე, ილო ალაშვილი და სხვები, რომლებიც გადაუგზავნიათ გომის (ხაშურის რაიონში) მილიციაში. ზემოაღნიშნულ შეპყრობილი 10 ბოლშევიკი უნდა გასამართლებულიყო საჩვენებელი პროცესით საველე სასამართლოს მიერ.

შეიტყობს რა ამის შესახებ ამხ. ტატე თავის რაზმის შემადგენლობიდან 5 კაცით, სავადასხვა სახეებში გადაცმულები თავს ესხმის გომის მილიციას და ანთავისუფლებს დასახვრეტად გამზადებულ კომუნარებს. ამხ. ტატე ამით როდი კმაყოფილდება, ის თავს ესხმის იმავე მილიციის იარაღების საწყობს და იტაცებს 200 ცალ ვინტოვკას, რომლითაც აიარაღებს თავის რაზმს.

ახლოვდება გამოსვლების დღე. ყველა ბოლშევიკური ორგანიზაციები გაფაციცებით ელოდებიან დირექტივებს ცენტრიდან. ხაშურის ორგანიზაციაც აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას,—ჩამოვლილი და გაფრთხილებული იქნა ყველა სოფლის ბოლშევიკური უჯრედები, რათა დანიშნულ დროს მზად ყოფილიყვნენ გამოსვლებისათვის. მოწვეულ იქნა ყველა ბოლშევიკური უჯრედების მდივნები ამ საკითხის დასამუშავებლად. 1919 წლის ოქტომბრის თვის პირველ ნახევარ რიცხვებში ქ. ტფილისიდან ხაშურში ჩამოდიან: ამხ. ლადო სუხიშვილი და ზნაური ჰაიდაროვი გამოსვლების საკითხის დასამუშავებლად, ხაშურის აღების გეგმების შესადგენად და ორგანიზაციის წევრთა შორის დავალებათა გასანაწილებლად.

შემუშავებულ იქნა გამოსვლებისათვის საიდუმლო გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად საინტერესოა თუ როგორ იქნა გამოქვეყნებული მენშევიკურ პრესაში ბოლშევიკების მიერ შემუშავებული ხაშურში და საერთოდ ქართლში აჯანყების მოწყობის გეგმები.

საქართველოს მენშევიკების ორგანო „ერთობა“ 1919 წლის 30 ნოემბრის ნომერში ათავსებს შემდეგ წერილს:

„სასამართლოს განაჩენები, გამოძიებანი, ნახული საბუთები და მომხდარი ფაქტები შემდეგს მოგვითხრობენ: 8 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო საერთო გამოსვლები გორის მაზრაში. ბანდიტებს უნდა დაეპყროთ მეჯვრისხევი, ახალქალაქი, სურამი, ჯავიდან—ცხინვალი, გუჯარეთიდან ბორჯომი და შემდეგ საერთო ძალღონით რკინის გზის ლიანდაგი, ხაშური, გორი და ასე.

ხაშურის კომუნისტთა კომიტეტის მდივანი, რომელიც გამოტყდა დანაშაულში, შემდეგს მოუთხრობს სასამართლოს: ერთი თვის წინეთ ჩემთან მოვიდა ალ. ბუხნიკაშვილი, ხაშურის დეპოს მუშა, რომელმაც მითხრა: თბილისიდან ჩამოვიდა კომუნისტების წარმომადგენელი შალიკო შანკოევი, რომელიც კრებას იწვევს მოხსენების გასაკეთებლადო. ჩვენ კრებაზე წავედით, კრებას დაესწრენ ოსიაურიდან, ხცისიდან, ხაშურიდან, პირველი კრება შიშის გამო გადაიდო ხუთშაბათისათვის.

ხუთშაბათს კრება გაიმართა სურამში.

კრებაზე მოხსენებები გააკეთეს ადგილებიდან, რის შემდეგ მომენტზე მოხსენება წაიკითხა კომუნისტების წარმომადგენელმა. მომხსენებელმა დაასკვნა, რომ ჩვენ ვემზადებით იარაღით დავსცეთ „მენშევიკთა“ შექმნილი წესწყობილება და მთავრობაო. რადგანაც კრება იყო რაიონის და ყველა ადგილებიდან დაესწრენ წარმომადგენლები მანდატებით, კრებამ თავისი თავი ხაშურის რაიონულ კომიტეტათ გამოაცხადა და კომუნისტური ორგანიზაციის სახელმძღვანელოთ აირჩია პრეზიდიუმი. არჩევნების შემდეგ ილაპარაკა გორის სამაზრო კომიტეტის წარმომადგენელმა, რომელმაც უშვერი სიტყვებით მოიხსენია ნ. ჟორდანია და სხვები. კრებამ მიიღო დაგენილება: სერიოზული ზომები იქნას მიღებული შეიარაღებულ აჯანყების მოსაწყობათ. ერთი კვირის შემდეგ კიდევ გაიმართა კომიტეტის კრება. ამ კრებამ აირჩია სამხედრო სატეხნიკო რევოლიუციონური შტაბი. (ასახელებს წევრებს) რომელსაც დაევალა რაზმების მოწყობა, ხაშურის არსენალის აღება, რაც არჩეულებმა სისრულეში მოსაყვანად თავს იდვეს. ამის შემდეგ მოხდა კრება მესამე კვირას. სამხედრო კომისიამ კრებას წარმოუდგინა შემდეგი შემუშავებული პლანი გამოსვლებისათვის.

1) ხაშურსა და გომს შუა ხაშურის აღებისათვის საჭიროა აყრილ იქნას რკინის გზა. რკინის გზა უნდა აიყაროს აგრეთვე სადგ. ლიხთან. ჯავშნიანის გასაწვევათ საჭიროა სადგ. აგარას გვარდიელებს სროლა აუტეხოთ და მათ საშველათ წასული ჯავშნიანი აყრილ გზაში ჩავარდება. ხაშურში შესვლისთანავე ორი ორთქლმავალი უნდა დავაჯახოთ ჯავშნიანს, მხოლოდ ლიხისაკენ ერთ ორთქლმავალს გავგზავნით. ამით გზას გადავჭრით იმერეთ-თბილისისას, რომ მენშევიკთა ძალამ არ მოგვისწროს.

ეს უნდა მოხდეს სასწრაფოდ და ამავე დროს ყოველი კუთხიდან უნდა შევიყვანოთ ხაშურში შეიარაღებული რაზმები.

2) შემოღებული უნდა იქნას სასტიკი დისციპლინა, რომ წევრებმა მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ. ვინც არ ასრულებს ბრძანებას, ხაშურის აღების შემდეგ სიკვდილით უნდა დაისაჯონ.

კრებამ ერთხმათ მიიღო სამხედრო კომისიის გეგმა და შეუდგენ მზადებას. ქვიშხეთში შეპყრობილ შეთქმულებმა შემდეგი დაუმატეს· უკანასკნელ არეულობის დროს ღამით მოვიდა ბუხრიკიძე, რომელმაც შეგვკრიბა თოფებით, ჯოხებით და გამოგვიცხადა: მე ბალშევიკი ვარ, გამოგზავნილი ვარ, ვიბრძვით უკეთეს წესწყობილების შემოსაღებათ ამიტომ უნდა დავანგრიოთ „ტუნელი“ ხიდეები, გზები და უნდა ამოვხოცოთ გვარდიელებიო.

მეჯვრისხევში ახალქალაქში, ხცისში ასეთივე ცნობები მოგვაწოდეს აჯანყების გეგმის შესახებ. ყველგან ერთი და იგივე დასკვნა იყო, რომ მოძრაობას სათავეში უდგია თბილისის სამხედრო რევოლიუციონური კომუნისტური შტაბი და მათი აგენტები“.

გამოსვლების გეგმა ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ საბოლოოდ იქნა დამუშავებული და მიღებული.

რკ. გზის დეპოდან ორთქმავალის გამოყვანა და ხაშურში მდგარ მენშევიკების ჯავშნიან მატარებელზე დაჯახება დავალებული ჰქონდა მემანქანე ამხ. სიმონ კაპანაძეს (ამ ჟამად ბორჯომის რკ.-გზის საყუდის უფროსია).

ამხ. ტატეს რაზმს, რომელიც 200 კაცისაგან შესდგებოდა, დავალებული ჰქონდა აჯანყების მოწყობა მდინარე მტკვრის ორივე მხრივ მდებარე—ალის, ხიცის და სხვა სოფლებში.

გამოსვლების საკითხის საბოლოოდ დამუშავების შემდეგ ამხ. ლადო სუხიშვილი მიემგზავრება ქ. ტფილისში, ხოლო მესამე ამხანაგი ჰაიდაროვი რჩება ხაშურში გამოსვლებისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

ამხ. ტატეს რაზმი ამ დროს იმყოფება სოფ. ჩორჩანაში და ელოდებოდა ხაშურის ბოლშევიკური ორგანიზაციის განკარგულებას.

20 ოქტომბერს ხაშურის ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით—ამხ. ვასო ლომსაძეს (ამჟამად მუშაობს ა.-კ. რკ. გზის სამმართველოში) მიაქვს საბოლოოდ გამოს..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლებისათვის დამუშავებული გეგმა ამხ. ტატესთან გასაცნობად და დავალების გადასაცემად.

მიღებულ გეგმას ამხ. ტატეც ამუშავებს თავის რაზმის შემადგენლობაში.

გეგმასთან გაცნობის შემდეგ—3 უფრო აქტიური ამხანაგი 200 კაცისაგან შემდგარი პარტიზანებით მიმაგრებული იქნა ალის თემში, და 3 ამხანაგი მათ რიცხვში ამხ. ტატეც—სოფ. ხცისში.

22 ოქტომბერს ამხ. ტატე პირველად ეცნობა ამხ. ზნაურა ჭაიდაროვს სოფ. ხცისში, სადაც მიმაგრებული იყო ის შტაბის გადაწყვეტილების თანახმად.

მენშევიკური ხელისუფლება და მისი პრესა ათასგვარ პროვოკაციულ ხმებს ავრცელებდა ხალხში, ბოლშევიკებს, ყაჩაღებს, მძარცველებს,—უწოდებდა და სხვა.

„ერთობა“-მ 1919 წლის 30 ნოემბერს დაბეჭდა ასეთი წერილი:

„ამ დღეებში ამიერ კავკასიის ბოლშევიკ ყაჩაღთა კავშირმა, რომელსაც სახელად „კომუნისტთა პარტიის კრაევოი კომიტეტი“ ეწოდება, გამოაქვეყნა განცხადება—პროკლამაცია. ამ განცხადებით როგორც სჩანს, ვილაცას შეშინებას აპირებენ. იმუქრებიან: ამიერიდან ჩვენ თეთრ ტერორს წითელი ტერორით ვუპასუხებთ, სანამ ერთი კომუნისტი მაინც დარჩება საქართველოშიო.

თუ კომუნისტებმა მართლა ამ გზით იარეს, მათ დიდხანს სიარული არ დასჭირდებათ, რადგან მალე დაუდგებათ დრო, როდესაც წამლადაც არ დარჩება საქართველოში კომუნისტის ჭაჭანება. ნუ თუ ამ უგნურებს გონიათ, რომ მთელ მშრომელ ხალხს, დემოკრატიასა და მის მესვეურ პარტიას ტერორით დააშინებს და აალებინებს ხელს რევოლუციის სამსახურზე.

სჩანს ვაჟბატონ კომუნისტებს ავაზაკური კუდი ასწვიათ. ხალხმა მთავრობას გადაჭრით მოსთხოვა, რომ მას ძველებურ ლმობიერ პოლიტიკაზე ხელი აეღო და ხალხის მტრებისათვის მახვილზე მახვილით ეპასუხნა. მთავრობამ მხოლოდ რამდენიმეთ ჯერჯერობით ნაწილობრივათ შეასრულა ხალხის კატეგორიული ნება და მოღალატეთა და ავაზაკთა თავხედობა იარაღით შეაჩერა, ეს უთუოდ მოულოდნელი იყო ბატონ კომუნისტებისათვის.

მაშ რა ნებავთ ამ ვაჟბატონებს.

ისინი აჯანყდებიან: ხალხს ზურგში მახვილს ჩასცემენ. ხალხის საუკეთესო შვილებს გვარდიელებს ტყვიით გულმკერდს გაუგმირავენ, ხოლო მთავრობამ კი უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ დაპატიმრება უნდა გაუზიდოს მკვლელს და ამ ავაზაკის მიერ დაობლებულ გვარდიელის ოჯახს გადასახადი გააწეროს, რათა კარგათ გამოკვებოს საპატიმროში — „დამსახურებული რევოლუციონერი“?

ნურას უკაცრავად, ასეთ ბრიყვებს ამიერიდან ჩვენში ველარავინ იპოვის. საკმარისია ის ცდა და მწარე გამოცდილება, რომელიც ამ საქმეში უკვე მოიპოვა საქართველოს დემოკრატიამ. ამიერიდან იცოდენ ამ ვაჟბატონებმა რომ როგორც კი მახვილს აიღებენ ხალხის წინააღმდეგ, მახვილითვე გაიგმირებიან“.

1919 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის ოქტომბრის 2 წლის თავზე საქართველოს არალეგალური ბოლშევიკური ორგანიზაციის მიერ საქართველოს ყველა კუთხეებში უნდა მომხდარიყო შეიარაღებული გამოსვლები მენშევიკური ხელისუფლების დასამხობად. ეს საკითხი იმდენად მომწიფებული და დამუშავებული იყო, რომ საკმარისი იყო სიგნალის ჩვენება და ყველა ორგანიზაციები მზად იყვნენ გამოსვლებისათვის, მაგრამ თუ ყველა კუთხეებში ვერ მოხდა ამ დღეს გამოსვლები, ეს აიხსნება მთელი რიგი მიზეზებით, როგორიც არის: გაცემული იქნა გურიის ბოლშევიკური ორგანიზაცია პროვოკატორების მიერ. ტფილისის ბოლშევიკური ოგანიზაციის უფრო ცნობილი ხელმძღვანელები შეპყრობილი იქნენ და სხვა.

საქართველოს გლეხობა და მუშები დღითი-დღე რწმუნდებოდენ მენშევიკების მოღალატეობასა და გამცემლობაში.

**რამდენად უფრო ძლიერდებოდა მენშევიკური მთავრობის რეპრესიები ჩვენი ამხანაგების მიმართ, იმდენად უფრო ინტენსიური და ერთსულოვანი მუშაობა სწარმოებდა ბოლშევიკურ ორგანიზაციებში.**

ამრიგად, ვიდრე გამოსვლების დღე (25 ოქტომბერი) მოაწევდა ამხ. ტატეს მეთაურობით მთელი მტკვრის გაღმა (ხაშურიდან) მდებარე სოფლების გლეხობა უკვე მომზადებული იყო ამ დღისათვის გამოსვლებში მონაწილეობის მისაღებად.

ამხ. ტატემ იცოდა, რომ საერთო გამოსვლების დღეთ, საქართველოში დანიშნული იყო 25 ოქტომბერი და ამისაგან გამომდინარე. ის ამ დღეს თავისი არზმით 600 შეიარაღებული კაცით იპყრობს ძალაუფლებას მტკვრის გაღმა მდებარე ყველა სოფლებში და აცხადებს საბჭოთა ხელისუფლებას.

დაარსებული იქნა სამხედრო შტაბი სოფ. ხცისში. ხელისუფლების აღებისთანავე რევკომის თავმჯდომარედ ინიშნება ამხ. **ზნაურა ჭაიდაროვი.** ტატეს რაზმი იპყრობს რა ყველა (ხაშურიდან) მდინარე მტკვრის გაღმა მდებარე სოფლებს, განაგრძობს შეტევას გორის მიმართულებით სოფ. ატენისაკენ, სადაც გაგზავნილი იქნა პარტიზანები 100 კაცის შემადგენლობით, რომელსაც ხელმძღვანელობდენ **გერისო გასიევი და ფედრო გიკაევი.**

ამ უკანასკნელთა მეთაურობით სოფ. ატენიც იქნა აღებული (ბრძოლის დროს მენშევიკური გვარდიელების მიერ მოკლული იქნა კომუნარი **ფედრო გიკაევი.** სურამის ზევით ყველა სოფლებში გამოცხადდა საბჭოთა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელისუფლება. სოფ. ალში დაარსდა ბოლშევიკური პარტიზანთა შტაბი.

ამრიგად, ხაშურის ორივე მხარეზე მდებარე ყველა სოფლები აღებულია და რაზმი ელოდება ტფილისიდან განკარგულებას ხაშურზე თავდასხმისათვის.

26 ოქტომბერს ტფილისიდან ღებულობენ ცნობას, რომ გამოსვლები მთელ რიგ ადგილებზე არ მოხდა და ამის გამო ხაშურზე თავდასხმაც შეჩერებული იქნა. ხაშურის ორივე მხარეზე მყოფ ბოლშევიკური რაზმის წინაალმდეგ იწყება შეტევა მენშევიკური გვარდიის მიერ. ჯამუში გელაშვილის საშუალებით სოფ. ალში ორგანიზაციულად ეწყობა მკვლელობა აჯანყების სახელმძღვანელოდ მიმაგრებულ ბოლშევიკების ამხ. ამხ. არსენა ლომიძის, გიგო ბეკოშვილის და ალექსი ბეკოშვილის.

აჯანყების დამარცხების შემდეგ ბოლშევიკური რაზმის მიერ, რომელშიაც ამხ. ტატე ღებულობდა მონაწილეობას, დახოცილი იქნა ჯამუში გელაშვილის ჯგუფის წევრები—პროვოკატორები: **ანტონ სკანაძე და ილო ნოზაძე.**

ხაშურის ორივე მხარეზე მდებარე სოფლებში 12 დღის განმავლობაში არსებობდა ბოლშევიკური ძალაუფლება, ხოლო შემდეგ, რადგან საქართველოში გამოსვლების საკითხი გადადებული იქნა—ბოლშევიკური რაზმები განიცდიან მარცხს და იმალებიან.

სასტიკად ეპყრობიან მენშევიკები შეპყრობილ ბოლშევიკებს და პარტიზანებს. იქ, სადაც ბოლშევიკური შტაბი არსებობდა **სოფ. ხცისში, მენშევიკური გვარდიასთან** სასტიკი ბრძოლის შემდეგ აპატიმრებენ რევკომის თავმჯდომარეს ამხ. **ზნაურა ჰაიდაროვს** და საველე სასამართლოს განაჩენით იქვე ადგილობრივ ხვრეტენ მას და ამხ. **თობილიშვილს.**

[illegible] ბოლშევიკებს ამხ. **პეტრე აბულაძეს და სამხარაძეს.** თვით შიგ ხაშურში კი დახვრეტილი იქნა კომუნარები ამხ. **კორკოტაძე** და ამხ. **ჩადუნელი.**

გამოსვლების საბოლოოდ დამარცხების შემდეგ ამხ. ტატე 7 ამხანაგთან ერთად გადადის სრულიად არალეგალურ ცხოვრებაზე, კავშირს აბამს ხაშურის ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან და საქართველოს ბოლშევიკურ ცეკასთან ამხ. **გიორგი ფოფხაძის** მეშვეობით.

ტატეს სოფელში (ოსიაურში) მენშევიკების მიერ ჩაყენებული იქნა ეგზეკუცია 300 კაცის შემადგენლობით. სოფლის გლეხობას მენშევიკები უყენებდნენ საკითხს: „მოგვეცით ტატე და ეგზეკუციიდან და ყოველგვარი მძიმე ღონისძიებებიდან განთავისუფლებული იქნებითო“, მაგრამ სოფლის გლეხობა არ უღალატებდა თავის ინტერესების დამცველს.

1920 წლის 15 სექტემბერს ამხ. ტატე ხაშურის და ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაციებიდან ღებულობს განკარგულებას დასტოვოს საქართველო და გაემგზავროს ვლადიკავკავში. ამხ. ტატე მეორე დღესვე ამხ. აბესალომ ბოჩიკაშვილთან, ამხ. გასიევთან და სხვებთან ერთად ცხინვალიდან როკის უღელტეხილით მიემგზავრება ვლადიკავკავში.

1921 წლის თებერვლის გადატრიალების წინა რიცხვებში ამხ. ტატე **ამხ. ალ. ჯატიევთან, ამხ. ვასო ქურდაძესთან, არჩილ გიორგაძესთან, ვანო ჯეჯელავასთან და სხვებთან** ერთად მოემგზავრება საქართველოში მენშევიკების წინაალმდეგ საბრძოლველად.

**ნ. კოპალეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოლშევიკების მუშაობა ტყიბულის რაიონში

**(1918-1921)**

1918 წ. დასაწყისში იმპერიალისტურ ომის დროს ჯარში გაწვეული გალაქტიონ ეგნატეს ძე და ალექსანდრე რემანოზის ძე ქასრაშვილები რუსეთიდან დაბრუნდნენ ს. ტყიბულში (მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე). აღნიშნულმა პირებმა, როგორც ბოლშევიკურათ განწყობილებმა, საჭიროდ და აუცილებლად დაინახეს ტყიბულის რაიონში დაარსებულიყო ბოლშევიკური ორგანიზაცია, რისთვისაც იწყეს დაახლოვება ჯარიდან დაბრუნებულ ისეთ მუშებთან (ტყიბულის მაღაროებში), რომლებიც საიდუმლოების შენახვის მხრივ უფრო საიმედონი იყვნენ და მტრულად განწყობილი მენშევიკურ მთავრობისადმი.

იმავე წლის თებერვალში ქალ. ბათომის დასაცავად გაგზავნილ ჯარის ნაწილების დამარცხების გამო დამხმარე რაზმების მიწოდების მიზნით ტყიბულში შეკრიბეს ვითომ მსურველები და მოათავსეს ცირეკიძის სახლის პირველ სართულში, ფრონტზე გადასაგზავნად. გაწვეულნი კმაყოფილნი არ იყვნენ, მაგრამ შიშით ვერ გაებედნათ რაიმეს თქმა. ამ დროს იქ მივიდა ამხ. გალაქტიონ ქასრაშვილი და შეკრებილთა გასაგონათ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებით გამოელაპარაკა მახლობლად მდგომ მილიციის უფროსს ნიჟარაძეს. ნიჟარაძემ განაცხადა, რომ გაწვეულნი სამშობლოს სიყვარულით მიდიან საომრათო, მაგრამ როდესაც ამხ. გალაქტიონმა მიმართა სათანადო შეკითხვით და მოუწოდა არ წასულიყვნენ (რაჭის მაზრიდან მოხალისეების ჩამოსვლის შემდეგ წავალთო)ამ დროს, ყველამ უარი განაცხადა, მათ კარებში მდგომი მილიციონერები აიძულეს მოსცილებოდენ იქაურობას და ძალით გამოსულნი გაეშურენ თავ-თავიანთ სახლებისაკენ. ასევე მოიქცენ გალაქტიონ და ისაია ქოსრაშვილები.

რამოდენიმე საათის შემდეგ მილიციის უფროსმა ნიჟარაძემ გამოგზავნა 15 შეიარაღებული კაცი, რომლებმაც მათ (ქასრაშვილებს) ვერ მოკიდეს ხელი, მაგრამ დარწმუნებული იმაში, რომ დაუწყებდენ დევნას, გადასწყვიტეს თვითონ მოენახათ მილიციის უფროსი და თუ თავის განზრახვაზე არ აიღებდა ხელს გამოესალმებიათ სიცოცხლისათვის. ხსენებული ქასრაშვილები ჩავიდენ ტყიბულში, და რადგანაც მათ იქ ვერ ნახეს ნიჟარაძე დაუცადეს ერთ სამიკიტნოში, დროს მოსაკლავად მოითხოვეს ღვინო... ცოტა ხნის შემდეგ მილიციის უფროსმა ჩაიარა სამიკიტნოს წინ და ამის შემდეგ არ გასულა 5 წუთი გალაქტიონ ქასრაშვილის დასაპატიმრებლად იქ მივიდა ორი მილიციონერი, მაგრამ ქასრაშვილი არ დაემორჩილა მათ, და იძულებული შეიქნენ დაბრუნებულიყვნენ. ამ დროს ცნობა მოვიდა რომ ესაია ქასრაშვილი, რომელიც საპარიკმახეროში იყო დაეპატიმრებიათ, ჩაეყენებიათ ქუჩაში და აწვალებდენ. ამიტომ გალ. ქასრაშვილი გაეშურა იქითკენ, მისვლისთანავე გაარღვია წრე და რევოლვერის და-

ღირებით კატეგორიულად მოითხოვა მილ. უფროს ნიჟარაძისაგან როგორც დაპატიმრებულ ი. ქასრაშვილის განთავისუფლება, ისე იარაღის აყრა. მდგომარეობა ისეთი შეიქნა, რომ ნიჟარაძეს აღარ ჰქონდა საშუალება ემოქმედა თავის სურვილის მიხედვით, და იძულებული შეიქნა თავის იარაღის ჩაბარებასთან ერთად გაეცა განკარგულება მის თანამშრომლებსაც არ გაეწიათ წინააღმდეგობა. ასე ამრიგათ, განიარაღებულ იქნა მილიციის მთელი შემადგენლობა და ზემოხსენებული ქასრაშვილები გადარჩენ დაპატიმრებას.

ამის შემდეგ საჭირო შეიქნა მუშაობის უფრო გაძლიერება, რაც იკისრა ამხ. გალაქტიონ ქასრაშვილმა და თანამგრძნობთა შემადგენლობით ახალი მაღაროების მუშებიდან ჩამოყალიბა უჯრედი.

პირველი არალეგალური კრება მოწვეულ იქნა ტყეში ახალ მაღაროების მახლობლად, დაახლოვებით ნახევარი ვერსის მანძილზე 1918 წ. მარტში, კრებას დაესწრო 11 კაცი. ბოლშევიკური ორგანიზაციის მიზან-ამოცანების გაცნობის შემდეგ ამხ. გალაქტიონ, ალექსანდრე და იორამ ქასრაშვილების შემადგენლობით გამოიყო ბიურო. აღნიშნული დროიდან დაიწყო მტკიცე ორგანიზაციული მუშაობა, რომელიც უმთავრესად მიმართული იყო პირველ რიგში მაღაროების მუშებს შორის ბოლშევიკური აგიტაცია-პროპაგანდისა, სათანადო ლიტერატურის მიწოდებისა და წევრთა რიცხვის ზრდისაკენ. აგვისტოს პირველ რიცხვებამდე უჯრედის გარშემო შემოკრებილ იქნა 40 საუკეთესო მუშა, ამავე პერიოდში უჯრედის მიერ აღიარებული საგაფიცვო წრეების მოწყობა, სათანადო სამზადისის ჩატარება. 1918 წ. ზაფხულში მომხდარ გაფიცვაში მონაწილეობას ღებულობდა 1700 მუშა. საგაფიცვო წრეების მუშაობაში აქტიურ მონაწილენი იყვნენ ნესტორ ბოჭორიშვილი (გარდაიცვალა 1919 წ.), მოსე ბუბაშვილი და გალაქტიონ ბარბაქაძე (ფედერალისტი).

მუშებში თანდათან იზრდებოდა მღელვარება, მუშები კატეგორიულად მოითხოვდენ ხელფასის გადიდებას, ტანსაცმელებს და სურსათ-სანოვაგის მხრივ პირობების გაუმჯობესებას (იმ დროს აცხობდნენ შვრიას და ჭვავის პურს, ამასთან ერთად მუშები განიცდიდენ სიტიტვლეს). მდგომარეობის გამოსარკვევად და გაფიცვის ჩასაქრობათ ტფილისიდან ჩამოვიდა მინისტრი ერაძე, რომელიც აიმედებდა მუშებს პირობების გაუმჯობესებით, მაგრამ წაყენებულ მოთხოვნილებათა დიდი ნაწილის დაკმაყოფილებამდე მუშები არავითარ შემთხვევაში არ დაეთანხმენ. ამ გაფიცვამ გასტანა 2 კვირა და შედეგათ ხელფასი გადიდებულ იქნა 100 პროცენტით, დაშლილათ იქნა გამოცხადებული კავშირის ძველი შემადგენლობა, ახლო შემადგენლობაში არჩეულ იქნა 4 კომუნისტი, რომლის თავმჯდომარეთ გამოიყო ამხ. იორამ ქასრაშვილი (კომუნისტი). 1918 წლის ბოლო ხანებში ახალი მაღაროების უჯრედს შემოემატა სოჩის რაიონიდან დაბრუნებული, „ზელიონნაია არმია"-ში ნამუშევარი ამხ. თემურაზ ქასრაშვილი, რომელმაც თავისი გამოცდილების გადმოტანით დიდი დახმარება გაუწია უჯრედს განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მისი საშუალებით დავუკავშირდით ქუთაისის ორგანიზაციას კოლია ოკუჯავას მეშვეობით. ამ პერიოდისათვის უჯრედში ირიცხებოდა 65 კაცი და იმ მიზნით, რომ ადგილი არ ჰქონოდა პარტიის ხაზის დამახინჯებას, ამხ. გალ. ქასრაშვილი შემოვიდა წინადადებით ქუთაისის ორგანიზაციისათვის გვეთხოვა შესაფერისად მომზადებული ხელმძღვანელი, რის განსახორციელებლად ამხ. გალაქტიონ და თეიმურაზ ქასრაშვილები გაემგზავრნენ ქუთაისში და აწარმოეს მოლაპარაკება ხელმძღვანელ ამხანაგებთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათბირის დროს ამხ. დათიკო ლორთქიფანიძეს განეცხადებია, რომ მათ 1905 წ. ჰქონდათ განზრახვა ტყიბულში ბოლშევიკური წრის ჩამოყალიბებისა, მაგრამ ვერ მოეხერხებიათ და ეხლა მოხარული იყვნენ ადგილობრივ ამხანაგების აქტივობის გამო. 1 კვირის შემდეგ, დაპირების თანახმად, ქუთაისიდან მოვლინებულ იქნა ამხ. კასიან ეზიაშვილი (გზის ოსტატი ბაქო-ტფილისის გზაზე, დევნილი ბოლშევიკობისათვის), რომელმაც მოსვლის თანავე საჭიროდ დაინახა მუშაობის გაფართოვება და მოწვეულ იქნა როგორც უჯრედის წევრთა, ისე სხვადასხვა ადგილების წარმომადგენელთა ყრილობა. აღნიშნულ ყრილობაზე არჩეული იქნა სარაიონო ბიურო 7 წევრის და ორი კანდიდატის შემადგენლობით: 1. ქასრაშვილი გალაქტიონი (თავმჯდომარე), 2. ქასრაშვილი ალექსანდრე (მდივანი), 3. ვარდოსანიძე ვანო, 4. ბულაგაშვილი დათიკო, 5. ქათამაძე სილიბისტრო, 6. ობოლაძე ტარასი, 7. სოფრომაძე პოლიკარპე, კანდიდატებად ბაგდანაშვილი ნესტორი და სოფრომაძე მიტროფანე (კოლია).

სათბობ მასალის უქონლობით გამწვავებულ მდგომარეობის გამო აპირებდენ უქმე დღეებში მუშაობის წარმოებას, რის საწინააღმდეგო მოსაზრებანი გამოითქვა გვირაბის ძველ მუშას ნიკოლოზ ბედელიძეს ამხანაგებთან მუშაობის დროს, რისთვისაც მას სცემა უფ. ათისთავმა ჯაფარიძემ (მენშევიკი). ამ გარემოებამ, განსაკუთრებით მთელ უჯრედის ამოძრავებით, მუშები იმდენად აღაშფოთა, რომ გამოცხადებულ იქნა გაფიცვა-მღელვარების შემჩნევისთანავე მენშევიკების ადგილობრივმა ორგანიზაციამ სასწრაფო წესით გამოიძახა ბენია ჩხიკვიშვილი, რომელმაც დააწყნარა მუშები შეპირებით და ნახ. დღის შემდეგ განახლდა მუშაობა. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მიუხედავად რეპრესიებისა უჯრედის წევრთა აქტივობა დღითიდღე იზრდებოდა.

ამ მუშაობის შედეგათ 1919 წ. ზაფხულში მოხდა მესამე გაფიცვა, რომელმაც მიიღო ხანგრძლივი ხასიათი და მუშაობა შეჩერებული იყო სამი თვის განმავლობაში. მუშების დასაწყნარებლად მოვლინებულ იქნა ქუთაისის შრომის კომისარი პ. ბერიშვილი. ყოველმხრივ შეეცადენ შეპირებებით დაეწყნარებიათ გაფიცულნი, მაგრამ უჯრედის ფხიზელი მუშაობით მათმა ცდებმა სრულიად უნაყოფოდ ჩაიარა. მრავალ სხვა მიზეზებს დაერთო ისიც, რომ თუ მუშებს აწოდებდნენ სრულიად უვარგის ქვავის პურს, თვითონ მენშევიკები, გვარდიის წევრები, მიირთმევდნენ თეთრ პურს, მოსდიოდათ კარგი ტანსაცმელ-ფეხსაცმელები და სხვა. სამი თვის შემდეგ საეჭვო პირების აცილების მიზნით ტყიბულის მაღაროებისათვის მუშები მიღებულ იქნა ქუთაისის ბირჟის საშუალებით და განახლდა მუშაობა.

სარაიონო ყრილობის დამთავრებისთანავე ბიურომ გამოიმუშავა საიდუმლო გეგმა 1919 წ. 24 ოქტომბრისათვის გამოსვლებში მონაწილეობისათვის. ამის გამო ყოველ მხრივ გააცხოველა მუშაობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ორგანიზაციის ზრდას, რისთვისაც აგვისტოში ჩამოაყალიბა 3 უჯრედი: ერთი ძველ მაღაროებში, ერთი დაბა ტყიბულში და ერთიც ს. ხრესილში. ამ დროს ნაჩვენებ უჯრედების მდივნებათ გამოიყო: ახალ მაღაროებში დავით ბულაგაშვილი, ძველ მაღაროებში— სილიბისტრო ქათამაძე, ტყიბულში ნესტორ ბაგდანაშვილი და ხრესილში ტარასი ობოლაძე. შემდეგში უჯრედების ჩამოყალიბება და ამხანაგების მიზიდვა დაევალა ძუყნურში გალაქტიონ გაბრიაძეს და ძიროვანში —პოლიკარპე სოფრომაძეს, მაგრამ ამ უჯრედების ჩამოყალიბება ვეღარ მოვასწარით, მენშევიკებმა დაიწყეს ჩხრეკა და დააპატიმრეს ორგანიზაციის 44 წევრი, რომლებსაც მთელი კვირის განმავლობაში მათრახებით უმასპინძლდებოდენ რაიმილიციის უფ

ეროვნული ბიბლიოთეკა



როსი ვალიკო ფირჩხაია, და მაღაროების კომისარი კოკი თოფურია, ეს უკანასკნელნი უსიტყვოთ ასრულებდენ გენერალურ გუბერნატორის რწმუნებულთა (დათიკო ხავთასი და სიმონ მეხუზლა) ბრძანებებს.

ერთი კვირის შემდეგ, დიდი ქრთამების გაღებით, შესაძლებელი გახდა მუშების განთავისუფლება, მხოლოდ სარაიონო ბიუროს 7 წევრი მოგვათავსეს ქუთაისის საგუბერნიო ციხეში 1919 წ. 3 ოქტომბერს შინაგან საქმეთა მინისტრი რამიშვილის განკარგულებაში ჩარიცხვით. გაგვანთავისუფლეს 1920 წ. 7 მაისს რუსეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების საფუძველზე და მოგვეცა ლეგალური მუშაობის საშუალება.

სარაიონო ბიუროსათვის ბინა დაქირავებულ იქნა დაბა ტყიბულში, მოვახდინეთ ხელახალი რეგისტრაცია და განვაახლეთ მუშაობა, ამ დროს დიდ დახმარებას გვიწევდა ამხ. სპირდონ ფოფხაძე მასიურ კრებებზე საბჭოთა კონსტიტუციის გაცნობით და სხვა საკითხებზე განმარტებითი საუბრების ჩატარებით. მთელი მასალები ე. ი. ოქმები, სარეგისტრაციო ფურცლები და სხვა ამხ. სპირდონ ფოფხაძემ წაიღო ქუთაისის ორგანიზაციაში. ლეგალური მუშაობა მენშევიკებმა აღგვიკვეთეს 23 დღის შემდეგ: რასთან ერთად დათიკო ხავთასის და სიმონ მეხუზლას მეთაურობით დარბეულ იქნა ჩვენი ბიურო, დაიწყეს სასტიკი რეპრესიები. ამიტომ პირველ ხანებში მუშაობა ნაწილობრივ შენელდა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბიუროს მუშაობას ჩამოშორდა ამხ. ვანო ვარდანიძე (დაავადმყოფდა ციხეში და გამოსვლის შემდეგ მოკლე ხანში გარდაიცვალა), დათიკო ბულაგაშვილი და პოლიკარპე სოფრომაძე. მაგრამ დარჩენილ ამხანაგებს კანდიდატების დახმარებით მოკლე დროში მოგვეცა შესაძლებლობა გააფთრებული ბრძოლა გვეწარმოებია მოწინააღმდეგეთა დასაძლევად.

1920 წ. ბოლოს კავშირის გამგეობის არჩევნების დროს მენშევიკებს ვაგრძნობინეთ სასტიკი დამარცხება, რისი ნათელი დამადასტურებელია ის გარემოება, რომ არჩეულთა შორის იყო კომუნისტი 4, ესერი 2 და მენშევიკი ერთი კაცი. ამავე კრებაზე მუშებმა ტრიბუნიდან გადმოაგდეს დამფუძნებელი კრების წევრი პავლე ბერიშვილი, რომელიც მოვლინებული იყო როგორც მთავრობის წარმომადგენელი. მენშევიკური პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა დათიკო ხავთასმა და სიმონ მეხუზლამ ამის გამო ცრემლებიც კი დაღვარეს.

უკანასკნელ ხანებში მაღაროებში შემოღებულ იქნა 10 საათის სამუშაო დრო, რამაც ხელი შეუწყო უკმაყოფილების ზრდას და როდესაც მუშებმა ვაგონების ტვირთვაზე უარი განაცხადეს მენშევიკი-მოსამსახურეები ადგილობრივ მცხოვრებ მათ ცოლებთან ერთად აწარმოებდენ ამ მუშაობას.

ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო მენშევიკების სრულიად დამარცხებამდე და ძალაუფლება ხელში აიღო საბჭოთა მთავრობამ კ. პ. (ბ) პარტიის უშუალო ხელმძღვანელობა-მონაწილეობით.

ფრუიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წითელი პარტიზანების ბრძოლა რაჭა-ლეჩხუმში

როდესაც უკვე დამარცხდა 1918 წლის მაისში სამეგრელოს გლეხთა აჯანყება, მე შემრჩა ორასი კაცი, რომელნიც შეუერთდა ამხ. საშა გეგეჭკორის რაზმს სოფელ გორდში.

ამ დროს საშას მიღებული ჰქონდა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტიდან ახალი სამოქმედო გეგმა. მან გადმომცა, რომ გამგზავრება მოგვიხდება ჩრდილო კავკასიისაკენო. ჩვენი შეერთებული რაზმი შესდგებოდა ოთხასი კაცისაგან, რომელიც გაემართა დანიშნული მიმართულებით. 15 მაისს რაზმი დავაბანაკეთ ლეჩხუმის სამაზრო ქალაქ ცაგერში. შეიარაღებული გლეხობა მოითხოვდა მათთან ერთად ბრძოლა გაგვეგრძელებინა მენშევიკების წინააღმდეგ. გლეხები გაიძახოდნენ: „ჩვენ მენშევიკების მთავრობის მიერ გამოცხადებული ვართ კანონს გარეშე, რაც გამოიწვია ჩვენმა მოთხოვნილებამ საბჭოთა რუსეთთან შეერთების შესახებ. სიკვდილი ან გამარჯვებაო!

17 მაისს გეგეჭკორმა მოიწვია ლეჩხუმის მაზრის ფარგლებში მომქმედი პარტიზანების წარმომადგენელთა ყრილობა, სადაც არჩეულ იქნა სამხედრო შტაბი შემდეგი სახელწოდებით: „სამეგრელო რაჭა - ლეჩხუმის რევოლიუციონური სამხედრო შტაბი". შტაბის წევრებად არჩეულ იქმნენ აკაკი ოჩიგავა, ივანე სვანიძე, გრიგოლ სვანიძე, გერასიმე ჯანაძე და მე. რევოლიუციონური შტაბს თავმჯდომარეობდა ამხ. ოჩიგავა. ყველა ცალკ - ცალკე მებრძოლი რაზმები გარდაქმნილ იქნა ერთ ერთეულად და დაემორჩილა ცენტრალურ სამხედრო რევოლიუციონურ შტაბს. მხოლოდ დაარსებული იქნა საველე სამხედრო შტაბი შემდეგ პუნქტებში: ჭრებალო, ნიკორისძირი, ჯვარდამწვარი, მექვენა და გორმაღალისი. თვითეული სამხედრო საველე შტაბი ხელმძღვანელობას უწევდა რამოდენიმე ასეულს სურსათ - სანოვაგის და ვაზნების მიწოდების მხრივ.

მომქმედი პარტიზანული რაზმი შესდგებოდა ათას შვიდას მსროლელისაგან, რომლის სარდლობა დამევალა მე სამხედრო შტაბის და ამხ. გეგეჭკორის წინადადებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რაჭის მაზრის სოფ. ღვარდია შეგნებულად შეხვდა ცენტრალური სამხედრო შტაბის მოწოდებას და ამ სოფელმა ამხ. ჯანაძის მეთაურობით მოგვცა ასი მებრძოლი. როდესაც ამხ. გეგეჭკორი სტოვებდა ქალ. ცაგერს თავის რაზმით და გაემართა კავკასიისაკენ, მან დამავალა რაჭა - ლეჩხუმის საზღვრებს არ გადავცილებოდი და მეწარმოებინა თავდაცვითი ბრძოლა შეტევაზე გადმოსული გვარდიელების წინააღმდეგ და მიმითითა განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია ამხ. ჯანაძისთვის, ვინაიდან მას იცნობდა, როგორც მტკიცე კომუნისტს.

15 ივნისს მექვენას მოადგა ვალოდია სულაქველიძის მეთაურობით სამას ორმოცდა ათი გვარდიელი. ეს რაზმი უნდა დაგვემარცხებინა რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა: მექვენის ირგვლივ მაღლობები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ მიერ იქნა დაკავებული და მოტყუილებით მექვენაში შემოშვებული სულაქველიძე თავისი რაზმით. ჩვენს შორის სამი - დღის სროლის შემდეგ სულაქველიძე დამარცხდა და გაიქცა ქუთაისში, ხოლო ხელთ ჩაგვივარდა ორი ზარბაზანი 6 თუ 7 ტყვიის მფრქვეველი, 60 ცხენი და 150 კაცი და ბევრი სამხედრო მასალა.

სულაქველიძესთან ბრძოლის დროს დიდი როლი ითამაშა ამხ. ჯანაძის რაზმმა, რომელმაც მას ზურგიდან აუფეთქა ხიდი და საშუალება არ მისცა იარაღით გაქცეულიყო.

13 მაისს, როდესაც საშამ უკვე დასტოვა ცაგერი და კავკავისაკენ გაემგზავრა—დაგვპირდა: „ჩავალ თუ არა კავკავში მე ვიზრუნებ დახმარება აღმოგიჩინოთ შეიარაღებული ძალითო, მაგრამ დახმარების აღმოჩენა ვერ შესძლო, რადგანაც ყაზბეგიდან მას უკან დაეხია დუშეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ. ფულით დახმარება კი მივიღეთ მისგან—25 ათასი მანეთი, კავკავიდან გადმოგზავნილი.

რასაკვირველია, სულაქველიძის დამარცხებისთვის ჩვენ უფრო გვიჭირდებოდა მომზადება, ვინაიდან ქრილობა მიღებული მოწინააღმდეგე შეეცდებოდა ახალი ძალებით შეტევაზე გადმოსვლას. ამ მიზნით, გარდა პოზიციების გამაგრებისა საჭირო იყო ტერიტორიის გაფართოებაც, რის გამო ამხ. ჯანაძეს დაევალა, როგორც რაჭველს და იქაური ამხანაგების მცოდნეს, თავის რაზმით გამგზავრებულიყო რაჭისაკენ ძალების შესაკრებად ადგილობრივ ამხანაგების საშუალებით და გაგვემაგრებინა ქუთაისიდან მომავალი რაჭის მიმართულების გზატკეცილი ნაქერალას ქედზე. მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამხ. ჯანაძეს წინადადება მისცეს ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმა, რომ მას მოეხსნა თავისი რაზმი და ჩვენთვისაც გადმოეცა ფრონტის დაცლა, რომ არ გაგვეღიზიანებია მთავრობის ჯარი და უბრძოლველად დაგვეტოვებინა ბრძოლის ველი. ამრიგად ნაქერალას მაღლობი დარჩა გახსნილი მტრისათვის.

სულაქველიძის დამარცხების მესამე დღეს გადავწყვიტეთ სამხედრო შტაბში ქუთაისის აღება, მაგრამ გალაშქრებამდე საგუბერნიო კომიტეტიდან წინადადება მივიღეთ თავი შეგვეკავებინა და გაგვემაგრებინა მხოლოდ საზღვრები. ამ გარემოებამ უკმაყოფილება გამოიწვია სამხედრო შტაბის წევრთა შორის, მაგრამ ბოლოს გავიგეთ, რომ განკარგულება იყო ქუთაისზე არ გადმოსვლის შესახებ კანონიერი, ვინაიდან გერმანელებს დესანტი გადმოესხათ ქალ. ფოთში და თუ ეს ასე იყო, რასაკვირველია, ქუთაისი რომ მართლაც აგვეღო, ძალაუფლებას ვერ შევინარჩუნებდით.

მოწინააღმდეგეს მიერ დატოვებულმა იარაღმა დიდათ შეგვიწყო ხელი მთელ მაშინდელ ბრძოლაში, მაგრამ ლეჩხუმი ერთი იყო და მტრები კი ურიცხვი: ქუთაისიდან მოდიოდა რეგულიარული ჯარი გენერალ სუმბათაშვილის მთავარსარდლობით, ზემო - სვანეთიდან მოდიოდა 400 კაცი გვარდიელები ონიანის მეთაურობით, ხოლო ამავე დროს სენაკის მაზრიდან გვემუქრებოდა ყაჩაღების მეთაურები ხაჟომია და სანდრო გვასალია (უკანასკნელი დაიხვრიტა, როგორც ყაჩაღი საქართველოს გასაბჭოების პირველ დღეებში).

ამ რიგათ გენერალ სუმბათაშვილის ლაშქრის შემოსევამ უძლური გაგვხადა მით უმეტეს, რომ ჩვენს რაზმელებს ჰქონდა თითოს ოთხი - ხუთი ვაზნა, ზოგს კი სულ არაფერი. სუმბათაშვილმა თავის ჯარით ალყა შემოგვარტყა სამი მიმართულებით: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. თუმცა ბუნებრივი სიმაგრე ჩვენს ხელში იყო, მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გრამ მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლმა მოსახლეობას გაუჩინა ცეცხლი და ამ გარემოებამ იძულებული გაგვხადა 48 ვერსის მანძილზე ფრონტი მოგვეხსნა.

27 ივლისს ცაგერის სამხედრო შტაბის გადატანა მოხდა ქულბაქის მთის მწვერვალებზე, სადაც გავმაგრდით. აქ უკვე ბრძოლის გაგრძელებაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო და გადავწყვიტეთ სამას კაცისაგან შეიარაღებული ცხენოსანი რაზმის შედგენა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო 300 ცხენ-უნაგრის შესაძენი თანხა, რომლის შემდეგ შევსძლებდით რომელიმე მიმართულებით მენშევიკების ფრონტის გარღვევას და რუსეთის საბჭოთა ტერიტორიაზე წითელი არმიასთან შეერთებას.

საჭირო ფულის შესაძენათ ტფილისში უნდა გავმგზავრებულიყავი მე, მაგრამ, როდესაც გადმოვედით სენაკის მაზრის საზღვრებს, ხელში ჩაუვარდით გვარდიელებს და მე და ამხ. ოჩიგავას ქალ. სენაკში მეორე დღეს გადაგვიწყვიტეს სიკვდილით დასჯა — დახვრეტით, მაგრამ ამავე დღეს მოხდა სამეგრელოს პირველი ერობის ყრილობა ახალ-სენაკში და როდესაც ყრილობის წევრებმა დაინახეს, რომ ჩვენს საფლავზე თავმოყრილია 5.000-მდე გლეხკაცობა, რომლებიც მოითხოვდნენ ჩვენთვის სიცოცხლის შენარჩუნებას, ერობა იძულებული გახდა შუამდგომლობა აღეძრა ცენტრის წინაშე სიცოცხლის შენარჩუნების და დახვრეტა შეეცვალა 20 წლის კატორღით.

აღსანიშნავი და საყურადღებოა ის გარემოება, თუ როგორ ალტაცებით იბრძოდა რაჭა-ლეჩხუმლები სამი თვის განმავლობაში: შეიარაღებულნი ვინც იყო, პოზიციას აღარ შორდებოდა და მუდამ უცქეროდა მოწინააღმდეგეს, ქალები ამზადებდნენ ჯარებისათვის საჭმელ - სასმელს და მოხუცებულები კი, ეზიდებოდნენ და არიგდნენ საველე შტაბებში. მთელი მცხოვრებლები ერთსულოვნათ გვეხმარებოდნენ, მხოლოდ არ შემოგვეშვა მოწინააღმდეგის ლაშქარი, მაგრამ მოწინააღმდეგის სიძლიერემ დაიმორჩილა უიარაღო და დაქანცული მხარე და მენშევიკებს საშუალება მიეცა აეწიოკებიათ რაჭა-ლეჩხუმი.

ამ ბრძოლის მსხვერპლია ამხ. შანიძე, მიხა ჩხეტიანი (სენაკში დახვრიტეს) და ურიცხვი სხვები, მაგრამ ამ მხარემ და იქაურ გლეხობამ კარგათ იცოდა, თუ რისთვის გაიღო ამოდენა მსხვერპლი.

1918 წლის ლეჩხუმის ბრძოლა რუსეთის პროლეტარიატისაგან საქართველოში გამოქცეული მენშევიკების წინააღმდეგ უნდა აღინიშნოს იმისათვის, რომ აქ სამი თვის ბრძოლით საძირკველი ჩაეყარა საბჭოთა წყობილებას.

**სანდრო ქაჯაია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# არალეგალური მუშაობა აჩკომკავშირელებთან ერთად

**(1918-1920)**

1917 წელს მენშევიკების მიერ ჩვენი პარტიული გაზეთის „კავკასკი რაბოჩის" დარბევა-დანგრევის შემდეგ და რადგანაც ჩვენ არ მოგვეპოვებოდა სხვა ლეგალური გაზეთი, ბოლშევიკური პარტიის წინაშე საკითხი დადგა არალეგალური ლიტერატურის გამოცემის შესახებ.

1917 წლის შემოდგომაზე მე ვმუშაობდი ტერ-გევონდიანის სტამბაში. აქ მე ვაწყობდი პროკლამაციებს, ასაწყობი მასალა მოჰქონდა ამხ. ჩუბინიძეს, ბარონ ბიბინეიშვილს და სხვ.

1918 წლის დამდეგს მოეწყო ახალი სტამბა ე. წ. „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა". ამ სტამბის გასაფართოვებლად შესყიდულ იქნა რამდენიმე სტამბა, სხვათა შორის, ტერ-გევონდიანის სტამბა და ამ სტამბასთან ერთად მეც გადავედი სამუშაოდ ამ ახლად მოწყობილ სტამბაში.

ეს სტამბა მოთავსებული იყო გეოშოვის სახლში (რუსთაველის პროსპექტი, 26). აქ განვაგრძობდი პროკლამაციების ბეჭდვას; მაგრამ მენშევიკების ტერორმა საბოლოოდ გაჰფანტა ამხანაგები, არალეგალურ პირობებში ჩააყენა პარტიული მუშაობა. ამის შემდეგ მთელი პარტიულ-ტეხნიკური მუშაობა გადავიდა ახალგაზრდობის ხელში. ამ ჯგუფში შედიოდნენ: სტ. ვარდანიანი, ამასი, გაიოზ დევდარიანი, ბორის ძნელაძე, სურენ არშაკუნი, იაშა ოკოევი, მაგარანიანი და სხვ.

25 აპრილს 1929 წელს ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა სარეკომენდაციო წერილით და თხოვნით, რომ დამებეჭდა პროკლამაცია ინგლისურ ენაზე, ეს ახალგაზრდა იყო ამხ. ამასი, პროკლამაცია დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე და გავრცელებულ იქნა 1 მაისს საოკუპაციო ინგლისის ჯარებში.

ამ პროკლამაციამ ბევრი უსიამოვნება მიაყენა ინგლისელ გენერლებს და კიდევ უფრო მეტი, მენშევიკურ მთავრობას. დაბეჭდვას გარდა მე მონაწილეობას ვღებულობდი ამ პროკლამაციის გავრცელებაში. 2 მაისს ინგლის-ინდოეთის ჯარის ერთი ნაწილი ბაქოში გაიგზავნა მუსავატელების მთავრობის დასახმარებლად. არსენალთან მე ავედი ვაგონის სახურავზე და იქიდან ვაგონში ჩავყარე პროკლამაციები. ჯარისკაცები ხელში აგლეჯდენ ერთმანეთს პროკლამაციებს.

1918 წლის მაისში ამხ. ამასი სურამში აწარმოებდა პარტიულ მუშაობას. მოკლე ხანში მან მუშაობაში ჩააბა ორმოცი კაცი და უნდა ჩამოეყალიბებია უჯრედი. ამ მიზნით ერთ კვირა დღეს ეკლესიის ეზოში ხაშურის მახლობლად (3 ვერსტი) მოწვეულ იქნა კრება. კრებას დაესწრო ხანში შესული ხალხი და ამიტომ მე მოვითხოვე, რომ მოწყობილიყო ორი უჯრედი, მაგრამ ამაისმა გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და მოეწყო მხოლოდ კომკავშირული უჯრედი, ეს იყო პირველი კომკავშირული უჯრედი სახელწოდებით „სპარტაკი".

1918 წ. კომკავშირის წლის თავზე კომკავშირის საოლქო კომიტეტს სუროდა არალეგალური ჟურნალის გამოცემა. ეს საქმე მიენდო ამხ. ამასს. მან ვერ გაითვალისწინა, თუ რამდენად საფრთხილო იყო ეს საქმე, რაც შეიქნა ჩავარდნის მიზეზად. ჟურნალის მასალა ამხ. ამაისმა გადასცა ისეთს ასოთ-ამწყობს, რომელსაც რუსული ნაკლებათ ესმოდა, ჟურნალს ის აწყობდა ორი კვირის განმავლობაში. ამხ. ამასმა მომმართა მე. მე კი დავიხმარიე ამხანაგები რომან მანდრიცკი და ვანო ოგანეზოვი. ჩავიკეტეთ მატინიანცის სტამბაში და შევუდექით საქმეს. სამ დღეში ჟურნალი ავაწყვეთ. დაბეჭდვა უნდა დაგვეწყო საღამოს 8 სათიდან. მე და ამასი მივედით საღამოს 7 ს. და ველოდეთ მბეჭდავის მოსვლას, რომელიც იქვე ტრაქტირში იყო, მაგრამ მბეჭდავის ნაცვლად მოვიდენ სისხლის სამართლის მილიციის აგენტები ასოების ჩამომსხმელ ვერმიშენკოსთან ერთად. პირველად ჩვენ ვიფიქრეთ, რომ გაცემული ვიყავით ვერმიშენკოს მიერ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ვერმიშენკო თავის სამუშაოზე იპარავდა ახალ ასოებს და ჰყიდდა მატინიანცთან. ჩვენი ჟურნალი აწყობილი იყო ამ ნაქურდალი შრიფტით. სისხლის სამართლის მილიციას არ გამოურკვევია, თუ რა იყო დაბეჭდილი ამ ასოებით, შრიფტი დამალა და კონფისკაცია უყო. ასე ამნაირად ვერ მოხერხდა კომკავშირული ჟურნალის გამოცემა.

ამის შემდეგ **ახკომკავშირის** წინაშე დაისვა საკითხი საკუთარი არალეგალური სტამბის მოწყობის შესახებ. ამ საქმის მოწყობა მე ვიკისრე, წინასწარ უნდა წავსულიყავი სამუშაოდან, რის შესახებაც განცხადება შევიტანე კავშირში, რომ გავენთავისუფლებიე როგორც ტუბერკულიოზით ავადმყოფი. ამასი და ვარდანიანი მოელაპარაკნენ ამხ. ნაზარეტიანს. მივიღეთ სტამბის შეძენის ნებართვა და ფული. კერძოდ ასოები არ მოგვყიდეს, ამიტომ უნდა მოგვეპარა ასოები სტამბებიდან. ამ მიზნით მე მოვახდინე ამხანაგების მობილიზაცია. მოკლე დროში უკვე გვქონდა ორი კასა რუსული შრიფტით, აგრეთვე ქართული და სომხური შრიფტი, რაც შენახული იყო დიდუბეში ერთ საიმედო მოხუც ქალთან. მეფის მოადგილის სტამბაში იყო ერთი პატარა საბეჭდავი მანქანა—წინად ჟანდარმერიის მიერ აღმოჩენილი როგორც არალეგალური სტამბა. ეს მანქანა გადაეცა მეფის მოადგილის სტამბას და ამ ხანად ეს სტამბა მენშევიკების განკარგულებაში იყო.

მე განვიზრახე ამ მანქანის გატაცება ჩვენი არალეგალური სტამბისათვის. და თუ აქ არ მოხერხდებოდა, უნდა გაგვეტაცებია „კავკაზსკოე სლოვოს" სტამბიდან (გიმნაზიის ქ.). მე ამხ. ამასთან ერთად ორივე სტამბის კარებიდან ავიღეთ გასაღებების ზომა, ყველაფერი მზად გვაქვს, მაგრამ ბინა ვერ გამოვნახეთ არალეგალური სტამბისათვის. ფურცლები კი უნდა გამოგვეცა. ამ მიზნით მე დავუკავშირდი ასოთამწყობ ვანიჩკა ჯაფარიძეს. ის მუშაობდა „ქართული ბეჭდვითი ამხ-ბის სტამბაში". აწყობდა ცალკე ოთახში ნაციონალ-დემოკრატის გრ. ვეშაპელის გაზეთს. მას მე გადავსცემდი ხოლმე მასალას ქართულ ენაზე, ისააწყობდა და აწყობილ „ნაბორს" მე მომიტანდა.

პროკლამაციებს რუსულ ენაზე ვაწყობდი მენშევიკურ გაზეთ „ბორბა"-ს სტამბაში. ამ სტამბაში ორი ამხანაგი მუშაობდა მანდრიცკი და კვეტიკი, რომელთაც მინდობილი ჰქონდა ეს საქმე. ამ ფურცლებს ვბეჭდავდით მენშევიკების ც. კ. სტამბაში, სადაც მათი გაზეთი „ერთობა" იბეჭდებოდა. იქ მუშაობდა ძველი მბეჭდავი მეუტაშვილი, მუშაობდენ აგრეთვე გვარდიელები გიორგაძე და გეგეჭკორი (ამჟამად აქტიური კომუნისტები).

მეუტაშვილს მე კარგად ვიცნობდი. გიორგაძეს და გეგეჭკორს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიცნობდი, მეუტაშვილი კი მოითხოვდა, რომ ესენიც თანახმა ყოფილიყვნენ. ერთ დღეს ჩემი წინადადებით მეუტაშვილმა პატარა ქეიფი მოაწყო: დაპატიჟა გიორგაძე და გეგეჭკორი, შემთხვევით ვითომ მეც მიმიპატიჟა. აქ გაიმართა კამათი: ერთი ნაწილი მიემხრო ბოლშევიკებს, მეორე ნაწილი წინააღმდეგი იყო ბოლშევიკების. ბოლშევიკებს უჭერდენ მხარს უკმაყოფილო მენშევიკები გიორგაძე და გეგეჭკორი და რადგანაც ისინი ბოლშევიკებს თანაუგრძნობდენ მეორე დღეს მე მათ წინადადება მივეცი ფურცლების დაბეჭდვის შესახებ, ისინი დასთანხმდენ და ამის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში ბეჭდავდენ ჩემ მიერ მიტანილ არალეგალურ ლიტერატურას.

ამ სტამბის გვერდით ბორის ძნელაძემ დაიკავა კონსპირატიული ოთახი. გასაღები ამ ოთახის გვქონდა —ერთი მე, მეორე—მეტუაშვილს, მესამე მუშას. მე ჩემი „გარმოშკით“ მომქონდა „ნაბორი“ და ვტოვებდი იქ, ღამით (გაზ. „ერთობა“ ღამით იბეჭდებოდა), მეტუაშვილს მიჰქონდა ეს „ნაბორი“ და როცა მორჩებოდა სამუშაოს, დაბეჭდილი პროკლამაციები მოჰქონდა ჩვენს ოთახში. დილით მუშას (ამბალს) პროკლამაციები გადაჰქონდა სურენ არშაკუნის კონსპირატიულ ბინაზე (მოგნინის შესახ.), ხშირად თითონ სურენსაც მიჰქონდა პროკლამაციები. დაბეჭდვის შემდეგ „ნაბორებს“ გადასარჩევად ვუბრუნებდით სტამბას.

ექვსი თვის შემდეგ მინისტრმა რამიშვილმა გაიგო საქმის ვითარება და გაუხმაურებლად სამუშაოდან მოხსნა გიორგაძე და გეგეჭკორი, გადაუხადა რა მათ სრული ხელფასი და გაისტუმრა ისინი სოფლად.

ამის შემდეგ აქ აღარ შეიძლებოდა პროკლამაციების ბეჭდვა. ამავე დროს სხვა მხრითაც შემიფერხდა საქმე. ვანიჩქა ჯაფარიძე სამილიციო კომისარიატის გვერდით ცხოვრობდა, მე ხშირად მიხთებოდა მასთან სიარული. უფროსმა მილიციონერმა ექვი აიღო და იწყო ჩემი დასმენა კომისართან. რათა სხვა მხრით მიგვექცია მისი ყურადღება მე და ჯაფარიძემ გადავსწყვიტეთ გაგვემართა ამ მილიციონერისთვის პატარა ქეიფი, იქვე, დუქანში, მილიციის პირდაპირ. ამ მიზნით მე ჯაფარიძეს გადავეცი ფული. თითქოს შემთხვევით მე გავიარე, „გარმოშკით“ დუქნის წინ, ამხანაგმა მიმიწვია იქ დასაკრავად. მეც დავუკარი მილიციონერების თვალწინ. ყველაფერი კარგათ ჩატარდა, მხოლოდ წესრიგის დარღვევისათვის მე წამიყვანეს მილიციაში, საიდანაც გამანთავისუფლეს და გამაფრთხილეს, რომ მეტი არ გამოვჩენილიყავი ამ რაიონში, თორემ ციხეში ჩამაჯენდნენ და „გარმონს“ წამართმევდენ. უფროს მილიციონერს, რომელმაც ჩემს შესახებ მოახსენა, კომისარმა სასტიკი შენიშვნა მისცა, „რომ ყოველი „ბოსიაკი“ მას ბოლშევიკი ჰგონია.

ამის შემდეგ მე თუმცა თავისუფლად ვატარებდი „ნაბორს“, მაგრამ მაინც უნდა მეფიქრა ახალ სტამბაზე. ასეთ სტამბათ აღმოჩნდა ფედერალისტების სტამბა კალოუბნის ქუჩაზე. აქ მუშაობდა მბეჭდავი ხოსროევი, შავი მუშა მიშა და სტამბის გამგე დათიკო. ხოსროევის დახმარებით მე დავაუხლოვდი ამათ—საჭირო იყო დიდი პროკლამაციის აწყობა. ის უნდა აეწყო ორ ამწყობს: ნიკოლოზ რომანოვს და სენია ალექსანდროვს რომანოვის ბინაზე დიდუბეში, სადაც მე გადავიტანე შრიფტი კასითურთ. ფურცელი ააწყვეს. აქედან შავ მუშა მიშამ „ნაბორი“ გადმოიტანა სტამბაში, სადაც დაიბეჭდა, მაგრამ ეს გაიგეს ფედერალისტებმა და მეორე დღეს ყველანი დაითხოვეს სტამბიდან.

ამ ხანებში მენშევიკების მინისტრი რამიშვილი ბრალს სდებდა ფედერალისტებს ბოლშევიკების არალეგალურ ლიტერატურის ბეჭდვაში. ჯერ ფედერალისტებმა არაფერი იცოდენ და თავს იმართლებდენ, მაგრამ როცა დარწმუნდენ რაშიაც იყო საქმე, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცხადეს, რომ დამხაშავე მუშები ჩვენ დავითხოვეთო.

ამ სტამბების „ჩავარდნის“ შემდეგ მივმართეთ სტამბა „მამულ“-ს. ის მოთავსებული იყო ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ ქაშუეთის ეკლესიის შენობაში. იქ იბეჭდებოდა გაზეთი ინგლისურ ენაზე. ამწყობმა ზარემბამ და მბეჭდავმა ს. სარქისმა, რომელნიც ამ სტამბაში მუშაობდენ, იკისრეს ეს საქმე. გაზეთს ღამით ბეჭდავდენ, პროკლამაციებსაც — ღამით. გაზეთის დაბეჭდვის შემდეგ ამხ. ზარემბა კარებში დადგებოდა ხოლმე დარაჯად, ამ დროს სარქისა ბეჭდავდა. დილით ზარემბას „ნაბორი“ ჩემთან მოჰქონდა. დაბეჭდილი კი სარქისას მიჰქონდა სუფ-კარაპეტის ეკლესიის ეზოში, აქედან ჩვენი ამხანაგი ავრცელებდა.

მაგრამ ვერც აქ მოვახერხეთ დამშვიდებით და დიდი ხნით მუშაობა. თუმცა ეს სტამბა არ „ჩავარდნილა“, მაგრამ ქვემოდ მოყვანილმა შემთხვევამ ისე დააშინა მუშები, რომ იძულებული შევიქენით მოგვენახა ახალი სტამბა.

ერთხელ ღამით 2 საათზე, როცა კოკისპირული წვიმა იყო ამხ. სარქისი პროკლამაციას ბეჭდავდა, ზარემბო კი, ჩვეულებრივად დარაჯობდა. ამ დროს ზარემბომ შენიშნა, რომ მისკენ ორი აგენტი მიდის, ეს მან აცნობა ამხ. სარქისს, რომელმაც სინათლე ჩააქრო, კარები მიხურული იქნა. აგენტები მივიდენ სტამბის კარებთან და მათ შორის გაჩაღდა დავა იმის შესახებ, მართლა იყო სინათლე. ჩააქრეს თუ არა. დაბოლოს მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ ამისთანა წვიმიან ამინდში და ასე გვიან ღამით ვინ დაბეჭდავდა ფურცლებს და მოშორდენ სტამბას. მართალია, აგენტების წასვლის შემდეგ ამხანაგებმა ბოლშევიკურად შეასრულეს დავალება — ფურცლები დაბეჭდეს, მაგრამ შემდეგში ისეთი ხალისით აღარ ეკიდებოდენ ახალ საქმეს, ამიტომ იძულებული შევიქენი გამომენახა ახალი სტამბა.

იაკობ საგანელოვის სტამბა მოთავსებული იყო ჩერქეზიშვილის (ახლა საბჭოთა) მაზუთის შესახვევის პირდაპირ. „ამერიკანკა“ მოთავსებული იყო საკანცელარიო საგნების სავაჭროს უკან. ამწყობის დემუროვის საშუალებით მოველაპარაკე პატრონს (ახლა ის ტრამვაიზე მუშაობს კონდუქტორად. დიდ დახმარებას მიწევდა ფურცლების ბეჭდვაში საგანელოვის ვაჟი (16 წლის) მიშა (ახლა პარტიული). თუ როდისმე მამა უარს შეუბნებოდა, ის ყოველთვის ხალისით ბეჭდავდა ჩვენს ლიტერატურას. თითონ საგანელოვი სტამბის პირდაპირ ცხოვრობდა. ნაბორი და ქაღალდი მიმქონდა მის ბინაზე, მისი ბინიდანვე მიჰქონდა დაბეჭდილი ლიტერატურა სურენ არშაკუნის. აქაც მოხდა ასეთი კურიოზი. ერთ დღეს წიგნის მაღაზიაში შემოვიდა, როგორც ჩვენ გვეგონა, განსაკუთრებული რაზმის აგენტი. ეს იყო იმ დროს, როცა ნაბორი გაშვებული იყო მანქანაზე და იბეჭდებოდა. ყველანი შიშმა მოიცვა; როცა აგენტი მაღაზიიდან სტამბაში წავიდა მე დრო ვიშოვე და გამოვედი ქუჩაში. აქედან წავედი რკინის გზის სტამბაში, საიდანაც გავგზავნე ამწყობი რომანოვი იმის გასაგებად, თუ რა მოხდა იქ. აღმოჩნდა, რომ იქ მისულიყო სისხლის სამართლის მილიციის აგენტი, რომელიც თურმე დაეძებდა იმ სტამბას, სადაც ყალბი ასმანეთიანები იბეჭდებოდა და რახან მას ასეთი ვერაფერი აღმოეჩინა სტამბაში, ხელცარიელი წასულიყო უკანვე. ამ დროს ამხანაგებს შიშით ნაბორი დაემალათ. ასე რომ, პროკლამაცია ვერ დაიბეჭდა.

1920 წ. 1 მაისისთვის მე დამევალა დამებეჭდა ბლომად ფურცლები ოთხივე ენაზე. ნაციონალ - დემოკრატები იძულებული შეიქნენ დაეხურათ თავიანთი გაზეთი და ასე ამწყობი ვანო ჯაფარიძე დაეტოვებიათ უმუშევრად. ამ შემთხვევაში მე დავითან-

ხმე ფულის მოყვარული ამწყობი გარეგინ ხომარიანი, ჰქონოდა თავის ბინაზე ჩვენი არალეგალური სტამბა. აქ პირველი მაისისათვის დაიბეჭდა 20 ათასამდი ცალი პროკლამაცია სხვადასხვა ენებზე.

მაგრამ ფურცლებს გარდა საჭირო იყო გაზეთი, სათაურათ— „Коммунист". ტექსტი მზად იყო, მაგრამ სათაური არ გვქონდა. მე წავედი ჩემი გარმონით გაზ. „სლოვოს" სტამბაში. დედანი გადავეცი ამხ. ლოგვინოვს და ზაიკას. მე კი გარმონზე თამაშს შევუდექი, რათა გამერთო ასოთამწყობნი და უმთავრესად მენტრაპანჟი მენშევიკი ურუშაძე. გარმონმა ისევ გაიტაცა ესენი, რომ ცეკვაც კი მოისურვეს. ლოგვინოვმა და ზაიკამ კი გააკეთეს მინდობილი საქმე და ნაბორი საამწყობოში ჩაიტანეს, იქ მე ჩავმალე გარმონში და წავიღე. გაზეთი დაიბეჭდა. სხვათაშორის დაბეჭდილი გაზეთი ურუშაძემაც ნახა და იცნო შრიფტი და მიხვდა, რომ საქმე ჩემი მოწყობილი იყო, მოითხოვა არ გავკარებოდი სტამბას; ლოგინოვი კი დააპატიმრეს და გადაასახლეს ბაქოში.

იმ ხანებში საერთოდ ბლომად ვბეჭდავდით სხვადასხვა ფურცლებს. კარგათ გვქონდა მომარაგებული ქაღალდი და აგრეთვე კარგათ იყო მოწყობილი ქაღალდის დაჭრის საქმე. დიდძალი ქაღალდი იყო საჭირო. კვირაში თითქმის სამჯერ გამოდიოდა ფურცელი და არ ყოფილა იმის მაგალითი, რომ 4000 ნაკლები დაბეჭდილიყოს თითოჯერ.

სოლდათის ბაზარში სომხის სემინარიის შენობის ეზოში საამკინძო ჰქონდა ლევან იაკუბოვს, რომელიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა. აქ მოგვქონდა ქაღალდი ურმობით. ვაწყობდით და შემდეგ საჭიროების მიხედვით ვხარჯავდით.

ფურცლებს გარდა საჭირო შეიქნა პოლიტეხნიკუმის მოწმობების დაბეჭვდა. მთელ ტეხნიკურ სამუშაოს ახალგაზრდობა ასრულებდა. ყველაზე უფრო შესაფერი შესაკრები ადგილი კი პოლიტეხნიკუმი იყო რუსთაველის თეატრის გვერდით. ამიტომ საჭირო იყო რაზმის აგენტების თვალის ასახვევად მომუშავე ახალგაზრდებს პოლიტეხნიკუმის მანდატი ჰქონდათ, რომ ისინი სტუდენტები არიან. ნამდვილი ბლანკი გადმომცა ამხ. სტ. ვარდანიანმა, რომელიც მაშინ არალეგალურად ცხოვრობდა დ-რ აგაჯანოვთან კადეტის შესახვევში. ერთ-ერთ სტამბაში ამოვარჩიე შესაფერი შრიფტი და დავბეჭდე 400 ცალი. ბეჭედი გავაკეთებიე მადათოვის კუნძულზე სახელოსნოში.

ასე რომ, მთელი არალეგალურად მომუშავე ახალგაზრდობა დაწყებული ს. ვარდანიანიდან შეიქნა პოლიტეხნიკუმის მსმენელები, გარდა ამხ. ამაისისა, რომელსაც საზოგადოთ არ უყვარდა არავითარი მოწმობის ტარება.

1919 წელს გორში დიდი მიწისძვრა მოხდა. ჩვენმა პარტიამ ფრინავი რაზმები მოაწყო ადგილობრივად გასაგზავნად, რომ დახმარება აღმოეჩინათ დაზარალებულთათვის. მე იმ დღეებში ტფილისში არ ვყოფილვარ და როცა დავბრუნდი სამი დღის შემდეგ, სახლში დამხვდა სიჩქაროდ დასაბეჭდი ფურცლების სამი დედანი. რუსული დედანი მაშინვე გადავეცი ასაწყობათ გაზ. „ბორბა"-ს სტამბაში ამხ. მანდრიცკის და ვიდრე მეორე ფურცელის დედანს (ქართულს) გადავცემდი მეორე სტამბაში, პირველის კორექტურა უკვე მზად იყო. მე ოტისკები წავიღე გოლოვინსკის პროსპექტით მოგზინის შესახვევში კონსპირატიულ ბინაზე, სადაც მელოდებოდა ამხ. სტ. ვარდანიანი, რომელსაც ამხ. ნაზარეტიანთან ერთად უნდა გაესწორებია კორექტურა. ერევნის მოედანზე შევამჩნიე, რომ აგენტი მითვალყურებდა. აქ შემხვდა ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობი ქალიშვილი. როცა შევატყვე, რომ აგენტი არ მშორდებოდა, ამ ქალიშვილს ვსთხოვე წასულიყო ჩემს ბინაზე და გაეფრთხილებია ჩვენები. სახლში შენახული მქონდა ამხ. ფილიპე მახარაძის მიერ დაწერილი ვრცელი პროკლამაციის დედანი. აქედან გავსწიე ერევნის მოედნისკენ. ვერ შეამჩნია, რა ამხ. ანასმა, რომ მე ადევნებული მყავდა აგენტი, მოვიდა ჩემთან. ვანიშნე არ მისულიყო, მაგრამ ვერაფერს გავხდი. წავედით ორივენი შუა ბაზრისაკენ. ამას-აბადის მოედანთან აგენტმა წინადადება მოგვცა გავყოლოდით მას, მაგრამ აქ ჩვენ შევსძელით გაქცევა. მაშინვე დავბრუნდი სახლში, ყველაფერი გადაემალათ. სხვათა შორის დაეწვათ ამხ. ფ. მახარაძის დედანიც.

1920 წ. მე დიდუბეში ვცხოვრობდი. ერთ დღეს დილის 4 საათზე მოვიდნენ განსაკუთრებული რაზმის აგენტები ქარცივაძის მეთაურობით და წინადადება მომცეს მწოლარეს ავმდგარიყავ. მე ავადმყოფობა დავასახელე, მართლაც ავად ვიყავი ტუბერკულოზით, — სისხლს მაღებინებდა. ქარცივაძემ ოქმი შეადგინა და წინადადება მომცა მას გავყოლოდი. მე მას მოვსთხოვე საჩქარო დახმარების ეტლით წაყვანა როგორც ავადმყოფის. გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს მხოლოდ ცარიელი ყუმბარა, ჩემი რევოლვერიკი ვერ აღმოაჩინეს. გარმონში იყო დასაბეჭდი პროკლამაციის დედანი. შეკითხვაზე — თუ რით ვცხოვრობ — მე დავავლე ხელი გარმონს და დავუკარი. ეს მათ მოეწონა. ამის შემდეგ გარმონი გადავეცი ცოლს, მან გადასცა მეზობელს, სადაც ორიგინალი გააქარეს. ოქმის შედგენის შემდეგ ქარცივაძემ წინადადება მომცა წავყოლოდი მას, მაგრამ მე მას უთხარი — როგორ შეიძლება ეს, ასე მეპყრობი განათლებული კაცი მეთქი. ამან მასზე იმოქმედა და დამტოვა შინაურ პატიმრობაში. სამი დღის შემდეგ გამიწვიეს განსაკუთრებულ რაზმში და იქ წარმომიდგინეს პროკლამაციების მთელი შეკვრა. მაჩვენეს აგრეთვე კონვერტები ფურცლებით მინისტრი რამიშვილის და განსაკუთრებულ რაზმის უფროსის სახელობაზე. ამ წესით ფურცლების დაგზავნას მე მაბრალებდენ. ამ საქმეს კი ამხ. ამასი აწყობდა. დაპატიმრების მესამე დღეს დაიდო ცნობილი საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისა და მენშევიკურ საქართველოს შორის. მე გამანთავისუფლეს ამ ხელშეკრულების თანახმად. კრაევოი კომიტეტის ნებართვით მე როგორც ავადმყოფი საცხოვრებლად წავედი სურამში.

1921 წ. როცა მენშევიკების ჯარები უკან იხევდენ, გვარდიის მეთაურმა „ხარფუხელმა“ მე დამაპატიმრა. მაბრალებდენ ჯარის ზურგში პროპაგანდის წარმოებას, გადამცეს საველე სასამართლოს, მაგრამ ვიდრე გამოძიებას დაამთავრებდენ უკვე მოგვისწრო წითელმა ჯარმა და გამანთავისუფლეს.

**ავეტიკ ღაზაროვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დახვრეტილ ბოლშევიკის ხსოვნას

## (მოგონებანი სტეფანე ალავერდოვის შესახებ)

სარაკამიშში ზამთრის ერთ საღამოს მაცნობეს, რომ ტფილისიდან ჩამოსულს სურდა ჩემი ნახვა. ჩვენ ერთმანეთს შევხვდით ქალაქთა კავშირის შენობაში, სადაც მე განვაგებდი საკონტროლო ნაწილს; ჩემს წინაშე იდგა საშუალო ტანის, დაახლოვებით 25 წლის კაცი. ყოველგვარ ოფიციალობის გარეშე ჩვენ, რომელნიც დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით უნივერსიტეტში, შევუდექით საუბარს. მან გადმომცა კონვერტი, სადაც შემდეგი ეწერა: „მოვავლინებთ რა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტებში კურსდამთავრებულ სტეფანე ალავერდოვს ერზერუმის რაიონში კონტროლიორად, წინადადება გეძლევათ გაუწიოთ მას ყოველგვარი დახმარება, რომ შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას“.

მუსაიფის დროს ის დაინტერესდა, თუ როდის შესძლებდა წასვლას ერზერუმში. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ამ ახალგაზრდა სტუდენტს არ ჰქონდა სათანადო გამოცდილება და ამიტომ ვურჩიე მე ვიდრე ერზერუმის რაიონში წავიდოდა, წინასწარ საქმეებს გაცნობოდა სარაკამიშში. ის დათანხმდა და ასე დარჩა სარაკამიშში 1915-დან 1917 წლამდე.

ზედმეტად მიმაჩნია წერა იმის შესახებ, თუ როგორი თანამშრომელი შეგვემატა ამხ. ს. ალავერდოვის სახით. ის იყო უაღრესად პატიოსანი, სამართლიანი და დამოკიდებულებაში უბრალო, ამიტომ ის შეიყვარეს ყველა კატეგორიის თანამშრომლებმა და მიმაგრებულმა ჯარისკაცებმა.

შეხვედრის პირველ დღეებში ს. ალავერდოვმა მაცნობა, რომ ის ბოლშევიკი იყო. რეაქციის სუსხიან და ჟანდარმერიის ბატონობის დღეებში ძნელი იყო ვისმეს წინაშე თავისი „კრედო“-ს გამომჟღავნება, მაგრამ მაშინ მე ვითვლებოდი რ.ს.დ.მ.პ. წევრად და ომის საკითხში ვიცავდი „პორაჟენცულ„ ხაზს. შეხვედრის დღიდან ამხ. ალავერდოვის ტრაგიკულად დაღუპვამდე ჩვენ მეგობრებათ დავრჩით.

დადგა თებერვლის დღეები; სარაყამიშში ჩვენ არაფერი ვიცოდით სატახტო ქალაქში მომხდარი ამბების შესახებ, როცა ერთხელ საღამოთი, ს. ა. გვაცნობა პეტროგრადში მომხდარი პროლეტარიატის აჯანყების შესახებ და იმის შესახებ, რომ ნიკოლოზ მეორე ჩამოგდებული იყო, მთელი ღამე ჩვენ პოლიტიკური ხასიათის საუბარში გავატარეთ. მახსოვს როგორი აღფრთოვანებული იყო ს.ა., როგორი გატაცებით ლაპარაკობდა ფრონტის შესახებ და აუცილებლად მიაჩნდა ფრონტის ჯარები დაძრული ყოფილიყო თავისი ბურჟუაზიის წინაალმდეგ.

მაშინდელი ყველა პოლიტიკურ საკითხებისადმი ს. ა. წმინდა ბოლშევიკური მიდგომა ჰქონდა: ის ბოლშევიკურად უდგებოდა ომის საკითხებს, დამოკიდებულებას დროებითი მთავრობისადმი და სხ. იმ დროს ყველა მოუწოდებდა ჯარს შეტევაზე გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულიყო, ს. ა. კი — მოუწოდებდა დამშობილებისაკენ.

სარაყამიში მაშინ ერთი მთავარი პუნქტთაგანი იყო, სადაც ეწყობოდა სომხური მოხალისე ნაწილები; ის ზიზღით უცქეროდა დაშნაკელების მოსამზადებელ მუშაობას ამ მხრით; საერთოდ მას არ შეეძლო დამშვიდებულად ელაპარაკნა დაშნაკელებზე. ის წონასწორობას ჰკარგავდა, როცა ხედავდა, თუ როგორ გზავნიდენ დაშნაკელები ერზერუმში თავის ნაწილებს ცნობილ ანდრანიკას დასახმარებლად. თუმცა ის, როგორც საქართველოში აღზრდილი, არ იყო გაცნობილი სომხეთის სინამდვილესთან, მაგრამ ნათლად ჰქონდა დასახული სომეხი გლეხებისა და მუშების მდგომარეობის სერიოზულობა და მომხდარი ამბების პოლიტიკური აზრი. ის მეტად გარკვეულად ამტკიცებდა, რომ დაშნაკელების ავანტიურისტულ პოლიტიკას სომხეთის მშრომელთათვის ექნებოდა საბედისწერო ბოლო. მე კარგად მახსოვს შემდეგი ფაქტი: როგორც ვიცით, თებერვლის რევოლიუციის შემდეგ რუსის ჯარის ნაწილები სტოვებდენ ფრონტს და მოითხოვდენ ზავის დადებას; ერზერუმის და მამახათუნის სანგრებში მდგომი ჯარისკაცები ჩქარობდენ სახლში დაბრუნებას. დაშნაკელებმა გადასწყვიტეს ფრონტიდან წასული ჯარის ნაწილები შეეცვალათ თავისი (სომხური) ნაწილებით, ამიტომ, დაიწყო ნაციონალური ნაწილების მოწყობა და არსებული დრუჟინების შევსება. სომეხ მოხალისეთა ბელადი ანდრანიკი უკვე ერზერუმში იმყოფებოდა და ზურგიდან დაშნაკელები სარაყამიშით უგზავნიდენ დამხმარე ნაწილებს და ასე ფიქრობდენ შეენარჩუნებიათ ქ. ერზერუმი მომავალი „დიდი სომხეთისათვის“. ერთხელ დაშნაკელებმა სარაყამიშში მოაწყვეს მიტინგი თავიანთი შეიარაღებული ნაწილების მონაწილეობით. ამ მიტინგზე გამოვიდა ერთი სომეხი ექიმი, რომელმაც შემდეგი შოვინისტური სიტყვით მიმართა ფრონტზე მიმავალ რაზმელებს: „მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ გამარჯვებული წინსვლით ერზერუმითა და ერზინჯანით პირდაპირი გზით მიაღწევთ კონსტანტინოპოლამდე, სადაც იმყოფება სომეხი ხალხის ბოროტი მტერი „სისხლიანი სულთანი“ და სხვ, რომელიღაც დამსწრე უთარგმნის ამხ. ალავერდოვს ხსენებულ სიტყვას, ამის შემდეგ ის აღელვებული ადის ტრიბუნაზე და მშვენიერ სიტყვაში ამღავნებს ექიმის უსუსურ შეხედულებებს: მას არ აძლევენ საშუალებას ილაპარაკოს — აცხადებენ პროტესტს, მაგრამ ამხ. ალავერდოვი სიტყვას მაინც იმით ამთავრებს, რომ მოუწოდებს კლასიური ბრძოლისაკენ და ნაციონალური მშვიდობიანობისაკენ. მაგრამ ამით ის მაინც არ დაკმაყოფილდა. „ამ სულელებს სად მიჰყავთ ეს საწყალი, ბნელი ახალგაზრდობა, ასეთი პოლიტიკა ხომ გამოიწვევს ხალხის დაღუპვას ასი ათასობით“. გადასწყვიტა პირადათ ენახა ექიმი და მოლაპარაკებოდა მას. მოელაპარაკა კიდეც და როცა დაბრუნდა, სთქვა: „ეს ექიმი უნდა გაიგზავნოს საგიჟეში“.

სარაყამიშში არც ერთი მიტინგი არ ჩატარებულა, რომ ს. ა. არ მიეღოს მასში მონაწილეობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეგნების საერთო პოლიტიკური დონე, როგორც ჯარისკაცების, ისე გლეხთა მასების მეტად დაბალი იყო. ნიკოლოზის რეჟიმი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ძირშივე ჩაეხშო ყოველგვარი მოძრაობა და რევოლიუციონური აზრი. ჯარისკაცთა და გლეხთა მასებს არ ჰქონდა არავითარი პოლიტიკური მომზადება, საჭირო იყო გაცნობა მათთვის კონსტიტუციის ძირითადი შემეცნებისა, კლასიური ბრძოლისათვის, სოციალიზმისათვის, საარჩევნო უფლებისათვის და სხ. ისინი თუმცა გრძნობდენ და უაღრესად იტანჯებოდენ ომის მიზეზით, მაგრამ შეგნებული არ ჰქონდათ კაპიტალის როლი სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთამორისო შეჯახებაში. და აი, მთელი რიგი ლექციებისა და სხვა გამოსვლების საშუალებით ს. ალავერდოვი უხსნიდა. მომხდარი პოლიტიკური ამბების მიზეზსა და მნიშვნელობას, აცნობდა პოლიტიკური პარტიების პროგრამებს, კონსტიტუციას, აგრარულ საკითხს და სხვ. ს. ალავერდოვი მთლიანად ჩაება პოლიტიკურ მუშაობაში; არ ყოფილა ისეთი დღე და საღამო, რომ მას ამა თუ იმ ალაგას არ წაეკითხა ლექცია, ან არ გამოსულიყო კამათში. ყოველგან ის გამოდიოდა როგორც ჭეშმარიტი ბოლშევიკი. ჯარის ბევრი ნაწილი მოითხოვდა, რომ მოხსენება მათთან გაეკეთებია მხოლოდ ალავერდოვს და არა სხვა ვინმეს. სარაყამიშის მთელ გარნიზონს უყვარდა ალავერდოვი. მუშ. ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების არჩევნებზე ის არჩეულ იქნა ალმასკომში ბოლშევიკებისაგან. მთელი რვა თვის განმავლობაში ჩემს თვალწინ მიმდინარეობდა მისი დაუღალავი რევოლიუციონური მუშაობა სარაყამიშში; მაგრამ შემდეგ მე ავად შევიქენ სახადით და გადმომიყვანეს ტფილისში. ჩვენ კვლავ შევხვდით ერთმანეთს, როცა დაიშალა ა.-კავკასიის სეიმი და მის ალაგას აღმოცენდა სამი ნაციონალური რესპუბლიკა — საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი.

საქართველოში შინაგან საქმეთა მინისტრმა, რამიშვილმა თანდათან გადადიოდა რა სიტყვიდან საქმეზე, თავისი აგენტების ალყა შემოარტყა ბოლშევიკებს. ბოლშევიკები ბლომად იქნენ გამომწყვდეული მეტეხში და მათ შორის ს. ალავერდოვიც, როგორც მავნე და ანტი - სახელმწიფოებრივი ელემენტი.

1918 წ., როცა ს.ა. ტფილისში დაბრუნდა, სამსახურში შევიდა ქალაქის თვითმართველობაში. მილიციის უფროსად დანიშნულ იქნა თებერვლის გადატრიალების შემდეგ ადვოკ. კაჩუხოვი. ამ „სოციალისტის“ უფროსობის დროს მილიციაში რაღაც წარმოუდგენელი ხდებოდა. მექრთამეობამ და სხვა ბოროტმოქმედებამ ფართოდ გაიდგა ფესვები. ს. ალავერდოვმა, როგორც თვითმართველობის რევიზორი ვრცელი მოხსენება შეადგინა ქალაქის მილიციის მოღვაწეობაზე, სადაც გაშუქებული იყო მილიციის ბოროტ-მოქმედების ბევრი მაგალითები. „სოციალისტმა“ კაჩუხოვმა გაიგო, რომ გამომჟღავნებელი იყო ბოლშევიკი და რეაბილიტაციისთვის მიმართა იოლ საშუალებას. მან იწყო იმის მტკიცება, რომ მოხსენება იყო არც მეტი არც ნაკლები, თუ არ პარტიული ბრძოლის მეთოდი და თითქოს ალავერდოვი პოლიტიკური ბრძოლის საბაბით სახელს უტეხდეს კაჩუხოვის სამილიციო აპარატს. შედეგათ ის მოჰყვა, რომ ს. ალავერდოვმა მეტეხში ამოჰყო თავი.

როცა მისი დაპატიმრების ამბავი გავიგე, მე გავეშურე მის სანახავად მეტეხში, თან წავიღე სურსათი. მან გადმომცა, რომ დაპატიმრებულ ბოლშევიკებს გამოუცხადებიათ შიმშილობა, რადგანაც რამოდენიმე თვის წინად დაპატიმრებულ ბოლშევიკებისათვის არავითარი ბრალდება არ ყოფილა წაყენებული და არც ფიქრობდა მთავრობა ბრალდების წაყენებას. იქვე მან მიამბო, რომ თუ ასე არ მოიქცეოდა „სოციალისტი“ კაჩუხოვი, ძნელი იქნებოდა მისი ბნელი მოღვაწეობის დაფარვაო. რადგანაც ბოლშევიკები შიმშილობდენ ჩემ მიერ მიტანილი სურსათი მან სისხლის სამართლის დამნაშავეებს გადასცა. მიუხედევათ შიმშილობისა ამხ. ალავერდოვი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს პოლიტიკურ ამბებს, განსაკუთრებით მას აინტერესებდა რუსეთის სამოქალაქო ომის ვითარება.

ტფილისში ამხ. ალავერდოვი მე ვინახულე აგვისტოში; ეს ის დრო იყო, როცა ქართველი მენშევიკები ეფარებოდენ რა სოციალისტურ ფრაზეოლოგიას, დაივიწყეს პროლეტარიატის ინტერესები და აშენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდენ საკუთარ ნაციონალურ სახელმწიფოს მეორე ინტერნაციონალის მფარველობით. ჟორდანია - რამიშვილის ნაციონალისტურმა პოლიტიკამ და მათმა აშკარა მტრობამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი მათ ჩამოაშორა სოციალ - დემოკრატების ჯგუფი არშაკ ზურაბოვის მეთაურობით. ამ ჯგუფმა შეიგნო, თუ როგორ დახურდავდა კლასთა ბრძოლა ა-კავკასიაში მენშევიკების მიერ ბურჟუაზიის ინტერესების დაცვით. ამ ჯგუფს შემდეგში ეწოდა ინტერნაციონალისტების სოც. დემოკრატიული ჯგუფი, ეს ჯგუფი მძიმე და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა ალვირ-წახსნილ ნაციონალიზმის წინააღმდეგ და იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამ ჯგუფმა მე გამაგზავნა სამუშაოდ ერევანში იქ არსებულ ინტერნაციონალისტების ჯგუფში.

როცა 1918 წლის სექტემბერში ერევანში მივედი იქ ისევ ბატონობდა ხალილ - ფაშა და თურქეთის საზღვარი ეჩმიაძინსა და კამარლოუმდე მოდიოდა ე. ი. 30 ვერსტის მოშორებით სომხეთის დედა ქალაქ ერევნიდან. სომხეთი აუტანელ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ისეთი ორგანიზაციები ჯერ კიდევ არ არსებობდენ, რომელთაც შეეძლოთ ქვეყნისათვის დახმარების აღმოჩენა. სომხეთი მაუზერისტებისა და „ხაბაპეტების“ ხელში იყო, ესენი არავის არავითარ ანგარიშს არ უწევდენ. ისინი ემორჩილებოდენ მხოლოდ მათზე ზემდგომ ორგანოებს. ისეთი პირები რომელთა ხელშიაც იყო მთელი ძალა - უფლება — იყვნენ — არამ-ფაშა, დრო, რუბენი და სხ. ქვეყნის მართვა - გამგეობისათვის შექმნილი იყო ეგრედწოდებული „სომხეთის საბჭო“, ეს საბჭო შექმნილი იყო პარიტეტულ საფუძველზე პოლიტიკური პარტიების და მუსულმანების წარმომადგენელთაგან. ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა, რა თქმა უნდა, დაშნაკელებს, როგორც უძლიერეს პარტიას სომხეთში. ამ უმაღლეს ორგანოს სომხეთში არ მოეპოვებოდა არავითარი ავტორიტეტი; ფაქტიურად გაბატონებული იყო დაშნაკელების ჯგუფი თავისი მაუზერისტების საშვალებით. ერევანში მისვლისთანავე მე სოც. დემ. ინტერნაციონალისტების მიერ გაგზავნილ ვიქენ „სომხეთის საბჭოში“. 23 კვირის შემდეგ ჩემი ერევანში მისვლის დღიდან ერთხელ ჩემთან ოთახში მოულოდნელად შემოვიდა ს. ალავერდოვი. მან მიამბო, რომ საქართველოში რამიშვილს გაეძლიერებია ბოლშევიკების დევნა, რომ მათ დიდხანს აჩერებდა ციხეში საქმის გამოუძიებლად. დაპატიმრებული ბოლშევიკები ბ. მდივანის და ალავერდოვის მეთაურობით მოითხოვდენ საქმის სასამართლოში გარჩევას ან განთავისუფლებას, რამიშვილს დიდხანს არ გაუცია პასუხი, მაგრამ დაჟინებული მოთხოვნისა და შიმშილობის გამოცხადების შემდეგ მან გადასწყვიტა გადაესახლებია ისინი საქართველოს საზღვრებიდან. მდივანი უნდა წასულიყო კავკავში, ალავერდოვი კი მოვიდა სომხეთში.

ის მალე დაინტერესდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობით. დაშნაკურ სომხეთს მაშინ თითქმის არავითარი კავშირი არ ჰქონია გარეშე ქვეყანასთან. სომხეთი იმ დროს შემოფარგლული იყო ქალ. ერევნისა და ეჩმიაძინის გარშემო და თითქმის გამოსავალი არ ჰქონდა; რკინის გზის მოძრაობა ერევან - ტფილისს შორის შეწყვეტილი იყო. შემთხვევით მოსულ მატარებლებს არავითარი ნუგეში არ მოჰქონდა მოსახლეობისათვის. დილაობით ათობით დაითვლიდით ქუჩებში დაყრილ მკვდრებს. ქალაქის კიდეებში, ბაღებში და ნაციონალისტურ ბრძოლების დროს თავშეფარებული გლეხი უსიტყვოთ ემორჩილებოდა თავის ტრაღიკულ ბედს. სასიკვდილოთ გამზადებულ ხალხს თავისი მსხვერპლი მიჰქონდა დაშნაკური პოლიტიკის საკურთხეველზე. ქალაქის თვით-

მართველობა ვერ ასწრებდა ერთი ღამის განმავლობაში დახოცილთა გვამების აკრეფა - დამარხვას. ერთხელ დილით, როცა მე და ალავერდოვი მივეჩქარებოდით სამუშაოზე, მან გააღო რა ჩვენი ოთახის კარები— შეშინებული უკან შემობრუნდა; ჩვენი ოთახის კარის წინ ეგდო ლონემიხდილი ლტოლვილი, რომელიც ღამით აქ თავშესაფარს ეძებდა. ხალხისათვის საჭირო იყო პური, საზრდო, შრომა, მაგრამ არავინ მას ამ მხრივ არ ეხმარებოდა. ბევრ ალაგას დაშნაკური ხელისუფლება იმის უტყვი მოწამე იყო, თუ როგორ მასიურად იღუპებოდენ სომხეთის მშრომელი მასები. მათ შეეძლოთ ახლა დარწმუნებულიყვნენ და თვალსაჩინო გამხდარიყო, თუ რა შედეგი გამოიღო მათმა უაზრო და ავანტურისტულმა პოლიტიკამ. ამნაირივე სურათი იყო მაზრებში და რაიონებში; ვისაც მოეპოვებოდა სურსათის მარაგი, მას კიდევ შეეძლო ცხოვრება, ვისაც კი არაფერი ჰქონდა, მისი საქმე წასული იყო. არავის არ შეეძლო სასიკვდილოთ გამზადებული ხალხის დახსნა: არც უწმ. ეჩმიაძინის, სადაც რამდენიმე ათი ათასი ლტოლვილი იმყოფებოდა, არც „ვანის გმირს" არამ - ფაშას, არც მტირალა აგარონიანს, რომელიც იმ დღეებში პარიზში გაემგზავრა, რათა ვერსალში გაყოფის დროს გამარჯვებული იმპერიალისტებისაგან მიეღო „მთლიანი ზღვიდან ზღვამდე განუყოფელი სომხეთი". ამნაირმა მდგომარეობამ მთავრობა აიძულა დაეარსებია უზრუნველყოფის სამინისტრო; ერთხელ ხატისოვმა, როგორც უზრუნველყოფის მინისტრმა მოიწვია ფართო თათბირი ლტოლვილთა საკითხების შესახებ. ამ დროს ს. ალავერდოვი უკვე სამუშაოზე იყო და თავისი სურვილით უნდა გამგზავრებულიყო იგდირის რაიონში ლტოლვილების დასასახლებლად, რომელთაც თურქების წასვლის შემდეგ შეეძლოთ დაბრუნება თავიანთ სახლ-კარში..

ამ თათბირზე მოწვეული იყვნენ უწყებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ჯგუფთა წარმომადგენლები და მუშაკნი ლტოლვილთა საქმეზე. თათბირის თავმჯდომარე ხატისოვმა წინადადება შეიტანა, მიემართად მოწოდებით ყველა ორგანიზაციებისათვის გაეწიათ დახმარება იმ ხალხისათვის, რომლებიც შიმშილით ნადგურდებოდა. ამ საკითხზე სიტყვა აიღო ს. ალავერდოვმა. პირველად ის შეჩერდა იმაზე, რომ დიდათ გაძლიერებულია ძარცვა - გლეჯა — სპეკულიაცია. ვაჭრები და სპეკულიანტები ყიდულობენ დიდძალ ხორბალს და პირუტყვს; იმათ აქვთ ფულები და ყიდულობენ მომაკვდავ ლტოლვილთაგან უკანასკნელ ძოხას, ცხვარს და სხვადასხვა საოჯახო ნივთებს. ხალხის მთელი ქონება გადადის სპეკულიანტების ხელში. სოფლად გლეხი ერთ ტომარა პურზე ჰყიდის თავის კუთვნილ მიწას, რაც კულაკს უვარდება ხელში. ამნაირი უბედურების დროს ხალხისათვის საჭიროა დახმარება არა მოწოდებით, არამედ უფრო რეალური ზომებით; უპირველესად საჭიროა ყოველგვარი სპეკულიაციის აღმოფხვრა, უნდა ჩამოერთვას სპეკულიანტებს მთელი ხორბალი და საქონელი და დაურიგდეს ლტოლვილთ სესხის სახით; უამისოდ არავითარი მოწოდება, რაგინდ მხატვრულად არ იყოს ის დაწერილი, საქმეს არ უშველის, მაგრამ არც ეს ზომა გამოიღებს ნაყოფს, თუ არ იქნა დამყარებული საერთო ნაციონალური ზავი, ამიტომ საჭიროა ძირიანად შეიცვალოს საშინაო პოლიტიკა და უნდა ბოლო მოეღოს არა სომეხი ხალხის ერთი ნაწილის განადგურებას. განა შეეძლო ქამელეონ ხატისოვს —კერძო მესაკუთრეთა ამ ყურმოჭრილ მონას და დაშნაკთა აგენტებს ყურით ელოთ ბოლშევიკის სიტყვები. ისინი დაკმაყოფილდენ მოწოდების გამოშვებით ხალხისადმი და ამხ. ალავერდოვის წინადა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დება დარჩა" ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა".

მოწოდების გამოშვების შემდეგ ყველაფერი ძველებურად დარჩა. გადამყიდვლები და სპეკულიანტები მთავრობის აგენტების თვალწინ და ზოგჯერ მათთან ერთად უმნიშვნელო ფასებში ყიდულობდენ საქონელს, საოჯახო საგნებს, ხალიჩებს და სხვ. ბევრი ცნობილი დაშნაკელი ყიდვა - გაყიდვით იყო გართული, მათ ხელი მიჰყვეს კომერციულ საქმეს, გახსნეს კანტორები და იწყეს მომაკვდავი ხალხის ქონების თავიანთ ხელში თავის მოყრა.

ასეთ მძიმე მომენტში, როცა ხალხი საერთო უბედურებაში იყო ჩავარდნილი, ამხ. ალავერდოვი ვერ დარჩებოდა გულგრილი მაყურებელი. მან გადასწყვიტა გამგზავრებულიყო იგდირში და ეჩმიაძინში. თავმოყრილი ლტოლვილთა მასა უკანვე, თავის საცხოვრებელ რაიონებისაკენ დაიძრა. ბევრი ლტოლვილი გზაში იხოცებოდა. საჭირო იყო ისეთი ხალხი, რომლებიც პირადი გამდიდრების გარეშე, ხელმძღვანელობას გაუწევდენ ლტოლვილთა დასახლებას. ამხ. ალავერდოვი ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ყოვლად უანგაროდ ხელი მოჰკიდა ამ საქმეს. თუმცა მან არ იცოდა ადგილობრივი ენა, მაგრამ მალე შესძლო რაიონებში სასურსათო საქმის მოწესრიგება, გახსნა საკვები პუნქტები და სხ. მუშაობის პირობები იმდენად მძიმე იყო, რომ ის ავად გახდა პარტახტიანი სახადით. რაიონში არ მოიპოვებოდა არც ექიმი, არც საავადმყოფო, არც მოწყალების და. მეტის მეტად ძნელ პირობებში მყოფი ის შველას ელოდა გარედან.

გავიგე თუ არა ამხ. ალავერდოვის შესახებ, მე მაშინვე გავგზავნე ექიმი და საჭირო წამლები და ერთი თვის შემდეგ, 1919 წლის თებერვალში ამხ. ალავერდოვი დაბრუნდა ერევანში. ამხ. ალავერდოვს, მისივე გადმოცემით, იგდირის რაიონში ბევრი რამ ესწავლა; ერთი მხრით ის ახლოს გაეცნო მოსახლეობის საჭიროებებს, მეორე მხრით მას ფართო შესაძლებლობა ქონდა თვალყური ედევნებია გაბატონებულ პარტიის და მთავრობის აპარატში მომუშავე ხალხის ზნეჩვეულებისათვის. ფაქტიურად მთელი რაიონი მოხალისე გენერალის დროს და მისი დამქაშების ხელში იყო. ამ რაიონში იყო რამოდენიმე თურქთა სოფელი. ყველა ის სოფლებიც აოხრებული იყო და მოითხოვდენ მთავრობის დახმარებას, მაგრამ დახმარების აღმოჩენა აკრძალული იყო; დროს მომხრეები გატაცებული იყვნენ სპეკულიაციითა და ძარცვით. ხელისუფლება ერთნაირად არ უყურებდა სხვადასხვა ეროვნებებს, მაგ. თურქთა რაიონში არ ყოფილა არც ერთი მილიციონერი —თურქი. ყველა თურქები მიჩნეული იყვნენ საეჭვო პირებათ. საკმაო იყო იგდირში მიღებული შთაბეჭდილება სომხეთის მაშინდელი მდგომარეობის საერთო დასახასიათებლად.

იგდირიდან დაბრუნების შემდეგ ამხ. ალავერდოვი ერთი კვირა დარჩა ჩემთან და ანალოგიურ საქმეზედვე გამგზავრა კურდუკულინის რაიონში. მან იქ გაატარა 2-3 თვე; აქ ის პირადათ იხილავდა გაჭირვებულ პირთა სიას და მხოლოდ მაშინ აძლევდა ფქვილსა და სურსათის მიცემის ნებართვას, როცა არავითარი ეჭვი აღარ იყო, რომ მას საქმე ჰქონდა ღატაკთან. მხოლოდ უკიდურესად გაჭირვებულთ შეეძლოთ ამხ. ალავერდოვისაგან დახმარების მიღება. კურდუკულის რაიონში მაშინ მუშაობდა ამხ. ალავერდოვის ნაცნობი, რომელიც შეეცადა მიეღო ალავერდოვის საშუალებით ფქვილი, მაგრამ ვერ მოახერხა. ფქვილი და სურსათი გლეხებისათვის, ლტოლვილებისათვის მაქვს მე გადმოცემული და არა გამომძიებლებისათვისო. ივლისის გასულს ამხ. ალავერდოვმა იქ დაამთავრა თავისი მისია და დაბრუნდა ერევანში, სადაც დარჩა ვიდრე მას დაშნაკელები დახვრეტდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხანებში დაშნაკური სომხეთის მესვეურები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ განემტკიცებიათ თავიანთი როგორც შინაური, ისე საგარეო მდგომარეობა. ისინი ცდილობდენ სომხეთში უცხო კაპიტალის მოზიდვას. ამ მიზნით მათ რამოდენიმე თვით შეადგინეს კოალიციური მთავრობა სომხური კადეტთა პარტიის (სომხური სახალხო პარტია) მონაწილეობით.

საგარეო პოლიტიკაში დაშნაკები ხელმძღვანელობდენ ანტანტის, განსაკუთრებით ინგლისის მითითებით. დაშნაკური პრესა ამტკიცებდა, რომ ვერსალში ოთხთა საბჭო და შემდეგ ათთა საბჭო არა თუ თანაუგრძნობს მთლიანი განუყოფელი სომხეთის შექმნას, არამედ ამ მიმართულებით გადადგმულია რეალური ნაბიჯები. რამდენიმე თვის განმავლობაში სომხეთის მცხოვრებნი დაჭიმულ მდგომარეობაში იმყოფებოდენ ანტანტის გადაწყვეტილებით.

მიუხედავად ამისა ქვეყნის ფაქტიური მდგომარეობა უკეთესისაკენ არ შეცვლილა. შიმშილი, გაჭირვება, უმუშევრობა, ყველაფერს ანადგურებდა. კაპიტალისტები, სომხებიც კი, რომლებიც საერთოდ „კანონიერებისა და წესიერების“ მომხრენი არიან სომხეთში მოსვლაზე არ ჩქარობდენ. იმედი ანტანტაზე, როგორც მხსნელზე, გაქრა. ვილსონის მაღალმა იდეებმა და მისმა პრმშომ—ერთა ლიგამ— არაფერი რეალური არ გააკეთა სომხეთისათვის. ერთად ერთი, რაც მიიღო სომხეთმა, ეს იყო ამერიკული ფქვილი და შედედებული რძე, რაც დღესაც საბუხჰალტერო წიგნებში ჩაწერილია, როგორც სომხეთის ვალი, რომელიც უნდა გადაუხადოს ამერიკას.

მცხოვრებთა ეკონომიური მდგომარეობა არსებითად ოდნავადაც არ შეცვლილა. სამასი ათასი ლტოლვილი თუმცა დასახლდა სხვადასხვა რაიონებში, მაგრამ რადგანაც არ მოეპოვებოდა სურსათი, სათესლე მასალა, სულადი და უსულო ინვენტარი, ეს ხალხი იმყოფებოდა ნახევრად მშიერ მდგომარეობაში. იყო შემთხვევა, როცა ჭკუაზე შემცდარმა დედამ მაგ. კულპში, შესჭამა თავისი შვილი. ერევანში კი მეშჩანები და ბაღის პატრონები განაგრძობდენ ძველებურად ლაღად ცხოვრებას, მათ სრულიად დაავიწყდათ ხატისოვის მოწოდების შესახებ. ასევე იქცეოდენ ქვეყნის ბატონ-პატრონნი — მაუზერისტები. ისინი მთელ დროს ატარებდენ გართობაში და ქეიფში.

დადგა ზანგიბაზარის და ვედიბაზარის დღეები. დაიწყო დაშნაკელების გალაშქრება თურქებით დასახლებული რაიონების წინაალმდეგ. 20-25 ვერსის მოშორებით ერევნიდან შეიქმნა ნამდვილი ფრონტი.

„განუყოფელ, მთლიანი სომხეთის“ იდეა, განსაკუთრებით მისი რეალიზაცია არაფერს კარგს არ უქადდა სომხეთში მცხოვრებ მუსულმანებს; ამას ისინი ყოველდღე გრძნობდენ. იმათ კარგად იცოდენ, რომ ამ იდეის განხორციელებასთან ერთად არც ერთი მუსულმანი ცოცხალი არ დარჩებოდა.

უდგებოდენ რა ყოველ საკითხს ნაციონალური თვალსაზრისით დაშნაკელები მტკიცეთ ატარებდენ მუსულმანების სრულიად მოსპობა-განადგურების ხაზს. პარტიის ისეთი მეთაურები, როგორც რუბენ-ფაშა, აგაბალიანი — ხშირად თითონ ხელმძღვანელობდენ თურქული რაიონების მოსპობა-განადგურებას. დაშნაკელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონია, როცა მათ სძლიეს ვედიბაზარის და ზანგიბაზარის თურქებს. ქალაქი აივსო „ფრონტის გმირებით“, რომელნიც შეუდგენ ქეიფსა და ლოთობას. არავის არ შეეძლო ამ საძაგელი ვაკხანალიის აღკვეთა.

ერთ დღეს მე და ამხ. ალავერდოვი სასადილოში შევედით. დარბაზში სიცილი, ხმაურობა იყო, ქეიფობდენ. ერთს კუთხეში თავი მოეყარა ჯგუფს, ცნობილი „ჩეტნიკის“ ამაზასპის მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაურობით. ღვინო მდინარესავით იღვრებოდა ჩვენ დავნაყრდით და დავუძახეთ მოსამსახურეს, რომ ანგარიში გაგვისწორებია, მაგრამ მოსამსახურემ უარი განაცხადა ფულის მიღებაზე იმ მოტივით, რომ ჩვენ მაგიერ ამაზასპს გადაეხადა, რომ ის გვპატიჟებდა. მხოლოდ მაშინ მივხვდით, რომ აქ ქეიფობა გაჩაღებული იყო „სამხედრო ნადავლის“ ხარჯზე. ამხ. ალავერდოვმა პროტესტი განაცხადა და მოითხოვა, რომ მისგან ფული მიეღოთ. შეშინებული მსახური ევედრებოდა მას არაფერი არ ეთქვა გადახდაზე. ალავერდოვი ამაზე არ ეთანხმებოდა და კატეგორიულად მოითხოვდა მიეღოთ ფული. ამასთანავე ამხ. ალავერდოვმა ხმა-მაღლა წამოიძახა, რომ ის ნებას არ მისცემს მის მაგივრად ფული გადიხადონ იმათ, ვინც მეზობელი ხალხი გაძარცვა. საბედნიეროთ ეს სიტყვები (რუსულად წარმოთქმული) ხმაურობის გამო მოქეიფეებს არ გაუგონიათ და მე შევნიშნე რა, რომ საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობდა, ხელი გამოვდე მას და გავიყვანე. როცა დამშვიდდა ვუთხარი, რომ დიდი საქმეა ამის შემდეგ ცოცხლად გადარჩენა თქო, გაიღიმა და სთქვა: „ეს არის ქეიფობა შავი ჭირის დროსო“. შემდეგში ამხ. ალავერდოვს უყვარდა იმის მოგონება, თუ როგორ მოხვდა ის სტუმრად თავზე ხელაღებულ ამაზასპსთან.

1919 წლის თებერვალ-მარტის თვეებამდე სომხეთში ბოლშევიკური ორგანიზაციები არ ყოფილა; იყვნენ თითო-ოროლა ბოლშევიკები. პარტიის მოწყობა და სისტემატიური პარტიული მუშაობა იწყება 1919 წლის მეორე ნახევრიდან. ბევრისათვის უკვე ნათელი ხდებოდა, რომ ჩიხიდან გამოსვლას სომხეთის მშრომელები შესძლებდენ მხოლოდ გასაბჭოების გზით. უკვე გაისმა პროტესტის ხმა დაშნაკელების პოლიტიკის წინაალმდეგ. უკვე აშკარა შეიქნა, რომ არ შეიძლებოდა ყველა სომხების გაერთიანება „მთლიანი, განუყოფელი სომხეთის“ ლოზუნგის ქვეშ; უკმაყოფილება სულ იზრდებოდა და ფართოვდებოდა, ის ედებოდა მუშებისა და გლეხების ახალ ფენებს. სწორედ ამ პერიოდში სომხეთში საფუძველი ჩაეყარა სომხეთის კომპარტიის კომიტეტს და აქ კასიანთან და მრავიანთან ერთად ამხ. ს. ალავერდოვი ხდება კომიტეტის ერთ ცენტრალურ ფიგურად. კონსპირაციის მიზნით, რადგანაც ჩვენი ოთახი პარტიული მუშაობისათვის მოუხერხებელი იყო, ამხ. ალავერდოვი გადადის სხვა ქუჩაზე, რომელსაც ახლა მისი სახელი ჰქვნია. აქ ის იწყებს შეუსვენებელ არალეგალურ მუშაობას. ის უკავშირდება რაიონებს, ადგენს დაქსაქსული ნაწილების და ჯგუფებისაგან ორგანიზაციას და ასე ამზადებს ქვეყნის გასაბჭოებას.

მე მახსოვს ამხ. ალავერდოვის საჯარო გამოსვლიდან მხოლოდ ორი — ერთი, ყოფ. სახელმწ. სათათბიროს წევრის არ. ზურაბოვის დასაფლავებაზე, მეორე — პირველ მაისის დემონსტრაციაზე, ამ გამოსვლების პოლიტიკური მნიშვნელობა ნაციონალიზმისა და ავანტიურიზმის დღეებში უდიდესი იყო. თავდაპირველად თითო-ოროლა პირები მოიძებნებოდენ, რომლებიც არ ურიგდებოდენ შექმნილ მდგომარეობას და მტრულად იყვნენ განწყობილი დაშნაკელების პოლიტიკისადმი. ამნაირ ჯგუფებს, უეჭველია, ეკუთვნოდა ს.-დ. ინტერნაციონალისტების ჯგუფი ზურაბოვის მეთაურობით. არშაკ ზურაბოვი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში აშკარად იდგა საბჭოთა პლატფორმაზე და გასაკვირველი არ არის, რომ მის დაკრძალვას ხალხი ბლომად დაესწრო. იქ წარმოთქმულმა სიტყვებმა თავისი რევოლიუციონერობით გააკვირვა გაბატონებული „კლიკა“, სოც.-დემ. ინტერნაციონალისტების სახელით მე ვილაპარაკე, ბოლშევიკების სახელით ს. ალავერდოვმა. ამხ. ალავერდოვის სიტყვა ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთელი საბრალმდებლო აქტია, წარმდგენილი დაშნაკელებისადმი. მან თავისებური სიცხადით ხაზი გაუსვა, რომ სომხეთის მუშა და გლეხი ვერასოდეს ვერ იგრძნობს თავისუფლებას, ვიდრე არ შეიცვლება სახელმწიფო მართველობის სისტემა და არ მოელება ბოლო ნაციონალურ შუღლს. მან მიუთითა, რომ მხოლოდ კლასიური და არა ნაციონალური პოლიტიკას შეუძლია მისცეს ქვეყანას პური და ზავი. შემდეგ მან დაშნაკების პოლიტიკა დაუპირდაპირა ზურაბოვის შეხედულებებს და იდეებს, რომელიც (ზურაბოვი) ცხოვრობდა და მოკვდა, როგორც რევოლიუციონერი და სოციალისტი, როგორც მუშათა კლასის ინტერესების მოსარჩლე.

ანტი - დაშნაკურ განწყობილებათა გაძლიერებას ზურაბოვის დასაფლავებამ დიდათ შეუწყო ხელი. სომეხი-ნაციონალისტები მეტად დაღონდენ. ზურაბოვის დასაფლავების შემდეგ, ერთხელ შეხვედრისას რუბენ ფაშამ (მაისის აჯანყების მომავალმა ჯალათმა) მითხრა: „ჩვენ ვაფასებდით რა გარდაცვალებულ პოლიტიკურ მოღვაწეს. დავესწარით გასვენებას, მაგრამ უკმაყოფილონი ვართ იმით, რომ იქ ბევრი ითქვა ანტი - სახელმწიფოებრივი.

ზურაბოვის დაკრძალვა იმ პერიოდში მოხდა, როცა დაშნაკელებმა გააჩაღეს ბოლშევიკების დევნა. მათთვის ნათელი შეიქნა, რომ ყველაზე უფრო საშიში მტერი მათთვის ბოლშევიკები იყვნენ. ბოლშევიკების სახელის გასატეხად იწყეს პრესაში პროვოკაციული წერილების ბეჭვდა. ოფიციოზ „არაჩ“-ში მარტში მოთავსებულ მეთაურში სწერდენ: „უკანასკნელ ხანებში იტტიხატ — ბოლშევიკური ყურადღება მიმართულია სომხეთის შინაური ცხოვრების საკითხებზე; გაშვებული ბოლშევიკების აგენტები, რომელთაც იმედი დაჰკარგეს სომხის მშრომელ მასებში გავლენის მოპოვებისა, ახლა თავიანთ იმედებს თურქეთის იტტიხადისტებზე ამყარებდენ და მათი საშუალებით სურთ ააფეთქონ სომხეთის დამოუკიდებლობა; ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ სომხეთის დამოუკიდებლობის აფეთქება ბოლშევიკებს სურთ თურქების დახმარებით... ლორის ნეიტრალურ ხაზში შეგროვილი არიან თურქებისა და ბოლშევიკების მოღვაწენი, რომელთაც მზადება აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ მოსპონ საქართველოს და სომხეთის დამოუკიდებლობა“. ნეიტრალური ხაზის ადმინისტრაცია ამაოდ ცდილობდა დაემტკიცებია, რომ ამ ტერიტორიაზე არავითარი ბოლშევიკური და თურქთა აგენტები არ ყოფილან. დაშნაკელების ორგანო მაინც თავისას განაგრძობდა, ეს წერილი მე გავაცანი ამხ. ალავერდოვს, მასში წერილმა ზიზღი გამოიწვია — იქ ყველაფერი სიცრუეა, გარდა იმისა, რომ ბოლშევიკებს მართლაც სურთ ააფეთქონ დაშნაკური სომხეთი, მაგრამ არა თურქების დახმარებით, არამედ თვით სომხის ხალხის საშუალებითო. დაშნაკებს, რა თქმა უნდა, არაფერი სჯეროდათ იმისი, რასაც თითონ სწერდენ, ამით ისინი უსისიანებდენ სომხის მშრომელ ხალხს იმ ორგანიზაციას, რომელსაც ისტორიული აუცილებლობით უნდა დაემხო დაშნაკთა კერპები.

ზურაბოვის დაკრძალვა დაშნაკების საწინაალმდეგო დიდ დემონსტრაციად გადაიქცა. მიუხედავათ იმისა, რომ დაშნაკელები სასტიკად სდევნიდენ ბოლშევიკებს, მიმართავდენ პროვოკაციას, ბოლშევიკური მოძრაობა მაინც ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა. ბევრისთვის და თვით დაშნაკებისათვის ნათელი შეიქნა, რომ არ შეიძლებოდა ყველა სომხების გაერთიანება ერთი უაზრო და ავანტურისტულ ლოზუნგის — „მთლიანი, განუყოფელი სომხეთი“-ს ქვეშ. მათ უნდა სცოდნოდა; რომ იმ ეკონომიურ პირობებში, რომელშიაც იმყოფებოდა სომხის მუშა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გლეხი, კლასიური ბრძოლა აუცილებლად უნდა გაძლიერებულიყო.

მუშები და გლეხები თვალნათლივ დარწმუნდენ, რომ დაშნაკელების მიერ დასახული გზით ისინი ვერასოდეს ვერ დაიცავდენ და დაიკმაყოფილებდენ თავიანთ ინტერესებს იმათ თავიანთი კლასიური ალღოთი უკვე იწყეს იმის შეგნება, შრომის ნამდვილ განთავისუფლება და საერთო ნაციონალური ზავის ჩამოგდება შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. ყველაფერი ეს დადასტურდა მაისის დღეებში.

მაისის დღეების წინ ბოლშევიკები დიდ მზადებას ეწეოდენ ერევანში. გარაჟის მუშები დიდი დემონსტრაციისათვის ემზადებოდენ. მთავრობის აგენტები, კალატარიანის აგენტები ყველგან დაძვრებოდენ და თვალყურს ადევნებდენ ბოლშევიკების მუშაობას. და როგორც კი გაიგეს დაშნაკელებმა, რომ ბოლშევიკები ემზადებიან 1- მაისისთვისო, მათაც გადასწყვიტეს მონაწილეობის მიღება ამ დღესასწაულში. შედეგად მივიღეთ საინტერესო ისტორიული კურიოზი: პირველ მაისობის მთელი - აზრი სიტყვების უმეტესობა, რაც ამ დღეს იქნა წარმოთქმული, დაბოლოს, ორგანიზაციულად“ მოწყობილი მსვლელობა ბოლშევიკებისა წითელი დროშებით მთელ ქალაქში მიმართული იყო დაშნაკების პოლიტიკის წინააღმდეგ, მუშები, ხელოსნები, მოსამსახურენი გამოცხადდენ პირველ მაისს, რომ დემონსტრატიულად გამოეთქვათ უკმაყოფილება მთავრობისა და ხელმძღვანელ პარტიის მუშაობით და ასეთ დამონსტრაციაში მონაწილეობს არა მარტო პარტია რაშნაკცუტიუნი, არამედ მთავრობაც.

დაშნაკელები ყოველთვის განთქმული იყვნენ პოლიტიკური ქამელეონობით და ისინი ამ ჟამად ასეთებათ დარჩენ: იმავე გაზეთ „არაჩ“-ში დაბეჭდილი იყო მისალმება 1 მაისისთვის სომხეთის მთავრობისაგან; მაისის დღესასწაულის შემდეგ მოწყობილი დევნა ბოლშევიკებისა, მათი დაპატიმრება, გადასახლება და სხ. საუკეთესო მაჩვენებელი იყო იმისა, თუ რანდენათ გულწრფელი იყო თავის მისალმებაში. აი ეს მისალმება: „სომხეთის მთავრობა — ხელმძღვანელი იმ ხალხისა, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ღვრიდა სისხლს და აურაცხელი მსხვერპლი მოჰქონდა თავის სალამს უძღვნის სომხეთის მუშებსა და გლეხებს 1 მაისის დღესასწავლის გამო და უსურვებს, რომ ადრე დამდგარიყოს ძმობის, თავისუფლების და თანასწორობის დღე და განხორციელებულიყოს მთელი ქვეყნის მშრომელთა თანხმობა. გაუმარჯოს დამოუკიდებელი სომხეთის მშრომელთ“.

მიუხედავათ ამ მისალმებისა, რომელიც მიძღვნილი იყო მუშებისა და მშრომელებისადმი დაშნაკელებმა პირველ მაისის შემდეგ იგივე მუშები და გლეხები ჩასჭყარეს ციხეებში, დახვრიტეს საქმის გამოუძიებლად და სასამართლოს გარეშე.

თავის საპირველმაისო გამოსვლას დროს ალაევერდოვმა გამოააშკარავა დაშნაკელების პოლიტიკის მთელი არსი და სათანადოთ შეაფასა ის. აღნიშნა, რომ საგარეო პოლიტიკაში ეს პარტია ბრმად ემორჩილება იმპერიალისტებს და რომ „მთლიანი და განუყოფელი სომხეთის შექმნა ზღვიდან ზღვამდე“ არის სხვა არაფერი თუ არა შეთქმულება მშრომელ სომხების წინააღმდეგ, რომელთაც დაშნაკელები ათეული წლების განმავლობაში მიერეკებიან ერთა შორის ბრძოლისა და ჟლეტისაკენ. შემდეგ ის შეჩერდა იმ კავშირზე, რომელიც არსებობდა მეფის გენერალ დენიკინსა და დაშნაკელებს შორის. აქ მან აღნიშნა, რომ დაშნაკელები მონარქისტი დენიკინის ნებით თანახმად ემზადებიან საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლისათვის და წარმოადგენენ კონტრ-რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუციის დასაყრდენს. როცა შინაურ პოლიტიკაზე გადავიდა, აღნიშნა, რომ დაშნაკელები მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე იჩენენ ზოოლოგიურ შოვინიზმს სხვა ეროვნებათა მიმართ.

მან მოიყვანა სომეხ - თათართა შეტაკების მაგალითები, სომხეთ-საქართველოს ომი, შეეხო იმას, თუ რას აკეთებდენ დაშნაკელები ყარაბახში, ზანგიბაზარში, ყარსის ოლქში, სადაც სომხის და თათრის გლეხობა დაშნაკელების და მუსავატელების მეთაურობით ერთმანეთს ჟლეტდა. აქ მან გამოაშკარავა დაშნაკცუტუნის გამყიდველი როლი და მოუწოდა მშრომელთ გაერთიანებულიყვნენ ბოლშევიკების გარშემო, რომელიც შესძლებდა ბოლოს მოღებას სომხის ერის მშრომელთა ტრაგედიისათვის.

ალავერდოვის სიტყვამ დამსწრეებზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. დემონსტრანტების მასა, განსაკუთრებით საბარგო ავტომობილზე მოთავსებული ჯგუფი, აშკარად თანაუგრძნობდა ორატორს და გაიძახოდა: ძირს დაშნაკცუტუნის პარტია“.

პირველ მაისის დემონსტრაციაზე გამოვიდენ თითქმის ყველა პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. სოც.-დემ. ინტერნაციონალისტების სახელით მე ვილაპარაკე. მე ვთქვი, რომ სომხეთის მშრომელნი განთავისუფლდებიან მაშინ, როცა დაშნაკციუტუნის პარტია სინამდვილეში აღგვილი იქნება და მშრომელნი გაერთიანდებიან მესამე ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ; პროფკავშირებიდან ილაპარაკა ერთმა უპარტიო მუშამ, რომელმაც აგრეთვე მკაცრად გააკრიტიკა დაშნაკცუტიუნი. ქართველ მენშევიკებსა და დაშნაკელებს სურდათ რა ამ დღეს მოეხდინათ საერთო ნაციონალური სოლიდარობის დემონსტრაცია, ტრიბუნაზე გამოიწვიეს სიტყვით ისიდორო რამიშვილი, რომელიც სპეციალურად ამ მიზნით ჩამოვიდა ტფილისიდან ერევანში. მას სიტყვას აწყვეტინებდენ პროტესტებით; სიტყვა იყო მეტად მშრალი, ოფიციალური და უსიცოცხლო. მაგრამ ამ დღეს მოხდა მეტად საყურადღებო პოლიტიკური ამბავი; დაშნაკცუტიუნის პარტიის ოფიციალური ორატორი, მაშინ სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე ავალიანი, რომელიც შემდეგ შევიდა კომუნისტურ პარტიაში, პირველ მაისს გამოვიდა რევოლიუციონური სიტყვით; მან აღნიშნა, რომ სომხეთის მუშათა კლასი და გლეხობა აღფრთოვანებით მიესალმებიან აზერბეიჯანის გასაბჭოებას. დაშნაკელები პირველად დაიბნენ; ყველანი მათ ჩამოშორდენ და ულალატეს; მათი წარმომადგენელიც კი წავიდა თავისი პარტიის წინაალმდეგ და გაბედა მისალმებოდა აზერბეიჯანს იმ დროს, როცა პარტიის ბელადი ოგანჯანიანი ადერბეიჯანში მომხდარ გადატრიალებას ისე ახასიათებდა, როგორც ახალ შეთქმულებას, მიმართულს სომხეთის წინაალმდეგ. მაგრამ დაშნაკელები მალე მოვიდენ გონს; 3—4 მაისს დაიწყო ბოლშევიკების დაპატიმრება ერევანში. 4 მაისს მე გამჩხრიკეს და წამიყვანეს განსაკუთრებულ განყოფილებაში. ჩხრეკის დროს დაშნაკელების აგენტს ამასპიურს მე დავუნახე ხელში 34 კაცის სია, რომელნიც უნდა დაეპატიმრებიათ დაუყოვნებლივ. დასაპატიმრებელთა შორის მე წავიკითხე გვარები: ალავერდოვი, მარტიკიანი, შავერდოვი, პანფილოვი, საკიანი და სხვ. როცა საპყრობილეში მიმიყვანეს, იქ მე დამხვდენ: ამხ. აუშტრიანი, სტამბოლიანცი, საკიანი და სხ. სულ 4 კაცი. იქ ჩვენ მეტად ფრთხილად გვეპყრობოდენ; შეიარაღებული მაუზერისტები ყოველ წამს მზად იყვნენ ჩვენ მოვეკალით, როგორც სამშობლოს მოღალატენი. დაშნაკელების მაძებარი ამასპიური იმდენად გათამამდა, რომ შეეცადა გაეგო ჩვენგან ის ადგილი, სადაც იმალებოდა ალავერდოვი და როცა ჩვენგან მან მიიღო ღირსეული პასუხი, მრისხა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნით წამოიძახა: „სულ ერთია, მე მოვნახავ ალავერდოვს და მოვიყვან აქ, თუ თქვენ კიდევ დარჩებით აქო". ჩვენ, 14 პატიმარი გაგვზავნეს ახალ ბაიაზეთის საპყრობილეში; გზაში გამოირკვა, რომ ახალბაიაზეთის მაზრაში გლეხობა ბოლშევიკ სარუხანიანის მეთაურობით აჯანყებულიყო, ამიტომ ჩვენ გაგვზავნეს კუნძულ სევანზე, სადაც დაახლოვებით ორი თვე პირდაპირ ვშიმშილობდით. ამ ხანებში ამასპიურმა შესძლო ალავერდოვის დაპატიმრება და ციხეში მოთავსება. ალავერდოვის დაპატიმრების შემდეგ ამასპიური გაემგზავრა თავისი რაზმით თურქი სოფლების გასანადგურებლად, სადაც ის მოკლულ იქნა.

მაისის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ სევანის კუნძულიდან ჩვენ გადაგვიყვანეს ერევნის საპყრობილეში. სრულიად ახალ პირობებში და სხვაგვარ პოლიტიკურ სიტუაციაში, მე ხელ-ახლა შევხვდი ამხ. ალავერდოვს. საპყრობილეში იმყოფებოდენ აგრეთვე მაისის აჯანყების ბელადები ლენინაკანში — მუსაელიანი, გარიბჯანიანი და სხვ.

მაისის აჯანყებამ ფეხზე დააყენა ყველა რანგისა და კატეგორიის დაშნაკელები: შინაგან საქმეთა მინისტრის ს. ტოროსიანის თქმა, რომ ამიერიდან ყველაზე ბოროტი და საშიში მტერი დაშნაკელებისა თურქებთან ერთად იქნებიან ბოლშევიკებიო, ფართოდ გავრცელდა. გაზეთი „არაჩი" კიდევ უფრო უწყობდა ხელს ისედაც გავარვარებულ ატმოსფერას; ამავე გაზეთის მე-100 ნომერში ვკითხულობთ: „არავის, ვინც წინააღმდეგია სომხეთის დამოუკიდებლობის ჩვენს ქვეყანაში თავისუფლად შემოსვლის ნება არ უნდა მიეცეს. ჩვენი ქვეყნის შიგნით არც ერთი სიტყვა არ უნდა ითქვას ისეთი, რაც ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იქნებოდა". ასე ფიქრობდენ დაშნაკელები. მართალია, ამ დღეებში დაშნაკელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ეს იყო პიროსის გამარჯვება.

საპყრობილეში ყოფნის დროს ამხ. ალავერდოვი არ დარჩენილა გულგრილი მაყურებელი იმისა, რაც საპყრობილის კედლებს გარეშე ხდებოდა, ციხიდან მან კავშირი გააბა გარედ მყოფ ამხანაგებთან, — გააჩაღა მიწერ-მოწერ ტფილისის და ბაქოს ამხანაგებთან. ის დაუღალავად მუშაობდა პოლიტ-პატიმართა შორის. რომელთა რაოდენობა მაშინ აღწევდა 300-მდე. ამით ის არ კმაყოფილდებოდა და ხშირად მართავდა პოლიტიკურ საუბარს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომელთაც მეტად შეუყვარდათ ამხ. ალავერდოვი. შემდეგ, როცა ჯალათებს ალავერდოვი დასახვრეტად მიჰყავდათ სისხლის სამართლის დამნაშავენი მას გმოექომაგენ და არ უნდოდათ მისი ჯალათებისათვის გადაცემა.

ალავერდოვს არასოდეს არ მოშორებია ის აზრი, რომ დაპატიმრებულნი ადრე განთავისუფლდებოდენ; ის ზოგჯერ იტყოდა ხოლმე, რომ მოსკოვის მოთხოვნით ყველა პოლიტიკური პატიმრები—ბოლშევიკები განთავისუფლებული იქნებიან და ისინი შექმნიან ბოლშევიკების ჯანსაღ და გამოცდილ კადრებსო. ის ციხეში ამ იმედით ატარებდა დღეებს, მაგრამ შექმნილი მდგომარეობით საკითხი სხვანაირად გადაიჭრა.

ციხიდან მე თავდებობის ქვეშ განმათავისუფლეს; თავისუფლების დროს უფრო ცუდათ ვგრძნობდი თავს, ვიდრე ციხეში: დაშნაკელებმა ისეთი პირობები შექნეს, რომ არსად გამოჩენა არ შემეძლო. დაიკავეს ჩემი ოთახი, ნივთები მიფანტ-მოფანტეს. ერთ თვეზე მეტი, ვიდრე საგანგებო სასამართლო ჩემს საქმეს გაარჩევდა, ვიხეტიალე, ღამეს ვათევდი სადაც მოვახერხებდი, — ვიდრე საგანგებო სასამართლომ არ გამაძევა სომხეთიდან. ამ დროს მე ხშირად ვნახულობდი ამხანაგებს ციხეში. ალავერდოვი თავს მხნედ გრძნობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას ღრმად სწამდა, რომ ბოლშევიკების განთავისუფლების საქმეში ჩიჩერინი ჩაერეოდა.

მაგრამ ამ დროს საშიში ცნობები იქნა მიღებული ზანგეზურიდან; გამოირკვა, რომ იქ ორი დაშნაკელი მოეკლათ თავიანთი პროვოკაციული მოქმედების გამო. ერევანში არავინ არაფერი იცოდა არც მკვლელობის მიზეზის, არც იმის შესახებ, თუ რა პირობებში მოხდა მკვლელობა. დაშნაკელები მხოლოდ საბაბს ელოდენ, აგორდა ახალი ტალღა პროვოკაციისა და ბრალდებისა. ბოლშევიკების წინააღმდეგ. ერთხელ დილით „არაჩ"-ში მე წავიკითხე მოწინავე ასეთი სათაურით: „თვალი თვალის წილ". მე ვერ შევსძელი მისი წაკითხვა დამშვიდებულად. ის თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი იყო შურისძიებით და სწყუროდა სისხლი. ჩემთვის ნათელი შეიქნა, რომ დაშნაკელები ემზადებოდენ იმისათვის, რომ გასწორებოდენ, შური ეძიათ თავდაუცველ ტყვეებზე. მე მყისვე გავეშურე ციხეში ალავერდოვის სანახავად. მე გავაცანი მას წერილის შინაარსი. ჩემი შიში ალავერდოვმა თუმცა მხედველობაში მიიღო, მაგრამ დაბოლოს მაინც განაცხადა, რომ მისი აზრით დაშნაკელები ვერ გაბედავენ ბოლშევიკების დახვრეტას და, ალბათ, მალე მოსკოვიდან მივიღებთ ნოთხოვნას ბოლშევიკების განთავისუფლების შესახებო. მე არაფერი ვიცოდი იმის შესახებ, თუ რა საბუთებზე იყო დამყარებული მისი ცნობები ამ მხრით, ამიტომ ვურჩიე მას ეფიქრა სხვა ამხანაგებთან ერთად ციხიდან გაქცევაზე.

საქმე ისაა, რომ ალავერდოვს გაქცევის შესახებ არც კი სურდა მოსმენა. ციხეში ის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო, ის აერთიანებდა პატიმართ. მცველები მას მეტად პატივისცემით ეპყრობოდენ.

ზემოდ ხსენებული წერილის დაბეჭდვის რამოდენიმე დღის შემდეგ მე ხელ - ახლა წავედი ციხეში, მაგრამ ამ ხანად მე იქ არ შემიშვეს. ციხის რეჟიმი, რომელიც ამ დრომდე თავისუფალი იყო, შეცვლილიყო—ნახვა გაეუქმებიათ, პოლიტიკურები ცალკე ჰყავდათ გამომწყვდეული დაკეტილ კამერებში და მათგან გამოყოფილი იყვნენ ალავერდოვი, მუსაელიანი და გარიბჯანიანი, ესენი მოეთავსებიათ სხვებთან ერთად განსაკუთრებულ კამერაში და ემზადებოდენ იმათ გასანადგურებლად. მთელი ციხე გრძნობდა, რომ დაშნაკელები ემზადებოდენ ბოროტი საქმისათვის, რომ ისინი ფიქრობდენ ბოლშევიკური მოძრაობის ხელმძღვანელთა დახვრეტას. სისხლის სამართლის ტუსაღებმა გადასწყვიტეს ხელი შეეშალათ დახვრეტისათვის და როცა ჯალათები მივიდენ ალავერდოვის, მუსაელიანის და გარიბჯანიანის წასაყვანად, პირველად, რადგანც მთელი ციხე წინ აღუდგა მათ, ეს ვერ შესძლეს. მოსალოდნელი იყო ციხე გადაქცეულიყო სამხედრო მოქმედების ასპარეზად, მაგრამ ამხანაგებისაგან განშორებული ალავერდოვი, მუსაელიანი და გარიბჯანიანი დარწმუნდენ რა იმაში, მათი მიზეზით მოსალოდნელი იყო უდანაშაულო ხალხის მასიური ამოწყვეტა თითონ დანებდენ ჯალათებს.

და ერთს აგვისტოს ბნელ ღამეში სომხეთის ბოლშევიკები, მოძრაობის სამი ბელადი დახვრეტილი იქნენ დაშნაკელი მაუზერისტების მიერ ერევნის მახლობლად.

ასე ბოლოვდება ამხ. სტ. ალავერდოვის ცხოვრება, რაც სავსეა რევოლიუციონური ენერგიით და მოღვაწეობით, ბოლშევიკური სიმტკიცითა და გმირობით.

საჭიროდ მიმაჩნია აქვე მოვიყვანო ზოგიერთი ცნობები ამხ. ს. ალავერდოვის ბავშობის და სტუდენტობის დროინდელი, რაც მისმა ნათესავებმა გადმომცეს.

ამხ. ალავერდოვი დაიბადა ქ. ქუთაისში 1889 წ. ერთს ღარიბ ოჯახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა მისი ერთ დროს ბუხჰალტრათ მსახურობდა, შემდეგ მსახურობდა აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში, ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო: ოთხი მოზრდილი და ექვსი ბავში. მამას მცირე ხელფასი ოჯახს გამოსაკვებათაც არ ჰყოფნიდა. პატარა სტეფანე ხედავდა ამ გაჭირვებას და უსიტყვოდ გადაჰქონდა ის. ფიზიკურად ბავში ჯანსაღი იყო და დიდი მისწრაფება ჰქონდა სწავლისადმი, მაგრამ რადგანაც მამას არ მოეპოვებოდა საშუალება, ამიტომ მშობლებმა გადასწყვიტეს მისთვის ესწავლებიათ რაიმე ხელობა. შემთხვევით ერთი ქართველი მასწავლებელი ქალი ბავშს ხვდება ბავშების წრეში, მიაქცევს ბავშს ყურადღებას და წინადადებას აძლევს მშობლებს, რომ უსასყიდლოთ მოამზადებს რეალური სასწავლებლისათვის. ამნაირად სტეფანე შევიდა რეალურ სასწავლებელში, სადაც ის კარგად სწავლობდა. მხიარული, ცელქი, ამასთან საქმის მოყვარული და სერიოზული — აი, როგორი იყო ამხ. სტეფანე ბავშობაში. ჯერ კიდევ რეალურ სასწავლებელში მყოფი სტეფანე 1905 წელს აქტიური მონაწილეობა ღებულობს მოძრაობაში, რისთვისაც არა ერთხელ უგემია ზურგზე ყაზახების მათრახი. 1907 წელს მან დაამთავრა საშუალო განათლება და შევიდა მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში; აქ ის მუშაობს სტუდენტების ბოლშევიკურ ორგანიზაციაში, აქტიური მონაწილეობას ღებულობს ყველა გაფიცვებში, პროპაგანდას ეწევა მუშათა რაიონებში და 1914 წელს სწავლის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება სარაყიმიში, სადაც იხდის სამხედრო სამსახურს.

ოჰანეს დურჰერიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ იბრძოდა გურიის მშრომელი გლეხკაცობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის

გურიაში 1917 წ. თებერვლის რევოლიუცია, მენშევიკების ბატონობის ხანად გარდაიქცა. მთავრობის შემადგენლობაში შედიოდენ ვაჭრები, მემამულეები, მღვდლები და სხვ. 1917 წლ. 6 მარტს, როცა არჩეულ იქნა ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, მასში შედიოდენ მთელი რიგი ვაჭრებისა და მღვდლებისა, მათ შორის, ცნობილი ვაჭარი ალმასხან კალანდაძე ასეთივე შემადგენლობით იქნა არჩეული სათემო აღმასრულებელი კომიტეტებიც. მაგალითად: ნაგომარში — აღმასრულებელ კომიტეტში მენშევიკებმა დიდის ოვაციებით გაიყვანეს ცნობილი ვაჭარი — ჩარჩი ალექსი ნიკოლაიშვილი.

მილიცია შედგენილ იქნა მკლავაძისებური ტიპებისაგან (თავად-აზნაურები: ნაკაშიძეები, ქარცივაძეები, ჯაყელები და სხვ.).

მენშევიკებმა, როგორც „სოციალ-გამყიდველებმა“, უარი სთქვეს მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევაზე (ერთ კომლზე ნორმათ შემოიღეს 18 დესეტინა), გაილაშქრეს 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ. პროფესიონალური — (მაშინ მენშევიკებმა ასოციაცია უწოდეს) — კავშირების პირველ სამაზრო ყრილობაზე მენშევიკებმა — შილაკაძემ, დოლიძემ, ცხომელიძემ და სხ. გაილაშქრეს 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ. მენშევიკების ყველა ამ საქციელმა გამოიწვია დიდი უკმაყოფილება მშრომელი მასისა, მენშევიკებისა და მათი დამქაშების მიმართ. გაჩაღდა მკაცრი ბრძოლა ჟორდანია - რამიშვილების პარტიისა (მენშევიკების) და მშრომელი გლეხობას შორის, რომელსაც სათავეში ედგა ბოლშევიკები. ტრიბუნიდან ბრძოლა ხშირად გადიოდა ხელჩართულ ბრძოლაზე და უკანასკნელს კი სცვლიდა ბარიკადები.

1917 წლის გაზაფხულზე, როცა ამხ. ლენინი დაბრუნდა საზღვარ გარეთიდან, მენშევიკებმა გაავრცელეს ჭორები, თითქოს ამხ. ლენინი, გერმანიის აგენტია, პროვოკატორია და მისი მიმდევრებიც — ბოლშევიკები ყველა პროვოკატორებია და სხ. მიუხედავათ ასეთი საშინელი პროვოკაციისა ბოლშევიკური პარტია ყოველ დღიურად იზრდებოდა, მტკიცდებოდა და ჩვენს რიგებს ემატებოდა ახალ-ახალი ძალები. როცა გენ. კორნილოვი თავის ჯარით დაიძრა პეტროგრადისაკენ ძალაუფლების დასაპყრობათ, ამ შემთხვევას ბოლშევიკები ხსნიდენ, როგორც რეაქციის დასაწყისს, მაგრამ მენშევიკები ბოლშევიკების გამოსვლას უწოდებდენ პროვოკაციას და ამ რიგად ცდილობდენ მიეჩქმალად მოსალოდნელი საფრთხე და შეენელებიათ მუშებისა და მშრომელი გლეხობის რევოლიუციონური განწყობილება. კორნილოვჩინას და ესერ - მენშევიკთა რეჟიმს ბოლო მოუღო ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ. გამარჯვებულმა პროლეტარიატმა უსუსური ესერ-მენშევიკე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბი რკინის ცოცხით მიახვეტა სანაგვეზე.

ამიერ - კავკასიაში, სადაც მაგრად ჰქონდა ფეხი გადგმული მენშევიკებს, მუსავატელებს და დაშნაკელებს, ამ წვრილ-ბურჟუაზიულმა ავანტიურისტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, კედელი აღმართეს „წითელი ოქტომბრის“ წინააღმდეგ და ამით სურდათ გადაერჩინათ „საყვარელი სამშობლო“ — „წითელი საფრთხისაგან.

მენშევიკების მესვეურებს არა ერთხელ განუცხადებიათ მიტინგებზე: „ოღონდ წითელი საფრთხისაგან ვიხსნათ სამშობლო და ეშმაკის ბებიასაც კი დავიმეგობრებთო“. ეს ასეც შეასრულეს: თავიანთი ბატონობის შენარჩუნების მიზნით მოიწვიეს უცხოელი კაპიტალისტების ჯარები და საქართველო გახადეს გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის და სხ. იმპერიალისტების სათარეშოდ. ვის არ ახსოვს ინგლისისა და გერმანიის ოფიცრების ათასგვარი უმსგავსოებანი: (ცემა - ტყეპა, ქალების შეურაცყოფა და სხ.) რომელმა მუშამ, რომელმა გლეხმა არ იცის, რომ მუშათა სასახლედან ინგლისის გენერლის ბრძანებით მოხსნილი იქნა დიდის ზეიმით ატანილი წითელი დროშა. „წითელი საფრთხიდან“ თავის დაღწევის მიზნით — მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები, დენიკინთან და არც სხვა რეაქციონურ გენერლებთან კავშირს არ დაერიდენ.

მენშევიკებმა თავიანთი საქციელით დაუმტკიცეს მშრომელ ხალხს, რომ მათ დამოუკიდებლობას, საქართველოს სრულიად განცალკევებულ არსებობას, არავითარი ღირებულება არა აქვს, რომ მენშევიკებს არ შეუძლიათ ხალხისათვის კეთილდღეობის შექმნა და სხვ. გურული მშრომელი გლეხობა მენშევიკების უსუსურობას, მის ცრუ-სოციალისტობას სხვა შემთხვევებშიაც ხედავდა. მენშევიკებმა შემოიღეს ეგრედ წოდებული ერობა. 1918 წლ. აგვისტოში მოწვეულ იქნა ერობის სამაზრო ყრილობა და არჩეულ იქნა სამაზრო ერობის გამგეობა.

სამაზრო ერობა და მისი ყველა განყოფილებები, სარგებლობდენ მეფის დროინდელ გამოცემულ კანონმდებლობით და იოტის ოდენა ცვლილებებიც კი არ შეუტანიათ შიგ: ეს ფაქტი მენშევიკების „დიდ რევოლიუციონერობას“ — საკმაოდ ხდიდა ფარდას... გლეხი, რომელიც ნიკოლოზის დროინდელ კანონებში ცვლილებებს ვერ ხედავდა, აშკარად ამბობდა: ტყვილა გვიბრძოლია რევოლიუციისათვის — მენშევიკებს „თბილი ადგილები“ და მე ნიკოლოზის უცვლელი კანონითო“. რას აკეთებდა ეს ხალხი მშრომელ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის? ერობის მიწად-მოქმედების განყ. მუშაობა გამოიხატებოდა იმაში, რომ იცავდენ მემამულეებისა და თავადაზნაურების ინტერესებს. მაგალითად: მემამულეების ინტერესების დაცვის მიზნით გამოიმუშავეს კომლზე ისეთი ნორმა (კომლზე 18 დესეტინა), რომლის ძალით არც ერთ მემამულეს მიწები არ ჩამორთმევია... პირიქით, გადიდებულ იქნა ხელოვნურად მიწის იჯარა (თუ წინედ ერთ მეოთხედს უხდიდა გლეხი მოსავლიდან, გავრცელდა მოსავლის ნახევრის აღება გლეხებისაგან). მენშევიკებმა მემამულეებისა და თავადაზნაურების პატივსაცემად ჩაიდინეს ისეთი საჯაყი საქმე, რაც მეფის დროსაც კი არ მომხდარა... ერისთავებმა, შალიკაშვილებმა და სხვა თავადებმა, აღძრეს სარჩელი სასამართლოში იმ გლეხების წინააღმდეგ, რომლებსაც 30—40 წლის წინად აღებული ჰქონდათ მიწები იჯარით, სანაშენოთ, აღნიშნულ თავადებისაგან; მენშევიკების სასამართლომ მოიჯარადრე გლეხებს მიუსაჯა ერისთავებისა და შალიკაიშვილების სასარგებლოდ მიწებიდან აყრა და გადასახლება, ან მემამულეებისათვის ორმაგი ფასის მიცემა (ეს შეეხო ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომრიელ გლეხებს — უჯმაჯურიძეებს, ნაჭყეპიებს, მიქაშავიძეებს და სხვებს, აგრეთვე ბუკნარელ გლეხებს, სილაურელ გლეხებს და სხ.) ამრიგათ გლეხები იძულებული გახდენ — სისხლითა და ოფლით გაშენებული ეზოები და ბაღები, მეორეხელ გამოეყიდათ.

მენშევიკების ბეცი პოლიტიკა ჩვენს სოფლის მეურნეობასაც საკმაოდ დააჩნდა. სოფლის მეურნეობა გაპარტახების გზას დაადგა. სოფლის ნაწარმოებს სრულიად გასავალი არ ჰქონდა; მთელი რიგი ძვირფას კულტურებისა, როგორიც არის მანდარინა, თხილი, ჩაი, დაფნა, ვენახი და სხ. გადაშენების გზას დაადგა; გლეხებმა სრულიად გასჩეხეს ჩაის ბუჩქები, მანდარინა, თხილი, დაფნა, ვენახი, ვაშლი და სხ. სავსებით დაეცა აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა, მოისპო თამბაქოს მოყვანა; ამისი მიზეზი იყო რუსეთის ბაზრის დაკარგვა, რომელიც მენშევიკებმა ხელოვნურად გამოაცალეს საქართველოს მშრომელ გლეხობას. ერთი სიტყვით, სოფლის მეურნეობა კატასტროფიულ მდგომარეობაში ჩავარდა. მენშევიკებმა თავისი ბეცი პოლიტიკის წყალობით კოოპერაცია გაკოტრების გზამდე მიიყვანეს. არაფერი არ გაუკეთებიათ, მრეწველობისა და განათლების დარგში. ნადგურდებოდა უპატრონობით საზოგადო ქონება, სრულიად უმწეო მდგომარეობაში იყო გზები და ხიდები, იჩეხებოდა ტყეები მემამულეებისა და თავადების მიერ, უნუგეშო მდგომარეობაში იყო საზოგადოებრივი მყუდროების დაცვის საქმე... გვარდია, რომელიც შესდგებოდა ნახევრად ბანდიტებისაგან, თვით სტეხდენ ათასგვარ აურ-ზაურს, არღვევდენ წესრიგს (თოფის სროლა, ლოთობა, ხულიგნობა, კაცის კვლა, ცარცვა და სხვ.), არავინ ზრუნავდა მუშა - მოსამსახურეთა პირობების გასაუმჯობესებლად... მასწავლებლები 6 თვეობით ვერ ღებულობდენ ხელფასს (ამ ნიადაგზე ჩოხატაურის მასწავლებლობამ დაადგინა გაფიცვის გამოცხადება), მენშევიკების „დიდი კაცები“ ფლანგავდენ სახელმწიფო ქონებას. ერთი სიტყვით, ძნელია ყველა იმ საზიზღროების ჩამოთვლა, რასაც ჟორდანია-რამიშვილების პარტია აკეთებდა გურიაში.

მოკლედ მე მინდა მოვიგონო, თუ რას წარმოადგენდა ბოლშევიკური პარტია გურიაში მენშევიკების ბატონობის პერიოდში.

გურიაში ბოლშევიკური ორგანიზაცია გაიზარდა თებერვლის რევოლიუციის დღეებიდან. სოფელს მოედევენ ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები, რომლებიც რევოლიუციონურად იყვნენ განწყობილნი. ჯარისკაცები საუკეთესო დასაყრდენი იყო სოფლად მუშაობისათვის. ოქტომბერმა მენშევიკებს სიკვდილის აჩრდილი დაუყენა თვალწინ და მათ შემოდგომის ბუზივით დაიწყეს კბენა და დევნა ჩვენი პარტიის წინააღმდეგ. ჩვენი პარტია განმტკიცდა. შემოდგომაზე, თითქმის არ იყო ისეთი სოფელი, სადაც ჩვენი უჯრედი არ ყოფილიყოს ჩამოყალიბებული; მენშევიკების რეპრესიების შემდეგ პარტია იძულებული გახდა გადასულიყო იატაკ ქვეშ მუშაობაზე. 1918 წ. გაზაფხულიდან ბოლშევიკური პარტია უკვე შეტევაზე გადავიდა. მას უკვე საკმაოდ დარაზმული ყავდა თავისი ძალები. გურია, პარტიული მუშაობის მხრით დაყოფილი იყო 9 რაიონად: ხიდისთავი, ჩოხატაური, ნატანები, ჯუმათი, სუფსა, ჩოჩხათი, ჩიბათი, შემოქმედი და სხ. გურიის კომიტეტი შესდგებოდა რაიონის თითო წარმომადგენლისაგან.

1918—19 წელი უსასტიკესი წელი იყო ჩვენს პარტიულ მუშაობაში. მენშევიკებმა ყველა ჯურის ნაძირალები დარაზმეს ჩვენი პარტიის წინააღმდეგ, საბჭოთა რუსეთის შესახებ ავრცელებდენ ათასგვარ ჭორებს. მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხედავათ ამისა მენშევიკებმა ვერ შესძლეს შეეჩრბიათ მშრომელი გლეხობის ლტოლვა ჩვენს პარტიაში, რომელიც დღითი - დღე იზრდებოდა. მენშევიკებისაგან განაწამებმა მშრომელმა გლეხობამ ვერ აიტანა მენშევიკების რეჟიმი და ყოველდღე მღელვარებას ჰქონდა ადგილი. ჩვენი პარტია ემზადებოდა ძალაუფლების ასაღებათ და ხშირად შეტევაზედაც გადადიოდა, რასაც ხოლმე სასტიკი რეპრესიები მოყვებოდა. იყო შემთხვევა, როცა კომიტეტის შემადგენლობის უმრავლესობას აპატიმრებდენ, მაგრამ ის დაუყონებლივ ივსებოდა ახალი ძალებით. 1919 წელში გამუდმებული ომების, აუტანელ ეკონომიურ კრიზისის გამო კიდევ უფრო გაიზარდა მშრომელი მასის უკმაყოფილება მენშევიკების მიმართ. ეს მომენტი ხელსაყრელი იყო ძალა-უფლების ასაღებათ და პარტია შეუდგა მზადებას: ყველა რაიონებში გამოყოფილი იქნა თითო პასუხისმგებელი სამხედრო ხელმძღ-ლი. სამხ შტაბის თავ-რედ გამოყოფილი იქნა ამხ. ვ. კალანდაძე, ყველა თემებში მოეწყო შტაბები, აღრიცხული იქნა სამხედრო პირები, იარაღი და სხვა. ამ გაცხოველებული სამზადისის დროს აგვისტოში მთელი შტაბი ხელში ჩაიგდეს მენშევიკებმა. მეორეხელ შტაბი მოწყობილ იქნა ტ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით. დანიშნული იქნა აჯანყების დღე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცენტრიდან მომაგრებული ამხ. გიორგი სტურუა. შემდგენილი იქნა გეგმა აჯანყებისათვის. აჯანყების დღეთ დანიშნული იქნა 19 ნოემბერი. 18 ნოემბერს საშინელი კოკისპირული წვიმა მოვიდა, წყლები საშინლად გადიდდა,მიუხედავად ამისა 19-ს ღამით გეგმის მიხედვით დაიწყო შეტევა დასახელებული პუნქტების ასაღებათ. ჩოხატაური და ხევ-ერკეთი აღებულ იქნა დილით 9 საათზე, აგრეთვე აღებულ იქნა ლანჩხუთი და სუფსა, მაგრამ ოზურგეთის აღების გეგმა არ შესრულდა, რადგან ხიდისთავი და ჯუმათსილაური შეფერხდენ წყალდიდობის გამო (შემოქმედმა კი ვერ გაიგო აჯანყების დრო). მენშევიკებმა აჯანყებულებს ზარბაზნებიდან ყუმბარები დაუშინეს და რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი რაზმები განდევნეს. ამ რიგად აჯანყება დამარცხებულ იქნა, რასაც მენშევიკების უსასტიკესი შურისძიება მოყვა. მოხდა დაპატიმრებანი, დაპატიმრებულ იქნენ მთელი რიგი პასუხისმგებელი ამხანაგებისა. დაპატიმრებულ ამხანაგებიდან მენშევიკებმა ჯალათურად დახვრიტეს ჩოხატაურიდან: ბენია ბერიძე, ბერძენიშვილი, მამალაძე, ღორია და სხვები. ლანჩხუთის რაიონიდან: კილაძე, კერესელიძე, სარჯველაძე, სულაბერიძე და სხვა. მენშევიკურ ჯალათებს გაექცათ დასახვრეტად გამზადებული ათეიშვილი და სირაძე,დანარჩენ ამხანაგების უმრავლესობა იქნენ გადასახლებული. მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა, პარტიული მუშაობა არ შეწყვეტილა და გრძელდებოდა, ჭერ-ქვეშ მუშაობა. 1920 წლის მაისში მოსკოვში დადებულ იქნა ხელშეკრულება კომუნისტების განთავისუფლების შესახებ. ციხიდან განთავისუფლებული იქნენ ყველა ამხანაგები. მაისში გაიხსნა გურიის ნახევრად ლეგალური პირველი კონფერენცია, რომელსაც დაესწრენ წარმომადგენლები ყველა რაიონებიდან. კონფერენციას არ სწამდა მენშევიკური ხელისუფლების სიტყვა და თავის რეზოლიუციის ერთ - ერთ პუნქტში შეიტანა მენშევიკების ამინისტიას ფრთხილად მოპყრობოდენ ყველა ორგანიზაციები, (რაც გამართლდა). რამოდენიმე დღის შემდეგ ისევ დააპატიმრეს მთელი რიგი ამხანაგები და უმრავლესობა გადაასახლეს, დარჩენილებს გვიხდებოდა ტყეებში მალვა და იატაკ-ქვეშ მუშაობა.

გურიის ორგანიზაციაში აქტიურ მუშაობას ეწეოდენ შემდეგი ამხანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გები: გრ. მგალობლიშვილი, ვარდენ კალანდაძე, ტ. მგალობლიშვილი, თეოფილე ჩიჩუა, ა. დოლიძე, ბ. რუსიძე, მ. მდინარაძე, ა. იმნაძე, მიხ. მეგრელიძე, ელ. კალანდაძე, დ. ფოცხიშვილი, ვ. როინიშვილი, კ. ცინცაძე, გრ. სარჯველაძე, მ. ახალაძე, თ. დოლიძე, კ. გურგენიძე, ვ. თავართქილაძე, ვ. გოგიბერიძე, მ. მკურნალი, ფ. ცხომელიძე, ვ. აბაშიძე, ბ. სიმონიშვილი, კ. ჩხარტიშვილი, ე. ჩიკოგაძე, და სხვ.

ჟორდანია - რამიშვილების რეჟიმი აუტანელი შეიქნა. მათ მიერ გაწამებული მუშების და მშრომელი გლეხობის მოთმინების ფიალა აივსო. მშრომელი ხალხი აჯანყდა და მენშევიკური რეჟიმი დაეცა. ჟორდანია - რამიშვილის მთავრობა საზღვარგარეთ გაიქცა. ჟორდანია - რამიშვილმა გაიტაცეს ხალხის უამრავი ქონება. მიუხედავათ ამ საშინელი პირობებისა გურიაში ამ ათი წლის განმავლობაში პარტიას და ხელისუფლებას უდიდესი მიღწევები აქვს. თუ მენშევიკების დროს „ქვა - ქვაზე“ არ დაშენებულა, სამაგიეროთ ჩვენ შევსძელით გაგვეყვანა ნატანებ - ოზურგეთის რკინის გზა. ოზურგეთში აიგო აბრეშუმის ქარხანა, როგორც ამოსახვევი, ისე საგრეხი, რომელშიაც 1300 მუშა მუშაობს; ნატანებში დაიწყო ბითუმის ქარხნის აგება,; ომფარეთში დაიდგა ჭა-ბურღილები ნავთისა და სწარმოებს გამოკვლევითი მუშაობა; ლანჩხუთში, სუფსაში და ოზურგეთში აიგო აგურის ქარხნები, რომლებიც რამოდენიმე მილიონ აგურს დაამუშავებს. ოზურგეთში აიგო ხილის სახმობი და სპირტის სახდელი ქარხანა. გურია ახლო მომავალში გახდება საბჭოთა ცეილონი: შენდება ჩაის უდიდესი პლანტაციები. თუ მენშევიკებს დროს ჩაის ბუჩქებს სჭრიდენ გლეხები, დღეს ვერ ნახავთ გლეხის ვერც ერთ ოჯახს, რომ მას ჩაი არ ქონდეს გაშენებული. გურიაში დღემდე გაშენებულია 5762 გექტარი ჩაი, რომელზედაც დახარჯულია 4.255.730 მან. გურიაში დღეს გვაქვს ჩაის 4 დიდი ფაბრიკა. კიდევ შენდება მაღალ ეწერის კოლექტივთან, და ზვანში ჩაის დიდი ფაბრიკები. წელს ჩაის მრეწველობაში დაიხარჯება 9.745.540 მანეთი, მხოლოდ ოზურგეთის რაიონში.

მენშევიკების დროს სოფლის მეურნეობა გადაშენების გზაზე იდგა, ეხლა კი ჩვენი სოფლის მეურნეობა სოციალისტური გზით მიდის. მოწყობილია უდიდესი საბჭოთა მამულები. ოზურგეთის რაიონის მშრომელი გლეხობა გადავიდა მთლიან კოლექტივიზაციაზე და ამ რიგად დაიწყო სოფლის მეურნეობაში გეგმიანი მუშაობა.

უდიდესი მიღწევები გვაქვს ჯანმრთელობის დარგში, თუ მენშევიკების დროს უთასო საექიმო დახმარებით არავინ სარგებლობდა, ეხლა ყველა მუშა - მოსამსახურე უფასო ექიმობით სარგებლობს; აგრეთვე მოსახლეობის ნარიბი ნაწილიც უფასო ექიმობით სარგებლობს. მთელ რიგ თემებში მოწყობილია საექიმო პუნქტები. ნაგომარში და ნატანებში მოწყობილია საავადმყოფო. წელს ოზურგეთში აიგება 100 საწოლიანი საავადმყოფო, რაც დაჯდება 400 ათას მან.

განათლების საქმე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. თუ მენშევიკების დროს (1915-1917წ.) გურიაში იყო 72 სკოლა, ეხლა არის 173. თუ მოწაფეთა რიცხვი უდრიდა მაშინ 5996-ს ეხლა უდრის 18397.

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათი წლისთავზე ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევები სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

**კირილე უჯმაჯურიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ბოლშევიკური პრესა 1906 წ.

ყოველდღიური მარქსისტული ლეგალური პირველი გაზეთი ჩვენში იწყება „ხვალი"-დან, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1905 წლის 6 დეკემბერს. ამას მოჰყვებიან სხვა გაზეთები.

1906 წლის 20 ივნისს გამოვიდა ბოლშევიკური გაზეთი **„ახალი ცხოვრება"**.

ის პერიოდი, რომლის განმავლობაში გაზეთს უხდებოდა მუშაობა, მშვენივრად არის დახასიათებული „ახ. ცხ." № 2-ში (22 ივნ. 1906 წლ.). მეთაურში: „რევოლუცია და სათათბირო". „რუსეთის ცხოვრებამ, ვკითხულობთ ჩვენ იქ,—ისევ ალმასრთისაკენ იბრუნა პირი. დეკემბრის სისხლის მორევში მონათლულ რეაქციას ბოლო ელება. შავ კამარილიას არა სურს თავისი დასამარება ხალხს იაფად დაუთმოს და, გრძნობს რა ხალხის მაჯისცემის მოახლოვებას, ჩქარობს ახალ ავკაცობით დამძიმებული წარსდგეს მის წინაშე. ატრიალდა პოგრომების ოსტატურად მოწყობილი ჩარხი. აქტიურად იწყობენ მოქმედებას „რევოლუციასთან აქტიური ბრძოლის საზოგადოება" და ჭეშმ. რუსთა კავშირი". ეს შავი რეაქციონერები შეიარაღებულ კონტრ-რევოლუციონურ ავანგარდს აწყობენ შეიარაღებულ ხალხის წინააღმდეგ. რეაქცია ცდილობს რევოლუციას დაასწროს. მაგრამ ხალხიც ერკვევა დეკემბრის თავზარისაგან, და ეტყობა, რომ უხვად გამოწვეებული სისხლიც ისევ შეუვსია. დარის გამოცვლა კადეტებმაც კი იგრძნეს: ისინი უფრო და უფრო დაჟინებით ქადაგებენ „ძლიერ (კადეტურ) მთავრობას" და თითქმის ალღო აუღიათ, რომ დალალობის პოლიტიკა აგერ საცაა არხივს გადაეცემა, ხშირ-ხშირად მსჯელობენ „უზენაეს მთავრობასა და სათათბიროს შორის ორგანიულ შეთანხმებაზე". სჩანს მათ ყურსაც კი მისწვდა ხმა რევოლუციის მოახლოვებისა. უფრო და უფრო მაღლა, ფხიზლად და მრისხანედ გაისმის ეს ხმა; და ის უბრალო გამეორება არ არის ოქტომბრის დღეებისა. ამ ხმაში რუსეთის რევოლუციისათვის სრულიად ახალი ნოტები არის ჩაწნული. უფრო ძლიერად და შეუპოვრად ისმის მუშათა მოძრაობის ხმა — გაფიცვები მოდებულია ყველა სამრეწველო და სახელოსნო კუთხეში. მომუშავეს უმუშევარი ამოუდგა გვერდში. გლეხიც უფრო მძლავრად, წინანდელზე უფრო **მწყობრად და შეგნებულად** გამოდის რევოლუციონურ სცენაზე, მაგრამ თითქმის ახალი ფიგურაა ამ ახალ ხანაში სალდათი; მისი ნაფიცი პატრიოტიზმისა მხოლოდ მოგონებაღა დარჩენილა. და ის ისევ ძმათ ეფიცება დემოკრატიულ სოფელს და ქალაქს, რომელზედაც ყაზარმა ხელს აღებინებდა. ხიშტების კედელი, რომელშიაც მტარვალი ლაღათ და უშიშრათ გრძნობდა თავს, შავ ბედით რყევას იწყებს..

მაგრამ რევოლუცია ჯერ კიდევ არ გამხდარა ცხოვრების ბატონ-პატრონი და საზოგადოებრივ კლასთა და ჯგუფთა მეტი ნაწილი ისევ ძველ კერპებს უტრიალებს გარშემო".

შემდეგ ავტორი ეხება სათათბიროს მიერ შექმნილ ილუზიებს: „წარსული ზამთრის საშინელმა განადგურებამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ რევოლუციონურ ხალხს ერთად-ერთი ნუგეშად ილუზიები დაუტოვა და ბევრმა ილუზიები გამოაცხადა მისის პოლიტიკურ სიბრძნის უებარ წამლათ. ასეთი ექიმბაშობა საფუძვლათ დაედო იმ ტაქტიკურ პოზიციას, რომელსაც სათათბიროში მონაწილეობის მიღება ჰქვია. სათათბირო, მიუხედავათ ამისა, არ არის მოკლებული ერთგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას. და თუ აქამდე არ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მას არავითარი როლი არ უთამაშნია რევოლუციის განვითარებაში, არც აქტიური, არც პასიური, არც დღეს შეიძლება ვთქვათ, რომ სათათბირო [illegible] უმნიშვნელო შეიქნა. და ვიდრე მას პასიური მნიშვნელობა მაინც აქვს და დიდი მნიშვნელობაც, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ყოველ კონკრეტიულ პირობების ცვლაზე ასეთ კითხვას გავუწიოთ ანგარიში: რა ტაქტიკას უნდა ვადგეთ დღეს სათათბიროს მიმართ"?

სანამ ამ კითხვაზე უპასუხებს ავტორი სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ „რა არის სათათბირო"?

აქ მას მოჰყავს კადეტების აზრი, რომლის მიხედვით „სათათბირო „კონსტიტუციონური" რუსეთის პირველი პარლამენტია..., რომელიც მშვიდობიანი გზითვე ჩაიგდებს ხელში მთელი რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების საქმეს და ხელმძღვანელობით წარმართავს ქვეყანას თა მის ბედ-იღბალს პროგრესისა და სიკეთისაკენ. ამიტომ კადეტები დიდის უკმაყოფილებით უყურებენ ქუჩას, როცა ის „ზედმეტსა ხმაურობს"...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მაგრამ სოციალ - დემოკრატია, რომელიც ამგვარ გულუბრყვილო ოპტიმიზმს პარლამენტარულ კრეტინიზმს უწოდებს, რომელმაც იცის, რაშიაც მდგომარეობს „კონსტიტუციის დედა აზრი“, სულ სხვა საფუძვლიდან ამყარებს თავის შეხედულებას სათათბიროზე. ქვეყნის ბედიღბალის გადასვლა წარმომადგენლობის ხელში მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა რევოლუციის სასტიკი რეგლამენტით სათათბიროს ორატორები უკან ჩამოდგებიან და ტრიბუნაზე შესდგება ქუჩა, რომელსაც სიტყვა და საქმე ერთი აქვს... სათათბიროს დაბადებიდანვე პასიური როლი აქვს დაკისრებული და მას მხოლოდ მაშინ შეეძლება სასარგებლო როლის თამაშობა, როცა შეიგნებს, რომ ის იარაღია საზოგადოების დარაზმულ ძალებისა, და მოკრძალებით დაემორჩილება ასეთ ბედს. რაც უფრო მეტ შეგნებას შეიტანს იმ ბრძოლის მომზადებაში, რომლის გადამწყვეტიც თვითონ სრულიადაც არ იქნება, მით უფრო პირნათლად იქნება სათათბიროს დანიშნულება შესრულებული“.

როდგორ უნდა მიაღწიოს ამ მიზანს სათათბირომ?

ამ კითხვაზე ავტორი (ჯაჯ ბიზარი) უპასუხებს შემდეგი ნომრის მეთაურში („რევოლუცია თუ სათათბირო“). ავტორი განმარტავს სათათბიროს დანიშნულებას („მან უნდა ხელი შეუწყოს ბრძოლის სამზადისს მტრის წინააღმდეგ“).

„რათა მტერმა რაც შეიძლება ნაკლებათ მოახერხოს რევოლუციის მახვილისაგან თავის დაღწევა, საჭიროა დიდი რევოლუციური ლაშქარი, აჯანყების აუცილებლობის შეგნებული, მწყობრად დარაზმული, შეგნებულად მოძრავი და ბრძოლის ხელოვნებაში განსწავლული. თვით ცხოვრება ამას უტყუარად ხელს უწყობს. ამასვე უნდა შეუწყოს ხელი შეძლებისა და გვარათ სოციალ-დემოკრატიამაც თავისი გავლენით სათათბიროზე და სათათბირომ თავისი გავლენით ხალხზე“.

ამის შემდეგ ავტორი გადადის საკითხზე, თუ „ვინ ივარგებს სათათბიროში რევოლუციონურ საყვირის ასაღებათ გარდა სოციალ-დემოკრატიისა“... „ზოგიერთებს ჰგონიათ,::: ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, მაშასადამე... ბურჟუაზიაც რევოლუციონურიაო. მაგრამ მცირედი დაკვირვებაა საჭირო იმის მისახვედრათ, რომ აქ ზმაა, სიტყვის თამაშია“. ავტორი ახასიათებს ბურჟუაზიას, „რომელმაც სათათბიროში კადეტები აირჩია“, ეს სიტყვით „სახალხო თავისუფლების“ პარტია, საქმით კი პარტია უსირცხვილო მაჭანკლობისა, ჩარჩები, რომლებიც იაფათ ნაშოვნ ხალხის ნდობას თვითმპყრობელობის პორტფელებზე ჰყიდიან. სოციალ-დემოკრატიამ არას დროს არ უნდა უღალატოს თავის ნაცად მატერიალისტურ მეთოდს, რომელიც არავითარ ლირებულებას არ ხედავს ფრაზებში, ყოველ პოლიტიკურ ჯგუფს ობიექტიურ მატერიალურ ინტერესებს უშინჯავს და ეუბნება: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენო“.

„ვინ არის დაინტერესებული რევოლუციის ძლევამოსილ დაბოლოვებაში, თვითმპყრობელობის, ამ ბატონყმობის პოლიტიკური ორგანიზაციის მოსპობაში? პირველ ყოვლისა ის, ვინც ბატონყმობისაგან პირდაპირ და ყველაზე მეტით იტანჯება, ე. ი. გლეხკაცობა“. მიწა გლეხისათვის ყველაფერია და სანამ იგი გლეხის ხელში არ არის, მას არ შეუძლია „მოსვენებით იყოს“. გლეხი მიხვდა, რომ „თვითმპყრობელობა ეს მიწის სადარაჯო ორგანიზაციაა... გლეხის ერთი მოთხოვნილება „მთელი მიწაო“ — დაუკავშირდა პროლეტარიატის ერთ უპირველეს მოთხოვნილებას — „სრული თავისუფლებაო“. მთელი მიწა და სრული თავისუფლება“ — ეს არის ის დიდებული დასკვნა, რომელიც უტყუარი თავდებია რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვებისა“. ამას უნდა მიემატოს „გლეხის მძულვარება ბიუროკრატიისადმი, რომელმაც მას უკანასკნელი სილბო გამოსწოვა და ახლა ჩონჩხსაც არ აძლევს თავს“. ავტორი ჩამოთვლის სხვა ჯგუფებს, რომლებიც რევოლუციონურად არიან განწყობილნი. ესენი არიან: ინტელიგენტი პროლეტარი, ტელეგრაფისტის სახით და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია, რომელმაც თავისი ევროპეიდ წოდებული ფინანსიური ბოიკოტით ისე გააწვალა მთავრობა, რომ ამ ბოიკოტის წინააღმდეგ კანონიც კი გამოაცემინა. აი ესენი არიან რუსეთის ცოცხალი ძალები, რომელშიაც დაუშრეტელი რევოლუციონური ენერგია იმალება. ამათ გამოსახშაურებლად უნდა გამოიყენოს პროლეტარიატმა სათათბირო. სათათბიროს **სასტიკი კრიტიკის ნიადაგზე დიდი მასების შემოკრება სათათბიროს რევოლუციონურ უმცირესობის გარშემო** — აი ტაქტიკა სოციალ-დემოკრატიისა სათათბიროს მიმართ“. სათათბირო უკიდურესი რევოლუციონერი იქნება „თავისი დამხობის დროს, რადგანაც მისი როლი პასიურია და არა აქტიური“.

ამის შემდეგ ავტორი აყენებს სათათბიროს **მემარცხენეების აღმასრულებელი კომისიის** ლოზუნგს: „ამას ვთვლით ჩვენ პეტერბურგელ მუშებთან ერთად საჭირო პირველ ნაბიჯათ“-ო. „ასეთი აღმასრულებელი კომისია შეიძლება რევოლუციის ახალ ზრდას ფეხდაფეხ მიჰყვეს და მის ხელში ასეთი მართლა რევოლუციონური ლოზუნგები, როგორიც არის „აგრარული კომისიები“ და „მუშათა კითხვის გამოსაკვლევი კომისიები“ მასის ნამდვილ საორგანიზაციო და სამობილიზაციო მოწოდებათ გადაიქცევიან“.

„ახალ ცხოვრების“ მე-4 ნომრის მეთაურში („კადეტების სათათბირო და რუსეთის გლეხკაცობა“) ისევ მთავარი პოლიტიკური საკითხია გაშუქებული. „მეფის მთავრობას ნდობა დღეს დაკარგული აქვს რუსეთის გლეხობას. პულემიოტებმა, ზარბაზნებმა, მათრახმა და სახრჩობელამ დიდი სამსახური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუწია ამ მხრივ რუსეთის რევოლუციას". მაგრამ მარტო ეს გარემოება არ კმარა „ნამდვილ რევოლუციონურ გზაზე დადგომისათვის". გარდა ვერაგი მთავრობისა, „რევოლუციას კიდევ ყავს ერთი ჯურის მტერი, რომელიც ხალხს მოყვრის სამოსელში ევლინება და „გულსა შინა თვისსა" კი ზაკვასა და ღალატს ატარებს. ეს მტერია მუხანათი, მლიქვნელი, ორპირი, ხან მარჯვნით და ხან მარცხნით მომლიმარი ლიბერალური ბურჟუაზია, რომელიც ჩვენს რევოლუციას კონსტიტუციონალ - დემოკრატების სახით მოევლინა და რომელმაც ასე „ბრწყინვალედ" გაიმარჯვა არჩევნებში". „ეს მოყვარე მთავრობაზე უფრო საშიშია". ლიბერალური ბურჟუაზია (კადეტები) სათათბიროს უმეტესობას შეადგენს და მათი ხმა გადამჭრელი რუსეთის პირველ „პარლამენტში". ნამდვილი რევოლუციონერების უახლოეს ამოცანას შეადგენს „ცრუ იმედების გაქრობა ხალხში და ლიბერალური ბურჟუაზიის ორპირი არსების გამომჟღავნება". რუსეთის გლეხობა უკვე მიუხვდა კადეტებს, ზურგი აქცია მათ და „მთელ თავის ყურადღებას სათათბიროს „მშრომელ ჯგუფს" აპყრობს".

შემდეგ ავტორს მოჰყავს ამონაწერი გაზეთ „პუტ"-დან (№ 80) 32 გუბერნიის გლეხთა თათბირის შესახებ პეტერბურგში სახელმწიფო სათათბიროს წევრების თანდასწრებით.

გლეხები უკმაყოფილებას აცხადებდნენ კადეტების პოლიტიკით. „ახლა სათათბიროს აღარაფერი გვწამს, ერთად-ერთი მშრომელთა ჯგუფის იმედი გვაქვსო". კადეტებმა ნდობა დაკარგეს, ისინი, როგორც კრილოვის კუდამელა ყვავს, პირში „უცეცქირებენ" მთავრობას და პორტფელების მოლოდინში პირს ნდობის ნერწყვი ადგიათ. მაგრამ ხალხს იმათი არა სჯერა.

წერილს ხელს აწერს **შ. შ.**

მე-6 ნომერში ვკითხულობ ამხ. **კობას** საყურადღებო წერილს, რომელიც ეხება მეუმცირესეების შეხედულებას კადეტების სამინისტროსათვის მხარის დაჭერის შესახებ და ბოლშევიკების შეხედულებას იმავე საგანზე.

„ამ დღეებში პოლშასა და ლიტვაში სოც.-დემოკრატიული სიეზდი მოხდა. სიეზდზე 35 ათასი წევრი იყო წარმოდგენილი და აი, ამ დიდებულმა სიეზდმა გადასჭრა, რომ სოციალ-დემოკრატიამ მხარი **არ უნდა დაუჭიროს** კადეტების მოთხოვნას შესახებ მათ მიერ მოთხოვნილი სამინისტროსი („ახ. ცხ." № 5). ჩვენ გავიგეთ, რომ ამავე დღეებში პეტერბურგსა და მოსკოვში სოც.-დემოკრატიული კონფერენციები მომხდარა, სადაც ამხ. იმავე გადაწყვეტილებას დასდგომიან, რომელსაც პოლშისა და ლიტვის სოციალ-დემოკრატები" (იხ. „ახ. ცხ." დღევ. ნომერი).

ამავე დროს ჩვენ ვიცით, რომ „კავკასიის მეუმცირესეთა ბიურო" სერიოზულად ურჩევს „კავკასიის ყველა სოც.-დემ. ორგანიზაციებს"—„მხარი დაუჭირონ დუმის მოთხოვნას დუმის უმრავლესობისაგან სამინისტროს შედგენის შესახებ" (იხ. „ლამპარი" ნომერი 50).

თქმა არ უნდა, რომ ერთნიც და მეორენიც სოციალ-დემოკრატები არიან..., მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ორ სხვადასხვაირ გზაზე გვითითებენ"...

„რაშია საქმე?" ჰკითხულობს ავტორი და ამომწურავ პასუხს იძლევა:

„დღევანდელი რევოლუციის მიზანი ხალხის თვითმპყრობელობაა. მაშასადამე, რევოლუციის გამარჯვებაში დაინტერესებულია მთელი რევოლუციონური ხალხი, ე. ი. არა მარტო პროლეტარიატი, არამედ რევოლუციონური გლეხკაცობაც. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პროლეტარიატი, როგორც უფრო უშიშარი და პირდაპირი, წინ უძღვის რევოლუციას, მაშინ, როდესაც გლეხკაცობა პროლეტარიატის გარშემო იყრის თავს და მის ხელმძღვანელობით ებრძვის მტრებს. რევოლუცია მაღლა-მაღლა იწევს. ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით. პროლეტარიატის მოვალეობაა მხარი დაუჭიროს **მხოლოდ** (კურსივი ავტორისაა) ისეთ ელემენტებს, რომლებიც რევოლუციის გამარჯვებას ეტრფიან და ხალხის თვითმპყრობელობისათვის იბრძვიან. ვინ არიან ასეთი ელემენტები? ყველაზე პირველად რევოლუციონური გლეხკაცობა და შემდეგ ქალაქის წვრილი ბურჟუაზია".

პროლეტარიატმა მხოლოდ ამათ უნდა დაუჭიროს მხარი და არა კადეტებს, რომლებიც მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობას ეტრფიან.

კადეტები მოითხოვენ ბურჟუაზიულ სამინისტროს. რა თქმა უნდა, ისინი ამით ვერ მოკლავენ რევოლუციას, რადგანაც რევოლუციის მოკვლა არც ეგრე ადვილია, მაგრამ ჩვენი საქმე არაა მსხვილი ბურჟუაზიის თვითმპყრობელობის დამყარება, მაშინ, **როცა** ცხოვრება ხალხის თვითმპყრობელობისაკენ მიგვერეკება, ჩვენი საქმე არ არის მხარი დაუჭიროთ კადეტების **ანტირევოლუციონურ** მოთხოვნას მაშინ, როცა არსებობს ცხოვრებაში გლეხთა **რევოლუციონური** მოთხოვნა შესახებ დამფუძნებელი კრებისა".

ჩვენში რევოლუცია რომ არ იყვეს, მაშინ მხარს დავუჭერდით კადეტების მოთხოვნას, რადგანაც კადეტების სამინისტრო რამდენიმეთ მაინც ემჯობინება გორემიკინის სამინისტროს. „მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენში რევოლუცია ღვივის, ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით, და ამიტომ ჩვენი ვალია, **მხოლოდ** იმათ დავუჭიროთ მხარი, ვინც რევოლუციის მომხრენი არიან".

რევოლუციის მომხრე გლეხებია და არა კადეტები, რომელნიც თანახმანი არიან შეურიგდნენ რეაქციას. „მაგრამ არავითარ სურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილს არ აცხადებენ რევოლიუციასთან შერიგებაზე“.

„ასეთია პოზიცია ამხ. მეუმრავლესეებისა“ სულ სხვანაირათ ლაპარაკობენ „მეუმცირესეთა ბიუროს წევრები“. მათი აზრით, „ძველი წეს-წყობილების ძირიანათ აღმოფხვრასა და დანგრევაში. დაინტერესებულია მხოლოდ პროლეტარები და ნახევრათ პროლეტარები. ბურჟუაზიულ კლასებს კი მათი ბატონობის შერჩენის ინსტიქტი უბნება ორჭოფ პოლიტიკას დაადგნენ და შეურიგდნენ ძველი წეს-წყობილების წარმომადგენელს მონარქს“ (იხ. „ლამპარი“ № 50).

ავტორი არკვევს ამ შეხედულებას, არ მიაჩნია იგი სწორად და აცნობს, რომ „რევოლიუციას ორი უმთავრესი ძალა ჰყავს: პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხკაცობა. ბიუროს წევრებს არა სწამთ ეს სიმართლე, მათ არ სწამთ, რომ რევოლიუციონური გლეხობა უდიდესი ბურჯია დღევანდელი რევოლიუციისა, ისინი ერთმანეთში ურევენ ყველა ბურჟუაზიულ ელემენტებს და ვერ არჩევენ, რომ მებრძოლი გლეხკაცობა დღევანდელ ბრძოლაში საძირკვლიანად გაირჩევა მსხვილი და საშუალო ბურჟუაზიისაგან.

ცხოვრება ამბობს, რომ პროლეტარიატი განმარტოებული არაა, მას გვერდში უდგია მებრძოლი გლეხობა“.

ბიუროს წევრებს ეს არ სწამთ. „ვინ არის მართალი. დეე სი მკითხველმა გაარჩიოს“.

მე-. ნომერში მეთაურის ავტორი (გ. ქ.) უბრუნდება იმავე კარდინალურ საკითხს („როგორ უნდა დავუჭიროთ მხარი ლიბერალურ ბურჟუაზიას?“). ავტორი აღნიშნავს, რომ, გაზეთების ცნობით, „პეტერბურგის პროლეტარიატში დამარცხდა ის ტაქტიკა, რომელსაც მემარცხენენი ადგიან ოპოზიციური ბურჟუაზიის მხარის დაჭერის შესახებ. დამარცხდა ის აგრეთვე მოსკოვში, პოლონეთში, ლიტვაში და ჩრდილოეთ-რუსეთის თითქმის ყველა პარტიულ ორგანიზაციაში. მაგრამ მეუმცირესენი ცდილობენ ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუცია თბილისში მაინც გაატარონ“. სწორედ ამიტომ ავტორი ერთხელ კიდევ ადარებს ერთმანეთს „ორ შეხედულებას ამ კითხვაზე, რომელიც ამ ბოლო დროს დაუპირდაპირდა ერთი მეორეს ჩვენს პარტიაში“.

შემდეგ ავტორი ახასიათებს კადეტებს და მათს ტაქტიკას, მისი აზრით კადეტური სამინისტრო ვერ შესძლებს რევოლიუციონური ხალხის დაკმაყოფილებას.

შეგნებული პროლეტარიატი თავს იყრის არა სათათბიროს ბურჟუაზიული ლოზუნგების გარშემო, არამედ ქუჩაში თავისი რევოლიუციონური ლოზუნგების და წითელი დროშის ქვეშ“.

მე-10 ნომერში მეთაურის ავტორი „ჯანბეზარი“ ეხება „უმუშევრობასა და რევოლიუციას“.

„დიდებულ მისწრაფებას ხალხისას, მის თავდავიწყებულ ბრძოლას მტარვალებთან, თან სდევს აუტანელი ტკივილები“ ერთის მხრით რევოლიუციის მშფოთვარე ტალღები, მეორეს მხრით ღრმა ეკონომიური კრიზისი და უმუშევრობა. და სწორედ „უმუშევარი, მშიერი, უბინაო უმამაცესი მატარებელი შეიქნა წმინდა განმათავისუფლებელი დროშისა“. ავტორი ახასიათებს უმუშევრის მძიმე პირობებს. უმუშევარს ყველა სხვა ჯგუფებზე მეტი სიმძიმე აწევს კისერზე. „მან ყველაზე ადრე და ყველაზე მწარედ უნდა იწვნიოს საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური ჩარხის მოშლა“. „ამიტომ უმუშევარი ეს პირველ ყოვლისა არსებულ წესწყობილებისადმი სიძულვილის განხორციელებაა. და დღევანდელი მოძრაობა უმუშევართა იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ეს ინსტიქტიური სიძულვილი შეგნებულ ფორმაში ჩამოყალიბდა: დღევანდელ პოლიტიკო-ეკონომიურ კრიზისის მიზეზებთან ბრძოლის ფორმაში. უკანასკნელი საბოლოო მიზეზი დღევანდელი კრიზისის და, მაშასადამე, დღევანდელი უმუშევრობის, არის თვითმპყრობელობა და მისი ურცხვი მტაცებლობის პოლიტიკა, რომელსაც ის საუკუნეთა განმავლობაში ატარებდა. მართალია ის, რომ კრიზისი და უმუშევრობა კაპიტალისტური წესწყობილების აუცილებელი თანამგზავრია, მაშასადამე, ის აუცილებელ სტუმარია ისეთ ქვეყნებშიაც, სადაც თვითმპყრობელობა აღარ არსებობს, მაგრამ, როგორც ეხლავე ავხსნით, რუსეთის კრიზისი რუსეთის საკუთარი პირობების ღვიძლი შვილია“.

ავტორი ახასიათებს გლეხობის მდგომარეობას, მის გაღატაკებას, იმ გლეხობისა, რომელსაც მთავრობამ „ყოველივე ადამიანური მოთხოვნილებები გაუქრო“. „გაიაფებული შრომა და შევიწროებული ბაზარი კრიზისს ამწვავებდა და უმუშევართა რაზმს ზრდიდა და ხაზინა ცდილობდა ამ გაჭირვებაში კაპიტალისტებს დახმარებოდა“. მათ „ზაკაზებს“ ურიგებდენ. „აზიზათ“ გაზრდილმა კაპიტალმა, რა თქმა უნდა, ვერ აიტანა ის თანასწორობის დარღვევა, რომელიც გამოიწვია მასში ჯერ იაპონიასთან ომმა და მერე სამოქალაქო ომმა რუსეთის ხალხთან. თავისთავათ კრიზისი უნდა გამწვავებულიყო“.

კრიზისს ამწვავებდა ის ყალბი აქციონერული საზოგადოებები, სადაც მთავრობა სცდილობდა „ხელი მოენაცვლებინა“ თავის აგენტების საშუალებით. მთავრობის მახეში ბევრი „ლიფსიტა“ და ხანდისხან მსხვილი კაპიტალისტები ებმებოდნენ.

ამასთან კრიზისის გამწვავებას ხელს უწყობდა ურიებისა და ინტელიგენციის დევნა, სომეხ-თათართა ხოცვა-ულეტა ამიერ-კავკასიაში, დამსჯელ რაზმების ენერგიული „მოღვაწეობა“. ყველა ეს გარემოებები ჩვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაძლევენ დაახლოვებით სურათს უმუშევრობის მიზეზებზე.

„შეგნებული ბრძოლა ზემოთ დასახელებულ მოვლენებთან ნიშნავს თვითმპყრობელობის მთელ საძირკველთან ბრძოლას“. უმუშევრობის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავრობა არ ერიდება არა საიმედო პირების ათი ათასობით დათხოვნას სახაზინო სახელოსნოებიდან და სხვა დაწესებულებებიდან, უსაქმოთ დარჩენილების ეტაპით გაგზავნას დამშეულ სოფლებში, კრებების აკრძალვას. „ამავე პოზიციას უტრიალებს, თუმცა მდალად და ქურდულად, ბურჟუაზიაც... უმუშევართა მოძრაობა მას პირდაპირ ჯიბეს აქრის“... „თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიას შორის აქ პირდაპირი კავშირი არსებობს“.

„შრომის უფლების“ ლოზუნგმა დიდი როლი ითამაშა: მან ადგილიდან დასძრა უთველებელი მასსა, შეაკავშირა ის. „მაგრამ საჭირო არ არის მარტო ამ ლოზუნგებზე ვიყოთ შეჩერებული ვიდრე მას ძალა არ დაუკარგავს, საჭიროა **საერთო პროლეტარული ფართო ორგანიზაციის შექმნა**“.

ავტორი აყენებს უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოს შექმნის საჭიროებას. ეს საბჭო „იქნება ცენტრი, რომელსაც ზედ მიაშენდება მრავალი ფართო მასიური ორგანიზაციები და ამნაირად შესაძლებელი იქნება შეთანხმებული ნაბიჯით მტრისაკენ წინსვლა. მაშინ „შრომის უფლებას“ ლოზუნგიდან პროლეტარიატი სახელს გარდა რამე სახრავსაც გამოიტანს. მაშინ პროლეტარიატი, როგორც მწყობრათ დარაზმული და მომქმედი ძალა, ღირსეულად იკისრებს რევოლიუციის წინამძღოლობას, და რევოლიუცია გამარჯვებით დაგვირგვინდება“.

„ახალი ცხოვრების“ № 11-ში, მეთაურ წერილში—„პროლეტარიატის მეთაურობა დღევანდელ რევოლიუციაში“,—ამხ. კობა (ი. სტალინი) ეხება უმნიშვნელოვანეს საკითხს პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ რევოლიუციაში.

ავტორი აღნიშნავს, რომ „რევოლიუცია არ ჩამქრალა, ის დღითი დღე ღვივდება და უმაღლესი წერტილისაკენ მიექანება“. „სოციალ-დემოკრატების მოვალეობაა ხელი შეუწყონ რევოლიუციის გაძლიერებას, ბოლომდე მიიყვანონ ის და ხალხის თვითმპყრობელობით დააგვირგვინონ“. რევოლიუციის ბოლომდე მიყვანა—ეს ს.-დ. პროგრამა მინიმუმია.

„მაგრამ როგორ უნდა შევუწყოთ ხელი რევოლიუციის ბოლომდე მიყვანას და **რა არის ამისათვის საჭირო**—აი რაშია კითხვა.

ჩვენ რევოლიუცია ძალიან მოგვაგონებს საფრანგეთის დიდ რევოლიუციას—მაგრამ ის ისევე ბურჟუაზიულია როგორც საფრანგეთის რევოლიუცია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მათ შორის განსხვავებაც დიდია“. საფრანგეთის რევოლიუციის დროს „პროლეტარიატი უსუსური იყო, მას არავითარი საკუთარი პარტია არ ჰქონდა და იძულებული იყო ბურჟუაზიას გაჰყოლოდა კუდში. ამიტომ არის, რომ პროლეტ. იბრძოდა, და ბურჟუაზია კი უფლებას იძენდა“.

„სულ სხვა სურათს წარმოადგენს დღევანდელი რუსეთი“. „აქ მსხვილი ბურჟუაზია და პროლეტარიატი ერთ-ერთის წინააღმდეგ ირაზმებიან. აქ კლასთა განხეთქილება უმაღლეს წერტილამდე მიდის. ამიტომ არის, რომ პროლეტარიატი აქ ისე უსუსური არაა, როგორც ის საფრანგეთში იყო, ამიტომ არის, რომ მას თავისი საკუთარი პარტია აქვს, საკუთარი პროგრამით და ტაქტიკური პრინციპებით“.

პროლეტარიატი არ სჯერდება ბურჟუაზიის მაჩანჩალობას. „პირიქით, ჩვენ ვხედავთ, რომ პროლეტარიატი შეუჩერებლივ მიილტვის რევოლიუციის მეთაურობისაკენ“.

სოფლისა და ქალაქის რევოლიუციონური ელემენტები პროლეტარიატს ჰბაძავენ ყველაფერში. პროლეტარიატი იდეური და პრაქტიკული ცენტრია, საიდანაც სესხულობენ ლოზუნგებს და რომლის გარშემო იკრიბებიან სოფლისა და ქალაქის რევოლიუციონური ელემენტები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს რუსეთის რევოლიუციას პროლეტარიატი მეთაურობს და მისი საბოლოო გამარჯვება შესაძლებელია მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ მის მეთაურათ მომავალშიაც პროლეტარიატი გამოვა“.

„**პროლეტარიატის მეთაურობა დღევანდელ რევოლიუციაში**—აი რა არის საჭირო რევოლიუციის ბოლომდე მისაყვანად და ხალხის თვითმპყრობელობის დასამყარებლათ. აი რა ნიადაგზე უნდა შენდებოდეს ჩვენი პარტიის დღევანდელი მოქმედება“.

„რუსეთში პროლეტარიატმა უნდა გამოიყენოს ბურჟუაზიული რევოლიუცია და შემდეგ შორაც გადასტყორცნოს იგი ისტორიული წარსულისაკენ, რომ საკუთარ ფეხზე დადგეს და თამამათ გასწიოს სოციალიზმისაკენ“.

მეთაურის ბოლოში ავტორი ეხება მარტინოვის შეხედულებას: „პროლეტარიატის მეთაურობა მავნებელი ფანტაზიაა.... პროლეტარიატი უკიდურეს დემოკრატიულ ოპოზიციას უნდა გაჰყვეს უკანო“ (წერილის სათაურია Две диктатуры“). ავტორი მკითხველს ანდობს—გაარჩიოს, რომელია სწორი შეხედულება.

მე-12 ნომრის მეთაურიც („პროფესიონალური კავშირები თბილისში) ამხ. კობას ეკუთვნის (მეთაურის წინ პირველ გვერდზე მოთავსებულია განცხადება კავშირების ცენტრალური კომისიის“ დაარსების შესახებ).

დაჰკრა თავისუფლების სიომ და წამოიშალა მასსა, გუშინ კუთხეებში მიმალული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უორგანიზაციოთ დარჩენილი მასსა, დღეს სინათლეზე გამოვიდა და თავისი ორგანიზაცია, მასიური ორგანიზაცია მოითხოვა. მას არ აკმაყოფილებს და ვერც დააკმაყოფილებს ძველი და ვიწრო კონსპირატიული ორგანიზცია—იქ სუნთქვა სჭირს მასსას ფართე და ფესვგამდგარი ორგანიზაცია უნდა. და აი... „ყველა კავშირებზე ლაპარაკობს, ყველას კავშირები უნდა“...

და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ფაბრიკანტები კაი ხანია კავშირებათ ეწყობიან“. თბილისშიაც დაარსდა ფაბრიკანტების „სინდიკატი“. ბურჟუაზიული კავშირების მიზანია ბურჟუაზიის გამაგრება. პროლეტარიატმა ასეთ კავშირებს თავისი კავშირები უდა დაუპირისპიროს. ტყუილად კი არ ამბობდა მარქსი: ბურჟუაზიის კავშირს მხოლოთ მუშათა კავშირი შეარყევსო“.

მუშებმა იციან ეს და უკვე აწყობენ თავიანთ კავშირებს. მაგრამ ისმის კითხვა: „რა ხასიათისა უნდა იყოს პროფესიონალური კავშირები: პარტიული თუ არაპარტიული“.

ავტორი ეხება ზოგიერთების (მაგ., დაშნაკცაკანების) აზრს იმის შესახებ, რომ კავშირები პარტიულები უნდა იყოსო, და საფუძვლიანათ უარჰყოფს ამ შეხედულებას იმ მოსაზრებით, რომ პარტიულ კავშირებში, მუშები დაქუცმაცდებიან „ცალკე ჯგუფებად დაწვრილმანდებიან“; ცალკე კავშირები ექნებოდა ფედერალისტებს, დაშნაკცაკანებს, ქართველებს, სომხებს და სხვ. ფაბრიკანტები კი ყველა ერთ კავშირში ერთდებიან, ამასთან არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ: „პარტიული პროფესიონალური კავშირები ორმოსა სთხრიან შეგნებულსა და შეუგნებელ მუშებს შორის. ყველამ იცის, რომ არიან ისეთი მუშები? „საჭირო არაა ერთ პარტიას არ ეკუთვნიან“. სადღა წავიდნენ ეს უპარტიო მუშები? „საჭირო არაა მათი მომხრობა?“ ამიტომ არის საჭირო არაპარტიული პროფესიონალური კავშირები.

„მაშ თქვენ სრულიად ნეიტრალური კავშირები გდომებიათ? მაშ თქვენ იმისი მომხრე ყოფილხართ, რომ კავშირები სრულიად დამოუკიდებელი იყვეს პოლიტიკისაგან! გვიკიჟინებენ ზოგიერთები. ხუმარები! მათ არ სცოდნიათ, რომ საქმე კავშირის წესდებაში არაა, მათ არ სცოდნიათ, რომ რაც უნდა ნეიტრალური წესდება დასწეროთ, თვითონ კავშირი მაინც ვერ დარჩება მთლად ნეიტრალურად, მათ არ სცოდნიათ, რომ დღევანდელ რევოლიუციონურ ატმოსფეროში „ქვებიც კი პოლიტიკაზე ლაპარაკობენ“. არა, ბატონებო! ჩვენ არ ვემხრობით, არც მივემხრობით სრულიად ნეიტრალურ კავშირებს,—ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ არ ვარგა, გონიერი არაა კავშირში შესვლის მიუცილებელ პირობათ დავსახოთ პარტიული რწმენები,—ამით ჩვენ მხოლოდ დავაფრთხობთ არაპარტიულ მუშებს, ჩვენ ვამბობთ: ფართოთ გააღეთ კავშირის კარები, ერთად მოუყარეთ თავი ყველა მუშას და შემდეგ თვითონ ცხოვრება და ჩვენი გავლენა შეადუღებს მათ ერთ და განუყოფელ კავშირათ. არაპარტიული პროფესიონალური კავშირები—აი რა გვინდა ჩვენ“.

მე–12 ნომერში მოთავსებულია რუსული „ეხო“–დან (№ 6) გადმოთარგმნილი წერილი: „რა აზრის არიან გერმანელი ამხანაგები ჩვენს უთანხმოებაზე“. წერილი ეხება „ფორვერტსის“ მოწინავეს, რომელშიაც ნათქვამია: „ორივე ჩვენ მიერ მოხსენებული შეხედულება (იგულისხმება ბოლშევიკური და მენშევიკური) ერთნაირად მართალიც არის და არც არის მრთალი. ორივე შეხედულება იმაში შემცდარი, რომ ისინი თავის ტაქტიკას აშენებენ რევოლიუციის განვითარების **ერთ** (კურსივი „ფორვერტს“–ისაა) შესაძლებლობაზე: „უმრავლესობა“ დუმისაგან დამოუკიდებელ სახალხო აჯანყებაზე, „უმცირესობა“—დუმის გარევოლიუციონერებაზე. ნამდვილათ კი რუსეთის მეტისმეტად ჩახლართულ პოლიტიკურ მდგომარეობაში ისეთი ელემენტები მოიპოვება, რომლებსაც, გარემოებების მიხედვით, შეუძლიათ ერთნაირად ან მეორენაირათ გადაწყვიტონ კრიზისი. ამიტომ, შესაფერი ტაქტიკის შემუშავების დროს **ორივე** (კურსივი „ფორვერტს“-ისაა) უნდა იქნას სახეში მიღებული“.

გაზეთი აღნიშნავს: ის, ვინც ამბობს, რომ პარტიის ტაქტიკა ერთნაირად მართალიც არის და არც არის მართალი, იმიტომ, რომ ის ერთ შესაძლებლობაზეა აშენებული, ის არსებითად არაფერს არ ამბობსო.

„ამნაირად,—განაგრძობს „ეხო“-ში მოთავსებული წერილის ავტორი ვ. კალინინი,—რომელიმე პარტიის ტაქტიკა შემცდარათ არ ჩაითვლება მარტო იმიტომ, რომ ის აშენებულია საზოგადოებრივი განვითარების ერთნაირ შესაძლებლობაზე. თუ გვინდა გამოვიცნოთ, რამდენათ სწორია პარტიის ტაქტიკა, უნდა მეცნიერულათ განვიხილოთ რამდენათ შესაძლებელია ობიექტიური ისტორიული პირობების მიხედვით ის შესაძლებლობა, რომელზედაც პარტია ეყრდნობა. „უმცირესობის“ ტაქტიკური შეცდომები, რომლებზედაც „ფორვერტს“–ი უთითებს, იმით აიხსნება, რომ იგი სწორედ ვერ აფასებს ამ ისტორიულ პირობებს“.

„ფორვერტს“-ი მაინც იმ დასკვნას ადგება, რომ „უმრავლესობის“ ტაქტიკა უფრო სწორია. „მაინც არის ნიშნები,—დაასკვნის გაზეთი,—რომლებიც გვეუბნება, რომ „უმრავლესობის“ ტაქტიკა, მიუხედავად შეცდომისა, იქნება უფრო სწორი იყოს. აღელვება და უწესოებანი, რომლებიც მთელ ქვეყანას ედება, იმას მოწმობენ, რომ რევოლიუციონური სული კვლავ მაღლა იწევს—დუმა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავითარ ზომებს არ იღებს, რომ რევოლიუციონურ გზაზე დადგეს; პირიქით, ის სულ უფრო ეფლობა „კანონიერების" „პარლამენტარული" მოქმედების ჭაობში... თუ დუმამ საბოლოოდ დაკარგა ნდობა,... ერთბაშად გადმოხეთქილი ქარტეხილი დუმით აღარ ისარგებლებს, როგორც იარაღით, არამედ არ მიაქცევს მას ყურადღებას, აუვლის მას გვერდს და წავა თავისი საკუთარი გზით".

მე-13 ნომერში მეთაურად მოთავსებულია გ. ქ-ის წერილი „ჩვენი „ბლანკისტური" ტაქტიკა". წერილი ეხება ამხ. პარის წერილს, რომელიც მოთავსებული იყო გაზეთ „სიმართლე"-ში. პარი ულმობლად ანადგურებს ჩვენს ვითომდა ბლანკისტურ ტაქტიკას, თავის თავს ტკბილ ოცნებების აკვანში არწევს და ოქროსფერ სიზმრებს ეცემა: „ცხოვრებამ ბოიკოტის ტაქტიკა უარჰყო და მით ბლანკიზმის (ე. ი. უმრავლესობის) სრული განადგურება მოგვიახლოვა"-ო.

ამის შემდეგ ავტორი არკვევს ბლანკიზმის შინაარსს: „ბლანკი ამცირებდა ფართო მასების რევოლიუციონური შეგნების მნიშვნელობას. მას ეგონა, რომ საკმაოა გმირ რევოლიუციონერების პატარა ჯგუფმა წინასწარ გაიფიქროს, გონებში გააკეთოს რევოლიუციონური პროცესი, შემდეგ შეკავშირდეს ფარულ ორგანიზაციაში და დაექვემდებაროს „კრიტიკულად მოაზროვნე" დიქტატორს და რევოლიუციაც ადვილი მოსახდენია".

ავტორი აღნიშნავს ბლანკიზმის სხვა დამახასიათებელ გარემოებებს და კითხულობს: „რაში მდგომარეობს ჩვენი ტაქტიკა და რა ცოდვებს გვაწერენ ამხ. მეუმცირესენი? „პარის აზრით, მეუმრავლესეების ერთი დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უპირველეს ყურადღებას შეიარაღებულ აჯანყების მომზადებას აქცევენ და სოც-დემოკრატიული პარტიის უმთავრეს ვალს—ხალხის ფართო მასაში შეგნების შეტანას სრულებით ამცირებენ". გ. ქ. აღნიშნავს, რომ ეს ასე არ არის, რომ ეს სრული გაუგებრობაა, რომელიც, ცხადია, საბუთათ არ გამოდგება.

„მეუმრავლესეები ამბობენ: პროლეტარიატის პოლიტიკურათ აღზრდა, ჩამორჩენილ მასაში კლასობრივი შეგნების შეტანა ფართო მასიური ორგანიზაციების შექმნა—სოციალ-დემოკრატიის უპირველესი და უწმინდესი მოვალეობაა ყოველგან და ყოველთვის... ის ცდილობს ფსიხოლოგიური რევოლიუცია მოახდინოს მასსის შეგნებაში და ამით სოციალურ რევოლიუციას ნიადაგი მოუმზადოს. აი მოვიდა რევოლიუციური ხანაც. იცვლება თუ არა აქ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი მოვალეობა?

მეუმრავლესენი ამბობენ, რომ რევოლიუციის დროს მუშათა კლასის პოლიტიკური აღზრდის და ორგანიზაციის ცენტრი პროფესიონალური კავშირებისა და ლეგალური საზოგადოებისაკენ კი არა—რევოლიუციონური არმიაში, შეიარაღებულ აჯანყებასა და დროებით მთავრობისკენ უნდა გადავიტანოთ. ამგვარათ უმთავრესი მოვალეობა—უმთავრეს მოვალეობათ რჩება, ხოლო მისი ცენტრი დროებით ადგილს იცვლის. რევოლიუციის დროს პროლეტარული მებრძოლი არმიის შედგენა და შეიარაღებული აჯანყება უფრო აღრმავებს კლასიურ შეგნებას, ვიდრე პროფესიონალური კავშირები და ლეგალური ბრძოლა. ივნისის აჯანყებამ პარიზში ბევრათ უფრო გააღრმავა პროლეტარიატის კლასობრივი შეგნება, ბევრათ უფრო მოამწიფა ის პოლიტიკურათ, ვიდრე შეეძლო რამდენიმე წლის ლეგალურ ბრძოლას; 9 იანვრის სისხლის ღვრამ ბევრათ უფრო ადრე გამოარკვია პეტერბურგის პროლეტარიატი სალათას ძილიდან, ვიდრე ამას მშვიდობიანი პროპაგანდა იზამდა; მოსკოვის აჯანყებამ ბევრათ უფრო წინ წასწია რევოლიუციური შეგნება ვიდრე მოსკოვის პროლეტარიატის მონაწილეობამ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში.

რევოლიუციის ხანაში პროლეტარიატის შეიარაღებულ აჯანყებისათვის მომზადება სოციალ-დემოკრატიის დიდი ვალია, რომელიც არა თუ არ ეწინააღმდეგება პოლიტიკური აღზრდის საქმეს, პირიქით, მხარს უჭერს მას. ვინც ამას ივიწყებს, ის ძალაუნებურად პროლეტარიატის მნიშვნელობას ამცირებს და მას რადიკალური ბურჟუაზიის მოჩანჩალეთ ხდის. შეიარაღებული აჯანყება მაინც მოვა და თუ მას სოციალისტური პროლეტარიატი მოუმზადებელი დახვდა, მებრძოლი რადიკალიზმი ისარგებლებს პროლეტარიატის რევოლიუციონური ენერგიით შავი სამუშაოს გასაკეთებლად".

ამავე ნომერში მოთავსებულია „ეხო"-დანვე (№ 6) გადმობეჭდილი ფელეტონი „კადეტების მაჩანჩალები". ფელეტონი ეხება საკითხს პასუხისმგებელი სამინისტროს შესახებ, ახასიათებს კადეტების რეაქციონურ პოლიტიკას მათ მუხანათურ ტაქტიკას.

„დაიხსომეთ ეს მაჩანჩალებო... კადეტების მუხანათურ ტაქტიკასთან საბრძოლველად მათ კილოზე აჭიკჭიკება კი არ არის საჭირო, არამედ სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ე. ი. პროლეტარიატის და გლეხობის გაფრთხილება, რომ მათ კადეტებს ნდობის თვალით ცქერა არ დაუწყონ და კადეტების ლოზუნგი არ გაიმეორონ. თქვენი ტაქტიკით კი თქვენ აფერხებთ მუშათა კლასს და რევოლიუციონური გლეხობის დამოუკიდებელ ბრძოლას".

გაზეთის მე-14 ნომერში მოთავსებულია ამხ. კობას (სტალინის) მეთაური: „ჩვენი უთანხმოება" 1 ქუჩა და სათათბირო" ამხ. კობა ეხება გაზეთ „ლამპარ"-ში (№ 44) და „სიმართლე"-ში (№ 1) მოთავსებულ წე-

რილებს (პარისა და პ-ს ხელმოწერით). ამ წერილებში ავტორი ხედავს განხეთქილების სასარგებლო აგიტაციას და იწვევს ამხანაგებს—თავი გაიმართლონ: „ჩვენ ვამბობთ, რომ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის არავითარი **განხეთქილება** არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს.—მათ შორის მხოლოდ **უთანხმოებაა**: ჩვენ ვამბობთ, რომ როგორც ბოლშევიკები, ისე მენშევიკები—ორივე მარქსისტულ პოზიციაზე დგანან, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხვადასხვანაირად აფასებენ დღევანდელ მომენტს და ამიტომ სხვადასხვა ნაირი დასკვნა გამოჰყავთ ერთი და იგივე მარქსისტული პოზიციიდან; ჩვენ ხმამაღლა ვგმობთ განხეთქილებას, ჩვენ მოღალატეთ ვთვლით განხეთქილების მომხრეებს. ჩვენ ენერგიულად მოუწოდებთ ამხანაგებს პარტიული მთლიანობისაკენ და ამავე დროს ენერგიულათვე ვურჩევთ ნურც ერთ წამს ნუ შეაჩერებენ ურთიერთულ იდეურ კრიტიკას: ჩვენ გვწამს, რომ „აზრთა შეჯახება სიმართლეს გამოარკვევს“.

ამის შემდეგ ისმება საკითხი: რაში შესდგება ჩვენი უთანხმოება?

„ხანდისხან შორიდან უფრო ადვილი დასანახია სიმართლე“. ამხ. კობას მოჰყავს „ფორვერტს“-ში დაბეჭდილი ზემოხსენებული წერილის მთავარი აზრი და დასკვნა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი გერმანელი ამხანაგები სწორედ ახასიათებენ ჩვენს უთანხმოებას. ასევე უყურებს ამ კითხვას ბოლშევიკებისა და მენშევიკების მეტი ნაწილი (იხ. სიეზდის ბოლშევიკურ რეზოლიუციები). საერთოდ ასევე ესმის ჩვენი უთანხმოება ამხ. ბრადიაგასაც“. მაგრამ ამ უკანასკნელს ჰგონია „ძალიან მარტივათ წარმოუდგენია“. მან ჰგონია „მარტო შეიარაღებულ აჯანყებათ მიიღო, ბოლშევიკების აზრით კი, ჰგონია—ეს მასის რევოლიუციონური მოქმედებაა რომელიც ხან მიტინგებში გამოიხატება, ხან გაფიცვებში, ხან მანიფესტაციასა და დემონსტრაციაში და ხან კიდევ აჯანყებაში“.

ბოლშევიკების აზრით, რევოლიუციის ბედის გადამწყვეტი ჰგონია თვითონ მასსა და არა სათათბიროს ორატორები“. „ჩვენ ვამბობთ, რომ სათათბიროს მასსა უდგამს სულს და არა სათათბირო მასას. რის გამოც ჩვენის აზრით, ბრძოლის **მთავარი** ასპარეზი **დღევანდელ მომენტში** ჰგონია და არა სათათბირო. ბრძოლის **მთავარი** ფორმა **დღევანდელ მომენტში** მასის პირდაპირი ბრძოლაა, და არა მისი წარმომადგენლების. მისი „ამირების“ მოღვაწეობა. ამიტომ არის, რომ ისე არაფერი არ აზარებს ბოლშევიკებს, როგორც მასსის რევოლიუციონური მოქმედება—სულ ერთია—მიტინგისა და გაფიცვის ფორმა ექნება ამ მოქმედებას, თუ დემონსტრაციისა და შეიარაღებული აჯანყების... სულ სხვანაირად უყურებენ საქმეს ამხ. მენშევიკები. ისინი მეტის მეტად აზვიადებენ სათათბიროს მნიშვნელობას. ისინი უნდობლობით უყურებენ მასსის პირდაპირ მოქმედებას“...

ამაში უთანხმოებაა. ამხ. კობა აღნიშნავს, რომ პარსა და პ-ს არ ესმით, რა არის ბლანკიზმი. მათ ერთმანეთში აურევიათ შავი და თეთრი: „ვუსურვოთ, რომ მეორეთ აღარ დაემართოთ ეს „საჯაყი“ საქმე“.

ფელეტონი, რომელიც მოთავსებულია ამავე ნომერში, ეხება იმავე ფრაქციულ საკითხებს. აქ მოყვანილია კ. პ-ოვის წერილი „ეხო“-ს რედაქციის მიმართ. „ახალი ცხოვრების“ რედაქცია შემდეგ შესავალს უკეთებს ხსენებულ წერილს: „ჩვენ ამას წინათ ვსწერდით, რომ თითონ მენშევიკებშიაც არაა სრული ერთსულობა, მათშიაც არსებობენ მემარცხენენი და მემარჯვენენი და მაგალითებად მოგვყავდა მენშევიკური რაიონები, სევასტოპოლი და ხარკოვი, რომლებიც მხარს არ უჭერენ კადეტების მოთხოვნას. დრო მიდის და ამისთანა მაგალითები თანდათან ხშირდება (მოიგონეთ სარატოვის მუშების რეზოლიუცია, რომლებიც მხარს არ [illegible]ერენ მენშევიკების ტაქტიკას და სხვ.). ცხადია, მენშევიზმი ერთგვარ ცვლილებას განიცდის. ცხადია, მენშევიკების ერთი ნაწილი თანდათან ერკვევა ოპორტუნიზმისაგან და ბოლშევიკებს ემხრობა, მაშინ როდესაც მეორე ნაწილი უფრო და უფრო იფლობა ოპორტუნიზმის ჭაობში. ძალიან საინტერესო იქნებოდა გაგვეგო, თუ რანაირად ხდება ეს პროცესი, სწორედ ამ პროცესის დასასურათებლად მოგვყავს ეს წერილი“-ო. „ეხო“-ს № 8-ში დაბეჭდილი წერილი, („ოპორტუნიზმის თავქვეზე“-ს სათაურით) მის ავტორს ჯერ „გოლოს ტრუდა“-ს რედაქციისათვის გაუგზავნია. მაგრამ იქ არ დაუბეჭდიათ. ავტორი ეხება რახმეტოვის სტატიას, რომელიც დაიბეჭდა „გოლოს ტრუდა“-ს № 2 3-ში ამ სათაურით: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური ამოცანების კითხვის გამო“. ამ წერილში რახმეტოვი ამტკიცებდა კადეტებთან პოლიტიკური კოალიციის საჭიროებას. კ. პ-ოვის აზრით, რახმეტოვმა საბოლოო დასკვნამდე მიიყვანა ის, რაზედაც ასე გულმოდგინეთ, დაწვრილებით ქადაგებდა ამხ. პლეხანოვი თავის „დნევნიკ“-ისა და „კურიერ“-ის ფურცლებზე“.

ავტორი აღნიშნავს რომ ნ. რახმეტოვი არ იცნობს ბოლშევიკების შეხედულებას და იმდენად გამსჭვალულია ფრაქციული სიძულვილით. რომ არც მიაჩნია საჭიროდ გაეცნოს ამ შეხედულებებს. „მხოლოდ არაკეთილსინდისიერ კაცს შეუძლია „სხვის აზრებს არ იცნობდეს და ამავე დროს კრიტიკას უშვრებოდეს მათ“.

დასასრულ ავტორი დაასკვნის: „ნ. რახმეტოვის თავგასულობა უდრის მის არა კეთილსინდისიერებას. ის ლანძღავს ამხ. ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინის ლიტერატურულ ნაწარმოებს, ეძახის მას „უკაცრავად პასუხია, ლიტერატურას და განაგრძობს: მაგრამ უნდა გამოვტყდეთ რომ ასეთი დაცემა (როგორც ბროშურაში Победа Кадетов и задачи рабочего класса) ძნელი მოსალოდნელი იყო ის თი კაცისაგანაც კი, რომელმაც „Две тактики“ და წერ . მშვენიერია! ა ხ. ლენინის დაცემაზე მასლაათობს რახმეტოვი, (რომელიც) ასეთ ლოზუნ ამდე დაეცა ძირი კრიტიკა, გაუმარჯოს კადეტებთან კოალიციას!

მე-16 ნომერში (1906 წ. 9 ივლისი) მეთაურად დაბეჭდილია ამხ .კობას წერილი „ჩვენი უთანხმოება, II. „რევოლიუცია და რეფორმა“. ეს წერილი გაგრძელებაა მე-14 ნომერში მოთავსებული მეთაურისა და შეეხება იმავე ფრაქციულ საკითხებს, ორი სხვა და სხვა ტაქტიკის შესახებ. ამათ ავტორი უწოდებს რევოლიუციის ტაქტიკას და რეაქციის ტაქტიკას.

„ის, ვინც სათათბიროს მნიშვნელობას აზვიადებს, ის, ვინც ნაკლები იმედებით უყურებს მასის, რევოლიუციონურ მოქმედებას.—ის დღეს თუ ხვალ უეჭველად უნდა დაადგეს წვრილ-წვრილ რეფორმების გზას, ის უეჭველად უნდა ცდილობდეს წვრილად რეფორმებით დაახშოს რევოლიუცია, ასე დაემართა, მაგ., ბერნშტეინს გერმანიაში და ჟორესს საფრანგეთში, ისინი ორივენი აზვიადებდნენ პარლამენტის მნიშვნელობას ისინი ამბობდნენ, რომ პარლამენტარული მოქმედება, ჩვენი დეპუტატების გამრავლება და წვრილწვრილი საპარლამენტო რეფორმები ეს ის იარაღია, რომლის შემწეობითაც ჩვენ თანდათან პოზიციას პოზიციაზე წავართმევთ დღევანდელ კაპიტალიზმს, ნელნელა დავაცალიერებთ მას და ისე შეუმჩნევლად მოვიყვანთ სოციალიზმს, რომ ვერც კი გავიგოთ,—სოციალისტური რევოლიუცია მეტი ბარგიაო. ასევე ემართებიან დღეს ამხ. მენშევიკებს. ამ მხრივ ძალიან დამახასიათებელია მათი შეხედულება კადეტების მხარის დაჭერაზე. კადეტები პასუხისმგებელ სამინისტროს ითხოვენ რეაქციისაგან. ისინი არ უარჰყოფენ რეაქციას. ისინი არ ცდილობენ მის ძირიანათ დანგრევას, ისინი მხოლოდ პაწია რეფორმას სთხოვენ დღევანდელ რეაქციას, მათ მხოლოდ რეაქციის ძველი მთავრობის შეპაჩინკება უნდათ. ამხ. მენშევიკები (ზოგიერთების გარდა) მხარს უჭერენ ამ მოთხოვნას, ისინი დღიურ ლოზუნგათ ისვამენ ამ მოთხოვნას და, მაშასადამე, თავის მოთხოვნათ აღიარებენ. რატომ იქცევიან ასე ამხ. მენშევიკები? იმიტომო, გვეუბნებიან ისინი, რომ კადეტების სამინისტრო „ძირაინად შლის თვითმპყრობელობას“ (იხ. „ლამპარი“ № 51), იმიტომ, რომ კადეტების სამინისტროს შედგენა „თვითმპყრობელობის კედლის გვერდის შენგრევააო“ (იხ. იქვე)... ამხ. მენშევიკებს ის ღა აკლიათ, რომ ბერნშტეინივით გადმოგვძახონ: რევოლიუცია და სხვა მაგისთანა „კატასტროფები“ მეტი ბარგიაო!

ბერნშტეინი და ჟორესიც ცდილობდნენ რეფორმებით კაპიტალიზმის დანგრევას. „ისინი წვრილ რეფორმებზე ახურდავებდნენ და მით აჩლუნგებდნენ კლასთა წინააღმდეგობას, თავისდაუნებურად აბნელებდნენ პროლეტარიატის კლასობრივ თვითშეგნებას,—ეს ძალიან კარგა დაამტკიცეს კაუცკიმ და ბებელმა გერმანიაში გედმა და ლაფარგმა საფრანგეთში. ამიტომ დაარქვეს მათ ოპორტუნისტები“.

რასაკვირველია, ოპორტუნისტები ვერ შეაჩერებენ რევოლიუციას, ესენი მხოლოდ ხელს უშლიან მის აჩქარებულ მოძრაობას. რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატებიც არ უარყოფენ რეფორმებს, მაგრამ „რეფორმასაც და რევოლიუციასაც თავთავიანთი დრო აქვთ“, „თავი და თავი იარაღი რევოლიუციაა და არა რეფორმა“.

მენშევიკების შეცდომას ამგვარათ ასწორებენ ბოლშევიკები:

„კადეტების სამინისტრო ვერ შლის და ვერც მოშლის იმ ბატონყმურ ნაშთებს და იმ კამარილას, რომლებიც თვითმპყრობელობას ასაზრდოებენ,—რაც სათათბირომ ვერ ქნა, იმას ვერც მისგან არჩეული სამინისტრო იზამს; პირიქით კადეტების სამინისტრო ერთნაირად სულს ჩაუდგამს დაუძლურებულ თვითმპყრობელობას, ერთგვარ ნელსაცხებელს მოუპოვებს პირსისხლიან რეაქციას და საშუალებას მისცემს, ერთხელ კიდევ იშოვოს მან საჭირო სესხი; ამავე დროს კადეტების სამინისტრო, რომელიც ერთგვარ შერიგებას ახდენს მსხვილ ბურჟუაზიასა და რეაქციას შორის, რომელიც ძველი მთავრობის ახალი „ვივესკა“-ა და მის სისხლიან სახეს ფარავს,—ეს სამინისტრო ხელს შეუშლის კლასთა წინააღმდეგობის გაალმასებას. და ჩვენი მხარის დაჭერა კი ამ ხელის შეშლის მონაწილეთ გაგვხდის, კონკრეტულად კი ზევრის არაფერს მოუმატებს დღევანდელ ვითარებას. ამიტომ ამგვარი მოთხოვნის მხარის დაჭერა ხელს შეუშლის მუშათა კლასიური შეგნების განვითარებას. აი, პრაქტიკულად, რა ფორმაში ჩამოყალიბდა ჩვენი უთანხმოება“.

მეორე წერილათ ამავე ნომერში მოთავსებულია ქრონიკა „სადღეისო კითხვების“ სათაურით თემაზე: „სათათბირო ლაყბობს, რევოლიუცია იზრდება“...

ფელეტონათ დაბეჭდილი ამხ. კობას წერილი „ანარქიზმი თუ სოციალიზმი“ (პირველი ნაწილი დაიბეჭდა „ახალი ცხოვრების“ მე-7 ნომერში).

1905 წელს ანარქისტებს გამოცოცხლება დაეტყოთ, მათი წარმომადგენლები ხშირად კითხულობდნენ ლექციებს, მონაწილეობდნენ დისპუტებში, გამოდიოდა მათი ჟურნალიც („ნობათი“). სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებში იბეჭდებოდა საპასუხო წერი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები, შენიშვნები, ფელეტონები (ცალკე დაიბეჭდა შემდეგში ნ. ჟორდანიას წიგნი ანარქიზმის შესახებ. ამხ. კობას ფელეტონებში საკითხი ანარქისტების დამოკიდებულების შესახებ სოციალიზმისადმი სავსებით გაშუქებულია.

9 ივლისს მთავრობამ სათათბირო დაითხოვა. „ახალი ცხოვრების“ № 17-ში (მეთაური ამხ. კობასი (სტალინის) „რეაქცია მძვინვარებს, მჭიდროდ შეერთდით!“) ჩვენ ამის შესახებ ვკითხულობთ: „9 ივლისს რეაქციამ სათათბირო დაითხოვა. ხალხს უფლებები უნდოდა, ის ნამდვილ პარლამენტს ითხოვდა, მაგრამ რეაქციამ იმედები გაფანტა და ცრუ პარლამენტიც კი წაართვა, ამით მან ქვეყანას ამცნო, რომ ვისაც უფლებები უნდა, ის ბრძოლისათვის უნდა ემზადებოდეს.

სათათბირომ გადასჭრა ხალხთან კავშირის აღდგენა, ის ერთგვარ მოწოდებას ადგენდა, სადაც ხალხს თავის ულონობას შესჩივლებდა და დახმარებას მოსთხოვდა,—აქ, რა თქმა უნდა საკვირველი არაფერია, მაგრამ რეაქციამ აღარ დაანება, მან 9 ივლისს მანიფესტით აქაც იმედები გაფანტა და მით ქვეყანას ამცნო, რომ ჯერ კიდევ სულდგმულობს ძველი და ბებერი თვითმპყრობელობა, ჯერ კიდევ არ შემოსულა ჩვენში პარლამენტარიული ცხოვრება.

მაგრამ რეაქციამ ეს არ იკმარა.

მუშების და გლეხების გაზეთები „ერთი დაკვრით“ დახურა. მათი თანამშრომლები ციხეში გაისტუმრა. მუშათა მოძრაობის ორ დიდ ცენტრს, მოსკოვს და პეტერბურგს, „გაძლიერებული დაცვის წესები“ უწყალობა, ხოლო გლეხთა მოძრაობის ცენტრს, კიევის გუბერნიის 12 მაზრას—„სამხედრო დროის წესები“.

ბრძოლა მუშებსა და გლეხებს! სისხლი მუშებსა და გლეხებს! აი რას ამბობს რეაქცია.

და რომ განზრახვის შესრულება თანდათვე გაიადვილოს, რომ ხალხის ხელში დაჰქონდა აქედანვე შესაძლებელი დარჩეს, რეაქცია ფაცი-ფუცით იზიდავს პეტერბურგისაკენ დრაგუნებსა და პულემიოტებს. ამავე დროს ხმები ვრცელდება, რომ ტრეპოვის მაშინა ამუშავდება და საერთო პოგრომები დაიწყებაო...

ცხადია, რეაქცია თავდასხმის გზას დაადგა,—ის დეკემბრის ისტორიას იმეორებს, მან უკვე მოასწრო კამარილას მოწყობა, მან გარშემო შემოიკრიბა ბნელი ძალები, მან „ცოტა რამ“ ფულიც იშოვა სულის მოსაბრუნებლად და აი, დღეს თავით ფეხამდე შეიარაღებული, გარეშე მტრისგან თავისუფალი, თავს ესხმება რევოლიუციას. მას უნდა პროვოკაციური ზომებით აალელვოს ხალხი, მას უნდა ნაადრევი გალაშქრება გამოიწვიოს, ხალხი მოუმზადებლად გამოიყვანოს ბრძოლის ველზე. და შემდეგ ხელები დაიბანოს ხალხის სისხლში, „სამარე გაუთხაროს“ ხალხის თავისუფლებას. რეაქციას უნდა „დეკემბრის დამარცხება“ დაუვალიწოს თავზე.

როგორ უნდა შევხვდოთ ამ გარემოებას, რა უნდა ვაკეთოთ ჩვენ?

ძალიან ამბობდა: როცა რეაქცია ტაშს უკრავს, რევოლიუციის ვალია პოზიციებზე გამაგრდეს და აუჩქარებლად ემზადოს —ის არასდროს არ უნდა ათამაშდეს რეაქციის დუდუკზეო.

რეაქცია თავს გვესხმება და ბრძოლაში გვიწვევს,—მაშასადამე, ჩვენი ვალია მჭიდროთ შევერთდეთ და დაუღალავათ ვამაგროთ ჩვენი ორგანიზაციები.

რეაქცია პროვოკაციის ქსელს აბამს,—მაშასადამე, ჩვენი ვალია არ ავჩქარდეთ, წინდახედულად ვიმოქმედოთ და გაძლიერებულად ვემზადოთ მომავალი ბრძოლისათვის, გადამჭრელი ბრძოლისათვის.

რეაქციამ სათათბირო დაითხოვა,—მაშასადამე, ჩვენი ვალია აღარ დავუჯეროდეთ მომავალში სათათბიროსთანა ცრუ პარლამენტს და უფრო თავგამოდებით ვიბრძოლოთ ნამდვილი პარლამენტისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკისთვის.

მუშებო! მჭიდროთ შემოიკრბით თქვენი ორგანიზაციების გარშემო და ემზადეთ, გაძლიერებულად ემზადეთ მომავალი ბრძოლისათვის.

გლეხებო! მჭიდროთ შემოიკრბით მუშების გარშემო და ემზადეთ, მუშებსავით ემზადეთ!

სიფხიზლე და წინდახედულობა, დაუღალავი მზადება მოფიქრებული ბრძოლა დემოკრატიული რესპუბლიკისთვის, სოციალიზმისთვის—აი რა გვინდა ჩვენ.

დეე რეაქციამ იცოდეს, რომ მუდამ მის დუდუკზე არ ითამაშებენ მუშები და გლეხები“.

შემდეგ ცალკეთ მოთავსებულია 9 ივლისის მანიფესტის სრული ტექსტი.

გაზეთის მე-18 ნომერში მოთავსებულია იმავე ამხ. კობას მეთაური „დაშლილი სათათბირო და შეკავშირებული ქუჩა“.

„მაშ ასე, სათათბირო დაითხოვეს. „ხალხის მოციქულებმა“ ვერ დაშალეს თვითმპყრობელობა. თვითმპყრობელობამ ერთის დაკვრით დაშალა სათათბირო. ცრუ იმედები იფანტება. ირკვევა, რომ ხალხის ხსნა ხალხისავე ხელში ყოფილა; ირკვევა, რომ ძველი წესების დასამარება ქუჩამ უნდა მოახდინოს; „სადაო საკითხის“ გადაჭრა ისევ ქუჩას მიენდო... ქუჩას კი ვერ დაითხოვს თვითმპყრობელობა, დიახ, ვერ დაითხოვს...

დათხოვილი დეპუტატები ბოიკოტისტების ქვეყანაში წავიდნენ, ფილიანდიაში. მათ აქ უნდოდათ განეგრძოთ თავიანთი მუშაობა და დეკლარაციებით მიემართათ ხალხისთვის. ეს, რა თქმა უნდა, დიდ გავლენას იქონიებდა. ხალხს თვალს აუხელდა. სწორედ ასე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა მოქცეულიყვნენ ხალხის წარმომადგენლები, მაგრამ სათათბირო გენერალური შტატები არაა: მას არა აქვს არც მისი უნარი, არც მისი შეძლება. და აი ტელეგრამა ამბობს, რომ სათათბიროს უმეტესობამ, კადეტებმა და სხვებმა, პირველ სხდომაზევე განაცხადეს: კანონის ძალით, ჩვენ ხალხის წარმომადგენლები აღარა ვართ, ჩვენ ვერ განვაგრძობთ ბრძოლას, ჩვენ უნდა დავიმალნეთო. მხოლოდ მუშებისა და გლეხების დეპუტატები დარჩენილან და მზად არიან ბრძოლა განაგრძონ. დიახ, „არ გათეთრდება ყორანი",—კადეტები სხვანაირათ ვერც მოიქცეოდნენ. აქაც იფანტება ცრუიმედები და ირკვევა, რომ კადეტები ხალხის მოღალატენი ყოფილან: სანამ საქმე ლაპარაკში იყო, ან და სანამ კითხვა კადეტების სამინისტროს ეხებოდა, კადეტები ადგილზე იყვნენ და ენაჭარტალობდნენ, მუშებისა და გლეხების ორატორებს არც კი ალაპარაკებდნენ,—მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, იგივე კადეტები ბრძოლის ველიდან გარბიან და სოროებში იმალებიან... ამას არ დაივიწყებენ მუშები და გლეხები!.. ცრუ იმედები იფანტება და ირკვევა, რომ მხოლოთ მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები არ უღალატებენ ხალხს, მხოლოთ ისინი შერჩებიან ბოლომდე ბრძოლის ველს და მხოლოთ ისინი გამოიჩენენ რაიმე რევოლიუციონურ თაოსნობას. თქმა არ უნდა, რომ ხალხიც მათ დაუგდებს ყურს.

ცრუ იმედებისაგან განთავისუფლებული ხალხი დღეის იქით უფრო მაგრა დადგება საკუთარ ფეხზე. ის მიხვდება, რომ ხალხის განთავისუფლება ხალხისავე ხელით უნდა მოხდეს. მიხვდება და მედგრათ გადაერევა რევოლიუციის ტალღებში.

ეს კარგათ იცის რეაქციამ და ამიტომ არის რომ დაუღალავად აბამს პროვოკაციის ქსელს.

მაგრამ რევოლიუცია არ გაყვება რეაქციის პროვოკაციას. **ის არ უნდა გაჰყვეს ამ პროვოკაციას.**

რევოლიუციის მეთაურს—მებრძოლ პროლეტარიატს—ბევრი რამ შეუძლია დღევანდელ რევოლიუციაში, მან რამდენჯერმე დაამტკიცა თავისი რევოლიუციონური სიმწიფე. მაგრამ თუ აქამომდე არ კმაროდა მარტო პროლეტარიატის ძალა, დღეის იქით უფრო არ იკმარებს ძველი წესების დასამსხვრევათ, მას ძლიერი მოკავშირე ეჭირვება. ეს დროებითი მოკავშირე კი რევოლიუციონური გლეხობაა

რუსეთის გლეხობა დღემდის რყევაში იყო, ის სავსებით ვერ ემხრობოდა რევოლიუციონურ პროლეტარიატს. მაგრამ დღეს საქმე სხვანაირათ დატრიალდა. უკანასკნელმა ამბებმა სამუდამოთ უნდა გაფანტოს გლეხების ცრუ იმედები. მას ვერც მიწა მისცეს, ვერც თავისუფლება, პირიქით. სათათბიროც კი წაართვეს. ცალკე კიდევ კადეტებმა უღალატეს. ცხადია, განმარტოებული გლეხობა საკუთარ ფეხზე უნდა დადგეს და პროლეტარიატის გარშემო მოიყაროს თავი—მხოლოთ პროლეტარიატი „არ გაჰყიდის" მას. აი სად შეუძლიათ სათათბიროს **მემარცხენეებს** დიდი როლი ითამაშონ დღევანდელ რევოლიუციაში. დეე, გაიქცნენ კადეტები, დეე, დაიმალოს სათათბირო,—მემარცხენეთა საერთო დეკლარაციები, მათი რევოლიუციონური სიტყვა მალამოსავით მოხვდებოდა გულში რევოლიუციონურ გლეხებს, პროლეტარიატის გარშემო შემოჰკრებდა მათ და, ამგვარათ, **მჭიდროთ შეაკავშირებდა ქუჩას.** ეს მით უფრო შესაძლოა, რომ მუშები და გლეხები ისედაც კავშირდებიან, ცხოვრების ძალდატანებით. სწორეთ აქეთ უნდა ეჭიროს თვალი პროლეტარიატს. მან კარგა უნდა იცოდეს, რომ გლეხებთან დროებითი კავშირი სხვა მხრივაც საჭიროა მისთვის, სალდათი—ეს სოფლის ღვიძლი შვილი—გლეხებს უფრო ყურს უგდებს, ის გლეხთა მოძრაობის დროს უფრო მეტს სიფხიზლეს იჩენს. მართალია, გლეხობა პროლეტარიატმა გამოაღვიძა, მაგრამ სალდათების ფართე მასამ მხოლოთ მაშინ იბრუნა პირი რევოლიუციისაკენ, როცა გლეხობამ ხმა ამოიღო. ეს არ უნდა დაივიწყოს პროლეტარიატმა.

დიახ, დაშლილ სათათბიროს შეკავშირებული ქუჩა უნდა მოჰყვეს, სათათბიროს ნანგრევებზე ქუჩის სიძლიერე უნდა აშენდეს. აი როგორ უნდა აშენდეს ხალხის თავისუფლება".

გაზეთის ამავე ნომერში მოთავსებულია გ. თელიას ფელეტონი „რა არის ჩვენთვის საჭირო" (საუბარი მუშებთან).

ავტორი გასაგები ენით საუბრობს მუშებთან საფრანგეთის რევოლიუციაზე, თემის დამარცხების მიზეზებზე, შემდეგ გადადის მეფის რუსეთის პირობებზე და აღნიშნავს კლასთა ბრძოლის, რეაქციისა და რევოლიუციის ჭიდილს.

ავტორი სვამს საკითხს: „რა არის ჩვენთვის საჭირო"-ვო, და უპასუხებს:

„ერთხელ ერთ მიტინგზე ერთმა ამხანაგმა ასე გამოხატა ამ კითხვის მოკლე პასუხი: თავში სოციალ-დემოკრატიული შეგნება. გულში რევოლიუციონური ცეცხლი და ხელში მჭექარე თოფი—აი რა არის ჩვენთვის საჭიროვო. ამას უნდა დავუმატოთ ერთი რამ, სახელდობრ **მჭიდრო პარტიული კავშირი,** და პასუხი მთელი იქნება. შეიძლება ამხანაგმა მჭიდრო პარტიული კავშირი სოც.-დემოკრატიულ შეგნებაში იგულისხმა, მაგრამ მე კი ცალკე საჭიროებათ, მეოთხე საჭიროებათ უნდა ჩავთვალო იგი".

ავტორი თვითეული ამ გარემოების ახსნაზე გადადის.

ამავე ნომერში მოთავსებულია „ლილე. მერხეულა"-ს ღია წერილი ამხანაგებს" („რათ ჩამოვშორდით" ძველ ორგანიზაციას?")

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი არკვევს საკითხს იმის შესახებ, თუ რათ ჩამოშორდა ამხანაგების ერთი ნაწილი ძველ ორგანიზაციას და რათ დაარსეს ეგრედწოდებული „მუშათა კავშირი სოციალისტებისა“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენ არა გვწამს პარტიული მძულვარება, ერთ დროს მოხიბლულნი ვიყავით ლამაზი სიტყვებით, მაგრამ დღეს, „„როდესაც რევოლიუცია და რეაქცია სერიოზულათ დაუპირდაპირდა ერთმანეთს“, ვერ დაგვაკმაყოფილა ლამაზმა სიტყვებმა და ჩამოვშორდით ორგანიზაციას.

ავტორი უკმაყოფილოა „კერძო თავმოყვარეობით, კერპთთაყვანისმცებლობით და წოდებრიობით პარტიაში“, სადაც გაჩნდენ „თავადები“, „აზნაურები“, „ოფიცრები“ და „რიადოვოები“. ამათ დაიწყეს ნათლიმამური ოინბაზობა. დემოკრატიზმი პარტიაში ისე გატარებული როგორც ნიკოლოზ მე-2-ის სასახლეში და ვიტე-დურნოვოს კაბინეტებში.

თავის არსებობის მანძილზე გაზეთი „ახალი ცხოვრება“ მტკიცეთ იცავდა სოციალ-დემოკრატიულ ხაზს. მეტად მწვავე იყო ის პერიოდი, როდესაც გაზეთი გამოდიოდა. გაზეთიც, შეძლების და გვარად აშუქებდა საჭირო-ბოროტო საკითხებს და პასუხისმგებლობის მთელის შეგნებით აღვივებდა რევოლიუციის ცეცხლს.

როგორც დავინახეთ, სახელმძღვანელო და პრინციპიალური თითქმის ყველა წერილები, რომლებიც გაზეთ „ახალ ცხოვრებაში“ დაიბეჭდა, ეკუთვნის ამხ. ი. ჯუღაშვილს (კობას, ი. სტალინს).

„ახალი ცხოვრების“ დროს გამოდიოდა სად. (მენშევიკური) გაზეთები: „ლამპარი“, „სიმართლე“ და ნაწილობრივ „ტალღა“.

„ახალი ცხოვრების“ შესახებ გაზეთ „ტალღა“-ს მე-6 ნომერში (5 აგვისტო), ახალი ამბების განყოფილებაში ჩვენ ვკითხულობთ: „როგორც გავიგეთ, თფილისის პოლკის კომანდირი. შეკითხვებია საცენზურო კომიტეტს—მიცემულია თუ არა პასუხისგებაში **დახურული გაზეთის „ახალი ცხოვრების“** რედაქტორი ახმეტელაშვილი, რომელმაც თავის გაზეთში ცილი დასწამა ოფიცერ ზაალიშვილს, თითქოს მას მეტეხის ციხის კარებთან თავის ხელით ორი ტუსაღი მოეკლას. ზაალიშვილის შესახებ ცნობები ადგილობრივ სხვა გაზეთებშიაც იყო დაბეჭდილი. სხვათაშორის დახურულ გაზეთ „სიმართლე“-ში დაიბეჭდა მეტეხის ციხის ტუსაღების წერილი, სადაც ეს უკანასკნელნი პირდაპირ უმტკიცებდნენ ზაალიშვილს დანაშაულს.

ტუსაღების წერილი, რომელზედაც კორესპონდენტი მიგვითითებს, დაბეჭდილია „სიმართლის“ № 7-ში (1906 წ. 12 ივლისი).

ეს ერთერთი დამახასიათებელი ეპიზოდია რევოლიუციონური პრესის მდგომარეობისა შავბნელი რეაქციის პირობებში.

მ. ქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ფ. მახარაძე—საბჭოთა ხელისუფლების პირობები საქართველოში . .
2. თ. ჟღენტი—კომპარტიის მუშაობა საქართველოში . . . . . . . .
3. ბ. მაჩაიძე—მენშევიკები და პროფკავშირები . . . . . . . . .
4. მ. ტოროშელიძე—ოქტომბრის რევოლიუციის შესახებ ქართულ პრესაში . . . . . . . . . . . . . . . .
5. ს. თოდრია—მენშევიკების ბატონობის პირველი პერიოდი . .
6. ი. ჟვანია—როგორ იბრძოდა სამეგრელოს მშრომელი გლეხობა ხელისუფლებისთვის . . . . . . . . . . . . . . .
7. ა. ურუშაძე—შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისთვის საქართველოში . . . . . . . . . . . . . . .
8. ვ. ქურდაძე—პატარა მოგონება . . . . . . . . . . . .
9. ა. ფარნიევი—მარქსისა და ლენინის მოძღვრებით შეიარაღებული მუშ-გლეხური საქართველო . . . . . . . . .
10. ს. მეგრელიშვილი—ბოლშევიკურ მიტინგზე თავდასხმა ალექსანდროვის ბაღში . . . . . . . . . . . . . .
11. ვ. ვაშაკიძე—ქართველი მენშევიკები უცხოეთის იმპერიალისტების სამსახურში . . . . . . . . . . . . . . .
12. კ. ქაცარავა—ხონის ბოლშევიკური ორგანიზაცია საქართველოს გასაბჭოებამდე . . . . . . . . . . . . . . .
13. ვ. ცინცაძე—ტფილისის რკინისგზელები მენშევიკების დროს .
14. ნ. კოპალეიშვილი—როგორ იბრძოდა ქართლის მშრომელი გლეხობა მენშევიკური ხელისუფლების წინაალმდეგ . . . 137
15. ფრუიძე—ბოლშევიკების მუშაობა ტყიბულის რაიონში . . . . 142
16. ს. ქაჯაია—წითელი პარტიზანების ბძროლა რაჭა-ლეჩხუმში . . . 146
17. ა. ყაზაროვი—არალეგალური მუშაობა ახკომკავშირელებთან ერთად 149
18. ო. დურჰერინი—დახვრეტილი ბოლშევიკის ხსოვნას . . . . . 15
19. კ. უჯმაჯურიძე—როგორ იბრძოდა გურიის მშრომელი გლეხობა საბჭოთა ხელისუფლებისთვის . . . . . . . . 169
20. მ. კ.—ქართული ბოლშევიკური პრესა 1906 წელს . . . . . . . 17